

გივი ლოზანძე

სახელმწიფოსა და სემარტლის თეორია
(პრობლემები)

საგამომცემლო ცენტრი

ქუთაისი

2000

**ზაქარია გივის ძე ინწკირველისა (1959-
2000 წ.წ.) და ყველა უდროოდ დაღუპული
იურისტის ნათელ მოგონებას ეძღვნება
ეს წიგნი.**

ეს ნაშრომი შედგენილია საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებისა და თანამედროვე მეცნიერების (სახელმწიფომცოდნეობა, სამართალმცოდნეობა) მიღწევათა გათვალისწინებით.

წიგნის მიზანია იურიდიული ფაქულტეტის სტუდენტ-ახალგაზრდობას, იურისტებს, ამ საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრეს დაეხმაროს სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის პრობლემების შესწავლაში.

ავტორი მადლობას უხდის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, იტალიელ მეცნიერებათა დოქტორს, პრფესორს გ. ინჩინტიელს, პრფესორებს -- მ. ზიბიძეს, მ. ლუციბიძეს, ლ. აბიძეშვილს, დიციანდ ვ. გუჩუაძეს რიგგარეშე მუშაობის პერიოდში მიცემული სასაბჭოო მინიშნებისათვის.

რედაქტორები: გიორგი ნაფარეიშვილი იურიდიულ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი.

გიორგი ხუბუა იურიდიულ მეცნიერებათა
კანდიდატი, დოცენტი.

რეცენზენტები: ლევან ალექსიძე საქართველოს მეცნიერებათა
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, იურიდიულ
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ვალერი ლორია იურიდიულ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფ.

წინასიტყვაობა

უმაღლესი იურიდიული განათლების კონცეფცია მაღალკვალიფიციური, ღრმად განათლებული სპეციალისტების მომზადებაზეა ორიენტირებული. სწორედ ასეთებს ექნებათ უნარი აქტიურად მონაწილეობდნენ სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში, რასაც სათანადო პოლიტიკური და სამართლებრივი კულტურა სჭირდება.

ვიწრო პროფესიული მომზადება საკმარისი აღარაა, რასაც სამართლო რეფორმა, მოსამართლეთა გამოცდები, პენიტენციალური სისტემის და ე. წ. ძალისმიერ სტრუქტურათა გარდაქმნის პროცესი, ქვეყნის პროკურატურის, უშიშროების, მინაგან საქმეთა სამინისტროს ძირეული რეორგანიზაცია და მათი თანამედროვე დემოკრატიული სამოგადოებისათვის შესაბამის სამართლებრივ სტანდარტებში მოქცევა ადასტურებს. ქვეყანა მოითხოვს მაღალ ინტელექტუალურ პოტენციალს, რომელიც შეესაბამება სამართალმცოდნის პროფესიული და სოციალურ-საჯარო მოღვაწეობის ხასიათს; გასათვალისწინებელია ისიც, რომ მომავალმა მოსამართლეებმა, პროკურორებმა, გამომძიებლებმა, აღვოკატებმა თავიდანვე უნდა იცოდნენ ის ნიუანსები, რასაც მნიშვნელობა აქვს იურიდიული საკითხების გადაწყვეტაში, კანონის ანალოგიის თუ სამართლის ნორმების განმარტების, შეფარდების და სხვა იურიდიული პროცედურების გადაჭრის დროს... მაგრამ ამის ჭეშმარიტი გაგება და გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ მეცნიერული ცოდნის დაუფლებასთან ერთად, ცხოვრების ყველა სფეროში კანონიერების ზუსტი დაცვის, ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლების აღიარების, მათი სრული, უპირობო და დაუყოვნებელი შესრულების შემთხვევაში. ადამიანის, პიროვნების თავისუფალი განვითარების უზრუნველყოფა სახელმწიფოს ყველა ორგანოს და, კერძოდ, სამართალდამცავი უწყებების უპირველესი მოვალეობაა. აქედან ნათელი ხდება სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის პრობლემების მნიშვნელობა.

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, როგორც მეცნიერება და სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის პრობლემები, როგორც სასწავლო დისციპლინა. სახელმწიფოსა და სამართლის თეორია არის სახელმწიფოსა და სამართლის მეცნიერებაზე დამყარებული სასწავლო დისციპლინა. ამიტომ, რაც უფრო მასშტაბურია მეცნიერული მიღწევები, მით უფრო იოლია პრობლემებში გარკვევა. მეორეც, სხვადასხვაა მათი მიზნები და ამოცანები. პრობლემების კვლევის მიზანია სასწავლო პროცესის მეშვეობით მსმენელებს გადასცეს მეცნიერების მიერ მოპოვებული და პრაქტიკით აპრობირებული ცოდნა. სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის მეცნიერ-მკვლევარების მიზანი კი მთელი მეთოდოლოგიური არსენალის გამოყენებით ახალი, ღრმა, მაღალკვალიფიციური ცოდნის დაგროვებაა. სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის პრობლემები, როგორც სასწავლო დისციპლინა, წარმოგვიდგება მის მიერ შესასწავლი სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მოვლენების მწყობრი სისტემით.

სახელმწიფოსა და სამართლის თეორია არის ერთ-ერთი ყველაზე რთული სასწავლო დისციპლინა, რომელიც პირველ კურსზე ისწავლება. ამიტომ, რომ დამამთავრებელ კურსზეც უბრუნდებიან ამ დისციპლინას და სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის პრობლემებს ასწავლიან. ეს საგანი განზოგადოებებით, აბსტრაქტული მეცნიერული დებულებებით, ცნებებით (კატეგორიებით) - არის გაჯერებული, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მეცნიერული განსაზღვრებანი (დეფინიციები), რომლებიც მოკლედ ასახავენ გასაანალიზებელი მოვლენების არსს. ამიტომ სახელმძღვანელოებთან ერთად სტუდენტებმა დამოუკიდებლად უნდა დაამუშაონ მონოგრაფიები, სამეცნიერო შრომების კრებულები, იურიდიულ ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები და ა.შ.

როგორც სასწავლო დისციპლინა, სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის პრობლემები ასრულებს ორ ძირითად ფუნქციას: იგი არის სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის ფუნდამენტალური საკითხების ღრმად შესწავლის საშუალება, საფუძველი, უბრუნველყოფს ზოგადი თეორიული ცოდნის გამყარებას და სტუდენტების სახელმწიფო გამოცდებისათვის მომზადებას.

პირველი ფუნქცია ხორციელდება სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის საფუძვლების განმეორებისას, როდესაც სტუდენტები უკვე დაუფლებულნი არიან დარგობრივ იურიდიულ დისციპლინებს (კონსტიტუციური, სამოქალაქო, ადმინისტრაციული, სისხლის სამართალი და ა.შ.)—ამ განმეორების დროს დიდი ყურადღება ეთმობა სტუდენტთა აბსტრაქტული, ანალიტიკური აზროვნების უნარს, სამართლებრივ და პოლიტიკურ კულტურას. ამ პროცესის რეალობა მთავრდება სახელმწიფო გამოცდით, როცა ხდება სწავლების შედეგების შეჯამება. სტუდენტები ამ დროისათვის უკვე მზად არიან იურიდიული სინამდვილის მთლიანი სურათის აღქმისათვის, საზოგადოების ეკონომიკური, სოციალური და სხვა პრობლემების გადასაწყვეტად სამართლის და სამართლებრივი რეგულირების შესაძლებლობათა გამოყენებისათვის.

ქართული იურისტები დიდად ვუმადლით ცნობილ სწავლულ-იურისტს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფესორ გივი ინწკირველს, აგრეთვე პროფესორ ბიძინა სავანელს, აწ გარდაცვლილ პროფესორებს: ალექსანდრე ვაჩიშვილს, გიორგი ნანეიშვილს, იროდიონ სურგულაძეს, ამ სფეროში შექმნილი სახელმძღვანელოებისათვის, რომელზეც იურისტთა არაერთი თაობა გაიზარდა.

ბოლო წლებში ქ. მოსკოვში, რუსეთის ფედერაციის უნივერსიტეტებსა და სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებში გამოიყარა პროფ. ს. ალექსეევის, ვ. კორელსკის, ვ. პერევალოვის, გ. მარჩენკოს ვ. ლამარევის, ვ. ხროპანიუკის, ნ. მაცუზოვის, ა. მალკოს, ე. კუმნეცოვის, ვ. სალნიკოვის, მ. რასოლევის, ვ. ლუჩინის, ე. ბევეის, ვ. გლუმენკოს და სხვათა რედაქტორობით სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის სახელმძღვანელოები. გამოქვეყნდა ს. არხიპოვის, ვ. ლევეშინის, ო. პეჩეკოვის, რ. რუსინოვის, ა. სემიგკოს, ნ. გარასოვის, ა. შაბუროვის, მ. მიცკევიჩის, ვ. პოპოვის, დ. ერნესტოვიჩის, თ. ლეისგის და სხვა ავტორთა გამოკვლევები, რომლებიც ეხებიან სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის პრობლემებს. ჩვენი ნაშრომის ძირითადი ნაწილი კი ლექციების სახით წაკითხულია ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ეროვნულ-სოციალურ-

ტექნოლოგიური უნივერსიტეტის, ქუთაისის საერო უნივერსიტეტ „გელათის“ იურიდიულ ფაკულტეტებზე და შედგენილია დასახელებულ ქართველ, რუს და ზოგიერთ უცხოელ ავტორთა შრომებზე დაყრდნობით. წიგნი კომპილაციური ხასიათისაა, ორიგინალობის პრეტენზია არ გააჩნია, მაგრამ, ეფიქრობთ, დიდ სამსახურს გაუწევს სტუდენტ-ახალგაზრდობას.

გავითვალისწინეთ ნაშრომის მოცულობა, არქიტექტონიკა და გადაწყვეტილებით მისი სამ ნაწილად დაყოფა. პირველ კარში შევიგანეთ სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი პრობლემები, მეორე კარში — სახელმწიფოს თეორიის პრობლემები, ხოლო მესამეში — სამართლის თეორიის პრობლემები.

ჩვენი აზრით, როგორც სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის, ასევე პრობლემების კურსის სწავლება ერთ სემესტრში არ არის საკმარისი. საჭიროდ მიგვაჩნია, გაიზარდოს საათების რაოდენობა და კურსის სწავლება გაგრძელდეს ერთი სასწავლო წლის განმავლობაში.

შესაძლებელია, ყველამ არ გაიზიაროს ჩვენი მოსაზრებანი ნაშრომში მოყვანილ ზოგიერთ დებულებასა და პრინციპთან დაკავშირებით, არც იმაში ვართ დარწმუნებული, რომ წიგნი უნაკლოა, ამიტომ — პასუხისმგებლობით მოვეკიდებით და შემდგომ გამოცემებში გავითვალისწინებთ ყოველ საჭირო შენიშვნას.

სახელმწიფოსა და სამართლის თეორია,
როგორც მეცნიერება და პრობლემატიკა, როგორც
სასწავლო დისციპლინა

შესავალი

სახელმწიფოსა და სამართლის თეორია არის ზოგადი ხასიათის იურიდიული მეცნიერება, რომელიც შეისწავლის სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის საერთო კანონზომიერებებს, განსაზღვრავს მათ ფუნქციებს, როლსა და განვითარების ტენდენციებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

პოლიტიკურ-სამართლებრივი პროცესები და მათი ასახვა ხალხის ცნობიერებაში ურთულესი და საკვანძო საკითხია, ამ პრობლემის თეორიული გააზრება საზოგადოებრივი პროცესების მეცნიერული მართვის აუცილებელი პირობაა, ამიტომ თვით ცხოვრებამ ჩააყენა სახელმწიფოსა და სამართლის თეორია ფუნდამენტურ მეცნიერებათა რიგში. ამჟამად წინა პლანზე წამოიწია მისმა ჰუმანისტურმა და კულტურულ-შემოქმედებითმა მისიამ, რაც ყველაზე მკაფიოდ ხალხთა სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში, ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა და თავისუფლებათა უზრუნველყოფაში გამოიხატება.

ორი ათასწლეულის მიჯნას მსოფლიო რთული, ურთიერთსაწინააღმდეგო, ღრმა ცვლილებებითა და გარდაქმნებით შეხვდა. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება პოსტსოციალისტურ ქვეყნებს (მათ შორის საქართველოსაც), სადაც მიმდინარეობს მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, თანდათანობით ყალიბდება სამოქალაქო საზოგადოება და სამართლებრივი სახელმწიფო. ამგვარი გარდაქმნები მოითხოვს ადეკვატურ რეფორმებს სახელმწიფო მმართველობისა და სამართლებრივი რეგულირების სფეროში. გარდა ამისა, ჩვენი რეფორმამდელი საზოგადოება უკვე შეეჯახა საკუთარი მოღვაწეობის „ნაყოფს“, მეცნიერულ საფუძვლებს მოკლებულმა, ცდებისა და ექსპერიმენტების ფართო გამოყენებამ, უცხოური რეცეპტების უაზრო გადმოღებამ, საკუთარი ისტორიული ტრადიციების, სოციალურ-კულტურული მემკვიდრეობისა და ეროვნული ინტერესების იგნორირებამ, „რეფორმატორების“ რადიკალიზმმა და თვითდაჯერებულობამ შეაჩერა საზოგადოების ევოლუციური განვითარება და ქვეყანა ღრმა პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისში შეიყვანა.

ამ წინააღმდეგობრივი გარდაქმნების გავლენით ქართულ საზოგადოებრივ ცნობიერებაში, ერთი მხრივ, უფასურდებოდა იდეოლოგიური და სოციალური ღირებულებანი, მეორე მხრივ, ხდებოდა მრავალრიცხოვანი ღოგებისა და სტერეოტიპების მსხვერვა, სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი შეხედულებებისა და მოძღვრებების გადასინჯვა. მაგრამ გარდამავალ პერიოდში შედარებით უფრო სწრაფად იცვლება საზოგადოებრივი ურთიერთობები, სახელმწიფო ორგანოების სტრუქტურა და მოქმედი კანონმდებლობა, ვიდრე ხალხის ცნობიერება.

ღრმად ფესვგადგმული დესტრუქციული პროცესების დაძლევა მომავალში მხოლოდ რეფორმების სტრატეგიისა და ტაქტიკის, მეცნიერების, სახელმწიფოს მეცნიერული მართვისა და სამართლებრივი რეგულირების შერწყმის გზით შეიძლება. ყველაფერი ეს რთული პრობლემების წინაშე აყენებს სახელმწიფოსა და სამართლის თეორიას, ამიტომ იგი განუწყვეტლივ უნდა ვითარდებოდეს, ითვისებდეს უახლეს მსოფლიო სამეცნიერო მიღწევებს სახელმწიფოსა და სამართლის დარგში, სახვადეს ცხოვრებაში მათი რეალიზების ოპტიმალურ გზებსა და საშუალებებს.

თანამედროვე სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, წარსული კლასიკური შემკვიდრების თუ უახლესი იდეების თვალსაზრისით, უფრო დემოკრატიულია და გამჭვირვალე. ამასთან მეტ ყურადღებას უთმობს ადამიანის მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებებს, მის ღირსებას, სამართლებრივ და პოლიტიკურ მსოფლმხედველობას, უფლებებსა და თავისუფლებებს. სამართლებრივი სახელმწიფოს იდეების შემეცნება მნიშვნელოვნად ამდიდრებს სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ თანამედროვე მოძღვრების ჰუმანიტურ შინაარსს.

ნებისმიერი თეორია – იდეების, ცნებების, დებულებების და დასკვნების სისტემა – მეცნიერების სტატუსს შეიძენს მას შემდეგ, რაც სინამდვილის გარკვეული პროცესებისა და მოვლენების შესახებ განზოგადებულ ცოდნას და საზოგადოებრივ პრაქტიკაში მისი გამოყენების ხერხებისა და მეთოდების (მექანიზმების) სისტემას შეიმუშავებს. მეცნიერება არის საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი შემეცნების სფეროში არსებული ცოდნის მთლიანი ჯამი, როგორც სამეცნიერო მოღვაწეობის შედეგი. სხვა სფეროებისაგან განსხვავებით, მეცნიერება ხსნის ახალ ჰორიზონტებს შესაბამის დარგში და ამით სტიმულს აძლევს პრაქტიკულ მოღვაწეობას.

სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის, როგორც მეცნიერების, მიზანია მიიღოს, განაახლოს და გააღრმავოს სახელმწიფოსა და სა-

მართლის შესახებ განზოგადებული უტყუარი ცოდნა, შეიცნოს სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ცხოვრების მყარი, სიღრმისეული კავშირები, რომლებიც განსაზღვრავენ მის ისტორიულ მოძრაობას.

სახელმწიფოსა და სამართლის მრავალწახნაგოვანი და აქტიური ფუნქციონირება არის საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრაქტიკის არსი. ამასთან, ეს არის ისეთი რეალობა, რომელიც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ყველა საზოგადოებრივმა ძალამ, მიუხედავად მისი სოციალურ-პოლიტიკური მიმართულებისა. ეკონომიკა, სოციალური სფერო, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, ქვეყნის თავდაცვა, გარემოს დაცვა, საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა – აი, სახელმწიფოებრივ-პრაქტიკული მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი სფეროებისა და სამართლებრივი რეგულირების არასრული ჩამონათვალი.

სახელმწიფოში მიმდინარე პოლიტიკურ-სამართლებრივი პროცესები საზოგადოებრივი ცხოვრების ურთულესი და უმნიშვნელოვანესი სფეროა, მასზე ბევრად არის დამოკიდებული მთლიანად საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობა. ამ პროცესების მეცნიერული გააზრება არა მარტო საზოგადოების ობიექტური მოთხოვნილებაა, არამედ მისი განვითარების აუცილებელი პირობაცაა.

სახელმწიფოსა და სამართლის თეორია განზოგადებულად შეისწავლის შორეული წარსულიდან მოყოლებული მრავალი ქვეყნის სახელმწიფოსა და სამართლის სისტემებს. პრაქტიკის შესწავლითა და განზოგადებით სახელმწიფოსა და სამართლის თეორია აყალიბებს სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მოვლენების ცნებებსა და განსაზღვრებებს, შეიმუშავებს სამეცნიერო რეკომენდაციებსა და დასკვნებს, რომლებიც არის სახელმწიფოსა და სამართლის არა მხოლოდ არსის, შინაარსისა და ფორმების გაგების, არამედ საზოგადოების პროგრესული განვითარების მიზნით მათი მოხერხებულად გამოყენების საშუალება;

ამასთანავე, სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის სიცოცხლისუნარიანობა და სოციალური მნიშვნელობა ბევრადაა დამოკიდებული საზოგადოებრივ პრაქტიკაზე. ასეთი კავშირის უზრუნველყოფა სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის პრობლემების კურსის მეშვეობით უნდა განხორციელდეს. იურიდიული პრაქტიკა სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ მოძღვრების განვითარების ამოუწურავი წყაროა. იგი სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის მიზნებსაც განაპირობებს, ე.ი. სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მოვლენების შემეცნება ხდება თვით პრაქტიკის საფუძველზე.

ამიტომ თანამედროვე პრაქტიკა მაღალ მოთხოვნებს უყენებს სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის პრობლემებს, როგორც სასწავლო დისციპლინას. თვით ცხოვრებამ წამოაყენა შემეცნების ახალი ობიექტები, უარყო სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის დრომოჭმული ტრადიციული დოგმები. პრობლემატიკას დაემატა კვლევის ახალი მიმართულებები, რომლებიც ხშირად გადადის მეცნიერული ცოდნის სხვა დარგების სფეროში; ამ გზით თანდათანობით ხდება მეცნიერებათა ინტეგრაცია, ჩნდება კომპლექსური მიდგომები, რომლებიც კეთილისმყოფელ გავლენას ახდენენ მთლიანად შემეცნების პროცესებზე, რამაც კიდევ უფრო გააფართოვა და კონკრეტულად განსაზღვრა სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის პრობლემების, როგორც სასწავლო დისციპლინის როლი და დანიშნულება.

ბარი პირველი

თავი პირველი

სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის ზოგადი პრობლემები

§1. სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის საბანი და კვლევის მეთოდი

ყოველ სამეცნიერო დარგს თავისი კვლევის საგანი გააჩნია.

მეცნიერების ესა თუ ის დარგი, უპირველეს ყოვლისა, შეისწავლის საზოგადოებრივი პროცესებისათვის, ბუნებრივი მოვლენებისათვის დამახასიათებელ კანონზომიერებებს და ამ მხრივ არც სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის პრობლემებია გამონაკლისი.

სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის პრობლემები შეისწავლის სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის, განვითარების, დანიშნულებისა და ფუნქციონირების საერთო კანონზომიერებებს. ის თითქოს განაცალკევებს სახელმწიფოსა და სამართალს საზოგადოებრივი მოვლენების მთელი სისტემისაგან, იკვლევს მათ შიდა კანონზომიერებებს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც სახელმწიფო და სამართალი განიხილება ეკონომიკასთან, პოლიტიკასთან, მორალთან, კულტურასთან და სხვა საზოგადოებრივ ფენომენებთან კავშირში. ამასთან სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის პრობლემები სწავლობს არა მხოლოდ იმას, თუ როგორია სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი მოვლენების საზოგადოებრივ-პოლიტიკური განპირობება, არამედ თუ როგორია ამ უკანასკნელთა მზარდი გავლენა ეკონომიკაზე, საზოგადოების სოციალურ და სულიერ ცხოვრებაზე.

სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის მეცნიერების საგანია საზოგადოებისა და სახელმწიფოს მრავალმხრივი და რთული ურთიერთმოქმედება, სახელმწიფოს როლი და ადგილი საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში. იგი შეისწავლის არა მხოლოდ სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ მოვლენებსა და პროცესებს, არამედ ხალხის წარმოდგენას მათზე. მისი საგანი მოიცავს საზოგადოებრივ, ჯგუფურსა და ინდივიდუალურ, პოლიტიკურ და სამართლებრივ ცნობიერებას.

სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის პრობლემათა საგნის მნიშ-

ვენლობა განპირობებულია მათი პრაქტიკული და სამეცნიერო-ცნებობრივი ერთიანობით.

სახელმწიფო და სამართალი განუყოფელია ერთმანეთისაგან. ამიტომ სახელმწიფოსა და სამართლის თეორია ცოდნის იზოლირებული დარგები კი არა, ერთი მთლიანი, მეცნიერებაა და ორ, შედარებით დამოუკიდებელ სტრუქტურულ ნაწილად იყოფა:

სახელმწიფოს თეორია (სახელმწიფომცოდნეობა).¹

სამართლის თეორია (სამართალმცოდნეობა).²

სწორედ აღნიშნული ერთიანობა და დიფერენციაცია იძლევა საშუალებას, შევისწავლოთ სახელმწიფო თავისი სამართლებრივი გაფორმებითა და იურიდიული დამკვიდრებით, სამართალი კი—სახელმწიფოს მიერ გარანტირებული სამართლებრივი უზრუნველყოფით. ამასთან, ეს დიფერენციაცია ხელს არ უშლის სახელმწიფოსა და სამართლის ჩაღრმავებულ და დეტალურ ანალიზს. სამართლის თეორიის ხელოვნური მოწყვეტა სახელმწიფოს თეორიისაგან ორივეს აღარიბებს და ართულებს მათ გაგებას. ასევე დაუშვებელია სახელმწიფოსა და სამართლის ერთმანეთთან დაპირისპირება.

ბოლო წლებში, ტოტალიტარიზმთან ბრძოლის საბაბით, ჩვენს პერიოდულ პრესასა და სამეცნიერო-ლიტერატურაში შეიმჩნეოდა თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში სახელმწიფოს როლისა და მნიშვნელობის დაქვეითების მცდელობა. გამოითქვა საეჭვო იდეები თვით სახელმწიფოს ცნების „ნაკლებადვარგისიანობის“ შესახებ, მაგრამ მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო არის ისეთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინსტიტუტი, რომლის დასუსტება და ნეგატიურად მოქმედებს მართლწესრიგზე, ზრდის დაძაბულობას სამართლებრივ სივრცეში.

ამგვარად, სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის პრობლემების, როგორც საზოგადოებრივი დისციპლინის კვლევის საგანი არის სახელმწიფო და სამართალი, მათი წარმოქმნისა და განვითარების ძირითადი კანონზომიერებანი, არსი, დანიშნულება და ფუნქციონირება საზოგადოებაში. აგრეთვე, პოლიტიკური და სამართლებრივი ცნობიერებისა და სამართლებრივი მოწესრიგების თავისებურებანი, სადაც განსაკუთრებული ადგილი უნდა დაიკავოს მოძღვრებამ ქართული სახელმწიფოებრიობის; მისი ისტორიული, ეროვნულ-კულტურული ფესვების და ტრადიციების შესახებ.

ტერმინი „მეთოდი“ მეცნიერებაში ძველმა ბერძნებმა შემოიღეს და

¹ გ. ინწკირველი, სახელმწიფოს და სამართლის თეორია. თბილისი, 1998 წ.

² ბ. საკანელი, სამართლის თეორია. თბილისი, 1993 წ.

იგი ბუნების მოვლენებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების შემეცნებისა და კვლევის ხერხს გულისხმობს. გამოჩენილი მეცნიერები შემეცნების მეთოდებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ბეკონი (1561-1626) მეთოდს აღარებდა ფარანს, რომელიც მეცნიერს გზას უნათებს და თვლიდა, რომ ფარნით გზაზე მიმავალი კოჭლიც კი გაასწრებს იმას, ვინც უგზო-უკვლოდ გარბის სიბნელეში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მეცნიერული ძიების ნაყოფიერება, რეალური სინამდვილის შემეცნების დონე და სიღრმე ბევრადაა დამოკიდებული მკვლევართა მიერ გამოყენებულ მეთოდებზე. მეთოდი თავისთავად არის ადამიანის შემოქმედებითი, ინტელექტუალური აზროვნების პროდუქტი, რომელიც უწყვეტადაა დაკავშირებული შესწავლის საგანთან. კვლევის ახალი ხერხების, ფორმებისა და მეთოდების მუდმივი ძიება უზრუნველყოფს მეცნიერული ცოდნის ზრდას, აღრმავებს წარმოდგენას საგნისათვის მახასიათებელ კანონზომიერებათა შესახებ.

სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის პრობლემები არ არის მზა ჭეშმარიტებების, კანონებისა და დოგმების კრებული—ის სულ ძიებაში მყოფი, განვითარებადი, ცოცხალი დისციპლინაა. შემეცნების მეთოდები მუდმივი განახლებითა და განვითარებით უახლოვდებიან თავის ძირითად დანიშნულებას — იყვნენ სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი პრაქტიკის მეცნიერული ორიენტირი.

ამგვარად, სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის პრობლემების მეთოდები არის ის ხერხები, ფორმები და საშუალებები, რომლებსაც იყენებს სახელმწიფოსა და სამართლის თეორია თავისი საგნის შესაცნობად და მეცნიერული შედეგების მისაღებად. იგი ემთხვევა სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის, როგორც მეცნიერების კვლევის მეთოდებს. მოძღვრებას მეცნიერული შემეცნებითი მეთოდების შესახებ მეთოდოლოგია ეწოდება.

სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი განვითარების მრავალსაუკუნოვანმა მსოფლიო გამოცდილებამ დასაბამი მისცა მრავალგვარ პოლიტიკურ-სამართლებრივ დოქტრინასა და თეორიას. ყველა მათგანი სხვადასხვა მეთოდებსა და მიდგომებს ეყრდნობა და სხვადასხვა დასკვნებსა და შედეგებს იღებს: ზოგიერთი თეორია უარყოფს თვით სახელმწიფოსა და სამართლის არსის შემეცნების შესაძლებლობას, სხვები მიიჩნევენ, რომ სახელმწიფო და სამართალი სპონტანურად წარმოიშობა და ვითარდება, ზოგი კი ამტკიცებს, რომ სახელმწიფო და სამართალი ხალხის ნებით იქმნება და იხვეწება და ა.შ.

მეცნიერებაში, სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მოვლენების შესწავლასთან დაკავშირებით, მრავალი ათწლეულის მანძილზე ბატო-

ნობდა მარქსისტულ-ლენინური მიდგომა. სახელმწიფოსა და სამართლის მარქსისტულ-ლენინური თეორია აღიარებული იყო ერთადერთ ჭეშმარიტ თეორიად, რომელიც სწორად ასახავდა ობიექტურ სინამდვილეს. დომინირებდა აზრი, რომ ყველა სხვა თეორია და დოქტრინა ცრუა და მეტ-ნაკლებად აკრიტიკებდნენ კიდევ, რაც აღარიბებდა ჩვენს მოძღვრებას სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ, არ იძლეოდა პოლიტიკური და სამართლებრივი კულტურის მსოფლიო მიღწევების სრული გამოყენების შესაძლებლობას.

ამასთან, ნებისმიერ თეორიას, თავისი შემეცნების მეთოდების გამოყენებით ჭეშმარიტი ცოდნის რაციონალური მარცვლები შეაქვს საერთო ყულაბაში, გვაძლევს საშუალებას უფრო ღრმად ჩავწვდეთ შესასწავლი ფენომენის ამა თუ იმ ნიუანსს. სახელმწიფოსა და სამართლის თეორიისათვის წარსულისა და აწმყოს სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ მოძღვრებათა შეფასებისა და ანალიზის სადღეისოდ ყველაზე მისაღები ფორმა კონსტრუქციულ-კრიტიკული მიდგომაა. ეს ეხება მარქსისტულ-სამართლებრივ დოქტრინასაც, რომელიც ბოლო დროს მკაცრად იქნა გაკრიტიკებული, მათ შორის ყოფილ „მხურვალე“ მომხრეთა მხრიდანაც.

ბევრ ქვეყანაში გაჭიანურებულმა სისტემურმა კრიზისმა, მისი დაძლევის სასიცოცხლო მოთხოვნილებამ განაპირობა მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება მარქსიზმ-ლენინიზმის, როგორც მოძღვრების და სოციალიზმის, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობისადმი, მაგრამ მეცნიერება არ შეიძლება ჩავარდეს უკიდურესობაში. უეჭველია, რომ მარქსიზმში ბევრი რამ უტოპიური და მიუღწეველია, მაგრამ არის მასში წარუვალი მნიშვნელობის მქონე დებულებები და დასკვნებიც, რომელთა მოსპობა შეუძლებელია, სანამ ადამიანი და სამყარო არსებობს.

დღეს ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფოსა და სამართლის შესწავლის მეთოდების, ხერხების, მიდგომების არჩევის თავისუფლება, მოძღვრებათა და შეხედულებათა მრავალფეროვნებაა. სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის მეთოდები, როგორც უკვე ითქვა, მჭიდროდ არის დაკავშირებული მის პრობლემებთან. ეს უკანასკნელი პასუხობს კითხვას, რას ასწავლის თეორია. მეთოდები კი გვიჩვენებს, როგორი ხერხებით აკეთებს იგი ამას. მეთოდებს საფუძვლად უდევს თეორიის საგანი, რადგან თეორიის გარეშე მეთოდი უსაგნო, მეცნიერება კი უშინაარსო ხდება. თავის მხრივ, მხოლოდ ადეკვატური მეთოდებით შეიარაღებულ თეორიის პრობლემებს შეუძლია გადაწყვიტოს მის წინაშე მდგარი ამოცანები და შეასრულოს ფუნქციები.

§2. ზოგადეკონომიკური კვლევის მეთოდები

სახელმწიფოსა და სამართლის თეორია აყალიბებს სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მოვლენების კვლევის საკუთარ მეთოდებს, ამავე დროს აქტიურად იყენებს საზოგადოებრივ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიერ შემუშავებულ საერთო მეთოდებსაც.

ხანგრძლივი დროის მანძილზე მეცნიერებაში ერთმანეთს უპირის-პირდება შემეცნების ზოგადფილოსოფიური, მეტაფიზიკური და დიალექტიკური მეთოდები. მეცნიერებას მემკვიდრეობით ერგო ორიენტაცია მატერიალისტური მიდგომისაკენ, რომლის თანახმად სახელმწიფოსა და სამართლის არსებითი მხარეები საბოლოოდ ეკონომიკით, საკუთრების ფორმებით განისაზღვრებოდა.

სახელმწიფოსა და სამართლის თეორია იყენებს დიალექტიკურ მეთოდს, მისთვის მნიშვნელობა აქვს სამყაროს შემეცნებისა და პროცესების ურთიერთკავშირის, საყოველთაო ცვალებადობის აღმავალი განვითარების, წინააღმდეგობებისა და ერთიანობის და სხვა ზოგად მსოფლმხედველობრივ პრინციპებს, რომლებსაც ემყარება იგი საკვლევო ობიექტის შეცნობის პროცესში.

ისეთი ფილოსოფიური კატეგორიები, როგორცაა „შინაარსი და ფორმა“, „შესაძლებლობა და სინამდვილე“, „შემთხვევითობა და აუცილებლობა“, „არსება და მოვლენა“, „მიზეზი და შედეგი“, „ისტორიული და ლოგიკური“, „ზოგადი და ცალკეული“, „თავისუფლება და პასუხისმგებლობა“ და ა. შ., საშუალებას გვაძლევს თავიდან ავიცილოთ სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მოვლენების ცალმხრივი განმარტებები.

ჩვენი მეცნიერება ემყარება, აგრეთვე, აბსტრაქტულიდან კონკრეტულამდე და კონკრეტულიდან აბსტრაქტულამდე აღმასვლის ფილოსოფიურ მეთოდს. ამდენად, სახელმწიფოს ფორმის შემეცნების პროცესი შეიძლება მოძრაობდეს აბსტრაქციიდან—„სახელმწიფოს ფორმა“ მისი სახეობების—მმართველობის ფორმისა და სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმისა და შემდეგ კი ამ ფორმების ნაირსახეობებისაკენ. ამგვარი მიდგომისას სახელმწიფოს ფორმის შემეცნება უფრო ღრმა და კონკრეტული ხდება, თვით ცნება „სახელმწიფოს ფორმა“ კი მდიდრდება კონკრეტული ნიშნებითა და თავისებურებებით. აზრის კონკრეტულიდან ზოგადისაკენ, აბსტრაქტულისაკენ მოძრაობისას მკვლევარს შეუძლია შეისწავლოს სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული, სამოქალაქო-სამართლებრივი და დისციპლინური სამართალდარღვევები, მათი თავისებურებანი და თვისებები, შემდეგ კი ჩამოაყალიბოს სამართალდარღვევის ზოგადი (აბსტრაქტული) ცნება.

ჩვენი მეცნიერება არ იკვლევს სახელმწიფოსა და სამართალს სტატისკაში, არ განიხილავს მათ, როგორც რაღაც ერთხელ და სამუდამოდ მოცემულს, უცვლელს. პირიქით, იგი ხელმძღვანელობს იმით, რომ გასაანალიზებელი დინამიური ისტორიული მოვლენები, რომლებიც საზოგადოებასთან ერთად იცვლებიან, იყენებენ ცივილიზაციის, მსოფლიო პოლიტიკური და სამართლებრივი კულტურის მიღწევებს.

საზოგადოების სოციალური პროგრესის გზით განვითარების შემთხვევაში სახელმწიფოსა და სამართლის შინაარსი ჰუმანიზმითა და დემოკრატიზმით, ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებით მდიდრდება, ხდება უფრო მეტად სოციალურად ორიენტირებული. ამას გარდა, მეცნიერება ვალდებულია გაითვალისწინოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიული ტრადიციები, სოციალურ-კულტურული ფესვები, რაც განაპირობებს შემეცნების დროს სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ მოვლენათა მიმართ ისტორიული მეთოდის გამოყენებას.

აქამდე სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის შესწავლისას მეტაფიზიკურ მეთოდს, როგორც კვლევის მეთოდს, ფაქტიურად არ ვიყენებდით, მას მხოლოდ ვადარებდით დიალექტიკურს, რათა დაგვემტკიცებინა ამ მეთოდის უპირატესობა კვლევის ყველა დანარჩენ მეთოდთან, მათ შორის, მეტაფიზიკურთან შედარებითაც.

სინამდვილეში მეტაფიზიკური მეთოდი არის ზოგადმეცნიერული მეთოდი, რომელსაც ფართოდ იყენებდა დასავლეთის მეცნიერება. მას ისეთივე პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, როგორც დიალექტიკურ მეთოდს. უფრო მეტიც, მეტაფიზიკურმა კვლევის მეთოდმა პროგრესული როლი შეასრულა ცალკეული სამეცნიერო დარგის განვითარებაში, ვინაიდან მისმა განხილვამ დამოუკიდებლად, სხვა მოვლენებთან დაუკავშირებლად, საშუალება მისცა მეცნიერებს უფრო ღრმად ჩასწვდომოდნენ თითოეულ მათგანს, მათ შორის, სახელმწიფოსა და სამართლის კონკრეტულ მხარეებს, დეტალებს, სპეციფიკურ თავისებურებებს.¹

სახელმწიფოსა და სამართლის თეორიას არსენალში აქვს შემეცნების სისტემური მეთოდიც. ნებისმიერი სისტემა წარმოადგენს ელემენტების მთლიან, მოწესრიგებულ სიმრავლეს, რომელთა ურთიერთმოქმედება წარმოშობს ახალ, მათთვის არადადამახასიათებელ თვისებას. სახელმწიფო და სამართალი, თავისი არსითა და სტრუქტურით, რთული, სისტემური მოვლენებია. სახელმწიფოს ძირითადი ელემენტებია სახელმწიფო ორგანოები, სამართლის ნორმები, მთლიანობაში კი სახელ-

¹ გ. ინჟირველი, სახელმწიფოს და სამართლის თეორია თბ., 1998 გვ. 8.

მწიფო, როგორც უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ინსტიტუტი, სხვა ინსტიტუტებთან ერთად შედის პოლიტიკურ სისტემაში, სამართალი კი საზოგადოების ნორმატიულ სისტემაში.

სისტემურ მიდგომას შეუძლია გახსნას სახელმწიფოსა და სამართლის სისტემის სტრუქტურული ელემენტები, შიდა და გარე სამყაროზე სახელმწიფოსა. და სამართლის პირდაპირი და უკუზემოქმედების შესწავლის, სამართლებრივ და სახელმწიფო სისტემებში წინააღმდეგობებისა და ექსცესების თავიდან აცილების დიდი შესაძლებლობები.

§3. კერძო მეცნიერული და სპეციალური

კვლევითი მეთოდები

ზოგადსამეცნიერო მეთოდების ცოდნა და მოხერხებული გამოყენება კი არ გამორიცხავს, პირიქით, ითვალისწინებს სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მოვლენების შემეცნების სპეციალური და კერძო სამეცნიერო მეთოდების გამოყენებას.

იურიდიული მეცნიერებისათვის ტრადიციულია ფორმალურ-იურიდიული მეთოდი. სამართლებრივი ნორმებისა და მთლიანად სამართლის შიდა აგებულების გამოკვლევა, სამართლის წყაროების (სამართლის ფორმების) ფორმალური განსაზღვრულობის, როგორც მისი უმნიშვნელოვანესი თვისების, ანალიზი, ნორმატიული მასალის სისტემატიზაცია ღირსება-ნაკლოვანებები, ქვეყნების იურიდიული ტექნიკის წესების გათვალისწინება და ა.შ. არის ფორმალური იურიდიული მეთოდის კონკრეტული გამოვლინება და იგი გამოიყენება სახელმწიფოს ფორმების ანალიზის დროსაც, სახელმწიფო ორგანოების კომპეტენციის განსაზღვრისას და იურიდიული გაფორმების შემთხვევაშიც. ერთი სიტყვით, ფორმალურ-იურიდიული მეთოდი გამომდინარეობს თვით სახელმწიფოსა და სამართლის ბუნებიდან, გამოიყენება სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ფენომენების აღწერისას, კლასიფიცირებისა და სისტემატიზაციის, მათი გარე და შიდა ფორმების კვლევის დროს.

თანამედროვე პირობებში, როცა ინტეგრაციული პროცესები კანონზომიერად ვითარდება, იზრდება შედარებითი სახელმწიფომცოდნეობისა და სამართალმცოდნეობის მეთოდის როლი. მეცნიერული კვლევის შედარებითი მეთოდი სამართლებრივ მეცნიერებაში შემოიტანა შვეიცარიელმა მოაზროვნემ ბახოფენმა (1815-1881). რომელსაც კვლევის ობიექ-

ტად სხვადასხვა ქვეყნების ანალოგიური სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ინსტიტუტები ჰქონდა მხედველობაში. ლოგიკური თვალსაზრისით, ეს მეთოდი ეფუძნება დიდი რაოდენობის მსგავსი ობიექტების თანამიმდევრულ შესწავლასა და შედარებას. მაგალითად, შედარების გარეშე დაადგინო ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი ინსტიტუტების ღირსება-ნაკლოვანებები, ძნელი იქნება. ამ მეთოდის მნიშვნელობა იზრდება, როცა ჩნდება პოლიტიკური და სამართლებრივი რეფორმების აუცილებლობა. სახელმწიფომცოდნეობასა და სამართალმცოდნეობას არაფერი აქვს საერთო უცხო გამოცდილების უაზრო გადმოღებასთან, ჩვენს სპეციფიკურ ისტორიულ, ეროვნულ და სოციალურ-კულტურულ პირობებში მის მექანიკურ გადმოტანასთან.

სახელმწიფოსა და სამართლის მოდელირების მეთოდიც სპეციალურს განეკუთვნება. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ სხვადასხვა სახელმწიფოებრივ და სამართლებრივ მოვლენებს შორის არსებობს გარკვეული მსგავსება, ამიტომაც, როდესაც ცნობილია ერთ-ერთის (მოდელის) თვისებები და ნიშნები, შეიძლება საკმარისი სიზუსტით ვიმსჯელოთ სხვებზეც.

მოდელირება გამოიყენება სახელმწიფო აპარატის ორგანიზაციის საუკეთესო სქემების, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის უფრო რაციონალური სტრუქტურის ძიების, კანონმდებლობის სისტემის ჩამოყალიბების და სხვა პროცესებში.

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი პრობლემების კვლევის კონკრეტულ-სოციოლოგიური მეთოდები. მათი მეშვეობით შეიძლება დავადგინოთ სახელმწიფო ხელისუფლების სამართლებრივი რეგულირების ყველა შტოს ფუნქციონირების ეფექტურობის ხარისხი, ქვეყანაში კანონიერებისა და მართლწესრიგის მდგომარეობა. კონკრეტული სოციოლოგიური გამოკვლევების საფუძველზე მუშავდება სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის საკვანძო საკითხები, რომელთა შესასწავლად გამოიყენება სოციოლოგიური კვლევის შედეგად მოპოვებული ახალი სასიცოცხლო ინფორმაციები, სტატისტიკური და სხვა მონაცემები.

კონკრეტული სოციოლოგიური მეთოდების ჩარჩოებში გამოიყენება ისეთი ზერხები, როგორცაა დაკვირვება, ანკეტირება, ინტერვიუება, დოკუმენტების ანალიზი და სხვა.

სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის პრობლემები
კვლევის მეთოდები

ზოგადმეცნიერული,
დიალექტიკური მეთოდი

ზოგადმეცნიერული კვლევის
მეტაფიზიკური მეთოდი

ზოგადმეცნიერული
შემეცნების სისტემური
მეთოდი

კერძომეცნიერული
ფორმალურ-იურიდიული
მეთოდი

კერძომეცნიერული
შედარებითი მეთოდი

მოდელირების სპეციალური
მეთოდი

კვლევის სპეციალური
მეთოდი
(ანკეტა, ინტერვიუ,
ექსპერიმენტი)

§4. სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის ფუნქციები

იურიდიულ ლიტერატურაში ფუნქციის კვლევის ძირითადად ამოსავალ მეთოდოლოგიურ პრინციპად მიჩნეულია დებულება, რომლის მიხედვითაც ზოგადად „სამართლის ფუნქციის“ ცნება, უწინარეს ყოვლისა, ასახავს სამართლის მოქმედებას და განხორციელებას. სამართლის მოქმედება-განხორციელება, როგორც ცნობილია, მდგომარეობს საზოგადოებრივ ურთიერთობებზე მის ზემოქმედებაში. ზოგადად სამართლის ფუნქციის ცნება ჩამოყალიბდა, „როგორც სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე მდგარი ამოცანების გადასაწყვეტად საზოგადოებრივ ურთიერთობებზე სამართლის ზემოქმედების ძირითადი მიმართულებები, რომლებიც სამართლის შინაგანი სპეციფიური სიღრმითაა განსაზღვრული.“¹ აქედან გამომდინარე, სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის პრობლემები, როგორც სასწავლო დისციპლინა, მნიშვნელოვან ფუნქციებს ასრულებს. მათ შორის უმთავრესი ონტოლოგიური ფუნქციაა.

ონტოლოგია არის ყოფიერების შესახებ მოძღვრება, რომელშიც განიხილება ყოფიერების საფუძვლები, პრინციპები, მისი სტრუქტურა და თავისებურებანი. ონტოლოგიური ფუნქციის განხორციელებისას სახელმწიფოსა და სამართლის თეორია პასუხობს პრობლემურ კითხვებს: რა არის სახელმწიფო და სამართალი, როგორ და რატომ წარმოიშვნენ ისინი, რას წარმოადგენენ აწმყოში, როგორია მათი ბედი მომავალში.

გნოსეოლოგიური ფუნქცია. გნოსეოლოგია, ანუ შემეცნების თეორია, მიზნად ისახავს სამართლებრივი შემეცნების განვითარებას თეორიული კონსტრუქციებითა და ხერხებით, რომელიც ადამიანს საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა შესახებ ცოდნას აძლევს.

ეკრისტიკული ფუნქცია. ეკრისტიკა ჭეშმარიტების მიკვლევის, ახალი აღმოჩენების ხელოვნებაა. სახელმწიფოსა და სამართლის თეორია არ იფარგლება სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მოვლენების შემეცნებითა და განმარტებით, იგი ჩვენს დროში, კერძოდ, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ხსნის მათი განვითარების ახალ კანონზომიერებებსა და პრობლემებს.

მეთოდოლოგიური ფუნქცია. სახელმწიფოსა და სამართლის თეორია ასრულებს მეთოდოლოგიურ ფუნქციას ფუნდამენტურ და დარგობრივ იურიდიულ მეცნიერებათა მიმართ, თეორიულ და ლოგიკურ მთლიანობას ანიჭებს სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის პრობლემებს,

¹ დაწვრ. იხ. ჯ. ხეცურიანი, სამოქალაქო სამართლის ფუნქციები, თბ, 1995 წ.

განაზოგადებს სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ პრაქტიკას, აყალიბებს იდეებსა და დასკვნებს, რომლებსაც პრინციპული მნიშვნელობა აქვთ მთელი იურისპრუდენციისათვის.

პოლიტიკურ-მმართველობითი ფუნქცია. სახელმწიფო და სამართალი ყოველთვის იყო და იქნება პოლიტიკური ბრძოლის, მწვავე პოლიტიკური დისკუსიების ფოკუსი. ტერმინი „პოლიტიკა“ ბერძნულად სახელმწიფოს მართვის ხელოვნებას ნიშნავს, პოლიტიკის დამაგვირგვინებელი სახელმწიფო ხელისუფლებაა. ამიტომაც იბრძვიან პარტიები და პოლიტიკური მოძრაობები ასე აქტიურად პოლიტიკური ძალაუფლებებისათვის. პოლიტიკურ-მმართველობითი ფუნქციის რეალიზაცია ხდება სახელმწიფო-მმართველობის მეშვეობით.

იდეოლოგიური ფუნქცია. იდეოლოგია არის ფუძემდებლური (საბაზო) იდეების, მეცნიერებისა და შეხედულებების სისტემა, რომლის შესაბამისად ყალიბდება პიროვნების, სოციალური ჯგუფების, მთლიანად საზოგადოების მსოფლმხედველობა და ცხოვრებისეული პოზიცია.

პიროვნების, სახელმწიფოსა და საზოგადოების არსებობა შეუძლებელია საბაზო ინტეგრაციული იდეოლოგიური მითითებებისა და მოტივების გარეშე. შემთხვევითი არ არის, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში კრიზისულ პერიოდს, ჩვეულებრივ, იდეოლოგიური ორიენტირების ნიველირება, სულიერების დაკარგვა და არეულობა ახლავს, რაც განსაკუთრებით გარდამავალი პერიოდის სახელმწიფოებს ახასიათებთ. სახელმწიფოსა და სამართლის თეორია ახდენს კვლევის საგნის შესახებ იდეების აკუმულაციას და სისტემაში მოყვანას, მეცნიერულ საფუძველს უქმნის საზოგადოებრივი და ინდივიდუალური, პოლიტიკური და სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბებას. ამგვარად, იგი გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ხალხის ქცევაზე არა მარტო სამართლისა და სახელმწიფოს მეშვეობით, არამედ უშუალოდაც, როგორც მნიშვნელოვანი იდეოლოგიური ფაქტორი, რომელიც მოქმედებს სამართლის სუბიექტების, სამართალმცოდნეობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების დარეგულირებაზე.

პრაქტიკულ-გამოყენებითი ფუნქცია. სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის პრობლემები, როგორც სახელმწიფოსა და სამართლის ფუნქციონირების მეცნიერული საფუძველი, შეიმუშავებს სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მშენებლობის მრავალრიცხოვანი პრობლემის გადაწყვეტის რეკომენდაციებს, განსაკუთრებით, თანამედროვე, რთულ, გარდამავალ პერიოდში.

პროგნოზირების ფუნქცია. სახელმწიფოსა და სამართლის განვითა-

რების კანონზომიერებათა აღიარების საფუძველზე, სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის პრობლემა აყალიბებს მათი მომავლის ჰიპოთეზას, რომელთა ჭეშმარიტება შემდგომში პრაქტიკით მოწმდება.

სამეცნიერო პროგნოზირებას დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს სამართლებრივი სფეროს განჭვრეტისათვის, რაც იძლევა სახელმწიფოებრიობის მომავლის ხედვის საშუალებას. მაშინაც კი, როდესაც მეცნიერულად დასაბუთებული პროგნოზები სრულად არ ხორციელდება, პროგნოზირება მაინც აფხიზლებს აზროვნებას და მოქმედებას დამაჯერებლობას ანიჭებს.

ნიკო ნიკოლაძის შეილიშვილის შეილმა ელენე ზურაბიშვილმა—იგივე ელენე კამერ დანკოსმა, რომელიც ახალი არჩეულია საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად, 1978 წელს იწინასწარმეტყველა საბჭოთა კავშირის, როგორც იმპერიის დაშლა. მისი წიგნის სათაური იყო „დამსხვრეული იმპერია“. ასე რომ, ადამიანებს ძალუძთ ისტორიული მომავლის განჭვრეტა, მისი პროგნოზირება.

ყველა ეს ფუნქცია ურთიერთკავშირშია, ავსებენ ერთმანეთს, ისინი მხოლოდ ერთ სისტემაში მოქცეულნი იძლევიან სრულ წარმოდგენას სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის პრობლემების დანიშნულებაზე. საყურადღებოა სახელმწიფომცოდნეობისა და სამართალმცოდნეობის მიღწევები წარსულში, აქტუალურია მათი პრობლემები დღეს, მნიშვნელოვანია შემდგომი განვითარებისა და გადაჭრის პერსპექტივები მომავალში.

თავი მეორე

სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის პრობლემები საზოგადოებრივ მეცნიერებათა სისტემაში

§1. სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის როლი და ადგილი საზოგადოებრივ მეცნიერებათა სისტემაში

მატერიალური და სულიერი სამყაროს ერთიანობა და მთლიანობა ყველა მეცნიერების ერთიანობას განაპირობებს. განსაკუთრებით მჭიდრო კავშირი არსებობს ჰუმანიტარულ (საზოგადოებრივ) მეცნიერებათა შორის. ჰუმანიტარული მეცნიერებანი შეისწავლიან საზოგადოებას, ადამიანს, ადამიანურ ურთიერთობებს, ინსტიტუტებსა და დაწესებულებებს, ინდივიდუალურ, ჯგუფურ და საზოგადოებრივ ცნობიერებას. საზოგადოებრივ მეცნიერებათა ცენტრში ადამიანი, მისი ღირსება და თავისუფლება დგას.

სახელმწიფოსა და სამართლის როლისა და ადგილის განსაზღვრა საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი ძირეული პრობლემაა. ეს საკითხი არ შეიძლება იყოს მეცნიერების რომელიმე კონკრეტული დისციპლინის მონოპოლია. ყველა საზოგადოებრივი მეცნიერება ამა თუ იმ ზომით ეხება მას. აქედან გამომდინარეობს სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის მჭიდრო ურთიერთკავშირი ფილოსოფიასთან, ეკონომიკურ თეორიასთან, სოციოლოგიასთან, პოლიტოლოგიასთან და სხვა.

სახელმწიფოსა და სამართლის თეორია და ფილოსოფია. ფილოსოფია არის მეცნიერება ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების საყოველთაო კანონზომიერებათა შესახებ. ადამიანის ადგილის შესახებ სამყაროში.

ფილოსოფიური ცოდნის მიღწევების შემოქმედებითი გამოყენება ბევრად განაპირობებს სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ მოძღვრების ზოგადსამეცნიერო დონეს. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, აწვდის ფილოსოფიას მდიდარ მასალას, რომლითაც თავისუფლებისა და სოციალური პროგრესის განვითარების საერთო პრინციპები ფორმულირდება.

სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემათა შესწავლისას ფილოსოფიის მოწინავე მიღწევების გამოყენება მკვლევარებს საშუალებას აძლევს თავიდან აიცილონ მსოფლმხედველობრივი შეცდომები, ხელს უწყობს

ახალი მეთოდების შემუშავებას და სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემების უფრო თანადროულ გადაწყვეტას.

სწორედ ამა თუ იმ მოაზროვნის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა შეიძლება იქნეს გამოყენებული პროგრესული ან რეაქციული ზემოქმედებისათვის სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ საზოგადოების შეხედულებათა ფორმირებაზე. ასე მაგალითად, ჰეგელის იდეალისტური ფილოსოფიური სისტემა, პრუსიის მონარქიის პირობებში, ხელს უწყობდა ანტიდემოკრატიულ შეხედულებათა გავრცელებას. ამავე დროს ჰეგელის ფილოსოფია სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ პროგრესული მეცნიერული წარმოდგენების ობიექტურ წყაროდ იქცა. მიუხედავად ამისა, იდეალიზმი ყოველთვის არ არის ფილოსოფიაში სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მოვლენების რეაქციული განმარტების წყარო. ამგვარადვე, დიალექტიკური მეთოდი ავტომატურად არ იწვევს პროგრესულ პოლიტიკურ შეხედულებებს.

ფილოსოფიური მსოფლმხედველობა ხელს უწყობს სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის, როგორც სასწავლო დისციპლინის, უფრო ღრმა ათვისებას.

სახელმწიფოსა და სამართლის თეორია და ეკონომიკური მეცნიერებანი ეკონომიკური მეცნიერებები შეისწავლიან მატერიალური დოვლათის წარმოების ხერხებს, საკუთრების ფორმებს, საზოგადოებაში ადამიანის სამეურნეო საქმიანობას, მასში არსებულ განაწილების მექანიზმებს და ა. შ., ხსნიან სოციალურ და პოლიტიკურ ინსტიტუტებზე ეკონომიკური ბაზის ზემოქმედებას.

მეცნიერება სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ გამომდინარეობს შემდეგი თეზისისგან: სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მოვლენების ობიექტური ეკონომიკური განპირობება გამოიხატება, უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ წარმოების ყოველი ხერხი უფრო წარმატებით ფუნქციონირებს მაშინ, როდესაც სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მექანიზმები მას უფრო მეტ სივრცეს აძლევენ. ერთი სიტყვით, განვითარების ნებისმიერი დონის ეკონომიკური ურთიერთობები ითხოვენ თავისთვის ყველაზე უფრო ადეკვატურ სახელმწიფოებრივ და სამართლებრივ ინსტიტუტებს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვილაპარაკოთ სახელმწიფო დაწესებულებათა და სამართლებრივი ნორმების ეკონომიკურ მოცემულობაზე, სადაც უშუალოდ გადაიკეთება ეკონომიკური და სამართლებრივი პრობლემები. სახელმწიფო და სამართალი ეკონომიკური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად გაჩნდნენ და ეფექტური ფუნქციონირებისა და სათანადო საზოგადოებრივი ურთიერ-

თობების ფორმირების უმნიშვნელოვანეს ფაქტორსაც წარმოადგენენ.

სახელმწიფო და სამართალი უფრო უშუალოდ და მჭიდროდ უკავშირდება ეკონომიკურ ურთიერთობებს. სწორედ მათში აისახება კონცენტრირებულად სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნილებები და ინტერესები. ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკისა და სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მართვის (რეგულირების) თანაფარდობის პრობლემებმა ბოლო წლებში განსაკუთრებული სიმწვავე და აქტუალობა შეიძინა. ეკონომიკის ავტომატური (სტიქიური ბაზრის გაჩენის შედეგ) გაჯანსაღების პროცესი გაჭინურდა, რადგან ეკონომიკური პროცესების სტიქიურ განვითარებას მოსდევს მატერიალური წარმოების მთელი სისტემის მოშლა და ნგრევა. მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ პოლიტიკურმა ხელისუფლებამ შეიძლება უდიდესი ზიანი მიაყენოს ეკონომიკურ განვითარებას, ძირი გამოუთხაროს, გაანადგუროს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი. ეკონომიკაზე სახელმწიფო ხელისუფლების ასეთი ზემოქმედების შედეგები დღეს უკვე აშკარაა. პრობლემების გადაწყვეტაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკურ და იურიდიულ მეცნიერებასაც.

სახელმწიფოსა და სამართლის თეორია და სოციოლოგია. სოციოლოგია არის მეცნიერება, რომელიც იკვლევს სოციალური ცხოვრების მართვისა და სოციალური სისტემების ფუნქციონირების უზოგადეს კანონზომიერებებს. სოციოლოგია შეისწავლის, აგრეთვე, ხალხის ქცევის კანონზომიერებებს, მის მოტივაციას. სოციოლოგიურ მიღწევებსა და კონკრეტულ სოციოლოგიურ გამოკვლევებზე დაყრდნობით სახელმწიფოსა და სამართლის მეცნიერებას შეუძლია წარმატებით გადაწყვიტოს სამართლის ნორმების სოციალური ეფექტურობის ამაღლების პრობლემები, სახელმწიფო აპარატის სრულყოფის ხერხები და გარანტიები.

სახელმწიფოსა და სამართლის თეორია და პოლიტოლოგია. პოლიტოლოგიის მთავარი დანიშნულება პოლიტიკის, პოლიტიკური ინსტიტუტების, სისტემებისა და პროცესების ზოგად კანონზომიერებათა შესწავლაა. სახელმწიფო და სამართალი განუყოფელია პოლიტიკისა და საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრებისაგან. ამასთან სახელმწიფო, მისი მოღვაწეობა არ არის პოლიტიკის კერძო შემთხვევა და არც პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთი რიგითი მონაწილე. პოლიტიკური ცხოვრება პირდაპირაა დაკავშირებული სახელმწიფო ხელისუფლებასთან, მის შინაარსსა და ფორმებთან, მოღვაწეობის მეთოდებთან. პოლიტიკა ზომ, როგორც აღვნიშნეთ, ძველი ბერძნების აზრით, სახელმწიფოს მართვის ხელოვნებაა.

სახელმწიფო ხელისუფლება არის პოლიტიკის გვირგვინი, წესრიგის საფუძველი საზოგადოებაში. პოლიტიკურ ძალაუფლებასთან პირდაპირ ან ირიბად არის დაკავშირებული ყველა პოლიტიკური პარტია და სხვა პოლიტიკური ინსტიტუტები, აქედან გამომდინარე, ყველა ისინი აქტიურად თანამშრომლობენ სახელმწიფოსა და სამართალთან.

სახელმწიფოსა და სამართლის თეორია და სოციალური ფსიქოლოგია. სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, რომელიც იკვლევს სპეციფიური ფორმებისა და მეთოდების ზემოქმედებას ხალხის ქცევაზე, არ შეიძლება არ დაინტერესდეს საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებებით. უფრო მეტიც, მართლშეგნების, სამართალ-შემოქმედების ყველა სახეობისა და დონის ჩამოყალიბების, სამართლის შინაარსის, ხალხის ცნობიერებაზე, ნებისყოფასა და ქცევაზე მისი ზემოქმედების ეფექტიანობის შესწავლა სოციალური ფსიქოლოგიის მიღწევების გაუთვალისწინებლად შეუძლებელია.

სოციალური ფსიქოლოგია მოწოდებულია დაეხმაროს მეცნიერებას, დაადგინოს სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი ინსტიტუტების მოღვაწეობის ყველაზე ტიპური შედეგები. ერთი მხრივ, დამნაშავეობის გაზრდის შიში, საზოგადოებრივი აპათია, შოვინისტური ვნებები, საყოველთაო უნდობლობა, ეჭვი, პასიურობა და მეორე მხრივ, საზოგადოებრივი უსაფრთხოება, საქმიანობა, ზეალინდელი დღის რწმენა, ორგანიზებულობა და მაღალი დისციპლინა. საზოგადოებრივი ფსიქოლოგიის ეს ორი პოლუსი, რომლებიც არა მხოლოდ სხვადასხვაგვარად მოქმედებენ სახელმწიფოს ფორმებსა და ფუნქციებზე, სამარლიანობისა და სამართლის რეგულირების განვითარების დონესა და ეფექტურობაზე, არამედ მნიშვნელოვანწილად მათი ფუნქციონირების შედეგსაც წარმოადგენენ.

სახელმწიფოსა და სამართლის თითქმის არც ერთი ძირითადი კატეგორია (ხელისუფლება, ავტორიტეტი, სუბიექტების უფლებები და მოვალეობები, დამორჩილება, დისციპლინა, კანონიერება, ბიუროკრატიზმი, კორუფცია და სხვა) არ შეიძლება ღრმად აიხსნას მათი სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტის გამოვლენის გარეშე.

დღეს ძალზე მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური მეცნიერების მონაცემთა გამოყენება ადამიანის ქცევის ისეთ თავისებურებათა თაობაზე როგორცაა აპერცეფცია (აღქმა), რომელიც გამოხატავს ხალხის ცნობიერებისა და ქცევის დამოკიდებულებას, მათ გამოცდილებას ადრე ათვისებული ცოდნისა და შეხედულებების მიმართ. აპერცეფციის მექანიზმი უზრუნველყოფს მასების ქცევაში როგორც პროგრესული ტრადი-

ციებისა და ჩვევების, ისე კონსერვატიზმის, ჩამორჩენილობის, ინერტულობის გადაცემას. აქედან გამომდინარე, სამართალშემოქმედის ამოცანაა შეიმუშავოს ნორმები, რომლებიც ხელს შეუწყობენ პროგრესულს და შექმნიან ამ კონკრეტული ფსიქოლოგიური მექანიზმის საშუალებით მათი დაძლევის შესაძლებლობებს.

ასევე შეიძლება ითქვას მასიური მიმსგავსების, მიმბაძველობის, განკერძოების, საკუთარი თავის სხვებთან დაპირისპირების ფსიქოლოგიური კანონების შესახებაც. ეს ფსიქოლოგიური პროცესები შეიძლება გაძლიერდნენ ან შესუსტდნენ იმის მიხედვით, თუ რამდენად უწყობს ხელს ან აბრკოლებს მათ სახელმწიფო და სამართალი.

სახელმწიფომცოდნეობისა და სამართალმცოდნეობის გამდიდრება ყველა საზოგადოებრივი მეცნიერების უახლესი მიღწევებით, ხელს შეუწყობს მათ ახსნან თავისი საგანი, მისი ბუნება, არსი და მოძრაობის კანონზომიერებანი, შეარჩიონ სწორი, ჰუმანურად მომართული შემეცნებითი ორიენტირები, დაუახლოონ ისინი პრაქტიკის მოთხოვნილებებს.

§2. სახელმწიფოსა და სამართლის თეორია

იურიდიულ მეცნიერებათა სისტემაში

სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის სირთულე, მრავალწახნაგოვნება, დინამიზმი განაპირობებს მათი ცალკეული მხარეებისა და ასპექტების კვლევას სხვადასხვა იურიდიული მეცნიერების მიერ. ნებისმიერი მეცნიერება კი აუცილებლად შეიცავს ხალხის შემეცნებით მოღვაწეობას და, რაც უფრო პროდუქტიულია კვლევითი მუშაობის შედეგები, მით უფრო მეტ ცოდნას აგროვებს მეცნიერება.

იურიდიული დისციპლინების სისტემა შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად:

ისტრიულ-თეორიული (ზოგად-იურიდიული) დისციპლინები: სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია;

დარგობრივი მეცნიერებები: საკონსტიტუციო სამართალი, სამოქალაქო სამართალი, შრომის სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი, სისხლის სამართალი, ეკოლოგიური სამართალი, სისხლის სამართლის პროცესი, სამოქალაქო სამართლის პროცესი და სხვა;

გამოყენებითი დისციპლინები: კრიმინალისტიკა, სასამართლო სტატისტიკა, სასამართლო მედიცინა და სხვა; განსაკუთრებული ადგილი უკავია საერთაშორისო სამართალს.

ისტორიულ-სამართლებრივი (ზოგადი-ურიდიული) დისციპლინები მჭიდროდ უკავშირდებიან სახელმწიფოსა და სამართლის თეორიას და მის თავისებურ განშტოებას წარმოადგენენ. ისინიც მთლიანობაში შეისწავლიან სახელმწიფოსა და სამართალს, პოლიტიკური და სამართლებრივი აზრის ისტორიულ განვითარებას, მაგრამ უმთავრეს ყურადღებას აქცევენ ფაქტურ მხარეს, კონცეფციებს, დოქტრინებს, სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიულ კონკრეტულობას. ზოგად-ურიდიული დისციპლინებისათვის დამახასიათებელია მხოლოდ ის, რაც წარსულში არსებობდა, ამიტომ სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, როგორც საყრდენ ბაზას, ისე იყენებს ისტორიულ მეცნიერებათა დასკვნებსა და მიღწევებს.

დარგობრივი იურიდიული მეცნიერებები ყველაზე დიდი ჯგუფია, ისინი არსებით ცვლილებებს განიცდიან. ასე, მაგალითად, ჩვენს დროში მნიშვნელოვნად იზრდება სამოქალაქო სამართლისა და, შესაბამისად სამოქალაქო სამართლის მეცნიერების როლი. საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსი აწესრიგებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს. ნებისმიერ მეწარმეს, მოქალაქეს შეუძლია სამოქალაქო კანონმდებლობაში მოიძიოს პასუხები კითხვებზე, რომლებიც მის ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩნდება.

სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის კვლევის საგანი, შინაარსი და ცნებები მჭიდრო კავშირში არიან დარგობრივ მეცნიერებებთან. მათ მიმართ სახელმწიფოსა და სამართლის თეორია გამოდის როგორც შემაჯამებელი, მასინთეზირებელი მეცნიერება. ჯერ ერთი, იგი მთლიანობაში შეისწავლის სახელმწიფოსა და სამართალს, არკვევს მათი წარმოქმნის, განვითარებისა და ფუნქციონირების ზოგად კანონზომიერებებს. ნებისმიერი დარგობრივი მეცნიერების საგანი კი შემოიფარგლება გარკვეული საზოგადოებრივი ურთიერთობების საზღვრებით, სამართლის დარგის შესაბამისი ჩარჩოებით. მეორეც, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია იკვლევს ყველა დარგობრივი მეცნიერებისთვის საერთო საკითხებს (მოძღვრებას სამართალურთიერთობების, სამართალდარღვევების, იურიდიული პასუხისმგებლობის, სამართალგაგების და სხვათა შესახებ). მესამეც, იგი თამაშობს მეთოდოლოგიურ როლს იურისპრუდენციაში. მისი დასკვნების, შესაბამისი კატეგორიების გარეშე შეუძლებელია დარგობრივ მეცნიერებათა განვითარება.

სახელმწიფოსა და სამართლის თეორია გარკვეულწილად დაკავშირებულია გამოყენებით მეცნიერებებთან, რომლებიც შეიცავენ საბუნების-

მეტყველო, ტექნიკურ და სხვა მეცნიერებათა მონაცემებს. მაგალითად, სასამართლო მედიცინა გულისხმობს სასამართლოს მოღვაწეობაში სამედიცინო მეცნიერების გამოყენებას, კრიმინალისტიკა კი ეყრდნობა ტექნიკურ მეცნიერებათა მიღწევებს და ა. შ.

თავი მესამე

საზოგადოება, მისი არსი, სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტები

§1. საზოგადოება, მისი სენაა და სოციალური რეპულირების პრობლემა

სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურაში მოცემულია ადამიანთა საზოგადოების მრავალი განსაზღვრება და დახასიათება, მაგრამ ყველა მათგანის ძირითადი აზრი ერთია: საზოგადოება არის ადამიანთა ურთიერთმოქმედების შედეგი, მათი ცხოვრების გარკვეული ორგანიზაცია, შინაგანად წინააღმდეგობრივი ორგანიზმი, რომლის არსი მდგომარეობს მრავალფეროვან, (ეკონომიკურ, ზნეობრივ, რელიგიურ და სხვა) კავშირებში, ადამიანთა გაერთიანებებსა და ერთობებს შორის ურთიერთობებში. ეს არის კავშირების რთული თვითგანვითარებადი სისტემა, რომელიც ეკონომიკური, ოჯახური, ჯგუფური, ეთნიკური, წოდებრივი, კლასობრივი ურთიერთობებითა და ინტერესებით ერთიანდება. საზოგადოებაში, პირველ რიგში, მოქმედებენ არა ბიოლოგიური, არამედ სოციალური კანონები.

ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში არისტოტელე (384-322 წ.წ. ძვ. წ. აღ-ით.) ამბობდა, რომ ადამიანი არის მოაზროვნე საზოგადოებრივი არსება. ამიტომ საზოგადოების მთავარი თვისება მდგომარეობს იმაში, რომ იგი გონიერ არსებათა ურთიერთკავშირების სისტემას წარმოადგენს. საზოგადოებასთან ურთიერთობისას ადამიანი ვითარდება თვითონ და ავითარებს თავის სოციალურ, არსებით თვისებებს და ძალებს. ამით იგი ხდება პიროვნება და ახდენს საზოგადოებრივი პროგრესის სტიმულირებას.

საზოგადოება ისტორიული განვითარების სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა ფორმებს იღებდა, იცვლებოდა მისი სიმწიფის ხარისხი, შინაგანი აგებულება, ე. ი. ეკონომიკური, სოციალურ-კლასობრივი, პოლიტიკური სტრუქტურა. პირველყოფილი საზოგადოება დიდი ხნის მანძილზე მეტ-ნაკლებად ერთგვაროვან-კოლექტიური იყო, არ იცოდა სოციალური და სხვა დაყოფა, თანდათანობით რთულდებოდა საზოგადოების სტრუქტურა: ეკონომიკური ურთიერთობების ცვლილებასთან ერთად

გაჩნდა სოციალური ერთობები, ჯგუფები, კლასები და ა. შ., რომლებსაც თავიანთი ინტერესები და თავისებურებები ჰქონდათ.

საზოგადოებაში მკაცრად განაწილებულია უფლება-მოვალეობები; თუ რომელიმე მათგანი თავის უფლებებს გადააჭარბებს, ან დაკისრებულ მოვალეობას არ შეასრულებს, მაშინ მას ამა თუ იმ სახით პასუხს მოსთხოვენ. ამ პროცესის მოწესრიგება ხდება ტრადიციების, რელიგიური და ზნეობრივი, სახელმწიფოს მიერ სანქციონირებული ნორმებით და მიღებული კანონების საფუძველზე.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული საკმარისია იმისათვის, რათა ზოგადად განვმარტოთ საზოგადოების არსი: საზოგადოება არის ადამიანთა თანაცხოვრების და კოლექტიური საქმიანობის აუცილებელი ფორმა, რომელიც ყალიბდება კულტურის ფარგლებში. იგი ცნობიერების საფუძველზე მართვადი სისტემაა, ემყარება შრომის საზოგადოებრივ დანაწილებას და თავისი წევრების უფლება-მოვალეობათა მკაცრ რეგლამენტირებას.

საზოგადოება ადამიანების ერთიანობაა. ცხადია, რომ ინდივიდების ყოველგვარი, შემთხვევითი და დროებითი გაერთიანება საზოგადოებას ვერ შექმნის—ამისათვის აუცილებელია საერთო მიზნებისა და ინტერესების არსებობა. მათ საფუძველზე საზოგადოების ჩამოყალიბება ხდება არა თავისთავად, არამედ გარკვეული ძალისხმევით და იძულებით. ცხოველთა გაერთიანებას არ სჭირდება არაერთი ძალდატანება, მას ბუნება აწესრიგებს შესაბამისი ინტერესების საფუძველზე. ადამიანთა გაერთიანება საზოგადოებად კი ძალის გარეშე შეუძლებელია. ძალა აუცილებელია არა მარტო იმისათვის, რომ ადამიანები გაერთიანდნენ, არამედ იმისათვისაც, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მათი ურთიერთობის შენარჩუნება და დაცვა.¹

საუკუნეების მანძილზე ფიქრობდა ხალხი სიკეთესა და სამართლიანობაზე, ჰარმონიულ და იდეალურ ურთიერთობებზე, მაგრამ საზოგადოება ძალთა კონფლიქტებისა და შეთანხმებების, მეტოქეობისა და თანამშრომლობის მეტნაკლებად მყარი ბაღანსია. მასში მოქმედებს ორი კანონზომიერი, მაგრამ ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენცია—სწრაფვა წესრიგისაკენ და სწრაფვა უწესრიგობისაკენ.

საზოგადოების ნორმალური ცხოვრების აუცილებელი პირობაა წესრიგი. ეს არის საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირება, სტაბილურობა, შეთანხმება, გარკვეული ჰარმონია ხალხის ქცევაში, რაც ასახავს საზოგადოების კულტურული ცხოვრების მიღწეულ დონეს და ვლინ-

¹ იხ. ვ. ერქომაიშვილი, საზოგადოებათმცოდნეობა, თბ., 1998 წ. გვ. 53.

დება ისეთ თვისობრივ მაჩვენებლებში, როგორცაა გეგმაზომიერება, რითმულობა, სხვადასხვა მოვლენებისა და პროცესების მართვა მატერიალური წარმოების სფეროში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ყოფაში და ა. შ.

გარდა ამისა, საზოგადოებრივი წესრიგის დონეზე დამოკიდებულია ადამიანთა პირადი სიმშვიდის, უსაფრთხოების მდგომარეობაც, საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი ინტერესებისა თუ მოთხოვნილებათა რეალიზაციისათვის აუცილებელია წესრიგი—ეს უდიდესი სიკეთე საზოგადოებისა და პიროვნებისათვის. სამართლის სოლიდარიზმის თეორიის შემქმნელებს (ო. კონტი, ლ. დიუგი) მიაჩნიათ, რომ ხალხს ცხოვრებაში ყოველთვის გააჩნდა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო განწყობა—სოლიდარობა და აგრესიულობა. სოლიდარობა, როგორც სიკეთე, გამოძღინარეობს ადამიანის ბუნებიდან და ხალხთა შორის ჰარმონიით ხასიათდება, რაც ერთმანეთს შორის შეთანხმებული ინტერესებით მყარ საზოგადოებრივ წესრიგში ვლინდება. აგრესიულობა ზიანს აყენებს ხალხს, იწვევს უწესრიგობას. საზოგადოებრივი წესრიგი თავისით არ ჩნდება, იგი სოციალური ურთიერთობების მოწესრიგების შედეგია. რეგულირება (სოციალურ ცხოვრებაში) ნიშნავს ხალხისა და მათი სოციალური ერთობების ქცევის მართვას, გარკვეულ ჩარჩოებში მათი მოქცევის, მოწესრიგების მიზნით ორგანოებისა და ორგანიზაციების მოღვაწეობას. სოციალური რეგულირების არსებობა და განვითარება, მისი ადგილი და მნიშვნელობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში გარკვეული კანონზომიერებებით ხასიათდება.

ჯერ ერთი; ყოველი ისტორიულად კონკრეტული საზოგადოება ობიექტურად ითხოვს სოციალური მოწესრიგების ზომას. თუ რეგულირების მოცულობა და ინტენსიურობა ნაკლებია საჭირო ზომაზე, გარდაუვალია სტიქიურობა და არაორგანიზებულობა, რაც ძირს უთხრის საზოგადოებრივ წესრიგს. პირიქით, ზედმეტ, ანუ ზომაზე მეტ რეგულირებას გადაჭარბებულ ორგანიზებულობამდე, ინიციატივისა და თვითრეგულირების შეზღუდვამდე მივყავართ. ეს ზომა დამოკიდებულია საზოგადოების სიმწიფის დონეზე, მასში წინააღმდეგობის არსებობასა და სიმწვავეზე, საზოგადოებრივი ცნობიერების განვითარების დონეზე, ჩამოყალიბებული ტრადიციების კულტურასა და სიმტკიცეზე და სხვა.

მეორე, საზოგადოების განვითარებისას ურთიერთობათა რეგულირებაში იცვლება ადამიანის ქცევის სოციალური ფაქტორის როლი. ნათქვამია, რომ ადამიანი არ იბადება კეთილი ან ბოროტი, არც ბოროტ-მოქმედი ან კეთილისმსახური—ასეთს მას სხვა ფაქტორებთან ერთად

სოციალური გარემოც ხდის.¹ გარდა ამისა, სოციალური თავისუფლების განვითარება ადამიანს საშუალებას აძლევს ნებისმიერ დროს მოიშოროს დამნაშავეობრივი ბიოგრაფია.

მესამე, სოციალური ცხოვრების გართულებით რიცხოვრივად და თვისობრივად იცვლება მისი მექანიზმები, ჩნდება მომწესრიგებელი ნორმების მთელი სისტემა.

სამეცნიერო ლიტერატურაში განასხვავებენ სოციალური მოწესრიგების ორ ძირითად სახეობას—ინდივიდუალურს და ნორმატიულს.² ინდივიდუალური რეგულირება არის ხალხის ქცევის მოწესრიგება ერთჯერადი პერსონალური რეგულირებადი აქტებისა და გადაწყვეტილებების მეშვეობით, რომლებიც ცალკეულ შემთხვევებს და კონკრეტულ პირებს განეკუთვნება. ეს არის სოციალური მოწესრიგების უმარტივესი სახეობა, რომელიც ხორციელდება შრომითი რეგულირების პროცესში. ოპერატიული გადაწყვეტილებების, დავალებების, ბრძანებების შესრულების გზით. ინდივიდუალურ რეგულირებას აქვს უეჭველი ღირსებები, რადგან იძლევა შესაძლებლობას შემსრულებელთა პერსონალური თვისებების გათვალისწინებით გადაიჭრას ესა თუ ის ცხოვრებისეული პრობლემა. მაგრამ აშკარაა მისი არსებითი ნაკლოვანებაც: ხშირ შემთხვევაში პრობლემა ყოველთვის თავიდან გადასაწყვეტი ხდება, რადგანაც არ არსებობს ერთიანი წესრიგი, აგრეთვე, ამ დროს აშკარად იქმნება ფართო შესაძლებლობები პირადი შეხედულებებისა და სუბიექტივიზმისთვის.

ნორმატიული მოწესრიგება არის ზოგადი წესების, ე. ი. ქცევის სტანდარტების, ნიმუშების, ეტალონების, მოდელების მეშვეობით ქცევის, ორგანოების, ორგანიზაციების საქმიანობის რეგულირება, მას უნდა დაექვემდებაროს ყველა, ვინც ამ წესების მოქმედების სფეროში მოექცევა.

ნორმატიული რეგულირება გარდამტეხი ეტაპია სოციალური მოწესრიგებისა, რითაც საზოგადოების ყველა წევრისათვის საერთო ზოგადი წესების შემოღების ერთიანი, უწყვეტად მოქმედი წესრიგი ყალიბდება. ნორმატიული რეგულირებისას მნიშვნელოვნად იკლებს სუბოქტივიზმის, შემთხვევისა და განუკითხაობის გამოვლინების შესაძლებლობები. მასაც, მისი აბსტრაქტული ბუნებიდან გამომდინარე, გააჩნია ნაკლოვანებებიც, ამიტომ ნორმატიული რეგულირება, ჩვეულებრივ, ინდივიდუალურთან შეხამებით ხორციელდება.

¹ ამ მოდგომას მარქსისტულად თვლიან. ჩვენი აზრით, არავის არ შეუძლია სოციალური გარემოს როლის უგულებელყოფა.

² იხ. Теория государства и права под. ред. В Корельский, В Перевалов. С. Алексеева, М. 2000 г. ст. 27-37

სტაბილური საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად, გარდა რეგულაციური მექანიზმების მუდმივი მოქმედებისა, საჭიროა სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტების აქტიური ძალისხმევა.

უწესრიგობა ეწინააღმდეგებოდა საზოგადოებრივ ინტერესებს და სტიქიურობას და არაორგანიზებულობას, ქაოსს ნიშნავს. იგი, საზოგადოების დესტაბილიზაციის მიზნით შეიძლება გამოწვეულ იქნეს განზრახ ქმედებით, შეიძლება სტიქიურადაც გაჩნდეს წესრიგის შესუსტების შედეგად და შეუძლია საზოგადოება დაშლამდე მიიყვანოს. ესე იგი, წესრიგი და უწესრიგობა არის წინააღმდეგობების დიალექტიკური ერთიანობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნებისმიერ საზოგადოებაში, ნებისმიერ შეხამებაში ერთმანეთს უპირისპირდებიან სოციალური (მასტაბილიზებელი) და ანტი-სოციალური (დამანგრეველი) ძალები. მარეგულირებელი მექანიზმები და მათი მოქმედების უზრუნველყოფი ძალოვანი ორგანოები და ინსტიტუტები აკავებენ დამანგრეველ (დამნაშავეობრივ, ექსტრემისტულ, ანარქისტულ და სხვა) ძალებს, რომლებიც მზად არიან, ამისთვის საჭირო პირობების არსებობის შემთხვევაში, საზოგადოებრივი ცხოვრების ავანსცენაზე გამოვიდნენ. ორგანიზებულობის, დისციპლინის, სტაბილური საზოგადოებრივი წესრიგის უდიდესი სიკეთე გაცნობიერებული და აღიერებულია მრავალი ქვეყნის მოსახლეობის მიერ. წესრიგითა და დიდი ორგანიზებულობით გამოირჩევა, მაგალითად, იაპონია, გერმანია. სწორედ ეს არის, უდავოდ, მატერიალური წარმატების, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის, კულტურის სფეროში საზოგადოებრივი წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი.

სამწუხაროდ, პოსტსაბჭოური სივრცის ხალხები ჯერ კიდევ შორს არიან საზოგადოებრივი წესრიგის პატივისცემისგან. კრიზისულ პერიოდებში საზოგადოებაში იქმნება ხელსაყრელი პირობები ანტი-სოციალური ძალების აქტივიზაციისათვის. ამასთან, სწორედ ჩვენს საზოგადოებას, სხვებზე მეტად, ესაჭიროება მემკვიდრეობითობა, სტაბილურობა, ორგანიზებულობა და წესრიგი.

§2. საზოგადოების სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტები

აღამიანთა საზოგადოებასთან ერთად გაჩნდა სოციალური ხელისუფლება, როგორც მისი განუყოფელი და აუცილებელი ნაწილი. იგი ორგანიზებულობისა და წესრიგის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახდა, რითაც ამთლიანებდა და მართავდა ხდიდა საზოგადოებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის იყო აუცილებელი ელემენტი, რომელიც უზრუნველყოფდა საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობას. ხელისუფლების ზე-

გავლენით საზოგადოებრივი ურთიერთობები ხდებოდა მიზანმიმართული, ამ გზით იძენდა მართვადი კავშირების ხასიათს, ხალხის ერთობლივი ცხოვრება კი ორგანიზებულ სახეს ღებულობდა. ამგვარად, სოციალური ხელისუფლება არის ორგანიზებული ძალა, რომელიც უზრუნველყოფს ამა თუ იმ სოციალური ერთობის—გვარის, ჯგუფის, ხალხის უნარი დაუმორჩილოს თავის ნებას. ძალაუფლება ორგვარია—არაპოლიტიკური და პოლიტიკური (სახელმწიფო ხელისუფლება).

სახელმწიფოს წარმოშობამ განაპირობა ადამიანთა პოლიტიკური საქმიანობა. ეს არის სახელმწიფოს ფუნქციონირებასა და მოქმედებასთან დაკავშირებული მოღვაწეობა. შეიქმნა შესაბამისი დაწესებულებანი, ორგანიზაციები, სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტები, რომელთა დანიშნულება სახელმწიფოებრივი საქმიანობის განხორციელება იყო.

საზოგადოებას არ შეუძლია იარსებოს სოციალური, შემდეგ კი პოლიტიკური ინსტიტუტების გარეშე, ე. ი. მდგრადი სოციალური ან პოლიტიკური ორგანიზაციების, დაწესებულებების, გაერთიანებისა და ერთობების გარეშე, რომლებიც საზოგადოებისათვის აუცილებელ სოციალურ ან პოლიტიკურ ფუნქციას ასრულებენ.

როგორც უკვე აღინიშნა, ადამიანი საზოგადოებრივი არსებაა. მას არ შეუძლია იცხოვროს, იშრომოს, თუ არ გაერთიანდება მოთხოვნილებების, ინტერესებისა და მიზნების მიხედვით. ერთი სიტყვით, სოციალური, პოლიტიკური, ბიოლოგიური ინტერესები ჩნდება ობიექტური აუცილებლობის გამო.

ისტორიულად პირველი სოციალური ინსტიტუტი იყო გვარი. იგი წარმოადგენდა ხალხთა ჯგუფს (ერთობას), რომელიც გაერთიანებული იყო სისხლით ან სავარაუდო ნათესაობით, საერთო საკუთრებით, ერთობლივი შრომითა და თანაბარი განაწილებით. ეს ძალზე მყარი და სიცოცხლისუნარიანი სოციალური ინსტიტუტი, უზრუნველყოფდა ადამიანთა გადარჩენას, რომელიც ჯერ კიდევ დამოკიდებული იყო ბუნების ძალებზე და თავის გატანა შეეძლო მხოლოდ კოლექტიური სამეურნეო-სოციალური ერთიანობის ბაზაზე. გვარები არსებობდნენ და ფუნქციონირებდნენ მრავალი საუკუნის განმავლობაში. ისინი ერთიანდებოდნენ უფრო მსხვილ სოციალურ ინსტიტუტებად—ტომებად და ტომთა კავშირებად. მოგვიანებით გაჩნდნენ რელიგიური გაერთიანებები (ორდენები), სავაჭრო გილდიები და სხვა სოციალური ინსტიტუტები. ისტორიულად პირველ, ყველაზე დიდ და მნიშვნელოვან, პოლიტიკურ ინსტიტუტად იქცა სახელმწიფო. საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების შესაბამისად იქმნებოდა ახალი, სოციალურ-საწარმოო

(კოოპერატივი), სოციალურ-საზოგადოებრივი (პროფკავშირი), პოლიტიკური (პოლიტიკური პარტია) და სხვა ინსტიტუტები.

საზოგადოების პოლიტიკური სტრუქტურა სამი ელემენტისაგან შედგება: პოლიტიკური სისტემა, ადამიანთა პოლიტიკური ცხოვრება და საქმიანობა. პოლიტიკური სისტემა არის პოლიტიკური ურთიერთობებისა და მათი მომწესრიგებელი ორგანიზაციების, დაწესებულებების და სოციალური ინსტიტუტების ერთობლიობა. იგი დაკავშირებულია პოლიტიკური თეორიებისა და იდეების ფორმირებასთან, შესაბამისად, ადამიანთა აქტივობასა და საქმიანობასთან.

თავი მეოთხე

სახელმწიფოსა და საპარტოლის წარმოშობა

§1. პირველყოფილი საზოგადოება

ჩვენი სამეცნიერო ლიტერატურა ხანგრძლივი დროის მანძილზე ფ. ენგელსის ნაშრომზე „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“ დაყრდნობით აშუქებდა სახელმწიფომდელ საზოგადოებას. ამ წიგნს საფუძვლად დაედო 1877 წელს გამოცემული ჰენრი ლუის მორგანის ფუნდამენტური გამოკვლევა „ძველი საზოგადოება“, რომელშიც განხილულია ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელი იროკეზების ტომის სენეკას გვარის ცხოვრება. არქეოლოგებისა და ეთნოგრაფების გამოკვლევების შედეგად, XX საუკუნის ბოლოს, მნიშვნელოვნად გაძლიერდა წარმოდგენები პირველყოფილ საზოგადოებაზე, დაძლეულ იქნა ცალმხრივი ევროცენტრისტული შეხედულება უძველეს ისტორიაზე. მეცნიერული გააზრების ორბიტაში შევიდა დედამიწის ყველა რეგიონის ისტორია.

დღეს სახელმწიფომდელი საზოგადოების მეცნიერული პერიოდიზაცია ახლებურადაა დასაბუთებული. სახელმწიფოსა და საპარტოლის თეორიისთვის გარკვეულ მეთოდოლოგიურ ფასეულობას წარმოადგენს პირველყოფილი საზოგადოების განვითარებაში ორი ძირითადი პერიოდის და, აქედან გამომდინარე, მისი არსებობისა და აღწარმოების ორი ხერხის გამოყოფა: ეს არის მიმთვისებული ეკონომიკა (ნადირობა, თევზაობა, შემგროვებლობა) და მწარმოებელი ეკონომიკა (მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, ლითონის დამუშავება, კერამიკული წარმოება). პირველ პერიოდს ძირითადად მდებრობითი გვარი (მატრიარქატი), მეორეს კი პატრიარქალური (მამრობითი) შეესაბამება.

აღამიანთა ნებისმიერი საზოგადოება გარკვეული ნიშნით, ე. ი. ორგანიზაციულად გაფორმებული უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ჯოგად, ბრბოდ გადაიქცევა. სახელმწიფომდელი საზოგადოების ორგანიზაციის პირველი ფორმა იყო გვაროვნული თემი. პირადი ნათესაური კავშირი ამთლიანებდა გვარის ყველა წევრს, ამ ერთიანობას განამტკიცებდა, აგრეთვე, კოლექტიური შრომა, საერთო წარმოება და თანაბარი განაწილება. ფ. ენგელსი გვაროვნულ ორგანიზაციაზე წერდა: „და რა

სასწაულად კარგი ორგანიზაციაა ეს თემური წყობილება, მთელი მისი მიაპიტობითა და სიმარტივით! ჯარისკაცების, ჟანდარმებისა და პოლიციელების, აზნაურების, მეფეების, მეფისნაცვლების, პრეფექტებისა და მოსამართლეების, ციხეების, სასამართლო პროცესების გარეშე—ყველაფერი დადგენილი წესით მიმდინარეობს¹! ასე რომ, გვარი იყო უძველესი სოციალური ინსტიტუტი და სახელმწიფომდელი ორგანიზაციის ყველაზე პირველი ფორმა ერთსა და იმავე დროს.

პირველყოფილ საზოგადოებაში ხელისუფლება ასახიერებდა გვარის ან გვართა კავშირის ძალასა და ნებას: ძალაუფლების წყარო და მატარებელი (ძალის მქონე სუბიექტი) იყო გვარი, ხელისუფლება გვარის საერთო საქმეების სამართავად იყო მიმართული. ყველა ქვეშევრდომი (ძალაუფლების ობიექტი) მისი წევრი იყო. აქ ძალაუფლების სუბიექტი მთლიანად შეესატყვისებოდა ძალაუფლების ობიექტს, ამიტომ იგი თავისი ბუნებით იყო უშუალოდ საზოგადოებრივი, ე. ი. საზოგადოებისგან არ განხლდათ გამოყოფილი და ასევე არც პოლიტიკური იყო. მისი რეალიზაციის ერთადერთ საშუალებად საზოგადოებრივი თვითმმართველობა რჩებოდა. იმ დროს არ არსებობდნენ არც პროფესიული მმართველები, არც იძულების განსაკუთრებული ორგანოები.

გვარში საზოგადოებრივი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო იყო საზოგადოების ყველა მოზრდილი ადამიანის—ქალებისა და კაცების კრება. იგი ისეთივე უძველესი ინსტიტუტია, როგორც თვითონ გვარი. კრება (აგორა) წყვეტდა ცხოვრების ყველა ძირითად საკითხს. აქ ხდებოდა წინამძღოლების (უზუცესების, ბელადების) არჩევა გარკვეული ვადით ან კონკრეტული საქმის შესასრულებლად, დავის გადაჭრა ცალკეულ პირებს შორის და ა. შ.

პირველყოფილი საზოგადოების მეორე საფეხურს შეადგენდა „ფრატრია“ (ძმობა ან თემი), რომელიც ორი ან სამი გვარის კავშირის საფუძველზე ყალიბდებოდა. მას ჰყავდა თავისი მამასახლისი და სარდალი. მკვლელობის შემთხვევაში „ფრატრია“ არიგებდა მოდავე მხარეებს. მესამე საფეხური იყო ტომი, რომელშიც ორი ან სამი თემი შედიოდა. მას საერთო ტერიტორია ჰქონდა და ერთ ენაზე მოლაპარაკე თემებს აერთიანებდა. ტომი ამტკიცებდა გვარის მიერ არჩეულ ზახემს და სარდალს. აგრეთვე შეეძლო მათი თანამდებობიდან გადაყენება. ტომს საერთო საბჭო ჰქონდა, რომლის წევრები გვარის მიერ არჩეული მამასახლისები და სარდლები იყვნენ. საკითხები ყველას თანდასწრებით წყდებოდა, ამიტომ მათ მიერ მოწონებული გადაწყვეტილება იძულებით ხასიათს არ ატარებდა.

¹ იხ. კ. მარქსი, ფ. ენგელსი თხზ. ტ. 21 გვ. 97 (რუს.)

კრების გადაწყვეტილებები, ისევე როგორც ბელადის მითითებები, ყველასათვის აუცილებელი იყო. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივ ხელისუფლებას არ გააჩნდა სპეციალური იძულებითი დაწესებულებები, იგი სავსებით რეალური გახლდათ და შეეძლო ქცევის არსებული წესების დარღვევის აღსაკვეთად ეფექტური იძულება განეხორციელებინა. ჩადენილი დანაშაული იქვე ისჯებოდა და სასჯელი შეიძლება საკმაოდ მკაცრი ყოფილიყო. მაგალითად, სიკვდილი, გვარიდან და ტომიდან განდევნა,—უმეტეს შემთხვევაში კი საკმარისი იყო უბრალო გაკიცხვა, შენიშვნა, დაგმობა. არავის ჰქონდა პრივილეგია და ამიტომ ვერავინ აიცილებდა სასჯელს. სამაგიეროდ, გვარი, როგორც ერთი, დგებოდა მოგვარის დასაცავად და ვერავინ გაექცეოდა შურისძიებას—ვერც შეურაცხყოფელი, ვერც მისი ნათესავი.

პირველყოფილი საზოგადოების მარტივი ურთიერთობები რეგულირდებოდა ჩვეულებებით—ისტორიულად ჩამოყალიბებული ქცევის წესებით, რომლებიც ჩვევად იქცნენ აღზრდის, ერთი და იმავე მოქმედებისა და ქცევის მრავალჯერადი გამეორების შედეგად. საზოგადოების განვითარების ჯერ კიდევ ადრეულ სტადიებზე, ადამიანების მნიშვნელობას იძენენ კოლექტიური შრომითი საქმიანობა, ნადირობა და სხვა ჩვევები. ყველაზე მნიშვნელოვან შემთხვევაში შრომით პროცესს თან ახლდა რიტუალური მოქმედებები. მაგალითად, მონადირეთა ვარჯიში მისტიური შინაარსისა იყო, შეიცავდა იღუმალ წეს-ჩვეულებებს. სახელმწიფომდელი წეს-ჩვეულებები დაუნაწევრებელი „მონონორმების“ ხასიათს ატარებდა. ისინი წარმოადგენენ საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზაციისა და პირველყოფილი მორალის ნორმებს, სარიტუალურ და ჩვეულებათა წესებს. შრომით პროცესში კაცსა და ქალს, მოზრდილსა და ბავშვს შორის ფუნქციათა ბუნებრივი განაწილება ერთსა და იმავე დროს განიხილება როგორც საწარმოო ჩვეულება, მორალის ნორმა და როგორც რელიგიური დოგმა.

თავდაპირველად მიმთვისებელი საზოგადოების მონონორმები ბუნებითი მიმთვისებელი საზოგადოების ადამიანსაც ბუნების ნაწილად აღიქვამდა, რა საფუძვლით? მათში თითქოს ერთიანდებოდა უფლება-მოვალეობები. ამასთან, განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ისეთ საშუალებას, როგორიცაა ტაბუ (აკრძალვა). ადამიანთა საზოგადოების ისტორიის გარიჟრაჟზე წარმოქმნილმა ტაბუმ უდიდესი როლი ითამაშა სქესობრივი ურთიერთობების მოწესრიგებაში, მკაცრად იკრძალებოდა ქორწინება სისხლით ნათესავეებს შორის. (ინცესტი). ტაბუს მეშვეობით პირველყოფილი საზოგადოება იცავდა საჭირო დისციპლინას, რომელიც უზ-

რუნველყოფდა სასიცოცხლო სიკეთის მოპოვებასა და აღწარმოებას. ტაბუ განადგურებისაგან იცავდა ფრინველების ბუდობისა და ცხოველების ბინადრობის ადგილებს, უზრუნველყოფდა ხალხის კოლექტიური თანაარსებობის პირობებს.

საზოგადოებაში წეს-ჩვეულებები, როგორც წესი, დაცული იყო ავტორიტეტის ძალით, მაგრამ როდესაც ჩვეულება ითხოვდა განმტკიცებას პირდაპირი იძულების გზით, საზოგადოება გამოდიოდა იმ ძალის კოლექტიური მატარებლის როლში, რომელიც ავალდებულებდა, აძევებდა და საჭიროების შემთხვევაში სიკვდილისთვის სწირავდა დამნაშავეს.¹

§2. სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის მიზეზები და პირობები

სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის საკითხი მეცნიერებაში ჯერ საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის და, ალბათ, კიდევ დიდხანს იქნება დავის საგანი. ჯერ ერთი, ამ ურთულესი პრობლემის საფუძველში დევს სხვადასხვა იდეური, ფილოსოფიური შეხედულებები და მიმდინარეობები (მაგალითად, არსებობს აზრი, რომლის თანახმად სახელმწიფო და სამართალი მუდმივად არსებობდა.² მისი მომხრეებისათვის საერთოდ არ არსებობს სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის პრობლემა). მეორეც, ისტორიული და ეთნოგრაფიული მეცნიერებები გვაძლევენ ახალ ცოდნას სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ.

თანამედროვე მატერიალისტური მეცნიერება (განსაკუთრებით ევროპულ ქვეყნებში) სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის პროცესს წარმოების განვითარებას, მიმთვისებელი ეკონომიკიდან მწარმოებელ ეკონომიკაზე გადასვლას უკავშირებს.

ევოლუციური განვითარების შედეგად, ადამიანი საკუთარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად თანდათან გადავიდა მზა ცხოველური და მცენარეული მითვისებლური ფორმიდან ჭეშმარიტ შრომით მოღვაწეობაზე, რომელიც ბუნების გარდაქმნის, შრომის, საკვების და სხვა იარაღების წარმოებისაკენ იყო მიმართული. სწორედ მწარმოებელ ეკონომიკაზე გადასვლამ მისცა ბიძგი შრომის საზოგადოებრივ—სამდიდ დანაწილებას—მესაქონლეობის გამოყოფას მიწათმოქმედებისაგან. ხელოსნობის ცალკე ჩამოყალიბებას; გაცვლისა და ვაჭრობის სფეროში დასაქმებული ხალხის ფენის (ვაჭრობის) განკერძოებას.

¹ პირველყოფილი საზოგადოების ისტორია თბ., 1986 წ. გვ. 217-286

² ამ თვალსაზრისს ნაწილობრივ იზიარებდა პროფესორი გ. ელინეკი. იხ. Елинек Г. Общая учение о государстве СПbM. 1908 г.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში ასეთ მნიშვნელოვან მოვლენებს, შესაბამისად, მრავალგვარი შედეგი მოჰყვებოდა. შეცვლილ პირობებში გაიზარდა მამაკაცთა შრომის როლი, რომელიც ქალთა შრომასთან შედარებით პრიორიტეტული გახდა. ამასთან დაკავშირებით მატრიარქალურმა გვარმა ადგილი დაუთმო პატრიარქალურს, სადაც ნათესაობა უკვე მამის და არა დედის ხაზით ითვლებოდა. „დედის უფლების დამხობა მდებდრობითი სქესის მსოფლიო ისტორიული დამარცხება იყო. მამაკაცმა ოჯახშიც ხელთ იგდო გამგებლობის საჭე, დედაკაცმა კი დაკარგა თავისი საპატიო მდგომარეობა, იგი გახდა მსახური, მონა მამაკაცის ჟინისა, შეილოსნობის უბრალო იარაღი“¹ —წერდა ფ. ენგელსი, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი იყო ის, რომ საგვარეულო თემი თანდათანობით იყოფოდა პატრიარქალურ (მიწათმოქმედთა, მესაქონლეთა, ხელოსანთა) ოჯახებად, რომელთა ინტერესები უკვე აღარ ემთხვეოდა გვარის ინტერესებს. ოჯახის წარმოშობასთან ერთად, დაიწყო საგვარეულო თემის დაშლა. ბოლოს, შრომის დაყოფისას გარდაუვალი სპეციალიზაციის, შრომის ნაყოფიერების ამალღების ჯერიც დადგა. ნამეტმა პროდუქტმა, როგორც შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგმა, განაპირობა საქონელბრუნვისა და სხვისი შრომის შედეგების მითვისების, კერძო საკუთრების წარმოშობის, პირველყოფილი საზოგადოების სოციალური დაყოფის, კლასების შექმნის, სახელმწიფოსა და სამართლის აღმოცენების ეკონომიკური შესაძლებლობების გაჩენა.

და მაინც, სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობა არა მარტო მატერიალურმა წარმოებამ, არამედ თვით ადამიანის განვითარებამაც განაპირობა. კერძოდ, ინცესტის (სისხლის აღრევის) აკრძალვამ არა მარტო ხელი შეუწყო ადამიანთა მოდგმის გადარჩენასა და განმტკიცებას, არამედ მრავალმხრივი ზეგავლენა მოახდინა საზოგადოების განვითარებაზე, მისი შიდა და გარე ურთიერთობების სტრუქტურასა და კულტურაზე. გაცნობიერება იმისა, რომ სისხლის აღრევა იწვევს გვარის განადგურებას, საქმის ნახევრის ტოლფასია. უფრო რთული იყო მისი საბოლოო აღმოფხვრა, რისთვისაც საჭირო გახდა აღკვეთის მკაცრი ზომების გამოყენება. ამიტომ არსებობს საფუძველი ვარაუდისა, რომ საგვარეულო ორგანოები, რომლებიც მხარს უჭერდნენ ინცესტის აკრძალვას, მოითხოვდნენ გვარში მის იძულებით აღკვეთას, ქალების ურთიერთგაცვლის მიზნით კი სხვა გვარებთან კავშირების განვითარებას, ყოველივე ეს კი ახლად აღმოცენებული სახელმწიფოებრიობის უძველესი ელემენტები იყო.

¹ ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა. თბ., 1953 წ. გვ. 75.

საზოგადოების გვაროვნული ორგანიზაცია სახელმწიფოდ გარდაიქმნებოდა ევოლუციურად, ამავე დროს გარდამავალი სტადიების გავლენით ინარჩუნებდა ისტორიულ მემკვიდრეობას. ერთ-ერთი ასეთი გარდამავალი, წინასახელმწიფოებრივი ფორმა, ლ. მორგანის აზრით, იყო „სამხედრო დემოკრატია“, სადაც გვაროვნული საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოები ჯერ კიდევ შენარჩუნებული გახლდათ, მაგრამ თანდათანობით ძალას იკრებდნენ ახალი სახელმწიფომდელი სტრუქტურები, სამხედრო სარდლისა და მისი რაზმის სახით. აქ გაჩნდა სამხედრო იძულებისა და ჩახშობის ჩანასახი, რადგან ტრადიციულ საგვარეულო თვითმმართველობის ორგანიზაციას უკვე აღარ შეეძლო გადაეჭრა წარმოქმნილი წინააღმდეგობები, რომლებიც საუკუნოვან წესრიგს ანგრევდნენ.

სახელმწიფოს ჩამოყალიბება არის ხანგრძლივი პროცესი, რომელიც სხვადასხვა ადამიანებში სხვადასხვა გზით მიმდინარეობდა. ამჟამად დომინირებს აზრი, რომ ერთ-ერთი ძირითადია სახელმწიფოს წარმოშობის აღმოსავლური გზა, „წარმოების აზიური წესი“ (ჯერ—უძველესი აღმოსავლეთი, შემდეგ—აფრიკა, ამერიკა და ა.შ.). აქ ძალიან მყარი, ტრადიციული აღმოჩნდა თემური წყობილების სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობები და სტრუქტურები: საადგილმამულო თემი, კოლექტიური საკუთრება. საზოგადოებრივი საკუთრების მართვა ხდება უმნიშვნელოვანესი ფუნქცია გვარისა და ტომის იმ განკერძოებული ოჯახებისა, რომლებიც თანდათანობით პრივილეგირებულ სოციალურ ჯგუფად (წოდებად, კასტად) ჩამოყალიბდა, მათი ინტერესები კი უფრო მეტად ემიჯნებოდა საზოგადოების დანარჩენი წევრების ინტერესებს.

მასასადამე, სახელმწიფოებრიობის წარმოშობის აღმოსავლური (აზიური) ვარიანტი სხვა ვარიანტებისაგან ძირითადად იმით განსხვავდება, რომ აქ ხდებოდა საზოგადოებრივ თანამდებობაზე მყოფი გვარისა და ტომის დიდგვაროვანთა ტრანსფორმაცია სახელმწიფო ორგანოებად. (სახელმწიფო მოხელეთა აპარატი) მიწაზე საზოგადოებრივი (კოლექტიური) საკუთრებაც, აგრეთვე, თანდათანობით სახელმწიფოს ხელში გადადიოდა. კერძო საკუთრებას აქ არ ჰქონდა არსებითი მნიშვნელობა. სახელმწიფოს აღმოცენებაზე, დიდი ზემოქმედება მოახდინა გეოგრაფიულმა პირობებმა, მსხვილმასშტაბიანი საზოგადოებრივი სამუშაოების შესრულების აუცილებლობამ (ირიგაციული სისტემების და სხვა აგება, ექსპლუატაცია და დაცვა), რომლებმაც წინასწარ განსაზღვრეს დამოუკიდებელი და ძლიერი საჯარო ძალაუფლების წარმოშობა.

აღმოსავლური სახელმწიფოები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ

ერთმანეთისგან, თუმცა ბევრი საერთოც ჰქონდათ. ყველა ისინი იყვნენ აბსოლუტური, დესპოტური მონარქიები, ჰქონდათ ძლიერ მოხელეთა აპარატი, მათ ეკონომიკურ საფუძველს შეადგენდა სახელმწიფო საკუთრება. აქ არ აღინიშნებოდა მკაფიოდ გამოხატული კლასობრივი დიფერენციაცია. სახელმწიფო ექსპლუატაციასაც უწევდა სასოფლო თემის წევრებს და, ამასთანავე, მართავდა მათ, ანუ თვით სახელმწიფო გამოდიოდა წარმოების ორგანიზატორად.

სხვა ისტორიული გზით მიმდინარეობდა სახელმწიფოს წარმოშობის პროცესი ევროპის ტერიტორიაზე,¹ სადაც სახელმწიფოს შექმნის მთავარი ფაქტორი იყო საზოგადოების კლასობრივი დაყოფა, რომელიც მიწაზე, საქონელსა და მონებზე კერძო საკუთრების ინტენსიური ფორმირებით იყო განპირობებული. ფ. ენგელსის აზრით, ყველაზე „სუფთა“ სახით ეს პროცესი მიმდინარეობდა ათენში. რომში კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა თემური საზოგადოების ორი დაჯგუფების—პატრიციებისა და პლებეების ხანგრძლივმა ბრძოლამ. ამ უკანასკნელთა გამარჯვების შედეგად, მასში განმტკიცდა დემოკრატიული წესები: ყველა თავისუფალი მოქალაქის თანასწორუფლებიანობა, შესაძლებლობა, ყველა ყოფილიყო მიწათმოქმედიც და მეზრდოელიც, ერთსა და იმავე დროს და სხვა. მაგრამ ჩვ. წელთაღრიცხვამდე მეორე საუკუნის ბოლოს, რომის იმპერიაში გამწვავდა შიდა დაპირისპირებები, რამაც გამოიწვია ძლიერი სახელმწიფო მანქანის შექმნა.

ევროპის დასავლეთსა და აღმოსავლეთ ტერიტორიებზე, სახელმწიფოს აღმოცენების საკითხთან დაკავშირებით, ლიტერატურაში გამოთქმულია ორი მოსაზრება. ერთის მომხრეები ამტკიცებდნენ, რომ ამ რეგიონში პირველყოფილი ურთიერთობების დაშლის შედეგად წარმოიშობოდა ფეოდალური სახელმწიფოები (აღნიშნული, უპირველეს ყოვლისა, ეხება გერმანიასა და რუსეთს.) მეორეს მიმდევრები კი ვარაუდობდნენ, რომ თემური წყობილების დაშლის შემდეგ აქ დგება წინა ფეოდალური ხანგრძლივი პერიოდი, რომლის დროსაც დიდგვაროვნები განსაკუთრებულ ჯგუფად გამოიყოფიან, უზრუნველყოფენ თავის პრივილეგიებს, პირველ რიგში, მიწის ფლობის პრივილეგიას. ამ მხრივ საინტერესოა ილია ჭავჭავაძის მოსაზრება სახელმწიფოს კლასობრივ ხასიათზე. იგი ცნობს კერძო საკუთრების წარმოშობის ორ გზას: ძალმომრეობითი დაპყრობის გზით და პირადი შრომით. კერძო მიწათმფლობელები ხელში იგდებენ დიდი რაოდენობით მიწის ფართობებს, მაგრამ ვერ ამუშავენდნენ. მათ აუცილებლად ესაჭიროებათ მუშახელი,

¹ აღმოსავლურ და დასავლურ სახელმწიფოთა ტიპები შემდგომში განხილულია ცალკე თავებზე.

ამიტომ, იძულებული არიან მოიწვიონ ისინი, უმიწონი, ეკონომიკური მდგომარეობის გამო, თანხმდებიან დაექირავონ მიწის მფლობელთ. ასე ჩაეყარა, ილიას აზრით, საფუძველი ბატონყმობას.

ამას გულისხმობდა ილია ჭავჭავაძე, როდესაც ლაპარაკობდა მიწის-მქონებელთა და უმიწოთა ურთიერთდაკავშირებაზე, მათ მორიგებაზე, რომ იგი ბატონყმობის საფუძველს შეადგენდა, მაგრამ არსად არ მიუთითებდა, რომ ამ გზით ჩამოყალიბდა სახელმწიფო. ისმება კითხვა,—რა გვაძლევს საფუძველს ვამტიკოთ, რომ მიწიანთა და უმიწოთა მორიგებაში ილია სახელმწიფოს წარმოშობას გულისხმობს? ჩვენი აზრით, რადგანაც ილია თითქმის თანმიმდევრულად აგვიწერს სახელმწიფოს წარმოშობის სტადიებს (გვაროვნული წყობილების რღვევა, კერძო საკუთრების და კლასების წარმოშობა, მათ შორის თანამშრომლობის დამყარება), სხვა დასკვნის გაკეთება არ შეიძლება, და, ამდენად, ილიას სწორ წანამძღვრებს ლოგიკურად მიეყვართ იმ დასკვნამდე, რომ ზემოაღნიშნულ მსჯელობაში იგი სახელმწიფოს წარმოშობას გულისხმობს, „რადგანაც „კლასობრივი საზოგადოება,—მიუთითებს ი. სურგულაძე,—სახელმწიფოს გულისხმობს, უკანასკნელის გარეშე პირველი არ წარმოიღვინება. „უსახელმწიფო“ კლასობრივი საზოგადოება ისევე არ არსებობს, როგორც ცოცხალი ორგანიზმი სიცოცხლის გარეშე“. „თუმცა, ვ. მეტრეველის აზრით, ის სიტყვა „სახელმწიფოს“ მაგივრად „ბატონყმობას“ ხმარობს². აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ილია მონათმფლობელობას არსად ახსენებს, მისთვის „ბატონყმობა“, ალბათ, პირველი კლასობრივი საზოგადოების სინონიმია... ზოლო სახელმწიფო კლასობრივი ზავის შედეგია“. მაგრამ გლეხები ინარჩუნებენ როგორც თავისუფლებას, ასევე მიწის საკუთრების უფლებას. ამ პერიოდს პროფეოდალიზმს, სახელმწიფოს კი პროფეოდალურს უწოდებენ.

არ შეიძლება, არ დავეთანხმოთ პროფ. გ. ნადარეიშვილის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ საბჭოთა პერიოდის ლექციებსა და გამოკვლევებში სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის, მათი განვითარების ისტორიის შესახებ, გადაჭარბებულად იყო შეფასებული სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობაში ეკონომიკური ფაქტორის, წარმოებით ურთიერთობათა როლი და თითქმის უყურადღებოდ მიტოვებული, სულიერი კულტურის განპირობებულობა სამართალგანვითარებისა. სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის საკითხის განხილ-

¹ ივ. სურგულაძე, სახელმწიფოს წარმოშობის ზოგიერთი საკითხისათვის, მოამბე თბ. 1981 წ. გვ. 27

² ვ. მეტრეველი, ილია ჭავჭავაძის შეხედულებები სახელმწიფოსა და სამართალზე თბ., 1977 წ. გვ. 90.

ვისას გვერდს ვერ აუუვლით ივ. ჯავახიშვილის მიერ სახელმწიფოს წარმოშობის თაობაზე განვითარებულ აზრს, რომელიც ემთხვევა პროფ. გ. ელინეკის მოსაზრებას. ივ. ჯავახიშვილისა და გ. ელინეკის მიხედვით, პირველყოფილი თემური წყობილების მმართველობის სისტემა შეიცავდა სახელმწიფო ორგანიზაციის ნიშნებს.

აღნიშნული მოსაზრება რეალურ საფუძველს არ უნდა იყოს მოკლებული, რადგანაც მეცნიერებაში დამკვიდრებულია აზრი სახელმწიფოს წარმოშობის სხვა გზის შესახებაც (რასაც თავის დროზე მარქსისტებიც იზიარებდნენ). ერთ-ერთი გზა სახელმწიფოს წარმოშობისა იმაში მდგომარეობს, რომ პირველყოფილი თემურ-გვაროვნული წყობილების ბოლო პერიოდში ხდებოდა საზოგადოებრივ თანამდებობათა მემკვიდრეობით გადაცემა, ჯერ კერძო საკუთრების არარსებობის, ან მისი სუსტად განვითარების პირობებში, რაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში სდევდა თან სახელმწიფოს წარმოშობის პროცესს. ამიტომ იქ, სადაც ამ გზით წარმოიშობა სახელმწიფოებრიობა, იქმნება შთაბეჭდილება, რომ დროის გარკვეულ მონაკვეთზე თემურ-გვაროვნული წყობილება (ცივილიზაციის მეორე და მესამე პერიოდში) და სახელმწიფო თანაარსებობენ.¹

თანამედროვე მკვლევართა აზრით, საქართველოში სახელმწიფო სწორედ ზემოაღნიშნული გზით უნდა იყოს წარმოშობილი. მეცნიერებაში არის „ნახევარსახელმწიფოს“ ცნება, ამიტომ, როგორც ვხედავთ, ამ არგუმენტებს აქვს რეალური საფუძველი, თუმცა ამ მოსაზრებამ ფართო გავრცელება ვერ ჰპოვა.

ამდენად, სახელმწიფოც და სამართალიც თანმხვედრი მოვლენებია, მაგრამ გარკვეულწილად, მეცნიერებაში დღემდე განვითარებული იდეა სახელმწიფოს, როგორც კლასობრივი პოლიტიკური ორგანიზაციის შესახებ, მოძველებულია და არ შეესაბამება მისი წარმოშობის რეალურ სურათს.

მეცნიერთა ნაწილი სამართლიანად ფიქრობს, რომ სახელმწიფოს წარმოშობაში დიდი როლი ითამაშა ექვსმა ფაქტორმა. ამ აზრს იზიარებენ პროფ. გ. მამულია და პროფ. გ. ნადარეიშვილი.

ეს ფაქტორებია:

1. დემოგრაფიული ფაქტორი ანუ ჭარბი მოსახლეობის ფაქტორი. მოსახლეობის რაოდენობის საგრძნობმა ზრდამ დღის წესრიგში დააყენა მათი გამოკვებისათვის ახალი გზებისა და საშუალებების გამოონახვის საკითხი, რამაც ხელი შეუწყო შრომის იარაღების გაუმჯობესებას

¹ ჟურნალ „Народы Азии и Африки“ 1990 г. N2-5. 7.

და მეურნეობის მწარმოებლურობის ზრდას. იზრდებოდა გვარებსა და ტომებში საზოგადოებრივ თანამდებობათა მქონე პირების როლი და მნიშვნელობაც.

2. ომის მუდმივი საშიშროების ფაქტორი იწვევდა გამორჩეული მებრძოლების, ფიზიკურად და გონებრივად ძლიერი ადამიანების—ბელადების როლის ზრდას საზოგადოებაში—გვარებსა და ტომებში. მცირდებოდა საგვარეულო კრებების მნიშვნელობაც.

3. ომის (დაპყრობის) ფაქტორი—როდესაც ერთი ტომი მეორეს იპყრობდა, მყარდებოდა ბატონობა—მორჩილებითი ურთიერთობა. და ამ ურთიერთობის უზრუნველსაყოფად საჭიროა კარგად ორგანიზებული სამხედრო-ადმინისტრაციული პერსონალის ყოლა. რაც იწვევდა ჯერ წინარესახელმწიფოებრივი და შემდეგ სახელმწიფო ორგანოების საჭიროებას.

4. განვითარებული სახელმწიფოებრიობის მქონე საზოგადოებათა ზეგავლენა გვაროვნულ და წინარეკლასობრივ საზოგადოებებზე.

5. ნამეტი პროდუქტების არსებობა, რაც ხელს უმართავდა მონობის წარმოშობას, ამით სახელმწიფო—პოლიტიკური სტრუქტურების თანდათანობით ჩამოყალიბება.

6. დასარულ, როდესაც ყველა ზემოთ ნახსენები ფაქტორი სახეზეა, დიდ როლს თამაშობს იდეოლოგიური (რელიგიურ-იდეოლოგიური) ფაქტორიც. სახელმწიფოს წარმოშობი ზემოხსენებული ფაქტორების მოგუბმათება ხდება რელიგიის მეშვეობით.¹²

ამგვარად, მწარმოებლური ეკონომიკის ეტაპზე შრომის განაწილების, პატრიარქალური ოჯახის გაჩენის, სამხედრო დაპყრობების, ინცესტის აკრძალვის, სულიერი კულტურის ჩამოყალიბების სამართალგანვითარებისა და სხვა ფაქტორების ზემოქმედებით ხდება პირველყოფილი საზოგადოების ფენებად დაშლა, მწვავედება მისი წინააღმდეგობები, რის შედეგადაც ქრება სოციალური ცხოვრების გვაროვნული ორგანიზაცია, მის ნაცვლად კი იმავე გარდუვალობით საზოგადოების ახალი ორგანიზაციული ფორმა—სახელმწიფოებრიობა მოდის.

¹² იხ. გ. ნადარეიშვილი. სამართლის მსოფლიო ისტორია. ქართული სამართლის ისტორია (ლექციების მოკლე კურსი). გამომცემლობა „სამთავისი“, თბილისი, 1994 გვ. 25-26.

გ. მამულია, კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოშობა ძველ ქართულში. გამ. „მეცნიერება“, 1979. გვ. 163-167

§3. პირითაღი თეორიები სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ

სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ თეორიებს დიდი ხნის იტორია გააჩნია და საზოგადოების ეკონომიკური წყობისა და საზოგადოებრივი შეგნების განვითარების ღონეს ასახვენ. შევჩერდეთ ზოგიერთ მათგანზე.

ერთ-ერთი ყველაზე უძველესია თეოლოგიური თეორია. მის შემქმნელებს მიაჩნდათ, რომ სახელმწიფო ღვთის ნებით, მუდმივად არსებობს და ამიტომ ნებისმიერი პიროვნება ვალდებულია თავი დაუხაროს და ყველაფერში დაემორჩილოს ამ ნებას. მეფე ხამურაბის (ძველი ბაბილონი) კანონებში დაპარაკია მეფის ძალაუფლების ღვთაებრივ წარმოშობაზე: „ღმერთებმა დაადგინეს ხამურაბი „შავთავიანების“ მმართველად“; „ადამიანი წარმოადგენს ღმერთის ჩრდილს, მონა წარმოადგენს ადამიანის ჩრდილს, ხოლო მეფე—ღმერთის ტოლია“ (ე. ი. ღმერთის-მაგვარი). ძველ ჩინეთში იმპერატორს ზეცის შვილი ეწოდებოდა. ჩვენთვის უფრო ახლო დროში, ქრისტიანობა აგრძელებდა სახელმწიფოებრივი ძალაუფლების ღმერთის მიერ დაკანონების იდეის განვითარებას: „ყოველნი ხელმწიფებასა მას უმთავრესისასა დაემორჩილნენ, რამეთუ არა არს ხელმწიფება, გარნა ღვთისაგან და რომელნი იგი არიან ხელმწიფებანი, ღმერთისა მიერ განწესებულ არიან“,—წერს პავლე მოციქული (პრომაელთა მიმართ-1 ეპისტოლე, 13.1).¹

თეოლოგიური თეორიის თანახმად, სამყაროში ყოველივე არსებულის შემქმნელი, მათ შორის, სახელმწიფოსიც, ღმერთია. ღვთაებრივი ჩანაფიქრის საიდუმლოებაში შეღწევა, სახელმწიფოს არსობასა და ბუნებაში ჩაწვდომა კი, შეუძლებელია. თუ არ შევეხებით გადმოცემის აგნოსტიციზმზე დაფუძნებულ მეცნიერულ მონაცემებს, აღვნიშნავთ, რომ თეოლოგიურმა თეორიამ არ უარყო მიწიერი სახელმწიფოს წარმოქმნა და ფუნქციონირება, მართებული მართლწესრიგის უზრუნველყოფა. ამ თეორიით სახელმწიფო და სახელმწიფოებრივი ძალაუფლება ღვთიური შარავანდედითაა მოსილი და მისთვის დამახასიათებელ საშუალებათა გამოყენებით მალღდება მისი ავტორიტეტი.

ღღეს უკვე ნათლად იკვეთება, რელიგიას ჩვენს დროშიც აქვს დიდი შესაძლებლობანი ქვეყანაში სასულიერო, ასევე საერო ცხოვრების გასაჯანსაღებლად და ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის განსამტკიცებლად.

¹ ამასვე ამბობს შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის პირველსავე სტროფში: „რომელმან შექმნა სამყარო, ძალითა მით ძლიერთაჲ მისგან არს ყოელი ხელმწიფე, სახითა მის მიერთა“.

ხელშეკრულების თეორია ძველ საბერძნეთში საუკუნეთა სიღრმეში აღმოცენდა. ზოგიერთი სოფისტი თვლიდა, რომ სახელმწიფო წარმოიქმნა ადამიანთა ხელშეკრულებითი (შეთანხმებითი) გაერთიანების შედეგად სამართლიანობის უზრუნველყოფის მიზნით. ეპიკურესთან „პირველად გვხვდება წარმოდგენა იმისა, რომ სახელმწიფო ეფუძნება ხალხის ურთიერთშეთანხმებას...“, ძველი ბერძენი ფილოსოფოსების შეხედულებებში ჩანასახის სახით არსებულმა ამ თეორიამ სრული განვითარება კპოვა XVII-XVIII საუკუნეების ბრწყინვალე მოაზროვნეთა კ. გროციუსის, ბ. სპინოზას (პოლანდია), ა. რადიშჩევის (რუსეთი), თ. ჰობსის, ჯ. ლოკის (ინგლისი), ფ. ფ. რუსოს (საფრანგეთი) და სხვა ნაშრომებში.

სახელმწიფოს ხელშეკრულებითი (შეთანხმებითი) წარმომავლობის თეორიის მომხრეები გამოდიოდნენ იქიდან, რომ სახელმწიფოებრიობას წინ უძღვის ბუნებითი მდგომარეობა, რომელსაც ისინი სხვადასხვაგვარად ახასიათებენ. რუსო, მაგალითად, თვლის, რომ ადამიანები ბუნებრივად ფლობენ თანდაყოლილ უფლებებსა და თავისუფლებებს, ჰობსისთვის ეს ნიშნავს მდგომარეობას „ყველას ომი ყველას წინააღმდეგ“. ამის შემდეგ კეთილდღეობისა და მშვიდობის დაცვის მიზნით ფორმდება ხელშეკრულება საზოგადოების ყველა წევრსა და ჩამოყალიბების პროცესში მყოფ სახელმწიფოს შორის. ამ ხელშეკრულების თანახმად, ადამიანები თავისი უფლებების ნაწილს გადასცემენ სახელმწიფო ხელისუფლებას და კისრულობენ დაემორჩილონ მას. სახელმწიფო კი, თავის მხრივ, ვალდებულია დაიცვას ადამიანის ისეთი ხელშეუხებელი უფლებები, როგორცაა თავისუფლება, საკუთრება, უშიშროება. ადამიანების ეს შეთანხმება, რუსოს აზრით, არის კანონიერი ხელისუფლების საყრდენი, რის შედეგადაც, ამ შეთანხმების ყველა წევრი ემორჩილება საერთო ნებას (სახელმწიფოს) და, ამავე დროს, ამ ნების ერთ-ერთი მონაწილეც ხდება. სუვერენიტეტი ეკუთვნის მთლიანად ხალხს, ხოლო ხელისუფლების მართვას განახორციელებენ ხალხის მიერ უფლებამოსილი პირები, რომლებიც ვალდებული არიან ანგარიში ჩააბარონ ხალხს და მისი ნების მიხედვით იცვლებიან.

სახელმწიფოს წარმოშობის ხელშეკრულების (შეთანხმებითი) თეორია ვერ პასუხობს კითხვებს, თუ სად, როდის და რა პირობებში შედგა საზოგადოებრივი შეთანხმება, ვინ იყვნენ მისი მონაწილეები ან მოწმეები. როგორც ჩანს, არ არსებობს არც ისტორიული მტკიცებანი, რომლებიც ნათელჰყოფს ამ საკითხს. მაგრამ ამ თეორიას აქვს მეცნიერული ღირებულება: მან პირველმა დაამტკიცა, რომ სახელმწიფო ყალიბდება (თუნდაც ობიექტური მიზეზების გამო), როგორც ადამიანთა

შეგნებული და მიზანდასახული მოღვაწეობის შედეგი. ეს არის, ფაქტიურად, ადამიანის მიერ შექმნილი პირველი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინსტიტუტი, რომელიც ახდენდა და ახლაც ახდენს უდიდეს ზემოქმედებას ინდივიდების, ჯგუფების, კლასების, მთელი საზოგადოების ცხოვრებაზე. იგი შეიძლება გეგმაზომიერად გარდაიქმნას, გახდეს სრულყოფილი და მოერგოს ცვალებად პირობებს. თუკი ზემოთ თქმულს დაეუმატებთ, რომ ხელშეკრულების თეორიამ საწყისი დაუღო სახალხო სუვერენიტეტის, ყველა სახელმწიფო-სახელისუფლებო სტრუქტურის ხალხის წინაშე პასუხისმგებლობისა და კონტროლდაქვემდებარების, მათი შეცვლის კანონზომიერების კონცეფციას, ცხადი გახდება, რომ იგი დღესაც აქტუალურია.

სახელმწიფოსა და სამართლის წარმოქმნის შესახებ თავისებური თეორია შექმნა გერმანული კლასიკური ფილოსოფიის უდიდესმა წარმომადგენელმა გ. ჰეგელმა (1770-1831). იგი ამტკიცებდა, რომ ბუნების ყველა მოვლენის და საზოგადოების საფუძველში, შესაბამისად, სახელმწიფოსა და სამართლის საფუძველშიც, დევს აბსოლუტურად სულიერი და გონივრული საწყისი—„აბსოლუტური იდეა“ (მსოფლიო გონება, „მსოფლიო სული“).

თავის ნაწარმოებში „სამართლის ფილოსოფია“ ჰეგელი ობიექტური იდეალიზმის პოზიციიდან აკრიტიკებდა სახელმწიფოს წარმოშობის ხელშეკრულებით (შეთანხმებით) თეორიას. ჰეგელი ცნობს რუსოს აზრს, რომ სახელმწიფოს საწყისია საერთო ნება, მაგრამ მიაჩნია, რომ შეცდომა იყო ცალკეული პიროვნებების ნებიდან საერთო ნების გამოყოფა. ეს მაშინ, როდესაც სახელმწიფო ნება არის რაღაც ობიექტური, თავისთავად გონივრული საწყისი, რომელიც თავისი არსით დამოუკიდებელია ცალკეული პიროვნების ნების აღიარებისაგან.

როგორც ობიექტურ იდეალისტს, ჰეგელს სახელმწიფო და სამართალი აბსოლუტური იდეიდან, გონების მოთხოვნილებიდან გამოჰყავს. მას საეჭვოდ მიაჩნია ხელშეკრულებითი თეორიის მომხრეთა თეზისი, რომ სახელმწიფო შექმნილია პიროვნების თავისუფლებისა და საკუთრების დასაცავად. ჰეგელის აზრით, სახელმწიფო სადაზღვევო დაწესებულება არ არის, არ ემსახურება ცალკეულ პირებს და არ შეიძლება იყოს მათი ქმნილება. სახელმწიფო არის ზნეობის რეალიზაციის უმაღლესი ფორმა. იგი ვინმეს ინტერესებს არ ექვემდებარება და აბსოლუტურ თვითმიზანს წარმოადგენს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სახელმწიფო არავის ემსახურება, იგი არის ბატონობის არა საშუალება, არამედ მიზანი, რომელიც ყველა სხვა მიზანზე მაღლა დგას. სახელმწიფოს

აქვს უმაღლესი უფლებები პიროვნებასთან ურთიერთობაში, ხოლო პიროვნების უმაღლესი ვალდებულებაა იყოს სახელმწიფოს ღირსეული წევრი.

ჰეგელი უარყოფს სახალხო სუვერენიტეტს, როგორც სახელმწიფოს საფუძველს და მისგან გამომდინარე დემოკრატიის იდეას. ჰეგელის აზრით, უმაღლეს ხელისუფლებას არ შეუძლია გამოხატოს ხალხის ინტერესები, რადგანაც ხალხმა არ იცის არა მარტო ის, რაც სურს „გონიერ ნებას“, არამედ ისიც, თუ რა სურს თვითონ.

ამგვარად, ჰეგელის მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ უპირისპირდება სახელმწიფოს ხელშეკრულებითი თეორიის წარმოშობას, ადამიანის ბუნებრივ და განუყოფელ უფლებებს და ბოლოს, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის იდეებსა და მიზნებს. თავისი არსით, ჰეგელის ფორმულა—„ყველაფერი ნამდვილი გონიერულია“, ამართლებს პრუსიის სახელმწიფოს ფეოდალურ-აბსოლუტურ წყობას. იმდენად, რამდენადაც ის იყო „ნამდვილი“ ე. ი. ისტორიულად აუცილებელი, როდესაც ეს არ იქნება ისტორიულად აუცილებელი, არც გონიერული იქნება. თუ კი რევოლუციური ბურჟუაზიის იდეოლოგიები (ლოკი, რუსო და სხვ.) ავითარებდნენ შეხედულებას, რომ სახელმწიფო თავისუფალია რელიგიისაგან, ჰეგელი დახვეწილი, მისტიური ფორმით აღორძინებდა რელიგიურ-თეოლოგიურ მოძღვრებას სახელმწიფოს შესახებ (აქ სახელმწიფო წარმოჩნდება, როგორც უმაღლესი ზნეობრივი ღირებულების განსახიერება), კმნიდა სახელმწიფოს ნამდვილ კულტს, მთლიანად უმორჩილებდა მას ადამიანს.

ძალმომრეობის (დაპყრობის) თეორია წარმოიშვა და გავრცელდა XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში. მისი ფუძემდებლები ლ. გუმპლოვიჩი, კ. კაუცკი, ე. დიურინგი და სხვები ეყრდნობოდნენ ცნობილ ისტორიულ ფაქტებს—გერმანიისა და უნგრეთის სახელმწიფოების წარმოქმნას. სახელმწიფოს მშობელი, ამტკიცებენ ძალადობის თეორიის მომხრეები, არის ომი და დაპყრობა. ძალმომრეობის ერთ-ერთ ღიდ მქადაგებლად ითვლება პოლონელი პროფესორი, იურისტი და სოციოლოგი ლუდვიგ გუმპლოვიჩი,—რომელიც უმთავრესად ავსტრიაში მოღვაწეობდა XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში. იგი ამტკიცებს, რომ ისტორიის მამოძრავებელი ძალაა რასებს შორის ბრძოლა, რომ კაცობრიობა თავიდან დაყოფილი იყო რასებად, ეთნიკურ ჯგუფებად, რომელთა შორის წარმოებდა ბრძოლა. ამ ბრძოლის პროცესში უფრო ძლიერი ეთნიკური ჯგუფები, ტომები იპყრობენ სუსტებს და ამის შედეგად იქმნება სახელმწიფო, როგორც გამარჯვებული

ტომების ძალაუფლების განმხორციელებელი ორგანო დამარცხებულთა მიმართ. იგი წერს: „ისტორია ვერ გაიხსენებს, ვერ გვიჩვენებს ვერც ერთ მაგალითს, რომ სახელმწიფო, ძალადობის გარდა, რაიმე სხვა გზით წარმოქმნილიყო. ამას გარდა, ეს პროცესი ყოველთვის წარმოადგენდა ერთი ტომის ძალადობას მეორეზე და უფრო ძლიერი უცხო ტომის მიერ სუსტი მკვიდრი მოსახლეობის დაპყრობითა და დამონებით გამოიხატებოდა“. გუმპლოვიჩის ცხოველების კანონი ადამიანების საზოგადოებაში გადმოაქვს, რითაც სოციოლოგიური მოვლენების ბიოლოგიზაციას ახდენს. მისი სიტყვებით, ველური ურდოების, საზოგადოებებისა და სახელმწიფოების მოქმედებებზე ბუნების რთული კანონი მეფობს.

ცნობილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე და სამართალმცოდნე არჩილ ჯორჯაძე განიხილავს გუმპლოვიჩის შრომას „სოციალური ნარკვევები“ და არ ეთანხმება ავტორის შეხედულებებს სახელმწიფოს წარმოშობაზე. გუმპლოვიჩის აზრით, თითქოს სოციალური ჯგუფები ერთი მეორისაგან ეთნიკურად განსწავდებოდნენ და ამ ბრძოლას ეთნიკური, რასიული ხასიათი ჰქონდა. ძლევა მოსილი უმცირესობა ყოველთვის უცხოეთიდან მოსული ხალხი იყო. ერთი ეთნიკური ჯგუფი სხვა ეთნიკურ ჯგუფს იმონებდა. გუმპლოვიჩის განმარტებით, სახელმწიფო მარტო სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფთან ბრძოლისაგან არ წარმომდგარა.

არჩილ ჯორჯაძე მიუთითებს, რომ ეთნიკური ელემენტი ყველგან და ყოველთვის არ იყო სახელმწიფოს წარმოშობის შემოქმედი ძალა. სახელმწიფოს ჯორჯაძე აღიქვამს, როგორც კლასთა ბრძოლის შედეგს და ამდენად იზიარებს იმ შეხედულებას, რომ სახელმწიფო უმცირესობის მიერ უმრავლესობაზე ბატონობის ნაყოფია, ხოლო უმცირესობა ყოველთვის არაა ეთნიკურად გამორჩეული უმრავლესობისაგან.

ძალმომრეობა, დაპყრობა, გარეშე ძალა აჩქარებს სახელმწიფოს წარმოშობის პროცესს იმ ქვეყნებში, სადაც მომწიფებელია საამისო წინაპირობები, მაგრამ მარტო ძალმომრეობით სახელმწიფო არსად შექმნილა და ამიტომ, არასწორია გუმპლოვიჩის მოსაზრებანი ამ საკითხზე.

არჩილ ჯორჯაძის სახელმწიფოებრივ კონცეფციას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს თანამედროვეთა ნააზრევში.¹

კ. კაუცკი ავითარებდა ძალადობის თეორიის ძირითად დებულებებს და ამტკიცებდა, რომ კლასები და სახელმწიფო წარმოიქმნება ერთდროულად, როგორც ომებისა და დაპყრობის პროდუქტი. „სახელმწი-

¹ იხ. ლობჯანიძე, ნარკვევები არჩილ ჯორჯაძის მსოფლმხედველობრივ სამართლებრივ ნააზრევიდან ქუთ. 1992 წ. გვ. 199-200

ფო და კლასები,—წერდა ის,—თავის არსებობას ერთდროულად იწყებენ. გამარჯვებული ტომი იმორჩილებს დამარცხებულს, ითვისებს მთელ მის მიწებს და შემდეგ აიძულებს დამარცხებულ ტომს სისტემატურად იმუშაოს გამარჯვებულთა სასარგებლოდ, გადაუხადოს მას ხარკი. პირველი კლასები და სახელმწიფოები წარმოიქმნება იმ ტომებისაგან, რომლებიც ერთმანეთთან დაპყრობითი აქტებით“ არიან დაკავშირებული.

ფ. ენგელსი მკაცრად და სამართლიანად აკრიტიკებდა ამ თეორიას, რომელიც განადიდებდა ძალადობის როლს და გამორიცხავდა სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებს. სახელმწიფოს წარმოსაქმნელად საჭიროა ეკონომიკური განვითარების ისეთი დონის არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო აპარატის შენახვას და შესაბამისი საომარი აღჭურვილობის წარმოებას. თუკი ასეთი ეკონომიკური პირობები არ არსებობს, თავისთავად არავითარ ძალადობას არ შეუძლია წარმოქმნას სახელმწიფო. ამასთანავე, უდავოა ისიც, რომ ძალადობა და დაპყრობა საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა სახელმწიფოს შექმნის პროცესში—იგი არ იყო პირველადი მიზეზი სახელმწიფოს წარმოქმნის, მაგრამ ამ პროცესის მძლავრი კატალიზატორის როლს უეჭველად ასრულებდა.

პატრიარქალური თეორია, ფართოდ იყო გავრცელებული ძველ საბერძნეთსა და მონათმფლობელურ რომში. შემდეგ კვლავ აღორძინდა შუასაუკუნეობრივი აბსოლუტიზმის დროს და მისმა გამოძახილმა ჩვენ დრომდეც მოაღწია. ჯერ კიდევ არისტოტელე წერდა, რომ სახელმწიფო წარმოადგენს ადამიანის ცხოვრების ბუნებრივ ფორმას, რომ სახელმწიფოს გარეშე ადამიანებს შორის ურთიერთობა შეუძლებელია. საზოგადოების ცალკეული წევრები, მიისწრაფვიან გაერთიანებისა და პატრიარქალური ოჯახის შექმნისაკენ, ხოლო ასეთი ოჯახების მომრავლება და მათი გაერთიანება იწვევს სახელმწიფოს წარმოქმნას. არისტოტელე ამტკიცებდა, რომ სახელმწიფოებრივი ხელისუფლება პატრიარქალური ძალაუფლების გაგრძელებას და განვითარებას წარმოადგენს.

შუა საუკუნეებში ინგლისში რ. ფილმერი აბსოლუტიზმის არსებობას ასაბუთებდა, ნაშრომში „პატრიარქია ანუ მეფეთა ბუნებრივი უფლებების დაცვა“ (1642 წ.), პატრიარქალურ თეორიაზე დაყრდნობით, ამტკიცებდა, რომ თავდაპირველად ღმერთმა მეფური ძალაუფლება მიანიჭა ადამს, ამიტომ იგი არა მხოლოდ ადამიანთა მოდგმის მამა, არამედ მისი მბრძანებელიცაა.

პატრიარქალურმა თეორიამ ნაყოფიერი ნიადაგი კპოვა რუსეთშიც. მის აქტიურ პროპაგანდას ეწეოდა სოციოლოგი, პუბლიცისტი, ხალხოსნობის თეორეტიკოსი ნ. მიხაილოვსკი. გამოჩენილი ისტორიკოსი მ. პოკროვსკიც თვლიდა, რომ სახელმწიფოებრივი ძალაუფლების უძველესი ფორმა უშუალოდ მამის ძალაუფლებიდან წარმოიქმნა. როგორც ჩანს, ამ თეორიის საფუძველზე გაიდგა ღრმა ფესვები „ხალხთა მამის“, კარგი მეფის, ბელადის, ზეადამიანის (რომელსაც შეუძლია ყველას მაგივრად ყველა პრობლემის გადაწყვეტა), რწმენის საუკუნეობრივმა ტრადიციებმა. ასეთი ტრადიცია, თავისი არსით, ანტიდემოკრატიულია, ხალხს უბიძგებს პასიურად ელოდოს სხვათა გადაწყვეტილებას, უკარგავს საკუთარი თავის რწმენას, აქვეითებს მათ სოციალურ აქტივობას, პასუხისმგებლობას საკუთარი ქვეყნის ბედ-იღბალზე...

პატერნალიზმის ტრადიციები დღესაც ცოცხლობს. ხშირად სახელმწიფო მოღვაწეს, ნებისთ თუ უნებლიედ, ადარებენ დიდი ოჯახის მამამთავარს, უდიდეს იმედებს ამყარებენ მასზე, სამშობლოს უალტერნატივო მხსნელად თვლიან და მზად არიან უსაზღვრო უფლებამოსილებანი მიანიჭონ.

პატრიმონიული თეორიის მიხედვით სახელმწიფო ჩამოყალიბდა მიწაზე, მამულზე საკუთრების უფლების გამო. ამ თეორიის მიმდევარი და ფუძემდებელი იყო შვეიცარიელი გალერი. მისი მოძღვრების ძირითადი მიზანი იყო პოლიტიკური ხელისუფლების შესახებ პატრიმონიული შეხედულებებით დაეცვა შუასაუკუნეობრივი წესები, რომელთა მიხედვით მემამულე ამავე დროს მეფე იყო თავის კუთვნილ მიწაზე: ამ თეორიის მიმდევრებს სახელმწიფო გამოყვანილი ჰყავთ მონარქის კერძო საკუთრებად. ისინი არ ითვალისწინებენ სახელმწიფოს ნიშნებს, თვისებებს, სპეციფიკას და ა. შ.

ფსიქოლოგიური თეორიის ფუძემდებელი იყო რუსეთში მოღვაწე პოლონური წარმოშობის მოაზროვნე—ლ. პეტრაჟიციკი, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლებისა და სამართლებრივი ნორმების წარმოშობას ხსნიდა ადამიანთა ფსიქიკაში მომზადარი მოვლენებით, განსაკუთრებული განცდებით. ადამიანის ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან მომდინარე ეს თეორია მოკლებული იყო მეცნიერულ დამაჯერებლობას და დიდი გასაქანი ვერ კპოვა, თუმცა მას მიმდევრები მაინც გაუჩნდა.

ორგანული თეორიის მიმდევრები, რომლებიც XIX საუკუნის მეორე ნახევარში გამოჩნდნენ, ამტკიცებდნენ, რომ სახელმწიფო იქმნება ადამიანის გაჩენისთანავე და იარსებებს მანამდე, სანამ იქნება კაცობრიობა,

ხოლო თვით სახელმწიფო, სამართალი და მთელი საზოგადოება ძალიან ემსგავსება ადამიანის ორგანიზმს. ამ თეორიის იდეოლოგიური სულისჩამდგმელი და მიმდევრები იყვნენ შვეიცარიელი იურისტი ბლუნჩლი და ინგლისელი ფილოსოფოსი სპენსერი.¹

სახელმწიფოს წარმოქმნის მარქსისტული თეორია საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ფ. ენგელსის ნაშრომში „ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა“, რომლის თვით სახელწოდებაც მეტყველებს იმ მოვლენათა კავშირზე, რომლებიც განაპირობებენ გასაანალიზებელი ფენომენის წარმოშობას.

მარქსისტული თეორიისათვის დამახასიათებელია თანმიმდევრული მატერიალისტური მიდგომა. იგი სახელმწიფოს წარმოშობას კერძო საკუთრებას, საზოგადოების კლასებად დაყოფასა და კლასობრივ ანტიგონიზმს უკავშირებს. საკითხის არსს მარქსიზმი ასახავს ფორმულით: „სახელმწიფო არის შეურიგებელი კლასობრივი წანააღმდეგობების შედეგი და გამოვლინება“.

არ არსებობს საფუძველი, უარეყოთ სახელმწიფოს წარმოშობაზე კლასების გაელენა, მაგრამ ასევე არ არსებობს საფუძველი, რომ კლასები მისი წარმოქმნის ერთადერთ და პირველად მიზეზად მივიჩნიოთ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელმწიფო, არცთუ იშვიათად, ჩაისახა და ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ კლასების წარმოქმნამდე. ამის გარდა, სახელმწიფოს წარმოშობის პროცესზე გაელენას აზღენდნენ სხვა, უფრო ღრმა და ზოგადი ფაქტორები.

¹ დამატ. იხ. გ. ინწკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, 1999წ. გვ. 20-26
Н. Матузов и А. Малько, Теория государства и права М. 1997г. с. 129-137

ქირითადი თეორიები სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ

თეოლოგიური (თეოკრატიული) თეორია
თომას აქვინელი XIII ს.
მოლვაწე, ჯოზეფ დე მესტრი, ბონალდი, გალერი.

ხელშეკრულების თეორია
ჰუგო გროციუსი, ბენედიქტე სპინოზა, თომას ჰობსი, ჯონ ლოკი, სამუელ ჰეფენდორფი, ქრისტიან ვოლფი, ვოლტერი, მონტესკიე, ჟან-ჟაკ რუსო, რადიშჩევი.

ძალმომრეობის თეორია
ევეგენი დიურინგი, ლუდვიგ გუმპლოვიჩი, კარლ კაუცკი.

პატრიარქალური თეორია
ფილმერი, ბონგაკი, ვოლტმანი

პატრიმონიული თეორია
გალერი

ფსიქოლოგიური თეორია
ლ. პეტრაჟიციკი,
ლ. კნაპი

ორგანული თეორია
ბლუნჩლი, სპენსერი

სახელმწიფოს წარმოშობის მარქსისტული თეორია
კარლ მარქსი, ფრიდრიხ ენგელსი
ვლადიმერ ლენინი.

§4. საზოგადოებისა და სახელმწიფო თანაფარდობის პრობლემა

საზოგადოება და სახელმწიფო, მათი თანაფარდობა არის სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის როგორც მეცნიერების ერთ-ერთი პრობლემა. მიუხედავად მისი უდიდესი მნიშვნელობისა და აქტუალობისა, ნაკლებადაა შესწავლილი. დიდი ხნის მანძილზე მეცნიერული აზროვნება არ ანსხვავებდა საზოგადოებას სახელმწიფოსგან. ისინი მხოლოდ კაპიტალისტური ეპოქის დადგომიდან განაცალკევეს (თუმცა თავიდან მხოლოდ ტერმინოლოგიურად) ამ პრობლემით დაინტერესების შემდეგ დაიწყო მათი თანაფარდობის გარკვეული ასპექტების განხილვა.

საზოგადოება სახელმწიფოზე ბევრად უფრო ადრე წარმოიშვა და დიდხანს არსებობდა მის გარეშე. სახელმწიფოს არსებობის ობიექტური აუცილებლობა საზოგადოების შინაგანი სტრუქტურის გართულებასთან (სოციალურ დაყოფასთან), მასში სოციალური ჯგუფების ინტერესების შეუთავსებლობასთანაა დაკავშირებული. შესაბამისად, სახელმწიფო ჩნდება დრომოკმეული გეაროვნული ორგანიზაციის დაშლის შედეგად, როგორც შეცვლილი და გართულებული საზოგადოების ახალი ფორმა.

მსოფლიო ისტორიის მთელი გამოცდილება ამტკიცებს, რომ რთული სტრუქტურის საზოგადოებისთვის, რომელსაც წინააღმდეგობები ღრღნის, შინაგანად დამახასიათებელია სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში მას აუცილებლად ემუქრება თვითგანადგურება. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო არის სტრუქტურულად რთული საზოგადოების ორგანიზაციული ფორმა, რომელიც გამოდის აქ როგორც სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ფენომენი.

სახელმწიფო მთელი საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური ინსტიტუტია, იგი ასრულებს მრავალ ფუნქციას, რომელიც ამ უკანასკნელის სიცოცხლისუნარიანობას უზრუნველყოფს. მისი უმთავრესი დანიშნულებაა სოციალური სფეროს მართვა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. სახელმწიფო უპირისპირდება დამანგრეველ ძალებს და ამიტომ უნდა წარმოადგენდეს მძლავრ ორგანიზებულ საშუალებას, რომელსაც მართვისა და იძულების შესაბამისი აპარატი (მექანიზმი) აქვს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სახელმწიფო თავისი ღრმა არსით არის საერთო სოციალური და კონსტრუქციული მოვლენა, რაც მის უდიდეს სიცოცხლისუნარიანობას განაპირობებს. პოლიტიკური და კლასობრივი იგი ხდება თანდათანობით,

საზოგადოებაში კლასებისა და ანტაგონისტური ურთიერთობების განვითარებასთან ერთად¹ საზოგადოების კლასებად დაყოფისას წარმოიშობა კლასობრივი ანტაგონიზმი და ეკონომიკურად გაბატონებული კლასი თავის მორჩილების ქვეშ აქცევს სახელმწიფოს, მაგრამ იგი ამ შემთხვევაში ასრულებს გარკვეულ კონსტრუქციულ-სოციალურ ფუნქციებს.

სახელმწიფოს წარმოქმნის მომენტიდან იწყება საზოგადოებასთან მისი ურთიერთობის რთული და წინააღმდეგობრივი ისტორია. როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმა და მმართველი სისტემა, სახელმწიფო ასრულებს გარკვეულ ფუნქციებს მთელი საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, ძლევს მასში წარმოქმნილ წინააღმდეგობებსა და კრიზისულ სიტუაციებს, ამასთანავე შეიძლება დესტრუქციული როლიც ითამაშოს, ამაღლდეს საზოგადოებაზე, გაასახელმწიფოს იგი, ანუ, შეაღწიოს ყველა საზოგადოებრივ სფეროში, შებოჭოს, დაასუსტოს და დაშალოს საზოგადოებრივი ორგანიზმი. მაგრამ საერთოდ, მთლიანობაში სახელმწიფო საზოგადოებასთან ერთად წინ მიილტვის, თანდათანობით უფრო თანამედროვე და ცივილიზებული ხდება, ამასთანავე, ინარჩუნებს გარკვეულ დამოუკიდებლობას საზოგადოებასთან ურთიერთობაში.

სწორედ სახელმწიფოზე საზოგადოების გარკვეული ზემოქმედებისა და ამ უკანასკნელის პირობითი დამოუკიდებლობის დიალექტიკურ ერთიანობაში მდგომარეობს მათი წინააღმდეგობრივი ურთიერთქმედების არსი, რომელსაც პრინციპული მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს. ამასთან სახელმწიფოს ასეთი დამოუკიდებლობის ხარისხი, მრავალ მიზეზთა გამო, შეიძლება მინიმალურად განუსაზღვრელამდე იცვლებოდეს. მისი აუცილებელი და გონივრული ზღვარი, საბოლოოდ, წინასწარ განისაზღვრება ყოველი ისტორიულად კონკრეტული საზოგადოების ობიექტური მოთხოვნილებებით.

სახელმწიფოს და მისი ორგანოების პირობითი დამოუკიდებლობა, ბუნებრივია, აუცილებელი და სოციალურად გამართლებულია. მის გარეშე შეუძლებელია სახელმწიფოსა და მისი აპარატის მიზანდასახული და აქტიური ზემოქმედება მთლიანად საზოგადოებაზე, ან მის ცალკეულ საზოგადოებრივ სფეროებზე. „ცნება „სახელმწიფოს პი-

¹ რამდენადაც არსებობს მოსაზრება „სახელმწიფო იგივე საგვარეულო წყობილებაა... საგვარეულო წყობილებაში უკვე არსებობს სახელმწიფო“ (გ. ელინეკი).

რობითი დამოუკიდებლობა“, მოწოდებულია ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული ფორმებისგან განსხვავებით დაჩრდილოს სახელმწიფოს ფორმების ფუნქციონირებისა და განვითარების თავისებურებები—დასასრულ, ეს ცნება მოწოდებულია ასახოს სახელმწიფოს აქტივობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში“. სახელმწიფოს დამოუკიდებლობა გამოიხატება მისი უნარით შეძლოს თავისუფალი არჩევა მმართველობითი და სხვა აქტების მიღების, საზოგადოების წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრის გზებისა და მეთოდების არჩევის, სახელმწიფოებრივი პოლიტიკის სტრატეგიისა და ტაქტიკის გამომუშავების დროს.

არსებობს კი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის საზღვრები საზოგადოებასთან მიმართებაში? ასეთი საზღვრები არსებობს, მაგრამ ისინი პირობითი, მოძრავი და შეფასებადი. ცნობილია, რომ ნებისმიერ საზოგადოებას გააჩნია მრავალრიცხოვანი ობიექტური მოთხოვნილებანი. თუ სახელმწიფოს პოლიტიკა შეესაბამება მათ, მაშინ მისი შედეგები მოწონებული იქნება საზოგადოების მიერ. პირიქით, სახელმწიფომ, რომელიც ეწინააღმდეგება ამ მოთხოვნებს, შეიძლება ზიანი მიაყენოს საზოგადოებას, გამოიწვიოს კრიზისული სიტუაციები. აქედან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფო გასცდა თავისი დამოუკიდებლობის ფარგლებს, მისი პოლიტიკა ანტისოციალური ხდება. შესაბამისად, სახელმწიფოს დამოუკიდებლობა წონასწორდება, იზღუდება საზოგადოების მიერ მისი მოღვაწეობის კონტროლით, აგრეთვე, ამ მოღვაწეობის შეფასებით.

ზემოთ აღნიშნული, უპირველეს ყოვლისა, ეხება სამოქალაქო საზოგადოებას და სამართლებრივ სახელმწიფოს. სამოქალაქო საზოგადოება, როგორც სისტემა, თვითმმართველობის პრინციპით მოქმედი მოქალაქეთა სოციალური, სოციალურ-ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური გაერთიანებისა (ინსტიტუტები, სტრუქტურები) და სამართლებრივი სახელმწიფო, სადაც სახელმწიფოებრივი ხელისუფლება სამართლებრივ საწყისებზე დაყრდნობით კანონის ფარგლებში ფუნქციონირებს, ლოგიკურად და არსებითად უკავშირდება იან ერთმანეთს. სამართლებრივი სახელმწიფო დამოუკიდებელია იმ შემთხვევაში, როცა იგი ემსახურება სამოქალაქო საზოგადოების ინტერესებს, საზოგადოება კი, სტიმულს აძლევს დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარებას და კონტროლს უწევს მის მოღვაწეობას.

გარკვეული დამოუკიდებლობით ხასითდება სახელმწიფოს ზემოქმედება საზოგადოებაზე და საზოგადოებისა სახელმწიფოზე. ამ ზემოქმედება

დებაში წამყვანი როლი საზოგადოებას ეკუთვნის, ვინაიდან იგი წარმოადგენს სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ საფუძველს, განსაზღვრავს მის სტრუქტურას, სიმძლავრესა და შესაძლებლობებს.

არადემოკრატიულ, განუვითარებელ საზოგადოებას შეესაბამება, აგრეთვე, განუვითარებელი სახელმწიფო, რომლის მთელი ძალა იძულებითაღმასრულებელ და დამსჯელ ორგანოებშია თავმოყრილი. ზშირად, ასეთი სახელმწიფო იძენს შესაძლებლობას, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება საზოგადოების ობიექტურ მოთხოვნას, აღწევს უსაზღვრო დამოუკიდებლობას, პოლიტიკური, ეკონომიკური და სულიერი ცხოვრების ცენტრი ხდება და მალდება საზოგადოებაზე. ყოვლისშემძლე, უკონტროლო ძალაუფლება თავს იყრის დიქტატორისა და მისი გარემოცვის, ან ადამიანთა გარკვეული ჯგუფების ხელში. ასე ყალიბდება ტირანული, დიქტატორული, ხოლო თანამედროვე ეპოქაში—აქტორიტარული და ტოტალიტარული სახელმწიფოები.

სამოქალაქო საზოგადოებას დემოკრატიული (განვითარებული) სახელმწიფო შეესაბამება, რომელიც მატერიალურ და მორალურ სტიმულებზე და მეთოდებზე დაყრდნობით უზრუნველყოფს საზოგადოების მთლიანობას, საზოგადოებრივი ცხოვრების წესრიგსა და ორგანიზებულობას და რომელშიც სრულად ვითარდებიან კონსტრუქციულ-შემოქმედებითი დაწესებულებები და ორგანოები.

ცივილიზებული სამოქალაქო საზოგადოება უზრუნველყოფს უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო ორგანოების დემოკრატიული წესით ჩამოყალიბებას, ახორციელებს შათი მოღვაწეობის მოქნილ კონტროლს ზედამხედველობის, კანონისა და სამართლის საფუძველზე და, აქედან გამომდინარე, ადამიანის სამსახურში აყენებს სამართლებრივი სახელმწიფოს მთელ შემოქმედებით პოტენციალს.

აღიარებულია, რომ საზოგადოების ზემოქმედება სახელმწიფოზე არის პირდაპირი კავშირი, ხოლო სახელმწიფოსი საზოგადოებაზე—უკუკავშირი. საზოგადოებაზე განვითარებული სახელმწიფოს ზემოქმედების მრავალწახნაგოვანი უკუკავშირი საკვანძო, მაგრამ არასაკმარისად შესწავლილი პრობლემაა, რომელშიც მთავარია თანაფარდობა სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების, შეგნებული სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ რეგულირებისა და სტიქიურ საბაზო თვითრეგულირებას შორის.

შეგნებული სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი რეგულირების შედეგად გარკვეულწილად იზღუდება სტიქიური საბაზრო თვითრეგულირება. ამის გამო წარმოიქმნა რთული და მნიშვნელოვანი პრობლემა—ვიპოვოთ მეტნაკლებად ოპტიმალური თანაფარდობა მიზანდასახულ რეგულირებასა და საბაზრო თვითრეგულირებას შორის. მაგრამ ეს

თანაფარდობა არამც და არამც არ არის მუდმივი და ცვლადია ნებისმიერ დროში, ნებისმიერ ქვეყანაში და მრავალრიცხოვან მიზეზებსა და პირობებზეა დამოკიდებული.

ასე, მაგალითად: 20-30-იან წლებში საბაზრო სტიქიით გამოწვეულმა დამანგრეველმა კრიზისებმა და გაჭიანურებულმა დეპრესიებმა დალუპვის პირას მიიყვანა მრავალი მანამდე ძლიერი კაპიტალისტური სახელმწიფო. ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც პრაქტიკულად განახორციელა დ. კეინსის მოქნილი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ეკონომიკაში აუცილებელი ჩარევის თეორია, ვინც მიხვდა, რომ ბაზარი არ წარმოადგენს სრულქმნილ ეკონომიკურ მექანიზმს, იყო აშშ პრეზიდენტი ფ. რუზველტი. 1933-1938 წლებში მისმა აღმინისტრაციამ განახორციელა შეგნებული რეგულირების გასაწონასწორებლად და ბაზრის თვითრეგულირებისკენ მიმართული სახელმწიფო-სამართლებრივი ზომების კომპლექსი, რომელიც ამერიკის ისტორიაში „ახალი კურსის“ სახელწოდებით შევიდა. ამავე გზას დაადგა სხვა მრავალი სახელმწიფოც.

დაახლოებით ამავე დროს სსრკ-ში გამოიკვეთა სხვაგვარი ტენდენცია: აქ ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი თითქმის მთლიანად სახელმწიფო საკუთრების ობიექტი გახდა. საზოგადოება თანდათანობით გადაიქცა რაღაც ერთიან „სახელმწიფოებრივ ფაბრიკად“, რომელიც მბრძანებლურ-ბიუროკრატიული მეთოდებით ცენტრიდან იმართებოდა. ამასთანავე, ეს იყო საკმაოდ მძლავრი სახელმწიფო, რომელიც ექსტრემალურ სიტუაციებში წყვეტდა ურთულეს ამოცანებს: ისტორიულად დროის მცირე მონაკვეთში შეიქმნა მძლავრი სამრეწველო პოტენციალი, წარმატებით ვითარდებოდა სახალხო განათლება, მეცნიერება, ხოლო სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი ერთ-ერთი მოწინავე იყო მსოფლიოში. მაგრამ ტოტალური გასახელმწიფოებრიობა ზღუდავდა საზოგადოების შესაძლებლობებსა და ცოცხალ შემოქმედებით ძალებს, რასაც ხელს უწყობდა შრომის სუსტი მოტივაცია და ქრონიკული უყაირათობა. ამას ემატებოდა პარტიისა და სახელმწიფოს სათავეში მდგომთა სუბიექტივიზმი და ვოლუნტარიზმი. სწორედ დასახელებულმა ფაქტორმა წარმოშვეს სისტემური კრიზისი, რომელმაც მოიცვა საზოგადოების ცხოვრების ყველა სფერო. კრიზისიდან გამოსვლა ძალიან რთული აღმოჩნდა. რასაც შედეგად მოჰყვა სისტემისა და სოციალ-ეკონომიკური ფორმაციის დაშლა.

§5. საზოგადოებისა და სამართლის თანაშარღობის პრობლემა

სამართალი წარმოიშვა საზოგადოების შინაგანად გართულებულ და წინააღმდეგობრივ ურთიერთობათა შედეგად. იგი თავისი ფორმით სუბიექტურია, ხოლო შინაარსობრივად—ობიექტური. სამართალი ადამიანის მიერ შემეცნებული ყოფიერების და ცნობიერების სინამდვილისა და იდეალის წინააღმდეგობის დაძლევის აზრობრივი გამოხატულების იდეალური ფორმაა.¹ სწორედ ეს აძლევს მას საზოგადოებრივ-ყოფით ღირებულებას.

ობიექტურობაა მიზეზი იმისა, რომ გარკვეულ სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფებიან სამართალი და საზოგადოება. ამ ურთიერთქმედებაში წამყვანი როლი ეკუთვნის საზოგადოებას, რომელიც განსაზღვრავს სამართლის შინაარსს და ზრუნავს მის განვითარებაზე, ამიტომ შეუძლებელია სამართალი მოცემული საზოგადოების მიერ მიღწეულ ეკონომიკურ და სულიერ დონეზე მაღლა იდგეს—იგი მასთან ერთად ვითარდება. ამასთანავე, სამართალი ითვისებს ყოველივე ღირებულს ადათ-წესებისაგან, საზოგადოებაში გაბატონებული მორალისა და რელიგიისაგან, მსოფლიო კულტურისა და ცივილიზაციისაგან. ამის შემდეგ სამართალი იძენს საკმაო პოტენციას საზოგადოებასთან ურთიერთობაში და გარკვეული ზემოქმედების ძალად იქცევა სახელმწიფოსთან მიმართებაში.

სამართლის დახმარებით საზოგადოებაში მყარდება საჭირო მართლწესრიგი, გადაიჭრება სოციალური კონფლიქტი და უთანხმოებანი. ერთი სიტყვით, სამართალი საზოგადოებას თვითგანადგურებისაგან იცავს.

სამართალს, როგორც სიკეთისა და სამართლიანობის ხელოვნებას, მსოფლიო კულტურისა და ცივილიზაციის განსახიერებას, საზოგადოებაში შემოაქვს ინფორმაცია სიკეთისა და სამართლიანობის შესახებ და მუდმივად ასაზრდოებს მას ჰუმანური ღირებულებებითა და იდეალებით. ამავე დროს იგი საზოგადოებიდან განდევნის მისთვის უცხო ურთიერთობებსა და ჩვევებს.

სამართალი წარმოადგენს საზოგადოებრივი და პირადი თავისუფლების საზომს. როგორც არ არსებობს მდინარე ნაპირების გარეშე, ასევე არ არსებობს და არც შეიძლება იარსებოს უზომო და უსაზღვრო თავისუფლებამ. ის საზღვრების გარეშე არის თვითნებობა, ყველაფრის დაშვება, ანარქია, ე.ი. თვით თავისუფლების უარყოფა.

¹ ბ. სავანელი, სამართლის თეორია თბ., 1993 წ. გვ. 14.

სამართლის, სამართლებრივი ნორმების ფარგლებში ადამიანებს, მათ გაერთიანებებსა და ორგანიზაციებს შეუძლიათ თავისუფლად იმოქმედონ და მოიქცნენ საკუთარი შეხედულებების მიხედვით.

სამართლებრივი ნორმები ასრულებენ ადამიანების, მათი გაერთიანებების, დიდი და მცირე კოლექტივების განსხვავებული ინტერესების შეთანხმების აუცილებელ და მნიშვნელოვან ფუნქციას, აგრეთვე, წარმოადგენენ შეთანხმებული, კომპრომისული გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას.

სამართალი არ ზღუდავს სხვა სოციალური მართვის მექანიზმებს, პირიქით, იგი შედის მნიშვნელოვან ელემენტად საზოგადოების ერთიან ნორმატიულ სისტემაში და ყველაზე მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ურთიერთობათა (სასაქონლო-ფულადი და სხვა) მოწესრიგების საშუალება ხდება.

შეურიგებელი წინააღმდეგობებით კლასებად დაყოფილ, გახლეჩილ საზოგადოებაში სამართალი მმართველი ოლიგარქიის ნების გამომხატველსა და გამტარებელს წარმოადგენს. ასეთ პირობებში ხუნდება მისი ჰუმანური იდეალები და ღირებულებები, თანდათანობით იძენს დესპოტურ და ტირანულ ხასიათს. დემოკრატიულ საზოგადოებაში სამართლისა და სამართლებრივი მოწესრიგების როლი განუსაზღვრელად იზრდება და მთლიანად გამოიყენება მისი ჰუმანურობის პოტენციალი. სამართლისა და სამართლებრივი პროცედურების წყალობით ხალხის ფართო მასებისათვის მისაწვდომი ხდება მატერიალური და სულიერი სიმდიდრეები, საკუთარი ინტერესებისა და ნების გამომხატვის კანონიერი ფორმები. სამართლებრივი საწყისებით გამსჭვალული საზოგადოება აღწევს სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას.¹

¹ სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის საკითხისადმი იხ. პირველყოფილი საზოგადოების ისტორია თბ., 1986 წ.

გ. ინწკირველი სახელმწიფოს და სამართლის თეორია თბ., 1998 წ. ბ. სავანელი, სამართლის თეორია თბ., 1997 წ.

Теория государства и права М 1998 г.

Общая теория права и государства М. 1996 г.

გ. ნადარეიშვილი სახელმწიფოს წარმოშობის ზოგიერთი საკითხი თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ჟ. მაცნე №4 1988 წ. ეკონ. და სამ. თეორია.

თავი მესამე

საქართველოს სახელმწიფო და სამართალი

§1. რუსეთ-საქართველოს სამართლებრივი ურთიერთობის პრობლემა

ქართული სახელმწიფოებრიობა ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში. მიმდინარე წელს აღინიშნება მისი არსებობის 3000 წლისთავი. ამ ხნის მანძილზე ქვეყნის განვითარების ისტორიას თან ახლდა ჭეშმარიტი აყვავებისა და დაცემის მძიმე პერიოდები, ხოლო მეთვრამეტე საუკუნის მიწურულიდან თითქმის ორი საუკუნის მანძილზე დამოუკიდებელი საქართველო, ფაქტიურად, არ არსებობდა. 1783 წელს რუსეთ-საქართველოს შორის ხელმოწერილი გეორგიევსკის ტრაქტატის მიხედვით, ქართლ-კახეთის სამეფო უნდა გადასულიყო რუსეთის იმპერიის მფარველობაში, მაგრამ საშინაო საქმეებში სუვერენული უფლებების შენარჩუნებით. ტრაქტატის გაფორმებით ქართული მხარე შეეცადა რუსეთის იმპერიისაგან მიეღო გარანტია, რომელიც უზრუნველყოფდა ქვეყნის უშიშროებას გარეშე მტრების შემოსევისაგან. 1795 წელს ალა-მაჰმად-ხანმა ქართლ-კახეთი ააოხრა და გაანადგურა, მაგრამ რუსეთმა არავითარი დახმარება არ აღმოუჩინა საქართველოს. აღნიშნული ხელშეკრულების პირობების დაცვა არც შემდგომში მოხდა. ამიტომ თავის დროზე და უკანასკნელ პერიოდში 1783 წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების (ტრაქტატის) ირგვლივ, საერთაშორისო სამართლის ნორმათა თვალსაზრისით, აზრთა სხვადასხვაობაა, — იგულისხმება ტერმინოლოგია, რითაც კვალიფიცირდება ხელშეკრულების შინაარსობრივი ბუნება.

ბრიუსელის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის პროფესორი ერნესტ ნასი რუსეთსა და საქართველოს შორის დადებულ 1783 წლის ტრაქტატს მეგობრობისა და კავშირის ხელშეკრულებას უწოდებდა. დაახლოებით იგივე აზრს ავითარებენ ნ. ბერძენიშვილი, ი. ცინცაძე, მ. დუმბაძე, რ. პაიჭაძე და სხვები.

ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორის ფონ ლისტის აზრით, ეს ხელშეკრულება „რუსეთის პროტექტორატს და სუვერენობას ამყარებდა საქართველოზე“, რომელიც თუმცა სრულებით დამოუკიდებელი, მაგრამ მაინც მისი ვასალური სახელმწიფო ხდებოდა. ისტორიკოსის

და იურისტის ზურაბ ავალიშვილის აზრით, ის პოლიტიკური დამოკიდებულება, რომელიც საქართველოსა და რუსეთს შორის 1783 წლის ხელშეკრულების ძალით შეიქმნა, არც ვასალურ დამოკიდებულებას წარმოადგენს, არც პროტექტორატს და მფარველობას. ერთსა და იმავე დროს იგი არის მფარველობაც, პროტექტორატიც, დამოუკიდებლობაც.

„И так разбираемый случай не подходит ни под понятие вассальности, ни под понятие протектората в строгом смысле и подходит одинокого и подь одно, и подь другое, если разуметь их более обще“¹

მ. ხელთუფლიშვილი თვლის, 1783 წლის ხელშეკრულებით რუსეთს საქართველოს მიმართ წმინდა პროტექტორატის უფლება და მხოლოდ მფარველობა მიენიჭა.² ა. ცაგარელი ტრაქტატს „მფარველობის ხელშეკრულებას“ უწოდებდა.³

ივ. ჯავახიშვილის აზრით, ეს იყო მოკავშირეობის ხელშეკრულება, სადაც ლაპარაკი არ არის ქვეშევრდომობაზეც კი და ასკენის, „მაშასადამე, 1783 წელს ხელშეკრულება თავის ხელშემკვერელ მხარეებს“ მფარველობითი მოკავშირეობის ტრაქტატად მიაჩნდათ და ჩვენც არავითარი უფლება არა გვაქვს გვერდი ავუაროთ მათ ცხადად გამოთქმულ ამ ნებისყოფას.⁴

საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული ვ. წერეთელს, რომელსაც მიაჩნია, რომ ტრაქტატის ძალით „საქართველო შეიქმნა ნახევრად დამოკიდებული სახელმწიფო, რომლის დამახასიათებელ თვისებებსაც წარმოადგენს საგარეო პოლიტიკის გადასვლა სხვა სახელმწიფოს ხელში და სრული ავტონომია შინაური საქმეების მართვა-გამგეობაში. მაშასადამე, იმ პოლიტიკურ-უფლებრივ მდგომარეობას, რომელიც განსაზღვრულია არსებული ტრაქტატით, ეწოდება ერთსა და იმავე დროს ნახევრად დამოუკიდებელი სახელმწიფო და ავტონომია. რა არის ავტონომია? სვამს კითხვას ავტორი... ავტონომია—თავისუფლებაა, სხვანაირად რომ ვთქვათ, ავტონომია ის არის, როდესაც კაცი თავის საკუთარ საქმეს თავისუფლად. თავის ნებით აკეთებს და აწესრიგებს და ბატონ-პატრონი არა ჰყავს“ ე.ი. ტრაქტატით არა თუ უნდა გაუქმებულიყო სახელმწიფოებრიობა, არამედ მას სამეფო კარის საშინაო

¹ З. Авалов. "Присоединение Грузии к России", 1906 г. Ст. 143.

² М. Хелтушлишвили. "Вступление Грузии в состав Российской империи". 1901 г. Ст. 82.

³ А. Цагарели. Грамот. Т.п., ст. 30.

⁴ ივ. ჯავახიშვილი, დამოუკიდებლობა რუსეთსა და საქართველოს შორის მე-18 ს-ში, თბ., 1919 წ. გვ. 32.

საქმეებში სრული თავისუფლება, ავტონომია უნდა ჰქონოდა. ხოლო „საგარეო პოლიტიკა რუსეთის ხელში გადავიდა. საქართველოს აღარ უნდა ჰყოლოდა უცხო სახელმწიფოებში ეგრეთ წოდებული დიპლომატიური აგენტები, რომლებიც აწარმოებენ პოლიტიკურ ხელშეკრულებას, ომისა, ზავისა და სხვა ამგვარ პოლიტიკურ მოვლენებზე, მაგრამ სრული უფლება ჰქონდა ჰყოლოდა კონსულები, რომელნიც წარმოადგენინენ საერთაშორისო სოციალურ-კულტურისა და სავაჭრო-სამრეწველო საქმეების მომწესრიგებელ ორგანოებს“¹

რევოლუციამდელ იურიდიულ ლიტერატურაში ჩამოყალიბდა შეხედულება, რომ 1783 წლის ხელშეკრულება არის პროტექტორატის აქტი, რომლითაც საქართველო „არასუვერენულ“ და „დაქვემდებარებულ“ სახელმწიფოდ იქცა.

არჩილ ჯორჯაძე თვლის, რომ იურიდიულ მეცნიერებაში ცნობილია სხვადასხვა ტიპი საერთაშორისო ურთიერთობისა, როცა რომელიმე ერი შეუერთდება მეორე სახელმწიფოს იმ პირობით, რომ ამ ორ შეერთებულ ერს ხელუხლებელი ორგანო, მთავრობა კი საერთო ექნებათ, ამგვარ იურიდიულ აქტს მეცნიერები უწოდებენ. როდესაც ერი თავის ნებით ან ძალდატანებით მეორე სახელმწიფოს ხელში ვარდება, ამგვარ ცვლილებას მეცნიერები ინკორპორაციას უწოდებენ. კანონიერი ინკორპორაცია იმაში მდგომარეობს, რომ რომელიმე სახელმწიფო თავის ნებით უარყოფს თავის შინაურ დამოუკიდებლობას, ეროვნულ-პოლიტიკურ ორგანიზაციას და მეორე სახელმწიფოს მფარველობაში თავისი სურვილით გადადის.

უკანონო „ინკორპორაცია“ სახელმწიფოს დაპყრობა და დაჭერაა (ომის და სხვა გარემოებათა საშუალებით). რომელ ტიპს მიაგავს საქართველოს რუსეთთან შეერთების აქტი.² სვამს კითხვას ავტორი და ხელშეკრულების ფორმას ქვეშევრდომობასა და მფარველობას უწოდებს. დედააზრი ისტორიული ტრაქტატის, მეფე ერეკლემ რომ დასდო ეკატერინე დიდთან 1783 წელს, საქართველოს რუსეთის ქვეშევრდომობასა და მფარველობაში გადასვლაა.³

უცხოურ ლიტერატურაში 1783 წ. ხელშეკრულებით შექმნილი სტატუსი სხვაგვარადაა გაგებული: მას აფასებენ, როგორც პროტექტორატის რეჟიმს, „რუსეთის უზენაესობა და სუვერენიტეტი“ და ვასალური დამოკიდებულება, „ხელშეკრულება მეგობრობისა და კავშირის შესახებ“ და ა.შ.

¹ ე. წერეთელი, 1783 წ. ტრაქტატი, ავტონომია და ფედერაცია, 1905 წ. გვ. 42.

² გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1901 წელი, 1586.

³ თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი პირველი, 1911 წ. გვ. 114.

ამ საკითხს სხვაგვარად აშუქებს რუსული ისტორიოგრაფია, ო. მარკოვა თელის, 1783 წლის ხელშეკრულებას ტრაქტატად პროტექტორატის შესახებ და, რომ მისი ძალით ქართველი მეფე რუსეთის მეფის ვასალი გახდა.

საინტერესო დასკვნები გააკეთა პროფ. ლ. ალექსიძემ, რომელიც ზემოთ აღნიშნულ და სხვა მკვლევართა კონცეფციების ანალიზის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ 1783 წლის ხელშეკრულებით ქართლ-კახეთის სამეფო დაქვემდებარა რუსეთის იმპერიას საშინაო ავტონომიის შენარჩუნებით და საგარეო პოლიტიკური ქმედითუნარიანობის ე.ი. საერთაშორისო სამართლებრივი სუბიექტუნარიანობის ნაწილობრივი შეზღუდვის პირობით... ეს იყო „მფარველობა-დაქვემდებარების ხელშეკრულება“!

მაშასადამე, იურიდიული და სამეცნიერო ლიტერატურა შემდეგნაირი ტერმინოლოგიით გამოხატავს 1783 წლის ტრაქტატის აზრს:

1. „მეგობრულობით ხელშეკრულება კავშირისა და მფარველობის შესახებ“, 2. „პროტექტორატი“, 3. „პროტექტორატი-სიუზერენიტეტი“, 4. „პროტექტორატი და ვასალიტეტი“, 5. „პროტექტორატი. ვასალიტეტის ფორმაში“, 6. ხელშეკრულება ქვეშევრდომობით და მფარველობით, 7. მფარველობა-დაქვემდებარება ხელშეკრულებით.

ყველა დოკუმენტის ანალიზს, რომელიც გაფორმდა რუსეთ-საქართველოს შორის, მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ეს იყო მფარველობა-დაქვემდებარების ხელშეკრულება. ლ. ალექსიძის მიერ შემუშავებული კონცეფცია ყველაზე კარგად გამოხატავს ტრაქტატის შინაარსობრივ მხარეს.

რუსეთ-საქართველოს ამ ხელშეკრულების სამართლიანობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. ქართველ ისტორიკოსთა ნაწილმა ამ ფაქტს, „მცირე ბოროტება“ უწოდა, რადგან „საქართველო მეფის რუსეთის კოლონიად იქცა. „იმ ისტორიულ პირობებში ეს იყო მაინც უმცირესი ბოროტება; სამი მოქიშპე სახელმწიფოდან—რუსეთი, ირანი, ოსმალეთი,“ მხოლოდ რუსეთი, საქართველოსთვის მახლობელი რელიგიითა და კულტურით, იყო ის ერთადერთი პროგრესიული ძალა, რომელსაც შეეძლო საქართველოს მიწა-წყლის გაერთიანება და ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფა“.²

საერთაშორისო სამართლის სპეციალისტს პროფ. ლ. ალექსიძეს

¹ ლ. ალექსიძე დასახ. ნაშრ., გვ. 174.
² საქართველოს ისტორია, უძველესი დროიდან მე-19 ს-ის დამდეგამდე ს. ჯანაშიას რედ. ობ. 1948, გვ. 418.

მიანია, რომ „გეორგიევსკის ტრაქტატი იმ დროს საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი პროგრესული და უჩვეულო აქტი იყო, რადგანაც პროტეჟეს საკმაო პრივილეგიებს აძლევდა. საგარეო-პოლიტიკური ქმედითუნარიანობის ნებაყოფლობითი შეზღუდვა არ ნიშნავდა „ბოროტებას“, რადგან მიზნად ისახავდა ქართლ-კახეთის პროგრესიული ძალების მიერ დასმული ამოცანების განხორციელებას, რომელთა შორის ერთ-ერთი უმთავრესი იყო მაკპადიანი აგრესორების მიერ გატაცებული მიწების დაბრუნება... მისი პირუთვნელად შესრულების შემთხვევაში ქართლ-კახეთი იგებდა მეტს, ვიდრე ერის ფიზიკური განადგურების საშიშროების თავიდან აცილებას მოასწავებდა. ასეთი მიზნების მიღწევისათვის „დაქვემდებარება“ სავსებით გამართლებული იყო და „უმციურეს ბოროტებად“ ვერ ჩაითვლებოდა“.¹

საბოლოოდ საქართველო-რუსეთის მფარველობა-დაქვემდებარების ხელშეკრულებით (რომელიც შინაარსობრივი თვალსაზრისით გამართულად შედგენილი აქტი იყო) გათვალისწინებულ ვალდებულებებს შესრულება არ ეწერა და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავიდანვე ცალმხრივად დაირღვა, რადგანაც ტრაქტატში, შემდეგ მანიფესტში არ იყო გათვალისწინებული ქართველი და რუსი ხალხის ნება, ხალხს არავინ არაფერს ეკითხებოდა, ამიტომაც რჩებოდა მოტყუებული და გაწბილებული, ხოლო სამეფო კარის მოქმედება წარმოადგენდა საერთაშორისო სამართლის და მორალის უგულვებელყოფას, რამაც საქართველოს მიმართ მიიღო აშკარა ძალადობის სახე, რუსეთის ფეოდალური იმპერიალიზმის ინტერესების შესაბამისად. არჩილ ჯორჯაძე წერდა, „1783 წლის ხელშეკრულების შემდეგ, რუსეთი, როდესაც დარწმუნდა ჩვენს სისუსტეში და თავის ძლიერებაში „1801 წელს“ ეს ხელშეკრულება დაარღვია და მთელი მეცხრამეტე საუკუნე იყო განმტკიცება იმ რეჟიმისა, რომელიც ეწინააღმდეგებოდა როგორც ამ ხელშეკრულებას, ისე ქართველების საუკუნეობით შემუშავებულს, შეზრდილს მისწრაფება-იდეებს“.²

იქედან მოკიდებული საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხზე ღრმა მეცნიერული მიუკერძოებელი მსჯელობა თითქმის შეუძლებელი იყო. ამიტომ ის პოლიტიკური ვითარება, რომელიც მეცნიერებაზეც საკმაო დაწოლას ახდენდა, აკეთებინებდა ცალმხრივ არაობიექტურ დასკვნებს, გადაჭარბებულად აფასებდნენ საქართველოს რუსეთთან შე-

¹ ლ. ალექსიძე, საქართველო-რუსეთის საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობა მე-18 ს-ში თბ., 1983 წ. გვ. 195.

² იხ. არჩ. ჯორჯაძე თხზ. წიგნი პირველი თბ., 1911 წ. გვ. 235

ერთების მნიშვნელობას, თითქოს ტრაქტატმა და შემდეგ მანიფესტმა იხსნა საქართველო ფიზიკური, სულიერი და მორალური განადგურებისაგან. დღეისათვის შეიძლება ეს დებულება ეჭვქვეშ დავაყენოთ, თუმცა ამით ყველაფერზე უარის თქმა არ გვსურს, მართლაც, მონარქიული რუსეთის იმპერიაში საქართველო მოსულიერდა, ძალა მოიკრიბა, ევროპულ კულტურას ეზიარა და არა თუ არსებობა შეინარჩუნა, თვით რუსეთის ისტორიაშიც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართველი ხალხი არასოდეს შერიგებია დამოუკიდებლობის დაკარგვას, ებრძოდა ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას და ხშირად მიმართავდა წინააღმდეგობის ისეთ უკიდურეს ფორმებს, როგორც იყო შეიარაღებული აჯანყებები და პოლიტიკური შეთქმულებები (1802, 1804-1812, 1819-1820, 1832 წწ.). XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალ, დემოკრატიულ ეტაპზე, ქართველმა პატრიოტებმა და საზოგადო მოღვაწეებმა, ილია ჭავჭავაძისა და არჩილ ჯორჯაძის მეთაურობით, დემოკრატიული რუსეთის ფარგლებში. წამოაყენეს საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის ავტონომიისა და ფედერალიზმის იდეა გაზეთი „საქართველო“ 1903 წელს წერდა: „ჩვენი წადილი და მისწრაფება განსაკუთრებული, საქართველოს პირობებთან შესაფერი, კონსტიტუციის მოპოვებაა, ჩვენ გვსურს დავრჩეთ პოლიტიკური ორგანიზმის ჩარჩოში. მხოლოდ ამასთან შინაურ საქმეებში გვინდა ვიყვეთ სრულიად დამოუკიდებელნი, ერთი სიტყვით, ჩვენ გვსურს ეროვნული ავტონომია მოვიპოვოთ... ავტონომია უნდა იყოს პოლიტიკური და არა ადმინისტრაციული.

საქართველოს პარლამენტი აღჭურვილი უნდა იყოს კანონმდებლობის უფლებებით. ცენტრალური მმართველობის კონტროლიდან გამოყოფილია ბიუჯეტი, სამსჯავრო, ეკლესია, სწავლა-განათლების საქმე, ადმინისტრაცია, მილიცია. ტერიტორიის საზღვრების განსაზღვრის დროს უნდა ვიხელმძღვანელოთ, ერთი მხრივ, 1783 წლის ხელშეკრულებით, მეორეს მხრივ, იმით, თუ ქართველთა ტომის ხალხი სად სახლობს“. ავტონომიის საკითხი გადაჯაჭვული იყო ამიერკავკასიის ფედერაციის საკითხთან. თერგდალეულებსა და არჩილ ჯორჯაძეს საქართველოს სრულ დამოუკიდებლობამდე ავტონომიის გზა აუცილებლად გასავლელად მიაჩნიათ, რადგანაც 1801 წლის შემდეგ აღარ არსებობდა ქართული სახელმწიფოებრივი სტრუქტურები, ყველა სამთავრობო უწყებას რუსი ჩინოვნიკები განაგებდნენ, აღარ არსებობდა ეროვნული შეიარაღებული ძალა (ჯარი), პოლიცია, საგადასახადო სისტემა, ტრადიციუ-

ლი მეურნეობის ფორმები. თუკი საქართველო ავტონომიას მიაღწევდა, უნდა აღდგენილიყო ზემოაღნიშნული სისტემები და ქვეყანა შემზადებულიყო სრული დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის, რაც, სამწუხაროდ, თავის დროზე ვერ განხორციელდა.¹ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა რეალურად შესაძლებელი გახდა რუსეთში 1917 წლის, თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის, ცარიზმის დამხობისა და ოქტომბრის სოციალისტური გადატრიალების შემდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა რუსეთმა თავიდანვე გამოაცხადა ხალხთა თვითგამორკვევის უფლება, იგი უარყოფითად ეკიდებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. მაგრამ იმდროინდელ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში ქართველმა ხალხმა მაინც შეძლო თავისი მიზნის განხორციელება და მოსახლეობის წარმომადგენლობითმა ორგანომ—ეროვნულმა საბჭომ, 1918 წლის 26 მაისს გამოაცხადა ქვეყნის დამოუკიდებლობა—საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა.

1919 წლის მარტში დემოკრატიული არჩევნების საფუძველზე ჩამოყალიბდა ახალი საკანონმდებლო ორგანო—დამფუძნებელი კრება, რომელმაც დაადასტურა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. ახალ სახელმწიფოს ჰყავდა თავისი მთავრობა, სახალხო გვარდია და რეგულარული არმია, ადგილობრივი მმართველობის ორგანოები. აღორძინებულმა სახელმწიფომ დაიწყო თავისი ფუნქციების შესრულება. მაგრამ საბჭოთა რუსეთი და მისი შემხედვარე დასავლეთი სახელმწიფოები დიდხანს თავს იკავებდნენ იურიდიულად საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობისაგან.

მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც 1920 წლის 7 მაისს რუსეთი, საშინაო საქმეებში გარკვეული სირთულეების გამო (ე. წ. თეთრგვარდიელთა ჯარებთან ბრძოლა და სხვა), იძულებული გახდა ხელშეკრულება დაედო საქართველოსთან მისი დამოუკიდებლობის ცნობისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის თაობაზე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ოფიციალურად ცნეს გერმანიამ, ინგლისმა, საფრანგეთმა, ბელგიამ, იტალიამ, იაპონიამ, ავსტრიამ, რუმინეთმა, ლუქსემბურგმა და მექსიკამ, მათზე აღრე კი არგენტინამ.

რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება ლენინელებმა უხეშად დაარღვიეს. 1921 წლის 25 თებერვალს საქართველომ

¹ იხ. გ. ლობჟანიძე, ნარკვევები ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან ქუთ. 1998 წ.

კვლავ დაკარგა დამოუკიდებლობა და მას შემდეგ 70 წლის მანძილზე ფორმალურად ითვლებოდა „სუვერენულ სახელმწიფოდ“ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, ფაქტიურად კი უუფლებო ნაწილი იყო საბჭოური იმპერიისა. ეს კავშირი ფორმალურად ნებაყოფლობითი იყო, ფაქტიურად კი იძულებითი, ფორმალურად მოკავშირე რესპუბლიკებს კავშირიდან გასვლის უფლება ჰქონდათ, ფაქტიურად კი ამ უფლების განხორციელება შეუძლებელი იყო.

მხოლოდ უკანასკნელ წლებში, საბჭოთა იმპერიის დაშლის დაწყების პირობებში, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საფუძველზე წარმოიშვა საქართველოს რეალური დამოუკიდებლობის მოპოვების პერსპექტივა. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგების შესაბამისად, 1991 წლის 9 აპრილს მიიღო „დეკლარაცია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე“¹ და საქართველო ორსაუკუნოვან კოლონიურ მდგომარეობაში ყოფნის შემდეგ დამოუკიდებელი სახელმწიფოსა და დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის გზას დაადგა.

თანამედროვე პირობებში ქართული სახელმწიფოს მშენებლობის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს აქტიურად ჩაებას მსოფლიო თანამეგობრობაში. ამ პროცესის ერთ-ერთი პირობა გახლავთ საზღვარგარეთის 25 ქვეყანაში საქართველოს საელჩოების და წარმომადგენლობების გახსნა და, პირიქით, საქართველოში 57 უცხო ქვეყნის საელჩოსა და წარმომადგენლობების არსებობა. მათ შორის, ორმხრივი ურთიერთობა რუსეთის ფედერაციასთან.

სსრ კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში არ შესულა. ამ მომენტს რუსული პოლიტიკური და იურიდიული ლიტერატურა აფასებს, როგორც „Авторитарный режим, установленный в этой республике, был повинен в нарушении прав человека, прав национальных меньшинств обостреное ситуации в Южной Осетии. В республике происходили драматические события, связанные с вооруженным противоборством различных сил. По мере их прекращения нормализовались Российско-Грузинские отношения“²

თანამეგობრობაში იმთავითვე შეუსვლელი მისეზი იყო თუ არა

¹ გ. ინჭიკრელი სახელმწიფოსა და სამართლის თეორია თბ., 1998 წ. გვ. 92-93.

² см. Е. Г. Моисеев — Международно-правовые основы сотрудничества стран СНГ. М. 1997 г. Ст. 123

შიში ახალ პოლიტიკურ პროეკაციაში ჩათრევისა, ამას მომავალში ისტორია იტყვის. ერთი რამ კი ცხადია, ჯერ ზ. გამსახურდიას და შემდეგ კარგა ხანს არც ე. შევარდნაძის ხელისუფლება არ შესულა თანამეგობრობაში, მას წინ უძღოდა პოლიტიკურ ურთიერთობათა მთელი სერია. კერძოდ, 1992 წლის 24 ივნისს ქ. სოჭში ჩატარდა რუსეთისა და საქართველოს ხელმძღვანელთა შეხვედრა, სადაც მოხდა ორმხრივი ურთიერთობის კომპლექსურ მიდგომათა განხილვა. ამ შეხვედრაზე გადაწყდა—1992 წლის 1 ივნისიდან რუსეთსა და საქართველოში საელჩოების გახსნა. 1992 წლის 3 სექტემბერს ქ. მოსკოვში, ორივე ქვეყნის ხელმძღვანელთა შეხვედრა კვლავ მოხდა, სადაც ხელი მოეწერა დეკლარაციას და კომუნიკეს სოჭის შეხვედრისას მიღებულ გადაწყვეტილებათა თაობაზე.

1993 წლის 23 იანვრიდან 6 თებერვლამდე ქ. თბილისში ჩატარდა ორივე ქვეყნის მესამე სამთავრობო შეხვედრა, სადაც მომზადდა ხელშეკრულებათა პაკეტი სხვადასხვა საკითხებზე.

მეოთხე ორმხრივი სამთავრობო შეხვედრა შედგა 1993 წლის 9-19 მარტს ქ. მოსკოვში. ამ შეხვედრაზე ძირითადი იყო რუსეთის შეიარაღებული ძალების საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნის პრობლემა.

ამას მოჰყვა კვლავ ორი შეხვედრა: 1993 წლის 23 აგვისტოს და 6-10 სექტემბერს, სადაც მომზადდა ხელშეკრულების დადება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში საქართველოს შესვლის თაობაზე და საქართველოს პარლამენტში შესაბამისი ნორმატიული აქტის მიღება და თანამეგობრობაში შესვლის ოფიციალურად გაფორმება 1993 წლის 9 დეკემბერს. რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში მითითებულია, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნის იურიდიული საფუძველია 1970 წლის საერთაშორისო დეკლარაცია, რომელსაც ორი ძირითადი მიმართულება გააჩნია.

ა) ერთა შორის მშვიდობის განმტკიცება;

ბ) ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების პატივისცემა და დაცვა. ეროვნული დისკრედიტაციის აღმოფხვრა და ყველა სახის რელიგიურ შეხედულებათა დაცვა.

საქართველოს გარდა, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრები არიან აზერბაიჯანი, სომხეთი, ბელორუსია, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი, უკრაინა.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (CHF) არ წარმოადგენს საერთაშორისო გაერთიანებას, ის არის რეგიონალური თანამე-

გობრობა, რომელიც ხელმძღვანელობს ყველა წევრ სახელმწიფოს მიერ აღიარებული და ხელმოწერილი წესდებით (დებულებით).

რუსულ სამეცნიერო პოლიტიკურ და იურიდიულ ლიტერატურაში გარკვეული დადებითი შეფასებები ეძლევა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ხელმძღვანელ ორგანოთა საქმიანობას.

„Среди всех договоров, конвенций и соглашений, заключенных за пятилетний период в рамках СНГ, наибольшее значение, безусловно, имеет Договор о создании Экономического союза, подписанный в сентябре 1993 г. Он предполагает свободное перемещение товаров, услуг, капиталов и рабочей силы, проведение согласованной денежно-кредитной, бюджетной, ценовой и налоговой, таможенной и валютной политики.

С трудом, но все-таки развивается сотрудничество в области обороны: заключены важные соглашения по вопросам коллективной безопасности государств СНГ, о взаимодействии по обеспечению противовоздушной обороны, по совместной охране внешних границ Содружества.

В социально-гуманитарной сфере приняты такие важные документы, как Конвенция о правах и основных свободах человека, Конвенция об обеспечении прав лиц, принадлежащих к национальным меньшинствам. В Российской Федерации реализуются Основные направления государственной политики в отношении соотечественников, проживающих за рубежом.

Стратегия сотрудничества стран СНГ определяется Советом глав государств, который за пять лет провел 20 заседаний. Важную роль в развитии сотрудничества играет Совет глав правительств, который провел 24 заседания. На них принято около 800 документов, 40% из которых посвящены экономическим вопросам”¹

ზოგადად ასეთია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საქმიანობა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

რაც შეეხება მიღებულ კონვენციების და სხვა აქტების გავლენა-უნარიანობას, ეს აშკარად ეტყობა თანამეგობრობაში შემავალ თითოეული ქვეყნის და საერთოდ თანამეგობრობის გავლენის სფეროს სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობას.

¹ იხ. 1. ЕГ. Моисеев указ. кн. стр. 5.

§2. კონსტიტუციური ბანკითარების პრობლემაში საქართველოში

საქართველოს პირველი კონსტიტუციის შექმნას წინ უსწრებდა ეროვნული საბჭოს მიერ გამოცხადებული 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის დეკლარაცია და საკონსტიტუციო კომისიის შექმნა. ამავე წლის 18 ივნისს უკვე გაიმართა საკონსტიტუციო კომისიის საბჭოს სხდომა, სადაც ძირითადად განხილულ იქნა საკითხი, თუ როგორი ტიპის დემოკრატიული სახელმწიფო უნდა ყოფილიყო საქართველო. მაშინდელი ქართული პოლიტიკური აზროვნება იცნობდა ამერიკულ უფლება-განაწილებულ, ფრანგულ პარლამენტურ და შვეიცარიულ პირდაპირ დემოკრატიას. კომისიამ უპირატესობა შვეიცარიულ მოდელს მიანიჭა. მაგრამ გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო არსებული რეალობა და ქართველი ხალხის ისტორიული ტრადიციები, ერის ცნობიერება და ფსიქიკა. სამწლიანი მუშაობის შემდეგ კომისიამ საქართველოს დამფუძნებელ კრებას წარუდგინა და 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული იქნა ქვეყნის პირველი კონსტიტუცია.

კონსტიტუცია შედგება 17 თავისა და 149 მუხლისაგან. მათში განსაზღვრულია იმდროინდელი საქართველოს სახელმწიფოებრივი ფუნქციები. პირველ რიგში, საშინაო ფუნქცია, რაც ითვალისწინებს მოქალაქის, პიროვნების უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო, სააღმშენებლო და საფინანსო-საბიუჯეტო დარგების განვითარებას, რამაც უნდა უზრუნველყოს მოქალაქეთა ღირსეული არსებობა, სახელმწიფოს მიერ ხელოვნებისა და მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა. რაც შეეხება საქართველოს საგარეო-სახელმწიფოებრივ ფუნქციას, პირველივე მუხლში ჩაწერილია დებულება, რომ ის არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო. ეს კი ნიშნავს სრულ მზადყოფნას, რომ ქვეყანამ დაიცვას თავისი სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა. თავდაცვითი ომების შემთხვევაში ამ უფლებამოსილებით აღჭურვილია როგორც რესპუბლიკის მთავრობა, ასევე პარლამენტი (მუხლი 54-72).

კონსტიტუციაში მოცემულია, აგრეთვე, ქვეყნის საშინაო და საგარეო ფუნქციების განხორციელებისათვის საჭირო სახელმწიფო მექანიზმი. ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოდ აღიარებული იყო „საქართველოს პარლამენტი“, რომელიც სამი წლის ვადით უნდა შეკრებილიყო „საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და პროპორციული წესისამებრ არჩეული დეპუტატებისაგან“ (მუხლი

46). ეს უკანასკნელი კი აღჭურვილი იყო საკანონმდებლო უფლებით.

უმაღლეს ალმასრულებელ ხელისუფლებად, კონსტიტუციის მიხედვით, მიჩნეული იყო რესპუბლიკის მთავრობა, რომლის თავმჯდომარე პარლამენტს უნდა აერჩია ერთი წლის ვადით. ხოლო მთავრობის დანარჩენ წევრებს—მინისტრებს იწვევდა მთავრობის თავმჯდომარე (მუხლი 66-68). მთავრობის საერთო უფლებამოსილებას შეადგენდა „რესპუბლიკის საქმეთა უმაღლესი მართვა-გამგეობა თანახმად კანონისა“ და „თვალყურის დევნება და აღსრულება კონსტიტუციისა და კანონებისა (მუხლი 72). ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, კონსტიტუციის მიხედვით, უნდა შექმნილიყო ადგილობრივი მმართველობის ორგანოები—„ადგილობრივი თვითმართველობა“, რომელიც ამავე დროს თავისი ტერიტორიის ფარგლებში განაგებდა კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეურნეო საქმეებს (თავი მეათე).

სახელმწიფო მექანიზმის კიდევ ერთი შემადგენელი ნაწილი, რომელსაც 1921 წლის კონსტიტუცია ითვალისწინებს (თავი მეექვსე)—სასამართლოა. მართლმსაჯულების უმაღლეს ორგანოდ ითვლება სენატი, რომელიც უნდა აირჩიოს პარლამენტმა. მისი მოვალეობაა უზრუნველყოს კანონის დაცვა რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე და ამასთან ერთად განახორციელოს საკასაციო საქმიანობა. მართლმსაჯულების ზოგიერთი დემოკრატიული პრინციპი კონსტიტუციაში ჩამოყალიბდა. ესენია: მოსამართლეთა არჩევითობა, სასამართლოს დამოუკიდებლობა და მისი მხოლოდ კანონისადმი დამორჩილება, სასამართლოს სხდომების საჯაროობა (იშვიათი გამონაკლისის გარდა) ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტების არსებობა და სხვა. სასამართლოს ორგანიზაცია, იურისდიქცია და კომპეტენცია მომავალში სპეციალური კანონით უნდა განსაზღვრულიყო.

1921 წლის კონსტიტუციით გაუქმებული იყო სიკვდილით დასჯა. კონსტიტუცია იძლეოდა იმის ფორმულირებასაც, რომ არ შეიძლებოდა ვინმე დასჯილიყო სასამართლოს გარეშე. გამონაკლისი იყო კანონით განსაზღვრული წესი, როდესაც გამოიყენებოდა დისციპლინარული სასჯელი. გარანტირებული იყო პიროვნების ხელშეუხებლობა. არ შეიძლებოდა ვინმეს შეპყრობა ან თავისუფლების აღკვეთა სასამართლოს ან საგამომძიებლო ორგანოს დასაბუთებული ბრძანების გარეშე.

სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელს დაკავებული პიროვნება 24 საათის განმავლობაში უნდა წარედგინა უახლოეს სასამართლოში. ხოლო თუ სასამართლო შორს იყო დანაშაულის ჩადენის ადგილიდან, მაშინ არა უმეტეს 48 საათისა. სასამართლო ვალდებული

იყო 24 საათის განმავლობაში დაეკითხა დაპატიმრებული პიროვნება და როდესაც დაადგენდა მის ბრალეულობას, ანდა—პირიქით, გამოეცა წერილობითი ბრძანება მისი დაპატიმრების ან განთავისუფლების შესახებ.

მოქალაქეებს ეძლეოდათ ბინის ხელშეუხებლობის გარანტია. გაჩხრეკა საჭიროების შემთხვევაში მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით იყო შესაძლებელი.

დაბოლოს, საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო მექანიზმის აუცილებელ შემადგენელ ნაწილს ჯარი წარმოადგენდა. კონსტიტუციაში პირდაპირ იყო ჩაწერილი, თუ რა მიზნითაც იქმნებოდა არმია „სამხედრო ძალთა დანიშნულება არის დაცვა რესპუბლიკისა და მისი ტერიტორიისა“ (მუხლი 95).

სამწუხაროდ, 1921 წლის 21 თებერვალს, საქართველოს კონსტიტუცია არ ამოქმედებულა. ამავე წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთმა უხეშად დაარღვია 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება და შეიარაღებული გზით მოახდინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსია. დასაბამი მიეცა ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა რეჟიმის 70-წლიან ბატონობას.

საქართველო გახდა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი შემადგენელი რესპუბლიკა, რომელსაც პირველ ხანებში თავისი კონსტიტუცია არ ჰქონდა. იურიდიულ აქტებს იმ პერიოდში ძირითადად დეკრეტების სახით გამოსცემდა. საქართველოს რეკომი, რომელმაც ძალაუფლება ხელში აიღო ცენტრში, ხოლო ცალკეულ რეგიონებში კი მისდამი დაქვემდებარებულმა ადგილობრივმა რეკომებმა, კომუნისტური პარტიის უშულო ხელმძღვანელობით მოქმედებდა. ძირითადად გადაწყვეტილებებს იღებდა მოსკოვი.

1922 წლის 2 მარტს მოწვეულ იქნა სრულიად საქართველოს საბჭოების I ყრილობა, რომელმაც მიიღო ე.წ. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის რიგით მეორე, მაგრამ პირველი საბჭოური კონსტიტუცია. ის 23 თავის და 134 მუხლისაგან შედგებოდა. აღნიშნული კონსტიტუცია, საბჭოთა რუსეთის 1918 წლის კონსტიტუციის მსგავსად, საკანონმდებლო წესით (კონსტიტუციის პირველი მუხლით) განამტკიცებდა პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებას და მთელი ძალაუფლების გადასვლას საბჭოების ხელში“. აქედან დაიწყო „საბჭოთა საქართველოს“ კონსტიტუციური „განვითარება“ და ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მთელი რიგი „დემოკრატიული პრინციპების“ ფორმალური აღიარება. კონსტიტუციის მეხუთე მუხლით

განისაზღვრებოდა სახელმწიფო სუვერენიტეტის ცნება „საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკა სუვერენული სახელმწიფოა, რომელიც არ შეიწყნარებს არავის სრულუფლებიან მფლობელობას თავის ტერიტორიაზე. სამაგიეროდ, არც თვითონ გაავრცელებს უფლებებს საზღვარგარეთ“. თუ საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციით აღიარებული იყო საკუთრების უფლება, 1922 წლის კონსტიტუცია აუქმებდა მიწაზე კერძო საკუთრებას და მას აცხადებდა „მშრომელი მოსახლეობის ქონებად“. მესამე მუხლის მიხედვით, ბუნებრივი სიმდიდრეები სახელმწიფო საკუთრებაში გადავიდა. კერძო საკუთრება გაუქმდა ყველა მსხვილ საწარმოსა და საწარმოო საშუალებებზე.

ცვლილებები მოხდა ხელისუფლების ორგანოებშიც. გაუქმდა რევკომები და ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ სრულიად საქართველოს საბჭოების ყრილობა იქნა მიჩნეული. ის ირჩევდა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც ყრილობათა შორის პერიოდში განაგებდა ხელისუფლებას. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი იწვევდა სესიას, რომელიც ირჩევდა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს. ეს უკანასკნელი კი სესიებს შორის მართავდა ქვეყანას. მთავრობას, რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს ქმნიდა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს წარმოადგენდნენ მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოები, მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს კი აღმინისტრაციული დაყოფის შესატყვისად არსებული აღმასკომები.

მესამე საკონსტიტუციო ეტაპი დაკავშირებულია 1922 წლის 13 დეკემბერს ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციულ-სოციალისტური რესპუბლიკის შექმნასა და კონსტიტუციის მიღებასთან. ეს კონსტიტუცია ერთნაირად ეხებოდა ამიერკავკასიის ყველა რესპუბლიკას.

1922 წლის 30 დეკემბერს შეიქმნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი. მასში საქართველო შევიდა როგორც ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის ერთ-ერთი წევრი. მისი ახალი სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრა საქართველოს სსრ საბჭოების IV ყრილობის მიერ 1927 წლის 4 აპრილს მიღებულ კონსტიტუციაში, რომელიც, თავის მხრივ, შეესაბამებოდა სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუციასა და ამიერკავკასიის ფედერაციის 1926 წლის კონსტიტუციას. სწორედ საქართველოს ამ კონსტიტუციაში, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებთან ერთად, პირველად იქნა ნახსენები „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“.

უფრო კონკრეტულად, 1921 წლის 4 მარტს რუსეთის ხელისშეწყობით შეიქმნა აფხაზეთის; ამავე წლის 16 ივლისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკები. რაც შეეხება ე.წ. სამხრეთ ოსეთის (საქართველოს ძირძველ ისტორიულ კუთხეს სამაჩაბლოს) ავტონომიურ ოლქს, ის შეიქმნა 1922 წლის 20 აპრილს.

როდესაც საბჭოთა კავშირში გამოცხადდა „სრული სოციალიზმის აშენება“, გაუქმდა ამიერკავკასიის ფედერაცია, მისი „ისტორიული როლის შესრულების გამო“ და 1936 წლის 5 დეკემბერს მიღებული იქნა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია,—საქართველო, სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან ერთად, პირდაპირ შევიდა სსრ კავშირის შემადგენლობაში, ხოლო მისი ახლად შეცვლილი სამართლებრივი მდგომარეობა აისახა საქართველოს სსრ 1937 წლის 13 თებერვალს საქართველოს საბჭოების VIII საგანგებო ყრილობის მიერ მიღებულ კონსტიტუციაში. კომუნისტური პარტიის მიერ გამოცხადებული იქნა, რომ 70-იანი წლების მეორე ნახევარში საბჭოთა კავშირი შევიდა განვითარებული სოციალიზმის მშენებლობის დამთავრების ფაზაში. ამასთან დაკავშირებით მიღებული იქნა ახალი 1977 წლის კონსტიტუცია. მის საფუძველზე კი 1978 წლის 15 აპრილს—საქართველოს სსრ კონსტიტუცია. იგი შედგებოდა შესავლის (პრეამბულის), თერთმეტი კარის, 22 თავისა და 185 მუხლისაგან. ამ კონსტიტუციაში ცვლილებები შევიდა 1984 წლის 7 იანვარს, 1986 წლის 5 ივლისს, 1989 წლის 18 ნოემბერს, 1990 წლის 20 მარტს და 18 აგვისტოს, 1990 წლის 14, 15, 22 ნოემბერს, 11-28 დეკემბერს, 1991 წლის 29 იანვარს, 27-28 თებერვალს, 20 მარტს. 14, 23, 27 აპრილს, 23 მაისს, 14 ივნისს, 25 ივლისს, 21, 26 აგვისტოს 11 და 30 ოქტომბერს¹. შესწორებული კონსტიტუციით „მთელი ძალაუფლება ხალხს ეკუთვნოდა“. ცვლილება განიცადა მე-6 მუხლმა. შემოღებული იქნა მრავალპარტიულობა. ეს იყო დემოკრატიის ნამდვილი გამარჯვება, დაკანონდა შერეული საკუთრება. შეიცვალა კონსტიტუციის 69-ე მუხლი, სადაც საუბარი იყო საქართველოს სსრ-ს საბჭოთა კავშირიდან თავისუფალ გასვლაზე. ეს უფლება „წმინდათაწმინდა და ხელშეუხებელი იყო“, ამ მუხლში აღნიშნული იყო, რომ „იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს სსრ განაცხადებდა საბჭოთა კავშირიდან თავისუფალ გასვლას და ამ გადაწყვეტილებას სსრკ უზენაესი საბჭო გააუქმებდა, საქართველოს სსრ გასულად ითვლებოდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან.

¹ იხ. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია, თბ., 1991 წ. გვ. 1.

ცვლილებები შეეხო 119-ე მუხლს, რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდა სრულიად ახალი დემოკრატიული ინსტიტუტი—კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტი.

1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიული არჩევნების შემდეგ, როცა სათავეში მოვიდა ახალი ხელისუფლება, შეიქმნა კონსტიტუციონში ახალი ცვლილებების შეტანის აუცილებლობა. ამას შედეგად მოჰყვა სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების სტრუქტურული ცვლილებები. შემოღებული იქნა პრეფექტებისა და საკრებულოების ინსტიტუტები.

1990 წლის 14 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი მოწვევის პირველ სესიაზე შეიცვალა კონსტიტუციის პრეამბულა, ემბლემა, დროშა, ჰიმნი. ქვეყნის სახელწოდებიდან ამოღებული იქნა სიტყვები „საბჭოთა სოციალისტური“. კონსტიტუციის შესავალში სწორი ისტორიული შეფასება მიეცა საბჭოთა კავშირში საქართველოს იურიდიულ მდგომარეობას. აქვე აღნიშნული იყო ის ძირითადი ეტაპები, რომლებიც ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ გაიარა 1921 წლიდან 1989 წლამდე.

საქართველოში 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებით დასრულდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი და დაიწყო ახალი გარდამავალი პერიოდი.

§3. თანამედროვე საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემები

თანამედროვე გარდამავალი პერიოდის ქვეყნებსა და მათ შორის საქართველოსაც ორიენტაცია სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობისაკენ აქვს აღებული. სამართლებრივი სახელმწიფოს¹ ცალკეული იდეები და მოთხოვნები სათავეს იღებს ანტიკური ეპოქიდან. ამ იდეათა ავტორებად ითვლებიან პლატონი, არისტოტელე, ციცერონი. ციცერონს მიაჩნდა, რომ სახელმწიფო არა უბრალოდ ხალხის გაერთიანებაა, არამედ სამართლებრივი წარმონაქმნი. ე.ი. სახელმწიფო არის თავისუფალ მოქალაქეთა იურიდიულად და სამართლებრივად გაფორმებულ ურთიერთობათა ერთობლიობა. სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფცია XIX საუკუნის I ნახევარში გერმანელმა იურისტებმა წამოაყენეს.

¹ სამართლებრივი სახელმწიფოს მოძღვრებას ქვემოთ ცალკე თავად განვიხილავთ.

ცნება სამართლებრივი სახელმწიფოს შესახებ ფართოდ გამოიყენება თანამედროვე ქვეყნების კანონმდებლობასა და სამეცნიერო ლიტერატურაში. გარდამავალი პერიოდის სახელმწიფოს ახასიათებს სწრაფვა სამი ძირითადი ნიშნისაკენ:

1. კანონის უზენაესობის დამკვიდრება;

2. ზრუნვა განვითარებული და ზუსტად ჩამოყალიბებული სამართლებრივი სისტემისათვის, რომელიც აწესრიგებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს, მათ შორის ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების გარანტიების განმტკიცება;

3. ხელისუფლების დანაწილების პრინციპი (უმაღლესი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება).

ამ პრინციპების შინაარსი, პირველ ყოვლისა, გამოხატავს სახელმწიფოს სამივე ხელისუფლების საქმიანობას სამართლის ფარგლებში, მის ერთგვარად შებოჭვას სამართლით, კანონით. ეს სამი ხელისუფლება აწონასწორებს და აკავებს ერთიმეორეს. ამიტომ, თვლიან, რომ „სამართლებრივია ისეთი სახელმწიფო, სადაც ზეიმობს კანონი, სადაც უზრუნველყოფილია კანონის უზენაესობა. მართალია, კანონებს, სამართლის ნორმებს სახელმწიფო ქმნის საზოგადოებრივი განვითარების მოთხოვნილებათა შესაბამისად, მაგრამ უკვე მიღებული კანონების დაცვა და მათ საფუძველზე მოქმედება, ცალკეულ პიროვნებებსა და ორგანიზაციებთან ერთად, პირველ რიგში, ეკისრება სახელმწიფოს მისი ორგანოების სახით. ამასთან მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, პიროვნების თავისუფლების უზრუნველყოფა. კანონი ერთნაირად ვრცელდება ყველაზე—რიგით მოქალაქეზე და ნებისმიერი თანამდებობის პირზე, ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, მათ შორის სახელმწიფოზეც და ა.შ. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სამართლებრივ სახელმწიფოში მოქალაქეებსა და სახელმწიფოს ერთმანეთის მიმართ აქვთ უფლებები და ამავე დროს ეკისრებათ ურთიერთპასუხისმგებლობა.“¹

სამართლებრივი სახელმწიფოები ჩამოყალიბდა XX საუკუნის მეორე ნახევარში თანამედროვე ცივილიზებულ ქვეყნებში. ამის დადასტურებაა ის გარემოება, რომ სამართალი გამოვიდა პოლიტიკის დაქვემდებარებიდან. იგი აღარ არის პოლიტიკის მსახური. მან მოიპოვა დამოუკიდებლობა, პირიქით, პოლიტიკა გახდა სამართლებრივი, იგი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კანონიერების ფარგლებში მისი მკაცრი დაცვით.

საქართველოში კონსტიტუციის მიღებამდე, შესაბამისი კონსტიტუ-

¹ გ. ინწკირველი, „სახელმწიფოსა და სამართლის თეორია“. თბ., 1998 წ. გვ. 108.

ციური ხასიათის ნორმები მოცემული იყო, პირველ რიგში, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის მიერ 1992 წლის 6 ნოემბერს მიღებულ კანონში „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“, მის შესავალ ნაწილში მითითებული იყო, რომ იგი „განსაზღვრავს ქვეყნის საგანგებო საშინაო და საგარეო მდგომარეობით განპირობებულ საქართველოს სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოების უფლებამოსილებას, მათი მოწყობისა და საქმიანობის წესს ახალი კონსტიტუციის მიღებამდე“.

კანონით, საქართველოს სახელმწიფოებრივი მმართველობის ფორმად მიჩნეული იყო რესპუბლიკა, რომელშიც სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, ხალხის მიერ არჩეული პარლამენტი ასრულებდა საკანონმდებლო, ხოლო უმაღლეს აღმასრულებელ-განმკარგულებელ ხელისუფლებას კი ახორციელებდა საქართველოს სახელმწიფოს მეთაური და საქართველოს მინისტრთა კაბინეტი. სახელმწიფოს მეთაური საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი თანამდებობის პირს წარმოადგენდა, რომელიც ხალხის მიერ მანამდე არჩეული იყო პარლამენტის თავმჯდომარედ. მინისტრთა კაბინეტი (მთავრობა) შედგება პრემიერ მინისტრის, მისი მოადგილეებისა და სხვა წევრებისაგან. საქართველოს რესპუბლიკის რაიონებში, ქალაქებში, ქალაქების რაიონებში, დაბებში, თემებში, სოფლებში ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოები იყო საკრებულოები, გამგეობები, გამგებლები, ე.წ. მესამე ხელისუფლებას საქართველოს რესპუბლიკაში განასახიერებდა სასამართლო-მართლმსაჯულების ორგანოთა სისტემა. სახელმწიფო ორგანოთა შორის ხელისუფლების შესახებ კანონი ითვალისწინებდა, აგრეთვე, ეროვნული უშიშროების და თავდაცვის საბჭოს არსებობას, რომლის ამოცანად განსაზღვრული იყო „ქვეყნის თავდაცვის, უშიშროებისა და წესრიგის უზრუნველყოფა“. იგი ანგარიშვალდებული იყო პარლამენტის წინაშე და მას თავმჯდომარეობდა სახელმწიფოს მეთაური¹.

1992 წლის ოქტომბერში საქართველოში ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები და უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო შეუდგა კანონშემოქმედებით საქმიანობას, მომზადდა წინა პირობები—მიღებულიყო ქვეყნის უზენაესი კანონი. საქართველოს პარლამენტმა 1993 წლის 16 თებერვალს მიიღო დადგენილება საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის

¹ გ. ინწკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია თბ., 1998 წ. გვ. 104-106.

შექმნისა და მის თავმჯდომარედ სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის დანიშვნის შესახებ. იმავე წლის 25 მარტს პარლამენტმა შექმნა საკონსტიტუციო კომისია 118 წევრის შემადგენლობით. 1995 წლის გაზაფხულზე კომისიის თავმჯდომარემ კონსტიტუციის ოფიციალური პროექტი შეიტანა საკონსტიტუციო კომისიაში, რომელიც შემდგომ პარლამენტს გადაეცა განსახილველად.

1995 წლის 24 აგვისტოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ მიიღო დამოუკიდებელი საქართველოს ახალი კონსტიტუცია, რომელიც ძალაში შევიდა 1995 წლის 26 ნოემბერს და მის საფუძველზე დაიწყო საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობის ახალი ეტაპი. კონსტიტუციის მიხედვით საქართველოში ხელისუფლების დანაწილების, სამივე შტოს ურთიერთკონტროლისა და გაწონასწორების პრინციპებზე დაფუძნებული ამერიკული ტიპის საპრეზიდენტო სისტემა ჩამოყალიბდა, ე.ი. პრეზიდენტიც და პარლამენტიც არჩეული არიან ხალხის მიერ. დაიწყო ახალი ეტაპი, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის ერთადერთი მისაღები ფორმა. სწორედ დემოკრატიული ღირებულებანი და სამართლებრივი სახელმწიფო წარმოადგენს თანამედროვე საქართველოს ისტორიულ არჩევანს, რაც საყოველთაოდ გაცხადებულია საქართველოს კონსტიტუციით.

კონსტიტუცია შედგება პრეამბულის, 9 თავისა და 109 მუხლისაგან. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციის ტექსტში პრეამბულა დასათაურებული და ცალკე გამოყოფილი არ არის, მაგრამ იგი აფიქსირებს რა საქართველოს მოქალაქეების ურყევ ნებას, გამოჰყოფს ექვს ფუძემდებლურ მიზანს, რომელთა რეალიზაცია ამ ნების საფუძველზე სახელმწიფოს მთავარ ამოცანად არის მიჩნეული. ეს მიზნები კი თავისთავად განსაზღვრავენ ქვეყნის საკონსტიტუციო რეფორმის არსს, რათა დაამკვიდრონ:

- დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება;
 - ეკონომიკური თავისუფლება;
 - სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო;
 - ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი;
 - სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა;
 - სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობა.
- პრეამბულაში ჩამოყალიბებული ეს მიზნები უდევს საფუძველად კონ-

სტიტუციურ ნორმებს და განსაზღვრავს კონსტიტუციის საერთო სულსკვეთებას.¹

პირველი თავი „ზოგადი დებულებები“ ქვეყნის საკონსტიტუციო მშენებლობის საერთო მნიშვნელობის საკითხებს მოიცავს, რომელთა ერთი ნაწილი კონსტიტუციის სხვა თავებისათვის და მთელი მოქმედი კანონმდებლობისათვის პირველადი ნორმატიული ბაზის დანიშნულებისაა, მაგალითად, როგორც მუხლი მე-7 ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ; ხოლო მეორე ნაწილი თავად წყვეტს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა—სახელმწიფო ენის, დედაქალაქის, სახელმწიფო სიმბოლოების, ეკლესიის აღიარების შესახებ. გაცხადებულია, რომ საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რომლის პოლიტიკური მოწყობის ფორმას წარმოადგენს დემოკრატიული რესპუბლიკა და სხვა საერთო საკითხები.

მეორე თავში „საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი“ ჩაწერილია, რომ საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება დაბადებით და ნატურალიზაციით, ხოლო საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე. აქვე, გარდა თავისუფლებისა და კანონის წინაშე ყველას თანასწორობის საერთო პრინციპისა, გარანტირებულია ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და პირადი უფლებების ფართო სპექტრი, რომელთა რეალიზაცია—ერთი მხრივ—უზრუნველყოფს მოსახლეობის აქტიურ ჩაბმას ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში, მეორე მხრივ—ისეთ სამართლებრივ მექანიზმებს ამკვიდრებს, რომლებიც რეალურად იცავენ პიროვნებას, მის კანონიერ ინტერესებს, სახელმწიფო ორგანოებისა თუ მოხელეთა უკანონო ჩარევისაგან. რაც შეეხება მოვალეობებს, აქ აღნიშნულია, რომ ყოველი პირი მოვალეა ასრულებდეს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთხოვნებს. ამასთან, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, კონსტიტუცია, ერთი მხრივ, აკანონებს საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა უფლებას—ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ; მეორე მხრივ, ხაზს უსვამს, რომ უმცირესობათა უფ-

¹ დას. იხ. ო. მელქაძე, საუბრები, ქართულ კონსტიტუციაზე, თბ., 1996 წ. გვ. 42-43.

ლებების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სუვერენიტეტს, სახელმწიფო წყობილებას, ტერიტორიულ მთლიანობასა და პოლიტიკურ დამოუკიდებულობას.

მესამე თავში, „საქართველოს პარლამენტი“, განსაზღვრულია მისი ფუნქციონირების ძირითადი პრინციპი სახელმწიფო ხელისუფლების სისტემაში, იგი პრეზიდენტთან და სასამართლოებთან ერთად, ახორციელებს მის კუთვნილ სახელმწიფო ხელისუფლებას ქვეყანაში, რომელიც „ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით“ (მ-54), რითაც გამიჯნულია ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი საკანონმდებლო ორგანოს ადგილი და როლი, მის მიერ საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შემუშავება, კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში მთავრობის საქმიანობის კონტროლის გაწევა და სხვა უფლებამოსილების განხორციელება. ე.ი. გამოდის კანონდამცველის როლში. პარლამენტის ფორმირება ხდება დემოკრატიული პრინციპების საფუძველზე, ოთხი წლის ვადით, პროპორციული სისტემით არჩეული 150 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 85 წევრისაგან, რომლებიც 25 წლის ასაკს მიღწეული და საქართველოს მოქალაქეები არიან. აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციის მე-4 მუხლის თანახმად („ზოგად დებულებებში“), ჩაწერილია შემდეგი: „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების შექმნისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირების შემდეგ საქართველოს პარლამენტის შემადგენლობაში იქმნება ორი პალატა: რესპუბლიკის საბჭო და სენატი“.

მეოთხე თავში „საქართველოს პრეზიდენტი“ დადგენილია, რომ ხელისუფლების ტრიადაში—პრეზიდენტი გამოკვეთილია, როგორც სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური, რაც სახელმწიფო მმართველობის სისტემის ორიენტაციის თვალსაზრისით საქართველოში ხელისუფლების წმინდა საპრეზიდენტო სისტემას დაამკვიდრებას მოასწავებს. მართალია, თავად კონსტიტუცია არ იძლევა საპრეზიდენტო რესპუბლიკის სტატუსის ფორმულას, ან თუნდაც განმარტებას ამის თაობაზე. უბრალოდ იგი წარმოდგინდება კონსტიტუციის შესაბამისი თავებისა და მუხლების ერთობლივი მოაზრების საფუძველზე. საქართველოს პრეზიდენტი წარმართავს და ახორციელებს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობას და მთლიანობას, სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობას კონსტიტუციის საფუძველზე, აგრეთვე, საქართველოს უმაღლესი წარმომადგენელია საგარეო ურთიერთობებში. პრეზიდენტს ხალხი ირჩევს

საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით ხუთი წლის ვადით. იგი უნდა იყოს საარჩევნო უფლების მქონე, დაბადებით საქართველოს მოქალაქე, 35 წლის ასაკამდე, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 15 წელი მაინც და ცხოვრობს არჩევნების დანიშვნის დღესაც.

მეხუთე თავში, „სასამართლო ხელისუფლება“, განსაზღვრულია, რომ სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და ხორციელდება მხოლოდ სასამართლოების მიერ საკონსტიტუციო კონტროლის, მართლმსაჯულებისა და კანონით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით. საკონსტიტუციო კონტროლს ახორციელებს საკონსტიტუციო სასამართლო. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 9 მოსამართლისაგან, რომელთაგან სამ წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, სამ წევრს ირჩევს საქართველოს პარლამენტი, სამ წევრს ნიშნავს უზენაესი სასამართლო. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა უფლებამოსილების ვადაა 10 წელი. საკონსტიტუციო სასამართლო თავისი შემადგენლობიდან 5 წლის ვადით ირჩევს თავმჯდომარეს. თავმჯდომარედ ერთი და იმავე პირის არჩევა ხელმეორედ დაუშვებელია. საერთოდ მართლმსაჯულებას კი ახორციელებენ სასამართლოები სამართალწარმოების დემოკრატიული პრინციპების საფუძველზე. მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება. მოსამართლის თანამდებობაზე გამწვსება ხდება არანაკლებ 10 წლის ვადით. მოსამართლის თანამდებობა შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა თანამდებობასთან და ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა პედაგოგიური მოღვაწეობისა. მოსამართლეებს ეკრძალებათ პოლიტიკური პარტიის წევრობა და საერთოდ პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობა. სასამართლო ხელისუფლების ერთ-ერთ დაწესებულებად კონსტიტუცია თვლის პროკურატურას, რომელიც ერთიანი ცენტრალიზებული სისტემაა და მას სათავეში უდგას საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით პარლამენტის მიერ ხუთი წლის ვადით დამტკიცებული გენერალური პროკურორი. პროკურატურა ახორციელებს მოკვლევას, სასჯელის მოხდას და მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას.

კონსტიტუციის მეექვსე თავში „სახელმწიფო, ფინანსები და კონტროლი“ მოწესრიგებულია სახელმწიფო ბიუჯეტის, სახელმწიფო გადასახადების, ფულად-საკრედიტო სისტემის, სახელმწიფო სახსრების და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებისა და ხარჯვის სა-

კითხები. ამ პრობლემათა გადაწყვეტა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კონტროლის პალატის უფლებამოსილების განუხრელად შესრულებაზე, რადგანაც კონტროლი კონსტიტუციაში განიხილება როგორც არა მხოლოდ უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი პრობლემა, არამედ როგორც კონსტიტუციური გარანტიის უმაღლესი მექანიზმი.

მეშვიდე თავში „სახელმწიფოს თავდაცვა“ განსაზღვრულია ქვეყნის მშვიდობისმოყვარე კურსი, სადაც სამხედრო ძალების სახეობებისა და შემადგენლობის, სამხედრო აღმშენებლობისა და ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციის საჭიროება არგუმენტირებულია ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულების მოტივით. ქვეყნის დაცვა და სამხედრო ვალდებულების მოხდა აღიარებულია საქართველოს მოქალაქის მოვალეობად.

მერვე თავში, „კონსტიტუციის გადასინჯვა“, რეგლამენტირებულია კონსტიტუციის ტექსტის შეცვლის წესი. შესაბამისი კანონპროექტის პარლამენტში შეტანის უფლებით სარგებლობენ: პრეზიდენტი, პარლამენტის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, არა ნაკლებ 200.000 ამომრჩეველი. ასეთი კანონპროექტი წარედგინება პარლამენტს, რომელიც აქვეყნებს მას საყოველთაო-სახალხო გადასინჯვისათვის და ერთი თვის შემდეგ თვითონ განიხილავს. გადასინჯვის კანონპროექტი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის ორი მესამედი.¹ კონსტიტუციის გადასინჯვის კანონს ხელს აწერს და აქვეყნებს საქართველოს პრეზიდენტი.

კონსტიტუციის მეცხრე თავი, „გარდამავალი დებულებები“, 6 მუხლისა და 17 პუნქტისაგან შედგება. ეს არის ნორმები, რომლებიც აწესრიგებენ სახელმწიფო-სამართლებრივი ურთიერთობის ზოგიერთ საკითხს, რომლებიც დაკავშირებულია კონსტიტუციის ძალაში შესვლასთან და სხვა.

გარდამავალი დებულებები ე.წ. გარდამავალი პერიოდის ძირითად ნორმატივებს მოიცავს და ითვალისწინებს ნორმებს არსებული კონსტიტუციონალური ინსტიტუტებისა და ორგანოების შეცვლის წესების და ვადების შესახებ.

გარდამავალ დებულებაში არის ერთი საგანგებო მუხლი (102), რომლის ამოქმედება უვადოა და დაკავშირებულია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე იურისდიქციის სრულ აღდგენასთან, როცა კონსტიტუციაში საერთოდ სერიოზული კორექტივები იქნება გასათვალისწინებელი. როგორც ჩანს, ამასთან არის დაკავშირებული ქვეყნის ტერიტორიული

¹ იხ. გ. ინწკირველი და ს.ხ. ნაშ. გვ. 107-108

სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხის გადაწყვეტაც, რაც მთლიანობაში თავად კონსტიტუციის დროებით ხასიათს განსაზღვრავს. ამას ადასტურებს ისიც, რომ კონსტიტუციაში განსაკუთრებულია, მაგრამ არცთუ ზღვარდადებულია გარდამავალი ნორმების მნიშვნელობა.¹

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის საფუძველზე 1996 წლის 16 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“, რომელმაც განსაზღვრა საქართველოს სახალხო დამცველის უფლებამოსილება, მისი საქმიანობის ძირითადი პრინციპები და ფორმები, სახალხო დამცველის უფლებამოსილების განხორციელების სამართლებრივი გარანტიები და მისი საქმიანობის მიმართულებები, კერძოდ:

— ზედამხედველობა გაუწიოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას საქართველოს ტერიტორიაზე, გამოავლინოს დარღვევის ფაქტები, ხელი შეუწყოს შელახული უფლებების აღდგენას;

— კონსტიტუციითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილ ფარგლებში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისა და სახელმწიფოს მიერ მათი უზრუნველყოფის მიზნით, ზედამხედველობა გაუწიოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, თანამდებობის და იურიდიულ პირთა საქმიანობას, შეაფასოს მათ მიერ მიღებული აქტები, მისცეს რეკომენდაციები და წინადადებები;

— გასწიოს საგანმანათლებლო საქმიანობა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სფეროში.

ადამიანის უფლებათა დაცვის ხაზით, ქვეყანაში შექმნილი რეალური მდგომარეობიდან გამომდინარე, აუცილებელი იყო დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით აღჭურვილი ეროვნული ინსტრუქციის შექმნა, რომელიც საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რეალურად შეძლებდა ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას. კანონმდებელმა გაითვალისწინა ეს აუცილებლობა და საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ კანონის მე-4 მუხლით განამტკიცა საქართველოს სახალხო დამცველის დამოუკიდებლობა: „საქართველოს სახალხო დამცველი დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს. რაიმე ზემოქმედება საქართველოს სახალხო დამცველზე ან ჩარევა მის საქმიანობაში აკრძალულია და ისჯება კანონით“.

¹ საქართველოში არსებული კონსტიტუციური რეჟიმი, პრობლემები და პერსპექტივები. იხ. საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრის ბიულეტენი №26 1999 წ. გვ. 40-46.

საქართველოს სახალხო დამცველის დამოუკიდებლობას მნიშვნელოვნად განამტკიცებს ის გარემოება, რომ იგი არ შედის აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემაში და არ არის ანგარიშვალდებული მის წინაშე, რაც, უდავოდ, ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული აღმშენებლობის მნიშვნელოვანი მონაპოვარია.

ეს არის თვისობრივად ახალი კონსტიტუციური ინსტიტუტი, რომელმაც ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში.

შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ კონსტიტუციური დებულება საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციის სწორედ იმ თავში, რომლითაც დამკვიდრებულია ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა ამსახველი კონსტიტუციური ნორმები. ამით აღიარებულ იქნა და საფუძველი ჩაეყარა ომბუდსმენის ინსტიტუტის შემოღებას საქართველოში. თავად სიტყვა „ომბუდსმენი“ შვედური წარმოშობისაა და იგი ვისიმე ინტერესების დაცვას ნიშნავს. ორი საუკუნის წინ სწორედ შვეციაში ჩამოყალიბდა ეს ინსტიტუტი. ამ სიტყვას ქართულად შესანიშნავი შესატყვისი აქვს—სახალხო დამცველი და იგი მოიაზრება, როგორც შუამავალი ხალხსა და ხელისუფლებას შორის.

§4. კანონისა და ჩვეულების (ადათის) თანაფარდობის პრობლემა ქართულ სამართალში

ჩვეულების (ადათის) და კანონის თანაფარდობის გარკვევის საკითხი ყოველთვის იყო სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის განხილვის საგანი.

ჩვეულებას (ანუ ადათს) უწოდებენ გარკვეულ ქვეყნის წესს, რომელიც საზოგადოებაში სტიქიურად ყალიბდება და მკვიდრდება ხანგრძლივი დროის მანძილზე მრავალჯერადი გამოყენების შედეგად, ხოლო საზოგადოების წევრები მას ასრულებენ გამომუშავებული ჩვევების გამო, შექმნილი ტრადიციის ძალით.

კანონის ცნების სხვადასხვა ვარიანტები არსებობს, მაგრამ ზოგადად კანონს უწოდებენ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ განსაკუთრებული წესით მიღებულ ნორმატიულ აქტს, რომელიც შეეხება ქვეყნის ცხოვრების საშინაო და საგარეო ურთიერთობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

კანონის ეს განსაზღვრება უფრო დამკვიდრდა სამართლის თეორიაში. ბუნებრივია, როცა კანონისა და ადათის თანაფარდობაზე ვსაუბრობთ, ადათი და კანონი ერთი წყაროდან არ წარმოდგებიან. მათ შორის ზოგიერთ პირობებში არის მსგავსება, მაგრამ ისინი ერთი მეორისაგან პრინციპულად განირჩევიან.

ადათი საზოგადოებრივი ცხოვრების შედეგია, კანონი კი შედეგია პოლიტიკური ცხოვრებისა. პირველი არასახელმწიფოებრივ ფორმებში ჩნდება, მეორე კი პირშო შეიღია სახელმწიფოსი“.

კანონისა და ჩვეულების თანაფარდობის საკითხით არაერთი ცნობილი მეცნიერი იყო დაინტერესებული, მათ შორის რუსი იურისტი და მკვლევარი მაქსიმ კოვალევსკი, რომლის დამსახურება დიდია ქართული და ზოგადად კავკასიური სამართლის შესწავლის საქმეში. როდესაც ჩვენს სასამართლოებში კავკასიის ადათის მიხედვით ვსჯით საქმეებს,—წერს მ. კოვალევსკი,—ურიგო არ არის ჩაუფიქრდეთ იმ წყაროს, საიდანაც გამომდინარეობს ეს ადათი. განა სამწუხარო არ აღმოჩნდება ის გარემოება, რომ როდესაც ჩვენ ვამართლებთ იმგვარ წესს, რომელიც ჩვენს ზნეობას ეწინააღმდეგება, „ხალხურ შეხედულებას ჭეშმარიტებაზედ“ კი არ ვუქვემდებარებთ ჩვენს საკუთარ მსჯელობას, არამედ ფეხქვეშ ვუვარდებით ფანატიკურ მხეცობას აღმოსავლეთის რომელსამე მოგვისას ან კიდევ ვცემთ პატივს ხაზართა, ჰუნთა, სპარსელთა ან ყაბარლოელთა დესპოტის თავხედობას. ჩვენი მდგომარეობა არა ნაკლებ უცნაური იქნება იმ შემთხვევაშიაც, როდესაც აღმოჩნდება, რომ ჩვენს მიერ მოწონებული ადათი მოსეს, რომაელთა, ბიზანტიელთა, სომეხთა ან ქართველთა სჯულიდან არის აღებული. ყველა ამ შემთხვევაში ჩვენ ვხდებით მსხვერპლად ნებაყოფლობითის დაბრმავებისა, ვხდებით მსხვერპლად ჩვენი სიყვარულისა იმისადმი, რაც ზეპირ გადმოცემაშია შენახული და არ არის ჩაწერილი და რაც ამის გამო ხალხის სიღრმიდან გამოსულ ჭეშმარიტებად გვეჩვენება. მეცნიერ იურისტებს, რომელნიც ცდილობდნენ რაციონალურად გაეგოთ კანონმდებლობის და სამართლის დანიშნულება, ბევრგვარი ცრუმორწმუნეობა ელობებოდათ გზაზე. ყველა ამ ცრუმორწმუნეობასთან ერთად საჭიროა გვასხოვდეს ერთი ცრუმორწმუნეობაც—ეს არის „განუსაზღვრელი თავყანისცემა ადათის წინაშე“. დროა შევიგნოთ, რომ ეგ ჩვეულება (ადათი) კანონისებრ შეიძლება შედეგი იყოს რელიგიური ფანატიზმისა, ძალმომრეობისა და თვითნებობისა; დროა გავიგოთ, რომ ეგ ადათი ყოველთვის არ ჰქმნის კანონს, პირიქით, იგია ხშირად კანონის. გამოსახულებაა, იმგვარ დაძველებული კანონისა, რომელიც იცავს გადაბირებულ იურიდიულ და

რელიგიურ აზრებსა და რომლის გაუქმება პროგრესისაკენ პირველი ნაბიჯი იქნება. დროა გავივით ისიც, რომ თანამედროვე კანონი, თანამედროვე სასამართლო და ადმინისტრაციული პრაქტიკა, რომელიც ძველ ჩვეულებებს ებრძვის, ნამდვილ კულტურულ საქმეს ასრულებს და საზოგადოებრივ განხორციელების საქმეში ძლიერი იარაღიცაა.¹

მ. კოვალევსკი, რა თქმა უნდა, ითვალისწინებს ჩვეულების (აღათის) მნიშვნელობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მაგრამ რაციონალურის და მისაღების სანქციონირების მომხრეა სახელმწიფოს მხრიდან. აქედან გამომდინარე, ძველი სამართალი ახლოს იდგა გვაროვნულ წყობილებასთან და ამდენად აღათის ელემენტებისაგან შედგებოდა. მაგალითად, მუსლიმანთა კანონმა, შარიათმა, ფართო გავრცელება პოვა დაღესტანში და აღათის ზეგავლენით განვითარდა შემდგომ და უფრო მაღალ საფეხურს მიაღწია. გვარების თვითგასამართლების, გაუთავებელ შურისძიებათა და მკვლელობათა ნაცვლად შარიათმა წამოაყენა თანაბარი შურისძიების პრინციპი, შარიათი მხოლოდ წინასწარ განზრახვით მკვლელობას სჯიდა. მან შეცვალა ხალხის შეხედულება პატიოსნებაზე, რომლის კრიტერიუმი ადრე შეურაცხყოფის შურისძიებით მორეცხვა იყო. შარიათის თანახმად კი ადამიანის ღირსება და პატიოსნება მოითხოვს შეურაცხყოფის შენდობას, ამასთანავე, შარიათი პასუხისმგებლობას აკისრებს იმ გვარს, რომლის წევრიც დანაშაულს ჩაიდენს. შარიათს და აღათს საერთო აზრი ჰქონდა ცოლქმრულ ურთიერთობაზე, ქმრის და მამის უფლებებზე, ცოლის ქონების ხელშეუხებლობაზე, განქორწინებაზე და სხვა. შარიათის მოძღვრება არსებითად არ ეწინააღმდეგებოდა აღათს. პირიქით, „შარიათი, თურმე იგივე განვითარებული აღათი ყოფილა და ამიტომ გავრცვლდა იგი დაღესტანში... საყურადღებო ის არის, რომ იგი კანონის დამოუკიდებლადაც ვითარდება. ამერიკელ ფერად კანიანთა ცხოვრებაზე არავითარი დაწერილი კანონი არ მოქმედებდა, მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ამერიკული ველური ტომი შარიათის მსგავს მოძღვრებამდე ამაღლდა“. ე.ი. აღათს დამოუკიდებელი განვითარების უნარი აქვს, ხოლო კანონი იმ შემთხვევაში იწყებს აღათის განვითარებას, როცა ის იმავე თვისებების არის, რა თვისებებისაც თვითონ აღათია. ისტორიულად ცნობილია, როცა კანონი არსებითად განსხვავდება აღათისაგან, ხდება პირიქით, აღათის მიმდევარი ხალხი ეწინააღმდეგება კანონის დამცველებს.

ძველი ქართული სამართალი ძირითადად ორი ელემენტისაგან შედ-

¹ М. Ковалевский "Законъ и обычай на кавказе" Т-11 1890 г. стр.15

გება: ერთი მათგანი გვაროვნული წყობილებიდან მომდინარე ადათები და ჩვეულებებია და იმ პერიოდში წარმოიშვა, როდესაც არ არსებობდა კერძო საკუთრება და სახელმწიფო, მეორე ელემენტი, ძველ სამართალში ფეოდალურმა საზოგადოებამ შემოიტანა და ძირითადად მეფეთა და მთავრთა დადგენილებებს შეიცავს.

სამცხე-საათაბაგოში მოქმედი კანონი, სახელდობრ, ბექა და ალბუღას სამართალი ძველი ადათების კრებულია და იგი მჭიდროდ უკავშირდება ჩვენი წინაპრების ჩვეულებითი სამართლის ნორმებს.

ბექას სამართლით, შვილს ნება ჰქონდა გაჰყროდა მამას, მაგრამ მამულის გაყოფა კი აკრძალული იყო. „სხვათა შორის—წერს ნ. ხიზანიშვილი,—გაყრაც გვიჩვენებს, თუ როგორ იყო მოწყობილი საათაბაგოს ოჯახი... საზოგადოდ აღიარებულია, რომ საგვარეულო ცხოვრება ხელს არ უწყობს გაყრას. ასე ყოფილა ძველად ყველგან, მაგალითად, ინდოეთში, ასეა ახლაც ჩვენს მთაში, ფეოდალობის დროს ევროპაში ხალხს უშლიდნენ გაყრას. ჩვენი სჯულმდებელი ვახტანგიც გაყრის წინააღმდეგი იყო და ამ აზრით დააწესა ბატონის სასარგებლოდ „გასამყრელო“. რას ამბობს ალბუღა?—თუმცა ათაბაგი გაყრას არავის უკრძალავდა, მაგრამ ოჯახის განცალკავებაც არ მოსწონდა. შვილს ნება აქვს მამას გაეყაროს, მაგრამ „მამულის გაყრას არ ემართლებისო“. რად არ შეიძლება მამულის გაყოფა? მიზეზი აქ ისაა, რომ საათაბაგოს ოჯახი დიდი და მრავალწევრიანი ოჯახია, რომელსაც საერთო და განუყოფელი მამული უნდა ჰქონოდა. ყველგან დიდი ოჯახობა საგვარეულო წყობილებისაგან წარმომდგარა და პატარა ოჯახი დიდისაგან გაჩენილა. განუყოფელი მამული საგვარეულო წყობილებისა და დიდი ოჯახის ხვედრია, პატარა ოჯახს, სახლს იგი არ მოეპოვება, რადგან ალბუღას დროს ოჯახი რომ არ დაპატარავებულყო, მამულის გაყოფა არ შეიძლებოდა. სხვა გზით ვერ აიხსნება, თუ რატომ „შვილი მამულის გაყოფას არ ემართლების“. თითქოს თვითონ ალბუღაც ამტკიცებს ჩვენს აზრს. მამულის გაყოფა ათაბაგს კერძო ჩვეულებად მიაჩნდა—„იქნების ალაგისა და გვარის წესი, რომ უმცროსს მამულოვნებით გაიყვანენ, თუ ცოლსა შეირთავსო“. მაშასადამე, მამულით „გაყვანას“ საზოგადო წესი უკრძალავდა და ამას იმიტომ, რომ დიდი ოჯახი შეადგენდა საზოგადო შინაურ წყობილებას, რომელიც მამულის გამოყოფას უარყოფს. ვახტანგ სჯულმდებელი თანაუგრძნობდა დიდ ოჯახობას და გაყრაც ამ მიზეზით გააძნელა, მაგრამ მის დროს დიდი ოჯახის საზოგადო წესი არ ყოფილა და მხოლოდ სანატრელ წესად გადაქცეულა. საათაბაგოს სამართა-

ლი ცხადად ამტკიცებს, რომ რაც შემდეგში სანატრელი შეიქმნა, ის წინათ ცხოველ ჩვეულებას შეადგენდა“.

ძველ სამართალში ასევე ფართო ასახვა ჰპოვა შურისძიების ადათმა. მან ამავე დროს სახე იცვალა და თანდათან დაემორჩილა გაბატონებული კლასების ინტერესებს. გვაროვნული წყობილების დროს არსებული სისხლის ალების წესი მოგვიანებით შეიცვალა ფულადი ჯარიმით, ანუ დაურევებით, ფულადი ჯარიმის გადახდის დროს გათვალისწინებული იყო სოციალური მდგომარეობა. შურისძიების გვაროვნულ წესს ასეთი ბედი ეწია უმრავლეს ქვეყანაში. მაგალითად, ძველ რუსეთში იაროსლავ ბრძენის სამართლის წიგნში—„რუსკაია პრავდა“ (მიღებული იქნა 1036 წელს) ჩაწერილი იყო, რომ დანაშაული გრინებით—ფულადი ერთეულით ფასდებოდა. „რუსკაია პრავდაში“ ნათლად ჩანს სოციალური უთანასწორობა ერთი მხრივ ხოლოპის, სმერდის, რიადოვიჩის, ზაკუპის, და მეორე მხრივ, ბოიარის, უფლისწული მთავრის სისხლის შეფასებისას. იგივე ბედი ეწია საქართველოში სისხლის ალების წესს. „ჟამთა ვითარების გამო,—წერს ურბნელი,—საგვარეულო შურისძიებას ფრთები ეკვეცება, ნელ-ნელა ძალა აკლდება და სავარჯიშო მოედანი უმცირდება. შურისძიება გვარიდან ოჯახზე გადადის, მერე ოჯახს თავს ანებებს და ახლო ნათესაებს სდევნის და დასასრულ მარტო პირდაპირ დამნაშავეს უღესავს თავის მახვილს“, ხოლო როცა მძევნვარე შურისძიება მოისპო, მაშინ გაჩნდა ე.წ. დაურევა (სისხლის მიცემა). „ძველ დროს დაურევა საზოგადო ჩვეულება ყოფილა“. უეჭველია, რომ საათაბაგოშიაც დაურევა შურისძიების შემდეგ შემოიღეს. ასე გასინჯეთ, დაურევების პირვანდელი ფორმაც კი ნაშთად შენახულა სამართალში და ცხადად ჩანს, რომ საათაბაგოშიაც დაურევებას იმავე გზით უვლია, როგორც სხვაგან... საათაბაგოშიაც ყველა დანაშაულს თავისი თეთრი გაუჩინეს და ამას გარდა, თეთრი მეტნაკლებობა „გვარსაზედ“ დააფუძნეს. ანალოგიურ პროცესს ჰქონდა ადგილი საქართველოს ყველა კუთხეში.

ასევე სვანეთის ისტორიულ ძეგლებში, სამართლებრივ პრაქტიკაში იყენებდნენ ცნებებს „საპატიო სვანის სისხლი“, ჯაფარიძის, იოსელიანის, ყიფიანის სისხლი და სხვა.

სისხლის ალების ჩვეულება პირველყოფილ საზოგადოებაში ყველაზე თანაბრად ვრცელდებოდა, განურჩევლად იმისა, სამაგიეროდ მიზღვევას ჰქონდა თუ არა ადგილი „ტალიონის“ წესის მიხედვით, რომელიც ფასეულობის გადახდის კომპოზიციის პრინციპით შეიცვალა. სახელმწიფოს წარმოშობის შედეგად ეს ჩვეულება გამოყენებული იქნა გაბატონ-

ნებული კლასების სასარგებლოდ, კერძოდ, გაბატონებული კლასის წარმომადგენლის მოკვლისათვის უფრო მეტი გადასახადი იყო დაწესებული, ვიდრე „მდაბიო“ ადამიანის სისხლისათვის.

სჯულმდებლობა ადათზე იყო დამყარებული და მრავლად და მრავლად შეიცავდა ჩვეულებითი სამართლის ნორმებს, დროთა ვითარებამ, იურიდიული მეცნიერების შემდგომმა წინსვლამ, დაადასტურა ამ შეხედულებათა სისწორე, დღეს უკვე აღარ დავობენ იმის შესახებ, რომ აღბუღასა და ვახტანგის სამართლის წიგნების წყაროს ჩვეულებითი სამართალი წარმოადგენს. ამას ადასტურებენ აკადემიკოს ი. დოლიძის, პროფესორ მ. კეკელიას და სხვათა გამოკვლევები. ამავე დროს, ჩვეულებითი სამართალი იმდენად მყარ ნიადაგს წარმოადგენდა ძველი სამართლის წიგნებისათვის, რომ მასზე უცხოურ კანონმდებლობას გავლენა ვერ მოუხდენია. პირიქით, ჩვეულებით სამართალს, მათი ზოგიერთი ნორმისათვის ეროვნული სული შთაუბერავს. საქმე იმაშია,—დაასკვნის პროფ. მ. კეკელია,—რომ უცხოური სამართლის ბევრი ნორმა თავიდანვე არ გაიზიარა, როგორც ვახტანგის წიგნმა, ისე სასამართლო პრაქტიკამ, ზოგიერთიდან კი მათ მხოლოდ საჭირო მარცვალი აიღეს, შეუგუეს ქართულ სინამდვილეს, რის შედეგადაც ამ ნორმათა დისპოზიცია თუ სანქცია ისე ჩამოყალიბდა, როგორც „ჩვეულებითი სჯულის“ ამა თუ იმ მუხლში ჩაწერილი. გ. ნადარეიშვილს გამოკვლეული აქვს, რომ XIV საუკუნის მესხეთში ერთმანეთისაგან ასხვავებდნენ „ალაგის წესს“, ტერიტორიით თემის წესჩვეულებას, „გვარის წესს“, საგვარეულო თემის ჩვეულებას და სამართალს, როგორც ზოგად ნორმებს.

სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ „ჩვეულებითი სჯულის“ გავლენა დიდი იყო ძველი სამართლის წიგნებზე და თითქმის იშვიათ შემთხვევაში სჯიდნენ საქმეს უცხოური სამართლის ნორმებით. ჩვეულებით სამართალს,—წერს ილია ჭავჭავაძე,—ჯერ კიდევ დიდი სამოქმედო ობიექტი გააჩნია, იმის გამო, რომ „ჯერ ეხლაც ხალხმა დაწერილი კანონისა არა იცის რა და სასამართლოში რომ მიხვიდეთ, შეიტყობთ, რომ მსაჯულები ადათითა და ჩვეულებით ხელმძღვანელობენ საქმის გადაწყვეტის დროს“. ილიას ზოგიერთ შემთხვევაში აუცილებლად მიაჩნია ადათობრივი სამართლის გამოყენება, რადგანაც ხალხის ცხოვრების ზოგიერთი ნიუანსი ძნელია კანონით იქნას განსჯილი.

ხალხის ისტორიის და ზნე-ჩვეულებების შესწავლის თვალსაზრისით ილია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ადათებს და ჩვეულებით სამართალს.

დროთა განმავლობაში კანონი კარგავდა ადათობრივ ხასიათს და იზრდებოდა განსხვავება ადათსა და მას შორის. უფრო სწორად, ერთი-

მეორეს უპირისპირდებოდა ადათისა და კანონის შინაარსი. თანდათან იკვეთებოდა და ძლიერდებოდა ძველი სამართლის „კანონისებური“ თვისებები. მასში ახალ იურიდიულ და პოლიტიკურ ნორმებს ვპოვებთ, რომლებიც არ იყო ჩვეულებითს სამართალში, მცირდება რა ადათობრივი სამართლის ნორმები, ელემენტები, კანონი კიდევ უფრო მტკიცედ იცავს გაბატონებული კლასების ინტერესებს. აქედან გამომდინარე, ადათის ბედი ბევრად გახდა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად შეესაბამება იგი მეფეთა და მთავართა ინტერესებს. თუ მთავრობის გაძლიერებისათვის სასარგებლოა ადათის განვითარება,—წერს ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე და სამართალმცოდნე არჩილ ჯორჯაძე,—ადათს არ სდევნიან, პირიქით, მის განვითარებას ხელს უწყობენ. ხოლო თუ ადათი მთავრობის პრესტიჟს ძირს უთხრის, მას სდევნიან და ავიწროებენ.

თავისი აზრის დასასაბუთებლად არჩ. ჯორჯაძე განიხილავს მეფის რუსეთის პოლიტიკას ჩრდილოეთ კავკასიაში. იგი მიუთითებს, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების რუსეთის შემადგენლობაში შესვლამდე მეფის მთავრობა მხარს უჭერდა მაკმადიანთა კანონს, შარიათს, რომელიც იგივე დაკანონებული ადათი იყო. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის თვითმპყრობელობის დამოკიდებულება შარიათის მიმართ პრინციპულად შეიცვალა. შამილის დამარცხების შემდეგ, რუსეთის მთავრობამ დაუწყო შარიათს დევნა, რათა ამით შამილის კვალი და გავლენა აღმოეფხვრა. სვანეთში შამილობა არ იყო და იქ ადათს სდევნიდნენ. ამ გარემოებამ მეცნიერ-იურისტები საგონებელში ჩააგდო, რადგანაც შარიათი გაცილებით მაღლა დგას ადათზე, დაღესტანში კი ადათს აძლევენ უპირატესობას. ის, რომ ადათის წინააღმდეგ გალაშქრება ხელსაყრელია სვანეთში, ხოლო მავნებელია დაღესტანში, ადათს რომ დევნა დაუწყონ, შარიათი გამეფდება, შარიათი კი „შამილობა“ და საფრთხე, შიში, აჯანყების შიში მოისპობაო. ნამდვილი მნიშვნელობა ამ პოლიტიკისა ასეთია, მისი მიზანია მმართველთა ძლიერების დამკვიდრება.

ადათისა და კანონის ურთიერთდაპირისპირება შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს:

—ძველი მართლმსაჯულება, ძველი დაწერილი კანონი, მჭიდროდ იყო დაკავშირებული ადათსა და ჩვეულებასთან, ხოლო რაც დრო გადიოდა, კანონსა და ადათს შორის განსხვავება იზრდებოდა;

—კავშირი ადათსა და კანონს შორის ორგანული არ იყო, ადათი და კანონი არსებითად ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს, რაც იმას ნიშნავს,

რომ ადათი საგვარეულო ცხოვრების ჩარჩოში აღორძინდა, კანონი კი პოლიტიკურ საზოგადოებაში;

—ადათი იყო ზნეობრივი და გონებრივი გამოსახულება ხალხის მისწრაფებათა, რომელიც ერთგვაროვან მატერიალურ პირობებში ცხოვრობდა, კანონი კი იყო ძლიერთა ხელში იარაღი უმრავლესობის დამონებისა. კანონი ვითარდება იმგვარ საზოგადოებაში, რომელმაც პირვანდელი ერთგვარობა დაკარგა და ეკონომიკური უთანასწორობა დაეჭყო;

—თავდაპირველად მეფენი, მთავარნი, ადათს თავიანთი ძლიერების გასამტკიცებლად იყენებდნენ, ამიტომაც არის, რომ მათ ადათი გაიხადეს საკუთარი კანონმდებლობის საძირკვლად, ხოლო ამასთან ერთად ამ კანონმდებლობაში შეაპარეს იმისთანა რამ, რაც ადათში არ იყო, რაც მას არღვევდა და ეწინააღმდეგებოდა და რაც იცავდა ახლად აღმოცენებულ ახალ წოდებათა ბატონთა ინტერესებს;

—ზოგიერთი ადათ-ჩვეულებების შესრულებას, რომლებიც ადრინდელი წარსულის მიუღებელ გადმონაშთს წარმოადგენდნენ, კანონმდებლობა კრძალავს და ცალკეულ შემთხვევაში, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხიც ღვება (მაგალითად, სისხლის აღების წესი);

—ახლად ჩამოყალიბებული ჩვეულებები უმეტესწილად ზნეობის ნორმების სახით მოქმედებენ საზოგადოებაში, ზოგიერთი გამონაკლისი იღებს სახელმწიფოებრივ სანქციას და იქცევა სამართლის ნორმად.¹

სამართლის უძველეს წყაროს ადათი წარმოადგენდა. ადათობრივი ნორმები წარმოიშვა ჯერ კიდევ პირველყოფილი თემური წყობილების დროს. ისინი წარმოადგენენ ქცევის საერთო წესს, რომელიც დამკვიდრდა ამა თუ იმ გვარში ან თემში ხანგრძლივი გამოყენების შედეგად. ქცევის საერთო წეს-ჩვეულებებით წესრიგდებოდა ადამიანთა ურთიერთობანი გვარონული წყობილების დროს. მაგრამ ადათების გამოყენება ემყარებოდა არა სახელმწიფოებრივ ძალას, რომლის არსებობა იმ დროს გამორიცხული იყო, არამედ გვარის ან თემის საზოგადოებრივი ხელისუფლების ავტორიტეტსა და მისდამი პატივისცემას.

ილია ჭავჭავაძე, მაღალ შეფასებას აძლევდა რა ჩვეულების სამართალს, ბუნებრივია, დაინტერესებული იყო მისი შესწავლით. „ჩვეულება,—წერს ილია,—ერისთვის იგივე სჯულია, იგივე კანონია, მხოლოდ დაუწერელი კი“.

კანონის წარმოშობის მიზეზებს ილია ჭავჭავაძე განიხილავს მიწათმფლობელობის ერთ-ერთ ფორმასთან—ხიზნობასთან კავშირში: ხიზ-

¹ დაწვრ. იხ. გ. ლობჯანიძე, ნარკვევები ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან ქუთ. 1998 წ. 319-369.

ნობა სხვისი მიწით სარგებლობას ნიშნავდა. მიწათმფლობელობის ანალოგიურ ფორმებს სხვადასხვა სახელწოდებებით ვხვდებით გერმანიაში, იტალიაში, რუსეთში, საფრანგეთში, ნიდერლანდებში, ინგლისში, პორტუგალიაში. ბუნებრივია, საზოგადოებრივი ურთიერთობა მიწათსარგებლობის პროცესში საჭიროებდა გარკვეულ სამართლებრივ ნორმებს, ხიზნობის დასაწყის ეტაპზე,—წერს ილია ჭავჭავაძე,—საზოგადოებრივი ურთიერთობები მიწით სარგებლობის პროცესში რეგულირდება ჩვეებით, შემდეგ კი ადათობრივი ნორმებით, ხოლო განსაზღვრული საფეხურის შემდეგ ადათობრივი სამართალი შეცვალა დაწერილმა კანონებმა, რამდენადაც კერძო საკუთრებას, რომელიც მომავალი საზოგადოების საძირკველი იყო, შეესაბამებოდა არა ადათი, არამედ კანონი.

„ილია ჭავჭავაძის აზრით, სამართალი წარმოადგენს საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირების უმთავრეს იარაღს“.

ჩერნიშევსკის მიაჩნია, რომ არსებულმა ეკონომიკურმა წინააღმდეგობებმა აიძულა საზოგადოება ჩამოეყალიბებინა ქცევის ნორმები, განესაზღვრათ თითოეული წევრის უფლება-მოვალეობანი. ილია იზიარებს ჩერნიშევსკის შეხედულებას კანონის წარმოშობის მიზეზებზე და მიუთითებს, რომ კანონი ეკონომიკურმა მოთხოვნებმა წარმოშვა და დამოკიდებული არ არის ადამიანის ნებაზე. ე. ი. კანონის წარმოშობა ობიექტურ კანონზომიერებას წარმოადგენს. ილია ჭავჭავაძე თავისებურად ხსნის სახელმწიფოს წარმოშობის მიზეზებს და მას საზოგადოებრივი შეთანხმების შედეგად თვლის. იგი არ მიჯნავს კლასობრივ ბრძოლას და კანონის კლასობრივ ხასიათს. აქვე უნდა აღვნიშნოთ,—წერს ვ. მეტრეველი, რომ ილია ჭავჭავაძესთან სამართლის წარმოშობა მეორე მხრივ განპირობებულია ზნეობრივი და სარწმუნოებრივი გრძნობით წარმომდგარი სამართლისაგან¹ (ისე, როგორც პ. მენთან,—გ.ლ.). სამართლის წარმოშობის ასეთი მიზეზი საბჭოურ მეცნიერებაში მიჩნეული იყო, როგორც იდეალისტური, დღევანდელი გაგებით კი ამ მიზეზებმაც დიდი როლი ითამაშეს სამართლის წარმოშობაში.

გარდა ამისა, ზნეობა და ზნეობით დადგენილი სიმართლე კლასობრივ საზოგადოებაში არ არის ერთიანი, იგი გაორებულია, მეტიც—კლასობრივ საზოგადოებაში, სამართლის გაორების გამო, ის, რაც გაბატონებული კლასისთვის სიმართლეა, ჩაგრულ კლასს უსამართლოდ მიაჩნია.

პირველყოფილ საზოგადოებაში რომ არ არსებობდა სამართალი და იგი მხოლოდ კლასობრივი საზოგადოებისთვისაა დამახასიათებელი, ეს

¹ ვ. მეტრეველი, ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე თბ., 1977 გვ. 27-29

ილია ჭავჭავაძესაც კარგად ესმოდა, ხოლო ზნეობა პირველყოფილ საზოგადოებაშიც არსებობდა და ამდენად ზნეობით დადგენილი სიმართლე რომ განაპირობებდეს სამართლის წარმოშობას, იგი პირველყოფილ საზოგადოებაშიც იარსებებდა.

ჩვეულებითი სამართლის სისტემები ფართოდ იყო გავრცელებული სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის შემდეგ, მათი არსებობის პირველ პერიოდში, როდესაც გაბატონებულ კლასს ჯერ კიდევ არ ჰქონდა სათანადო უნარი და გამოცდილება სახელმწიფო ხელისუფლების მეშვეობით ახალი ნორმების ჩამოყალიბებისათვის. იგი იყენებდა უკვე ცნობილ ჩვეულებებს, თავისი კლასობრივი ინტერესების შესაბამისად განმარტავდა მათ და საზოგადოების ყველა წევრისათვის სავალდებულოდ აცხადებდა. სწორედ ასეთი წესით იყო შექმნილი „თორმეტი ტაბულის კანონები“—რომში (V საუკუნე ძვ. წ.), „სალიკური სამართალი“—ფრანკთა სახელმწიფოში (V-VI სს) და „რუსკაია პრავედა“—ძველ რუსეთში (IX-XII ს.ს.).¹

ასეთია ჩვეულებებისა (ადათის) და კანონის თანაფარდობის საკითხი წარსულ და თანამედროვე ქართულ იურისპრუდენციაში.

¹ საქართველოს სახელმწიფო და სამართლის პრობლემის საკითხთან დაკავშირებით იხ. საქართველოს კონსტიტუცია თბ., 1995 წ. გ. ინწკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია თბ., 1998 წ. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია. ზ. ჯინჯოლავა, სადოქტორო დისერტაცია.

გ. ლობჯანიძე, ნარკვევები ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან. ქუთ. 1998 წ. მ. კეკელია, ეროვნულ ჩვეულებათა და ტრადიციათა ბუნებისათვის თბ., 1982 წ. ნ. ურბნელი, ათაბაგნი ბეჟა და ალბულა და მათი სამართალი 1890 წ. М. Ковалевский "Законы и обычаи на Кавказе" I, II 1890 г. გ. ნაღარეიშვილი ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან თბ., 1986 წ. ო. მელქაძე, საუბრები ქართულ კონსტიტუციაზე თბ., 1996 წ.

გ. უტიაშვილი, საკანდიდატო დისერტაცია ავტორიფერატი საქართველოს კონსტიტუციური მშენებლობის ეტაპები.

პარი მემორე

სახელმწიფოს თეორიის პრობლემები

თავი მუხუხსა

სახელმწიფოს არსისა და განვითარების კანონზომიერებათა
გაგების პრობლემები

§1. სახელმწიფო—როგორს საზოგადოებაში- პოლიტიკური მოვლენა

სახელმწიფომცოდნეობაში რთულ პრობლემას წარმოადგენდა სახელმწიფოს არსის განსაზღვრა, მისი ცნების ჩამოყალიბება, რადგანაც საუკუნეთა მანძილზე იცვლებოდა, როგორც ადამიანთა შეხედულება სახელმწიფოზე, მის როლსა და დანიშნულებაზე, ასევე თავად სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები. ამასთან არსებობს შემდეგი მიზეზები:

ეს ცვლილებები პირდაპირ და უშუალოდ ეხებოდა და ეხება საზოგადოების სხვადასხვა ფენას, კლასს, პოლიტიკურ პარტიასა და მოძრაობას.

სახელმწიფოს აკისრია ყველა სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციაზე მეტი ფუნქცია და მოვალეობა, მას ყველაზე მეტი გავლენა აქვს საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთობაზე.

სახელმწიფო ძალზე რთული და შინაგანად წინააღმდეგობრივი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენაა.

წინააღმდეგობრივი საზოგადოების პირშმო—სახელმწიფო თავადაც წინააღმდეგობრივი ხდება, ასეთივეა მისი საქმიანობა და სოციალური როლი. სახელმწიფო, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციის ფორმა, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს მისი მთლიანობა და მართვაობა, ასრულებს საზოგადოების მოთხოვნილებებით განპირობებულ ფუნქციებს, აქედან გამომდინარე, ემსახურება მის ინტერესებს. თუმცა, კლასობრივ-ანტაგონისტურ საზოგადოებაში სახელმწიფო ასრულებს საერთო-სოციალურ ფუნქციას, თავის საქმიანობას უმორჩილებს ეკონომიკურად ყველაზე ძლიერი კლასის ინტერესებს, მისი კლასობრივი დიქტატურის იარაღი ხდება და მკვეთრად გამოხატულ კლასობრივ

ხასიათს იძენს. ყველაზე უფრო მკაფიოდ სწორედ ამით ვლინდება სახელმწიფოს წინააღმდეგობრივი ხასიათი და სოციალური როლი. შემდგომში სამართლებრივი სახელმწიფო ახდენს კლასობრივი საზოგადოების ინტეგრაციას, იძენს სამოქალაქო საზოგადოების ფორმას, მთლიანად გამოხატავს ხალხის ნებას. ის არის მთელი ქვეყნის მოსახლეობის პოლიტიკური ორგანიზაცია საერთო ქონებითა და ინტერესებით. შეუძლებელია სახელმწიფოს გარეშე საზოგადოებრივი პროგრესი, ცივილიზებული საზოგადოების არსებობა და განვითარება.

სახელმწიფოს ისტორია განუყოფელია საზოგადოების ისტორიისაგან. ის მასთან ერთად გადის გრძელ ისტორიულ გზას განუვითარებლიდან განვითარებულისაკენ, ახალ ხასიათსა და თვისებებს იძენს. განუვითარებელ სახელმწიფოში ფართოდ არ იშლება და არ ვითარდება სახელმწიფო ინსტიტუტების მთელი კომპლექსი. არსებითად, იგი დაიყვანება პოლიტიკურ (სახელმწიფო) ხელისუფლებამდე, რომელიც, ძირითადად, იძულების აპარატს ეფუძნება. ცივილიზაციისა და დემოკრატიის გარკვეული დონის მიღწევის შედეგად სახელმწიფო თანდათან ვითარდება: ეკონომიკური და სულიერი ფაქტორების საფუძველზე უზრუნველყოფს ქვეყანაში ორგანიზებულობას და ახდენს იმ მთავარის რეალიზებას, რასაც ცივილიზაცია აძლევს ადამიანებს—ხალხის ხელისუფლებას, ეკონომიკურ თავისუფლებას, პიროვნების ავტონომიურ თავისუფლებას. ასეთ სახელმწიფოში ვითარდება ყველა მისი ინსტიტუტი და სტრუქტურა, მქლავდება მათი სოციალური პოტენციალი. ამასთან სახელმწიფოს შეცვლა და გაუმჯობესება თავისთავად არ ხდება—მას სხვადასხვა ეპოქისა და ქვეყნის ადამიანები გარდაქმნიან და შეცვლილ პირობებს უსადაგებენ, ამიტომ არსებობს საფუძველი საიმისოდ, რომ სახელმწიფო განვიხილოთ როგორც მსოფლიო ისტორიისა და ცივილიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევა.

ძალზე რთულია სახელმწიფოს ცნების, არსის, მრავალწახნაგოვნების, თვისებებისა და ხასიათის ყოველმხრივი ახსნა, ამ ამოცანის გადაჭრა მხოლოდ სახელმწიფოს კონკრეტულ-ისტორიული შესწავლით, ეკონომიკასთან, საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკურ და სულიერ ცხოვრებასთან მისი სხვადასხვაგვარი კავშირების გათვალისწინებით შეიძლება, ამასთან, მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული წარსულისა და აწმყოს მეცნიერული მიღწევები.

§2. სახელმწიფოს არსის შესახებ სხვადასხვა ღეჟინი

მოზროვნენი ძველი დროიდანვე ცდილობდნენ გაეცათ პასუხი კითხვაზე, თუ რა არის სახელმწიფო. ჯერ კიდევ ძველი რომაელი ორატორი, ფილოსოფოსი და პოლიტიკური მოღვაწე მარკუს ტულიუს ციცირონი სვამდა ამ კითხვას და იქვე პასუხობდა: „განა რა არის სახელმწიფო, თუ არა საერთო მართლწესრიგი“ ციცირონს მრავალი მიმდევარი ჰყავდა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ქვეყანაში—სამართლის ნორმატივისტული თეორიის ფუძემდებელი პ. კელზენი, რუსი ეკონომისტი და ფილოსოფოსი პ. სტრუვე და სხვები. რამდენადმე განსხვავებული პოზიცია ეკავა სამართლამცოდნე ნ. კორკუნოვს. ის ამტკიცებდა, რომ „სახელმწიფო არის თავისუფალი ადამიანების საზოგადოებრივი კავშირი იძულებით დამყარებული მშვიდობიანი წესრიგით, როცა იძულების განსაკუთრებული უფლება მხოლოდ სახელმწიფო ორგანოებს აქვთ მინიჭებული“.1 ერთი სიტყვით, მრავალი მეცნიერი სახელმწიფოს ახასიათებდა, როგორც მართლწესრიგის (წესრიგის) ორგანიზაციას და ამაში ხედავდა მის არსსა და მთავარ დანიშნულებას, მაგრამ ეს ამ ფენომენის მხოლოდ ერთ-ერთი ნიშანი გახლავთ.

დასავლეთის მეცნიერებაში ფართოდ გავრცელდა განსაზღვრება, რომ სახელმწიფო არის ადამიანების, მათ მიერ დაკავებული ტერიტორიისა და ძალაუფლების ერთობლიობა (კავშირი). ცნობილი სახელმწიფომცოდნე ლ. დიუგი გამოყოფს სახელმწიფოს ოთხ ელემენტს.²

- 1) ადამიანთა ინდივიდების ერთობლიობა;
- 2) გარკვეული ტერიტორია;
- 3) სუვერენული ხელისუფლება;
- 4) მთავრობა.

გ. შერშენევიჩის აზრით, „სახელწოდება სახელმწიფო გულისხმობს გარკვეულ საზღვრებში დამკვიდრებულ და ერთ ხელისუფლებას დამორჩილებულ ადამიანთა კავშირს“.³

ეს განსაზღვრება, რომელიც ასახავს სახელმწიფოს ზოგიერთ თვისებას (ნიშანს), სხვადასხვაგვარი განმარტებების საბაზად იქცა. მასზე დაყრდნობით ზოგიერთი ავტორი სახელმწიფოს ქვეყანასთან აიგივებდა, სხვანი—საზოგადოებასთან, მესამენი—იმ ადამიანთა წრესთან, რომელიც ძალაუფლებას ახორციელებს (მთავრობასთან). ნ. ალექსეევის აზრით, სახელმწიფოში იგულისხმება ტერიტორია, მოსახლეობა, ხელი-

¹ Коркунов Н. М. Русское государственное права спб 1904 Т с 27-28

² Дюги Д. Конституционное право М. 1908 г. стр. 100-101

³ Шершеневич Г. Ф. Общее учение о права и государства М, 1991 г. стр. 18

სუფლება და ორგანიზებული წესრიგი, ხალხი, ქვეყნის მოსახლეობა ყოველთვის განიხილება სახელმწიფოს სუბსტანციად.

ზემოხსენებულ განმარტებას არ ეთანხმებიან სამართლის ფსიქოლოგიური თეორიის მომხრენი: „სახელმწიფო არის არა გარკვეული სახის ადამიანთა ერთობლიობა, — ამტკიცებდა ფ. კოკოშკინი, — არამედ მათ შორის ურთიერთობა, თანაცხოვრების ფორმა, გარკვეული ფსიქიკური კავშირი“. მაგრამ „თანაცხოვრების ფორმა“, საზოგადოების ორგანიზაციის ფორმა — ესეც მხოლოდ ერთ-ერთი ნიშან-თვისებაა და არა მთლიანად სახელმწიფო.

ამ რთული და ცვალებადი საანალიზო მოვლენის დეფინიციის გამომუშავების სიძნელეებმა იმ წლებში შვა მოსაზრება, რომ მისი ფორმულირება საერთოდ შეუძლებელია, კერძოდ, მ. ვებერი წერდა: „რა არის სახელმწიფო? შეუძლებელია სახელმწიფო სოციოლოგიურად განისაზღვროს მისი საქმიანობის შინაარსთა საფუძველზე, რაკი თითქმის არ არსებობს ამოცანა, რომლის გადაწყვეტაც თავის თავზე არ აეღოს პოლიტიკურ კავშირს. მაგრამ, მეორე მხრივ, არც ისეთი ამოცანა არსებობს, რომლის შესახებაც შეიძლებოდა თქმულიყო, რომ მისი გადაწყვეტა ყოველ დროს მხოლოდ და მხოლოდ იმ პოლიტიკური კავშირის უფლებაა, რომელსაც დღეს სახელმწიფოს უწოდებენ“.²

სახელმწიფოს განსაზღვრა არაერთხელ უცდიათ კ. მარქსს და ფ. ენგელსს. მათი აზრით, ესაა „ის ფორმა, რომელშიც გაბატონებული კლასის წევრი ინდივიდები ახორციელებენ თავის საერთო ინტერესებს და რომელშიც თავს იყრის მოცემული ეპოქის სამოქალაქო საზოგადოება“. მრავალი წლის შემდეგ ენგელსმა ჩამოაყალიბა მოკლე, მაგრამ, მართლაც, ყველაზე კონფრონტაციული განსაზღვრებანი, რომლის თანახმად, „სახელმწიფო სხვა არფერია, თუ არა მანქანა ერთი კლასის მიერ მეორის დასათრგუნად“. ან კიდევ სახელმწიფო წარმოადგენს საზოგადოებაში გაბატონებული კლასის ეკონომიკურ მოთხოვნილებათა კონცენტრირებული ფორმით დაცვის პოლიტიკურ ორგანოს. ვ. ლენინმა რამდენადმე შეცვალა ეს განსაზღვრება: „ეს არის პოლიტიკური მანქანა ერთი კლასის ხელში მეორეზე ბატონობის შენარჩუნებისთვის“.

ორივე ფორმულირება ფართოდ იყო გავრცელებული მეცნიერებაშიც და ოფიციალურ პროპაგანდაშიც, მაგრამ მათი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ისეთ სახელმწიფოთა მიმართ, რომლებშიც წარმოიქმნება მა-

¹ Кокошкин Ф.Ф. Русское государственное право. 1908 стр. 3

² მაქს ვებერი „პოლიტიკა როგორც მოწოდება და ხელობა. თბ., 1994 წ. გვ.

ღალი კლასობრივი დაძაბულობა და პოლიტიკური ბრძოლა საზოგადოებას დანგრევით ემუქრება. სხვაგვარად, ამ განსაზღვრებებს, რომლებიც მიესადაგებიან ტირანულ და დიქტატორულ სახელმწიფოებს, წინა პლანზე გამოაქვთ მათი იძულებითი მხარე და ხელს უშლიან სახელმწიფოში ცივილიზაციის, კულტურის და სოციალური წესრიგის მნიშვნელოვანი ფენომენების დანახვას.

საინტერესოა ქართულ პოლიტიკურ და სამართლებრივ აზროვნებაში სახელმწიფოს შესახებ ჩამოყალიბებული დეფინიციები.

ცნობილია, რომ ივანე ჯავახიშვილი სახელმწიფოს არ განიხილავდა კლასობრივი ბატონობის იარაღად და ამდენად იგი არ მიჯნავდა ერთი მეორისაგან პირველყოფილ და მონათმფლობელურ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციებს:

ილია ჭავჭავაძე ლაპარაკობს მიწისმქონელთა და უმიწოთა ურთიერთდაკავშირებაზე ე.ი. მორიგებაზე, რასაც სახელმწიფოს წარმოშობის საფუძვლად მიიჩნევს.

ნიკო ნიკოლაძე სახელმწიფოს ცნებისა და არსის საკითხებზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ „სახელმწიფო არის კაცების კრება... ამ კრების საფუძველი, სიმაგრე და ნამდვილი ბუნება მიმზიდველი ძალა არის, ერთმანეთის დაცვაში და ერთად ცხოვრებაში. ყოველთვის და ყველგან სახელმწიფოს მიზნად ჰქონია ადვილად დაიცვას და ადვილად აცხოვროს ის პირები, რომლისგანაც თვითონ შემდგარა“¹.

არჩილ ჯორჯაძე თვლის, „სახელმწიფოს არსებობა შესაძლო გახდა მხოლოდ მაშინ, როდესაც გაჩნდა კერძო საკუთრება და როდესაც ტერიტორიასაც ადმინისტრაციული ერთეულის ხასიათი მიეცა.

იგი იძლევა სახელმწიფოს შემდეგნაირ განსაზღვრებას, „სახელმწიფო არ აღმოცენებულა თანაბარ უფლებიანი საზოგადოების ნიადაგზე, სახელმწიფომ ამოჰყო თავი იქ, სადაც დაირღვა თანაბრობა, განმტკიცდა უთანასწორობა. სოციალურ ჯგუფთა შორის სახელმწიფო იცნობს მოქალაქეს, ტერიტორიას და საკუთრებას, რომელსაც არ იცნობს გვაროვნული წყობილება“².

თანამედროვე სასწავლო ლიტერატურაში, სახელმწიფო, ჩვეულებრივ განისაზღვრება, როგორც განსაზღვრულ ტერიტორიაზე არსებული საჯარო ხელისუფლება, რომელიც ადგენს ქვეყნის სავალდებულო წესებს და განსაკუთრებული აპარატის მეშვეობით ახორციელებს თავის სუვერენულ უფლებამოსილებას, უზრუნველყოფს კანონიერებას, საზო-

¹ ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები თბ., 1932 წ. ტ. II გვ. 350-560.

² გ. ლობჯანიძე, ნარკვევები არჩილ ჯორჯაძის მსოფლმხედველობრივ სამართლებრივი ნააზრებიდან ქუთ., 1992 წ. გვ. 189-198

გადღობრივ წესრიგს და მთლიანობას. ან კიდევ: სახელმწიფო არის სპეციალური აპარატის მქონე საჯარო ხელისუფლების პოლიტიკურ-ისტორიული ორგანიზაცია, რომელსაც უნარი აქვს მის მიერვე გამოცემული ნორმატიული აქტები და დირექტივები სავალდებულო ჰყოს მთელი ქვეყნისათვის.¹ მოცემული დეფინიციები ახდენს სახელმწიფოს არსებითი თვისებებისა და ნიშნების სინთეზირებას, მაგრამ მასში სუსტადაა ასახული კავშირი სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის, ამიტომ მიგვაჩნია, რომ უფრო სრულყოფილი იქნება შემდეგი ფორმულირება: სახელმწიფო არის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმა რომელიც განსაკუთრებული აპარატისა და საჯარო ხელისუფლების მეშვეობით ახორციელებს თავის სუვერენულ უფლებამოსილებას, უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობას და მთლიანობას, ამყარებს საზოგადოებრივ წესრიგს, სამართალს ანიჭებს საყოველთაო სავალდებულო მნიშვნელობას, რომელიც არის მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, კანონიერებისა და მართლწესრიგის დაცვის გარანტი.

ამ განსაზღვრებაში აისახება სახელმწიფოს ზოგადი ცნება, მისი ყველა ნიშანი და თვისება, რაც თანამედროვე სახელმწიფოს უფრო მისადაგება. მასში ხაზგასმულია, რომ სახელმწიფო არის მთელი საზოგადოების, ქვეყნის ყველა მოქალაქის პოლიტიკური ორგანიზაცია. იგი ასრულებს საზოგადოებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ფუნქციებს, უზრუნველყოფს მის ერთიანობას და მთლიანობას, განაგებს უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ საქმეებს. ამავე დროს, სახელმწიფო (განსაკუთრებით სამართლებრივი) მოწოდებულია დაიცვას მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები, უზრუნველყოს საზოგადოებაში სამართალ და ჰუმანური მართლწესრიგი.

§3. სახელმწიფოს ნიშნები

სახელმწიფოს არსის გარკვევის დროს იურიდიულ და პოლიტიკურ ლიტერატურაში ხაზი ესმება, თუ ვის ეკუთვნის სახელმწიფო ხელისუფლება, ვინ და ვისი ინტერესების დასაცავად ახორციელებს მას. ამიტომ არის ეს საკითხი პრობლემატური.

საინტერესოა ელიტების თეორია.² რომელიც გაერცვლდა XX საუკუნეში, ვ. პარეტოს, გ. მოსკის,—ხ. ლასუელის, დ. სარტორის,

¹ ალ. შუმანაშვილი, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები. თბ., 1999 წ. გვ. 5.

² იხ. ა. ტუკაძე, პოლიტიკური ელიტა თბ. 1998 წ. გვ. 40.

ტ. დაის და სხვათა ნაშრომების მიხედვით. ხალხის მასებს არ აქვთ უნარი განაზოროციელონ ხელისუფლება, მართონ საზოგადოება, სახელმწიფო ხელისუფლება უკონტროლოდ უნდა ეკუთვნოდეს საზოგადოების ზედაფენას, ელიტას, მანამ, სანამ ერთ მმართველ ელიტას მეორე არ შეცვლის.

ელიტების თეორიას ესაზღრვება და დიდად ეხმარება ტექნოკრატიული თეორია: რომელიც XX ს. 20-იანი წლებიდან გავრცელდა ტ. ვებლენის, ვ. პარნაიმიის, გ. საიმონდოს, ი. ზელის და სხვათა გამოკვლევებში რომლის მიხედვით ძალაუფლება უნდა პქონდეთ, ანუ სახელმწიფო უნდა მართონ პროფესიონალ-მმართველებმა, მენეჯერებმა. მხოლოდ მათ აქვთ საზოგადოების ნამდვილი მოთხოვნილებების განსაზღვრის, მისი განვითარების ოპტიმალური გზების პოვნის უნარი.

ამ თეორიებს აქვთ გარკვეული ღირსებები, მაგრამ ორივეს კონცეფცია აშორებს ხელისუფლებას ხალხისაგან.

დემოკრატიული დოქტრინების მიმდევრები გამოდიან იქიდან, რომ ხელისუფლების პირველწყარო და პირველმატარებელი არის ხალხი, ამიტომ სახელმწიფო ხელისუფლება თავისი ბუნებით და არსით უნდა იყოს ჭეშმარიტად სახალხო, ხალხის ინტერესების დამცველი, რომელთა კონტროლითაც უნდა ხორციელდებოდეს იგი.

მარქსისტული თეორია ამტკიცებდა, რომ პოლიტიკური ძალაუფლება ეკონომიკურად გაბატონებულ კლასს ეკუთვნის და მისი ინტერესების დასაცავად გამოიყენება. აქედან ჩანს სახელმწიფოს კლასობრივი არსი, როგორც მანქანისა (იარაღისა), რომლის მეშვეობითაც ეკონომიკურად გაბატონებული კლასი პოლიტიკურად გაბატონებული ხდება და ახორციელებს თავის დიქტატურას, ანუ კანონით შეუზღუდავად, ძალასა და იძულებაზე დაყრდნობილ ძალაუფლებას.

სახელმწიფოს არსის ახსნა კლასობრივი მიდგომით მეცნიერული საზოგადოებათმცოდნეობის პრობლემაა. იგი აღმოაჩინეს და სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები ფართოდაც იყენებდნენ კ. მარქსამდე დიდი ხნით ადრე, მაგრამ ამ მიდგომის უპირობოდ გავრცელება ყველანაირ სახელმწიფოზე, სულ მცირე, თეორიულად მცდარია.

სახელმწიფოს საქმიანობის კლასობრივი ხასიათი, კლასობრივი მიმართულება მართლაც არის მისი არსებითი მხარე და დასაბამი. მაგრამ კლასობრივი წინააღმდეგობებით განპირობებული სახელმწიფო საქმიანობა გაბატონებულია მხოლოდ არადემოკრატიულ-დიქტატორულ სახელმწიფოებში, რომლებშიც საზოგადოების ერთი ნაწილი უღმობელ ექსპლუატაციას უწევს მეორეს. მაგრამ ამ შემთხვევაშიც, როდესაც

¹ იხ. Общая Теория права а. государства под. ред. В. Лазарева М. 1999 г. стр. 326.

წარმოიშობა მწვავე კლასობრივი კონფლიქტები, სახელმწიფო აკავებს კლასების ურთიერთგამანადგურებელ უნაყოფო ბრძოლას, საზოგადოების ნგრევას და ამით იცავს მის მთლიანობას. ამ შემთხვევაშიც სახელმწიფო გარკვეულ ფუნქციებს ასრულებს მთელი საზოგადოების ინტერესების სასარგებლოდ.

განვითარებულ დემოკრატიულ ქვეყნებში სახელმწიფო თანდათანობით იქცევა საზოგადოებრივი წინააღმდეგობების დაძლევის ეფექტურ მექანიზმად არა ძალადობისა და ჩახშობის გზით, არამედ საზოგადოებრივი კომპრომისის მიღწევით. ჩვენს დროში თვით სახელმწიფოს არსებობა დაკავშირებულია არა იმდენად კლასებთან და კლასობრივ ბრძოლასთან, რამდენადაც საერთო-სოციალურ მოთხოვნებთან და ინტერესებთან, რაც გულისხმობს სხვადასხვა, მათ შორის, წინააღმდეგობრივი, ძალების გონივრულ თანამშრომლობას. ეს არ ნიშნავს, რომ თანამედროვე სახელმწიფომ მთლიანად დაკარგა კლასობრიობა, იგი მხოლოდ მეორე პლანზე გადავიდა, უპირატესი კი საერთო-სოციალური მხარე გახდა. ასეთი სახელმწიფო თავის საქმიანობას სოციალური კომპრომისის უზრუნველყოფას, მთელი საზოგადოების საქმიების მართვას ახმარს.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დემოკრატიულ¹ სახელმწიფოში უფრო მნიშვნელოვანი ხდება მეორე, საერთო-სოციალური მხარე, ვიდრე პირველი, კლასობრივი. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს არსის ანალიზი მოითხოვს ორივე საწყისის გათვალისწინებას. ნებისმიერი მათგანის იგნორირებით ამ არსის დახასიათება ცალმხრივია.

სახელმწიფოსა და მის არსზე, საერთო-სოციალურ და კლასობრივ საწყისებთან ერთად, ხშირად დიდ გავლენას ახდენს ეროვნული ფაქტორები. ზოგჯერ სახელმწიფო ხელისუფლება ვიწრო ჯგუფის, კლასის ან ცალკეული პირების ხელში აღმოჩნდება და მათ ინტერესებს გამოხატავს. ჩვეულებრივ, ასეთი ხელისუფლება ნიღბავს თავის ინტერესებს, მათ საერთო-სოციალურად და საერთო-ეროვნულად ასაღებს, მაგრამ მისი არსებობის რეგლამენტი ძალზე მცირეა.

სახელმწიფოს ცნება, მისი მახასიათებლების დაკონკრეტება საბოლოო სახეს იღებს იმ ნიშნებსა და თვისებებში, რომლებიც განასხვავებენ მას, როგორც გვაროვნული წყობის, ასევე არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციებისაგან. სხვაგვარად, სახელმწიფოს ნიშნებისა და თვისებების ანალიზი ხაზს უსვამს მის უნიკალურ თვისებას—იყოს ქვეყნის ორგანიზაციის შეუცვლელი ფორმა და უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივ-

¹ დემოკრატია (ბერძ. Demokra(tia) ნიშნავს ხალხის ხელისუფლებას, იგი არის სახელმწიფოს ფორმა, რომლის დროსაც ხალხის უმრავლესობა მხარს უჭერს ხელისუფლების მართვის გადაცემას ხალხის ცალკეული წარმომადგენლებისათვის.

პოლტიკური ინსტიტუტი. ეს ნიშნები და თვისებები შეგვიძლია ასე ჩამოვაყალიბოთ:

1. მოსახლეობის ტერიტორიული ორგანიზაცია და ტერიტორიულ საზღვრებში ხელისუფლების განხორციელება. სახელმწიფომდე საზოგადოებაში ინდივიდის მიკუთვნება ამა თუ იმ გვარისადმი განპირობებული იყო სისხლისმიერი ან სავარაუდო ნათესაობით. ამასთან, ხშირად გვარს არ გააჩნდა მკაცრად განსაზღვრული ტერიტორია და ერთი ადგილიდან მეორეზე გადაინაცვლებდა. სახელმწიფოებრივ-ორგანიზებულ საზოგადოებაში მნიშვნელობას ჰკარგავს მოსახლეობის სისხლისმიერ ნათესაობითი და იგი ტერიტორიული ორგანიზაციის პრინციპით შეიცვალა.

სახელმწიფოს აქვს მკაცრად ლოკალიზებული ტერიტორია, რომელზეც ვრცელდება მისი სუვერენული ძალაუფლება, მასზე მცხოვრები მოსახლეობა კი იქცევა სახელმწიფოს ქვეშევრდომებად ან მოქალაქეებად, ამგვარად წარმოიქმნება სახელმწიფოს სივრცითი საზღვრები, რომელშიც ჩნდება ახალი სამართლებრივი ინსტიტუტი—ქვეშევრდომობა ან მოქალაქეობა.

მოსახლეობის ტერიტორიულ ორგანიზაციასთან დაკავშირებულია არა მხოლოდ სახელმწიფოს წარმოქმნა, არამედ ცალკეული ქვეყნების ჩამოყალიბების დაწყებაც. ამიტომაც, ამ პოზიციიდან ცნებები „სახელმწიფო“ და „ქვეყანა“ ბევრ რამეში ემთხვევა ერთმანეთს.

არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციებისაგან (პროფკავშირი, პოლიტიკური პარტია) სახელმწიფო განსხვავდება იმით, რომ გამოდის ქვეყნის მთელი მოსახლეობის სახელით და ავრცელებს მასზე თავის ძალაუფლებას.

2. საჯარო (სახელმწიფო) ხელისუფლება. საჯარო ეწოდება იმიტომ, რომ თუმცა არ მოიცავს მთელ საზოგადოებას, მაგრამ გამოდის მისი სახელით, მთელი ხალხის სახელით.

ხელისუფლება არსებობდა სახელმწიფომდე საზოგადოებაშიც, მაგრამ ეს იყო უშუალოდ საზოგადოებრივი ხელისუფლება, რომელიც გამომდინარეობდა მთელი გვარისაგან და გამოიყენებოდა მის მიერ თვითმმართველობისათვის. იგი არ საჭიროებდა არც მოხელეებს და არც არავითარ აპარატს. საჯარო ხელისუფლების პრინციპული თავისებურება არის ის, რომ იგი ხორციელდება სახელდობრ მოხელეებით, ანუ მმართველობის პროფესიული ფენით, რომლითაც კომპლექტდება მმართველობისა და იძულებითი ორგანოები (სახელმწიფო აპარატი), რომლის გარეშე სახელმწიფო ხელისუფლება იქნებოდა მხოლოდ აჩრდილი, წარმოსახვა, ცარიელი ასბტრაქცია.

სახელმწიფო ორგანოებსა და დაწესებულებებში განსახიერებული

საჯარო ხელისუფლება ხდება სახელმწიფო ძალაუფლება, ანუ რეალური ძალა, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო იძულებას, ძალდატანებას. იძულების რეალიზაციაში გადამწყვეტი როლი ეკუთვნის შეიარაღებული ადამიანების რაზმებს და სპეციალურ დაწესებულებებს (არმიას, პოლიციას, ციხეს და სხვა).

საჯარო ხელისუფლებასთან დაკავშირებულია საგადასახადო სისტემა, რომელიც არის სხვადასხვა სახის გადასახადთა ერთობლიობა, მათი აგების და გამოთვლების მეთოდებით, რითაც უზრუნველყოფილი ხდება სახელმწიფო აპარატის შენახვა და სხვადასხვა სოციალური სფეროების დაფინანსება. გადასახადების გარეშე არც ერთ სახელმწიფოს არსებობა არ შეუძლია, თუმც იგი ატარებს იძულებით ხასიათს და მძიმე ტვირთად აწევს განსაკუთრებით ეკონომიკურად განუვითარებელი და გარდამავალი ქვეყნების მოსახლეობას.

3. სახელმწიფო სუვერენიტეტი. ცნება „სახელმწიფო სუვერენიტეტი“ გაჩნდა შუა საუკუნეების დასასრულს, როდესაც საჭირო გახდა საეკლესიოსაგან სახელმწიფო ხელისუფლების გამოყოფა და მისთვის განსაკუთრებული, მონოპოლური მნიშვნელობის მინიჭება. ამჟამად სუვერენიტეტი სახელმწიფოს აუცილებელი ნიშანია. ქვეყანა, რომელსაც არ გააჩნია სუვერენიტეტი, არის ან კოლონია ან დომინიონი.

სუვერენიტეტი, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების თვისება (ატრიბუტი), მდგომარეობს მის უზენაესობაში, თავისთავადობასა და დამოუკიდებლობაში.

იურიდიულ და პოლიტიკურ ლიტერატურაში ორ მთავარ ასპექტში განიხილავენ სახელმწიფო სუვერენიტეტის საკითხს. ესენია: სახელმწიფო სუვერენიტეტი ქვეყნის შიგნით და სახელმწიფო სუვერენიტეტი საერთაშორისო ურთიერთობებში. არსებობს სახალხო სუვერენიტეტი და ეროვნული სუვერენიტეტი, რომლებიც განსხვავდებიან სახელმწიფო სუვერენიტეტის ცნებებისაგან.

სახელმწიფო ხელისუფლების უზენაესობა ქვეყნის შიგნით ნიშნავს:

ა) უნივერსალურია მისი ხელისუფლებრივი ძალა. იგი ქვეყნის მთელ მოსახლეობაზე, ყველა პარტიასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციაზე ვრცელდება;

ბ) პრეროგატიულია (სახელმწიფო ხელისუფლებას შეუძლია აღკვეთოს სხვა საზოგადოებრივი ძალაუფლების ნებისმიერი გამოვლინება, თუ ეს უკანასკნელი კანონს არღვევს);

გ) აქვს ზემოქმედების ისეთი საშუალებები, როგორიც არ გააჩნია არც ერთ სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციას (არმია, პოლიცია, ციხე და სხვა).

სახელმწიფო სუვერენიტეტი საერთაშორისო ურთიერთობაში გუ-

ლისხმობს სახელმწიფო ხელისუფლების შესაძლებლობას, დამოუკიდებლად განახორციელოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა.

ა) თანამედროვე საერთაშორისო სამართლით აღიარებული პრინციპის, გაეროს წესდების შესაბამისად განახორციელოს საგარეო პოლიტიკა და არ დაუშვას თავის საქმეში სხვა სახელმწიფოს ჩარევა.

ბ) სახელმწიფომ (დიდია თუ პატარა) თვითონ გადაწყვიტოს ტერიტორიის დამოუკიდებლობის, უშიშროების, მისი ხელშეუხებლობის და ხალხისათვის სასურველი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წესწყობილების დამყარების საკითხი.

სახალხო სუვერენიტეტი ეწოდება ამა თუ იმ ქვეყნის მთელი მოსახლეობის შესაძლებლობას და უფლებას თვითონ გადაწყვიტოს საკუთარი ცხოვრების და ქვეყნის ბედის საკითხი.

ეროვნული სუვერენიტეტი ნიშნავს ერის თვითგამორკვევის უფლებას, ე.ი. შესაძლებლობას დამოუკიდებლად გადაწყვიტოს თავისი მდგომარეობა სხვა ერებთან ურთიერთობაში.

სახელმწიფო ხელისუფლების თავისთავადობა და დამოუკიდებლობა, ნებისმიერი სხვა ძალაუფლებისაგან, ქვეყნის შიგნით თუ გარეთ, გამოიხატება მისი განსაკუთრებული, მონოპოლიური უფლებით—თავისუფლად გადაწყვიტოს ყველა საკითხი.

საბჭოთა კავშირსა და სხვა ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში სახელმწიფო ხელისუფლება არ იყო არც უზენაესი, არც თავისთავადი, არც დამოუკიდებელი, რადგან მასზე მაღლა პარტიული ძალაუფლება იდგა. სახელმწიფო კი ცხოვრებაში ატარებდა მის (პარტიის) ღირეპტივებს, იყო მმართველი პარტიის აღმასრულებელი ინსტრუმენტი. ეს ყველაფერი ასუსტებდა სახელმწიფო ხელისუფლებას, რაც საზოგადოების და თვით სახელმწიფოს ღრმა კრიზისის ერთ-ერთ მიზეზად იქცა.

4. სახელმწიფოს და სამართლის უწყვეტი კავშირი. სამართალი იურიდიულად აფორმებს სახელმწიფოს, სახელმწიფო ხელისუფლებას და ამით მათ ლეგიტიმურს, ანუ კანონიერს ხდის. სახელმწიფო თავის ფუნქციებს სამართლებრივი ფორმებით ახორციელებს. სამართალი სახელმწიფოს და სახელმწიფო ხელისუფლების ფუნქციონირებას აქცევს კანონიერების ჩარჩოში, უმორჩილებს მათ კონკრეტულ სამართლებრივ რეჟიმს. სამართლისადმი სახელმწიფოს ასეთი დამორჩილების შედეგად ფორმირდება დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფო.

§4. სახელმწიფოს მენიერული საფუძვლები

სახელმწიფოს არ შეუძლია არსებობა, ფუნქციონირება და განვითარება ეკონომიკური უზრუნველყოფის გარეშე, რაც, ჩვეულებრივ, გულისხმობს ამ საზოგადოების ეკონომიკურ წარმოებით ურთიერთობათა სისტემას, მასში არსებული საკუთრების ფორმებს, რაზედაც დიდად არის დამოკიდებული საკუთრივ სახელმწიფოს ფინანსურ-ეკონომიკური საფუძველი (ბიუჯეტი). მსოფლიო ისტორია მოწმობს, რომ სახელმწიფოს განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა ეკონომიკური საფუძველი ჰქონდა და სხვადასხვაგვარად ჰქმნიდა ეკონომიკას, რაც ფაქტიურად მის შინაარსს და ტიპობრიობას განაპირობებს.

ადრეული კაპიტალისტური სახელმწიფო ეყრდნობოდა თავისუფალ (სტიქიურ) საბაზრო ეკონომიკას, შეუზღუდავად გაბატონებულ კერძო საკუთრებას. ამ უკანასკნელამდე წარმოიქმნა მწვავე კლასობრივი ბრძოლა, პროლეტარიატის რევოლუციური გამოსვლები, სტიქიური ბაზარი, დამანგრეველი კრიზისები. XX საუკუნის მეორე ნახევრის დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებების შედეგად, საზოგადოებრივი ზემოქმედებით, მნიშვნელოვნად გაძლიერდა სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მოწესრიგება ეკონომიკურ სფეროში, რამაც გამოიწვია კარდინალური ცვლილებები, კერძო კაპიტალის გვერდით გაჩნდა და განვითარდა სახელმწიფოებრივი, კოოპერატიული და სააქციო საკუთრება.

სახელმწიფო ფართოდ იყენებდა მართვის ისეთ მეოთხედს, როგორცაა დაგეგმვა და ეკონომიკური პროცესების პროგნოზირება, სიღრმისეული საფინანსო-საგადასახადო და საკრედიტო პოლიტიკის გატარება. ყველაფერმა ამან განაპირობა ის, რომ სახელმწიფომ შეიძინა ახალი ძირითადი ფუნქცია—ანტიკრიზისული პოლიტიკის თვალსაზრისით ეკონომიკის რეგულირება. სახელმწიფომ ეკონომიკურის პარალელურად დაიწყო სოციალური ფუნქციის შესრულებაც—საქენსიო კანონმდებლობის მიღება, უმუშევართა დახმარების დაწესება, მინიმალური ხელფასი და ა.შ. სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი რეგულირების შედეგად საზოგადოებას, ასე ვთქვათ, მეორე სუნთქვა გაეხსნა. ასეთ საზოგადოებას და სახელმწიფოს უსაფუძვლოდ არ უწოდებენ პოსტკაპიტალისტურს.

სხვანაირად იყო საქმე საბჭოთა სახელმწიფოში. ის ეყრდნობოდა გეგმიურ ეკონომიკას, საერთო-სახალხო სახელმწიფო საკუთრებას, რასაც შეუზღუდავად მართავდა, თანდათანობით საერთო-სახალხო საკუთრება საარვისოდ გადაიქცა, შვა მფლანგველობა და უგერგილობა, რამაც, საბოლოო ჯამში, ღრმა ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია. ეს

გვაძლევს უფლებას დავასკვნათ, რომ კერძო და სახელმწიფო საერთო-სახალხო (საზოგადოებრივი) საკუთრება თავისი ბუნებით პოლარულ-ლია, თითოეულ მათგანს აქვს ღირსებაც და ნაკლიც. ისტორიული გამოცდილება გვინჩვენებს, რომ თანამედროვე სახელმწიფოს ოპტიმალურ ეკონომიკურ საფუძველად გამოდგება სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა¹, რომელიც ეყრდნობა საკუთრებას მათი უპირატესობა კი თანაბარ პირობებში ურთიერთკონკურენციით მტკიცდება.

სახელმწიფოს სოციალურ საფუძველს შეადგენს საზოგადოების ის ფენები, კლასები და ჯგუფები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მისით და აქტიურადაც უჭერენ მხარს, სწორედ მათ ეყრდნობა სახელმწიფო. მაშასადამე სოციალური ბაზის სიფართოვეზე, საზოგადოების აქტიურობაზეა დამოკიდებული სახელმწიფოს ძალა და ძლიერება, უნარი, გადაჭრას მის წინაშე მდგარი ამოცანები. ქვეყანა, რომელსაც ვიწრო სოციალური ბაზა აქვს, სოციალურად არამდგრადია, ჩვეულებრივ, ეყრდნობა ძალადობას, ტყუილს. ასეთ სახელმწიფოში შესაძლებელია სხვადასხვაგვარი გადატრიალება. ნებისმიერ სახელმწიფოს და სახელმწიფო ხელისუფლებას აუცილებლად სჭირდება, რომ ხალხს სწამდეს მისი სიძლიერისა და სამართლიანობისა. სახელმწიფო ხელისუფლების პრესტიჟი ეფუძნება მის მიმართ მოსახლეობის ფართო ფენების ნდობას. ხელისუფლების სოციალურ-ფსიქოლოგიური არსი მისი ნდობითა და პატივისცემით განისაზღვრება. სწორედ აქ არის დაფარული ხელისუფლების ის ღრმა საიდუმლო, რომლის შესახებაც წერდა ილია ჭავჭავაძე. სიმტკიცე სახელმწიფოსი, რაც გინდა დიდი და ძლიერი იყოს, უნდა ეყრდნობოდეს ქვეყნის მთელ მოსახლეობას, არა ერთსახეობას და ერთფეროვნებას.²

ხალხის მიერ სახელმწიფოს მხარდაჭერა შეიძლება იყოს შეგნებული და შეუგნებელი. უკანასკნელი, ჩვეულებრივ, ეყრდნობა პოპულიზმის პოლიტიკის, სახელმწიფო მოღვაწეთა დაპირებებით გამოწვეულ მითებსა და ემოციებს, შეგნებული მხარდაჭერა კი სახელმწიფოს, მისი ორგანოების საქმიანობის ყოველმხრივი შეფასების შედეგია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თანამედროვე სახელმწიფო ხანგრძლივი ისტორიის პროდუქტი, კაცობრიობის გენიის ერთ-ერთი უდიდესი ქმნილებაა. ის თავის საქმიანობაში არ შეიძლება ეყრდნობოდეს ცდებისა და ექსპერიმენტების მეთოდს, მაშასადამე, მისთვის აუცილებელია სამელო მეცნიერული ფუნდამენტი. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა

¹ იხ. ნ. ჭიანავა, გარდამავალი პერიოდის სოციალ-ეკონომიკური პრობლემები თბ., 1987 წ. გვ. 47-50.

² ილია ჭავჭავაძე, თხზულებები, ტ. VIII გვ. 139.

დიდი გავლენა მოახდინა მთელს მსოფლიოში სახელმწიფოებრიობის განვითარებაზე კონცეფციებმა სამართლებრივი სახელმწიფოს, ხელისუფლების დანაწილების, სახალხო სუვერენიტეტის და ა.შ. შესახებ. მსოფლიო გამოცდილება მოწმობს, რომ სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის თითოეული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება და მოქმედება მოითხოვს ღრმა და ყოველმხრივ დამუშავებას, მეცნიერულ ექსპერტიზას, რათა შესაძლო ვარიანტიებიდან ყველაზე ოპტიმალური ამოირჩეს. განსაკუთრებით ქართული სახელმწიფოებრიობისათვის, რადგანაც ე.წ. აღმშენებლობები, მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტები, განახლებანი, გარდაქმნები, რომლებიც არამეცნიერულ საფუძველზე ტარდებოდა და ნეგატიური შედეგებით მთავრდებოდა. თანამედროვე მიდგომით სახელმწიფოს მასშტაბით ერთიანი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, ეკოლოგიური სივრცის ფორმირებას და შექმნას აქვს გადაწყვეტი მნიშვნელობა. ქვეყნის არავითარ ეკონომიკურ განვითარებაზე არ შეიძლება ლაპარაკი, ისეთ სახელმწიფოში, სადაც თითოეული ტერიტორიული ერთეულის დონეზე თანაბრად არ სრულდება კონსტიტუციური და საერთო საკანონმდებლო მოთხოვნები. თუ მოსახლეობას არ შეუძლია მიიღოს დაწესებული ერთიანი სოციალური სიკეთის მინიმუმი და არ აქვს საშუალება რეალიზაცია უყოს ერთიან პოლიტიკურ უფლებებს, ქვეყნის მასშტაბით ვერ უზრუნველყოფთ ვერავითარ მდგრადობის დაბალანსებას, სოციალურ პროგრესს თუ სოციალურ-ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სხვა პარამეტრებით წარმატებებს. რეგიონები საშუალოზე დაბალი მაჩვენებლებით თუ ხასიათდებიან, მაშინ სახელმწიფოში არიან აყვავებული და დეპრესირებული რეგიონები.

ცნობილი რუსი მეცნიერები ვ. ლექსინი და ა. შვეცოვი, რომლებმაც ამერიკაში იღვაწეს, წერენ, საკმარისია ცოტა განსხვავება უფლებამოვალეობებსა და დაფინანსებაში, რომ წარმოიშვას პრივილეგირებული და დეპრესიული რეგიონები, სახელმწიფოს ყველა რეგიონი და მხარე სამართლებრივად და ეკონომიკურად ერთ სიბრტყეზე უნდა განიხილებოდეს. ეს სახელმწიფოს ძირგამომთხრელი საქმიანობაა.¹ გამომდინარე აქედან, სახელმწიფოს მეცნიერული საფუძველის შესაქმნელად დიდი შესაძლებლობები აქვს არა მხოლოდ იურიდიულ, არამედ ყველა სხვა ჰუმანიტარულ მეცნიერებასაც, რომლის გათვალისწინება და გამოყენება აუცილებლობას წარმოადგენს.

¹ ვ. ლექსინი, ა. შვეცოვი, „სახელმწიფო და რეგიონები“ (რუსულ ენაზე) მოსკოვი, 1997 წ. გვ. 31

§5. სახელმწიფოს განვითარების კანონზომიერებანი

გამოვლენა და ანალიზი იმ კანონზომიერი კავშირებისა, რომლებიც განსაზღვრავენ სახელმწიფოს განვითარების მსვლელობას, საშუალებას გვაძლევს, დავინახოთ ამ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენის აწმყო და მომავალი.

სახელმწიფოს, როგორც დამოუკიდებელ პოლიტიკურ წარმონაქმნს, ახასიათებს განვითარების საკუთარი კანონზომიერებანი. მაგრამ წინსვლის მთავარ იმპულსებს იგი დინამიურად განვითარებად საზოგადოებასთან ურთიერთობის შედეგად ღებულობს.

სახელმწიფოს ევოლუციის ერთ-ერთი მთავარი კანონზომიერება ის არის, რომ ცივილიზაციის (როგორც საზოგადოების მატერიალური და სულიერი მიღწევების ერთობლიობა) სრულყოფასა და დემოკრატიის განვითარებასთან ერთად იგი პრიმიტიულ, იძულებით-რეპრესიული ხასიათის წარმონაქმნიდან იქცევა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციის ფორმად, სადაც სახელმწიფო ინსტიტუტების მთელი კომპლექსი ხელისუფლების დანაწილების პრინციპის შესაბამისად აქტიურად ფუნქციონირებს.

დემოკრატიულად განვითარებადი საზოგადოება საჭიროებს, რომ მისი მრავალმხრივი ობიექტური მოთხოვნილებანი იყოს სახელმწიფოს ყურადღების ცენტრში, იგია სახელმწიფოს სოციალური ფუნქციების გაშლის მასტიმულირებელი. მართლაც აქ არის თანამედროვე სახელმწიფოს განვითარების ახალი კანონზომიერების წყარო—მისი როლის გაზრდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ხსენებული კანონზომიერება მთლიანად გამოვლინდა XX საუკუნის მეორე ნახევარში. სახელმწიფომ დაიწყო თავისი მაორგანიზებელი და მიმმართველი საქმიანობის განხორციელება საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებზე ახლად შექმნილი დაწესებულებების და ორგანოების— ეკონომიკის, შრომის, კულტურის, განვითარებისა და სხვა სამინისტროების მეშვეობით. ამ მხრივ ყურადსაღებია ს. ალექსეევის აზრი იმის შესახებ, რომ უკანასკნელ პერიოდში შეინიშნება სახელმწიფოს „წასვლა“ ეკონომიკიდან, სამეურნეო ცხოვრებიდან.¹

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მრავალი მიზეზის გამო სახელმწიფო სწორედ დღეს მოვიდა ეკონომიკაში და ეკონომიკური რყევებისაგან დაიფარა მსოფლიოს ბევრი ქვეყანა, ამიტომ ს. ალექსეევის გამონათქვამი შეიძლება მიესადაგოს მხოლოდ პროსაბჭოურ ქვეყნებს, სადაც

¹ Алексеев С. С. Государство и право М. 1993 г. С. 12-20

საზოგადოების, მისი ეკონომიკის განსახელმწიფოებრიობამ, სამწუხაროდ, გამოიწვია სახელმწიფოს როლის შემცირება ცხოვრების ყველა, მათ შორის ეკონომიკურ სფეროშიც. ამის შედეგად ამ ქვეყნების საზოგადოება, და მათ შორის ჩვენიც, რამდენიმე ათწლეულით ჩამორჩენილი აღმოჩნდა.

სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის და ახლადდაწყებული მსოფლიო ინტეგრაციის პროცესის, აგრეთვე, მსოფლიო ბაზრის შექმნის ზემოქმედებით სახელმწიფოს ფუნქციებში გაჩნდა ახალი კანონზომიერება—სხვადასხვა სახელმწიფოების დაახლოება, მათი გაძლიერება ურთიერთმოქმედების შედეგად. მაგალითად, თავის დროზე დასავლეთის სახელმწიფოებმა სოციალისტურისაგან მეტ-ნაკლებად შეითვისეს მათი საქმიანობის სოციალური მიმართულება, დაგეგმვა. დღეს დასავლეთის სახელმწიფოებისაგან სსრ კავშირის დაშლის შემდეგ შექმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოები (მათ შორის საქართველოც) სწავლობენ ხელისუფლების დანაწილებას, საპარლამენტო კულტურას, სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობას. ამ კანონზომიერების გავლენით ნელ-ნელა წარსულს კბარდება მწვავე კონფრონტაცია, იდეოლოგიური და ცივი ომი, უნდობლობა და ეჭვიანობა.

ეს კანონზომიერებები საერთო ტენდენცია, ჩვენი პლანეტის სახელმწიფოების ევოლუციის მთავარი ხაზია. კონკრეტული სახელმწიფოს განვითარება ხშირად ძალზე წინააღმდეგობრივია. ზიგზაგები, უკან მობრუნება, გაუთვალისწინებელი ვარდნა ერთი უკიდურესობიდან მეორეში, განსაკუთრებით, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლება პირად, ჯგუფურ, კლანურ ინტერესებს ემსახურება და ვიწროპარტიულ მიზნებს და ამოცანებს ემორჩილება, ხანდახან ამ განვითარებას ფრიად წინააღმდეგობრივს ხდის. მსგავსი მომენტებით არც ქართული სახელმწიფოებრივი მშენებლობის ეტაპებია დაზღვეული.

§6. სახელმწიფოსა და სამართლის თანაფარდობის პრობლემა

სახელმწიფოსა და სამართლის თანაფარდობის რთულმა პრობლემამ ბოლო დროს სადავო ხასიათი მიიღო. ამ პრობლემის მიმართ ლიტერატურაში დომინირებს ორი საპირისპირო პოზიცია:

სტატუტურ-ტოტალიტარული კონცეფცია გამოდის იქიდან, რომ სახელმწიფო უფრო მაღლაა და მნიშვნელოვანია, ვიდრე სამართალი, რომ იგი ქმნის სამართალს და იყენებს მას თავის პოლიტიკურ ინსტრუმენტად. ეს თეორია ეყრდნობოდა სახელმწიფოსა და სამართლის მარქსის-

ტულ გაგებას და სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურაში ფართოდ იყო გავრცელებული.

ლიბერალური კონცეფცია ეფუძნება ბუნებითი სიმართლის თეორიას, რომლის თანახმადაც სამართალი სახელმწიფოზე უფრო მნიშვნელოვანია. ეს კონცეფცია ჩვენს საზოგადოებრივ შეგნებაში ბოლო წლებში აქტიურად მკვიდრდება.

არც ერთს ამ კონცეფციათაგანს არ გააჩნია თუნდაც რამდენადმე სერიოზული მეცნიერული დასაბუთება. ისინი არათუ არ აანალიზებენ სადავო პრობლემებს, არამედ, არსებითად, უპირისპირებენ მათ ერთმანეთს, პრაქტიკულად კი სახელმწიფოს და სამართლის დაპირისპირებას აუცილებლად მივყავართ მხოლოდ მათ ურთიერთდასუსტებამდე.

სახელმწიფოს და სამართლის ურთიერთკავშირი საკმაოდ რთულია, ამიტომ მათი თანაფარდობა მხოლოდ ერთიანობის, განსხვავების და მრავალმხრივი ურთიერთმოქმედების ანალიზის საფუძველზე უნდა განიხილებოდეს. ესაა მათი „საერთო მოქმედებისა და პასუხისმგებლობის“ კონცეფცია.

სახელმწიფო და სამართალი განუყოფელია. როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური წარმონაქმნები. მათ ერთი სოციალურ-ეკონომიკური საფუძველი აქვთ, თითქმის ერთნაირი ბედ-იღბლისანი არიან, არ შეუძლიათ ერთმანეთის გარეშე არსებობა და განვითარება. ამასთან, სახელმწიფო და სამართალი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სტრუქტურით, ფუნქციონირების წესით და ა.შ. თუ სახელმწიფოს აღმასრულებელი ხელისუფლება შედგება ორგანოებისა და დაწესებულებებისაგან, რომლებშიც აღამიანები მუშაობენ, სამართლის ცენტრალურ ნაწილს, „ბირთვს“ წარმოადგენს ნორმები, რომლებიც სამართლებრივ დარგებსა და ინსტიტუტებში ერთიანდებიან. სახელმწიფო შედის საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში, როგორც მისი ღერძული ელემენტი, სამართალი—ნორმატიულ სისტემაში. მათი თანაფარდობა მართლაც ყველაზე მთავარი ასპექტია, რომელსაც ზედმიწევნით მეცნიერული დამუშავება სჭირდება, არის სახელმწიფოს ზემოქმედება სამართალზე და სამართლის გავლენა სახელმწიფოზე. ხაზს ვუსვამთ, რომ სახელმწიფოსა და სამართალს მხოლოდ აქტიური ურთიერთქმედების შედეგად შეუძლიათ სრულფასოვანი და ეფექტური ფუნქციონირება, სოციალური ღირებულების შექმნა.

თანამედროვე იურიდიულ მეცნიერებაში მიჩნეულია, რომ სახელმწიფოს სამართალზე ზემოქმედების ძირითადი სფეროებია სამართალშემოქმედება და (განსაკუთრებით) სამართლის რეალიზაცია. ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო აქტიურად მონაწილეობს სამართალშემოქმედებაში, მაგრამ არ შეიძლება აბსოლუტური იყოს მისი როლი ამ პროცესში, სწორედ ასეთ აბსოლუტიზაციაშია იურიდიული პოზიტივიზმის ძირითადი ნაკლი.

სახელმწიფო არ ქმნის სამართალს უშუალოდ, ის იურიდიულად აფორმებს და ამკვიდრებს მხოლოდ იმას, რაც ობიექტური მოთხოვნების სახით უკვე მომწიფდა საზოგადოებაში—საზოგადოებრივ, სამართლებრივ და ზნეობრივ იდეალებს და სხვა ზოგად ცნებებს. სახელმწიფო სამართალს ანიჭებს მნიშვნელოვან თვისებებს—ფორმალურ განსაზღვრულობას, საყოველთაო სავალდებულობას.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი სამართლის რეალიზაციის, მისი ცხოვრებაში გატარების საქმეში. უმოქმედო, არარეალიზებადი სამართალი ხომ მკვდარია. მართლაც, რა მნიშვნელობა ექნებოდა, ვთქვათ, ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის ნორმებს სამართალდამცავი ორგანოების გარეშე სამართლის უკან ყოველთვის სახელმწიფოს ავტორიტეტი და რეალური ძალა დგას. ამასთან, თვითონ სახელმწიფო მკაცრად უნდა იცავდეს სამართლებრივ მოთხოვნებს, ხოლო სამართლის რეალიზაციაში შესაძლებელი და აუცილებელიცაა მოქალაქეების, სამოქალაქო საზოგადოებრივი ინსტიტუტების აქტიური მონაწილეობა.

მაშასადამე, სამართალი სახელმწიფოს მხარადჭერის და ზემოქმედების გარეშე ვერ იარსებებს, მაგრამ თვით სახელმწიფოს ობიექტურად ესაჭიროება სამართალი. სხვა სიტყვებით, მათ შორის მტკიცე ფუნქციონალური ურთიერთობა ყალიბდება.

სამართალი იურიდიულად აფორმებს სახელმწიფოს, აწესრიგებს მისი ფუნქციონირების ყველა ძირითად მხარეს და ამით ლეგიტიმურობას ანიჭებს სახელმწიფოს და მის საქმიანობას. სამართალი ახდენს სახელმწიფო ორგანოების ფორმირების რეგლამენტირებას, ამკვიდრებს მათ კომპეტენციას, აწესრიგებს მათ ურთიერთდამოკიდებულებას და მათ უმორჩილებს სახელმწიფოს საქმიანობას. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების მუშაობაში, მოქალაქეთა პირად ცხოვრებაში ის აწესებს გარკვეულ სამართლებრივ რეჟიმს, სახელმწიფოს ჩარევის ზღვარს და ა.შ. სამართლის დახმარებით განისაზღვრება სახელმწიფო იძულების ფორმა და ზომა, რის შედეგადაც იგი სამართლებრივი და კონტროლირებადი ხდება. სამართალი, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის საზღვარებს გარეთ სამართლის ყველა სუბიექტთან, მთლიანად მსოფლიო საზოგადოებასთან იურიდიული ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა.¹

¹ სახელმწიფოს არსის და მისი განვითარების კანონზომიერებათა შესახებ. იხ. გ. ინჭორელი სახელმწიფოსა და სამართლის თეორია თბ., 1998 წ., ბ. სავანელი, სამართლის თეორია თბ., 1997 წ. აღ. შუშანაშვილი, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები თბ., 1999 წ.; გ. მეურნაიძე, მ. სამხარაძე, პოლიტოლოგია თბ., 1999 წ. ვ. ჭანუყაძე, ვ. ჭანია, პოლიტოლოგია თბ., 1996 წ. Теория Государства и права. М. 1998. Общая Теория права и государства м. 1998 г., Хропанюк В. Н. Теория государства и права М. 1999 г.

თავი მეშვიდე სახელმწიფო ხელისუფლება

§1 სახელმწიფო ხელისუფლების სწავლა და თვისებები

მიუხედავად საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათისა, სახელმწიფო ხელისუფლება სოციალური ხელისუფლების ნაირსახეობაა. ამასთან, მას მრავალი თვისობრივი თავისებურება გააჩნია. მათგან უმნიშვნელოვანესი მის პოლიტიკურ და ნორმატიულ ბუნებაში მდგომარეობს. გ. ნანეიშვილის აზრით, „ხელისუფლება კარგავს აზრს, თუ მას ჩამოვაცილებთ ნორმატიულ სამოსელს, გამოვყოფთ იმ ატმოსფეროსაგან, რომელიც მთლიანად ნორმატიული შინაარსითაა გაჯენილი“.¹

მეცნიერულ და სასწავლო ლიტერატურაში ტერმინებს „სახელმწიფო ხელისუფლება“ და „პოლიტიკური ძალაუფლება“, ერთმანეთთან აიგივებენ. ასეთი მიდგომა საკამათოა, მაგრამ დასაშვებია. ყოველ შემთხვევაში, სახელმწიფო ხელისუფლება ყოველთვის პოლიტიკური მოვლენაა და თავიდან შეიცავს ძალაუფლების ელემენტს.

როგორც უკვე ითქვა, მარქსიზმის ფუძემდებლები სახელმწიფო (პოლიტიკურ) ხელისუფლებას ახასიათებდნენ, როგორც „ერთი კლასის ორგანიზებულ ძალადობას მეორის დასათრგუნად“. კლასობრივ-ანტაგონისტური საზოგადოების ასეთი დახასიათება ზოგადად სწორია, მაგრამ დაუსვებელია ნებისმიერი ხელისუფლების, მით უმეტეს, დემოკრატიულის, დაყვანა „ორგანიზებულ ძალადობამდე“. წინააღმდეგ შემთხვევაში იქმნება წარმოდგენა, რომ სახელმწიფო ყოველგვარი შემოქმედების ბუნებრივი მტერია. აქედან გარდაუვლად გამომდინარეობს ნეგატიური დამოკიდებულება ხელისუფლების ორგანოებისა და სახელმწიფო მოხელეთა მიმართ. აქვე ჩნდება არცთუ უწყინარი მითი იმის შესახებ, რომ ყოველგვარი ხელისუფლება არის ბოროტება, რომელსაც საზოგადოება იძულებით ითმენს გარკვეული დროის განმავლობაში.

მეცნიერულ საფუძველზე ფუნქციონირებადი, ჭეშმარიტად სახალხო ხელისუფლება არის უდიდესი შემოქმედი ძალა, რომელიც ფლობს რეალურ შესაძლებლობას მართოს ადამიანების მოქმედება და ქცევა,

¹ იხ. ბ. საუანელი, სამართლის თეორია თბ., 1993 წ. გვ.110

დაძლიოს სოციალური წინააღმდეგობები, შეათანხმოს ინდივიდუალური ან ჯგუფური ინტერესები, დარწმუნების, სტიმულირების, იძულების მეთოდებით დაუმორჩილოს ისინი ერთიან—ძალაუფლებრივ ნებას.

სახელმწიფო ხელისუფლების თავისებურებას წარმოადგენს ისიც, რომ, ჩვეულებრივ, მისი სუბიექტი და ობიექტი არ თანხვლებიან ერთმანეთს, უფრო ხშირად ძალაუფლების მქონენი (ხელისუფალნი) და ხელქვეითნი მკაფიოდ არიან გამიჯნულნი. საზოგადოებაში, სადაც კლასობრივი ანტაგონიზმია, ძალაუფლების მქონე (ხელისუფალ) სუბიექტად გვევლინება ეკონომიკურად დაწინაურებული სოციალური ფენა ხელქვეითად—ცალკეული პირები, სოციალური, ეროვნული ერთობები. დემოკრატიულ საზოგადოებაში ჩნდება ძალაუფლების სუბიექტის და ობიექტის დაახლოების ტენდენცია, რასაც ისინი ნაწილობრივ თანხვედრამდე მიჰყავს. ამ თანხვედრის დიალექტიკა ასეთია: თითოეული მოქალაქე არ არის მხოლოდ ხელქვეითი; როგორც დემოკრატიული საზოგადოების წევრს, მას შეუძლია იყოს ხელისუფლების პირველმატარებელი და წყარო, აქვს უფლება და მართლა აქტიურად უნდა მონაწილეობდეს ხელისუფლების არჩევითი (წარმომადგენლობითი) ორგანოების ფორმირებაში, წამოაყენოს კანდიდატურები და აირჩიოს ეს ორგანოები, აკონტროლოს მათი საქმიანობა, იყოს მათი დათხოვნის, რეფორმირების ინიციატორი. მოქალაქის უფლება და მოვალეობაა, უშუალო დემოკრატიის ყველა ფორმის მეშვეობით, მონაწილეობდეს სახელმწიფო, რეგიონალურ და სხვა გადაწყვეტილებათა მიღებაში. ერთი სიტყვით, დემოკრატიული რეჟიმის დროს არ არიან და არც უნდა იყვნენ მხოლოდ ძალაუფლების მქონენი (ხელისუფალნი) და მხოლოდ ხელქვეითნი. თვით სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოები და უმაღლესი თანამდებობის პირნიც კი ხდებიან ერთდროულად ძალაუფლების ობიექტები და სუბიექტები — მათზე მალა ხალხის უზენაესი ძალაუფლება დგას. ამასთან, არც დემოკრატიულად სახელმწიფოებრივ-ორგანიზებულ საზოგადოებაში არის სუბიექტის და ობიექტის სრული თანხვედრა. თუ დემოკრატიული განვითარება მიგვიყვანს ასეთ (სრულ) თანხვედრამდე, მაშინ სახელმწიფოებრივი ძალაუფლება დაჰკარგავს პოლიტიკურ ხასიათს, სახელმწიფო მმართველობის ორგანოები გადაიქცევა უშუალოდ საზოგადოებრივ ხელისუფლებად.

სახელმწიფო ხელისუფლება რეალიზდება სახელმწიფო მმართველობის მეშვეობით, მისი ორგანოების მიზანმიმართული ზემოქმედებით მთლიანად საზოგადოებაზე, მის ამა თუ იმ (ეკონომიკურ, სოციალურ, სულიერ) სფეროზე შემეცნებელი ობიექტური კანონების საფუძველზე.

სახელმწიფო ხელისუფლების კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი თავისებურება არის ის, რომ იგი მუდამდებია იმ სახელმწიფო ორგანოებისა და დაწესებულებების საქმიანობაში, რომლებიც ამ ძალაუფლების მექანიზმს (აპარატს) წარმოქმნის. მას იმიტომაც ჰქვია სახელმწიფოებრივი, რომ პრაქტიკულად ხორციელდება და მოქმედებს, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო მექანიზმის საშუალებით. როგორც ჩანს, სახელმწიფო ხელისუფლებას სწორედ ამიტომ აიგივებენ ხშირად სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოებთან. მეცნიერული თვალსაზრისით ასეთი აიგივება დაუშვებელია. ჯერ ერთი, სახელმწიფო ხელისუფლების რეალიზება შეუძლია თვითონ ძალაუფლების მქონე სუბიექტს. მაგალითად, ხალხი რეფერენდუმის და დემოკრატიის სხვა უშუალო (პირდაპირი) ინსტიტუტების მეშვეობით იღებს უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო გადაწყვეტილებებს. მეორე, პოლიტიკური ძალაუფლება დასაბამიდან ეკუთვნის არა სახელმწიფოს, არა მის ორგანოებს, არამედ ან ელიტას, ან კლასს, ან ხალხს. ძალაუფლების მქონე სუბიექტი კი არ გადასცემს სახელმწიფო ორგანოებს თავის ძალაუფლებას, არამედ რაიმე ვადით ანიჭებს მათ სახელისუფლებო უფლებამოსილებას.

შესაძლოა, სახელმწიფო ხელისუფლება იყოს სუსტი ან ძლიერი, მაგრამ თუ იგი არ ფლობს ორგანიზებულ ძალას, ჰკარგავს სახელმწიფოებრივი ხელისუფლების თვისებას, რადგან აღარ აქვს უნარი ცხოვრებაში გაატაროს ძალაუფლების მქონე (ხელისუფალი) სუბიექტის ნება, უზრუნველყოს კანონიერება და მართლწესრიგი საზოგადოებაში. „ქართულ შემეცნებაში არსებობს უძველესი ტერმინი „ხელისუფლება“, მაგრამ ქართულმა კაცმა, ქართულმა გენიამ ერთმანეთისაგან განასხვავა „ხელისუფლება“ და „ძალაუფლება“. ხელისუფლება და ძალაუფლება ერთ მთლიანობას უნდა წარმოადგენდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფოებრიობის კრახი ან სამოქალაქო ომი თუ კრიმინალური ანარქია გარდაუვალია“. ხელისუფლება უნდა ემსახურებოდეს ხალხს და იყენებდეს ყველა ფორმასა და მეთოდს, რომელიც დემოკრატიული აზროვნების და დემოკრატიული თანაცხოვრების ფარგლებში თავსდება! სახელმწიფო ხელისუფლებას უსაფუძვლოდ არ უწოდებენ ძალის ცენტრალიზებულ ორგანიზაციას. თუმცა, ნებისმიერ ხელისუფლებას ესაჭიროება ავტორიტეტის ძალაც: რამდენადაც ღრმად და სრულად გამოხატავს ხელისუფლება ხალხის, საზოგადოების ყველა ფენის ინტერესებს, მით უფრო მეტად ემყარება იგი ავტორიტეტის ძალას, მისდამი ნებაყოფლობით და შეგნებულ დამორჩილებას, მაგრამ სანამ არსებობს სახელმწიფო ხელისუფლება, მას აუცილებლად ექნება ძალის საგ-

¹ საქართველოს რესპუბლიკა, 1994 წ. გვ. 194. 1 ნოემბერი. გვ. 2.

ნობრივ-მატერიალური წყაროები—ადამიანთა შეიარაღებული ორგანიზაციები ანუ ძალოვანი სტრუქტურები (არმია, პოლიცია, სახელმწიფო უშიშროების ორგანოები), აგრეთვე ციხე და სხვა იძულებითი საგნობრივი დანამატები. ორგანიზებული ძალა უზრუნველყოფს სახელმწიფო ხელისუფლების იძულების უნარს, არის მისი გარანტი, მაგრამ მას ძალაუფლების მქონე სუბიექტის გონივრული და ჰუმანური ნება უნდა მართავდეს. თუ შინაგანი პრობლემების გადაჭრის დროს სახელმწიფო ხელისუფლება ეყრდნობა მხოლოდ საგნობრივ-მატერიალურ ძალას, ეს ნიშნავს, რომ იგი არასტაბილური, არამდგრადია და საზოგადოებაში ღრმა ფესვები არ უდგას. მთელი არსებული ძალის გამოყენება, უდავოდ, გამართლებულია გარე აგრესიის მოგერიების ან დამნაშავეობის აღკვეთის დროს.

ამგვარად, სახელმწიფო ხელისუფლება გამოხატავს ნებას და ძალას, სახელმწიფო ძლიერებას, რომელიც სახელმწიფო ორგანოების და დაწესებულებების მეშვეობით ხორციელდება, უზრუნველყოფს სტაბილურობას და წესრიგს საზოგადოებაში სხვადასხვა მეთოდებით, მათ შორის, სახელმწიფო იძულების და სამხედრო ძალის გამოყენებით იცავს თავის მოქალაქეებს შიდა და გარე ხელყოფისაგან.

§2. სახელმწიფო ხელისუფლების ბანხორციელების მეთოდები

სახელმწიფოს ხელისუფლების განხორციელების მრავალგვარი მეთოდი გააჩნია. თანამედროვე პირობებში მნიშვნელოვნად გაიზარდა მორალური და მატერიალური სტიმულირების მეთოდების როლი,¹ რომელთა გამოყენებითაც სახელმწიფო ორგანოები ზემოქმედებას ახდენენ ადამიანთა ინტერესებზე და ამით მათ თავის ხელისუფლებრივ ნებას უმორჩილებენ. სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების ზოგად, ტრადიციულ მეთოდებს უეჭველად განეკუთვნება დარწმუნება და იძულება. ეს მეთოდები სახელმწიფო ხელისუფლების ჩასახვისთანავე გაჩნდა და სხვადასხვაგვარად ეხამებიან ერთმანეთს.

დარწმუნება არის იდეურ-ზნეობრივი საშუალებებით აქტიური ზემოქმედება ადამიანის ნებასა და შეგნებაზე მისი შეხედულებებისა და წარმოდგენების ჩამოსაყალიბებლად და ეფუძნება სახელმწიფო ხელისუფლების არსის, მიზნებისა და ფუნქციების ღრმა გაგებას. დარწმუ-

¹ ამ მეთოდებს უფრო ეფექტურად იყენებს დასავლეთის სახელმწიფოები.

ნების მექანიზმი მოიცავს იდეოლოგიური, სოციალურ-ფსიქოლოგიური საშუალებებისა და ინდივიდუალურ ან ჯგუფურ შეგნებაზე ზემოქმედების ფორმების ერთობლიობას, რომლის შედეგსაც წარმოადგენს ინდივიდის ან კოლექტივის მიერ გარკვეული სოციალური ღირებულებების შეთვისება და მიღება.

იდეებისა და შეხედულებების რწმენად გარდაქმნა დაკავშირებულია ადამიანის ცნობიერებისა და გრძნობების მოქმედებაზე. იდეები, საზოგადოებრივი ინტერესები და ხელისუფლების მოთხოვნები მხოლოდ ემოციების, ცნობიერების რთული მექანიზმის გავლის შემდეგ იძენენ პიროვნულ მნიშვნელობას. მნიშვნელობა, მაშინ გარდაიქმნება რწმენად, მიზანი ძნელად თუ მიიღწევა, როდესაც ადამიანმა დამოუკიდებლად მოიპოვა და შეითვისა ცოდნა.

დარწმუნების მეთოდი ადამიანების ინიციატივის, მათი მოქმედებისა და ქცევის პასუხიმგებლობის გრძნობის სტიმულირებას ახდენს. რწმენასა და ქცევას შორის შუალედური რგოლები არ არსებობს. ცოდნა, იდეები, რომლებიც ხორცშესხმულნი არ არიან ქცევაში, არ შეიძლება ჩაითვალოს ჭეშმარიტ რწმენად. ცოდნიდან რწმენამდე, რწმენიდან პრაქტიკულ მოქმედებამდე – ასე ფუნქციონირებს დარწმუნების მეთოდი. ცივილიზაციის განვითარებასთან, პოლიტიკური კულტურის ამაღლებასთან ერთად სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების ამ მეთოდის როლი და მნიშვნელობა კანონზომიერად იზრდება.

სახელმწიფო ხელისუფლებას არსებობა არ შეუძლია მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი იძულების გარეშე. მისი გამოყენებით ძალაუფლების მქონე სუბიექტი ხელქვეითებს თავის ნებას უმორჩილებს. სწორედ ამით განსხვავდება სახელმწიფო ხელისუფლება გვაროვნული წყობილების სოციალური ხელისუფლების ავტორიტეტისგან, რომელიც, აგრეთვე, იმორჩილებს, მაგრამ სახელმწიფოებრივ იძულებას არ საჭიროებს.

სახელმწიფოებრივი იძულება არის სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოების და თანამდებობის პირთა ფსიქოლოგიური, მატერიალური ან ფიზიკური (ძალდატანებითი) ზემოქმედება პიროვნებაზე იმ მიზნით, რომ აიძულოს იგი, ძალაუფლების მქონე სუბიექტის ნებით იმოქმედოს სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე.

თავისთავად სახელმწიფოებრივი იძულება სოციალური ზემოქმედების მწვავე და მკვეთრი საშუალებაა, ის ეფუძნება და გამოხატავს ორგანიზებულ ძალას და ამიტომ უნარი აქვს უზრუნველყოს ხელისუფლების მქონე სუბიექტის ნების ბატონობა საზოგადოებაში. სახელმწიფოებრივი იძულება ზღუდავს ადამიანის თავისუფლებას, ანუ მოაქცევს ისეთ მდგომარეობაში, როდესაც ხელისუფლების მიერ შეთავაზებული (თავს მოხვეული) ვარიანტის გარდა, არჩევანი არა აქვს. იძულების მეშვეობით იხშობა, მუხრუჭდება სოციალურად გაუმართლებელი ქმედებები, იხსნება წინააღმდეგობა საერთო და ინდივიდუალურ ნებას შორის, სტიმულირდება საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობა.

სახელმწიფოებრივი იძულება შეიძლება იყოს სამართლებრივი და არასამართლებრივი. უკანასკნელი შეიძლება თვითნებობად შემობრუნდეს და პიროვნება ყოვლად დაუცველ მდგომარეობაში ჩააყენოს. ასეთი იძულება დამახასიათებელია ანტიდემოკრატიული, რეაქციულ-ტირანული, დესპოტური, ტოტალიტარული რეჟიმის სახელმწიფოებისათვის.

სამართლებრივად აღიარებულია სახელმწიფოებრივი იძულება, რომლის ფორმა და ზომა მკაცრად არის განსაზღვრული სამართლებრივი ნორმებით და პროცესუალური ფორმით (მკაფიო პროცედურებით) ხორციელდება. სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი იძულების კანონიერება, საფუძვლიანობა და სამართლიანობა კონტროლირებადია, ის შეიძლება გასაჩივრდეს დამოუკიდებელ სასამართლოში. სახელმწიფოებრივი იძულების სამართლებრივი „გაჯერებულობის“ ღონე იმდენად მაღალია, რამდენადაც ის:

- ა) ემორჩილება მოცემული სამართლებრივი სისტემის ნორმებს;
 - ბ) საფუძველშივე ერთიანი, საყოველთაო ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე;
 - გ) მოქმედებს უფლებების და მოვალეობების მექანიზმის მეშვეობით;
 - დ) აღჭურვილია განვითარებული პროცესუალური ფორმებით.
- რაც უფრო მაღალია სახელმწიფოებრივი იძულების სამართლებრივი ორგანიზაციის ღონე, მით უკეთ ასრულებს საზოგადოების განვითარების პოზიტიური ფაქტორის ფუნქციას და ნაკლებად გამოხატავს სახელმწიფო ხელისუფლების მატარებლების თვითნებობას. სამართლებრივ და დემოკრატიულ სახელმწიფოში სახელმწიფოებრივი იძულება მხოლოდ სამართლებრივი უნდა იყოს.

სახელმწიფოში სამართლებრივი იძულების ფორმები საკმაოდ მრავალფეროვანია. ესენია:

გამაფრთხილებელი ზემოქმედების ზომები – დოკუმენტების შემოწმება სამართალდარღვევის აცილების მიზნით, ავარიისა და სტიქიური

უბედურებების დროს ტრანსპორტის და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის შეზღუდვა და ა.შ;

თავისუფლების აღკვეთა – ადმინისტრაციული დაკავება, მოყვანა, ჩხრეკა და სხვა;

დამცავი მექანიზმი – სასამართლოს მეშვეობით შელახული ღირსების და დარღვეული უფლებების აღდგენა, კანონით გათვალისწინებული სხვა ფორმები.

§3. სახელმწიფო ხელისუფლების მნიშვნელოვანი საფუძვლები

სახელმწიფო ხელისუფლება იმდენადაა მყარი და ძლიერი, რამდენადაც უფრო მტკიცეა მისი სოციალური და ეკონომიური საფუძველი. ის ფუნქციონირებს სხვადასხვა წინააღმდეგობრივ (ხშირად შეურიგებელი ინტერესებით) სოციალურ ჯგუფებად დაყოფილ საზოგადოებაში. ძლიერი, სახელმწიფო ხელისუფლების გარეშე შესაძლოა ინტერესების „გარკვევის“ მოტივებით პოლარულად განსხვავებულმა სოციალურმა ძალებმა საზოგადოება უფსკრულში გადაჩეხონ. მსგავსი წინააღმდეგობების დასაძლევად საყრდენს სახელმწიფო ხელისუფლება საზოგადოებაში ეძებს, ცდილობს, მოიპოვოს თუ მთელი საზოგადოების არა, ამა თუ იმ ფენის ნდობა მაინც. ასეთი ამოცანების გადაჭრა მხოლოდ დემოკრატიულ ხელისუფლებას შეუძლია, რასაც ხელისუფლების სოციალურ ლეგიტიმურობას უწოდებენ. სწორედ ეს არის მისი სტაბილურობის უმნიშვნელოვანესი პირობა, რაც იდეოლოგიასთანაცაა დაკავშირებული. იდეოლოგია“ წარმოადგება ბერძნული სიტყვებიდან „იდეა“ და „ლოგია“. იდეა ნიშნავს ობიექტურად, რეალურად არსებული მოვლენის აზროვნული ასახვის ფორმას. კანტი იდეას, გონიერების ცნებას, ადამიანთა შემეცნების ხერხს უწოდებს. ლოგია ცოდნის სისტემას, მოძღვრებას წარმოადგენს. საერთო ჯამში ეს არის შეხედულებათა და იდეათა სისტემა, რომლითაც შეიცნობა და ფასდება სინამდვილე და ერთმანეთისადმი ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულება.

„იდეოლოგია“, როგორც ტერმინი, სამეცნიერო მიმოქცევაში შემოღებულია 1801 წლიდან ფრანგი მეცნიერის დესტიუტ დე ტრასის მიერ. რომელმაც ოთხ ტომად გამოაქვეყნა ნაშრომი „იდეოლოგიის ელემენტები“. ფაქტობრივად ეს იყო მცდელობა, დაეფუძნებია ახალი მეცნი-

ცნობილი სოციოლოგები (ნ. სმელზერი, ჰ. ბერგერი, ტ. ლუკმანი და სხვა) აღიარებენ იდეოლოგიის არსებობის აუცილებლობას და მიუთითებენ მის დიდმნიშვნელოვან ფუნქციებზე ამა თუ იმ ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში.

დღევანდელი საქართველოს ვითარებისთვის, როცა ქვეყანა თავისი ისტორიული განვითარების გზაჯვარედინზე დგას და როცა კოსმოპოლიტიზმი და ყოვლისმომცველი ინტეგრაციული პროცესები რაღაც დაშტამპულ სტანდარტად აქცევს ყველა ერსა და ქვეყანას, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ეროვნულ თავისებურებათა წარმოჩენა და დაცვა. ამის მაგალითს იაპონია და იაპონელები გვაძლევენ.¹

როგორც არ უნდა იყოს სახელმწიფო ხელისუფლება, ის ყოველთვის ისწრაფვის საზოგადოებას შეუქმნას წარმოდგენა, თითქოს იგი სამაგალითოდ ზნეობრივია, მაშინაც კი, თუ ეს სინამდვილეს არ შეეფერება. ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთსა და რომში ჩამოყალიბდა ზნეობრივი იდეალები, რომლებისკენაც უნდა ისწრაფოდეს ხელისუფლება: იგი არსებობს მხოლოდ სიკეთისათვის, რეალიზდება საერთო კეთილდღეობისათვის, ყოველთვის ცდილობს დაიცვას სამართლიანობა და ა.შ. ამიტომაც, ხელისუფლება, რომლის მიზნები და გამოყენებული საშუალებები ეწინააღმდეგება ზნეობრივ იდეალებს და ფასეულობებს, ამორალურად მიიჩნევა და მოკლებულია ავტორიტეტსა და მხარდაჭერას.

სახელმწიფო ხელისუფლების, მისი სრულფასოვნებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიულ, სოციალურ-კულტურულ, ეროვნულ ტრადიციებს. როცა ხელისუფლება მათ ეყრდნობა, ისინი ამაგრებენ მას საზოგადოებაში, ხდიან უფრო მტკიცეს და სტაბილურს. შემთხვევითი არ არის, რომ როგორც წარსულის, ასევე თანამედროვე სახელმწიფოები ტრადიციებს, ანუ თავის ისტორიულ, ეროვნულ, სოციალურ-კულტურულ ფესვებს მზრუნველობით ეპყრობიან. ამგვარად, ეკონომიკურად, სოციალურად და ზნეობრივად დეტერმინირებული სახელმწიფო ხელისუფლება, რომელიც ეყრდნობა საზოგადოებაში მიღებულ ტრადიციებსა და ფასეულობებს, ხალხის თვალში ავტორიტეტს და პატივისცემას იმსახურებს. ის იშვიათად იყენებს სახელმწიფოებრივი იძულების მეთოდს თავისი მიზნების მისაღწევად.

სახელმწიფო ხელისუფლება, რომელიც მხოლოდ ძალდატანებას და იძულებას ეყრდნობა, არამყარი და დღემოკლეა, რადგანაც წარმოშობს მზარდ წინააღმდეგობას საზოგადოებაში. ამიტომ ის აუცილებლად

¹ დაწერ. იხ. გ. ლობჯანიძე, ასი წლის წინ და ასი წლის შემდეგ, ქუთ. 1997 წ. გვ. 120-151

საჭიროებს იდეოლოგიას, ანუ იდეების სისტემას, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ძალაუფლების მქონე სუბიექტის ინტერესებთან. ხელისუფლება იდეოლოგიის მეშვეობით ხსნის და ამართლებს თავის მიზნებსა და ამოცანებს, მათი მიღწევის, შესრულების მეთოდებსა და საშუალებებს. იდეოლოგია უზრუნველყოფს ხელისუფლების გარკვეულ ავტორიტეტს, ამტკიცებს მისი და ხალხის ინტერესებისა და მიზნების იგივეობას, იმის მიხედვით, თუ რამდენად თანხვედრა ხელისუფალთა და ხელქვეითთა ინტერესები და მიზნები, არსებობს პოპულისტური, მითიური და ცრუ სახელმწიფო იდეოლოგია.

არსებობს სახელმწიფო ხელისუფლების იდეოლოგიის ორი მთავარი სახეობა და მრავალი სახესხვაობა. პირველი სახეობა არის რელიგიური იდეოლოგია, რომელიც ეფუძნება რელიგიურ მოძღვრებებს და წარმოდგენებს. ის ისწრაფვის მისცეს ხელისუფლებას საიდუმლო, მისტიკური, საკრალური ხასიათი, ნერგავს რწმენას მისი წარმოშობის და დანიშნულების ღვთაებრიობის შესახებ. მეორე სახეობაა საერო იდეოლოგია, რომელიც საზოგადოებაში გაბატონებულ თეორიებს, ზნეჩვეულებებს ეყრდნობა და გარკვეული, ზშირად უტოპიური იდეალების მიღწევას ისახავს მიზნად. მაგალითად, მითები ნათელი კომუნისტური მომავლის ან ამერიკული ნიმუშის აყვავებული კაპიტალიზმის სწრაფი აშენების შესახებ, ყოველ შემთხვევაში გარკვეულ პერიოდში საზოგადოების ნაწილში მაინც უზრუნველყოფენ ხელისუფლებისადმი მხარდაჭერას.

განსაკუთრებით საშიშია მთლიანად სახელმწიფო ხელისუფლების და მთელი ქვეყნის იდეოლოგიაზე ანტიდემოკრატიული, ტოტალიტარული, დიქტატორული რეჟიმის მეშვეობით. ეს ცრუ იდეოლოგია, ჩვეულებრივ, ხოტბას ასხამს ბელადს, დიქტატორს, ამართლებს ნებისმიერ გადაწყვეტილებას და მოქმედებას. ასეთი იდეოლოგიის ზემოქმედების შედეგად იქმნება და მხარდაჭერას პოპულობს პიროვნების კულტი – ბრმა, დაუფიქრებელი ქედის მოხრა მითიური სუპერპიროვნების წინაშე, მისი გაღმერთება. კულტის იდეოლოგია უცილობლად ამორებს, წყვეტს ხალხს ხელისუფლებისაგან.

§4. სახელმწიფო ხელისუფლების ლეგიტიმურობის პრობლემა

სიტყვა „ლეგიტიმური“ ლათინურიდან მოდის და კანონიერს ნიშნავს. ლეგიტიმურობა ფართო გაგებით მოიაზრება როგორც ქვეყნის მოსახლეობა, რომელიც კანონით განსაზღვრული წესით ირჩევს და დებულობს ამ ხელისუფლებას, აღიარებს მის უფლებას, მართოს სოციალურ-პოლიტიკური პროცესები და მზადაა დემორჩილოს მას.

აუცილებელია ერთმანეთისგან განვასხვავოთ ხელისუფლების პირველწყაროსა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა ლეგიტიმურობა. ძალაუფლების პირველწყაროს (ძალაუფლების მქონე სუბიექტის) ლეგიტიმურობა აისახება და იურიდიულად მკვიდრდება ქვეყნის კონსტიტუციაში. კონსტიტუციის მე-5 მუხლის პირველი და მეორე პუნქტები გვამცნობს: „საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი, სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში. ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლობის მეშვეობით“. ე.ი. კონსტიტუცია აცხადებს და განსაზღვრავს საქართველოს მრავალეროვან ხალხს სახელმწიფო ძალაუფლების პირველმატარებლად და პირველწყაროდ, რითაც ხაზს უსვამს მის (სახელმწიფო ხელისუფლების) ლეგიტიმურობას.¹

სახელმწიფო ორგანოები სხვადასხვაგვარად იძენენ ლეგიტიმურობის თვისებას. წარმომადგენლობითი ორგანოები ლეგიტიმური ხდებიან კანონით გათვალისწინებული და რეგლამენტირებული არჩევნების საფუძველზე. ეს ორგანოები სახელისუფლებო უფლებამოსილებას უშუალოდ ძალაუფლების პირველწყაროსაგან იღებენ. მმართველობის ორგანოები ლეგიტიმურობას იძენენ საკონკურსო შერჩევით, ყველაზე უფრო ხშირად, მათი დანიშნით წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ, აგრეთვე კანონით გათვალისწინებული წესის მიხედვით.

ლეგიტიმური უნდა იყოს, აგრეთვე, სახელმწიფო ორგანოების მიერ განხორციელებული სახელისუფლებო უფლებამოსილება, მოქმედების მეთოდები, განსაკუთრებით სახელმწიფოებრივი იძულების მეთოდი.

არალეგიტიმური ხელისუფლება აღიარებულია უზურპატორულად. ვიწრო გაგებით, უზურპაცია არის ხელისუფლების ძალით, უკანონოდ მიტაცება პირის ან პირთა ჯგუფის მიერ, აგრეთვე სხვისი უფლებამოსილების მითვისება. მაგალითად, უზურპაციად აღიარებულია სამარ-

¹ იხ. საქართველოს კონსტიტუცია თბ., 1995 წ. გვ. 3

თლებრივი პროცედურების დარღვევა არჩევნებისას ან მათი ფალსიფიკაცია. აგრეთვე, შესაძლებელია ლეგიტიმურად წარმოქმნილი ხელისუფლების უზურპაცია მისი უკანონო გამოყენება საზოგადოების და სახელმწიფოს საზიანოდ, სახელისუფლებო უფლებამოსილების გადამეტებით.

ხელისუფლების იურიდიულ ლეგიტიმურობას გამოხატავს მისი ლეგალურობა ანუ ნორმატიულობა, სამართლის ნორმებში განხორციელების, კანონით შემოფარგვლის, კანონიერების ჩარჩოებში ფუნქციონირების უნარი. შესაძლოა, საზოგადოებაში არსებობდეს არალეგალური, მაგალითად, მაფიოზურ-დამნაშავეობრივი ხელისუფლება, რომელიც იძულების, ძალდატანების უხეშ ფორმებს იყენებს. ლეგალური ხელისუფლება ოფიციალურად აღიარებულ, დოკუმენტურად დამკვიდრებულ და საზოგადოებისათვის ცნობილ ნორმებს ეყრდნობა, არალეგალური—დაუწერელ, მხოლოდ ადამიანების გარკვეული წრისათვის ცნობილ ქცევის წესებს. ლეგალური ხელისუფლება საზოგადოების სტაბილურობისა და წესრიგის განმტკიცებისაკენ ისწრაფვის, არალეგალური კი ემსგავსება სენს, რომელიც აზიანებს და სპობს საზოგადოების ჯანსაღ უჯრედებს.¹

1

¹ სახელმწიფო ხელისუფლების ცნების, განხორციელების მეთოდების, ლეგიტიმურობის პრობლემებზე იხ. ბ. სავანელი, სამართლის თეორია თბ., 1998 წ. ირ. სურგულაძე, ხელისუფლება და სამართალი, თეზისები თ.ს.უ. 1927 წ. ვ. ჭანუყვაძე, ვ. ჭანია, პოლიტოლოგია, თბ., 1996 წ. გ. მკურნალიძე, პოლიტოლოგია თბ. 1995 წ. Теория Государства и права М. 1998 г.

თავი მერვე სახელმწიფოს ფუნქციები

§1. სახელმწიფოს ფუნქციების სინაზა, კლასიფიკაცია და ევოლუციის პრობლემა

პოლიტიკურ და იურიდიულ ლიტერატურაში სახელმწიფო განიხილება მისი ფუნქციონალური საქმიანობის მიხედვით.¹ ასეთი მიდგომა, ჯერ ერთი, გვეხმარება ღრმად ჩავევლეთ თვით სახელმწიფოს ცნებას; მეორე, საშუალებას გვაძლევს მეცნიერულად გავიაზროთ სახელმწიფოს საქმიანობის შინაარსი, მისი მექანიზმის სრულფასოვნება კონკრეტულ ისტორიულ პირობებში; მესამე, როგორ ემსახურება სახელმწიფოს ორგანიზაციული სტრუქტურები ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სრულყოფას, რათა სახელმწიფოებრივი მმართველობა ქვეყნის მთელი მოსახლეობისათვის განხორციელდეს.

სახელმწიფოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც განსაზღვრულია სოციალური შინაარსით და გამოხატავენ სახელმწიფოს არსს, მიზნებსა და ამოცანებს,—რათა მართოს საზოგადოება მისთვის დამახასიათებელი ფორმებითა და მეთოდებით არის სახელმწიფოს ძირითადი ფუნქცია.

ეს განსაზღვრება საშუალებას გვაძლევს გამოვეყოთ სახელმწიფოს ფუნქციების არსებითი ნიშნები:

—სახელმწიფოს ფუნქცია არის მისი საქმიანობის არა ნებისმიერი, არამედ ძირითადი მიმართულება, რის გარეშეც მოცემულ ისტორიულ ეტაპზე ან თუნდაც მთელი მისი არსებობის განმავლობაში სახელმწიფო წარმოუდგენელია. ეს არის სახელმწიფოს მტკიცე, ჩამოყალიბებული საგნობრივი საქმიანობა ამა თუ იმ სფეროში — ეკონომიკაში, პოლიტიკაში, ბუნების დაცვაში და ა.შ;

—ფუნქციების მეშვეობით შეიძლება სახელმწიფოს საზოგადოებასთან დამოკიდებულების და მისი მრავალმხრივი კავშირების შეცნობა;

—თავისი ფუნქციების შესრულებით სახელმწიფო გადაწყვეტს მის

¹ იხ. Теория государства и права мод. ред. М. Марченко. М. 1996 г. стр. 80-84., Хропанюк В. Теория государства и права М. 1999 г. стр. 154-164. В. Глушенко Теория государства и права М. 2000 г. стр. 57-64.

წინაშე მდგარ მართვის ამოცანებს, ხოლო მისი საქმიანობა პრაქტიკულ მიმართულებას იძენს;

—სახელმწიფოს ფუნქციები მმართველობის კონკრეტული გამოხატულებაა და ისინი გვიჩვენებენ სახელმწიფო მმართველობის მიზნებს საზოგადოების განვითარების ყოველ ისტორიულ ეტაპზე;

—ფუნქციები გარკვეული (ძირითადად სამართლებრივი) ფორმით და, თავისებური, სახელმწიფო ხელისუფლებისათვის დამახასიათებელი მეთოდით რეალიზდება.

სახელმწიფოს ფუნქციები თავისი არსით ობიექტურნი არიან. მათ საზოგადოების და სახელმწიფოს ურთიერთქმედების კანონზომიერებები განაპირობებს. ამიტომაც სახელმწიფოს მათი შესრულება-არშესრულების არჩევანი არა აქვს. სახელმწიფოს მიერ თავისი ფუნქციების შესრულებლობა უეჭველად გამოიწვევს საზოგადოების ცხოვრებაში ნეგატიური შედეგების ჯაჭვურ რეაქციას. მაგალითად, თუ სახელმწიფო შეწყვეტს მართლწესრიგის უზრუნველყოფის ფუნქციის შესრულებას, საზოგადოება გახდება დესტაბილური, მოიცავს ანარქიას, რომელიც მას ნგრევამდე მიიყვანს.

ამასთან, სახელმწიფოს ფუნქციების ობიექტურობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ადამიანების ნების და ცნობიერების გარეშე რეალიზდება, პირიქით, აქ სუბიექტური ფაქტორის როლი ძალიან დიდია. სახელმწიფო მხოლოდ მაშინ ფუნქციონირებს ნაყოფიერად, როდესაც მისი ფუნქციები სრულად შეესაბამება საზოგადოების ობიექტურ მოთხოვნებს. მაშასადამე, ჯერ გათვითცნობიერებული უნდა იქნეს ობიექტური საზოგადოებრივი მოთხოვნილებანი და მხოლოდ ამის შემდეგ განისაზღვროს სახელმწიფოს ფუნქციები და მათი განხორციელების მექანიზმი. ამასთან, ყოველივე ამას უზრუნველყოფს ადამიანების შეგნებული საქმიანობა. სახელმწიფო ხელისუფლებას შეცდომები და ნაკლოვანებები საზოგადოებას სხვადასხვა დონის კრიზისული მოვლენებით უბრუნდება.

სახელმწიფოს ფუნქციები მრავალგვარია, მათი წარმოქმნის და შეცვლის რიგი დამოკიდებულია საზოგადოების წინაშე ევოლუციის პროცესში მდგომი ამოცანების მიმდევრობაზე და მის მიერ დასახულ მიზნებზე. ამოცანა არის ის, რაც გადაჭრას მოითხოვს, ხოლო ფუნქცია ნიშნავს საქმიანობას, რომელიც მიმართულია ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრისაკენ. სხვაგვარად, ამოცანა და ფუნქცია ურთიერთდაკავშირებული ცნებებია, მაგრამ მათი გაიგივება არ შეიძლება. სახელმწიფოში ცალკეულ ისტორიულ პერიოდში პრიორიტეტულად გვევლინება სხვადასხვა ამოცანა და მიზანი, აქედან გამომდინარე, მისი ფუნ-

ქციებიც სხვადასხვაა. ამა თუ იმ ამოცანის გადაჭრას ზოგი ფუნქციის შეწყვეტა და მის ადგილზე ახლის წარმოშობა მოჰყვება.

ყოველ სახელმწიფო ფუნქციას თავისი ზემოქმედების ობიექტი და შინაარსი აქვს. ობიექტი არის საზოგადოებრივი ურთიერთობების გარკვეული სფერო, რომლისკენაც მიმართულია სახელმწიფოებრივი ზემოქმედება. სწორედ ობიექტი წარმოადგენს სახელმწიფო ფუნქციების გამოიჯვინის კრიტერიუმს. ფუნქციის შინაარსი გვიჩვენებს, რას აკეთებს სახელმწიფო, რა მმართველობით ქმედებებს განახორციელებს მოცემულ სფეროში, კონკრეტულად რითაა დაკავებული მისი შესაბამისი ორგანოები.

სახელმწიფოს ფუნქციები აუცილებლად უნდა განვასხვაოთ მისი ცალკეული ორგანოების საქმიანობისაგან, რომლებიც განსაზღვრავენ კონკრეტული სფეროს სოციალურ-მიზნობრივ დანიშნულებას, რომელიც ფუნქციების მეშვეობით ახდენს თავისი კომპეტენციის რეალიზაციას. ცალკეული ორგანოებისაგან განსხვავებით, სახელმწიფოს ფუნქციები სრულდება ყველა ან მრავალი ორგანოს მიერ. მაგრამ, ეს არ გამორიცხავს, რომ ცალკეული სახელმწიფო ორგანო უპირატეს (ლიდერის) როლს ასრულებს ამა თუ იმ სახელმწიფო ფუნქციის განხორციელებაში. მაგალითად, ქვეყნის დაცვა გარეშე ძალის თავდასხმისაგან სამხედრო უწყების მთავარი ამოცანაა.

კონკრეტული ორგანოს ყველა საქმიანობა სახელმწიფო ფუნქციებს ემორჩილება, არ შეუძლია, მათ წინააღმდეგობა გაუწიოს, ამიტომ სახელმწიფო ორგანოების საქმიანობა სახელმწიფოს ძირითადი ფუნქციების კალაპოტში უნდა მიედინებოდეს.

სხვადასხვა ისტორიული ტიპის სახელმწიფოს ფუნქციები არსებითად განსხვავდება ერთიმეორისაგან, მაგრამ ზოგიერთი საერთო ნიშნის მიხედვით მათი კლასიფიცირება მაინც შესაძლებელია (იხ. სქემა, გვ. 135).

როგორც უკვე აღინიშნა, ნებისმიერი სახელმწიფოს ფუნქციებზე გადაწყვეტ გაუვლენას ახდენს მისი არსი. სახელმწიფოს არსი წინააღმდეგობრივია, მას ორი ძირითადი მხარე აქვს – საერთო-სოციალური და კლასობრივი. საერთო-სოციალური საწყისი განპირობებულია მთელი საზოგადოების მოთხოვნილებებით, კლასობრივი – მისი კლასობრივი წინააღმდეგობებით.

უახლოეს წარსულში საყოველთაოდ იყო აღიარებული, რომ სახელმწიფოს ყველა ფუნქცია კლასობრივი წინააღმდეგობებიდან გამომდინარეობს, კლასობრივ ხასიათს ატარებს, რომ არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს ზეკლასობრივი, საერთო-სოციალური ფუნქციები. ეს ამაზინჯებდა წარმოდგენას საზოგადოების და სახელმწიფოს ურთიერთქმედების შესახებ. სინამდვილეში კლასებად დაყოფილი საზოგა-

დობაც კი ერთიანი, მთლიანი ორგანიზმია, რომელშიც მოწინააღმდეგე კლასები, სოციალური ჯგუფები და ფენები თანაარსებობენ და გავლენას ახდენენ ერთმანეთზე. სახელმწიფოს, როგორც საზოგადოებრივი პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმას, არ შეუძლია არ ეწეოდეს საერთო-სოციალურ საქმიანობას, არ შეუძლია არ გამოდიოდეს მთელი საზოგადოების, მოსახლეობის ყველა ჯგუფის და ფენის ინტერესების წარმომადგენლად. აღმოსავლურ-დესპოტური მონათმფლობელური სახელმწიფოები ასრულებდნენ ეკონომიკურ ფუნქციას — ორგანიზებას უკეთებდნენ არხების და ჯებირების მშენებლობას, ჭაობების დაშრობას და სხვა საზოგადოებრივ სამუშაოებს. აგრეთვე, ფეოდალური სახელმწიფოები ცდილობდნენ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების მოწესრიგებას (ატარებდნენ პროტექციონიზმის პოლიტიკას, ცალკეულ ნაბიჯებს დგამდნენ განათლების და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში). ყველა დასახელებული სახელმწიფო უზრუნველყოფდა მართლწესრიგს, რომლის გარეშე არც ერთ საზოგადოებას არ შეუძლია არსებობა.

ცივილიზაციისა და დემოკრატიის განვითარება ფართოდ უხსნის გზას სახელმწიფოს საერთო-სოციალურ საქმიანობას. ჩვენს დროში, სახელმწიფოს საერთო-სოციალური ფუნქციები (ეკონომიკური, სოციალური, დემოკრატიული მართლწესრიგის დაცვა) პრიორიტეტულნი ხდებიან, ფართოვდება სახელმწიფოს საქმიანობა სულიერ სფეროში (განათლება, კულტურა, მეცნიერება).

დღეს განსაკუთრებით აქტუალურია გლობალური პრობლემები, რომლებიც მწვავედ ეხება საერთო-საკაცობრიო ინტერესებს — ბუნებისა და გარემოს დაცვა მთელ პლანეტაზე, საერთაშორისო დამნაშავეობასთან ბრძოლა, დემოგრაფიული პრობლემები და სხვა. მათ გადასაჭრელად აუცილებელია ყველა სახელმწიფოს ერთობლივი ძალისხმევა, მამსადამე, შესაბამისი ფუნქციის — მსოფლიო მართლწესრიგის უზრუნველყოფის, საერთაშორისო ეკოლოგიური და ა.შ. — განვითარება.

სახელმწიფოს საერთო-სოციალური ფუნქციები უზრუნველყოფს საზოგადოების შიგნით ურთიერთობათა აუცილებელ სტაბილურობას, მის ერთიანობას და მთლიანობას საერთო-სოციალური მოთხოვნილებების და ინტერესების (ეკონომიკური, სოციალური, სულიერი, ეროვნული) საფუძველზე. რაც უფრო მაღალია სახელმწიფოს საერთო-სოციალური ფუნქციების ხვედრითი წილი, მით უფრო დიდია მისი როლი საზოგადოებაში, როგორც წინააღმდეგობების დასაძლევე საიმედო ინსტრუმენტი, როგორც განსხვავებული ინტერესების შეთანხმების და საზოგადოებრივი კომპრომისის მიღწევის საშუალებისა. აქ იძულების, ძალდატანების მეთოდებს ვერ გამოიყენებ, ამიტომაც სახელმწიფომ

დემოკრატიულ, კუმანისტურ ინსტიტუტებს და იდეებს (სამართლებრივი სახელმწიფო, საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში სამართლის ბატონობა, ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვა, ეროვნული უმცირესობის დაცვა, კანონიერების და მართლწესრიგის იურიდიული გარანტიების დამკვიდრება და ა.შ.) უნდა მიმართოს.

სახელმწიფოსა და ხელისუფლებისადმი ნდობა, მოსახლეობის მხარდაჭერის დონე (ხელისუფლების სოციალური ლეგიტიმურობა) პირდაპირ არის დამოკიდებული სახელმწიფოს ფუნქციების დემოკრატიულ შინაარსზე, მის უნარსა და სურვილზე, თავის საქმიანობაში გაითვალისწინოს მრავალგვარი კლასობრივი, ჯგუფური, ეროვნული და სხვა სოციალური ინტერესები. სახელმწიფო, რომელიც აშკარად თელავს ადამიანის უფლებებს, იგნორირებას უკეთებს მის ხელშეუვალ, ბუნებრივ უფლებებს და თავისუფლებას, ახორციელებს მთელი ზალხის ან ცალკეული ეროვნული ჯგუფების რეპრესიებს, ხელს უშლის კონტაქტებს ადამიანებსა და სხვადასხვა ქვეყნის ორგანიზაციებს შორის, არ შეიძლება ცივილიზებულად ჩაითვალოს. მას არ უნდა ჰქონდეს სხვა სახელმწიფოებთან ნორმალური თანამშრომლობის, მსოფლიო საზოგადოებაში მისთვის სასურველი საზოგადოებრივი აზრის იმედი. „სახელმწიფო და სამართალი სიკეთეა და ისინი არსებობენ ადამიანისათვის და არა ადამიანი მათთვის“¹.

მარქსისტული გაგებით კლასობრივ საზოგადოებაში, სადაც კლასები და სხვა სოციალური ჯგუფები ერთმანეთს უპირისპირდებიან, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური ნიშნით, სადაც კლასთა ძირეული ინტერესები შეურიგებელია, სახელმწიფო ეკონომიკურად გაბატონებული კლასის ძალაუფლების პოლიტიკური ორგანიზაცია ხდება, ემსახურება მის ინტერესებს. აქედან გამომდინარეობს ასეთი სახელმწიფოს მთავარი ფუნქცია — ჩაახშოს ექსპლუატირებული კლასების ან სოციალური ჯგუფების წინააღმდეგობა, რომელსაც მკაფიოდ გამოხატული კლასობრივი მიმართულება აქვს. ამის გარდა, გარკვეულ კლასობრივ შეფერილობას იძენენ მისი სხვა ფუნქციებიც. ეს გამონათქვამი ეხება მონათმფლობელურ, ფეოდალურ და კაპიტალისტურ (XIX და XX საუკუნის პირველი მეოთხედის) საზოგადოებას.

XX ს. მეორე ნახევარში დასავლეთის სახელმწიფოთა უმრავლესობაში

1 ე. შევარდნაძე, დიდი აბრეშუმის გზა“ თბ. 1999 წ. გვ. 29.

მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა თვით კლასებში, გაჩნდა საშუალო კლასი – საზოგადოების მასტაბილიზებული ფაქტორი. ეს აისახა სახელმწიფოს ფუნქციონალურ საქმიანობაში: კლასობრივი წინააღმდეგობებით წარმოქმნილი ფუნქციები მეორე პლანზე გადავიდა, შეიცვალა მათი განხორციელების ფორმები და მეთოდები.

ამგვარად, სახელმწიფო ფუნქციები წარმოქმნის მიზეზების (წყაროების) მიხედვით შეიძლება დაიყოს შემდეგ ქვეჯგუფებად:

ა) ფუნქციები, რომლებიც კლასობრივი წინააღმდეგობებიდან გამომდინარეობს (ექსპლუატირებული კლასის წინააღმდეგობის ჩახშობა და ა.შ.);

ბ) ფუნქციები, რომლებიც მთელი საზოგადოების მოთხოვნილებებიდან გამომდინარეობს (მართლწესრიგის უზრუნველყოფა, ბუნებისა და გარემოს დაცვა და ა.შ.).

მიმართულების მიხედვით სახელმწიფოს ფუნქციები იყოფა ორად: საშინაო და საგარეო. საშინაო ფუნქციები მიმართულია ქვეყნის შინაგანი ამოცანების გადაჭრისაკენ, გვიჩვენებენ მოცემულ საზოგადოებაზე სახელმწიფო ზემოქმედების აქტივობის ხარისხს, საგარეო – სხვა სახელმწიფოებთან გარკვეული ურთიერთობების დამყარებისა და გამტკიცებისაკენ. საშინაო და საგარეო ფუნქციები მჭიდროდ უკავშირდებიან, ავსებენ ერთმანეთს.

საშინაო ფუნქციაში შეიძლება გამოიყოს დაცვის ფუნქციების ბლოკი – საკუთრების დაცვის, მართლწესრიგის უზრუნველყოფის, ბუნებისა და გარემოს დაცვის, ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული და სხვა ფუნქციები.

საკუთრების არსებული ფორმების დაცვის ფუნქცია ახასიათებს ყველა სახელმწიფოს, რადგანაც ისინი იცავენ თავის ეკონომიკურ ფუნდამენტს. ამასთან, საზოგადოებაში, სადაც ძირითადი ეკონომიკური პოტენციალი თავს იყრიდა ამა თუ იმ კლასის ხელში (ექსპლუატატორულ საზოგადოებაში), სახელმწიფო საქმიანობა მიმართული იყო მათი საკუთრების დასაცავად, რომლის ხელყოფისთვისაც დასჯის მკაცრი ზომები გამოიყენებოდა. დემოკრატიულ საზოგადოებაში მოქმედებს საკუთრების ყველა ფორმის თანაბარი სამართლებრივი დაცვის პრინციპი.

მართლწესრიგის დაცვა არის ნებისმიერი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი და აუცილებელი ფუნქცია, რომელიც საზოგადოების მოთხოვ-

ნილებებიდან გამომდინარეობს. დემოკრატიულ სახელმწიფოში პირველ პლანზე წამოწეულია მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, რის გარეშეც ჭეშმარიტი მართლწესრიგი შეუძლებელია, ამიტომ ეს ფუნქცია მოდიფიცირდება, მოქალაქეთა უფლებების, თავისუფლებებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროში.

ბოლო ათწლეულებში ერთ-ერთი ძირითადი გახდა ბუნებისა და გარემოს დაცვის ფუნქცია. ეკოლოგიურად გარემოს დაბინძურებამ, რამაც საფრთხე შეუქმნა ადამიანის ჯანმრთელობას და, უფრო მეტიც, ჩვენს პლანეტაზე სიცოცხლის უნარიანობას, განაპირობა ცალკე დარგის „ეკოლოგიური სამართლის“ ჩამოყალიბება.¹

XX ასწლეულის მეორე ნახევარი ხასიათდება იმით, რომ მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში ერთ-ერთი ძირითადი—ეკონომიკური ფუნქცია გახდა. ამჟამად სახელმწიფო ერევა ეკონომიკაში, განსაზღვრავს მისი ზრდის ტემპს, ადგენს პროპორციებს მის ცალკეულ დარგებს შორის. წარმოიქმნა ეკონომიკის სახელმწიფო სექტორი ანუ სახელმწიფოებრივი საკუთრება და მასზე დაფუძნებული საწარმოების და ორგანიზაციების სახელმწიფოებრივი მმართველობა. მრავალ ქვეყანაში სახელმწიფო უმსხვილესი მეწარმეა—მრავალრიცხოვანი სააქციო საზოგადოებები სახელმწიფო საწარმოებს წარმოადგენენ—იგი ასრულებს მსხვილი ბანკირის როლს, რომელიც თავის ხელში უყრის თავს სასესხებო კაპიტალის დიდ მასას. თანამედროვე სახელმწიფოს უნარი აქვს მთელი ქვეყნის მასშტაბით გააკეთოს ეკონომიკური პროცესების პროგნოზირება და რეგულირება.

სახელმწიფოს ეკონომიკურ ფუნქციას ანტიკრიზისული მიმართულება აქვს და მიზნად ისახავს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის შექმნას, რომელიც ითვალისწინებს და ათანხმებს მეწარმეთა და მომხმარებელთა ინტერესებს. სწორედ ამას ეძღვნება კანონმდებლობა კომპანიების, სააქციო საზოგადოებების და სხვა გაერთიანებების შესახებ. ის იცავს მოქალაქეთა—მეანაბრეთა, აქციონერთა, მომხმარებელთა უფლებებს და ინტერესებს, არ უშვებს, რომ ბაზარში მონაწილეობდნენ არაკეთილსინდისიერი კონტრაგენტები. სახელმწიფო ამტკიცებს ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობას, აწარმოებს მრავალი სახეობის ფართო მოხმარების საქონელს, ამ საქონლით ვაჭრობის ლიცენზირებას, მთელი რიგი საქონლის ექსპორტის და იმპორტის კონტროლს, პრიორიტეტული დარგების განვითარების სტიმულირებას და ა.შ. ერთი სიტყვით, ეკონომიკური ფუნქცია განპირობებულია მთელი საზოგადოების განვითარების მოთხოვნებით.

¹ იხ. ვ. ლორია, თ. ურუშაძე, ეკოლოგიური სამართალი, თბ., 1996 წ.

ეკონომიკურთან მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელმწიფოს სოციალური ფუნქცია. ის თავისი საქმიანობის მოცულობის მიხედვით შინაარსით მრავალფეროვანი და მასშტაბურია. მისი მთავარი დანიშნულებაა, აიცილოს შესაძლო დაძაბულობა საზოგადოებაში, ეცადოს, გამოასწოროს ადამიანთა სოციალური მდგომარეობა, განავითაროს ჯანმრთელობის დაცვა, განათლება, კულტურა.

სოციალური ფუნქციის შესასრულებლად სახელმწიფო ქმნის პენსიების, დახმარებების, ჯანმრთელობის დაცვის და ა.შ ფონდებს, შეიმუშავებს და რეალიზაციას უკეთებს პროგრამებს, რომლებიც სტაბილურს ხდიან მოსახლეობის დასაქმებას და ამცირებენ უმუშევრობას, არეგულირებენ (მეტნაკლებად) ხელფასის ოდენობას და ა.შ.


სახელმწიფოს სოციალური საქმიანობა რეგლამენტირებულია განსაკუთრებული დარგით – სოციალური სამართლით. ამ მხრივ ისეთ განვითარებულ ქვეყნებში, როგორცაა, მაგალითად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, უკვე მრავალი წელია მოქმედებს სოციალური კოდექსი, რომელშიც ერთად არის თავმოყრილი (კოდიფიცირებული) სოციალური შეღავათების, უზრუნველყოფის და დახმარების მრავალფეროვანი ფორმების (ომში დაღუპულების, სამხედრო მოსამსახურეების, ახალგაზრდობის, ბავშვების, მრავალშვილიანი ოჯახების და ა.შ.) ნორმები. ყველაფერ ამაში ნათლად ჩანს სახელმწიფოს მიზანი – უზრუნველყოს ადამიანის ღირსეული არსებობა, პიროვნების თავისუფალი განვითარება, ოჯახის დაცვა, სოციალური სამართლიანობა და ა. შ.

თანამედროვე პირობებში იზრდება სახელმწიფოს როლი ჯანმრთელობის დაცვის, სახალხო განათლების, კულტურის მხარდაჭერასა და განვითარებაში. ამ საქმიანობის სამართავად სახელმწიფო ქმნის და აფინანსებს შესაბამის ორგანიზაციებს და დაწესებულებებს.

ბოლო ათწლეულებში მსოფლიოს მრავალი სახელმწიფო აქტიურად ახორციელებს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განვითარების ფუნქციას. ეს გამოწვეულია იმით, რომ ძალიან გაიზარდა მეცნიერული კვლევების და ექსპერიმენტული სამუშაოების თანამედროვე მასშტაბები, ამიტომ სახელმწიფო თავის თავზე იღებს ტექნიკური პროგრესის სტიმულირების ვალდებულებას, თითქმის მთლიანად იხდის ფუნდამენტური თეორიული გამოკვლევებისათვის საჭირო დანახარჯებს.

სახელმწიფოს საგარეო ფუნქციებად ტრადიციულად გვევლინება ქვეყნის დაცვა. გარეშე ძალთა თავდასხმისაგან, დაპყრობითი ომების წარმოება,¹ დიპლომატიური ურთიერთობების უზრუნველყოფა. ჩვენს

¹ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ამ პრობლემამ უკანა პლანზე დაიწია, მაგრამ XX და XXI საუკუნის მიჯნაზე ყველასათვის მოულოდნელად სახელმწიფოს ეს არასასურველი ფუნქცია მართლაც პრობლემად იქცა.



დროში მსოფლიო ბაზრის ფორმირებასთან დაკავშირებით გააქტიურდა სახელმწიფოთაშორისო ურთიერთხელსაყრელი ვაჭრობა, თანამშრომლობა განათლების, კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში, ასევე ურთიერთობანი საერთაშორისო სამართლის ნორმებით გათვალისწინებულ დარგებში ვითარდება კოლექტიური უშიშროება, იქმნება საერთაშორისო სამშვიდობო შეირაღებული ძალები. სწორედ ამან განაპირობა შესაბამისი საგარეო ფუნქციების წარმოქმნა.

§2. სახელმწიფო ფუნქციების განხორციელების ფორმაში და მეთოდები

სახელმწიფო თავის ფუნქციებს უნდა ასრულებდეს მისთვის დამახასიათებელი ფორმებით, იყენებდეს თავის საქმიანობაში სხვადასხვა მეთოდებს.

არსებობს სახელმწიფო ფუნქციების რეალიზაციის სამართლებრივი და არასამართლებრივი ფორმა. სამართლებრივ ფორმებში აისახება სახელმწიფოს და სამართლის კავშირი, სახელმწიფოს ვალდებულება, რომ თავისი ფუნქციების შესრულებისას სამართლის საფუძველზე და კანონის ჩარჩოებში მოქმედებდეს. ამას გარდა, ისინი გვიჩვენებენ, როგორ მუშაობენ და რა იურიდიულ მოქმედებას ახორციელებენ სახელმწიფო ორგანოები და თანამდებობის პირები, ჩვეულებრივ, გამოყოფენ სახელმწიფო ფუნქციების განხორციელების სამ ფორმას—სამართალშემოქმედებითს, სამართალ-აღმასრულებელს და სამართალდამცავს.

სამართალშემოქმედებითი საქმიანობა მოიცავს იმ ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მომზადებასა და გამოცემას, რომელთა გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია სხვა სახელმწიფო ფუნქციების რეალიზაცია.

სამართალდამასრულებელი საქმიანობა განპირობებულია იმით, იქნება თუ არა კანონები და სხვა ნორმატიული აქტები რეალიზებული, ხომ არ დარჩება ისინი კანონმდებლის კეთილ სურვილად. სამართლებრივი ნორმების აღსრულების ძირითადი ტვირთი მხრებზე აწევს მმართველობის ორგანოებს (აღმასრულებელ-განმკარგულებელ ორგანოებს), რომლებსაც ქვეყნის მთავრობა მეთაურობს. ეს არის ყოველდღიური სამუშაო, რათა გადაიჭრას მმართველობითი ხასიათის სხვადასხვაგვარი საკითხები, რომლის შესასრულებლადაც აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოები გამოსცემენ შესაბამის აქტებს, აკონ-

ტროლებენ აღმასრულებლის მიერ თავისი მოვალეობის შესრულებას და ა. შ.

სამართალდამცავი საქმიანობა, ანუ სახელისუფლო ოპერატიული და სამართალშეფარდებითი საქმიანობა მართლწესრიგის, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების და ა. შ. დასაცავად მოიცავს სამართალდარღვევის აღმკვეთ ზომებს—იურიდიული საქმეების გადაჭრას, იურიდიულ პასუხისგებაში მიცემას და ა. შ.

ჩვენს დროში იზრდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორმის როლი სახელმწიფო ფუნქციების განხორციელებაში, რასაც საბაზრო ეკონომიკის განვითარება და სახელმწიფო მმართველობის დეცენტრალიზაცია განაპირობებს. ახლა სახელმწიფო ორგანოების სახელმწიფოებრივ-მბრძანებლური გადაწყვეტილებები სულ უფრო მეტად შეეფარდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფორმას, სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტურებს და მოქალაქეებს.

არასამართლებრივი ფორმები მოიცავს სახელმწიფო ფუნქციების განხორციელების პროცესის ორგანიზაციულ-მოსამზადებელ სამუშაოს დიდ ნაწილს. ასეთი საქმიანობა აუცილებელიც არის და მართლზომიერიც, მაგრამ ის დაკავშირებული არ არის იურიდიული მნიშვნელობის მქონე ისეთ ქმედებასთან, რომელსაც სამართლებრივი შედეგები მოჰყვება. ეს არის სხვადასხვაგვარი ინფორმაციის მოპოვების, გაფორმების და დამუშავების, მოქალაქეთა წერილების და განცხადებების შესწავლის და ა.შ. მოსამზადებელი სამუშაო.

სახელმწიფო ფუნქციების განხორციელების მეთოდები საკმაოდ მრავალფეროვანია. დამცავი ფუნქციების შესასრულებლად სახელმწიფო იყენებს დარწმუნების და იძულების მეთოდებს, ეკონომიკური ფუნქციის რეალიზაციისათვის აუცილებელია ეკონომიკური მეთოდების მთელი ნაკრები—პროგნოზირება, დაგეგმვა, შეღავათიანი დაკრედიტება და ინვესტირება, სახელმწიფო სუბსიდიები, მომხმარებელთა დაცვა და სხვა.¹

¹ სახელმწიფოს ფუნქციების „განხორციელების ფორმებსა და მეთოდებზე იხ. ვ. ინ-წკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბ., ბ. სავანელი სამართლის თეორია თბ., 1997 წ. ვ. აბაშმაძე „საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ძირითადი ფუნქციები თბ., 1962 წ. Теория государства и права М. 1998 г. Общая Теория права и государства М. 1996 г.

ოპვი მმცხრა

სახელმწიფოს მუქანიზმი

§1. სახელმწიფოს მუქანიზმის მნაბა ღა სტრუქტურა

სახელმწიფო მუქანიზმი არის სხვადასხვა ორგანოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების სისტემა, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო ახორციელებს თავის ფუნქციებს. ე.ი. სახელმწიფო მუქანიზმი არის ის რეალური ორგანიზაციულ-მატერიალური ძალა, რომლის მეშვეობითაც ინარჩუნებს. სახელმწიფო ძალაუფლებას. მუქანიზმი არის სახელმწიფოს სტრუქტურული და საგნობრივი განსახიერება, წარმოადგენს მატერიალურ ნივთიერებას, რომლისგანაც იგი შედგება. შეიძლება ითქვას, რომ მუქანიზმი არის მოქმედი არსი, სახელმწიფოს მუდმივად ფუნქციონირებადი გამოხატულება.

საბოლოოდ, სახელმწიფო მუქანიზმი არის სახელმწიფო ორგანოების და დაწესებულებების ერთიანი იერარქიული სისტემა, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო პრაქტიკულად ახორციელებს ამოცანებს და ფუნქციებს.

ეს განსაზღვრება საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ სახელმწიფოს მუქანიზმის შემდეგი მახასიათებელი ნიშნები:

— ეს არის სახელმწიფო ორგანოების და დაწესებულებათა ერთიანი იერარქიული სისტემა. მის ერთიანობას უზრუნველყოფს მათი და საქმიანობის ერთიანი პრინციპები, ამოცანები და მიზნები;

— მუქანიზმის პირველად სტრუქტურულ ნაწილებს (ელემენტებს) წარმოადგენს სახელმწიფო ორგანოები და დაწესებულებები, რომლებშიც სახელმწიფო მოსამსახურეები (მოხელეები, ზოგჯერ მათ სამმართველოებს უწოდებენ) მუშაობენ. სახელმწიფო ორგანოები ერთმანეთს უკავშირდებიან სუბორდინაციის და კოორდინაციის საწყისებზე;

— სახელმწიფო ხელისუფლების უშუალო ბრძანებების უზრუნველსაყოფად მას აქვს იძულების იარაღი (დაწესებულებები), რომელიც შეესაბამება ყოველი ეპოქის ტექნიკურ ღონეს—ადამიანების შეიარაღებული რაზმები და ა.შ. მათ გარეშე არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია არსებობა;

— მუქანიზმის მეშვეობით პრაქტიკულად ხორციელდება ხელისუფლება და სრულდება სახელმწიფო ფუნქციები.

სახელმწიფოს ფუნქციებსა და მის მექანიზმს შორის პირდაპირი და ურღვევი კავშირი არსებობს. იმის გამო, რომ მექანიზმი იქმნება, სწორედ ფუნქციების შესასრულებლად, მათ (სახელმწიფო ფუნქციებს) განმსაზღვრელი როლი ეკუთვნით. ათუ საზოგადოებაში წინა პლანზე გამოდის კლასობრივი ან ეროვნული წინააღმდეგობიდან გამომდინარე პრობლემები, მაშინ პირველ რიგში აუცილებელია სახელმწიფო მექანიზმის ისეთი ელემენტების ამოქმედება, როგორცაა იძულება, ძალისმიერი უწყებანი და დაწესებულებები.

სასწავლო ლიტერატურაში, ჩვეულებრივ, ცნებები სახელმწიფო „მექანიზმი“ და „აპარატი“ ერთმანეთს ცვლიან. ტერმინი „მექანიზმი“ მხოლოდ ხაზს უსვამს აპარატის მთლიანობას, მის მისწრაფებას შედეგიანი საქმიანობისაკენ.

ერთიანი და მთლიანი სახელმწიფო მექანიზმი შემაღგენელ ნაწილებად—ორგანოებად, ქვესისტემებად იყოფა. მათ შორის არსებობს საკუთარი იერარქია: სხვადასხვა ორგანოები და ქვესისტემები სხვადასხვაგვარ ადგილს იკავებენ და რთულ სუბორდინაციულ ურთიერთობაში არიან ერთმანეთთან.

სახელმწიფო მექანიზმის სტრუქტურა ცვალებადი და მრავალფეროვანია, მაგრამ მასში ყოველთვის შედიან მმართველობისა და იძულების ორგანოები. ეს, რა თქმა უნდა, არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს სახელმწიფოს მექანიზმის ერთი ნაწილი მარტო მმართველობას ეწევა, ხოლო მეორე—მარტო იძულებას. რეალურ ცხოვრებაში მმართველობა და იძულება ერთმანეთთან ორგანულად არიან დაკავშირებული.

მრავალი საუკუნისა და ათასწლეულის განმავლობაში სახელმწიფო მექანიზმი განუვითარებელი იყო, მისი ორგანოები არ დიფერენცირდებოდნენ შემაღგენლობის და კომპეტენციის მიხედვით, მონათმფლობელური, ფეოდალური, კაპიტალისტური სახელმწიფოს განვითარების ადრეულ ეტაპებზეც კი მექანიზმის საფუძველს შეადგენდა სამხედრო უწყება, შინაგან საქმეთა, ფინანსთა და საგარეო უწყებები.

თანამედროვე სახელმწიფოს მექანიზმი ძალიან რთულია, ახასიათებს ორგანოებისა და დაწესებულებების მრავალფეროვნება, იყოფა მსხვილ ქვესისტემებად. მაგალითად, მის ერთ ქვესისტემას (ნაწილს) ქმნის სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოები: წარმომადგენლობითი, სახელმწიფოს მეთაური, მთავრობა. ჩვეულებრივ, ისინი საზოგადოების, მა-

¹ სახელმწიფო მექანიზმის სტრუქტურის ცვალებადობა და მრავალფეროვნება განსაკუთრებით დამახასიათებელია გარდამავალი პერიოდის სახელმწიფოებისათვის (გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს).

სობრივი საინფორმაციო საშუალებების მხედველობის არეში არიან, მათ ირგვლივ ყალიბდება საზოგადოებრივი აზრი. მეორე ქვესისტემა არის მართლწესრიგის ორგანოები, სასამართლო, პროკურატურა, აგრეთვე, ძალოვანი სტრუქტურები (არმია, პოლიცია, დაზვერვა), ეს უკანასკნელნი ასრულებენ სახელმწიფო უმაღლესი ორგანოების გადაწყვეტილებებს, მათ შორის, სახელმწიფოებრივი იძულების (სამხედრო ჩახშობა, პოლიციური ზომები) მეთოდებით. იძულების ყველაზე მკაცრ ზომებს ახორციელებენ ადამიანების შეიარაღებული რაზმები—ჯარი, პოლიცია.

სახელმწიფო ორგანოებს უერთდებიან სახელმწიფო დაწესებულებები, რომლებსაც სახელისუფლო უფლებამოსილება არ გააჩნიათ, მაგრამ ასრულებენ საერთო-სოციალურ ფუნქციებს ეკონომიკის; განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სამეცნიერო და სხვა სფეროებში.

§2. სახელმწიფო ორგანოს სწავლა და ნიშნები

სახელმწიფო მექანიზმის პირველად და უმნიშვნელოვანეს სტრუქტურულ ელემენტს წარმოადგენს სახელმწიფო ორგანო.

სახელმწიფო ორგანო არის სახელმწიფო მექანიზმის რგოლი (ელემენტი), რომელიც მონაწილეობს სახელმწიფო ფუნქციების განხორციელებაში და ამისათვის მინიჭებული აქვს სათანადო უფლებამოსილება. ამა თუ იმ ორგანოს ცნების, ნიშნების გამოკვლევა საშუალებას გვაძლევს ღრმად ჩავევდეთ მთლიანად სახელმწიფო მექანიზმს.

—მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ორგანო გარკვეულად დამოუკიდებელი და ავტონომიურია, ის არის ერთიანი სახელმწიფო მექანიზმის ნაწილი, თავისი ადგილი აქვს სახელმწიფო მანქანაში და მჭიდროდ არის დაკავშირებული მის სხვა ნაწილებთან;

—სახელმწიფო ორგანოს ემსახურებიან სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც თავისებურ სამართლებრივ ურთიერთობაში არიან ერთმანეთთან და ორგანოსთან.

სახელმწიფო მოხელეთა მდგომარეობა, უფლებები და მოვალეობანი განისაზღვრება კანონით და უზრუნველყოფს მათ სამართლებრივ სტატუსს, მათ მიერ სახელისუფლებო უფლებამოსილების გამოყენების მოცულობა და წესიც კანონით არის დადგენილი და დაკონკრეტებულია

¹ იხ. საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ თბ., 1997 წ. 31 ოქტომბერი №1022-ს.

თანამდებობრივ ინსტრუქციებში, საშტატო განრიგებში და ა.შ. სახელმწიფო მოსამახურეებს მიეკუთვნებიან ის თანამდებობის პირებიც, რომლებიც ფლობენ სახელისუფლებო უფლებამოსილებას, გამოსცემენ სამართლებრივ აქტებს, დამოუკიდებლად ახორციელებენ მათ ცხოვრებაში.

სახელმწიფო მოსამსახურეები უშუალოდ არ ქმნიან მატერიალურ ფასეულობებს, ამიტომ მათი შენახვა საზოგადოებას ეკისრება, ისინი იღებენ ხელფასს სახელმწიფო ორგანოში დაკავებული თანამდებობის შესაბამისად;

—სახელმწიფო ორგანოებს აქვთ შინაგანი აგებულება (სტრუქტურა), ისინი შედგებიან ქვედანაყოფებისაგან, რომელთაც აერთიანებს მიზნები, რის მისაღწევადაც შეიქმნენ, და ყველა მოსამსახურისათვის სავალდებულო დისციპლინა;

—სახელმწიფო ორგანოს უმნიშვნელოვანესი თვისებაა ის, რომ მას აქვს კომპეტენცია ანუ გარკვეული შინაარსის და მოცულობის სახელისუფლებო უფლებამოსილება (უფლებათა და მოვალეობათა ერთობლიობა). კომპეტენციას განაპირობებს კონკრეტული ამოცანები და ფუნქციები, რომლებსაც სახელმწიფო ორგანო ასრულებს. ჩვეულებრივ, კომპეტენცია იურიდიულად არის განმტკიცებული (კონსტიტუციაში ან მოქმედ კანონმდებლობაში). სახელმწიფო ორგანოს მიერ თავისი კომპეტენციის რეალიზაცია არის არა მარტო მისი უფლება, არამედ მოვალეობაც;

—თავისი კომპეტენციის ფარგლებში სახელმწიფო ორგანო ფლობს უფლებამოსილებას, რომელიც გამოიხატება:

ა) აღსასრულებელი სამართლებრივი აქტების გამოცემის შესაძლებლობაში. ეს შეიძლება იყოს ნორმატიული ან ინდივიდუალურ-განსაზღვრული (სამართლის ნორმების შეფარდების) აქტები;

ბ) სახელმწიფო ორგანოს მიერ სხვადასხვა, მათ შორის, იძულების მეთოდით, სამართლებრივი აქტების შესრულების უზრუნველყოფაში;

სახელმწიფო ორგანოს თავისი კომპეტენციის განსახორციელებლად გამოეყოფა აუცილებელი მატერიალური ბაზა, აქვს ფინანსები, თავისი ანგარიში ბანკში, დაფინანსების წყარო (ბიუჯეტიდან);

და ბოლოს, სახელმწიფო ორგანო აქტიურად მონაწილეობს სახელმწიფო ფუნქციების რეალიზაციაში, რისთვისაც იყენებენ შესაბამის ფორმებსა და მეთოდებს.

§3. სახელმწიფო ორგანოების შორეები

სახელმწიფო ორგანოები, წარმოქმნის საშუალების მიხედვით, სხვადასხვა კრიტერიუმით კლასიფიცირდება. ისინი იყოფიან პირველად და წარმოებულ ორგანოებად. პირველად სახელმწიფო ორგანოებს არავითარი სხვა ორგანო არ ქმნის, წამოიქმნება მემკვიდრეობის წესით ან აირჩევა დადგენილი პროცედურით. ის უფლებამოსილებას ამომრჩეველებისაგან იღებს (წარმომადგენლობითი ორგანოები). წარმოებულ ორგანოებს ქმნიან პირველადი ორგანოები, რომლებიც ანიჭებენ მათ უფლებამოსილებას. მათ განეკუთვნება აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოები.

უფლებამოსილების მოცულობის მიხედვით სახელმწიფო ორგანოები განიყოფებიან უმაღლეს და ადგილობრივ ორგანოებად, თუმცა, ყველა ადგილობრივი ორგანო სახელმწიფო ორგანო არ არის (მაგალითად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები). სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოები ყველაზე სრულად ასახეიერებენ სახელმწიფო ხელისუფლებას, რომელიც მთელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ვრცელდება. სახელმწიფოს ადგილობრივი ორგანოები ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (საგრაფოები, ოლქები, კომუნები, მაზრები, პროვინციები და სხვა) ფუნქციონირებს, მათი უფლებამოსილება ვრცელდება მხოლოდ ამ რეგიონში.

კომპეტენციის სისრულის მიხედვით გამოიყოფა საერთო და სპეციალური კომპეტენციის სახელმწიფო ორგანოები. საერთო კომპეტენციის ორგანოები უფლებამოსილნი არიან გადაჭრან საკითხთა ფართო წრე, მთავრობა აქტიურად მონაწილეობს ყველა სახელმწიფო ფუნქციის განხორცილებაში (რა თქმა უნდა, კანონის დაცვით) სპეციალური (დარგობრივი) კომპეტენციის ორგანოები სპეციალიზებულია რომელიმე ერთი ფუნქციის, საქმიანობის ერთი სახეობის (ფინანსთა სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო) შესრულებაზე.

არსებობს არჩევითი და დანიშნითი, კოლეგიალური სახელმწიფო ორგანოები. სახელმწიფო მექანიზმზე, მისი უმაღლესი ორგანოების კლასიფიკაციაზე უშუალო გავლენას ახდენს ხელისუფლების დანაწილების პრინციპი, რომლის შესაბამისადაც იქმნება საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოები.

საკანონმდებლო ორგანოები. ჩვეულებრივ, კანონების გამოცემის უფლება უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს ეკუთვნით. ის აღინიშნება ზოგადი ტერმინით „პარლამენტი“. ინგლისში, კანადაში, ინდოეთში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში „პარლამენტი“ საკანონმდებლო ორგა-

ნოს საკუთარი სახელია, დანარჩენ ქვეყნებში მას სხვა სახელწოდება აქვს.

პარლამენტარიზმი აყვავდა კაპიტალისტური სახელმწიფოს ჩამოყალიბების და განვითარების პერიოდში, სწორედ მაშინ შეიქმნა მისი ძირითადი უფლებამოსილებათა წრე: კანონების მიღება, მთავრობის გაკონტროლება მისთვის შეკითხვებით მიმართვის და მისი საქმიანობის განხილვის მეშვეობით, ნდობის ან უნდობლობის გამოცხადება (ვოტუმი) და ა.შ. ყველაფერმა ამან თავისი განზოგადებული გამოხატულება პპოვა პარლამენტარიზმის პრინციპში. ჩვეულებრივ, სოციალური და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პირობებში საზოგადოებრივი ცხოვრების გართულებასთან ერთად ზოგიერთ ქვეყანაში შეინიშნება მთავრობის როლის გაზრდა და პარლამენტის როლის შემცირება.

მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში პარლამენტი შედგება ზედა და ქვედა პალატისაგან. პატარა ქვეყნებში (დანია, ფინეთი) არსებობს ერთპალატიანი პარლამენტი. ხშირად ზედა პალატა, ჩვეულებრივ, უფრო დემოკრატიულია და ქვედა პალატის ერთგვარ გამწონასწორებლად გვევლინება.

სახელმწიფოს მეთაური.¹ სამ შტოდ გაყოფილი სახელმწიფო ხელისუფლება მანც ერთიანი და სუვერენულია; მისი ერთიანი ძალაუფლების წარმომქნელი წყარო არის ხალხი; ის გამოხატავს ქვეყნის მოსახლეობის ერთიან ძირეულ ინტერესებს, ამიტომ საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების დამოუკიდებლობა არის არა აბსოლუტური, არამედ ფარდობითი. სწორედ სახელმწიფოს მეთაურია მოწოდებული, რომ უზრუნველყოს ამ ორგანოების შეთანხმებული ფუნქციონირება ხალხის ერთიანი სახელისუფლო ნების და საერთო-სახელმწიფოებრივი მიზნების მიღწევის ინტერესებით. თანამედროვე სახელმწიფოებში, როგორც წესი, სახელმწიფოს მეთაური ერთპიროვნულია: კონსტიტუციურ მონარქიებში—მონარქი, რესპუბლიკებში—პრეზიდენტი.

კონსტიტუციური დადგენილებების ან ჩამოყალიბებული ტრადიციების ძალით მონარქი ფლობს მთელ რიგ უფლებებს პარლამენტის მიმართ: სესიების მოწვევა, დათხოვნა (ჩვეულებრივ, ქვედა პალატის), ზედა პალატის წევრების დანიშვნა (იქ, სადაც ეს მიღებულია), კანონების დამტკიცება და გამოქვეყნება. ის ნიშნავს (ან ამტკიცებს) სახელმწიფოს მეთაურს და მინისტრებს, ოღონდ ითვალისწინებს პარტიული

¹ 1992-1995 წლებში საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მეთაური იმპედროულად იყო პარლამენტის თავმჯდომარე.

უმრავლესობის ფრაქციების ან პარლამენტის კოალიციური ფრაქციების აზრს. ფორმალურად ის ითვლება უმაღლეს მთავარსარდლად და წარმოადგენს ქვეყანას საერთაშორისო ურთიერთობებში, მაგრამ, ფაქტიურად, ამ უფლებამოსილებებს ახორციელებს მთავრობა (ან შესაბამისი მინისტრები).

თანამედროვე პირობებში სახელმწიფოთა უმრავლესობის მეთაური არის პრეზიდენტი, რომელიც აირჩევა მოსახლეობის, პარლამენტის ან განსაკუთრებული საარჩევნო პროცედურის მეშვეობით.

პრეზიდენტი იღებს უცხოელ დიპლომატიურ წარმომადგენლებს, ნიშნავს ელჩებს სხვა სახელმწიფოებში, რიგ ქვეყნებში რატიფიცირებას უკეთებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს, არის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. ზოგიერთ ქვეყანაში პრეზიდენტს უფლება აქვს დაითხოვოს პარლამენტი, არ მოიწონოს და მეორედ განსახილველად გადასცეს პარლამენტს კანონი.

პრეზიდენტის როლი და უფლებამოსილებანი საპარლამენტო და საპრეზიდენტო რესპუბლიკებში მნიშვნელოვნად განსხვავდება.

საპარლამენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტი საშინაო საქმეებში ნაკლებად აქტიური ფიგურაა, მას ჩრდილავს სახელმწიფოს მეთაური, რომლის ხელშიც მთელი ძალაუფლებაა თავმოყრილი. მაგალითად, ასეთ სახელმწიფოებში პარლამენტის დათხოვნა თუმცა კი პრეზიდენტის ბრძანებულებით ფორმდება, მაგრამ მთავრობის გადაწყვეტილებით ხორციელდება. მთავრობის დასანიშნად საჭიროა პარლამენტის თანხმობა. პრეზიდენტის აქტი ძალაშია მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურის ანუ იმ მინისტრის ხელის მოწერის შემდეგ, რომლის კომპეტენციაშიც შედის აქტის მოქმედების სფერო.

საპრეზიდენტო რესპუბლიკებში პრეზიდენტი ცენტრალური პოლიტიკური ფიგურაა, მაგალითად, აშშ-ს პრეზიდენტს კონსტიტუციით მინიჭებული აქვს ფართო უფლებამოსილებანი, ერთდროულად არის სახელმწიფოს და მთავრობის მეთაური. ის ხელმძღვანელობს უზარმაზარ სახელმწიფო აპარატს, რომელიც 2,5 მლნ. სახელმწიფო მოსამსახურეს ითვლის. ამასთანავე, თვითონ ნიშნავს ფედერალური უწყების დაახლოებით 1500 მოხელეს. პრეზიდენტი მხოლოდ უმაღლეს ფედერალურ თანამდებობაზე ნიშნავს სენატის „რჩევით და თანხმობით“, გამოსცემს ბრძანებულებებს სახელმწიფოებრივი ცხოვრების სხვადასხვა საკითხების შესახებ.

აღმასრულებელი ორგანოები. აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის მთავრობას, რომელიც უშუალოდ მართავს ქვეყანას. ჩვეულებრივ,

მთავრობა შედგება სახელმწიფოს მეთაურისაგან (პრემიერ-მინისტრი, მინისტრთა საბჭოს ან კაბინეტის თავმჯდომარე, სახელმწიფო მინისტრი, კანცლერი და ა.შ.), მისი მოადგილეებისაგან და მთავრობის წევრებისაგან, რომლებიც მეთაურობენ სახელმწიფო მმართველობის ცალკეულ ცენტრალურ უწყებებს (სამინისტრო, დეპარტამენტი) და ეწოდებათ მინისტრი, მდივანი, სტატს-მდივანი.

უნიტარულ სახელმწიფოში იქმნება ერთი მთავრობა, ფედერაციულ სახელმწიფოში კი საერთო-ფედერალური მთავრობა და ფედერაციის წევრთა მთავრობები.

მთავრობა თავისი კომპეტენციის ყველა საკითხის შესახებ გამოსცემს სამართლებრივ აქტებს (ბრძანებულება, დეკრეტი, დადგენილება, განკარგულება), რომლებიც აუცილებლად უნდა შესრულდეს.

არსებობს ერთპარტიული და კოალიციური მთავრობები. პირველ შემთხვევაში მათში შედიან ერთი პარტიის წარმომადგენლები, მეორე შემთხვევაში—ორი ან რამდენიმე.

თავის მრავალმხრივ საქმიანობას მთავრობა ახორციელებს სახელმწიფო ადმინისტრაციის მრავალრიცხოვანი ორგანოების—სამინისტროების, უწყებების, კომისიების და ა.შ. მეშვეობით. სამინისტროებს და სხვა უწყებებს უჩნდებათ რთული, ძალიან დიდი და განშტოებული ჩინოვნიკურ-ბიუროკრატიული აპარატი, რომელიც სახელმწიფო მექანიზმის საფუძველს წარმოქმნის.

მართლმსაჯულების ორგანოები (სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ფორმა) წარმოადგენს საკმაოდ რთულ სისტემას, რომელიც შედგება სამოქალაქო, სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული, სამხედრო-საველე, სატრანსპორტო და სხვა სასამართლოებისაგან. ამ სისტემის უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს უზენაესი და კონსტიტუციური სასამართლოები.¹ სასამართლო ორგანოები ახდენენ მართლმსაჯულების რეალიზაციას სამართალწარმოების რეგულირებადი პროცესუალური სამართლის მეშვეობით. იმ ქვეყნებში, სადაც არსებობს სასამართლო პრეცედენტი, ისინი მონაწილეობენ სამართალშემოქმედებაში.

სასამართლო დამოუკიდებელია. კანონმდებლობით დამკვიდრებულია ისეთი დემოკრატიული პრინციპები, როგორებიცაა კანონის და სასამართლოს წინაშე ყველას თანასწორობა, საქმის განხილვაში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობა, მსჯავრდებულის უფლება თავი დაიცვას და ა.შ.

სახელმწიფო მექანიზმში შედიან ძალოვანი უწყებანი, რომლებიც

¹ საქართველოს საერთო სასამართლოებია: რაიონული (საქალაქო), საოლქო, სააპელაციო, აფხაზეთისა და აჭარის უზენაესი სასამართლოები, საქართველოს უზენაესი სასამართლო.

სახელმწიფო ხელისუფლების ძალას შეადგენენ—შეიარაღებული ძალები, უშიშროების ორგანოები, პოლიცია. უკანასკნელის ძირითადი დანიშნულებაა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და შინაგანი უშიშროების უზრუნველყოფა. პოლიცია სპეციალიზდება მისი საქმიანობის მრავალგვარი მიმართულების მიხედვით: პოლიტიკური პოლიცია¹ უზრუნველყოფს შინაგან უშიშროებას, ებრძვის თავისი ქვეყნის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს: კრიმინალური² და ადმინისტრაციული პოლიცია იცავს საზოგადოებრივ წესრიგს, იგი იყოფა სატრანსპორტო, სასაზღვრო, საბაჟო, სანიტარულ, ეკოლოგიურ და ა.შ. პოლიციებად.

სახელმწიფო მექანიზმში განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები. ასეთი ორგანოების თანამდებობის პირებს (გუბერნატორი, გამგებელი, პრეფექტი, კომისარი და ა.შ.), ჩვეულებრივ, ნიშნავენ მთავრობა ამა თუ იმ რეგიონის სამართავად, ხშირად რეგიონალურ დონეზე, დანიშნულ პირებთან ერთად ფუნქციონირებენ რეგიონის მოსახლეობის მიერ არჩეული ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოები (საკრებულოები). არის სახელმწიფოები (დიდი ბრიტანეთი, იაპონია), სადაც ადგილობრივი მმართველობის ყველა ფუნქციას მოსახლეობის მიერ არჩეული ადგილობრივი ადმინისტრაცია ასრულებს.^{2,3}

¹ პოლიტიკური პოლიცია დასავლურ სახელმწიფოთა შ.ს. სამინისტროს სტრუქტურაში შედის.

² სახელმწიფოს მექანიზმის ცნების, სტრუქტურის, ნიშნების, სახელმწიფო ორგანოების ფორმების შესახებ იხ. გ. ინჟირველი „სახელმწიფოსა და სამართლის თეორია“, გ. მკურნალაძე, შ. ხამხაძე „პოლიტოლოგია“ თბ., 1998 წ. *Общая Теория права и государства* М. 1996 г., *Теория государства и право (курс лекций)* Мос. 1996 г.

³ კრიმინალური პოლიცია, ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს სწორი სახელწოდება, კრიმინალი თვითონ დანაშაულის ელემენტია, ამდენად თვითონ პოლიცია რატომ უნდა იყოს კრიმინალური?

თავი მათე სახელმწიფოს ისტორიული ტიპები

§1. სახელმწიფოთა ისტორიულ ტიპებად დაყოფის პრობლემა

კაცობრიობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში არსებობდა და ერთმანეთს ცვლიდა მრავალი სახელმწიფო. ახლაც მათი რიცხვი მსოფლიოში 190-ს აჭარბებს. ამასთან დაკავშირებით, მეტად მნიშვნელოვანია მათი მეცნიერული კლასიფიკაციის პრობლემა. ისეთ კლასიფიკაციას, რომელიც ასახავს სახელმწიფოთა ისტორიული განვითარების ლოგიკას და იძლევა მათი ჯგუფებში გაერთიანების საშუალებას გარკვეული კრიტერიუმის საფუძველზე, ტიპოლოგია ეწოდება.

მარქსისტული თვალსაზრისით, სახელმწიფოს ისტორიულ ტიპად გაიზრება ერთად აღებული მისი ყველაზე არსებითი (ტიპური) თვისებები და ნიშნები, რომლებიც ერთსა და იმავე საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციას, ერთსა და იმავე ეკონომიკურ ბაზისს განეკუთვნებიან. ყველა ოდესმე არსებული და ახლანდელი სახელმწიფოების ისტორიულ ტიპებად დაყოფის კრიტერიუმში არის საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია, ანუ საზოგადოების ისტორიული ტიპი, რომელიც წარმოების ამა თუ იმ საშუალებებს ეყრდნობა.

მარქსისტული ტიპოლოგიის თანახმად, საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ოთხ ტიპს (მონათმფლობელური, ფეოდალური, კაპიტალისტური, სოციალისტური) შეესაბამება სახელმწიფოთა ოთხი ტიპი—მონათმფლობელური, ფეოდალური, კაპიტალისტური, სოციალისტური, რომელთაგან თითოეულს თავისი ნიშნები აქვს. ერთი ისტორიული ტიპის მეორეთი შეცვლა არის ობიექტური, ბუნებრივ-ისტორიული პროცესი, რომელიც რევოლუციის (ან კიდევ ევოლუციის) შედეგად რეალიზდება. ამ ისტორიულ პროცესში ყოველი მომდევნო სახელმწიფოს ტიპი ისტორიულად უფრო პროგრესული უნდა იყოს, ვიდრე წინამორბედი.

სახელმწიფოს მარქსისტული ტიპოლოგია, რომელიც ფორმაციულ მიდგომას ეფუძნება, აღარ არის პოპულარული, ის სქემატური, ერთმნიშვნელოვანია. ამ ტიპოლოგიის შესაბამისად ყველა სახელმწიფო

გადიოდა მკაცრად განსაზღვრულ გზას ერთი ისტორიული ტიპიდან მეორემდე. სინამდვილეში, სახელმწიფოთა ევოლუცია ბევრად უფრო მრავალგვარი იყო. მაგალითად, ყველა სახელმწიფოსათვის სულაც არ იყო აუცილებელი მონათმფლობელური ტიპი, ზოგიერთის განვითარებაში შეინიშნებოდა უკანსვლა, ხანგრძლივი გარდამავალი მდგომარეობა (მაგალითად, „პროფეოდალური“).

სახელმწიფოთა მარქსისტული ტიპოლოგია შეიძლება გავაკრიტიკოთ, უარი ვთქვათ მასზე, მაგრამ მანამდე შემოთავაზებული უნდა იქნეს რაიმე სხვა, უფრო სრულყოფილი. ასეთი მიდგომის მომხრენი გვთავაზობენ, რომ უკვე ცნობილ ფორმაციებს დაემატოს „აღმოსავლური სახელმწიფო“, „წარმოების აზიური წესი“ და „პროფეოდალიზმი“. უკვე დროა ახლებურად მივუდგეთ „პოსტკაპიტალისტური“ სახელმწიფოს დახასიათებასაც. რა არის ეს: სახელმწიფოს ახალი ტიპი თუ გარდამავალი მდგომარეობა? აგრეთვე, არ შეიძლება იგნორირება გავუკეთოთ სახელმწიფოებს, რომლებიც განვითარების სოციალისტურ გზას ადგანან. მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფო—ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა—აგრძელებს სოციალიზმის შენებას ჩინური სპეციფიკით.

მსოფლიო იურიდიული ლიტერატურა სახელმწიფოთა კლასიფიკაციის მრავალგვარ განსაზღვრებას გვთავაზობს. იყო აზრი დაგვეყო ისინი დემოკრატიულ და არადემოკრატიულ სახელმწიფოებად. ასეთი კლასიფიკაცია გარკვეული შემეცნებითი მიზნებით არა მარტო დასაშვებია, არამედ სასარგებლოც, მაგრამ მას მეტად ზოგადი ხასიათი აქვს და კრიტერიუმებიც საკმაოდ ბუნდოვანია.

ბოლო ხანებში ძალიან ფართოდ გამოიყენება სახელმწიფოთა კლასიფიკაცია ტოტალიტარულ, ავტორიტარულ, ლიბერალურ და დემოკრატიულ სახელმწიფოებად.

ტოტალიტარულ სახელმწიფოს როლი ჰიპერტროფირებულია, ადამიანი სახელმწიფო მანქანის ჭანჭიკი ხდება, ძალაუფლება მმართველი ელიტის ან დიქტატორის და მისი გარემოცვის ხელშია. ყველა დანარჩენი ჩამოცილებულია ხელისუფლებას და მმართველობას. სამართლებრივი რეგულირებისას დომინირებს რეჟიმი „აკრძალულია ყველაფერი, გარდა კანონით ნებადართულისა“.

ავტორიტარული სახელმწიფო ტოტალიტარულისაგან ძირითადად იმით განსხვავდება, რომ მასში, თუმცა კი მცირედ, მაგრამ მაინც აღწევს დემოკრატიულობის და კანონიერების ელემენტები.

ლიბერალური სახელმწიფო ყალიბდება ლიბერალური იდეების და დოქტრინების გავლენით, რომლებიც ამცირებენ სახელმწიფოს როლს

და მნიშვნელობას საზოგადოების ცხოვრებაში. აქ შექმნილია ადამიანის სამართლებრივი ავტონომიის პირობები, რომელიც კრძალავს სახელმწიფოს ჩარევას პირად სფეროში, მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები დამკვიდრებულია კანონით, მაგრამ ყოველთვის გარანტირებული არ არის, მოქმედებს სამართლებრივი რეჟიმი „ნებადართულია ყველაფერი, რაც კანონით აკრძალული არ არის“.

დემოკრატიულ სახელმწიფოში იქმნება სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საქმეების გადაჭრაში მოქალაქეთა რეალური მონაწილეობის პირობები, ყველა უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო ორგანო არჩევითია და ხალხი აკონტროლებს. მოქალაქენი ფლობენ კანონით გარანტირებულ ფართო უფლებებსა და თავისუფლებებს. აქ სახელმწიფო ემსახურება საზოგადოებასა და პიროვნებას.

განხილულ კლასიფიკაციას უეჭველად აქვს სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა. მის მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს პოლიტიკური, უფრო ზუსტად, სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი რეჟიმი. ეს კრიტერიუმი სიღრმისა და საფუძვლიანობის მიხედვით ფორმაციულს ვერ შეედრება, მაგრამ გვაძლევს საშუალებას, საყოველთაოდ მიღებული ტიპების ფარგლებში გამოვყოთ სახელმწიფოთა მნიშვნელოვანი თავისებურებანი.

ზემოთ მოყვანილი სახელმწიფოთა ტიპოლოგია ზოგადად და მთლიანად შეიძლება გამოვიყენოთ სამართლის მიმართ.

ინგლისელმა ისტორიკოსმა ა. ტონიბიმ შემოგვთავაზა საზოგადოებათა და სახელმწიფოთა კლასიფიკაციისადმი ცივილიზებული მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს არა მხოლოდ საზოგადოების ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს, არამედ რელიგიურ, ფსიქოლოგიურ, კულტურულ საფუძვლებსაც.

ცივილიზაციურ მიდგომას ამტკიცებს თანამედროვე მსოფლიოს ერთიანობის, მთლიანობის იდეა, საერთო-საკაცობრიო ღირებულებების პრიორიტეტი, ხოლო ცივილიზაცია გაიგება, როგორც გონებასა და სამართლიანობაზე ბაზირებული საზოგადოების მატერიალური და სულიერი მიღწევების ერთობლიობა, რომელიც კონკრეტული სოციალური სისტემის ჩარჩოებში ვერ თავსდება.

ცივილიზაციის მთლიანობა განპირობებულია ტექნიკის, სოციალური ორგანიზაციის, რელიგიის და ფილოსოფიის ურთიერთქმედებით, ამასთან, პირველი (ტექნიკა) განსაზღვრავს ყველა დანარჩენ კომპონენტს. ადვილი შესამჩნევია, რომ ასეთი მიდგომა იგნორირებას უკეთებს ისტორიული მატერიალიზმის მნიშვნელოვან დებულებებს ზედნაშენთან მიმართებაში.

ცივილიზაციური მიდგომით არ იცვლება ფორმაციული მეთოდი, მაგრამ მათი გარკვეული შეხამება შესაძლოა იყოს მისაღები სახელმწიფოთა მეცნიერული კლასიფიკაციისათვის.

დღევანდელ სახელმწიფოთა კლასიფიკაცია ისტორიულ ტიპებად ყოვლისმომცველი არ არის.

პირველი მსოფლიო ომის დამთავრებისა და რუსეთში ცარიზმის დამხობის შემდეგ მთელ მსოფლიოში დაიწყო კოლონიური დაშლის, ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის და მათ მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების პროცესი. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ კი უკვე რამდენიმე ათეული ქვეყანა გადაიქცა სუვერენულ სახელმწიფოდ. ეს პროცესი დააჩქარა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე, 1960 წელს, მიღებულმა დეკლარაციამ „კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ“.

რიგ ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციები განხორციელდა კოლონიზატორთა წინააღმდეგ ხალხის შეიარაღებული ბრძოლის შედეგად, ზოგან კი რევოლუცია განვითარდა მშვიდობიანი გზით, პოლიტიკური ბრძოლის საშუალებებით. იყო, აგრეთვე, პრეცედენტები, როდესაც იმპერიალისტური სახელმწიფოები იძულებულნი იყვნენ თვითონვე გამოეცხადებინათ საკუთარი კოლონიებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭება.

ახალგაზრდა ეროვნული სახელმწიფოები, რომლებიც დამოუკიდებელი ცხოვრების გზას დაადგნენ, საზოგადოებრივი წესწყობილებისა და ხელისუფლების ხასიათის მიხედვით, აგრეთვე შემდგომი განვითარების გზების არჩევის თვალსაზრისით, ორ ძირითად ჯგუფად იყოფიან: სახელმწიფოები, რომელთა განვითარება ხდება კაპიტალისტური გზით (ინდოეთი, მალაიზია, მაროკო, ტუნისი, ფილიპინები, სენეგალი და სხვა) და სახელმწიფოები, რომლებიც განვითარების არაკაპიტალისტურ გზას დაადგნენ და სოციალისტური ორიენტაციის სახელმწიფოებად ითვლებოდნენ (ალჟირი, გვინეა, სირია, ბირმა, ტანზანია, კონგოს სახალხო რესპუბლიკა და სხვა.) არიან ისეთი სახელმწიფოებიც, რომლებმაც თავიდანვე მკეთრად ვერ განსაზღვრეს თავისი ორიენტაცია. ყველა ამ სახელმწიფოს განვითარებად ქვეყანას უწოდებენ.

ასეთი ქვეყნების განვითარება მართლაც სწრაფი ტემპით განხორციელდა, მაგრამ უმთავრესად მაინც კაპიტალისტური გზით. სოციალის-

ტურმა იღვამ, მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირისა და სხვა ე.წ. სოციალისტური სახელმწიფოების პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა სისტემებმა სრული კრაზი განიცადა, დაკარგა მიმზიდველობა და განვითარებადი ქვეყნებისათვის მისაბადი ნიმუშს აღარ წარმოადგენს.

ამ ქვეყნებში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების სირთულე, თითოეულ ქვეყანაში ხელისუფლების სათავეში მყოფი ამა თუ იმ კლასის ან სოციალური ფენის პოლიტიკის პროგრესული ან რეაქციული ტენდენციები სანათადო ასახვას პოულობენ სახელმწიფოს ფუნქციებში. გამოჰყოფენ შემდეგ ძირითადს—ესენია: კლასობრივ მოწინააღმდეგეთა და დაპირისპირებულ ძალთა დათრგუნვა, ეკონომიკური განვითარებისა და კაპიტალისტური ურთიერთობების განმტკიცების ფუნქცია, კულტურული განვითარებისა და იდეოლოგიური ზემოქმედების ფუნქცია. რაც შეეხება საგარეო ფუნქციებს, მათი შინაარსი განისაზღვრება იმით, რომ ამ სახელმწიფოთა უდიდესი უმრავლესობა ატარებს მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას, მონაწილეობს სამხედრო ბლოკებში და იცავს ნეიტრალიტეტს, იბრძვის კოლონიალიზმის საბოლოო ლიკვიდაციისათვის მთელ მსოფლიოში, მიისწრაფვის ახალგაზრდა განვითარებად სხვა სახელმწიფოებთან მჭიდრო თანამშრომლობისაკენ, ზრუნავს სხვა სახელმწიფოთა ხელყოფისაგან თავისი ქვეყნის თავდაცვისათვის.¹ ამ პროცესების სირთულე განსაკუთრებით მტკივნეულად მიმდინარეობს ყოფილ საბჭოთა კავშირის სისტემაში. შემაჯალ რესპუბლიკებში, რადგანაც მათი უმრავლესობა განვითარებადი სახელმწიფოების სიაშია შეყვანილი, მათ შორის საქართველოც, რომელიც ნელ-ნელა თავის ადგილს იმკვიდრებს მსოფლიო პოლიტიკურ სისტემაში, მაგრამ ჩვენი ქვეყანაც ვერ გადაურჩა ნგრევის, ეთნოკონფლიქტებით გამოწვეულ დაპირისპირებებს, ხელისუფლების არა მდგრადობას და ეკონომიკურ კრიზისს. თუმცე სახელმწიფო ხელისუფლება უკვე წარმატებით ახორციელებს საგარეო ფუნქციას და შემობრუნებაა საშინაო ფუნქციის თვალსაზრისითაც, რაც საპრეზიდენტო მმართველობის დამსახურებაა.

მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე, განვითარებად ქვეყნებში სახელმწიფო მართვა-გამგეობის ძირითადი ფორმა რესპუბლიკაა, ხოლო იმ სახელმწიფოთა უმრავლესობაში, სადაც თავიდან მონარქია არსებობდა, შემდგომ მოხდა რესპუბლიკურ ფორმაზე გადასვლა (ინდოეთი, პაკისტანი, კენია, ნიგერია და სხვა). ამჟამად მონარქია არსებობს მხოლოდ

¹ გ. ინჟირველი სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბ., 1998 წ. გვ. 88-89

რამდენიმე ქვეყანაში (მაროკო, საუდის არაბეთი). რაც შეეხება სახელმწიფო წყობილების ფორმას, განთავისუფლებულ ქვეყნებს შორის გვხვდება უნიტარულიც და ფედერაციული სახელმწიფოებიც. ფედერაციებს წარმოადგენენ, მაგალითად, ინდოეთი, პაკისტანი, ბირმა, მალაიზია, ნიგერია, კამერუნი, ტანზანია.

„ეროვნული სამართალი განთავისუფლებულ ქვეყნებში იქმნებოდა ახალი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებასთან ერთად. ნაცვლად კოლონიური დამოკიდებულების პერიოდში მოქმედი სამართლებრივი აქტებისა, რომლებსაც გამოსცემდნენ მეტროპოლიების სახელმწიფო ორგანოები ან ადგილებზე კოლონიური ხელისუფლების წარმომადგენლები (გუბერნატორები), განხორციელდა კონსტიტუციური და სხვა სახის კანონმდებლობა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მიერ და გამოცემულ იქნა სხვა ნორმატიული აქტები. ეს სამართლებრივი სისტემები კაპიტალისტური ორიენტაციის ქვეყნებში გამოხატავენ ძირითადად საზოგადოების უმცირესობის—მმართველი კლასებისა და ფენების ნება-სურვილს, ხელს უწყობენ კაპიტალისტური ურთიერთობების განმტკიცებას. ამიტომ გამოყენებული იქნა ძველი სამართლებრივი ინსტიტუტებიც მსხვილმესაკუთრეთა ინტერესების დასაცავად. მაგრამ ის ნორმები, რომლებიც არეგულირებდნენ კოლონიური დამოკიდებულებიდან გამომდინარე ურთიერთობებს, ცხადია, მთლიანად გაუქმდა. სამაგიეროდ, სამართლებრივი წესით იქნა აღიარებული ფორმალური დასავლური დემოკრატიის რიგი ინსტიტუტები, რომელთა რეალური განხორციელება ჯერჯერობით უამრავ შეზღუდვებთან და დაბრკოლებებთან არის დაკავშირებული.“¹

მომავალში შესაძლოა გაჩნდეს ისეთი თვისებები და ნიშნები, როგორც არც ერთ ცნობილ სახელმწიფო ტიპს არა აქვს.

მარქსისტულ ლიტერატურაში გარდამავალ სახელმწიფოებს დიდი ყურადღება არ ეთმობოდა. ითვლებოდა, რომ სახელმწიფოს ერთი ისტორიული ტიპიდან მეორეზე გადასვლა მხოლოდ რევოლუციის გზით იყო შესაძლებელი, ამიტომ გარდამავალი სახელმწიფო განიხილებოდა, როგორც რაღაც დროებითი და არათვისობრივი წარმონაქმნი. სინამდვილეში, ყველაზე უფრო ბუნებრივი და პერსპექტიული სახელმწიფოს განვითარების ევოლუციური გზაა. აქედან გამომდინარე გარდამავალი სახელმწიფოს არსებობა სრულიად კანონზომიერია და მას შეუძლია საკმაოდ დიდხანს იარსებოს.

¹ გ. ინწკირველი, „სახელმწიფოსა და სამართლის თეორია“, თბ., 1998 წ. გვ. 90

§2. აღმოსავლური სახელმწიფო და სამართალი

ბოლო დრომდე აღმოსავლურ სახელმწიფოებს რომლებიც ჩამოყალიბდნენ მდინარეების: ნილოსის, ტიგროსის, ევფრატის, განგის და სხვათა სანაპიროებზე ჩვეულებრივ, მონათმფლობელურ ტიპს მიაკუთვნებდნენ,—თუმცა, ამ ტიპის სახელმწიფოებში მაშინაც ბევრი სპეციფიკური თვისებები აღინიშნებოდა. სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურაში აღმოსავლური სახელმწიფო ცალკე განსაკუთრებულ სახეობად (ტიპად) გამოიყო.¹ მით უფრო, რომ საამისოდ საკმარისი ფუძემდებელი არსებობს.

ძველადმოსავლური სახელმწიფოები (ეგვიპტე, ბაბილონი, ინდოეთი, ჩინეთი და სხვა) დაახლოებით ხუთი ათასი წლის წინ წარმოიშვა. ამ ქვეყნების გეოგრაფიული მდებარეობა, განსაკუთრებული კლიმატური პირობები და ნიადაგი იწვევდა დიდი და რთული სარწყავი სისტემის ორგანიზაციის აუცილებლობას. სოფლის მეურნეობის ამგვარი ხასიათი („წარმოების აზიური წესი“) ითხოვდა, ჯერ ერთი, გვაროვნული თემის შენარჩუნებას, რადგან ცალკეულ ოჯახებს არ შეეძლოთ რთული და დიდი მოცულობის საირიგაციო სამუშაოების შესრულება, მეორეც, ძლიერი საჯარო ხელისუფლების არსებობას.

რამდენადაც სარწყავი სისტემების აგებისას თემის წევრთა კოლექტიურ შრომას მართავდა სახელმწიფო, მიწის უმაღლესი მესაკუთრის უფლებასაც ის ითვისებდა. ამის შედეგად თემის წევრები სახელმწიფოზე დამოკიდებულნი გახდნენ.

სხვა სიტყვებით, აღმოსავლური ტიპის სახელმწიფოების ეკონომიკური საფუძველი მიწის და საირიგაციო ნაგებობების სახელმწიფოებრივი საკუთრება გახდა. ის მონარქის, მასთან დაახლოებულ პირთა კერძო საკუთრებაც იყო, მაგრამ ეს წარმოებაში არსებით როლს არ თამაშობდა. საკუთრების ასეთი ხასიათი დიდად განსაზღვრავდა საზოგადოების სპეციფიკურ, „პირამიდულ“ სტრუქტურას: პირამიდის წვეროში — მონარქი (მეფე, ფარაონი და ა.შ.), დაბლა — მისი დაახლოებული პირები, უფრო ქვევით — შედარებით დაბალი რანგის მოხელეები, პირამიდის ფუძეში — თემის წევრები და მონები იყვნენ, რომლებიც სახელმწიფოს ექსპლუატაციის მთავარ ობიექტს წარმოადგენდნენ.

მთელ რიგ აღმოსავლურ სახელმწიფოებში (ჩინეთი და სხვა) მონობა ოჯახურ (პატრიარქალურ) ხასიათს ატარებდა, მონები მცირედ განსხვავ-

¹ იხ. Хропанюк В. Теория государства и права М. 1999 г. стр. 89-100. Общая Теория права и государства под. ред. В. Лазарева М. 1999 г. стр. 337-352.

Теория государства и права под. ред. В. корельского, В. Перевалова м. 2000 г. стр. 172-174.

დებოდნენ თემის ჩვეულებრივ წევრთაგან. ეგვიპტეში, ბაბილონში იყვნენ სახელმწიფოს და ტაძრის მონები, რომლებსაც დიდი წვლილი შეჰქონდათ ამ ქვეყნების ეკონომიკაში. ინდოეთში ჩამოყალიბდა და რელიგიით დამკვიდრდა საზოგადოების კასტური ორგანიზაცია.

საერთოდ, ძველადმოსავლურ სახელმწიფოებში არ არსებობდა საზოგადოების ტრადიციული კლასობრივი დიფერენციაცია. მათ ცხოვრებაში უდიდეს როლს თამაშობდა საუკუნოვანი ტრადიციები. მათთვის დამახასიათებელი იყო შეფერხებული, დუნე განვითარება. მრავალ ადრეულადმოსავლურ სახელმწიფოში საუკუნეების განმავლობაში არაფერი იცვლებოდა.

აღმოსავლური სახელმწიფოები ასრულებდნენ რამდენიმე ფუნქციას: —საზოგადოებრივი სამუშაოების ორგანიზაცია (საირიგაციო ნაგებობების შექმნა და ექსპლუატაცია);

—ფინანსური—გადასახადის ამოღება;

—სამხედრო—საკუთარი ტერიტორიის დაცვა ან სხვისი ტერიტორიების მიტაცება;

—თემის წევრთა და მონების წინააღმდეგობის ჩახშობა.

თავისი ფუნქციების შესრულებისათვის სახელმწიფოები ქმნიდნენ მოხელეთა მკაცრად ცენტრალიზებულ აპარატს, თუმცა ადრეულადმოსავლურ სახელმწიფოებში დიდი ხნის განმავლობაში არ არსებობდა კომპეტენტიათა მკაცრი გამიჯვნა ცალკეულ უწყებათა და მოხელეებს შორის.

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაცია ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში უფრო ხშირად იღებდა „აღმოსავლური ღესპოტის“ ფორმას, რომლის დროსაც მემკვიდრეობითი ძალაუფლება მთელი სისრულით ეკუთვნოდა ერთ მბრძანებელს—მონარქს, რომელიც მმართველობას ძლიერი სამხედრო-ბიუროკრატიული აპარატის მეშვეობით ახორციელებდა.

ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში სამართლის ისევე, როგორც სახელმწიფოს, წარმოშობის წყაროდ, მიჩნეული იყო ღმერთი: ღვთაებებს მისი სურვილების გამტარებლად კი—მონარქი, ამა თუ იმ სახელმწიფოს გამგებელი. აქედან გამომდინარე, სამართალი გამოხატავდა ღვთის ნებას. ამიტომ იყო, რომ ეგვიპტეში ფარაონს „ღმერთის შვილს“ უწოდებდნენ და ამქვეყნიურ ღმერთად აღიარებდნენ, რომელსაც ამასთან ერთად ზეციური ღმერთებიც მფარველობდნენ. პატრონისადმი ქვეშევრდომის მორჩილებაც ამ წარმოდგენებს ეფუძნებოდა.

საწარმოო საშუალებები, მიწაზე სახელმწიფოებრივი საკუთრება განაპირობებდა ერთობლივი ცხოვრების აუცილებლობას. ეს კი გამოირიცხავდა ცალკეული ოჯახების გასვლას ერთობიდან.

ჩინური სამართლის მიხედვით, მემკვიდრეობით მონარქი იმავდროულად ქვეყანაში პირველი ქურუმი და ერთადერთი მიწათმფლობელი იყო, რომელიც არისტოკრატიაზე დაყრდნობით მართავდა მოსახლეობის უუფლებო მეთემეებს. აქაც მეფის ხელისუფლება ღვთაებრივად მიჩნეული.

ჩინეთში 2500 წლის წინათ ჩამოყალიბდა ფილოსოფიური და პოლიტიკური მოძღვრება კონფუციანობა და (კანონმცოდნეობა) ლეგისტების ფილოსოფიური სკოლა. კონფუციანელებმა წინა პლანზე წამოსწიეს ზნეობრიობა, ურთიერთმეგობრობა და ადამიანთმოყვარეობა.

ამის საპირისპიროდ ლეგისტებმა სახელმწიფოებრიობაში შემოიტანეს დესპოტიზმი, რაც ითვალისწინებდა სასჯელის და დასჯის ინსტიტუტების უპირატესობას.

სპეციფიურობით გამოირჩეოდა ინდოეთის საზოგადოება, რომელიც ოთხ ძირითად კასტად (ვარნად) არის დაყოფილი. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც პოლიტიკურად, ასევე სამართლებრივად. უმაღლესი კასტა იყო ქურუმების (ბიოაჰმანების), მეორე ადგილი ეკავათ მეომრებსა და მმართველებს, ანუ ქმათრიებს, მესამეზე თავისუფალი მშრომელები ანუ ვაიშები იყვნენ, ხოლო მეოთხეზე—მონები. ამათგან პოლიტიკურად და სამართლებრივად დაწინაურებული იყო პირველი ორი კასტა.

მეფის შეუზღუდავ ძალაუფლებას აღიარებს ძველი ინდური კაუტილიას ტრაქტატი „ართჰაშასტრა“. იგი მკაცრად სჯის ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობის ყოველგვარ გამოვლინებას.

ძველადმოსავლური სამართალი, კერძოდ, ხამურაბის, მანუს და ძველჩინური კანონები ეხებოდა სისხლის, საქორწინო და სამოქალაქო, სამემკვიდრეო, ვალდებულებით სამართალსა და სასამართლო პროცესს!

§3. დასავლური სახელმწიფო და სამართალი

უკანასკნელ პერიოდამდე სახელმწიფოთა ტიპოლოგიის მარქსისტულ-ლიბერალურ მიდგომა არ ითვალისწინებდა მათ დიფერენციაციას აღმოსავლურ და დასავლურ სახელმწიფოებად. სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის თანამედროვე სახელმძღვანელოებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში გაჩნდა ახლებური მიდგომები ამ პრობლემისადმი კერძოდ, ზაზი ესმება აღმოსავლურ და დასავლურ სახელმწიფოთა მსგავსება-განსხვავებას.

წინა პარაგრაფში ჩვენ განვიხილეთ აღმოსავლურ სახელმწიფოთა ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები. მათგან განსხვავებით სახელმწი-

¹ იხ. გ. ლობჯანიძე, „ისტორიული პარალელები“, ქუთ. 1999 წ.

ფოთა წარმოშობის დასავლური წესი შეიძლება უნიკალურ მოვლენად მივიჩნიოთ. კაცობრიობის განვითარების ისტორიაში დასავლური საზოგადოება გახდა „ისტორიის ლოკომოტივი“.¹

სწორედ ევროპულმა სახელმწიფოებმა შედარებით მოკლე ისტორიულ მონაკვეთში შექმნეს ცივილიზაცია, გაუსწრეს გაცილებით ადრე შექმნილ აღმოსავლურ სახელმწიფოებს და განსაზღვრეს სამომავლოდ კაცობრიობის პროგრესი.

ევროპის ტერიტორიაზე სახელმწიფოს წარმოშობის ძირითად მიზეზად მიჩნეულია საზოგადოების კლასებად დაყოფა. წინასახელმწიფოებრიობის პერიოდში დამყარდა „სამხედრო-დემოკრატია“, რომლის დროსაც ინტენსიურად მიმდინარეობდა პირადი საკუთრების ფორმირება მიწაზე, საწარმოო საშუალებებზე, საქონელზე, მონებზე.

საზოგადოებაში მიმდინარე პროცესები ყველაზე კარგად სჩანს ათენის სახელმწიფოს მაგალითზე, სადაც სახელმწიფო ვითარდებოდა ნაწილობრივ გვაროვნულ წყობილებაზე დაყრდნობით და ამავე დროს მისი განდევნის პირობებში. ე. ი. თანდათანობით ზდებოდა სახელისუფლო ორგანოების ჩამოყალიბება, „შეიარაღებული ადამიანების“ ადგილს იკავებდნენ შეიარაღებული, მაგრამ „სახალხო ხელისუფალნი“, რომელთა ინტერესები უკვე აღარ ემთხვეოდა მთელი საზოგადოების ინტერესებს. თანდათან თავს იჩენდა ეკონომიკური დიფერენციაცია მოსახლეობაში. თემური წყობილების ნგრევის პირველ ეტაპზე არისტოკრატებს, გმირ ბასილევებს, რომელთაც ჰომეროსი „ქონიანებს“ უწოდებდა, დაუგროვდათ მიწები, მონები, საწარმოო და საბრძოლო იარაღები, ვიდრე რიგით მოთემეებს, მონობასთან ერთად, რომელიც თავიდან პატრიარქალურ ხასიათს ატარებდა (მონებს ოჯახებში იყენებდნენ), გაჩნდა დაქირავებულ უმიწოთა ფენა. ოჯახებისა და ცალკეული პირების მიერ სიმდიდრის დაგროვების შესაძლებლობამ გაზარდა მისწრაფება—გამოეყენებინათ სხვისი შრომა და ექსპლოატაცია გაეწიათ ადამიანებისათვის, უპირველეს ყოვლისა, მონებისათვის, რომელთა რიცხვი სამხედრო ტყვეებით ივსებოდა. უფრო მოგვიანებით ვინც ვალებს ვერ ისტუმრებდა მათ მონებად აქცევდა:

ძველ სპარტაში სახელმწიფოს წარმოშობის თვისებები უფრო სხვა გარემოებით ხასიათდებოდა. სპარტამ დაიპყრო მეზობელი ტერიტორიები და დაპყრობილი მოსახლეობა აქცია მონებად. მათი რიცხვი თვით სპარტელ მოქალაქეთა რაოდენობას აჭარბებდა მონათა მორჩი-

1 იხ. Общая теория права и государства под ред. В. Лазарева м. 1999 г. стр. 62.

ლებაში ყოფნისა და მათზე ბატონობისათვის საჭირო გახდა ახალი სახელისუფლო აპარატის შექმნა. იმისათვის რომ სპარტის ძირითად მცხოვრებლებს შორის არ მომხდარიყო ქონებრივი უთანასწორობა, იკრძალებოდა მიწაზე პირადი საკუთრება და იგი სახელმწიფოს მფლობელობაში რჩებოდა. სპარტის მთელი მიწა იყოფოდა თანასწორ ნაკვეთებად და ადილობრივ მცხოვრებლებზე ნაწილდებოდა. ქონებრივი უთანასწორობის დაუშვებლობა ხელს უწყობდა წესრიგის კონსერვაციას და არ იძლეოდა იმ სოციალური ძალის წარმოქმნის საშუალებას რომელსაც შეეძლო ტომობრივი ნაშთების ლიკვიდაცია.

ბუნებრივია, პირველყოფილი გვაროვნული წყობილებისათვის დამახასიათებელი ცხოვრების წესი უკვე მიუღებელი და შეუთავსებელი აღმოჩნდა კლასობრივი საზოგადოებისათვის და საჭირო გახდა მანამდე უცნობი და სრულიად ახლებურად მოწყობილი ხელისუფლების ორგანოების შექმნა. მეცნიერები განიხილავენ ევროპის ტერიტორიაზე სახელმწიფოს წარმოშობის სამ ძირითად ფორმას, რაც დამახასიათებელია ზოგადად პირველყოფილი თემური წყობილების რღვევისა და სახელმწიფოს წარმოშობის პროცესისათვის სხვადასხვა ქვეყანაში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელმწიფოს წარმოშობის ყველაზე კლასიკურ მაგალითად განიხილავენ ათენის სახელმწიფოს. მისი შექმნის აუცილებლობა განაპირობა კლასობრივმა ანგატაგონიზმმა, ყოველგვარი შიდა და გარე ძალებისა თუ სხვა ზემოქმედებისგარეშე.

სახელმწიფოს წარმოშობის მეორე ფორმად მიღებულია რომის სახელმწიფოს მაგალითი, მართალია, პირველყოფილი თემური წყობილების რღვევის პროცესი ძალიან მიაგავდა ათენში მიმდინარე პროცესებს, მაგრამ ერთი განსხვავებით: რომში სახელმწიფოს შექმნა განაპირობა უკიდურესად გამწვავებულმა წინააღმდეგობამ და ბრძოლამ გვაროვნულ არისტოკრატიასა და თავისუფალ მეთემეებს, პლებეებს შორის, რის შედეგადაც იშლება სისხლით ნათესაურ პრინციპზე დამყარებული გვარი და საფუძველი ეყრება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელიც ემყარებოდა ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ და წოდებრივ-კლასობრივ დაყოფას. რომის სახელმწიფოს წარმოშობა დააჩქარა შინაგანმა წინააღმდეგობებმა.

სახელმწიფოს წარმოშობის სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე გერმანულ ტომებში. იმ დროს, როდესაც რომის მონათმფლობელური იმპერია თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურზე იყო ასული, გერმანული ტომები ჯერ კიდევ პირველყოფილი გვაროვნული წყობილების

პირობებში ცხოვრობდნენ. რომის მხრიდან თავდასხმის შიშმა ისინი გააერთიანა, თავს დაესხნენ რომის იმპერიას, დაამხვეს იგი და შექმნეს არა მონათმფლობელური, არამედ ფეოდალური სახელმწიფო.¹

პირველყოფილი გვაროვნული წყობილებიდან ფეოდალური ტიპის სახელმწიფოს შექმნის რომის მაგალითი ერთადერთი და გამონაკლისი არ არის ევროპის ტერიტორიაზე. ეს გზა გაიარა ძველმა რუსეთმა, ირლანდიამ და სხვა ქვეყნებმა.

ბუნებრივია, ამ თავისებურებების გათვალისწინებით იქმნებოდა სამართალიც. პირველი სამართალი დამყარებული იყო იმ ადათებსა და წესებზე, რომლებიც წლების მანძილზე ფორმირდებოდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ადათ-წესებს და ჩვეულებებს სახელმწიფოს მიერ სავალდებულო ძალა მიენიჭა და ჩამოყალიბდა ადათობრივი სამართალი. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია რომის სამოქალაქო სამართალი, სისხლის სამართალი და სასამართლო პროცესი, რომლებმაც საფუძველი დაუდო რომანულ-გერმანულ სამართლის სისტემას და უდიდესი როლი ითამაშა მსოფლიო სამართლის განვითარების საქმეში. ძველი რომის სამართლის წყაროებიდან აღსანიშნავია—ადათი, წინაპართა წეს-ჩვეულებანი, რომელიც რომის სამართლის უძველეს წყაროს წამოადგენდა.

რესპუბლიკის პერიოდიდან დაწყებული ცენტურიის კრებებზე მიღებული კანონები. (XII ტაბელის კანონი).

ედიქტები, რომლებსაც გამოსცემდნენ რესპუბლიკისა და პრინციპალის პერიოდში არჩეული თანამდებობის პირები.

სენატის დადგენილებანი, რომლებსაც ფაქტობრივად სავალდებულო ძალა გააჩნდათ, მაგრამ კანონთა რანგში არ განიხილებოდა, რადგანაც სახალხო კრების მიერ არ იყო მიღებული.

იურისტების მოღვაწეობა, რომლებიც განმარტავდნენ კანონის შინაარსს.

იმპერატორების საკანონმდებლო მოღვაწეობა, რომელმაც ფართო ხასიათი მიიღო იმპერიის პერიოდში.

რომის სამართალი.² დღესაც სამართალმცოდნეთა სამაგიდო წიგნია, იურიდიულ ფაკულტეტებზე დამოუკიდებელ სასწავლო დისციპლინადაა აღიარებული და მკვლევართა დიდი ინტერესის საგანს წარმოადგენს.

¹ იხ. გ. ლობჯანიძე, ნარკვევები ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძღვრებათა ისტორიიდან ქუთ. 1998 წ. გვ. 14-25

² იხ. Иво-Пухан, Мирьяна Поленак—Акимовская Римская права под. ред. В. Томсина М. 1999 г.

§4. მონათმფლობელური სახელმწიფო და სამართალი

მონათმფლობელური ტიპის სახელმწიფოები წარმოიქმნენ, ძველად-მოსავლურ სახელმწიფოებზე უფრო გვიან, კერძო საკუთრების გაჩენის, ქონებრივი განშრეების, საზოგადოების კლასებად დაყოფის შედეგად. ყველაზე უფრო კლასიკური მონათმფლობელური სახელმწიფოები გაჩნდა საბერძნეთსა (ძვ. წ. აღ. VIII–VI საუკუნეებში) და რომში (ძვ. წ. აღ. VI საუკუნეში).

მონათმფლობელური სახელმწიფოს ეკონომიკურ ბაზისს წარმოადგენდა საკუთრება არა მხოლოდ წარმოების იარაღებსა და საშუალებებზე, არამედ ადამიანებზე—მონებზეც, მატერიალური კეთილდღეობის მთავარი შემქმნელები—მონები არ ფლობდნენ სამართლის სუბიექტის სტატუსს, იყვნენ სამართლის და ექსპლუატაციის ობიექტები, ისევე, როგორც ნებისმიერი საგანი.

მონათმფლობელური საზოგადოების ძირითადი კლასები მონათმფობელები და მონები იყვნენ. მათ გარდა არსებობდა სოციალური შუაშრე—ხელოსნები, წვრილი მიწათმოქმედები. ისინი თავისუფლებად ითვლებოდნენ, მაგრამ სამართლისათვის უპოვარნი და მონათმფლობელთა მიერ ექსპლუატირებულნი იყვნენ. ამიტომ მონებსა და მონათმფლობელებს შორის მწვავე სოციალური წინააღმდეგობა იჩენდა თავს. მონები არ ურიგდებოდნენ საკუთარ ბედს და ბრძოლას ეწეოდნენ ხან ფარული, პასიური წინააღმდეგობის, ხან კი ღია გამოსვლების სახით, აჯანყებების ფორმით და ა.შ. (მონათა აჯანყება სიცილიაში ძვ. წ. აღ. II საუკუნეში, სპარტაკის აჯანყება ძვ. წ. აღ. I საუკუნეში და სხვა).

მონათმფლობელური სახელმწიფო კლასობრივი იყო და თავისი არსით მონათმფლობელთა დიქტატურის იარაღს წარმოადგენდა. სახელმწიფოს კლასობრივი არსი მის ფუნქციებში გამოიყენებოდა. საშინაო ფუნქციებს განეკუთვნებოდა;

—მონათმფლობელთა კერძო საკუთრების დაცვა, მონების და თავისუფალი ფენის ექსპლუატაციის პირობების შექმნა;

—მონების და თავისუფალთა ფენის წინააღმდეგობის ჩახშობა უხეში ძალადობის მეთოდებით, ხშირად უბრალოდ დაშინებისა და პროფილაქტიკისთვის;

—იდეოლოგიური ზემოქმედება დისციპლინის და წესრიგის დაცვის მიზნით.

საერთო-სოციალურ ფუნქციას მონათმფლობელური სახელმწიფო ახორციელებდა იმ ზომით, რომელიც შეესაბამებოდა გაბატონებული კლასის ძირითად ინტერესებს.

საგარეო სფეროში მონათმფლობელური სახელმწიფო ასრულებდა თავისი ტერიტორიის და სხვა სახელმწიფოებთან მშვიდობიანი კავშირის დაცვის, სხვისი ტერიტორიების მიტაცებისა და დაპყრობილი ტერიტორიების მართვის ფუნქციებს. ყველა ეს ფუნქცია იყო შედარებით უბრალო სახელმწიფო აპარატის პრეროგატივა, რომელშიც უმნიშვნელოვანეს როლს არმია თამაშობდა—ის მონაწილეობდა როგორც საგარეო, ასევე საშინაო ფუნქციების განხორციელებაში. აპარატის შემადგენლობაში შედიოდა, აგრეთვე, პოლიცია, სასამართლო, მოხელეთა ადმინისტრაციული ორგანოები.

მონათმფლობელური სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციის ფორმა უნიტარული მონარქია და რესპუბლიკა იყო. მაგალითად, მონარქია ძველ რომში. თუმცა მონარქია რომში არსებობდა რესპუბლიკური წყობილების დამყარებამდეც ძვ. წ. 703-510 წლებში ეწ. rex-ბის ხანა. მან შეცვალა რესპუბლიკური მმართველობის ფორმა და დიდი ხნის განმავლობაში ატარებდა მის თვისებებს, III საუკუნეში კი რომი შეუზღუდავი მონარქია გახდა. მონათმფლობელური რესპუბლიკური მმართველობის ფორმა ორგვარი იყო: პირველი—დემოკრატიული რესპუბლიკა (ათენი), სადაც სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოების არჩევნებში მთელი თავისუფალი მოსახლეობა მონაწილეობდა, მეორე—არისტოკრატიული რესპუბლიკა (სპარტა), აქ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს მსხვილი სამხედრო მიწათმფლობელი არისტოკრატია ირჩევდა.

იმპერატორობის პერიოდში რომის მონათმფლობელური სამართლის განვითარებამ უმაღლეს დონეს მიაღწია. ამ დროს ვითარდებოდა და სრულყოფილი ხდებოდა სასაქონლო წარმოება. შესაბამისი ურთიერთობების რეგულირებისათვის რომაელმა იურისტებმა შეიმუშავეს მრავალი სამართლებრივი ინსტიტუტი: საკუთრების, სანივთო, ვალდებულებითი, საოჯახო, მემკვიდრეობითი და სხვა. რომაული სამართალი გახდა კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული სამართლის კლასიკური სახეობა. მან მონათმფლობელურ ეპოქაზე მეტხანს იცოცხლა და ახლაც ახდენს გავლენას კერძო სამართლის განვითარებაზე.

მონათმფლობელურმა სახელმწიფომ გაიარა ჩამოყალიბების და განვითარების პერიოდი, თანდათან დაკნინდა და ამოწურა თავისი შესაძლებლობები, მის ნაცვლად ფეოდალური სახელმწიფო მოდიოდა.

§5. ფეოდალური სახელმწიფო და საპარტიოლი

ფეოდალური წარმოებითი ურთიერთობების საფუძველზე წარმოიქმნა წინა ეპოქებისათვის უცნობი სახელმწიფოები. ესენია სახელმწიფოები ინგლისში და საფრანგეთში, გერმანიაში და რუსეთში, ჩეხეთში და პოლონეთში, სკანდინავიის ქვეყნებში, იაპონიაში და ა.შ. მთელ რიგ ქვეყნებში დღესაც შემორჩა ფეოდალური გადმონაშთები.

ფეოდალური სახელმწიფოს ეკონომიკურ საფუძველად გამოდიოდა ფეოდალთა საკუთრება მიწაზე და არასრული საკუთრება ყმა გლეხებზე. ფეოდალთა საკუთრება მიწაზე სოციალური უთანასწორობის საფუძველი იყო. საზოგადოების ძირითადი კლასები იყო ფეოდალები და ყმა გლეხები. ამასთან ერთად არსებობდა სხვა სოციალური ჯგუფები—ქალაქელი ხელოსნები, ვაჭრები და ა.შ.

ფეოდალური საზოგადოების კლასობრივი დიფერენციაცია გარკვეულ წილად ეხამებოდა წოდებრივ დაყოფას ანუ ადამიანთა ისეთ ჯგუფებს, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ მათთვის კანონით მინიჭებული უფლებებისა და მოვალეობების მოცულობით. მაგალითად, საქართველოში არსებობდა ისეთი პრივილეგირებული წოდებები, როგორცაა თავადები, აზნაურები და სამღვდელთა. ხელოსნების, ვაჭრების წოდებებს არ გააჩნდათ ის პრივილეგიები, რომელსაც უმაღლესი წრის წარმომადგენლები ფლობდნენ. ყველაზე ნაკლები უფლებები ჰქონდათ ყმა გლეხებს, რომლებიც მიწას იძულებით იყენებდნენ მიჯაჭვულნი. სამართალი ღიად ამკვიდრებდა წოდებრივ უთანასწორობას და პრივილეგიებს, ამიტომაც ფეოდალური საზოგადოების მთელი ისტორია სავსეა გლეხთა აჯანყებების და ომების მაგალითებით.

ფეოდალური სახელმწიფო ფეოდალთა და პრივილეგირებულ წოდებათა დიქტატურის იარაღი იყო. თავისი განვითარების გზაზე მან გაიარა მთელი რიგი სტადიები:

—დეცენტრალიზებული ფეოდალური დაქუცმაცების;

—ცენტრალიზაციის გაძლიერებისა და წოდებრივ, წარმომადგენლობითი მონარქიის ჩამოყალიბების;

—ცენტრალიზებული აბსოლუტური მონარქიის და ფეოდალური სახელმწიფოებრიობის დაცემის.

ფეოდალური სახელმწიფოს ფუნქციათა უმრავლესობა კლასობრივი წინააღმდეგობებით იყო განპირობებული. ესენია ფეოდალური საკუთრების დაცვა, გლეხების და მოსახლეობის სხვა ექსპლუატირებული ჯგუფების წინააღმდეგობის ჩახშობა. სახელმწიფო, აგრეთვე, ასრულებდა მთელი საზოგადოების მოთხოვნილებებიდან გამომდინარე ფუნ-

ქციებს, ხოლო მისი საგარეო საქმიანობა ძირითადად დამპყრობლური ომების წარმოება და გარეშე თავდასხმებისაგან თავდაცვა იყო.

ფეოდალური სახელმწიფოს სახელმწიფო აპარატში შედიოდა ლაშქარი, პოლიციის და ჟანდარმერიის რაზმები, სადაზვერვო ორგანოები, გადასახადის ამკრეფი ორგანოები, სასამართლოები.

ყველაზე გავრცელებულ ფორმას მონარქია წარმოადგენდა. ადრეული ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელია დეცენტრალიზებული მონარქია. უფრო მოგვიანებით, როდესაც განვითარებას იწყებს სავაჭრო-ფულადი ურთიერთობანი, მეფეები, მთავრები ახერხებდნენ ქვეყნის პოლიტიკურ გაერთიანებას და მონარქის ხელისუფლებასთან ერთად იქმნება საზოგადოების სხვადასხვა წოდების წარმომადგენლებისაგან შემდგარი დაწესებულებანი, რომელთა გადაწყვეტილებებისათვის მონარქს ანგარიშის გაწევა უხდებოდა. ეს იყო წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქიები. ასეთ ორგანოს საფრანგეთში წარმოადგენდა გენერალური შტაბი. რუსეთში საერთო კრება, ინგლისში პარლამენტი, საქართველოში სავაზირო და კარავი.

ფეოდალიზმის რღვევის პერიოდში იქმნება ფეოდალური მონარქიის ახალი სახე აბსოლუტიზმი ანუ უაღრესად ცენტრალიზებული სახელმწიფო.

ფეოდალური წესწყობილებისათვის, მონარქიის გარდა, დამახასიათებელია, აგრეთვე, ფეოდალურ-რესპუბლიკური, რომლებიც როგორც ფეოდალური სახელმწიფოს გაბატონებული ფორმა სხვადასხვაგვარი მონარქია იყო. მმართველობის რესპუბლიკური ფორმა მხოლოდ ქალაქ-სახელმწიფო-რესპუბლიკებში (ვენეცია, გენუა, ნოვგოროდი, ფსკოვი და ა.შ.) არსებობდა.

ფეოდალური სამართალი გამოხატავდა გაბატონებულ ფეოდალთა კლასის ნება-სურვილს და განამტკიცებდა მათთვის მისაღებ საზოგადოებრივ ურთიერთობას. ფეოდალურ სამართალში აშკარად იყო გამოხატული უფლებრივი უთანასწორობა საზოგადოების სხვადასხვა ფენებს შორის. ისე როგორც მონათმფლობელური სამართალიც, ფეოდალური სამართლის ნორმათა უდიდესი ნაწილი კერძო საკუთრების უფლების დაცვასთან იყო დაკავშირებული. კერძოდ, მიწის საკუთრებაზე ფეოდალთა ინტერესების განმტკიცება, რაც მათ პოლიტიკურ ბატონობასაც უზრუნველყოფდა.

ფეოდალური სამართლის ნორმათა უმრავლესობა აბსოლუტიზმის პერიოდამდე ჩვეულებაში იყო გამოხატული და სამართლის უმთავრეს წყაროს წარმოადგენდა.

აბსოლუტიზმის ეპოქაში სამართლის უმთავრეს წყაროდ იქცა სამე-

ფო ხელისუფლების ცალკეული აქტები, კანონები და ნორმატიული აქტების კრებულები. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საეკლესიო სამართლის ნორმებს ანუ კანონიკურ სამართალს.

ბოლო ეტაპზე ფეოდალური საზოგადოების წიაღში ჩაისახა კაპიტალისტური საწარმოო ურთიერთობები, რაც მოითხოვდა ისეთ მუშახელს, რომელიც თავის შრომას თავისუფლად გაყიდდა, მაგრამ ახალი ურთიერთობების განვითარებას ხელს უშლიდნენ ფეოდალები, მათი სახელმწიფო, ამიტომ ახლად წარმოშობილი ურთიერთობის შედეგად დაწინაურებულ ფენებსა და ფეოდალებს შორის გაჩნდა მწვავე წინააღმდეგობები, რომელთა გადაწყვეტის გზაც დემოკრატიული რევოლუციები იყო. ამ უკანასკნელთა შედეგად წარმოიქმნა სახელმწიფოს ახალი ტიპი.

§6. კაპიტალისტური სახელმწიფო და სამართალი

სახელმწიფოს ეს ტიპი ყველაზე სიცოცხლისუნარიანი, მოქნილი აღმოჩნდა, შეძლო შეგუებოდა ცვლად პირობებს. პირველი კაპიტალისტური სახელმწიფო შეიქმნა დაახლოებით XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან. ახალი სოციალური ფენა ძალაუფლებისაკენ მიდიოდა ლოზუნგით—თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა. კაპიტალისტური სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბება, ფეოდალურთან შედარებით, უდიდესი წინგადადგმული ნაბიჯია სოციალური პროგრესის გზაზე.

დასავლური სახელმწიფოს ეკონომიკური საფუძველი, მისი განვითარების პირველ ეტაპებზე, იყო კაპიტალისტური კერძო საკუთრება წარმოების საშუალებებზე. ამ სახელმწიფოში კანონის წინაშე ყველა თანასწორია, მაგრამ შენარჩუნებულია ეკონომიკური უთანასწორობა. თავიდან კაპიტალისტური საზოგადოება მოიცავდა ორ ძირითად კლასს—ბურჟუაზიასა და პროლეტარებს. დროთა განმავლობაში ურთიერთობა მათ შორის არსებით ცვლილებებს განიცდიდა.

დასავლურმა სახელმწიფომ განვითარების მთელი რიგი ეტაპები გაიარა.

პირველ ეტაპს კაპიტალისტური სახელმწიფოს ჩამოყალიბების და განვითარების პერიოდი შეიძლება ეწოდოს. ეკონომიკურ პლანში ეს არის მრავალრიცხოვან მესაკუთრეთა თავისუფალი კონკურენციის პერიოდი. აქ ეკონომიკაში სახელმწიფო არ ერევა—ეკონომიკურ ცხოვრებას განსაზღვრავდა სტიქიური ბაზარი და კონკურენცია. საერთო კლასობრივი ინტერესების და ნების გამოსავლენად განვითარებად ბურჟუა-

ზიას აუცილებლად ესაჭიროებოდა ახალი, უფრო თანამედროვე მექანიზმი. ასეთ მექანიზმად იქცნენ ბურჟუაზიული დემოკრატია, პარლამენტარიზმი, კანონიერება. სახელმწიფო უზრუნველყოფდა ხელსაყრელ პირობებს კაპიტალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარებისათვის. კლასობრივი ბრძოლა ჯერ გამწვავებული არ იყო.

მეორე ეტაპი მონოპოლისტური კაპიტალიზმის პერიოდს ემთხვევა. მას სახელმწიფოებრიობის კრიზისის დასაწყისის და გაღრმავების ეტაპი (XIX საუკუნის დასარული—XX საუკუნის პირველი ნახევარი) შეიძლება ეწოდოს. ამ ეტაპზე დიდი ცვლილებები ხდებოდა ეკონომიკაში. წვრილი საწარმოები და ფირმები ერთიანდებიან კონკურენციის ასამაღლებლად, ხდება წარმოების და განაწილების სხვადასხვა სახეობების მონოპოლიზაცია, წარმოიქმნება მძლავრი გაერთიანებები—ტრესტები, სინდიკატები, კორპორაციები და ა.შ., ძლიერდება მუშათა კლასის ექსპლუატაცია, მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნილება ჩამორჩება სასაქონლო წარმოებას.

ამას შედეგად პერიოდული კრიზისები და დეპრესიები, საწარმოთა გაბანკროტება, უმუშევრობის ზრდა, კლასობრივი ბრძოლის გამწვავება მოჰყვა. მონოპოლიზაციისა და კაპიტალის კონცენტრაციის საპირისპიროდ გაერთიანდა მუშათა კლასი, რომელიც რევოლუციური, მარქსისტული იდეების მატარებელი გახდა. 1871 წლის პარიზის კომუნა რევოლუციური გზით ძალაუფლების მოპოვებისა და მისი საკუთარი ინტერესების გამოყენების პირველი მცდელობაა.

XIX და XX ასწლეულების მიჯნაზე კაპიტალისტური სახელმწიფო სულ უფრო მეტად იქცეოდა მსხვილ მონოპოლისტურ ინსტიტუტად, რომელიც ხშირად უგულვებელყოფდა დემოკრატიასა და კანონიერებას. ამან მთელ რიგ ქვეყნებში გამოიწვია რეაქციული პოლიტიკური რეჟიმები (ფაშისტური რეჟიმები გერმანიასა და იტალიაში). კაპიტალისტური სახელმწიფოების საშინაო საქმიანობაში ძლიერდება რევოლუციურ მუშათა მოძრაობასთან ბრძოლის ფუნქცია, საგარეოში—სხვისი ტერიტორიებისა და გასაღების ბაზრების მისატაცებლად ომების წარმოება. ყველაფერ ამასთან ერთად, იზრდებოდა სამხედრო-ბიუროკრატიული სახელმწიფო აპარატი. XX საუკუნის პირველი ათწლეულები მსოფლიო ომის, პროლეტარული რევოლუციების, კოლონიური სისტემის დაშლის, მძიმე ეკონომიკური კრიზისების და დეპრესიების წლებია. საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე მკაცრი, გარდაუვალი ალტერნატივა დადგა—ან თვითრღვევა მწვავე წინააღმდეგობების შემოტევის შედეგად, ან რეფორმები და გარდაქმნები. მათ მეორე გზა აირჩიეს.

XXI საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო კაპიტალისტური სახელმწიფოს განვითარების მესამე (თანამედროვე) ეტაპი, რომელიც, როგორც ჩანს, წარმოადგენს გარდამავალ ეტაპს სახელმწიფოს უფრო მაღალი ტიპისაკენ. მას დასაბამი მისცა აშშ პრეზიდენტის ფ. რუზველტის „ახალმა კურსმა“, მაგრამ უფრო მასშტაბური, გაშლილ სამეცნიერო-ტექნიკურ რევოლუციასთან თანხედენილი ცვლილებები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოხდა. ამ ეტაპზე არსებითად შეიცვალა სახელმწიფოს ეკონომიკური საფუძველი, „სუფთა“ კერძო საკუთრება აღარ არის გაბატონებული. განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური პოტენციალის 30% და მეტიც სახელმწიფო საკუთრებად იქცა, სწრაფი ტემპით ვითარდება აქციონერების საკუთრება, წარმოიქმნა კოოპერატიული საკუთრება. ერთი სიტყვით, ეკონომიკა შერეულ ხასიათს იძენს. საკუთრების სახეობათა და ფორმათა მრავალფეროვნება ეკონომიკას მეტ ღინამიურობას, შეცვლილ პირობებთან შეგუების უნარს ანიჭებს.

ცვლილებებია, აგრეთვე, საზოგადოების სოციალურ-კლასობრივ სტრუქტურაშიც. მრავალი მუშა აქციის მფლობელი გახდა და საზოგადოების სხვა ფენებთან (სამეცნიერო-ტექნიკური ინტელიგენცია და სხვა) ერთად საშუალო კლასი—საზოგადოებრივი ურთიერთობების ძირითადი გამაწონასწორებელი—წარმოიქმნა.

სახელმწიფო ინარჩუნებს კლასობრივ ნიშნებს, მაგრამ უფრო დემოკრატიული და სოციალურია. მისი ძირითადი ფუნქცია—ეკონომიკური, სოციალური—მთელი საზოგადოების მოთხოვნილებებიდან გამომდინარეობს. მოქნილი დაგეგმვის, სახელმწიფო შეკვეთების განთავსების, დაკრედიტების და ა.შ. გზით სახელმწიფო აქტიურად ერევა ეკონომიკაშიც.

მიმდინარე ცვლილებები აისახა სხვადასხვა თეორიაში. მაგალითად, ფართოდ გავრცელდა საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს თეორია. ამ თეორიის თანახმად, თანამედროვე ეტაპზე კაპიტალიზმი საფუძველშივე შეიცვალა, იგი გახდა სახალხო, ხოლო სახელმწიფომ თითქმის დაკარგა კლასობრივი ხასიათი, იქცა საყოველთაო კეთილდღეობის ორგანოდ, რომელიც, სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მოწესრიგების მეშვეობით, მდიდრებს შედარებით აღარიბებს, ხოლო ღარიბებს ამდიდრებს. ცხადია, ეს თეორია რეალურ პროცესებს, ფაქტებს ეყრდნობა, და პროპაგანდას უწევს კაპიტალისტურ საზოგადოებასა და სახელმწიფოს.

რაც შეეხება სამართალს, იგი წარმოიშვა სახელმწიფოსთან ერთად. მანამდე არსებულ ეპოქალურ სამართალთან შედარებით, თანამედროვე

კაპიტალისტური სამართალი გამორიცხავს ყოველგვარ წოდებრივ პრივილეგიას. ის ყველა მოქალაქეს თანასწორ სამართლებრივ პირობებში აყენებს და ერთნაირად აძლევს საკუთრებისა და სიმდიდრის შექმნის საშუალებას.

კაპიტალისტური სამართლის ნორმებით განმტკიცებულია კერძო საკუთრება, თავისუფალი მეწარმეობა, საბაზრო ეკონომიკა, კანონის წინაშე ადამიანის თანასწორობა და ა.შ.

სამართლის წყარობად (ფორმობად) ითვლება კონსტიტუციები და კონსტიტუციური კანონები. აგრეთვე მთავრობის მიერ მიღებული ნორმატიული და ადმინისტრაციული აქტები. ზოგიერთ ქვეყანაში (ანგლო-საქსური) სამართლის წყაროდ მიჩნეულია სასამართლო პრეცედენტი.

ტრადიციულად იურიდიულ ლიტერატურაში დასავლური სამართლის დახასიათებისას ძირითადად განასხვავებენ ორ სისტემას: რომანულ-გერმანულს და ანგლოსაქსურს, რაზედაც უფრო დაწვრილებით ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

§7. სოციალისტური სახელმწიფო და სამართალი

სოციალისტური სახელმწიფოს შესახებ მოძღვრებას საფუძველი ჩაუყარეს კ. მარქსმა, ფ. ენგელსმა, ვ. ლენინმა, ამასთან, კ. მარქსი და ფ. ენგელსი თავიანთ იდეებს მომავალი პროლეტარული სახელმწიფოს შესახებ პარიზის კომუნის გამოცდილებიდან იღებდნენ. ვ. ლენინი კი თავის შეხედულებებს ოქტომბრის რევოლუციისა და საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლების გამოცდილებაზე დაყრდნობით ავითარებდა. ისინი თვლიდნენ, რომ ახალი ანტიექსპლუატატორული სახელმწიფო პროლეტარული რევოლუციისა და კაპიტალისტური სახელმწიფოებრიობის ნგრევის შედეგი უნდა იყოს. მასში სახელმწიფო ძალაუფლება ეკუთვნის მუშათა კლასს. თავისი არსით ეს არის პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო, რომელიც მოწოდებულია ჩაახშოს დამხობილი ექსპლუატატორი კლასების წინააღმდეგობა, ყველა შრომისუნარიანი მოქალაქე მშრომელად აქციოს. მარქსიზმი ამტკიცებდა, რომ პროლეტარული სახელმწიფო წარმოქმნის მომენტიდანვე უკვე აღარ არის საკუთრივ სახელმწიფო, არამედ მომაკვდავი „ნახევრადსახელმწიფო“, რომელიც შემდეგ კომუნისტური საზოგადოებრივი თვითმმართველობით შეიცვლება.

ყოფილი სოციალისტური ქვეყნების სახელმწიფოები თავიანთ თავს უმაღლეს და ისტორიულად უკანასკნელი ტიპის სახელმწიფოებად მიიჩნევდნენ. დღეს ჩინელი თეორეტიკოსები უფრო რეალისტები არიან, ისინი ამტკიცებენ, რომ ჩინეთში სოციალიზმის ამუშავებას სჭირდება არა ათწლეულები, არამედ ასწლეულები (მარქსიზმ-ლენინიზმი სოციალიზმს

და სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობას ხანმოკლე ვადას უსაზღვრავდა). ამას გარდა, დოგმატიზმი თეორიაში, ნეგატიური პროცესები პრაქტიკულ საქმიანობაში მრავალი შეცდომისა და დეფორმაციის მიზეზები გახდა. მიუხედავად ამისა, სოციალისტური სახელმწიფოებრიობის მშენებლობის გარკვეული გამოცდილება უნდა გაანალიზდეს და შესწავლის საგნად იქცეს. ეს, უეჭველად, სასარგებლო იქნება როგორც თანამედროვე, ასევე მომავალი თაობებისათვის, რადგან სოციალური თანასწორობის იდეები მარქსიზმიდან არ მოდის, მისი სათავეები ანტიკური ეპოქიდან იწყება. რაც შეეხება სოციალისტურ სახელმწიფოში სამართალი განიხილებოდა როგორც სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ინსტრუმენტი და იგი საზოგადოების სიღრმისეულ გარდაქმნას ემსახურებოდა. სამართლის უპირველეს წყაროს კანონი წარმოადგენდა. კანონებს შორის უმაღლესი ძალის იყო კონსტიტუციები (სულ საბჭოთა პერიოდში 4 კონსტიტუციაა მიღებული—1918 წლის, 1924 წლის, 1936 წლის, 1978 წლის). კონსტიტუციასთან ერთად მოქმედებდა საერთო-საკავშირო და რესპუბლიკური კანონები. დარგობრივი კანონები კოდექსების ფორმით გამოდიოდა, 1936 წლის კონსტიტუციაში ცვლილება შევიდა 1957 წელს, რომლის მიხედვით მიღებული იქნა სავაჭრო ზღვაოსნობის და საჰაერო სფეროში საერთო-საკავშირო კოდექსები. ყველა სხვა დარგებში საერთო-საკავშირო კომპეტენცია შეიზღუდა საფუძვლების გამოცემით, რომლის მიხედვით მოკავშირე რესპუბლიკები ღებულობდნენ თავიანთ კოდექსებს. სადაც ფუნდამენტალური ნორმები მთლიანად გადადიოდა.

სამართლის წყარო იყო პრეზიდენტის ბრძანებულება (როგორც სსრკ უმაღლესი საბჭოსი, ასევე მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოებისა). მათი გამოცემა ზდებოდა, როგორც საერთო-საკავშირო, ასე რესპუბლიკური კანონმდებლობის ქრონოლოგიური და სისტემატური კრებულების სახით.

კანონქვემდებარე აქტებიდან ცნობილი იყო მინისტრთა საბჭოებისა და სამინისტროების მიერ მიღებული აქტები (დადგენილება, გადაწყვეტილება, ბრძანებულება). რაც შეეხება სასამართლო პრაქტიკას, იგი საბჭოთა სამართლის წყაროდ არ იყო მიჩნეული, თუმცა უმაღლესი სასამართლოს პლენუმის განმარტებანი ყოველთვის მხედველობაში მისაღები იყო მოსამართლეთათვის.

ჩვეულებას საბჭოთა სამართალში როგორც სამართლის წყაროს, მეტად შეზღუდული მნიშვნელობა ჰქონდა. თუმცა, კონსტიტუციის 130-ე მუხლში, სადაც სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებზე იყო ლაპარაკი, ახალი ჩვეულებების ფორმირება იგულისხმებოდა.¹

სახელმწიფოს ტიპები (ფორმაციული კრიტერიუმები)
აღმოსავლური
დასავლური
მონათმფლობელური
ფეოდალური
კაპიტალისტური
სოციალისტური და სოციალისტურიდან გარდამავალი

¹ სახელმწიფოს ისტორიული ტიპოლოგიის პრობლემასთან დაკავშირებით იხ. გ. ინწკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბ., 1998 წ., მ. ცაცანაშვილი, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია წ. II თბ., 1999 წ. გ. მკურნალიძე, მ. ხამხაძე „პოლიტოლოგია“ თბ., 1999 წ, Обшая Теория права и государства, м. 1996 Теория государства и права Мос. 1998 г. Теория государства и права (курс лекции) м. 1996 г. Храпанюк В.Н. Теория государства и права М. 1999 г.

თავი მეთერთმეტი სახელმწიფოს ფორმაში

§1. სახელმწიფოს ფორმის მნაბა და მნიშვნელობა

ნებისმიერი სახელმწიფო თავისი არსის, შინაარსისა და ფორმის ერთობლიობას წარმოადგენს. იმისათვის, რომ მისი მექანიზმი აქტიურად ფუნქციონირებდეს, ხარისხიანად და გამართულად მუშაობდეს, საჭიროა მკაცრად ორგანიზებული სახელმწიფო ხელისუფლება. ცნობილი რუსი იურისტის და ფილოსოფოსის ი. ილინის აზრით, სახელმწიფოს ფორმა არ არის განყენებული ცნება, არც ხალხის ცხოვრებისადმი გულგრილი პოლიტიკური სქემა, არამედ ცხოვრების წყობა, ხალხის ძალაუფლების ცოცხალი ორგანიზაციაა, „აუცილებელია, რომ ხალხს ესმოდეს თავისი ცხოვრების წყობა, რომ მან იცოდეს—სწორედ „ასე“ ორგანიზება, რომ პატივს სცემდეს ამ წყობის კანონებს და ჩადოს თავისი ნება ამ ორგანიზაციაში“. სახელმწიფოს ფორმა პასუხობს კითხვებს, თუ რა პრინციპებზე და ტერიტორიულად როგორ არის აგებული სახელმწიფო ხელისუფლება, როგორ იქმნება სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოები, როგორ ურთიერთქმედებენ ისინი ერთმანეთთან და მოსახლეობასთან, როგორი მეთოდებით ხორციელდება ის (სახელმწიფო ძალაუფლება) და სხვა.

სახელმწიფოს ფორმა გაიგება როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაცია, რომელიც გამოხატულია მმართველობის, სახელმწიფო მოწყობის და პოლიტიკური (სახელმწიფოებრივი) რეჟიმის ფორმით.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს ფორმის ცნება მოიცავს:

ა) უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციას, მისი წარმოქმნის წყაროებს და ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ერთმანეთთან და მოსახლეობასთან ურთიერთქმედების პრინციპებს;

ბ) სახელმწიფო ხელისუფლების ტერიტორიულ ორგანიზაციას, როგორც მთელის შეფარდებას მის შემადგენელ ნაწილებთან;

გ) სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების მეთოდსა და საშუალებებს.

სახელმწიფოს ფორმა დამოკიდებულია მისი წარმოქმნისა და განვი-

თარების კონკრეტულ ისტორიულ პირობებზე. მასზე გადაწყვეტ გაკლენას ახდენს სახელმწიფოს არსი, ისტორიული ტიპი.

სახელმწიფოს ფეოდალურ ტიპს, როგორც წესი, შეესაბამებოდა მმართველობის მონარქიული ფორმა, ხოლო კაპიტალისტურს—რესპუბლიკური. სახელმწიფოს ფორმა დიდად არის დამოკიდებული ქვეყანაში პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობაზე, განსაკუთრებით მისი წარმოქმნის პერიოდში. ადრეული რევოლუცია მიდიდა კომპრომისამდე ახალ კლასსა და ფეოდალებს შორის, რისი შედეგიც კონსტიტუციური მონარქიაა. კონსტიტუცია—ახალი კლასის მოთხოვნაა, მონარქია—დათმობა ფეოდალებისადმი.

სახელმწიფოს ფორმაზე გავლენას ახდენს ქვეყნის ეროვნული შემადგენლობა, ისტორიული ტრადიციები, ტერიტორიის სიდიდე და სხვა ფაქტორები. მცირე ტერიტორიის მქონე სახელმწიფოები, ჩვეულებრივ, უნიტარულია. „მოსახლეობის მრავალეროვნული შემადგენლობა სახელმწიფოს ფორმას თავის მოთხოვნებს უყენებს. ის შეიძლება დაშლის ფაქტორი გახდეს და დამლუპველ სამოქალაქო ომამდე მივიდეს! ამის მაგალითებია მოვლენები, რომლებიც განვითარდა იუგოსლავიაში, რუსეთში, საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. რუსი მეცნიერი ილინი თვლიდა, რომ ყოველ ხალხს უნდა ჰქონდეს თავისი, განსაკუთრებული, ინდივიდუალური ფორმა, რომელიც მხოლოდ მას შეესაბამება. არ არსებობს ერთნაირი ხალხი და არ უნდა არსებობდეს ერთნაირი სახელმწიფოებრივი ფორმები და კონსტიტუციები, ბრმად გადმოღება და მიბაძვა უაზრობაა, საშიშია და შეიძლება დამლუპველი გახდეს ნებისმიერი ერისათვის.“²

§2. მართვა-ბაზუაობის ფორმა

მართვა-გამგეობის ფორმაში იგულისხმება სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების სტრუქტურა. ეს კატეგორია გვიჩვენებს, თუ როგორ წარმოიქმნებოდა უმაღლესი ორგანოები დემოკრატიული თუ არადემოკრატიული გზით, რას წარმოადგენენ და რა საწყისებზე ურთიერთქმედებენ ისინი, მონაწილეობს თუ არა მოსახლეობა სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოების ფორმირებაში. მემკვიდრეობითი მონარქიის პირობებში სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოების ფორმირება არადემოკრატიული გზით ხდება.

¹ Илин И. А. О государственной форме (Жур. Сов. Государство и право 1991 г. №1 Стр. 136).

² Илин И. А. დასახ. ნაშრ. გვ. 138.

ამგვარად, მმართველობის ფორმა ხსნის უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციის მეთოდს, მისი ორგანოების წარმოქმნის წესს, მათ მიერ ერთმანეთთან და მოსახლეობასთან ურთიერთქმედებას, მათ ფორმირებაში მოსახლეობის მონაწილეობის ხარისხს.

არსებობს მმართველობის ორი ძირითადი ფორმა, მონარქია და რესპუბლიკა, მათი უმაღლესი ორგანოები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან წარმოქმნის წესით, შემადგენლობით და კომპეტენციითაც.

მონარქია არის მმართველობის ფორმა, სადაც უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლება ეკუთვნის ერთპიროვნულ სახელმწიფო მეთაურს—მონარქს (მეფეს, იმპერატორს, შაჰს და ა.შ.), რომელიც მემკვიდრეობით იკავებს ტახტს და პასუხისმგებელი არ არის ხალხის წინაშე.

არსებობს ორგვარი მონარქია:

შეუზღუდავი (აბსოლუტური) მონარქიის პირობებში მონარქი წარმოადგენს სახელმწიფოს ერთადერთ უმაღლეს ორგანოს, ის ახორციელებს საკანონმდებლო ფუნქციას (მონარქის ნება სამართლის წყარო და კანონია; ხელმწიფე არის „თვითმპყრობელი მონარქი, რომელიც თავისი საქმიანობის შესახებ არავის წინაშე პასუხს არ აგებს მთელ ქვეყანაზე“), ხელმძღვანელობს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს, აკონტროლებს მართლმსაჯულებას. აბსოლუტური მონარქია დამახასიათებელია ფეოდალური სახელმწიფოს განვითარების უკანასკნელი ეტაპისათვის, როცა ფეოდალური დაქუცმაცებულობის საბოლოოდ დაძლევის შედეგად დასრულდა ცენტრალიზებული სახელმწიფოს წარმოქმნის პროცესი. ახლანდელ დროში აბსოლუტური შუა აღმოსავლეთის ზოგიერთი მონარქია (საუდის არაბეთი).

შეზღუდული მონარქიის დროს უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლება განაწილებულია მონარქსა და სხვა ორგანოს, ან ორგანოებს შორის (საერო კრება რუსეთის იმპერიაში, დარბაზი? საქართველოში). შეზღუდულ მონარქიას მიეკუთვნება წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქია და თანამედროვე კონსტიტუციური მონარქია (დიდი ბრიტანეთი, შვედეთი), რომელშიც მონარქის ძალაუფლება იზღუდება კონსტიტუციით, პარლამენტით, მთავრობით და დამოუკიდებელი სასამართლოთი.

საკმაოდ მდიდარია მონარქიული მმართველობის გეოგრაფია მსოფლიო რუკაზე, 50-მდე ქვეყანაში, მმართველობა სხვადასხვა ფორმით მონარქიულია, მათ შორის:

¹ შეზღუდვის ხარისხის მიხედვით ასხვავებენ დუალისტურ და პარლამენტარულ მონარქიებს. არსებობს არჩევითი (მალაიზიის ფედერაცია, არაბთა გაერთიანებული ემირატები) და თუოკრატული (ვატიკანი, ბაჰრეინი, ომანი) მონარქიები

1. ავსტრალია-დიდი ბრიტანეთი—დედოფალი ელისაბედ მეორე, დაიბადა 1926 წელს, ტახტზე ავიდა 1952 წელს;

2. ანტიგუა და ბარბუდა (ცენტრალური ამერიკა)—დედოფალი ელისაბედ მეორე;

3. ახალი ზელანდია—დედოფალი ელისაბედ მეორე;

4. ბარბადოსი (ცენტრალური ამერიკა)—დედოფალი ელისაბედ მეორე;

5. ბაჰამის კუნძულები (ცენტრალური ამერიკა)—დედოფალი ელისაბედ მეორე;

6. ბაჰრეინი—შეიხი ისა ბენ სალმან ალ-ხალიფა. დაიბადა 1933 წელს, ტახტზე ავიდა 1951 წელს.

7. ბელგია—ალბერტ მესამე, მეფობს 1993 წლიდან.

8. ბელიზი (ცენტრალური ამერიკა).—დედოფალი ელისაბედ მეორე;

9. ბოშეების მეფე—იონ ჩუაბე, დაიბადა 1933 წელს, ტახტზე ავიდა 1993 წელს. ადგილსამყოფელი რუმინეთი, უმაღლესი მმართველობითი ორგანო—ბოშეების კონგრესი.

10. ბრუნეი—სულთანი მუდა ჰასსანალ ბოლკიას მუიზზადინ ვადლაულასი, დაიბადა 1946 წელს, ტახტზე ავიდა 1968 წელს.

11. ბუტანი (ნეპალის მოსაზღვრე სახელმწიფო), დედოფალი თხინფხოჯიგმე სენგე ვანგჩუკი, დაიბადა 1955 წელს, ტახტზე ავიდა 1972 წელს.

12. გრენადა (კარიბის ზღვის აუზი).—დედოფალი ელისაბედ მეორე.

13. დანია—დედოფალი მარგარეტ მეორე, ტახტზე ავიდა 1972 წელს.

14. დასავლეთ სამოა (წყნარი ოკეანე)—მეფე მალიეტოა ტანუმაფილი მეორე, ტახტზე ავიდა 1963 წელს.

15. დიდი ბრიტანეთი—დედოფალი ელისაბედ მეორე.

16. ესპანეთი—მეფე ხუან კარლოს პირველი. ტახტზე ავიდა 1975 წელს.

17. ვატიკანი—პაპი იოანე მეორე (1978 წლიდან).

18. იამაიკა—დედოფალი ელისაბედ მეორე.

19. იაპონია—იმპერატორი აკიჰიტი, ტახტზე ავიდა 1989 წელს.

20. იორდანია—მეფე ჰუსეინ ბენ თალალი, ტახტზე ავიდა 1952 წელს.

21. კანადა—დედოფალი ელისაბედ მეორე.

22. კამბოჯა—ნაროლომ სიანუკი, ტახტზე ავიდა 1993 წელს.

23. კატარი (სპარსეთის ყურე)—ემირი ჰამად ბენ ჰამად ალ-თანი.

24. სამხრეთ კორეა—მეფე კრონპრინცი იუკი, დაიბადა 1931 წელს, ტახტზე ავიდა 1996 წელს.

25. ქუვეიტი—შეიხი ემირი ჯაბერ ალ-აჰმედ ალჯამარ ას საბაჰი, ტახტზე ავიდა 1977 წელს.

26. ლესოტო (სამხრეთ აფრიკა)—მეფე ლეთზია მესამე, ტახტზე ავიდა 1991 წელს.

27. ლიხტენშტეინი—თავადი ჰანს ადამს მეორე, ტახტზე ავიდა 1989 წელს.

28. ლუქსემბურგი—დიდი ჰერცოგი ჟან ბენუა გიომ მარი რობერ ლუი ანტუა ადოლფ მარკ დ' ავიანო. დაიბადა 1921 წელს, ტახტზე ავიდა 1961 წელს.

29. მალაიზია—სულთანი ტუანკე ჯააფარ აბდულ რაჰმანი, ტახტზე ავიდა 1994 წელს.

30. მაროკო—მეფე ჰასან მესამე, ტახტზე ავიდა 1949 წელს.

31. მონაკო—თავადი რენაიე მესამე, ტახტზე ავიდა 1949 წელს.

32. ნეპალი—მეფე ბირენდრა ბირ ბიკმარ შაჰ დეივ. დაიბადა 1945 წელს, ტახტზე ავიდა 1972 წელს.

33. ნიდერლანდები—დედოფალი ბეატრიქსი ვილგელმინა რამგარდი. დაიბადა 1938 წელს, ტახტზე ავიდა 1980 წელს.

34. ნორვეგია—მეფე ჰაროლდ VI, დაიბადა 1943 წელს, ტახტზე ავიდა 1991 წელს.

35. ომანი (სპარსეთის ყურე)—სულთანი ყაბურ ბენ საიდი, დაიბადა 1940 წელს, ტახტზე ავიდა 1970 წელს.

36. პაპუა ახ. გვინეა—დედოფალი ელისაბედ მეორე.

37. საუდის არაბეთი—მეფე ფაჰდ იბნ აბ ალ-აზიზ ას საუდი. ტახტზე ავიდა 1982 წელს.

38. სენტ-ვისენტი და გრენადინები (კარიბის ზღვის აუზი)—დედოფალი ელისაბედ მეორე.

39. სენტ-კიტსი და ნევისი (სენტ-კრისტოფერი და ნევისი)—დედოფალი ელისაბედ მეორე.

40. სენტ ლუსია (კარიბის ზღვის აუზი)—დედოფალი ელისაბედ მეორე.

41. სვაზილენდი (სამხრეთ აფრიკა)—მეფე მსვატი მესამე. ტახტზე ავიდა 1986 წელს.

42. სოლომონის კუნძულები (წყნარი ოკეანე)—დედოფალი ელისაბედ მეორე.

43. ტაილანდი—მეფე ჰუმბონ ადულიადეტი (რამა მეცხრე), ტახტზე ავიდა 1950 წელს.

44. ტონგა (წყნარი ოკეანე)—მეფე ტაუფაჰაჰა ტუპოუ მეოთხე, ტახტზე ავიდა 1965 წელს.

45. ტუვალუ (წყნარი ოკეანე)—დედოფალი ელისაბედ მეორე.

46. შვედეთი—მეფე კარლ მეთექვსმეტე გუსტავი, ტახტზე ავიდა 1973 წელს და ა.შ.

რესპუბლიკა არის მმართველობის ფორმა, სადაც უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლება ეკუთვნის გარკვეული ვადით არჩევით ორგანოებს, რომლებიც პასუხისმგებელია ამომრჩევლების წინაშე.

რესპუბლიკას ახასიათებს სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოების წარმოქმნის დემოკრატიული მეთოდი; განვითარებულ სახელმწიფოებში ურთიერთქმედება უმაღლეს ორგანოებს შორის ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპით, მათ კავშირი აქვთ ამომრჩევლებთან და პასუხისმგებელი არიან მათ წინაშე.

მმართველობის რესპუბლიკური ფორმა მონათმფლობელურ სახელმწიფოებში ჩაისახა. იგი ყველაზე მკაფიოდ ათენის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოვლინდა. აქ უმაღლესი სახელმწიფო ორგანო (მათ შორის უმნიშვნელოვანესი სახალხო კრება აგორა იყო), რომელსაც ათენის სრულუფლებიანი მოქალაქეები ირჩევდნენ, მაგრამ მონათმფლობელურ სახელმწიფოებში უფრო მეტად გავრცელებული იყო არისტოკრატიული რესპუბლიკა, სადაც უზენაესი სახელმწიფო ხელისუფლების არჩევითი ორგანოების ფორმირებასა და საქმიანობაში სამხედრო-მიწათმფლობელ დიდებულთა წრე მონაწილეობდა.

ფეოდალიზმის ეპოქაში მმართველობის რესპუბლიკური ფორმა იშვიათად გამოიყენებოდა. ის წარმოიქმნებოდა შუა საუკუნეების იმ ქალაქებში, რომელთაც თვითგამორკვევის უფლება ჰქონდათ (ვენეცია, გენუა, ლუბეკი, ნოვგოროდი და ა.შ.). სავაჭრო ქალაქ-სახელმწიფოები შესაბამის თანამდებობის პირთა (ბურგომისტრი, მერი და ა.შ.) მეთაურობით არჩევის გზით ჰქმნიდნენ ხელისუფლების ორგანოებს.

თანამედროვე რესპუბლიკები იყოფა საპარლამენტო და საპრეზიდენტო რესპუბლიკებად. ისინი ძირითადად განსხვავდებიან იმით, თუ უზენაესი ხელისუფლების რომელი ორგანო, პარლამენტი თუ პრეზიდენტი, აყალიბებს მთავრობას და ვის წინაშე, პარლამენტის თუ პრეზიდენტის წინაშეა პასუხისმგებელი იგი.


საპარლამენტო რესპუბლიკაში პარლამენტს მინიჭებული აქვს არა მხოლოდ საკანონმდებლო უფლებამოსილება, არამედ მთავრობის გადაყენების უფლებაც, მისთვის უნდობლობის გამოცხადების მეშვეობით, ანუ მთავრობა თავის საქმიანობაზე ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე. რესპუბლიკის პრეზიდენტი მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურია და არა მთავრობის. პოლიტიკურად ეს ნიშნავს, რომ მთავრობას აყალიბებს ის პარტია (ან პარტიები), რომელმაც საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა, ხოლო პრეზიდენტი, რომელიც არ არის პარტიის ლიდერი, მოკლებულია საშუალებას წარმართოს მისი საქმიანობა. მთავრობას ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი (იგი, შესაძლოა, სხვაგვარადაც იწოდებოდეს).

საკრედიტო რესპუბლიკები


1. აშშ	31. კამერუნი	61. სან-ტომე და პრინ- სიპი
2. ავღანეთი	32. კენია	62. საქართველო
3. ალჟირი	33. კვიპროსი	63. სეიშელის კუნძულები
4. ანგოლა	34. კარიბატი	64. სენეგალი
5. არგენტინა	35. კოლუმბია	65. სიერა ლეონე
6. ბენინი	36. კომორის კუნძულები	66. სინგაპური
7. ბირმა	37. კონგო	67. სირია
8. ბოლივია	38. კოსტა-რიკა	68. სომალი
9. ბოტსვანა	39. კოტ დე ივუარი	69. სპილოს ძეგლის ნაპირი
10. ბრაზილია	40. ლაოსი	70. სურინამი
11. ბურუნდი	41. ლიბერია	71. ტანზანია
12. გაბონი	42. ლიბია	72. ტაჯიკეთი
13. გაიანა	43. მადაგასკარი	73. ტოგო
14. გამბია	44. მავრიტანია	74. ტრინიდადი და ტობაგო
15. განა	45. მალავი	75. ტუნისი
16. გვატემალა	46. მალდივი	76. უგანდა
17. გვინეა	47. მალი	77. ურუგვაი
18. დომინიკელთა რესპუბლიკა	48. მექსიკა	78. ფილიპინები
19. ეგვიპტე	49. მოზამბიკი	79. ჩადი
20. ეკვადორი	50. ნაურუ	80. ჩილე
21. ეკვატორული გვინეა	51. ნიგერი	81. ცენტრ. აფრიკის რესპუბლიკა
22. ერაყი	52. ნიგერია	82. ჯიბუტი
23. ვენესუელა	53. ნიკარაგუა	83. ჰაიტი
24. ზაირი	54. პანამა	84. ჰონდურასი
25. ზამბა	55. პარაგვაი	85. ყაზახეთი
26. ზემო ვოლტა	56. პერუ	86. ყირგიზეთი
27. ზიმბაბვე	57. რუანდა	87. უზბეკეთი
28. თურქმენეთი	58. სალვადორი	
29. ინდონეზია	59. სამხ. აფრიკის რესპუბლიკა	
30. ირანი	60. სამხრეთ კორეა	

ნახევრად-საპრეზიდენტო რესპუბლიკები	საპარლამენტო რესპუბლიკები
<ol style="list-style-type: none"> 1. აზერბაიჯანი 2. ბელარუსი 3. ბოსნია-ჰერცეგოვინა 4. ბულგარეთი 5. ესტონეთი 6. თურქეთი 7. კორეის რესპუბლიკა 8. ლიბანი 9. ლიტვა 10. მოლდოვა 11. მონღოლეთი 12. პაკისტანი 13. პოლონეთი 14. პორტუგალია 15. რუმინეთი 16. რუსეთი 17. საბერძნეთი 18. საფრანგეთი 19. სერბია 20. სომხეთი 21. ტაივანი 22. უკრაინა 23. ფინეთი 24. ხორვატია 25. ჩეხეთი 26. შრი-ლანკა 	<ol style="list-style-type: none"> 1. ავსტრია 2. ალბანეთი 3. ბანგლადეში 4. გერმანია 5. ვანუატუ 6. იემენი 7. ინდოეთი 8. ირლანდია 9. ისლანდია 10. ისრაელი 11. იტალია 12. ლატვია 13. მწვანე კონცხის რესპ. 14. კამო ვერდე 15. რუმინეთი 16. სან-მარინო 17. სლოვაკეთი 18. უნგრეთი 19. ჩინეთი 20. შვეიცარია


საპარლამენტო სისტემა



საპრეზიდენტო სისტემა



საპრეზიდენტო-საპარლამენტო სისტემა



საპრეზიდენტო რესპუბლიკა არის მმართველობის ფორმა, სადაც პრეზიდენტი გარკვეული საპარლამენტო კონტროლის თანხლებით აყალიბებს მთავრობას, რომელიც ანგარიშვალდებულია მის წინაშე. საპრეზიდენტო რესპუბლიკაში, ჩვეულებრივ, არ არსებობს პრემიერ-მინისტრის თანამდებობა, რადგან ხშირად სახელმწიფოს მეთაურის და მთავრობის მეთაურის ფუნქციებს პრეზიდენტი ასრულებს.

არსებობს შერეული „ნახევრადსაპრეზიდენტო“ (საპრეზიდენტო-საპარლამენტო) რესპუბლიკები (საფრანგეთი, ფინეთი, პორტუგალია), რომლებშიც პარლამენტი და პრეზიდენტი მეტნაკლებად ინაწილებენ კონტროლს და პასუხისმგებლობას მთავრობის მიმართ.

ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკის პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური, მაგრამ იგი, როგორც წესი, არ ხელმძღვანელობს და არ უკავია პრემიერ-მინისტრის თანამდებობა. ამავდროულად, მას გააჩნია რიგი უფლებამოსილებები, რომელთა მეშვეობითაც შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს მთავრობის პოლიტიკაზე. პრეზიდენტს აქვს მთავრობის მიერ მიღებული დეკრეტებისა და დადგენილებების დამტკიცების პრეროგატივა და. დაბრუნების უფლება მათ ხელმეორედ განსახილველად. ამას ემატება კანონებზე ვეტოს დადების, პარლამენტის დათხოვისა და ახალი არჩევნების დანიშვნის უფლება, რასაც თავისთავად მოჰყვება მთავრობის შეცვლა.

ნახევრადსაპრეზიდენტო, როგორც ტერმინი, პირდაპირ არ უნდა გავიგოთ. ეს არ ნიშნავს, რომ ამ ქვეყნის პრეზიდენტს უფლებრივი თვალსაზრისით, საპრეზიდენტო და საპარლამენტო რესპუბლიკის პრეზიდენტებს შორის შუალედური ადგილი უკავია—ამას ნამდვილად ვერ ვიტყვით საფრანგეთის და რუსეთის პრეზიდენტებზე, რომლებსაც ზოგიერთ საკითხში უფრო დიდი უფლებამოსილება აქვს, ვიდრე წმინდა საპრეზიდენტო რესპუბლიკის პრეზიდენტს (მაგალითად, პარლამენტის გვერდის ავლით, რეფერენდუმის გზით კანონის მიღების უფლება). მისი ბუნება სწორედ საპრეზიდენტო—საპარლამენტო ხელისუფლების ფრანგული მოდელისათვის დამახასიათებელ ორგვაროვნებაში—დუალიზმში ძვეს.¹

აღსანიშნავია, რომ მონარქიამ და რესპუბლიკამ, როგორც მმართველობის ფორმებმა, დაამტკიცეს განსაკუთრებული სიცოცხლისუნარიანობა, პოლიტიკური ისტორიის სხვადასხვა პირობებთან და ეპოქებთან შეგუების უნარი. არსებითად ყველა სახელმწიფო სწორედ ამ ფორმით განსახიერდება.

¹ იხ. რესპუბლიკა საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო თბ., 1996 წ. ო. მელქაძის რედაქციით. (სქემები იხ. დას. ნაშრომში)

§3. სახელმწიფო ნაწილები შორის

სახელმწიფოებრიობის ისტორია მოწმობს, რომ ყველა საუკუნეში სხვადასხვა სახელმწიფო ერთმანეთისგან განსხვავდებოდა შინაგანი სტრუქტურით—ტერიტორიული დაყოფის საშუალებით (ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები, ავტონომიური პოლიტიკური წარმონაქმნები, სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები, რომლებიც სუვერენიტეტს ფლობენ), აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალიზაციის ხარისხით (ცენტრალიზებული, დეცენტრალიზებული, დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპით წარმოქმნილი). ეს ფენომენი აღინიშნება ტერმინით „სახელმწიფო მოწყობის ფორმა“, რომელიც გაიგება, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ტერიტორიული ორგანიზაცია, სახელმწიფოს როგორც მთელის, შეფარდება მის შემადგენელ ნაწილებთან.

სახელმწიფო მოწყობის მიხედვით, ძირითადია უნიტარული და ფედერაციული ფორმა. სახელმწიფო მოწყობის მესამე ფორმაა კონფედერაცია, მაგრამ იგი პირველ ორთან შედარებით იშვიათად გვხვდება.

უნიტარული სახელმწიფო არის ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფო, რომლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს არ აქვთ სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის სტატუსი, არ ფლობენ სუვერენულ უფლებებს. უნიტარულ სახელმწიფოში ერთიანი უმაღლესი სახელმწიფო ორგანოები, ერთიანი მოქალაქეობა, ერთიანი კონსტიტუციაა, რაც ქმნის ორგანიზაციულ-სამართლებრივ წინამძღვრებს—ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე განუხრელად ვრცელდებოდეს ცენტრალური სახელმწიფო ხელისუფლება. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ორგანოები ან მთლიანად ცენტრის, ან ორმაგ, ცენტრის და ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების დაქვემდებარებაში არიან. უნიტარიზმი ვერ ეგუება ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ავტონომიას. მან შეიძლება დაუშვას მხოლოდ კულტურული ავტონომია კომპაქტურად დასახლებული ეთნიკური ჯგუფებისათვის ან ეკონომიკური დამოუკიდებლობა მიანიჭოს რომელიმე რეგიონს. იგი არის ერთიანი და არა ავტონომიურ წარმონაქმნთა კავშირი ან გაერთიანება.

ადრე და ახლა არსებული სახელმწიფოების უმრავლესობა უნიტარულია. ეს გასაგებიცაა, რადგან უნიტარული სახელმწიფო კარგად იმართება; ხოლო უნიტარული ფორმა საკმაოდ საიმედოდ უზრუნველყოფს სახელმწიფოებრივ ერთიანობას. უნიტარულ სახელმწიფოებში მოსახლეობის შემადგენლობა შესაძლოა იყოს მონოეროვნული (საფ-

რანგეთი, იტალია, შვედეთი, ნორვეგია და სხვა) და მრავალეროვნული (დიდი ბრიტანეთი, ბელგია და სხვა).

ფედერაციული სახელმწიფო არის რთული სახელმწიფო, რომლის ნაწილები (რესპუბლიკები, შტატები, მიწები, კანტონები და ა.შ.) წარმოადგენენ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს. ფედერაცია შენდება დეცენტრალიზაციის საწყისებზე.

წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით ფედერაციას უწოდებენ ისეთ სახელმწიფოს, რომელიც დაყოფილია ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ავტონომიებად და შეზღუდული უფლებებით აღჭურვილ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს წარმოადგენენ. რომლის შედეგად მიიღება ერთი თვისობრივად ახალი საერთო სახელმწიფო. ფედერაციის სუბიექტებს არ გააჩნიათ სუვერენიტეტი, მაგრამ სარგებლობენ დამოუკიდებლობით ადგილობრივი მმართველობის მხრივ. ფედერაციული სახელმწიფო არის ავტონომიურ წარმონაქმნთა გაერთიანება. იგი უნიტარულია უმაღლესი ხელისუფლების მხრივ, რადგან ემორჩილება ტერიტორიული მთლიანობის და ფედერაციული მმართველობის პრინციპებს. ამგვარი სახელმწიფოა ამერიკის შეერთებული შტატები და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა.

ფედერაციის შემადგენლობაში შემავალ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს და სახელმწიფოებს ფედერაციის სუბიექტები ეწოდებათ. მათ შეუძლიათ ჰქონდეთ თავიანთი კონსტიტუცია, მოქალაქეობა, საკუთარი უმაღლესი—საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო სახელმწიფო ორგანოები. ფედერაციაში უმაღლესი ორგანოების ორი სისტემის—მთლიანად ფედერაციის და მისი სუბიექტების არსებობა იწვევს მათი კომპეტენციების გამიჯვნის აუცილებლობას.

გამიჯვნის საშუალებები, რომლებიც სხვადასხვა ფედერაციაში გამოიყენება, მრავალგვარია, მაგრამ უფრო გავრცელებულია ორი მათგანი: აშშ, კანადაში, ბრაზილიაში, მექსიკაში და სხვა ქვეყნებში კონსტიტუციით არის დადგენილი სფეროები, რომლებიც მხოლოდ ფედერაციის და მხოლოდ მისი სუბიექტების კომპეტენციაში ზედება. გფრ, ინდოეთში და ზოგ სხვა სახელმწიფოში, ამას გარდა, კონსტიტუცია ითვალისწინებს ფედერაციის და მისი სუბიექტების ერთობლივი კომპეტენციების მოქმედების სფეროს.

ლიტერატურაში ხშირად აღინიშნება, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ფედერაცია ხელოვნურ ხასიათს ატარებდა, რომ ფაქტიურად სსრკ უნიტარული სახელმწიფო იყო. ასეთი მტკიცებებისათვის გარკვეული საფუძველი არსებობს: კავშირში, განსაკუთრებით ტოტალიტარიზმის აყვავების პერიოდში, სახელმწიფო ძალაუფლების ცენტრალიზაციის

ხარისხი ძალიან მაღალი იყო. მიუხედავად ამისა, სსრკ ფლობდა საკავშირო (ფედერაციული) სახელმწიფოს ყველა ნიშან-თვისებას.

კონფედერაცია არის სუვერენული სახელმწიფოების კავშირი, რომელიც წარმოიქმნება გარკვეული მიზნების (სამხედრო, ეკონომიკური და სხვა) მისაღწევად. აქ საკავშირო ორგანოები ახდენენ სახელმწიფოების—კონფედერაციის წევრების საქმიანობის კოორდინირებას მხოლოდ იმ საკითხებში, რომელთა გადასაჭრელადაც გაერთიანდნენ ისინი. მაშასადამე, კონფედერაცია არ ფლობს სუვერენიტეტს.

ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კონფედერაციას არამდგრადი, გარდამავალი ხასიათი აქვს: იგი ან იშლება, ან ფედერაციად გარდაიქმნება. მაგალითად, ჩრდილოეთ ამერიკის შტატები 1776 წლიდან 1787 წლამდე კონფედერაციაში იყვნენ გაერთიანებულნი, რაც ბრიტანეთის ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლით იყო ნაკარნახევი. კონფედერაცია გახდა საფეხური ფედერაციული სახელმწიფოს— აშშ შექმნის გზაზე, ხოლო 1952 წელს შექმნილი ეგვიპტის და სირიის კონფედერაცია (არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკა) დაიშალა.

ბოლო ათწლეულებში გაჩნდა ასოცირებული სახელმწიფოებრივი გაერთიანების განსაკუთრებული ფორმა. ამის მაგალითს წარმოადგენს ევროპის გაერთიანება, რომელმაც უკვე დაამტკიცა თავისი სიცოცხლისუნარიანობა. ადვილად წარმოსადგენია, რომ თანამედროვე ევროპული ინტეგრაციის პროცესი თანამეგობრობიდან კონფედერაციულ სახელმწიფო მოწყობამდე, ხოლო შემდეგ ფედერაციულ სრულიადევროპულ სახელმწიფომდეც შეიძლება მივიდეს.

§4 პოლიტიკური რეჟიმის ტიპი

იურიდიულ ლიტერატურაში სახელმწიფოს ფორმას (მართვა-გამგეობა, სახელმწიფო წყობილების ფორმა) უკავშირებენ პოლიტიკური რეჟიმის ცნებას, რომლის მნიშვნელობა ამა თუ იმ ქვეყნის ცხოველქმედებაში განსაკუთრებულად დიდია. ქვეყანაში დემოკრატიის, დიქტატურის თუ ტოტალიტარიზმის არსებობა დამოკიდებულია იმაზე, რა ფორმით და მეთოდებით ახორციელებს ხელისუფლება თავის მმართველობას—ამის შედეგად სახელმწიფოში მყარდება შესაბამისი პოლიტიკური რეჟიმი. იგი შეიძლება იყოს დემოკრატიული, დიქტატორული ან ტოტალიტარული. პოლიტიკური რეჟიმი დამოკიდებულია არა სახელმწიფოს მმართველობის ფორმაზე—მონარქიაა თუ რესპუბლიკა, არამედ ხელისუფლების განხორციელების მეთოდებსა და ხერხებსზე, რო-

გორ და რა მეთოდებით ახორციელებს იგი თავის ძალაუფლებას. პოლიტიკური რეჟიმის შეცვლა (მაშინაც კი, თუ მმართველობისა და სახელმწიფო მოწყობის ფორმა არ იცვლება), ჩვეულებრივ, იწვევს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის მკვეთრ ცვლილებას. ეს გამოწვეულია იმით, რომ პოლიტიკური რეჟიმი მხოლოდ ძალაუფლების ორგანიზაციის ფორმასთან კი არა, მის შინაარსთანაც არის დაკავშირებული.

პოლიტიკური რეჟიმი არის იმ პოლიტიკური ძალაუფლების მეთოდების, ხერხების და საშუალებების ერთობლიობა, რომელთა გამოყენების შემდეგ სახელმწიფოში მყარდება ესა თუ ის წესრიგი, რომელიც იქმნება განსხვავებული პოლიტიკური ძალების ურთიერთქმედების და ერთმანეთის წინააღმდეგ ბრძოლის, ყველა პოლიტიკური ინსტიტუტის ფუნქციონირების შედეგად და დემოკრატიზმით ან ანტიდემოკრატიზმით ხასიათდება.

ამ განმარტების საფუძველზე შეიძლება გამოვყოთ შემდეგი თვისებები:

—პოლიტიკური რეჟიმი, პირველ რიგში, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი მეთოდებით ხორციელდება სახელმწიფოში პოლიტიკური ძალაუფლება. თუ ეს არის დარწმუნების, შეთანხმების, კანონიერების, პარლამენტარიზმის მეთოდები, თუ გამოიყენება მხოლოდ სამართლებრივი იშულება, მაშინ გვაქვს პროგრესული, დემოკრატიული რეჟიმი, ხოლო როცა პირველ პლანზეა ძალდატანების მეთოდები, სახელმწიფოში იქმნება რეაქციული, ანტიდემოკრატიული რეჟიმი. არსებობს რეჟიმები, სადაც მეტნაკლებად შეხამებულია ორივე საწყისი;

—ყოველ ქვეყანაში პოლიტიკურ რეჟიმს განსაზღვრავს პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობა, განლაგება. ქვეყნებში, სადაც არსებობს ძალთა მდგრადი ბალანსი, ან მიღწეულია ხანგრძლივი ეროვნული თანხმობა, ასეთი თანხმობის შედეგს წარმოადგენს სტაბილური პოლიტიკური რეჟიმი. მაგრამ თუ ქვეყანაში იმარჯვებს ხან ერთი, ხან კი მეორე ძალა, პოლიტიკური რეჟიმი მუდმივად იცვლება.

დემოკრატიული რეჟიმის პირობებში სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოებს აქვთ ხალხის მანდატი, ძალაუფლება რეალიზდება ხალხის ინტერესების დასაცავად დემოკრატიული და სამართლებრივი მეთოდებით. აქ ადამიანის და მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები ყოველმხრივ გარანტირებული და დაცულია, კანონი საზოგადოების ყველა სფეროში ბატონობს.

დემოკრატია წარმოსდგება ძველბერძნული სიტყვიდან და ნიშნავს ხალხის მმართველობას. ეს არის ამ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნე-

ლობა, რაც მკვლევართა აზრით დაზუსტებას საჭიროებს. საქმე ისაა, რომ სახელმწიფო და ხალხის მმართველობა ერთმანეთს გამოირიცხავს: იქ, სადაც ხალხის მმართველობაა, სახელმწიფო არ არსებობს. პირველყოფილ-თემურ საზოგადოებაში, სადაც მმართველობას ახორციელებდა თვითონ ხალხი, სახელმწიფო საჭირო არ იყო. ეს უკანასკნელი გულისხმობს საგანგებო ორგანიზაციის შექმნას, რომელიც ხალხისაგან გამოყოფილია. სახელმწიფო წარმოიშობა მხოლოდ იქ, სადაც ხალხი უკვე ველარ ახორციელებს მმართველობას, ე. ი. ხალხის ხელისუფლება ნიშნავს მხარდაჭერას ხელისუფლების მართვის გადაცემას ხალხის ცალკეული წარმომადგენლებისათვის. თანამედროვე მიდგომაში დემოკრატიას ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

1. ხელისუფლების ლეგიტიმურობა.

2. ხელისუფლების შეზღუდვა სამართლით.

3. ხელისუფლების დანაწილება. ხელისუფლება არ არის თავმოყრილი ერთი ორგანოს ან პირის ხელში.

ოპოზიციის ლეგიტიმურობა. ოპოზიცია არა თუ აკრძალული არის, არამედ კანონიერად ითვლება.

დიქტატურა დემოკრატიის საპირისპირო მმართველობის ფორმაა, ამიტომ მას ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

1. ხელისუფლების არალეგიტიმურობა. იგი ხელისუფლებაში არაკანონიერად—სამხედრო გადატრიალებით ან სხვაგვარი ძალადობის გზით არის მოსული;

2. სამართლით შეუზღუდავი ძალაუფლება. მისი მმართველობა ემყარება არა კანონს, არამედ უხეშ ძალას—რეპრესიებს, შეიარაღებულ რაზმებს და ა.შ.;

3. ხელისუფლების დაუნაწილებლობა. ხელისუფლება მთლიანად თავმოყრილია ერთი პირის—დიქტატორის ხელში. მას ეკუთვნის საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ფუნქციები და განუსაზღვრელი ძალაუფლებით სარგებლობს;

4. ოპოზიციის აკრძალვა. ოპოზიცია არაკანონიერად ითვლება და იდეენება.

ისტორიამ დიქტატურის მრავალი შემთხვევა იცის.¹ არც მეოცე საუკუნე ყოფილა ამ მხრივ გამოწვევისი. დიქტატურა თრგუნავს ხალხის ნებას, არ აძლევს საშუალებას თავისუფლად გამოავლინოს იგი. დიქტატურის პირობებში შეღაზულია პიროვნების თავისუფლება, იბღალბება მისი ღირსება და ხელშეუხებლობა.

¹ დიქტატორული რეჟიმის ნაირსახეობაა, ძალდატანების პრინციპზე დაყრდნობული უტოპიური რეჟიმი, რომელსაც არანაირი საბოლოო პერსპექტივა არ გააჩნია. ასეთ რეჟიმად ყოფილი სსრკ მოიაზრება.


დიქტატურას დემოკრატიისგან განასხვავებს არა ძალადობა, არამედ მისი გამოყენების წესი და ფორმები: ყოველი სახელმწიფო, მათ შორის; დემოკრატიულიც, ძალადობას ემყარება—იძულების გამოყენების გარეშე არ არსებობს საერთოდ სახელმწიფო—მაგრამ განსაზღვრულია მისი გამოყენების ფორმა და წესი: დიქტატურა იყენებს ძალადობას არაკანონიერად, ხოლო დემოკრატია—კანონიერების ფარგლებში. პირველი ამყარებს პოლიტიკურ რეჟიმს, რომელიც ემყარება რეპრესიებს და უხეშ ძალას, ხოლო მეორე — კანონს და სამართალს.

ტოტალიტარიზმი არის თეორია, რომელიც ამართლებს მთელი ძალაუფლების თავმოყრას სახელმწიფოს ხელში. ტოტალიტარული რეჟიმის დროს სახელმწიფო მთლიანად აკონტროლებს საზოგადოების ცხოვრებას; პოლიტიკა, ეკონომიკა, სოციალური ურთიერთობანი, სულიერი სფერო ექვემდებარება მკაცრ კონტროლს სახელმწიფოს მხრიდან, არსებობს ოფიციალური ცენზურა, რომლის ნებართვის გარეშე ვერ შესრულდება რაიმე მნიშვნელოვანი ქმედება, ადამიანის პირადი ცხოვრებაც კი მის კონტროლს ექვემდებარება; სახელმწიფო, საიდუმლო ორგანიზაციებისა და აგენტების საშუალებით, თვალყურს ადევნებს მოქალაქეთა საქმიანობას, მის ხელში თავმოყრილია არა მხოლოდ ძალაუფლება, არამედ მთელი ინფორმაცია საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ.

დემოკრატია პრინციპულად გამორიცხავს ტოტალიტარიზმს, რადგან იგი ეწინააღმდეგება სახელმწიფოს ხელში მთელი ძალაუფლების თავმოყრას. დიქტატურა გულისხმობს ტოტალიტარიზმს, რადგან დამყარებულია განუსაზღვრელ ძალაუფლებაზე, რომელიც მთლიანად აკონტროლებს საზოგადოებრივ ცხოვრებას, მაგრამ ტოტალიტარიზმი ყოველთვის არ გულისხმობს დიქტატურას, რადგან სახელმწიფოს მხრიდან კონტროლი შეიძლება განხორციელდეს რეპრესიების გარეშე, კანონიერების მეტ-ნაკლები დაცვით.¹

უკიდურესად არადემოკრატიულია ტოტალიტარული, ფაშისტური რეჟიმი, როცა ძალაუფლება გადადის რეაქციული ძალების ხელში და დიქტატორული, ძალდატანებითი მეთოდებით ხორციელდება. ადამიანისა და მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები ყოველად დაუცველია, საზოგადოებაში გამეფებულია თვითნებობა და უკანონობა. ამის მაგალითია ფაშისტური დიქტატურა გერმანიაში, იტალიაში, ესპანეთში და ა.შ.

¹ იხ. ვ. ერქომაიშვილის; ფილოსოფია თბ., 1985 წ. სახელმწიფო ფორმების, პოლიტიკური რეჟიმის, სამართლისა და ზნეობის, პოლიტიკური და ზნეობრივი პასუხისმგებლობის შესახებ. იხ. გ. ინწკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია თბ., 1997 წ. ვ. ერქომაიშვილი, საზოგადოებათმცოდნეობა თბ., 1998 წ. გ. მკერნალიძე, მ. ხამხაძე?!, თბ., 1999 წ. გ. ხუბუა, ფედერალიზმი, როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი თბ., 2000 წ. ო. მელქაძე საუბრები ქართულ კონსტიტუციაზე თბ., 1996 წ. რესპუბლიკა: საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო თბ. 1996 წ. Теория государства и права б. 1999 г. Общая Теория права и государства М. 1996 г. Хропанюк В. Н. Теория государства и права М. 1999 г.



¹ სამხედრო-დემოკრატიული რეჟიმი რეაქციული რეჟიმია, ნეოფაშიზმის თავისებური გამოვლინებაა. სამხედრო-დემოკრატიული უპირისპირდება სამხედრო-დემოკრატიულ რეჟიმს და ხელს უწყობს სოციალ-ეკონომიკურ პროგრესს ქვეყანაში.

თავი მეორეეტი

სახელმწიფოსა და სამართლის მიმართება ეკონომიკის, პოლიტიკის და კულტურის პრობლემათა

§1. სახელმწიფოსა და სამართლის ეკონომიკასთან მიმართების პრობლემა

ისტორიული და არქეოლოგიური მეცნიერების მიერ მოპოვებული წყაროებით დგინდება, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით VII-III ათასწლეულში ადამიანთა ცხოვრებაში მიმთვისებლური მეურნეობიდან მწარმოებელ მეურნეობაზე გადასვლა მოხდა.

მიმთვისებლური მეურნეობისათვის (ნადირობა, თევზჭერა, ველურად მზარდი ხეხილის ნაყოფის შეგროვება) დამახასიათებელია ის, რომ მწარმოებლის წოდებაში გვევლინება თვით ბუნება, ადამიანი კი არ აწარმოებს მოხმარების პროდუქტს, არამედ მოიპოვებს. თუმცა იმისათვის, რომ მონადირო ცხოველი ან დაიჭირო თევზი, აუცილებელია იარაღი, რომელსაც დამზადება, წარმოება სჭირდება. მასასადამე, წარმოების პრიმიტიული ელემენტები დამახასიათებელია მიმთვისებლური მეურნეობისთვისაც.

მწარმოებლური მეურნეობა პროგრესულ ნაბიჯს ნიშნავდა: მიწათმოქმედების, მეცხოველეობის, ხელოსნობის გაჩენიდან მოხმარების პროდუქტების მწარმოებლად სულ უფრო ხშირად გვევლინება ადამიანი, უფრო ზუსტად, მისი შრომა, რომელიც თანდათანობით იძენს მწარმოებლური პროცესის განმსაზღვრელი ელემენტის ხასიათს. მწარმოებლურმა შრომამ საფუძველი დაუდო საზოგადოებრივი ურთიერთობების ახალ ტიპს—ეკონომიკურს, სადაც ადამიანის შრომა ორგანულად ერწყმის ბუნებრივი ძალების მოქმედებას. ბუნება ადამიანს ეხმარება მის მიერ შექმნილი პირობებით, ე.ი. მოქმედ ბუნებრივ ძალთა სისტემაში „თავსდება“ ადამიანის გონებრივი შესაძლებლობა, როგორც მათი ეფექტურობის დამაჩქარებელი. ბუნებრივი პროცესი კი ხდება ადამიანის მწარმოებლური მოღვაწეობის ელემენტი.

ეკონომიკა თავისთავად წარმოადგენს წარმოების, განაწილების, გაცვლის და მატერიალურ სიკეთეთა მოხმარების ურთიერთობათა სისტემას. ეკონომიკურ ურთიერთობათა ციკლი იწყება მატერიალურ სიკეთეთა წარმოებით და მთავრდება მათი მოხმარებით. წარმოებული პროდუქ-

ციის განაწილებასა და გაცვლასთან დაკავშირებული ურთიერთობანი შუალედური ხასიათისაა. მათმა ჩამოყალიბებამ წარმოშვა მათივე გაძლიერების, სტაბილიზაციისა და განვითარების ახალი ინსტიტუციური ფორმები. სახელმწიფო და სამართალი კი სოციალურ-პოლიტიკური ინსტიტუტებია, რომლებიც ცხოვრებაში ეკონომიკამ, სხვა ფაქტორებთან ერთად, მათი განვითარების და მოწესრიგების მოთხოვნამ შემოიტანა.

სამართალთან უფრო მჭიდრო კავშირი აქვს ეკონომიკას, ამიტომ დასაწყისში განვიხილოთ მათი მიმართება.

პირველ რიგში, ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირება მხოლოდ და მხოლოდ სამართლებრივი ფორმით არის შესაძლებელი. ყველა სხვა ფორმა (ტრადიციული, რელიგიურ-ზნეობრივი) არ არის მისაღები, ვინაიდან არ პასუხობს საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს, ამახინჯებს ან უბრალოდ უარყოფს საბაზრო საწყისებს, როგორც არაზნეობრივს, ანარქიულს, სახალხო ნების შეუსაბამოს და ა.შ. ამგვარად, სამართალი არ არის უცხო ეკონომიკისათვის, სამართალი—ეკონომიკურ ურთიერთობათა მოწესრიგებული ბუნებრივი ფორმაა.

ეკონომიკურ ურთიერთობებს, ისევე, როგორც სხვა სოციალურ ურთიერთკავშირებს, შეუძლიათ სტაბილური ფუნქციონირება, თუკი ისინი თავსდებიან ნორმატიულ ფორმებში. ნორმატიული ფორმები მრავალგვარია, მაგრამ ისტორიული გამოცდილებით ყველაზე მეტად მხოლოდ სამართლებრივი პასუხობს ეკონომიკური ურთიერთობების არსს, მათ საბაზრო ბუნებას.

ეკონომიკური ურთიერთობის ციკლის ერთიან იურიდიულ საფუძველს წარმოადგენს საკუთრების უფლება. ამასთანვე, ეკონომიკის სფეროში საკუთრების უმთავრეს ობიექტად გვევლინება ადამიანის შრომა. ამასთან კავშირში საგნებს, ფულს, ფასიან ქალაქებს, ეკონომიკური მიმოქცევის სხვა ობიექტებს მნიშვნელობა აქვთ არა თავისთავად, არამედ როგორც განსაკუთრებული ღირებულების მატარებლებს, ნიშნებსა და სიმბოლოებს, მათში ჩადებული შრომის მიხედვით და რაც ყველაზე მთავარია: შრომითი მოღვაწეობის, შრომის შედეგების (საგნებით, ფულით და ა.შ.) გაცვლა ხდება თანაბარუფლებიან მესაკუთრეთა შორის პირადი უფლებების საფუძველზე. ამ ურთიერთობაში სახელმწიფოს ჩარევა შეიძლება აღმოჩნდეს დადებითი, თუკი ასეთი ჩარევის შედეგად მოხდება რომელიმე მხარის დარღვეული უფლებების დაცვა, ან უარყოფითი, თუკი ამით შეიზღუდება მესაკუთრის ინტერესები, ე.ი. მისი უფლებები.

სამართალი არის ეკონომიკის თვითმოწესრიგების საშუალება. ეკონომიკას, ისევე როგორც მომსახურებას და საქონლის წარმოებას, გააჩნია ობიექტური შინაარსი. ეს შინაარსი განპირობებულია, ერთი მხრივ, მოსახლეობის მოთხოვნილებით, და, მეორე მხრივ, ტექნიკის განვითარების დონით, შრომის ნაყოფიერებით, ბუნებრივი პირობებით. ამასთანავე ჩნდება კითხვა, როგორ, რა საშუალებით იღებს ინფორმაციას ცალკეული მეწარმე იმის შესახებ, თუ რისი წარმოებაა საჭირო. ასეთი კითხვები არ იბადება ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი ტრადიციული, ნატურალური მეურნეობის დროს. აქ საჭირო არ არის არც სამართლის მომწესრიგებელი ფუნქცია. საბაზრო ეკონომიკის პირობებში სხვა ურთიერთობებთან გვაქვს საქმე: ფასები მომსახურებაზე და სასაქონლო ბაზრის მიხედვით. რეგულირდება მოთხოვნილებებისა და მიწოდების თანაფარდობით, მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ ნებისმიერი მესაკუთრე იურიდიულად თავისუფალი იყოს, ე.ი. დამოუკიდებლად წყვეტდეს—რა, როგორი რაოდენობით აწარმოოს და რა ფასად გაყიდოს. იურიდიული თავისუფლება აუცილებელი პირობაა ეკონომიკური აუცილებლობის გამოსავლენად. იგი საშუალებას აძლევს მეწარმეს გაერკვეს ბაზრის მოთხოვნაში და გაითვალისწინოს იგი. მეწარმე თვითონ აწესრიგებს საქმიანობის ეკონომიკურ ნიუანსებს თავისი უფლებით და სამართლის საშუალებით, რომლის დახმარებითაც დაცული და გამყარებულია მისი თავისუფალი არჩევანი.

ამგვარად, სამართალი არა მარტო ზემოქმედებს ეკონომიკაზე, არამედ მისი იმანენტური ნაწილიცაა. უფრო მეტიც, საფუძველი გვაქვს, მივიჩნიოთ, რომ სამართლის, როგორც მომწესრიგებელი ძალის, ჩამოყალიბება მთავრდება განვითარებული ეკონომიკური სისტემის წარმოქმნისას. ასე მოხდა ევროპაში XIX საუკუნეში, ეს უკანასკნელი ანგლო-საქსური და რომაულ-გერმანული სამართლებრივი სისტემების ფორმირებით გამოიხატა.

სულ სხვა ზანიათი აქვს სახელმწიფოს ზემოქმედებას ეკონომიკაზე. თუ სამართალი, რომელიც ეკონომიკის ოპტიმალურ საშუალებასა და საბაზრო ეკონომიკის ერთადერთ შესაძლო ფორმას წარმოადგენს, შიგნიდან, მოქმედებს ეკონომიკაზე, ასე ვთქვათ, სახელმწიფო უზრუნველყოფს ეკონომიკის ფუნქციონირების გარეგან პირობებს.

ჯერ ერთი, სახელმწიფო ასრულებს გარე თავდასხმისაგან ქვეყნის დაცვის ფუნქციას და ამით იცავს ქვეყნის შიდა ეკონომიკურ სივრცეს.

მეორე მხრივ, იგი უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობას და მის შედარებით სტაბილურობას, როცა საზოგადოება იყოფა კლასებად და

განსხვავებული, ზშირად საწინააღმდეგო ინტერესების მქონე სოციალურ ფენებად. საზოგადოების სტაბილურობა და შინაგანი ერთიანობა ქვეყანაში ეკონომიკის განვითარებისა და ნორმალური ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა.

მესამე მხრივ, სახელმწიფო წარმოგვიდგება ეკონომიკური ურთიერთობების სუბიექტადაც, იმდენად, რამდენადაც კისრულობს გარკვეულ ეკონომიკურ ფუნქციებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვეყნის ეკონომიკური სისტემის მთლიანობას, მაგალითად, უხსოვარი დროიდან სახელმწიფო ზრუნავს ფულად მიმოქცევაზე, აქვს ბიუჯეტი, აფინანსებს მეცნიერებას, განათლებას, კულტურას და სხვა.

მეოთხეც, ეკონომიკური კავშირების ისტორიული განვითარების გართულებასთან დაკავშირებით, საბაზრო ეკონომიკაში აღმოცენებული ნეგატიური ტენდენციების წინ აღდგომის მიზნით, სახელმწიფო სულ უფრო აქტიურად ერევა სამეურნეო საქმიანობაში. ასე მაგალითად, დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკის სფეროში სახელმწიფოებრივი რეგულირება სასარგებლოდ და აუცილებლადაა მიჩნეული. მოცემულ შემთხვევაში საუბარი ეხება ეკონომიკაზე არა მხოლოდ სახელმწიფოებრივ, არამედ სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ ზემოქმედებას სახალხო სამართლის გამოყენებით. ასეთი ზემოქმედების ფორმები მრავალგვარია: მონოპოლიზმთან ბრძოლა; პროდუქციის ხარისხის კონტროლი; მომხმარებლის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების მიზნით; ეკოლოგიური მოთხოვნების დაცვა წარმოების პროცესში და ა.შ.

როდესაც სახელმწიფოს გავლენა ეკონომიკაზე უზომოდ დიდია, იგი ნეგატიური ზდება, რადგან ხელს უშლის მის თავისუფალ ფუნქციონირებასა და განვითარებას. ამგვარი ზემოქმედების უკიდურესი გამოვლინებაა ეკონომიკის გასახელმწიფოებრიობა, რომლის დროსაც სახელმწიფო ზდება წარმოების საშუალებათა ძირითადი მესაკუთრე და თვითონ მართავს მეურნეობას. ამგვარი სისტემის მანიკერება გამოიხატება შემდეგში:

ჯერ ერთი, სახელმწიფო „თიშავს“ საქონლის მოთხოვნისა და მიწოდების შეთანხმებული ავტომატური მექანიზმების მოქმედებას, ე.ი. მომხმარებლისა და მწარმოებლის ინტერესებს. საბაზრო სისტემის პირობებში მეწარმე აწარმოებს იმას, რაც მომხმარებელს სჭირდება წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი გაკოტრდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მომხმარებელი კარნახობს, თუ რომელი და რა რაოდენობის საქონლის გამოშვებაა საჭირო. სახელმწიფო-მესაკუთრე მრეწველობის დაგეგმარებით

ამ ფუნქციებს თავის თავზე იღებს, მეწარმისათვის განმსაზღვრელი ხდება სახელმწიფო ჩინოვნიკის აზრი იმის შესახებ, თუ რა სჭირდება მომხმარებელს, საზოგადოებას. სახელმწიფო აპარატის მოხელეების კოლექტიური ნააზრევი არ შეესაბამება მომხმარებლის კოლექტიურ მოთხოვნილებას, ეს კი საზოგადოებრივ მეურნეობაში წარმოქმნის დისპროპორციას, ე.ი. გამოუსადეგარი საქონლის წარმოებასა და საჭირო პროდუქციის დეფიციტს.

მეორე მხრივ, ეკონომიკის გასახელმწიფოებრიობა იწვევს წარმოებების, ქარხნების, ფაბრიკების ეკონომიკური პასუხისმგებლობის შესუსტებასა და გაქრობას. ეკონომიკური მართვის ეფექტურობას აღარა აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, რადგანაც რენტაბელური საწარმოების მოგება სახელმწიფოს მიაქვს, ხოლო წამგებიანს თავად აფინანსებს. არც ერთი საწარმო არ შეიძლება გაკოტრდეს. გაკოტრება შეუძლია მხოლოდ მთლიანად სახელმწიფოს, მაგრამ თუ ქვეყანა მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, ამ ზღვრამდე იგი უბრალოდ არ მივა.

სახელმწიფო არის ორგანიზაცია, რომელიც მხოლოდ ხარჯავს და არაფერს აწარმოებს. რა თქმა უნდა, იგი ასრულებს სასარგებლო ფუნქციებს, რომელთა გარეშეც საზოგადოება ვერ იარსებებს. დანახარჯი მათზე—ეს, ასე ვთქვათ, სახელმწიფო მომსახურების ნორმალური ღირებულებაა, მაგრამ სახელმწიფოს თავისი ძალის გამოყენებით შეუძლია დიდი ხარკიც დაადოს საზოგადოებას და მაშინ ეს დანახარჯები მძიმე ტვირთად აწვება ეკონომიკას, ასუსტებს მის განვითარებას. განსაკუთრებით უდიდესი ტიპიური დანახარჯებით გამოირჩევა ეკონომიკის მილიტარიზაცია, მძლავრი არმიის, სახელმწიფო მოხელეთა დიდი აპარატის შენახვა და ა.შ. უდიდესი სახელმწიფო დანახარჯების ინდიკატორებად წარმოგვიდგება პირდაპირი და ირიბი გადასახადები, რომლებიც ძარცვავენ მოსახლეობას და ახრჩობენ ეკონომიკას, რასაც მოჰყვება ინფლაციის სწრაფი ზრდა და სხვა ნეგატიური მოვლენები.

მესამეც, სახელმწიფოს უსაზღვრო ზემოქმედება ეკონომიკაზე გამოიხატება ეკონომიკური ურთიერთობების გადაჭარბებული ადმინისტრაციული რეგულირებით. ყოველივე ეს ხელს უწყობს ეკონომიკური თავისუფლების შეზღუდვას, სახელმწიფო აპარატში კორუფციისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის წარმოქმნას.

გაბატონებული მდგომარეობა ეკონომიკაში სახელმწიფოს ანიჭებს გარკვეულ უპირატესობასაც, მათგან მთავარია ყველა საჭირო რესურსის (მატერიალური, ფინანსური, შრომითი) სწრაფი და დაუბრკოლებელი კონცენტრირების შესაძლებლობა ცალკეული ურთულესი

პრობლემის გადასაჭრელად: იარაღის წარმოება, ყამირი მიწების ათვისება, ახალი ქალაქების მშენებლობა, გიგანტური სამრეწველო ნაგებობების შენება, კოსმოსური პროექტების რეალიზაცია და ა.შ., მაგრამ ამგვარი მიღწევების ჩრდილოვან მხარედ წარმოგვიდგება მოსახლეობის ცხოვრების დონის დაცემა, დემოკრატიის არქონა, ცალკეული ადამიანის უფლებობა, ეკოლოგიის სამართლის ნორმათა მოთხოვნების უგულვებლყოფა და სხვა.

XX საუკუნის მიწურულსა და XXI საუკუნის მიჯნაზე კაცობრიობა დგას პრობლემის წინაშე, ორგანულად როგორ შეაერთოს საბაზრო ეკონომიკა, სოციალური პოლიტიკა და ეკოლოგია. ცივილიზებულ საზოგადოებაში ეკონომიკა უნდა იყოს სოციალური და ეკოლოგიური. ეკონომიკის ამგვარი ტრანსფორმაცია შესაძლებელია მხოლოდ მასზე სახელმწიფოსა და სამართლის დადებითი ზემოქმედების იმ პირობებში, რომელშიც საზოგადოების უმაღლეს ღირებულებად ითვლება ადამიანის ღირსება, მისი უფლებები და თავისუფლებები, ეკონომიკური პროგრესისა და კეთილდღეობის გარეშე შეუძლებელია არსებობდეს დემოკრატიული სისტემა. მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნები იმავდროულად ადამიანთა ეკონომიკური კეთილდღეობის გარანტიად გამოდიან.

§2. სახელმწიფოსა და სამართლის პოლიტიკასთან მიმართების პრობლემა

პოლიტიკა მართვის ხელოვნებაა, ამიტომ მოცულობით ფართო, შინაარსით რთული მოვლენა და ცნებაა. მასთან გარკვეულ ასპექტში ყველას აქვს შეხება და, მაშასადამე, ყველას თავისებურად წარმოუდგენია, თუ რა ფენომენია იგი.

რეალური პოლიტიკა შეიძლება გატარდეს სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა მასშტაბით: რაიონში, ქალაქში, ოლქში, რესპუბლიკაში და მთლიანად ქვეყანაში. პოლიტიკა შეიძლება იყოს ფედერალური და რეგიონალური, ადგილობრივი, საშინაო და საგარეო, დიქტატორული და დემოკრატიული, სახალხო და ანტიხალხური და ა.შ. სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ზემოქმედების თვალსაზრისით, ჩვენ პირველ რიგში გვინტერესებს პოლიტიკა ქვეყნის მასშტაბით, საერთო-სახელმწიფოებრივი პოლიტიკა. მოკლედ იგი შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც ქვეყნის განვითარების სტრატეგიული კურსი. პოლიტიკურ სფეროში გამოიყოფა მოღვაწეობის სამი მიმართულება: სტრატეგიული მ. გ. ლობჟანიძე

კურსის (პოლიტიკის) შემუშავება; სტრატეგიული კურსის შერჩევა; შერჩეული სტრატეგიული კურსის რეალიზაცია.

დასაუღეთის განვითარებულ სახელმწიფოებში სტრატეგიული კურსის შემუშავებით დაკავებული არიან პარტიები. შემდეგ ამომრჩეველები ამა თუ იმ პარტიისთვის ხმის მიცემით ირჩევენ პოლიტიკურ კურსს, ბოლოს, არჩევნებში გამარჯვებული პარტია აყალიბებს მთავრობას და სახელმწიფო მექანიზმის საშუალებით ცხოვრებაში ატარებს საკუთარ პროგრამას.

ზემოაღნიშნული გვაძლევს საშუალებას განვსაზღვროთ პოლიტიკაზე სახელმწიფოს ზემოქმედების ოპტიმალური ვარიანტი. პოლიტიკური კურსის შემუშავებასა და არჩევანს ახდენს საზოგადოება, სახელმწიფო კი პოლიტიკის რეალიზაციის ეფექტურ ინსტრუმენტად წარმოგვიდგება. ამ რეალიზაციაში ის იყენებს მართვისა და იძულების აპარატს საკანონმდებლო ხელისუფლებისა და მართლმსაჯულების სახით, მაგრამ ეს ყველაფერი შესაძლებელია მხოლოდ განვითარებულ სამოქალაქო საზოგადოებაში, სადაც არსებობს ეკონომიკური, პოლიტიკური და სულიერი თავისუფლება. თუ პოლიტიკისა და სახელმწიფოს თანაფარდობას შევხედავთ ისტორიულ ჭრილსა და აგრეთვე თანამედროვე არადემოკრატიულ სახელმწიფოთა მაგალითზე, რომლებიც მსოფლიოში ჯერ კიდევ არცთუ ისე ცოტაა, აღმოჩნდება, რომ პოლიტიკასა და სახელმწიფოს ურთიერთქმედება ჯერ კიდევ არ არის თანმხვედრი. განვითარებული სამოქალაქო საზოგადოების მქონე ქვეყნებში პარტიებს, ხალხსა და სახელმწიფოს შორის პოლიტიკური ფუნქციების განაწილების ოპტიმალური ვარიანტიდან ძირითადი გადახრა ისაა, რომ პოლიტიკის სფეროში ბატონობს სახელმწიფო, ე.ი. იგი არა მარტო ატარებს ცხოვრებაში პოლიტიკურ კურსს, არამედ ახდენს მის შერჩევასა და შემუშავებას, რითაც აკნინებს ადამიანის თავისუფლებას და პოლიტიკურ უფლებებს.

საზოგადოების ისტორიაში სახელმწიფო იყო პოლიტიკის პირველი ინსტრუმენტი, იარაღი, ე.ი. პოლიტიკა წარმოიქმნა სახელმწიფოს ჩამოყალიბებასთან ერთად, შემდეგ კი და მხოლოდ თანდათანობით ფორმირდება სხვადასხვა სოციალური ინსტიტუტები: კავშირები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, პარტიები, რომლებმაც დაიწყეს მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში, ზემოქმედება პოლიტიკის შემუშავებასა და ხორცშესხმაში. სახელმწიფოსთან ერთად მათ დაიწყეს საზოგადოების პოლიტიკური სისტემის შედგენა. ამ პროცესს შეიძლება დაერქვას სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება პოლიტიკური ცხოვრების სფეროში.

თავისუფალ დემოკრატიულ საზოგადოებაში ხალხი გამოდის რო-

გორც პოლიტიკური ძალაუფლების სუბიექტი, ხოლო სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტები — მისი განხორციელების ძირითად საშუალებად. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების (პარტიები, საზოგადოებრივი მოძრაობები და ორგანიზაციები, არჩევითი სისტემები) საშუალებით ხდება სახელმწიფო აპარატის ზედამხედველობა, რომელიც პოლიტიკის ცხოვრებაში გატარების ძირითადი ინსტრუმენტია.

ამგვარად, სამოქალაქო საზოგადოების, მისი ინსტიტუტების განვითარების ხარისხის მიხედვით, სახელმწიფოს მიერ პოლიტიკაზე ზეგავლენა შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. რაც უფრო მეტ ფუნქციას იღებს თავის თავზე სახელმწიფო, მით უფრო ნაკლები რჩება იგი სამოქალაქო საზოგადოებას და პირიქით.

ისტორიულად სამოქალაქო საზოგადოება ყალიბდება თანდათანობით, მყარდება და სახელმწიფოც ამის მიხედვით უთმობს მას ისეთ პოლიტიკურ ფუნქციებს, როგორცაა—პოლიტიკური პროგრამის შემუშავება, პოლიტიკური კურსის არჩევა. ეს პროცესი მიმდინარეობს ბრძოლით და ხასიათდება წინააღმდეგობებით. სახელმწიფო არის არა მხოლოდ ძალაუფლების აპარატი, აგრეთვე საკუთარი ინტერესების მქონე მოხელეთა გაერთიანებაც, რომელთა ინტერესები არ ემთხვევა მთლიანობაში საზოგადოების ინტერესებს. ამასთან, მმართველ ფენას არ გააჩნია დიდი სურვილი, საკუთარი ძალაუფლებრივი ფუნქციები გადასცეს სამოქალაქო საზოგადოებას, ხალხს.

პოლიტიკის შინაარსი, ე.ი. საკითხები, რომელთა მიხედვით მუშავდება მოქმედების სტრატეგია, მრავალგვარია: ეკონომიკა, ომისა და მშვიდობის საკითხები, სოციალური, ეროვნული, ეკოლოგიური პრობლემები, კონსტიტუციური წყობა, სახელმწიფოს ტერიტორიული სტრუქტურა, კანონმდებლობის სრულყოფა და სხვა. ნათელია, რომ პოლიტიკა მთელი საზოგადოების და არა მარტო მმართველი ხელისუფლების საქმეა. სახელმწიფო, როგორც სუვერენული ძალაუფლების გამტარებელი, პასუხისმგებელია პოლიტიკური კურსის რეალიზაციაზე და მოქმედებს მართვისა და იძულების მეთოდით. ამ ქმედებების წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად პასუხობს გატარებული პოლიტიკა საზოგადოების ინტერესებს, რამდენად სოლიდარულია საზოგადოება ხელისუფლებასთან.

სამართალი პოლიტიკაზე გავლენას ახდენს რამდენიმე მიმართულებით:

უპირველეს ყოვლისა, საჯარო სამართლის საშუალებით (კონსტიტუცია და კონსტიტუციური კანონები) მტკიცდება საზოგადოების პოლიტიკური წყობა, პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების მექანიზმი (არჩევანის უფლება, პარტიები და მათი სტატუსი, ხელისუფ-

ლების დანაწილება და ა.შ.), მოქალაქეთა პოლიტიკური თავისუფლება. სამართლის პოლიტიკაზე ზემოქმედების შედეგად, პოლიტიკური მოღვაწეობის ნებისმიერი ფორმა ხორციელდება როგორც შესაბამისი სუბიექტების უფლება და არა როგორც მათი ძალის, ავტორიტეტის ან სხვა თვისებების გამოვლინება.

შემდეგ, სამართალი ლეგიტიმურობას ანიჭებს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებსა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს. ლეგიტიმურობა უზრუნველყოფს ხელისუფლებას მოსახლეობის მხარდაჭერით იმ შემთხვევაშიც კი, როცა ეს უკანასკნელი იღებს არაპოპულარულ გადაწყვეტილებებს. ხელისუფლებისადმი წინააღმდეგობა ითვლება დაუშვებლად სამართლის თვალსაზრისით.

და ბოლოს, სამართალი უზრუნველყოფს ადამიანის პოლიტიკურ თავისუფლებას და მის რეალიზაციას.

§3. სახელმწიფოსა და სამართლის კულტურასთან მიმართების პრობლემა

სახელმწიფო და სამართალი რთულ და არაერთგვაროვან ურთიერთობაში არიან კულტურასთან, რადგანაც ეს არის საზოგადოების განვითარების ისტორიულად განსაზღვრული დონე, ადამიანის უნარი და შემოქმედებითი ძალა, გამოხატული ხალხის ცხოვრებასა და მოღვაწეობის ორგანიზების ფორმებსა და ტიპებში, მათ ურთიერთშესაბამისობაში და, აგრეთვე, ხალხის შექმნილ მატერიალურ და სულიერ ღირებულებაში. განასხვავებენ მატერიალურ და სულიერ კულტურას, ხოლო ვიწრო გაგებით .ეს ტერმინი მიეკუთვნება ხალხის სულიერი ცხოვრების სფეროს, რომელიც დარგების მიხედვით ნაწილდება (პოლიტიკური კულტურა, შრომის კულტურა, მეტყველების კულტურა, სამართლებრივი კულტურა და ა.შ.);

ეს არის გარკვეული ისტორიული ეპოქის (უძველესი სამყაროს კულტურა და ა.შ.), ხალხის ან ერის (მაგალითად, ბერძნული კულტურა, ქართული კულტურა) დახასიათება;

კულტურა შეიძლება იყოს ინდივიდუალური, ჯგუფური ან საზოგადოებრივი, გონებრივი ან ზნეობრივი განვითარების დონე (მაგალითად, პოლიციის მუშაკთა კულტურა).

საერთო თვალთახედვით კულტურა არის ყველაფერი ის, რაც შექმნილია ადამიანის მიერ, აქვს საფუძველი მის სულში და მისი შემოქ-

მედების შედეგს წარმოადგენს. ამდაგვარ ღირებულებებს უნდა მივაკუთვნოთ სახელმწიფოცა და სამართალიც. უფრო მეტიც, სახელმწიფოს წარმოქმნა ბიძგი მისცა ნახტომს კულტურის განვითარებაში—გადასვლას ბარბაროსობიდან ცივილიზაციაში.¹ ზემოთ ნათქვამი ნიშნავს, რომ სახელმწიფომ თავისი განსაკუთრებით დიდი ზეგავლენა მოახდინა კულტურაზე, მის განვითარებაზე. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს, როგორც კულტურული ღირებულების გაგება ძნელად მკვიდრდებოდა საზოგადოებაში. XIX ს. ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა სახელმწიფოს მიერ ადამიანის აბუჩად აგების თეორია ამაში „დამნაშავე“ არიან არა მხოლოდ მარქსისტული იდეოლოგიები, რომლებიც სახელმწიფოში (და აგრეთვე სამართალშიც) ხედავდნენ მხოლოდ სოციალურ ბოროტებას, არამედ ამ თეორიას მხარს უჭერდა რევოლუციამდელი რუსი ფილოსოფოსი ნ. ბერდიაევი, რომელიც ჯერ კიდევ 1907 წელს განიხილავდა სახელმწიფოს, როგორც ემპიკისეულ ცდუნებას და ამტკიცებდა, რომ სახელმწიფოს მსხვერპლად ეწირება ადამიანი, პიროვნება.²

რა თქმა უნდა, სახელმწიფოს ეს შეფასებები შემთხვევითი არ იყო. აიხსნებოდა იმით, რომ იძულებითი მეთოდები გამოიყენებოდა უმთავრესად პიროვნების საწინააღმდეგოდ, ზღუდავდა და ბღალავდა მის თავისუფლებას, ჩრდილში რჩებოდა სახელმწიფოს მმართველობითი ბუნება და მისი საზოგადოების მთლიანობის უზრუნველყოფის ფუნქცია. სახელმწიფო, როგორც ძალოვანი სტრუქტურა, მოქმედებდა იმ სფეროში, სადაც მოგვიანებით იმოქმედებს სამოქალაქო საზოგადოება და განვითარებული სამართლებრივი სისტემა.

განვითარებულ სამოქალაქო საზოგადოებაში იზრდება სახელმწიფოს, როგორც კულტურული მოვლენის, ღირებულება. სახელმწიფო სულ უფრო მეტად ხდება ადამიანის თავისუფლების დაცვის, მისი მატერიალური და სულიერი კულტურის განვითარების ფაქტორი. სახელმწიფო ზრუნავს მოზარდი თაობის განათლებაზე, ხელს უწყობს საკუთარ მოქალაქეთა საერთო და პროფესიული კულტურის განვითარებას. ამას გარდა, სახელმწიფო იცავს და უფრო ხილდება კაცობრიობის მიერ დაგროვილ მატერიალურ და სულიერ ღირებულებებს.

განსაკუთრებულ გავლენას სახელმწიფო ახდენს პოლიტიკურ კულტურაზე, რომლის მატარებლად ითვლება საზოგადოება, პარტიები და პოლიტიკური ლიდერები, მოქალაქეები. პოლიტიკური კულტურის გან-

¹ ლუის ჰენრი მორგანი, ძველი საზოგადოება რუს. პეტ. 1800 წ.

² ნ. ბერდიაევი, სახელმწიფო, ლენინგ. რუს. 1990 წ. გვ. 282.

ვითარება, თავის მხრივ, ქმნის საზოგადოების, სახელმწიფო ხელისუფლების ყველა განშტოების, პოლიტიკური სისტემის განვითარებისა და ნორმალური ფუნქციონირების მნიშვნელოვან წინაპირობას.

სახელმწიფო ზრუნავს სულიერი კულტურის განვითარებაზე, ხელს უწყობს და აფინანსებს ბიბლიოთეკებს, მუზეუმებს, თეატრებსა და სხვა კულტურულ დაწესებულებებს.

სამართალი ქმნის შემოქმედების, კულტურული ღირებულების შექმნის, ადამიანის კულტურული განვითარების ოპტიმალურ პირობებს.

კულტურული უფლებები დაკავშირებულია საზოგადოების მიერ შექმნილი სულიერი და მატერიალური ფასეულობებისადმი ხელმისაწვდომობასთან. აღნიშნული უფლება განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის ნორმით, რომლის შესაბამისად სახელმწიფო ხელს უწყობს კულტურის განვითარებას, კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას, კულტურული თვითმყოფობის გამოვლინებასა და გამდიდრებას, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა აღიარებას და საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებას.¹

სამართლის საფუძველზე ყალიბდება კულტურის განსაკუთრებული დონე, სამართლებრივი კულტურა, რომლის ცხოვრებაში გამტარებლად წარმოჩნდება მთლიანად საზოგადოება, სახელმწიფო ორგანოები და თანამდებობის პირები, სოციალური ჯგუფები, პოლიტიკური მოღვაწეები, მოქალაქეები. ჩვენი ქვეყნისათვის სამართლებრივი კულტურის განვითარება აქტიური პრობლემაა, რადგან საუკუნეების მანძილზე საქართველოს დამოუკიდებელი სამართალი არ გააჩნდა და ამას საბჭოური პერიოდის სამართლებრივი ნიჰილიზმი მოჰყვა.

¹ სახელმწიფოსა და სამართლის მიმართებას, პროგრესსა, ეკონომიკასა, პოლიტიკასა და კულტურასთან იხ. საქართველოს კონსტიტუცია თბ. 1995 წ. ნ. ჭითანავა. გარდამავალი პერიოდის სოციალ-ეკონომიკური პრობლემა თბ., 1997 წ.

პირველყოფილი საზოგადოების ისტორია თბ. 1986 წ.

Теория государства и права М. 1998г. Общая теория права и государства М. 1996 г. Хропанюк В. Н. Теория государства и право М. 1999 г.

თავი მეცამეტი

სახელმწიფო და სამართალი საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში

§1. საზოგადოების პოლიტიკური სისტემის საერთო დასახინათება

საზოგადოების პოლიტიკური სისტემა არის ადამიანთა ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთმოქმედი გაერთიანებების (ორგანიზაციების) სოციალური ინტერესების ერთობლიობა, რომლებიც გამოხატავენ იმ სოციალური ფენების, ჯგუფებისა და ერების ინტერესებსა და ნებასურვილს, რომლებსაც სურთ რეალურად გაატარონ ცხოვრებაში პოლიტიკური ძალაუფლება, ან იბრძვიან მისი განხორციელებისათვის სახელმწიფოს საშუალებით სამართლის ფარგლებში.

„სისტემის“ ცნება მეცნიერებაში გერმანელმა ბიოლოგმა ლი ფონ ბერტალაფმა (1901-1972) XX ს. 20-იან წლებში შემოიტანა. სისტემას იგი განიხილავდა როგორც ურთიერთდაკავშირებული ელემენტების ერთობლიობას.

საზოგადოების შესწავლაში კი სისტემის ცნება ტ. პარსონასმა დაამკვიდრა. რაც შეეხება ტერმინს პოლიტიკური სისტემა სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიდა XX ს. 50-60-იან წლებში, მანამდე ხელისუფლებითი ურთიერთობების აღსანიშნავად გამოიყენებოდა ცნებები მმართველობის ტიპი, მმართველობის სისტემა.¹

პოლიტიკური სისტემის კომპონენტებს შეადგენს:

ა) პოლიტიკურ გაერთიანებათა. ერთობლიობა (სახელმწიფო, პოლიტიკური პარტიები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები და მოძრაობები);

ბ) პოლიტიკური ურთიერთობები, რომლებიც წარმოიქმნებიან სისტემის სტრუქტურულ ელემენტებს შორის;

გ) პოლიტიკური ნორმები და ტრადიციები, რომლებიც არეგულირებენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას;

დ) პოლიტიკური შეგნება, რომელიც ასახავს სისტემის იდეოლოგიურ და ფსიქოლოგიურ მახასიათებლებს;

ე) ცალკეულ ადამიანთა, როგორც პოლიტიკური გაერთიანების წევრებისა და წარმომადგენლების პოლიტიკური მოღვაწეობა.

¹ დაწვრ. იხ. გ. მკურნალიძე, მ. ხაშხაძე. პოლიტოლოგია თბ. 1999წ. გვ. 97-108

სხვადასხვა მეთოდოლოგიური ხერხების გამოყენებით ვლინდება რიგი მიდგომების, რომლებიც პოლიტიკური სისტემის მოცემული განსაზღვრის გაანალიზების და დასაბუთების საშუალებას იძლევა.

გენეტიკური მიდგომის თვალსაზრისით მნიშვნელობა აქვს პოლიტიკური მოვლენების ობიექტურ განპირობებას ეკონომიკური და სოციალური ფაქტორებით. პოლიტიკის, ეკონომიკური შეფასებები, უპირველეს ყოვლისა, წარმოჩნდება საკუთრებისა და მრეწველობის ურთიერთობაში და პირიქით, პოლიტიკის უკუქმედება ეკონომიკაზე უფრო მეტად შესაძლებელია განაწილებისა და მართვის ურთიერთქმედებაში. პოლიტიკურ მოვლენებზე სოციალური ზემოქმედების კრიტერიუმები მიგვითითებს იმაზე, რომ ისინი წარმოადგენენ საზოგადოებრივი განვითარების საშუალებებს და შედეგებს. ნებისმიერი პოლიტიკური მოვლენა განუყოფელია ხალხისაგან. ადამიანი, როგორც კონკრეტული მატერიალური და გონებრივი არსება, ქმნის პოლიტიკურ იდეებს, ამუშავებს პოლიტიკურ ნორმებს, ამყარებს კავშირებს, ე.ი. პოლიტიკას ქმნიან სწორედ ადამიანები და არა რაიმე აბსტრაქციები. სოციალური ინტერესების კრიტერიუმები ხსნიან პოლიტიკური სისტემებისა და მისი ელემენტების ურთიერთკავშირს გარკვეულ სოციალურ ჯგუფებთან, ფენებთან, კლასებთან, ერებთან. მათი მოთხოვნილებები და ინტერესები გვევლინება გადამწყვეტ მოტივირებულ ფაქტორად პოლიტიკური ორგანიზაციების ფორმირებისას.

ინსტიტუციონალური მიდგომა საშუალებას იძლევა გამოიკვეთოს დროსა და სივრცეში პოლიტიკური მოვლენების მდგრადი და რეალური მახასიათებლები. ამ მოვლენის დედააზრს ასახავს ორგანიზაციული კრიტერიუმი, რომელიც აჩვენებს, რომ ცალკეული ინდივიდები თავისთავად არ შეიძლება წარმოჩნდნენ პოლიტიკური სისტემის ელემენტებად. ადამიანი იბადება როგორც სოციალურ-ბიოლოგიური, მაგრამ არა როგორც პოლიტიკური არსება. ამ თვალსაზრისით ის თავისთავად წარმოადგენს იმ მასალას — რომლისგანაც შესაბამისი ისტორიული პირობებისა და გარკვეული სოციალური თვისობრიობის არსებობის შემთხვევაში ფორმირდება პოლიტიკოსი მთლიანობაში.

პოლიტიკური მოვლენების შესწავლისადმი სისტემური მიდგომა საშუალებას იძლევა წარმოვიდგინოთ იგი მთლიანი სახით, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს თავის სტრუქტურულ ელემენტებზე და ურთიერთმოქმედებს მის გარეთ — საზოგადოებაზე, სხვადასხვა პო-

ლიტიკურ სისტემებზე, გარემომცველ სამყაროზე. სისტემური შეფასებები საშუალებას იძლევა პოლიტიკური სისტემიდან და მისი შემადგენლობიდან გამოიყოს ისეთი ნიშან-თვისებები, როგორებიცაა იერარქიული სტრუქტურები, ელემენტების ერთგვაროვნება, ინსტიტუციური ურთიერთშეთავსება, სხვადასხვაგვარი კავშირების არსებობა, ელემენტების განპირობება, მათი მოქმედების ავტონომია. მთავარი კრიტერიუმი, რომელიც ახასიათებს სისტემის დინამიკასა და სტატიკას, არის მისი როგორც სისტემის განვითარება მთლიანობის მიღწევის პროცესი.

სუბსტანციური (არსებითი) მიდგომა ხელს უწყობს გამოვლინდეს ის, რაზეც დაფუძნებულია ყველა პოლიტიკური მოვლენა (იდევები, ნორმები, ურთიერთობები, პროცესები, ინსტიტუტები). ცნება — სუბსტანციას — მეცნიერების სხვადასხვა დარგში სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. ქიმიკში ეს ელემენტია, ბიოლოგიაში — ცოცხალი ცილა, პოლიტიკურ ეკონომიკაში — შრომა, ფილოსოფიაში — მატერია. პოლიტოლოგიაში სუბსტანცია განიხილება, როგორც პოლიტიკური ძალაუფლება, ხოლო მისი განხორციელების მექანიზმი პოლიტიკური სისტემაა. ეს კრიტერიუმი (ძალაუფლება) ახასიათებს პოლიტიკურ სისტემას მისი არსებობის ყველა ეტაპზე. ეკონომიკური, გეოგრაფიული, რელიგიური, ეროვნული და სხვა ფაქტორებისაგან დამოუკიდებლად.

ნორმატიული მიდგომა განიხილავს, სამართლებრივ, პოლიტიკურ, მორალურ ნორმებსა და ღირებულების, ტრადიციებსა და ჩვეულებებს. მათი საშუალებით პოლიტიკური სისტემა სისტემატურ ზემოქმედებას ახდენს ცალკეული ინსტიტუტების საქმიანობაზე, ზოგადად მოქალაქეთა ქცევაზე.

გარდა ამისა, ეს არის კონკრეტული პოლიტიკური გაერთიანებების ხელისუფლება (პოლიტიკური პარტიები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები და მოძრაობები), რომელიც მათი საორგანიზაციო ხელმძღვანელი სტრუქტურის მეშვეობით ხორციელდება. ამ ინსტიტუციონალური — პოლიტიკური ხელისუფლების დონე განსაკუთრებით თვალსაჩინო და რეალურია.

მეორე, შეიძლება გამოიყოს ხელისუფლების კოალიციური დონე, რომელიც ასახავს რამდენიმე სოციალურად ერთგვაროვანი პოლიტიკური ორგანიზაციის, ორგანიზაციების ბლოკის, ან სხვადასხვა სოციალური გაერთიანების ინტერესების გამომხატველი პარტიისა და გაერთიანებების ბლოკის სახელისუფლო მისწრაფებების ერთობლიობას.

მსგავს შემთხვევაში ხელისუფლება ხელთ უპყრიათ მრგვალი მაგიდის, პარლამენტის ფრაქციათა საბჭოს ტიპის დროებით თუ მუდმივ ორგანოებს.

მესამეც, აუცილებელი ხდება გამოიყოს ხელისუფლების საერთო პოლიტიკური დონე. აქ ხდება სხვადასხვა პოლიტიკურ ძალთა თანამშრომლობისა და მეტოქეობის შედეგად მიღწეული პოლიტიკური კონსენსუსის შედეგების კონცენტრირება. თუკი ასეთი შედეგები ასახვას პპოვებს ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებში, მაშინ პოლიტიკური ხელისუფლება ემთხვევა სახელმწიფო ხელისუფლებას და ხორციელდება სახელმწიფოს მიერ. სხვა შემთხვევაში მისი რეალიზება ხდება სხვადასხვა ხასიათის, როგორც წესი, სხვადასხვა ხანგრძლივობის, პოლიტიკური ორგანოების მიერ (ეროვნული თანხმობის კონცეფცია, სახალხო, ფრონტი და ა.შ.).

საზოგადოების ცხოველქმედების სფეროების მიხედვით კონკრეტული ისტორიული მიდგომა საშუალებას იძლევა გამოიყენოს შემდეგი შეფასებები სოციალურ-ეკონომიკური, (შრომის ხასიათი, მეურნეობის ძირითადი პრინციპები); სოციალურ-სტრუქტურული (გარკვეული კლასების, ფენების არსებობა ან არარსებობა); სოციალურ-კულტურული (მოსახლეობის განათლების დონე, პიროვნების განვითარების რეალობა); პოლიტიკური (ხალხის თვითმმართველობის რეალურობა, პოლიტიკური ხელისუფლების კლასიფიკაცია); სამართლებრივი (მოქალაქეთა კანონით განსაზღვრული დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლებების დიაპაზონი, მათი განხორციელების გარანტია, პოლიტიკური ძალაუფლების ლეგიტიმურობა, კანონმდებლობისა და მართლწესრიგის მდგომარეობა).

ამგვარად, ადამიანთა საზოგადოების რეალური სამყაროს სტრუქტურების მრავალგვარობა განაპირობებს შესაბამისი კრიტერიუმების სიმრავლეს, ხოლო შეგნება იმისა, რომ ერთად აღებული პოლიტიკური მოვლენები შეადგენენ სისტემას, რომელიც ხასიათდება მუდმივი მოძრაობით, განსაზღვრავს მათ კომპლექსურ და დიალექტიკურ გამოყენებას.

პოლიტიკური სისტემები, ფუნქციონირებს დროსა და სივრცეში, მათი დაყოფა შესაძლებელია სხვადასხვა საფუძველზე. კერძოდ, პოლიტიკური რეჟიმის მიხედვით ასხვაგვებენ დემოკრატიულ და ტოტალიტარულ პოლიტიკურ სისტემებს. მარქსისტული თეორიის პოზიციიდან, კლასიფიკაციის საფუძველად — საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის — კატეგორია, გამოყოფენ მონათმფლობელური, ფეოდალური,

კაპიტალისტური და სოციალისტური საზოგადოებების პოლიტიკურ სისტემებს. გეოგრაფიული, ტერიტორიული ფაქტორების აღრიცხვა შესაძლებლობას იძლევა ვილაპარაკოთ ევროპულ, აზიურ, ჩრდილოამერიკულ და სხვა რეგიონალურ სისტემებზე. ეროვნული, რელიგიური, ენობრივი, საერთო და განსხვავებული თვისებები წინასწარ განსაზღვრავენ არაბული, ინდუსური, ისლამური და სხვა პოლიტიკური სისტემების ხასიათს. კონკრეტული საზოგადოების პოლიტიკური სისტემების შიგნით თავისებური პოლიტიკური სისტემა-წარმონაქმნების სახით, შესაძლებელია არსებობდნენ მისი სტრუქტურული ელემენტები: სახელმწიფო, პოლიტიკური პარტიები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანებები და ა. შ.

§2. საზოგადოების პოლიტიკური სისტემის განვითარების კანონზომიერებაები

პოლიტიკური სისტემის განვითარების მახასიათებელი (აქ იგულისხმება წარმოქმნის, ფუნქციონირების, სტრუქტურისა და უშუალოდ განვითარების ასპექტები) შეფასებების თვალსაზრისით წარმოადგენს მოძრაობას დაბალიდან მაღალ ფორმაზე და მოწმდება თეორიული პოზიციების ისტორიულ პრაქტიკასთან შესაბამისობაში. შემდეგი ეტაპი ითვალისწინებს ამ პროცესის უფრო ღრმად შესწავლას, სახელდობრ, საზოგადოების პოლიტიკური სისტემის განვითარების კანონზომიერებების დანაწევრებასა და კლასიფიკაციას.

პოლიტიკური სისტემის განვითარების კანონზომიერებები წარმოადგენს ობიექტურ, მყარ, განმეორებად კავშირს, რომლებიც ახასიათებენ პოლიტიკური მოვლენების არსებით ერთობას და დინამიზმს ყოფიერების სხვადასხვა ეტაპზე. საბოლოო ანგარიშში ისინი გვევლინებიან ადამიანების სუბიექტური საზოგადოებრივ-ისტორიული მოღვაწეობის ობიექტურ შედეგად, რომლებიც მრავალი შემთხვევითობისა და გადახრის გავლით კონკრეტულ მყარ ტენდენციებში გამოიკვეთება.

პოლიტიკური სისტემა, ისევე როგორც ნებისმიერი რთული მოვლენა, შედგება წინააღმდეგობრივი მხარეებისაგან, რომლებიც მუდმივ დაპირისპირებაში არიან. სწორედ ამ დაპირისპირების გადაწყვეტა და გადალახვა არის მისი თვითგანვითარების შინაგანი წყარო.

პროცესის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ობიექტურ შინაგან დაპირისპირებებს, რომლებიც ნებისმიერი პოლიტიკური სის-

ტემის იმანენტურია. ასეთი წინააღმდეგობების გადალახვა ნიშნავს არა მათ ლიკვიდაციას რომელიმე მოწინააღმდეგე მხარის ჩამოშორების გზით, არამედ ამ უკანასკნელთა მხრივ ხარისხობრივად ახალი, უფრო მაღალი ფორმის მოძრაობის მიღწევას. ამის მაგალითად შეიძლება გამოდგეს დემოკრატიული სახელმწიფოს მცდელობა გადალახოს კლასობრივი საზოგადოების ერთ-ერთი ძირითადი წინააღმდეგობა სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის. თავისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სახელმწიფო, სამოქალაქო საზოგადოების დემოკრატიული ინსტიტუტების ზემოქმედების შედეგად, აარსებს პოლიტიკური და სამართლებრივი ინსტიტუტების კომპლექსსა და რეგულირების რეჟიმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ პიროვნების თავისუფლებასა და განვითარებას. ეს აისახება კონსტიტუციაში და სხვა სამართლებრივ აქტებში. მიმდინარეობს მუდმივი ბრძოლა, რომ შეიცვალოს თანაფარდობა მოქალაქეების თვითმმართველობის მოთხოვნილებასა და ამის მოწინააღმდეგე სახელმწიფოს ბიუროკრატიულ აპარატს შორის, რის შედეგადაც იზრდება ხალხის მასების მონაწილეობა სახელმწიფოებრივ მართვაში.

სუბიექტური წინააღმდეგობები, რომლებიც გამოწვეულია ცალკეულ პიროვნებათა და ორგანიზაციათა იდეურ-პოლიტიკურ, ფსიქოლოგიურ და სამართლებრივ მოთხოვნათა შეუთავსებლობით საზოგადოებაში გაბატონებულ მორალთან, კანონიერებასთან და მართლწესრიგთან, გადაილახება ნეგატიური გამოვლინების გზით, ან დაინტერესებულ მხარეთა შორის კონსენსუსის მიღწევით. პოლიტიკურ სფეროში ადამიანთა შორის დაპირისპირებების გამოვლენა და დაძლევა არის დროსთან, სივრცესთან, სხვადასხვა შიდა და გარე ფაქტორებთან შეთანხმების რეალური პროცესი. ეს პროცესი უზრუნველყოფს პოლიტიკური სისტემის განვითარების კანონზომიერებას.

მეცნიერულად შემუშავებულ პოლიტიკური მოწესრიგების მრავალ საფუძველს შორის ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია ინსტიტუციონალიზმი, მისი ისტორიული მოქმედების სიღრმე და უნივერსალობა ახასიათებენ საერთო სოციალურ-კლასობრივი მატერიის მოძრაობის პოლიტიკურ ფორმებს წარსულში, აწმყოსა და მომავალში. ეს არის პოლიტიკური მოვლენების ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტუ-

რის გაძლიერება; პოლიტიკური და სამართლებრივი ინსტიტუტების ურთიერთქმედება; საზოგადოებრივ ცხოვრებაში სამართლის როლის გაზრდა და სხვა.

ფორმაციათაშორისი კანონზომიერებები დამახასიათებელია ორი ან მეტი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციისათვის. მაგალითად, ნებისმიერი ტიპის პოლიტიკურ სისტემას ახასიათებს სოციალურ-კლასობრივი, საერთაშორისო, რასობრივი კონფლიქტები და ერთი ტიპის სისტემის სხვაგვარად გარდაქმნა სოციალური რევოლუციებისა და მშვიდობიანი თუ სამხედრო გადატრიალების გზით. ატომურ ეპოქაში კანონზომიერია სხვადასხვა პოლიტიკური სისტემების მშვიდობიანი თანაარსებობა.

ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ფარგლებში კანონზომიერებები ასახავენ ერთი და იმავე ტიპის პოლიტიკური სისტემების არსებით, მყარ კავშირებს. დასავლური ქვეყნების პოლიტიკური სისტემებისათვის დამახასიათებელია: პლურალისტური დემოკრატიის რეჟიმი, ხელისუფლების დაყოფა, ორი ან მრავალპარტიული სისტემა. სოციალისტური ქვეყნების პოლიტიკური სისტემისათვის კანონზომიერებად ითვლებოდა პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების და პროლეტარული პარტიის ხელმძღვანელი როლის განმტკიცება, პარტიული და სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატიზაცია და ურთიერთშერწყმა, დემოკრატიისა და თვითმმართველობის დეკლარირება და სხვა.

კონკრეტული საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში შეიძლება გამოიყოს საერთო სისტემის დამახასიათებელი და შიდა ორგანიზაციული კანონზომიერებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სისტემის სტრუქტურული ელემენტებისა და კომპონენტების კავშირს. ეს არის სისტემის ყველა შემადგენელი ნაწილის ეკონომიკური ინტეგრაციის გარდაუვალობა, პოლიტიკური პარტიების ფორმირების განპირობება საზოგადოების სოციალური დაყოფით, სახელმწიფო აპარატის შეუჩერებელი ზრდა, ბიუროკრატიზაცია და ამავე დროს მუდმივი ბრძოლა მის შესამცირებლად და ა.შ.

ამასთანავე, ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგს: ჯერ ერთი, დასახელებული პრინციპები (საერთო-ისტორიული, ფორმაციათაშორისი, ფორმაციული) გარკვეული გზით დამუშავდებიან კონკრეტული პოლიტიკური სისტემის საკუთარ კანონზომიერებებად; მეორეც, სისტემის ცალკეულ ელემენტებსა და კომპონენტებს არ შეუძლიათ წინააღმდეგობაში იყვნენ საერთო-სისტემურ სტანდარტებთან, მაგრამ მათი ურთიერთქმედება არ თავსდება ნაწილისა და მთელის თანაფარდობის ფარ-

გლებში და პორიზონტალური და ვერტიკალური, შიდა და გარე კავშირების რთულ დიალექტიკას წარმოადგენს. საბედნიეროდ, მსოფლიო პოლიტიკურ აზროვნებაში აქტიურად ებმება ხალხის ფართო მასები, რაც ეხმარება პრობლემათა დროულ გადაწყვეტას.

§3. სახელმწიფო საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში

ისტორიული თვალსაზრისით სახელმწიფო პირველი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციის ფორმაა. ხოლო ტერმინი პოლიტიკა მისგან წარმოქმნილი სიტყვაა და სათავეს იღებს პოლისისაგან, რომელსაც ძველი ბერძნები თავის ქალაქ-სახელმწიფოებს უწოდებდნენ. სხვადასხვა ხალხში სახელმწიფო სხვადასხვაგვარი განვითარების სტადიაზე დროის ისტორიულად განსხვავებულ მონაკვეთში წარმოიქმნებოდა, მაგრამ ყველა მათგანისათვის საერთო იყო ისეთი ფაქტორები, როგორიცაა საწარმოო იარაღის სრულყოფა და შრომის საზოგადოებრივი დანაწილება, საბაზრო ურთიერთობებისა და ქონებრივი უთანასწორობის წარმოქმნა, სოციალური ჯგუფების, წოდებებისა და კლასების ჩამოყალიბება, ადამიანების მიერ საერთო და ჯგუფური (კლასობრივი) ინტერესების შეცნობა.

სახელმწიფო გახდა კლასობრივი საზოგადოების პირველი, მაგრამ არა ერთადერთი და უკანასკნელი პოლიტიკური ორგანიზაცია. ადამიანთა ურთიერთობებმა ცხოვრებაში შემოიტანეს სოციალური მატერიის ახალი პოლიტიკური ფორმები: სახელმწიფოსთან ერთად საზოგადოებაში შეიქმნა გარკვეული კლასის, წოდების, ჯგუფის, ინტერესების გამოძახტველი სხვადასხვა არასახელმწიფო გაერთიანება, რომლებიც თავიდანვე მონაწილეობდნენ საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში. მაგალითად, არისტოტელე მოიხსენიებს მონათმფლობელური ათენის მთის, ბარისა და ქალაქის სანაპირო ნაწილის პარტიებს. ფეოდალური საზოგადოების პირობებში პოლიტიკური ძალაუფლების განხორციელებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა მესაკუთრეთა გაერთიანებები — ერთობა, გილდია, საამქრო. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ როლს თამაშობენ საეკლესიო დაწესებულებები, რომლებიც მმართველი კლასების ორგანიზაციულ-იდეოლოგიურ საყრდენს წარმოადგენენ. საზოგადოებაში, თანამედროვე პირობებში, გარდა სახელმწიფოსი, მოქმედებენ სხვადასხვაგვარი პოლიტიკური პარტიები, პროფ-

კავშირები, ქალთა და ახალგაზრდული საზოგადოებრივი გაერთიანებები, მეწარმეთა და ფერმერთა ორგანიზაციები, რომლებიც თავისი მოღვაწეობით გამოხატავენ გარკვეული სოციალური ძალების ინტერესებს და გავლენას ახდენენ პოლიტიკაზე. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს ცენტრალური ადგილი უკავია ნებისმიერი ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს განპირობებულია შემდეგით:

—უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო გამოდის როგორც სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს, ფენებს, კლასებს (მათი წინააღმდეგობრივი ინტერესებით) შორის უნაყოფო ბრძოლის ალტერნატივა. მან ჩვენი ცივილიზაციის განვითარების ადრეულ სტადიაზევე აარიდა ადამიანთა საზოგადოებას თვითგანადგურების საფრთხე და არიდებს დღესაც. ამ თვალსაზრისით მან „სიცოცხლე შეუნარჩუნა“ საზოგადოების პოლიტიკურ სისტემას მისი თანამედროვე გაგებით.

ამავე დროს, კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე სწორედ სახელმწიფო ახვევდა თავს ქვეშევრდომებს შინაბრძოლას, რეგიონალურ შეიარაღებულ კონფლიქტს, ომს ორი მსოფლიო ომის ჩათვლით. ზოგ შემთხვევაში სახელმწიფო (როგორც აგრესორი) იყო და არის გარკვეული პოლიტიკური დაჯგუფებების, კლასის, საზოგადოების ინტერესების დამცველი. სხვა შემთხვევაში იგი საერთო-სახალხო ინტერესებს გამოხატავს.

—ლიტერატურაში სახელმწიფო განიხილება როგორც ორგანიზაციული ფორმა, როგორც კავშირი ხალხისა, რომლებიც ერთად საცხოვრებლად შეიკრიბა. ინდივიდების ისტორიული, იდეოლოგიური, სოციალურ-ეკონომიკური კავშირი და ა. შ. მოქალაქეობის პოლიტიკურ-სამართლებრივ გარანტია ასეთი მიდგომით. თითოეული ადამიანი დაინტერესებულია მისი არსებობით, ვინაიდან პირად დამოუკიდებლობასა და თავისუფალ ურთიერთობას თანამოქალაქეებთან, ოჯახისა და საკუთრების დაცვას, პირად ცხოვრებაში გარედან ჩარევის თავიდან აცილებას და უშიშროების გარანტიას სახელმწიფო უზრუნველყოფს. როგორც მოქალაქე, ინდივიდი მოიპოვებს მყარ პირველად პოლიტიკურ უფლებებს, რომელიც ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანებისა და მოძრაობის, პოლიტიკური პარტიის და ა.შ. საქმიანობაში მისი მონაწილეობის საფუძველი ხდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ინდივიდი „უპირველესად“ სახელმწიფოს საშუალებით „ერთვება“ საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში.

ამასთანავე, სახელმწიფოსა და ცალკეულ მოქალაქეთა შორის (მიუხედავად იმისა, რომელ კლასს მიეკუთვნება) არსებობს უთანხმოებათა

კომპლექსი, რომელიც მთლიანობაში ხასიათდება; როგორც საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ძირითადი შინაგანი წინააღმდეგობა. ეს არის წინააღმდეგობა დემოკრატიასა და ბიუროკრატias შორის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების სფეროში, თვითმმართველობის განვითარების ტენდენციებსა და მისი განხორციელების შეზღუდულ შესაძლებლობებს შორის და სხვა. ეს უთანხმოებები ძალზე მწვავედება, როცა სახელმწიფო ატარებს მკვეთრად გამოხატულ კლასობრივ, ეროვნულ პოლიტიკას იმ მოქალაქეთა მიმართ, რომლებიც არ მიეკუთვნებიან პოლიტიკურად პრივილეგიურ სოციალურ ჯგუფს.

—იმ ფაქტორებს შორის, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფოს წარმოქმნას, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საზოგადოების სოციალურ-კლასობრივ დანაწილებას. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ სახელმწიფო თავიდან ეკონომიკურად გაბატონებული კლასების პოლიტიკური ორგანიზაციაა.

თანამედროვე სახელმწიფოსა და პოლიტიკურ სისტემას მთლიანად ერთი და იგივე ამოცანები აქვთ: გარდაქმნან კლასობრივი ბრძოლა ცივილიზებული პოლიტიკური დემოკრატიისა და სამართლის პრინციპზე დაყრდნობით; ურთიერთდაპირისპირებული ფენების, კლასების და მათი პოლიტიკური ორგანიზაციების ძალისხმევა მიმართონ საერთო-სოციალური და კლასობრივი პრობლემების კონსტრუქციულად გადასაწყვეტად;

—სახელმწიფო აღმოჩნდა პირველი გარანტი იმ ხალხის პოლიტიკური მოღვაწეობისა, რომლებიც წარმოადგენენ გარკვეული სოციალური ჯგუფებისა და ფენების ინტერესებს. ამან გამოკვეთა სახელმწიფოს ინტერესები — მთლიანად თავისი უფლებების სფეროში მოექცია პოლიტიკური მოვლენები.

ამ შემთხვევაში სახელმწიფო თამაშობს ზედამხედველის; არბიტრის როლს. კანონმდებლობის მიხედვით იგი ადგენს „თამაშის წესებს“ პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი გაერთიანებებისათვის, ცდილობს თავის პოლიტიკაში გაითვალისწინოს მათი მრავალმხრივი, ზოგჯერ ანტაგონისტური საწინააღმდეგო ინტერესების სპექტრი. დემოკრატიული სახელმწიფო მიისწრაფვის—უზრუნველყოს არა მხოლოდ ნორმალური მშვიდობიანი ურთიერთობები, არამედ სახელმწიფო ხელისუფლების მშვიდობიანი შეცვლა, თუკი წარმოიშვება ისტორიული აუცილებლობა. სახელმწიფო, როგორც პოლიტიკური „საერთო საცხოვრებლის“ ფორმა, გამოდის პოლიტიკური სისტემის შემაკავშირებელ ფენომენად.

—სახელმწიფო—მთლიანობაში პირობითად აერთიანებს პოლიტიკურ სისტემასა და სამოქალაქო საზოგადოებას. რადგანაც იძულებულია, იზრუნოს საერთო სოციალურ პრობლემებზე — მოხუცთა თავშესაფარის აშენება, კავშირგაბმულობის მოწესრიგება, სატრანსპორტო არტერიების შექმნა და სხვა, მომავალი თაობების ენერგეტიკულ და ეკოლოგიურ უზრუნველყოფამდე. როგორც წარმოების საშუალებათა, მიწისა და მისი წიაღისეულის მთავარი მესაკუთრე, იგი აფინანსებს განსაკუთრებით დიდი კაპიტალდაბანდებების წარმოებებსა და მეცნიერების დარგებს, იხდის თავდაცვის ხარჯებს. როგორც საზოგადოებრივი საქმეების მმართველი ორგანო, სახელმწიფო საკუთარი აპარატის (ციხე, პოლიცია და ა.შ.) საშუალებით იცავს პოლიტიკური სისტემისა და სამოქალაქო საზოგადოების გარკვეულ მთლიანობას, უზრუნველყოფს მართლწესრიგს საზოგადოებაში.

საზოგადოების პოლიტიკური სისტემისათვის გამაერთიანებელი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო ხელისუფლების სუვერენულ ხასიათს. მხოლოდ სახელმწიფოს აქვს უფლება, ხალხისა და საზოგადოების სახელით გამოვიდეს ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ. კონკრეტული საზოგადოების პოლიტიკური სისტემების შესვლა მსოფლიო პოლიტიკურ გაერთიანებაში დიდად არის დამოკიდებული სახელმწიფოს სუვერენული თვისებების ხარისხზე;

—ეკონომიკური, სოციალურ-კლასობრივი ურთიერთობების მოქნილობაზე, იდეოლოგიური და ფსიქოლოგიური იმიჯის ცვალებადობაზე დამოკიდებული პოლიტიკური სისტემა მუდმივ მოძრაობაში იმყოფება. ყველა მისი ელემენტი და კომპონენტი მუშაობს შეკავშირებულად, ათანხმებს სოციალური ჯგუფის ინტერესებს, იღებს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, მაგრამ როგორც კი იქმნება განსაკუთრებული საზოგადოებრივი სიტუაცია (სტიქიური უბედურება, მმართველობის ფორმის ან პოლიტიკური სისტემის შეცვლა), მათი გადაწყვეტის განსაკუთრებული პრიორიტეტი მიეკუთვნება სახელმწიფოს. ამასთან, ამ შემთხვევაში ლაპარაკი გვაქვს არა უბრალოდ სახელმწიფოზე, არამედ მის სუბსტანციურ გამოვლინებაზე—სახელმწიფო ძალაუფლების სახით. მხოლოდ კანონიერ სახელმწიფო ხელისუფლებას შეუძლია უზრუნველყოს შედარებით უმტკივნეულო და უსისხლო გადასვლა თავისთავად ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობებზე.

ნებისმიერი პოლიტიკური მოღვაწეობა ასე თუ ისე უკავშირდება სახელმწიფო ხელისუფლებას. შეიძლება კამათი იმაზე, თუ რა ფაქტორები ედო საფუძვლად სახელმწიფოს შექმნას, ვის ინტერესებს გა-

მოხატავს ესა თუ ის თანამედროვე სახელმწიფო წარმონაქმნი, მაგრამ აქსიომაა ის, რომ ადამიანებსა და მათი გაერთიანებების პოლიტიკური მოღვაწეობის საბოლოო შედეგი სახელმწიფოებრივი ძალაუფლებაა და არც უნდა იყოს დაფიქსირებული სხვადასხვა დროისა და ტიპის პოლიტიკური პარტიების პროგრამულ დოკუმენტებში, ერთი ცხადია: მათ სჭირდებათ სახელმწიფო ხელისუფლება დეკლარირებული თუ საიდუმლო მიზნების მისაღწევად. ამიტომ ნებისმიერი საზოგადოებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფო ხელისუფლების შეცვლისა და განხორციელების მოქნილი სამართლებრივი მექანიზმი.

§4. სამართალი და საზოგადოების პოლიტიკური სისტემა

ისტორიულად სამეცნიერო იურიდიულ ლიტერატურაში მინიშნებულია, რომ სამართლის წარმოშობა უსწრებს პოლიტიკურ მოვლენებს. მისი წარმოქმნა და განვითარება სქემატურად ასეა წარმოდგენილი: ადამიანი გაჩნდა დედამიწაზე, როგორც სახეობა და იცავს საკუთარ სიცოცხლეს, თავისუფლებას, საკუთრებას (თავიდან ინსტიტუტურად, შემდეგ შეგნებულად), ე.ი. ფაქტობრივად, იცავს საკუთარ უფლებებს სიცოცხლეზე, თავისუფლებაზე და საკუთრებაზე. ამასთანავე, ადამიანებს შორის წარმოიქმნება დაპირისპირებანი და მათი შედეგად ამიტომ აუცილებელი ხდება ერთი ადამიანის თავისუფლება შესაბამისობაში მოვიდეს მეორესთან, რაც ზღუდავს ორივეს თავისუფლებას. სამართალი ახერხებს ყველა ინდივიდის ნება-სურვილისა და მოქმედების თავისუფლების ზღვრების დადგენას და ამის მიხედვით ახდენს მათი ქცევის ნორმების შემუშავებას.

ათასწლეულების მანძილზე კაცობრიობის არსებობის ქვაკუთხედები — სიცოცხლე, თავისუფლება, საკუთრება და მათი დაცვა — ურთიერთგანუყოფელი იყვნენ და ატარებდნენ კონკრეტულ, პერსონიფიცირებულ ხასიათს, რაც უზრუნველყოფდა ურთიერთობის დარეგულირებას ადამიანებს შორის. ამ პროცესში თანდათან შემუშავდა ჩვევები, სტიეროტიპები, რომლებიც, ერთი მხრივ, ხელს უწყობენ მოქმედების თავისუფლებას და, მეორე მხრივ, ზღუდავენ მას გონივრული და სამართლიანი (სოციალური უმრავლესობის ან გარკვეული სოციალური ძალის თვალსაზრისით) ჩარჩოებით. ყალიბდება საყოველთაოდ მიღებული წესები, ე.ი. ადამიანთა გარკვეული წრის (ოჯახი, თაობა და ა.შ.) ნორმები (ჩვეულებები).

თავდაპირველად ეს ბუნებრივად ჩამოყალიბებული ცხოვრების წესები არსებობდნენ მონონორმების სახით,—საკუთარ თავში აერთიანებდნენ რელიგიურ, ზნეობრივ, ესთეტიკურ, ეკოლოგიურ საწყისებს. ისინი არ იყოფოდნენ უფლებებად და მოვალეობებად და ატარებდნენ ორგანიზაციულ-რელიგიურ ხასიათს. მიმთვისებლური ეკონომიკის ეპოქაში ისინი აწესრიგებდნენ საკვების მოპოვებასა და განაწილებას, ამყარებდნენ წესრიგს, იცავდნენ რიტუალების შესრულებას და ა.შ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს მონონორმები პრაქტიკულად იგივე ფუნქციებს ასრულებდნენ, რასაც თანამედროვე სამართლებრივი ნორმები; თუმცა ისინი ტრადიციებისა და ჩვეულებების მიხედვით უმთავრესად ნებაყოფლობით სრულდებოდნენ, არსებობდა დამსჯელი სანქციებიც მათი დარღვევისათვის—გაკიცხვა, თემიდან განდევნა, სხეულის დაზიანება, სიკვდილით დასჯა. მონონორმების შემსრულებელ სუბიექტებად გვევლინებოდნენ ნათესავები, მთლიანად საზოგადოება.

საყურადღებოა, რომ კაცობრიობის განვითარების ამ ეტაპზეც არსებობდა სოციალური რეგულირების სამი ძირითადი წესი, რომლებმაც ჩვენს დრომდე მოაღწია—აკრძალვა, დაშვება და ვალდებულება. მაგალითად, უმკაცრესი სასჯელით დასჯის შიშით აკრძალული (ტაბუადებული) იყო გარკვეული ცხოველების განადგურება, „წმინდა მიწაზე“ ასვლა, სისხლით ნათესავებს შორის ქორწინება. დაშვება აწესრიგებდა მოსავლის აღების დროსა და ადგილს, ნადირობისა და თევზჭერის საერთო იარაღებითა და საშუალებებით სარგებლობას. ვალდებულებები მიმართული იყო ქცევის ორგანიზებისათვის საკვების მომზადების პროცესში, საცხოვრებლის აგებისას, კოცონის გაჩაღებისა და ცეცხლის შენარჩუნების, იარაღისა და გადაადგილების საშუალებათა დამზადების დროს.

მწარმოებლური ეკონომიკის გამტკიცების ეპოქაში, ე.ი. მიწათმოქმედების, მეცხოველეობისა და ხელოსნობის წარმოქმნიდან, საზოგადოების ჯგუფებად, ფენებად და კლასებად თანდათანობით დაყოფიდან, იწყება მონონორმების დაშლა საკუთრივ სამართლებრივ, მორალურ და რელიგიურ ნორმებად. გარდა ამისა, გაჩნდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების, ყოფის, საკულტო ცერემონიების, საზოგადოების სოციალური ღიფერენციების სპეციფიკით განპირობებული ნორმები. დამწერლობისა და ხელოსნობის წარმოქმნასთან, ბუნებრივ მოვლენებზე ადამიანის ცოდნისა და მწარმოებლური გამოცდილების შექმნასთან ერთად ხდება იმ ნორმების თავმოყრა, რომლებიც განსაზღვრავენ თუ რა სჭირდებათ, რა შეიძლება და რა არ შეიძლება მოიმოქმედონ ადამიანებმა გარკვეულ სიტუაციებში. ჩნდება მათი მოწესრიგებისა და გამოყენების სტაბილური უზრუნველყოფის აუცილებლობა, ე.ი. სამართლებრივი ნორმების დაფიქსირება (ქვაზე, თიხასა და ხის დაფებზე, ტყაებზე, პაპირუ-

სებზე.) მათი სისტემატიზაცია (მოღვაწეობის სფეროსა და რელიგიური წეს-ჩვეულებების მიხედვით) და შესრულების უზრუნველყოფა (იძულებითი ღონისძიებების, რელიგიური შიშის, ავტორიტეტის გამოყენებით).

კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი პირველი სისტემატიზირებული სამართლებრივი „აქტი“ იყო აგროკალენდარი, რომელიც ადამიანს აცნობდა კოსმიური და მიწიერი მოვლენების ციკლურ თვისებებს და რომელიც შედგენილი იყო ციური მნათობების (მზე, მთვარე, ვარსკვლავები) მოძრაობის მიხედვით. ადრეულ მიწათმოქმედ საზოგადოებებში (მესოპოტამია, ეგვიპტე და სხვა) მზისა და მთვარის აგროკალენდრები, წარმოადგენდა ადამიანური ცივილიზაციის უმაღლეს მიღწევასა და სამართლის შეგრძნებისა და ჩამოყალიბების ახალ ეტაპს.

სახელმწიფოს წარმოშობისთანავე ზეპირი ფორმით იქმნება სამართალი, შემდგომში გაჩნდა დაწერილი სამართალი (კანონები, კოდექსები, კანონთა კრებულები). ფიზიკური და სოციალური უთანასწორობა, ისტორიული, დემოგრაფიული და სხვა ფაქტორები წინასწარ განსაზღვრავდნენ სამართლებრივი ნორმების განსხვავებულ შინაარსს. მთელი რიგი უძველესი იურიდიული აქტები (ხამურაბის კანონები, სოლონის რეფორმები, მანუს კანონები) და სხვა წყაროები (12 ტაბულის, ხალიკური სამართალი) საკმაოდ მკაფიოდ განსხვავებდა სამართლებრივი რეგულირების წოდებრივ-კლასობრივ ხასიათს. ასეთი მიდგომა ჩანს ქართულ სამართალშიც. ვახტანგ VI სამართლის მიხედვით დიდებულის მოკვლის საზღაურად უნდა გადაეხადათ 1536 თუმანი, ასევე სვანეთის ისტორიულ ძეგლებში, სამართლებრივ პრაქტიკაში იყენებდნენ ცნებებს „საპატიო სვანის სისხლი“, —ჯაფარიძის, იოსელიანის, ყიფიანის სისხლი— და სხვა. თავადის მოკვლისათვის 768 თუმანი, აზნაური-სათვის — 192, და ა.შ.

უახლეს პერიოდში იხვეწება საზოგადოების პოლიტიკური სისტემის სტრუქტურა, მაღლდება სახელმწიფოს სამართალ-შემოქმედებითი მოღვაწეობის როლი, რთულდება ფაქტობრივი ურთიერთობები. ყველაფერი ეს განსაზღვრავს სამართლებრივი ნორმების გარკვეულ თავისებურებებს—ისინი უფრო სპეციალიზებული ხდებიან, წარმოიქმნება საზოგადოებრივი ურთიერთობების (მატერიალური და პროცესუალური საჯარო და კერძო სამართლის ნორმები და სხვა) რეგულირების კომპლექსური გამოყენების აუცილებლობა. უფრო სტაბილურ ხასიათს იღებს ნორმის ელემენტებს შორის ლოგიკურად შემოწმებული და აპრობირებული შიდა და გარე სისტემური კავშირები, ფორმირდება სხვადასხვა ღონის იურიდიული ინსტიტუციონალური კონსტრუქციები, უფრო შესამჩნევი ხდება სამართალშემქმნების როლი სამართალ-შეფარდებისა და სამართალრეალიზაციის პროცესი.

ამგვარად, ყალიბდება ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთმოქმედი ნორმების (ქცევის წესების) გარკვეული სისტემები, რომლებიც ასახავენ ადამიანის ან ადამიანთა ამა თუ იმ კონკრეტული საზოგადოებრივი გაერთიანებების თავისუფლების დონეს.

სამართლის მნიშვნელობა და მისი როლი საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში საშუალებას იძლევა—აიხსნას მათი თანაფარდობის შემდეგი ასპექტები:

—სამართალი არის ადამიანთა, საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოღვაწეობის შედეგი, რომელიც ასახავს პიროვნების თავისუფლების საზღვრებს. თავისუფლების ასეთი საზღვრები განმტკიცებულია ოფიციალური ნორმატიული დოკუმენტებით და უზრუნველყოფილია სახელმწიფოს ძალაუფლებითა და საზოგადოების ავტორიტეტით, ამიტომ პოლიტიკური სისტემის ყველა სტრუქტურული ელემენტი და მათ შორის თვით სახელმწიფოც, იძულებულია არეგულიროს საკუთარი პოლიტიკური უფლებები ამ საზღვრების ჩარჩოებში;

—სამართალი წარმოადგენს საზოგადოების ორგანიზების ფუნქციონირების ნორმატიული საფუძვლის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს და სოციალურ-ღირებულებითი მნიშვნელობა გააჩნია. მის ჩარჩოებში ყალიბდება პოლიტიკური ინსტიტუტები, განისაზღვრება პოლიტიკური სისტემების სტრუქტურული ელემენტების ადგილი. სამართლებრივი ფორმით იმოსება სახელმწიფო ხელისუფლების, სახელმწიფო ორგანოებს, პოლიტიკურ პარტიებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს შორის ურთიერთობები, სხვაგვარად რომ ვთქვათ, სამართალი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირების მაღალეფექტური და მიზანშეწონილი საშუალებაა;

—სამართალი ადამიანთა ინდივიდების, სოციალური ჯგუფების, კლასების, მთლიანად საზოგადოების, სულიერი მოთხოვნილების თავისებური ნაკრებია. სამართლის საშუალებით ხდება თითოეული ინდივიდისა თუ საზოგადოებრივი ნების გამოხატვის უმაღლესი კონსენსუსის (შეთანხმების) მიღწევა. თავისი სტრუქტურებისა და სისტემურობის ძალით სამართალს შეუძლია თავი მოუყაროს სულიერ მისწრაფებებს საზოგადოებრივი ორგანიზმის სხვადასხვა დონეზე, წარმოჩნდეს ინდივიდების, მათი კოლექტივების, ეროვნული თუ რელიგიური ერთობების სოციალურ-პოლიტიკური ავტონომიის ფორმით;

—სამართალი თამაშობს პოლიტიკურ სისტემასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის დამაკავშირებელი შუამავალის როლს. ერთის მხრივ, იგი აგროვებს და ამუშავებს მრავალგვარ სოციალურ (იურიდიული და პოლიტიკური მნიშვნელობის ინფორმაციას) და მეორე მხრივ, გადაჰყავს პოლიტიკური მოთხოვნები ზუსტად განსაზღვრული და სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი ქცევის წესების ენაზე, ქმნის

პროცედურულ ფორმებს ადამიანის მიერ ცხოვრებაში მათ განსახორციელებლად. ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების ტექსტებში ფიქსირდება რეგულირებადი საზოგადოებრივი ურთიერთობების საერთო პოლიტიკური და იურიდიული შეფასება, რაც ძალზე მნიშვნელოვანია კანონების სწორად გაგებისა და შეფასებისათვის, კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის;

—სამართალი წარმოადგენს პოლიტიკური სისტემის აუცილებელ, მასტაბილიზებელ ფაქტორს. სამართლით რეგულირებადი პოლიტიკური ურთიერთობების მოწესრიგება უზრუნველყოფილია სამართლის ნორმების, დროში ხანგრძლივი არსებობისა და მკაცრად რეგლამენტირებული პროცესუალური ფორმებით.

—სამართლის პირველწყაროებს წარმოადგენენ არა მარტო სახელმწიფოს ნორმატიული აქტები, არამედ წეს-ჩვეულებები, პრეცედენტები და, აგრეთვე, საერთო-სახალხო რეფერენდუმით მიღებული გადაწყვეტილებები (კანონები). ასეთ შემთხვევებში სამართლის რეგულირებადი ძალა იძენს საერთო-საკაცობრიო, საერთო-სამოქალაქო ხასიათს, გამოდის განსაკუთრებით პოლიტიკური მოვლენების ზღვრიდან.

ამრიგად, სამართალი და სახელმწიფო ჩვენი ცივილიზაციის განვითარების, საერთო-კაცობრიული მიღწევის შედეგია, მათთან დაკავშირებულია სოციალური პროგრესი, ადამიანის ბუნებითი და შექმნილი უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელება, დემოკრატიული სამართლებრივი წესრიგის ჩამოყალიბება. ადამიანისა და საზოგადოების მოთხოვნილებაა—კიდევ უფრო განვითარდეს სახელმწიფო და სამართალი. ამ უკანასკნელთა მზარდი სოციალური ღირებულება უზრუნველყოფს სამოქალაქო საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირების პროცესების დაჩქარებას¹.

¹ სახელმწიფოსა და სამართლის ადგილის პრობლემა საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში იხ. Теория государства и право М. 1998 г. Общая Теория права и государства М. 1966 г. Теория государства и права (курс лекции) М. 1966 г. ვ. ჭანუყვაძე, ვ. ჭანია, პოლიტოლოგია, თბ., 1966 წ. გ. მკურნალიძე, მ. ხაშხაძე, პოლიტოლოგია თბ., 1998 წ. ი. რეხვიაშვილი, ე. ჯალიაშვილი, ვ. ზოჭოლავა პოლიტოლოგია, თბ., 1991 წ. ქობალია, პოლიტოლოგია, როგორც მეცნიერება თბ., 1993 წ. ლ. გეგევიძე, ს. ყურაშვილი, პოლიტოლოგია თბ., 1991 წ.

Хропанюк В. Н. Теория государства и права М. 1999 г.

თავი მეთოთხეტი

სამართლებრივი სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოება

§1 სამართლებრივი სახელმწიფოს მოქვრების თეორიული ფუნქციები

მკვლევართა დიდი ნაწილი თვლის, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს იდეის საწყისები უნდა ვეძებოთ იმ დროში, როცა ადამიანური ცივილიზაცია ჯერ კიდევ აკვანში იმყოფებოდა. უკვე იმ დროს ადამიანი ცდილობდა აეხსნა და გაეუმჯობესებინა მის მსგავს არსებებთან ურთიერთობის ფორმები, შეეგრძნო თავისი თუ სხვისი თავისუფლების, სიკეთისა და ბოროტების, სამართლიანობისა და უსამართლობის, წესრიგისა და ქაოსის არსი. გარკვეული ფორმა მიიღო სოციალურმა სტერეოტიპმა და მოცემული საზოგადოების (გვარი, ტომი), ცხოვრების წესებმა, (ჩვევები, ტრადიციები), რომლებიც განპირობებულნი იყვნენ თვით ცხოვრების ავტორიტეტითა და წესით. ადამიანთა ცხოვრებაზე, თავისუფლებაზე, საკუთრებაზე ბუნებითი უფლებების რეალიზაციისა და გამოყენების პროცესში თანდათანობით გამოკრისტალდა ბუნებითი სამართლის ნორმები. ისინი ასრულებენ ძირითად და უშუალო რეგულირების როლს ინდივიდსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობაში და გარკვეულ მომენტამდე ჰარმონიულად ათანხმებენ მათ.

სახელმწიფომ შეძლო ბუნებითი სამართალი თავის საკუთრებად გაეხადა და ხელთ ეგდო თვით სამართლებრივი ნორმების შექმნის შესაძლებლობა.

სახელმწიფო გახდა შუამავალი ინდივიდსა და საზოგადოებას შორის და, სამართლის ჰუმანური საწყისების გამოყენების გზით იგი საკუთარი მიზნების განხორციელების ძირითად ინსტრუმენტად გადააქცია. კაცობრიობა იძულებული გახდა ხელახლა დაეწყო შეთანხმების ოპტიმალური ფორმების ძიება ამჯერად უკვე პიროვნების, სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის—ეპონა მათი გონივრული შეთანხმების, მოთხოვნილებებისა და ინტერესების დაკმაყოფილების გზები და ამისათვის სამართალი გამოეყენებინა.

სამართლებრივ სახელმწიფოზე მოძღვრების წინაპირობად კანონის უზენაესობის, მისი ღვთაებრივი და სამართლიანი შინაარსის, კანონის სამართალთან შესაბამისობის აუცილებლობის იდეა შეიძლება მივიჩნიოთ. სამართლის, როგორც გარდაუვალი, ცხოვრებისეულ ამოებაზე ამაღ-

ლებული მოვლენის ჭეშმარიტი პატივისცემის პირველ მაგალითს გვაძლევს ანტიკური ისტორია: ბრძენმა სოკრატემ მიიღო სიკვდილი, არ მოინდომა გასცლოდა სასამართლო განაჩენს (მიუხედავად მისი უსამართლობისა).

თუმცა გაურკვეველია, თუ რატომ გაუსწორდა ასე მკაცრად ჰელია სოკრატეს, რომლის წინააღმდეგაც აღძრული ბრალდების არც ერთი პუნქტი სასამართლოს სხდომაზე არ დადასტურდა. კიდევ უფრო გაუგებარია სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი სოკრატეს სიკვდილით დასჯის შესახებ. იმ დროს ათენის სახელმწიფოში მხოლოდ და მხოლოდ ოთხი სახის დანაშაული—მკრეხელობა, სხვისი ქონების დატაცება, თავისუფალ მოქალაქეთა და მონათა გატაცება-გაყიდვა და სახელმწიფოს ღალატი ისჯებოდა სიკვდილით. რაც შეეხება სოკრატეს წინააღმდეგ აღძრული ბრალდების საფუძველზე მის დადანაშაულებას, ახალგაზრდობის გარყვანასა და ძველი ღმერთების ნაცვლად ახალი ღმერთების შემოღების ცდას, ეს ამ პერიოდის ათენის სახელმწიფოს კანონების მიხედვით დამნაშავის სიკვდილით დასჯას არ ითვალისწინებდა. ალბათ ამიტომაც იყო, რომ ათენის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს სოკრატეს სიკვდილით დასჯის შესახებ ბევრი ათენელი იმ თავითვე უკმაყოფილოდ შეხვდა. კრიტონი, რომელიც სოკრატეს თავს დასტრიალებს სიკვდილით დასჯამდე, გულმოდგინედ აშაადებს ციხიდან გაქცევას და ცდილობს დაარწმუნოს იგი, რომ უსამართლო განაჩენის აღსრულებისაგან თავის დასაღწევად ციხიდან გაქცევა უსამართლობა სრულებითაც არ იქნება. სოკრატეს კეთილისმსურველი აპოლოდორე ასევე უკმაყოფილო იყო ათენის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენით და აშკარად გამოთქვამს სინანულს, რომ სოკრატეს სიკვდილით დასჯა უსამართლოდ მიუსაჯეს. ამაზე სოკრატეს ღიმილით უპასუხნია: „ჩემო ძვირფასო აპოლოდორე, შენთვის განა უფრო სასიამოვნო იქნებოდა სამართლიანად დაეჯილიყავ, ვიდრე უსამართლოდ?“¹

სიკვდილით დასჯის წინ კი სოკრატეს მიუმართავს ათენელებისათ-

¹ უხადია, სოკრატესთვის გამოტანილი სასჯელი მკაცრი და უსამართლოც იყო, მაგრამ მის მიმართ წაყენებული რიგი ბრალდებები სწორი იყო. ეს აღნიშნული აქვს ჰეგელს „ფილოსოფიის ისტორიის“ შესახებ ლექციებში.

სოკრატე ის გმირია, რომელმაც ნაცვლად ღელვოს ღმერთის ჩვენებისა, დაადგინა პრინციპი: აღამიანმა თავის თავში უნდა ჩაიხელოს, რომ იცოდეს თუ რა არის ჭეშმარიტება. ეს კი ნიშნავდა, როგორც ჰეგელი ამბობს: „გადატრიალებას საბერძნეთის სულში“. გადატრიალებას, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ორაკულის ადგილი ახლა თითოეული მოაზროვნე ადამიანის საკუთარმა თვითშემეცნებამ დაიჭირა. „მაგრამ ეს შინაგანი უკუჭობა და დარწმუნება არის ყოველ შემთხვევაში, სხვა ახალი ღმერთი და არა ათენელების წინანდელი ღმერთი“.

ამგვარად ეს ბრალდება, ახალი ღმერთის შემოღების შესახებ სწორი იყო.

იხ. Hegels, соч, т XI, стр 77)

ვის: „ვისაც რა ადგილი უკავია საზოგადოებაში, მას იგი უნდა მიაჩნდეს საუკეთესოდ, ანდა, ვინც, სადაც დააყენა უფროსმა, ჩემი აზრით, ყოველგვარი საფრთხის მიუხედავად, იგი სწორედ იქ უნდა დარჩეს და არაფრად უნდა ჩააგდოს არც სიკვდილი და არც სხვა რამ, გარდა სირცხვილისა“.¹

სახელმწიფოს ნორმალური განვითარების სამართლებრივი კანონების მნიშვნელობისა და მმართველთა თვითნებობის შეზღუდვის შესახებ პლატონი წერდა: „მე ვხედავ იმ სახელმწიფოს დაღუპვას უახლოეს დროში, რომელშიც კანონს ძალა არ გააჩნია და იმყოფება ვილაციის ძალაუფლების ქვეშ. იქ კი, სადაც კანონი მმართველობის მბრძანებელია, ხოლო ისინი კი—მისი მონები, მე ვჭვრეტ სახელმწიფოს გადარჩენას და ყველა იმ სიკეთეს, რომელიც კი ძალუძთ ღმერთებს მიანიჭონ სახელმწიფოს“.² ანალოგიურ შეხედულებებს მისდევს არისტოტელეც, როდესაც ხაზს უსვამს, რომ „იქ, სადაც არ არსებობს კანონის ძალა, არა აქვს ადგილი სახელმწიფოებრივი წყობის არანაირ ფორმას“.

ახალი დროის ევროპულმა მოძღვრებებმა მიიღეს ესტაფეტა ანტიკური მოაზროვნებისაგან. კ. იასპერსი, სამართლებრივად აღიარებდა ისეთ სახელმწიფოს, რომელშიც მოქმედებს კანონებზე დაფუძნებული თავისუფლება.³ მკვლევარები თვლიან, რომ მიბაძვის ღირსი პოლიტიკური თავისუფლების კლასიკური ტიპი ჩამოყალიბდა ინგლისში 700 წლის წინ. ჯერ კიდევ 1328 წელს ნორთემპტონის სტატუსში ნათქვამია, რომ სახელმწიფოს არანაირ განკარგულებას არ შეუძლია ზემოქმედება მართლმსაჯულებაზე. იმ დროისათვის, როდესაც ჯ. ლოკმა დაწერა თავისი პამფლეტი მთავრობაზე, ინგლისში უკვე ჩამოყალიბდა პოლიტიკური სისტემის ისეთი ტიპი, რომელშიც უკვე რეალური იყო სასამართლოსადმი პატივისცემა და ხელისუფლებასთან ურთიერთობაში თავშეკავებისა და ურთიერთგაწონასწორების გარკვეული სისტემა.

ხელისუფლების დანაწილების, მოქალაქეთა უფლებითა და თავისუფლებით უზრუნველყოფის იდეებმა შემდგომი განვითარება კპოვეს შ. მონტესკიეს ნაშრომებში. „თუკი,—წერდა იგი,—კანონმდებელი და აღმასრულებელი ხელისუფლება გაერთიანდება ერთ პიროვნებაში, ან

¹ სოკრატეს სიკვდილით დასჯის შემდეგ პლატონს სასწრაფოდ დაუტოვებია ათენი და გადასულა მეგარაში, სადაც ცხოვრობდა სოკრატეს მოწაფის ეველიდეს ოჯახში. დაწ. იხ. ვ. აბაშმაძე „ნარკვევები პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან“ თბ., 1977 წ.

² პლატონი, თხზ. ტ. 3. რუს. გ. 1972 წ. გვ. 189.

³ Ясперс К., Смысл и назначение истории М. 1991. с. 215.

ერთ დაწესებულებაში, მაშინ თავისუფლება არ იქნება, რადგანაც იქმნება საშიშროება, რომ ეს მონარქი, ანდა ეს სენატი დაიწყებს ტირანული კანონების შექმნას იმისათვის, რათა ასევე ტირანულად გამოიყენოს ისინი. არ იქნება თავისუფლება იმ შემთხვევაშიც, თუ სასამართლო ხელისუფლება არ იქნება გამოყოფილი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან. თუ იგი შეერთებული იქნება საკანონმდებლო ხელისუფლებასთან, მაშინ მოქალაქეთა სიცოცხლე და თავისუფლება აღმოჩნდება ბედის ანაბარად მიტოვებული, რადგანაც მოსამართლე კანონმდებელი იქნება. თუკი სასამართლო ხელისუფლება შეერთებული იქნება აღმასრულებელთან, მაშინ მოსამართლეს ექნება საშუალება გახდეს მჩაგვრელი¹!

სამართლებრივ სახელმწიფოზე მოძღვრების ფილოსოფიურ დასაბუთებას მის სისტემურ ხედვაში უკავშირებენ კანტისა და ჰეგელის სახელებს. კანტი სახელმწიფოს აღიქვამს, როგორც სამართლისა და კანონსდაქვემდებარებულ ადამიანთა ერთობლიობას. მისი კატეგორიული გონების ბრძანება მოითხოვდა ისეთ მოქცევას, რომ საკუთარი ინტერესების თავისუფალი გამოვლინება შეთავსებადი ყოფილიყო ნებისმიერი პიროვნების თავისუფლებასთან და საყოველთაო კანონთან. ჰეგელისათვის სახელმწიფო იგივე იყო, რაც სამართალი, („თავისუფალი ნების არსებობა“), მაგრამ ყველაზე უფრო მეტად განვითარებული (სამართლის მთელი სისტემა), რომელიც თავის თავში მოიცავდა პიროვნებისა და საზოგადოების სამართალს, ამიტომაც სამართლის სისტემა, ე.ი. სახელმწიფო მისი დიალექტიკური გაგებით, არის რეალიზებული თავისუფლების სამეფო.

სიტყვათშეხამება „სამართლებრივი სახელმწიფო“ პირველად გვხვდება გერმანელი მეცნიერების კ. ველკერის (1813 წ.) და ი. ფრაიხერ ფონ არეტიჩის (1824 წ.) ნაშრომებში. მაგრამ აღნიშნული ტერმინი იურიდიულად პირველმა გააანალიზა და მეცნიერულ მიმოქცევაში შეიტანა მათმა თანამემამულემ რობერტ ფონ მოლემმა (1832 წ.). იგი განიხილა და სამართლებრივ სახელმწიფოს, როგორც მუდმივად განვითარებადი მოძღვრების კატეგორიას სახელმწიფოზე და მიაკუთვნა მას მეხუთე ადგილი პატრიარქალური, თეოკრატიული, დესპოტური და ლიბერალური სახელმწიფოების შემდეგ. შეიძლება ითქვას, რომ ამ დროიდან დაწყებული იდებოდა სამართლებრივი სახელმწიფოს შესახებ საუკუნეზე მეტ ხანს იყო გერმანელი მეცნიერებისა და პოლიტიკოსების ყურადღების ცენტრში.

¹ Монтескье III. Избранные произведения м. 1955 ст. 290-291.

ლიტერატურაში გამოყოფილია სამართლებრივი სახელმწიფოს გერმანული იდეის განვითარების სამი ეტაპი: 1848 წლის რევოლუციამდე იგი ფორმირდებოდა, როგორც მისი შექმნის თეორიული და კონსტიტუციურ-პოლიტიკური საფუძველი; 1848 წლის პაულიკირხენის კონსტიტუციის პროექტში იყო სამართლებრივი სახელმწიფოსა და დემოკრატიის იდეების გაერთიანების მცდელობა; 1871 წლიდან ხელისუფლების დანაწილების, კანონის ცნების და სასამართლო პროცესის პრინციპები დეტალურად მუშავდებოდა. 1919 წლის ვაიმარის კონსტიტუცია, რომელიც აერთიანებდა სამართლებრივ-სახელმწიფოს და წარმომადგენლობით-საპარლამენტო ელემენტებს. დღეს მოქმედი ძირითადი კანონით გფრ სოციალურ-სამართლებრივი სახელმწიფოა. გერმანულ ლიტერატურაში მრავალგზის გამოთქმულია აზრი (იგი ფართოდაა გავრცელებული) იმის შესახებ, თითქოს პირველი სამართლებრივი სახელმწიფო გერმანიაში ჩამოყალიბდა 1880 წელს.

დასავლეთის მთელ რიგ განვითარებულ ქვეყნებში ჩამოყალიბდა სამართლებრივი და პოლიტიკური სისტემების ისეთი ტიპი, რომელთა მოწყობის პრინციპი მრავალ საკითხში შეესაბამება სამართლებრივი სახელმწიფოს იდეებს. გერმანიის, აშშ, საფრანგეთის, ინგლისის, ავსტრიის, საბერძნეთის, ბულგარეთის, საქართველოს და მთელი რიგი სხვა ქვეყნების კონსტიტუციებსა და სხვა საკანონმდებლო აქტებში პირდაპირ თუ გადატანითი მნიშვნელობით დაფიქსირებულია, რომ მოცემული სახელმწიფოები სამართლებრივნი არიან.¹ ამ იდეის გავრცელებასა და პლანეტის მასშტაბით რეალიზაციას აქტიურად უწყობს ხელს გაერო თავისი ორგანიზაციული სტრუქტურებისა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტების მეშვეობით.

§2. სამართლებრივი სახელმწიფო და მისი ღამახსენიებული ნიშნები

იდეას სამართლებრივი სახელმწიფოს შესახებ თვალსაჩინო ადგილი უკავია საერთო ცივილიზებულ კუმანისტურ აზროვნებაში, ვინაიდან ის ორიენტირებულია ისეთ სახელმწიფოებზე, სადაც პიროვნების და სახელმწიფოს ურთიერთობები სამართლის მკაცრ საფუძველებს ემყარება და გამორიცხავს ურთიერთდაპირისპირებას. სამართლებრივი სახელ-

¹ ბევრ ქვეყანაში კონსტიტუციური ნება „სამართლებრივი სახელმწიფო“ პრაქტიკულად ხორციელდება, ბევრი ქვეყნის სამართლებრივ აქტში ეს მხოლოდ იდეად რჩება.

მწიფოს კონცეფცია უზრუნველყოფს პიროვნების ავტონომიას, ე.ი. განსაზღვრავს ადამიანის თავისუფლების გამოვლენის სფეროს, რომელშიც სახელმწიფოს ჩარევა არა მხოლოდ არამიზანშეწონილად, არამედ კანონსაწინააღმდეგო ქმედებად მიიჩნევა. მიუხედავად ამისა, დღემდე არ არსებობს სამართლებრივი სახელმწიფოს ყველასთვის მისაღები განსაზღვრება. ეს აიხსნება სხვადასხვა ფაქტორების მოქმედებით, რომელთა შორის შეიძლება დავასახელოთ შემდეგი: ისტორიული და კულტურული განვითარების განსაკუთრებულობა, დემოკრატიული, პოლიტიკური და სამართლებრივი ტრადიციები, პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემების თავისებურება, განსხვავება სამართლის ცნებასა და სამართლის, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობების და კავშირების უნივერსალურ-სოციალური საშუალების გააზრებას შორის. ამასთან ერთად, რამდენადაც უნდა განსხვავდებოდეს სამართლებრივი სახელმწიფოს განსაზღვრების დეფინიციები, შეიძლება გამოვყოთ ზოგიერთი საერთო თვისება. ამ პოლიტიკურ-სამართლებრივი მოდელის საბოლოოდ დასრულებას უკავშირებენ ადამიანის უფლებების და თავისუფლებების მაქსიმალურ უზრუნველყოფას, სახელმწიფოს პასუხისმგებლობას მოქალაქის წინაშე და მოქალაქის პასუხისმგებლობას სახელმწიფოს წინაშე, კანონის უზენაესობას და მის მკაცრ დაცვას ყველა სახელმწიფოებრივი ორგანოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციის, კოლექტივისა და მოქალაქის მიერ, სამართალდამცავი ორგანოების ეფექტურ მუშაობას.

სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა ემყარება საერთო ფილოსოფიურ წარმოდგენას სამართალზე, როგორც უმაღლეს ღირებულებაზე, რომელსაც თავისი შინაარსი აქვს.

თავისი არსებობის მანძილზე სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტრუქციამ თანდათან მიიღო უფრო ფორმალიზებული, სრულყოფილი სახე. სამართლებრივი სახელმწიფოებრიობა ობიექტურად ვარაუდობს ინდივიდის ავტონომიურობას და პოლიტიკურ თავისუფლებას, საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ საქმეებში პრიორიტეტს ანიჭებს პიროვნების სოციალურ მიზნებს.

კატეგორიები „საერთო კეთილდღეობა“ და „უმაღლესი სამართლიანობა“, თავისი განუსაზღვრელობის გამო, ადვილს უთმობს სამართლებრივი სახელმწიფოს „კლასიკურ“ ნიშნებს. ამ პროცესის დასაწყისს საფუძველი ჩაუყარა ცნობილმა სახელმწიფო მოღვაწემ, ორატორმა და იურისტმა მ. ციცერონმა. სახელმწიფოს (*respublica*) ციცერონი განსაზღვრავს, როგორც ხალხის საკუთრებას (*res populi*). თა-

ნაც, მისი თვალსაზრისით, „ხალხი არის ადამიანთა არა ნებისმიერი კავშირი, არამედ ადამიანთა მასიური გაერთიანება, რომლებიც ერთმანეთთან სამართლითა და ინტერესების ერთობით არიან დაკავშირებული“¹ თავის წინამორბედთაგან განსხვავებით, ციცერონი სახელმწიფოს განიხილავს არა როგორც საერთო ინტერესების შემცველს, არამედ როგორც განსაზღვრულ სამართლებრივ წარმონაქმნს, როგორც ზოგადად მათლწესრიგს. ციცერონის მიხედვით, სამართალს საფუძვლად უდევს არა მხოლოდ ბუნებისათვის ჩვეული, არამედ საზოგადოებისათვის დამახასიათებელი არამთლიანობა. მისი აზრით, ფიზიკური და სოციალური სამყარო, თვით ადამიანის ყოფა, სული და სხეული, მიკრო და მაკროკოსმოსის—სამართლის ჭეშმარიტი წყაროა. ციცერონი მიესალმება მოქალაქეთა პოლიტიკურ აქტიურობას. იგი დგას სახელმწიფოს იურიდიზაციის სათავეებთან, რომელიც შემდეგ სამართლებრივ სახელმწიფოდ გარდაიქმნა.

სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ინსტიტუტების განვითარებასთან, მათ თეორიულ გააზრებასთან ერთად, სამართლებრივი სახელმწიფოს მთავარი, არსებითი საკითხი გახდა ხელისუფლების და პიროვნების ურთიერთობის პრობლემა. ამ საკითხის გადაწყვეტა წარმოქმნის სახალხო სუვერენიტეტის იდეას, რომელიც თავისი არსით სამართლებრივი სახელმწიფოს მთავარ ნიშანს წარმოადგენს.

სახალხო სუვერენიტეტი ნიშნავს, რომ სახელმწიფოს ძალაუფლების წყარო არის მხოლოდ ხალხი. ეს გაბედული აზრი თავის დროზე შუასაუკუნეების ცნობილმა მეცნიერმა მარს დიუს პადუელმა წამოაყენა. „მშვიდობის დამცველის“ ავტორი თვლიდა, რომ სახელმწიფოს სუვერენია ხალხი—კანონმდებელი. ეს იყო საერთოდ ახალი ჰუმანისტური გაგება ადამიანის, როგორც საკუთარი ბედ-იღბლის შემქმნელის და შემოქმედისა.

ეს კონცეფცია გაიზიარა და შემდგომ განავითარა ჟან-ჟაკ რუსომ. სუვერენიტეტის მისეული გაგება ეფუძნება იმას, რომ სახელმწიფო (რესპუბლიკა) წარმოადგენს საზოგადოებრივი ხელშეკრულების შედეგს. სუვერენული ხელისუფლება უნდა გავიგოთ, როგორც საზოგადოებრივი ინტერესის გამოხატვა. სახელმწიფოში ყოველი ადამიანი იძენს მოქალაქეობრივ თავისუფლებას თავისი საკუთარი დამოუკიდებლობის ნაცვლად. რუსოსთან „საერთო ნება“ გარდაუვლად იღებს სამართლებრივ ხასიათს და ბუნებითი სამართლის ჩარჩოებში თავსდება, თანაც, სუვერენული ხელისუფლება სამართლის სამსახურშია

¹ Цицерон. Диалоги М. 1966 г. ст. 24-25.

და სახელმწიფო, როგორც პოლიტიკური ორგანიზმი, წყვეტს არსებობას, თუ სუვერენობა არ გამოხატავს ხალხის საერთო ნებას. სახელმწიფო ხელისუფლება და მართვა-გამგეობა ლეგიტიმური უნდა იყოს.

ეს და მსგავსი თეორიული წინამძღვრები ზოგიერთ სამართლებრივ დოკუმენტშიც აისახა. აშშ-ს წარმომადგენელთა დამოუკიდებლობის დეკლარაცია მოიცავს შემდეგ დებულებას: ჩვენ ვთვლით თვით სიცხადედ შემდეგ ჭეშმარიტებას: ყველა ადამიანი შექმნილია თანასწორად; რომელსაც მინიჭებული აქვს (თანდაყოლილი) განუსხვისებელი უფლებები სიცოცხლეზე, თავისუფლებაზე და ბედნიერებისაკენ სწრაფვაზე; ამ უფლებების უზრუნველყოფისათვის ადამიანები ქმნიან მთავრობას, რომელიც იღებს თავის თავზე სამართლიან მმართველობას ადამიანთა თანხმობით...“ სამართლებრივი სახელმწიფოსათვის აუცილებელია რომ სახალხო სუვერენიტეტი როგორც სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის წყარო და საფუძველია. სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი ნიშნავს სახელმწიფო ხელისუფლების უზენაესობას, დამოუკიდებლობას, სისრულეს, საყოველთაობას და განსაკუთრებულობას.

სუვერენიტეტის პრობლემას უკავშირდება სამართლებრივი სახელმწიფოს ისეთი ნიშანიც, როგორცაა კანონის უზენაესობა, ვინაიდან სუვერენიტეტი გულისხმობს უზენაესი სახელმწიფო ხელისუფლების სამართლებრივ ორგანიზაციას, მისი განხორციელების იურიდიულ პროცედურას, პიროვნების და ხელისუფლების ურთიერთობის პრინციპებს. სახელმწიფოს, როგორც იურიდიულად ორგანიზებული საზოგადოებრივი მთლიანობის საქმიანობა უნდა განხორციელდეს მხოლოდ სამართლებრივი ფორმით და სამართლის შესაბამისად—ეს მთლიანად ეხება როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას.

თეორიულად კანონის უზენაესობა გამოიხატება იმით, რომ ის წარმოადგენს არა მხოლოდ სახელმწიფოებრივი ნების პროდუქტს, არამედ ინდივიდების სამართლცნობიერებით ჩამოყალიბებული იდეის რეალიზაციას, რომელთანაც სახელმწიფო საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობებში იმყოფება.

სამართლის გენეზისი კონტინენტური ევროპის ქვეყნებში პირობითად შემდეგი სქემით მიმდინარეობს: თავდაპირველად საზოგადოებაში წარმოიშვება სამართლებრივი იდეები, რომლებიც მტკიცდებიან იურიდიულ ნორმებში, ხოლო შემდეგ სამართლის სუბიექტების კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობებში რეალიზდებიან.

მაშასადამე, სამართლებრივი სახელმწიფო იღებს მკაცრი კანონიერების ფორმას.

სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიშანია ხელისუფლების დანაწილება¹. ამ კონცეფციის დამფუძნებლად ითვლება ცნობილი ფრანგი განმანათლებელი მონტესკიე, თუმცა მანამდე მსგავსი მოსაზრებები გამოთქვა ჯ. ლოკმა, უფრო ადრე პოლიბიმ და თავის დროზე ხომ რომის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი წყობა ხელისუფლების განაწილების საწყისებზე იყო დაფუძნებული.

ქართული პოლიტიკური და სამართლებრივი აზროვნების სასახელოდ უნდა აღინიშნოს XII საუკუნის საქართველოში ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური პროგრამა, ხელისუფლების დანაწილების მოთხოვნით გამოდიოდა.

ამ მოვლენის ივანე ჯავახიშვილისეული შეფასება საკებით ასახავს ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მართლაც, ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური პროგრამა, როგორც, საერთოდ, შუა საუკუნეებში დაწყებული მანამდე უცნობი მიმართულების გამოვლენა, სახელმწიფო ხელისუფლების დანაწევრების თეორიის შუქზე მსოფლიო კულტურის ისტორიის ახალი ფურცელია და ამდენად, თავისი მნიშვნელობით სცილდება საქართველოს ისტორიის ფარგლებს.

ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური პროგრამის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას ისიც განაპირობებს, რომ შუა საუკუნეების ეპოქისათვის და უფრო ადრეც დამახასიათებელი იყო რელიგიური დოგმების ბატონობა ადამიანთა სულიერ ცხოვრებაზე. მეცნიერებაც, მწერლობაც და პოლიტიკაც ეყრდნობოდა რელიგიურ იდეოლოგიას. ყუთლუ-არსლანის და მისი პოლიტიკური დასის პროგრამა შედარებით თავისუფალია რელიგიური დოგმებისაგან და საერო მოძღვრებას ემყარება.

„ყუთლუ-არსლანის პოლიტიკურ პროგრამაში მთელი ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო წყობილების გარდაქმნის იურიდიულ სა-

¹ ამ პრობლემის ირგვლივ საინტერესო მოსაზრება გამოთქვა ბ. სავანელმა იგი საუბრობს: „არა ხელისუფლების დანაწილებაზე, არამედ განაწილებაზე, რადგან არ უნდა არსებობდეს ერთი ხელისუფლება და მისი სამი შტო, არამედ უნდა იყოს სამი ხელისუფლება, რომელთაც ერთი მიზანი აქვთ—ადამიანის უფლებების დაცვა და ამ მიზანს ისინი აღწევენ ერთმანეთის შეზღუდვის მექანიზმით, რაც უფრო შეზღუდულია სამი ხელისუფლება ანუ მთლიანად სახელმწიფო, მით უფრო თავისუფალია პიროვნება, ანუ სახეზეა სამოქალაქო საზოგადოება“. დაწ. იხ. ბ. სავანელი სამართლის თეორია თბ., 1993 წ. გვ. 121

ფუძვლად მიჩნეულია სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების საერთო მოძღვრება.

ლ. სანიკიძეს მიაჩნია, რომ ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკურ პროგრამაში „დიდი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი აზროვნების სიმწიფე გამოსჩანს... სრულიად აზიის მხცოვან ისტორიას ასეთი რამ არ მოსწრება, ხოლო რა იცოდნენ ყუთლუ-არსლანმა და მისმა „თანამოდასეებმა“, რომ მათი პოლიტიკური განასაჯი რადაცნაირი წინამორბედი უნდა გამხდარიყო გვიანეროპული „პარლამენტიის“, „გენერალური შტატებისა“, გინდა კონსტიტუციონალური მონარქიისა“. გ. აბაშიძე წერდა: „ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა, რომელიც იმდროისათვის მართლაც დაუჯერებელსა ჰგავს, მთელი საუკუნით უსწრებს „დიადი ქარტიის“ მიღებას ინგლისში.

დაბოლოს, სამეფო ხელისუფლებისა და ყუთლუ-არსლანის მომხრეთა შორის მომხდარი შეთანხმების თანახმად, სახელმწიფო დარბაზი გაფართოდა მასში დიდვაჭართა შესვლით, ხოლო მეფის ხელისუფლება შეიზღუდა დარბაზის „თანაზიარობით“, ე.ი. ქვეყნის მართვა-გამგეობას მეფესთან ერთად დარბაზიც აზორციელებდა.

ყუთლუ-არსლანის მომხრეთა გამოსვლაში დომინირებდა თუ არა ხელისუფლების დანაწილების მოთხოვნა?

ამ დასის გამოსვლამდე სამეფო სასახლეში იწვევდნენ „დარბაზს“, რომელიც შედგებოდა საერო და საეკლესიო დიდი მოხელეებისაგან, იგი ზღუდავდა მეფის ხელისუფლებას და ეწინააღმდეგებოდა ქვეყნის ხელისუფლების ცენტრალიზაციის საქმეს. ბუნებრივია, ყუთლუ-არსლანიც ამ დარბაზის წევრი უნდა ყოფილიყო, როგორც ვეზირი. „მოდასეთა,“ პროგრამაში შემოდის „კარავი“, რომელიც მეფის სასახლესთან კი არა, მისგან მოშორებით უნდა გამართულიყო. თუკი „დარბაზს“ მეფე იწვევდა და მის სათათბირო ორგანოს წარმოადგენდა, „კარავი“, პირიქით, მეფის დამოუკიდებლად უნდა მოწვეულიყო და იქ მსხდომნი თვით უნდა ყოფილიყვნენ ქვეყნის გამგებელნი, ხოლო მეფეს ამ „გამგებლობაში“ ანუ კარვის მუშაობაში არ უნდა მიეღო მონაწილეობა. მეფეს კარვის მიერ უმაღლესი გამგებლობის რომელიმე საკითხის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას აცნობებდნენ, ე.ი. მას მხოლოდ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანის უფლება ეძლეოდა, სხვა მხრივ ქვეყნის მართვის საქმე „კარავს“ რჩებოდა.

ყუთლუ-არსლანის „დასის“ პროგრამის ეს ნაწილი სხვა არაფერია, თუ არა „ხელისუფლების“ დანაწილების მოთხოვნა. ამიტომაც მეცნი-

ერ-მკვლევართა მიერ შეფასებული ყუთლუ-არსლანის და მის „მოდასე-თა“ გამოსვლა ეპოქისათვის წინსწრებად.¹

ასეთი სახელმწიფოებრივი მექანიზმის შექმნის იდეა გამორიცხავს ძალაუფლების თავმოყრას ერთ ხელში. ხელისუფლების ყველა შტო (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო) დამოუკიდებელია, აქვს თავისი კომპეტენცია და სხვების კომპეტენციაში არ ერევა.

ხელისუფლების დანაწილების კონცეფციის ერთ-ერთი ვარიანტი ვარაუდობს ეგრეთ წოდებული „თავშეკავების და საპირწონეების სისტემის“ შექმნას, როდესაც ყოველ ხელისუფლებას გააჩნია მრავალი შესაძლებლობა აკონტროლოს და შეზღუდოს ერთმანეთი. ასეთი სახელმწიფოებრივი მექანიზმი ფუნქციონირებს აშშ-ში. მეორე ვარიანტი ვარაუდობს სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ერთ-ერთი შტოს, საკანონმდებლო პრიორიტეტს, რაც დამახასიათებელია, მაგალითად, ინგლისისათვის.

ძალაუფლების დაბალანსება ეფუძნება სახალხო სუვერენიტეტს, რაც ზოგ თანამედროვე სახელმწიფოში კონსტიტუციურად არის განმტკიცებული. იდეის მიხედვით საკანონმდებლო ხელისუფლებამ უნდა მიიღოს კანონები, აღმასრულებელმა—ორგანიზაცია გაუკეთოს მის შესრულებას, ხოლო სასამართლომ—კანონით გადაწყვიტოს დავა უფლებებზე.

ამჟამად შეინიშნება გააქტიურება აღმასრულებელი ხელისუფლებისა, რომელიც თანდათან აფართოებს თავისი საქმიანობის ასპარეზს. ეს ობიექტური კანონზომიერებაა, ვინაიდან თანამედროვე სახელმწიფოს ცხოვრება უფრო რთულდება და მოითხოვს ხელისუფლების ოპერატიულ ჩარევას, რომელიც წარმოადგენს, უპირველეს ყოვლისა, მთავრობის ფუნქციას, ამასთანავე, მნიშვნელოვანია ის, რომ აღმასრულებელი სახელისუფლებო ორგანოების საქმიანობა ხორციელდებოდეს სამართლებრივ ფორმებში საკანონმდებლო ორგანოების მიერ მიღებული აქტების საფუძველზე.

უნიტარული საგან განსხვავებით, ფედერაციულ სახელმწიფოში ძალაუფლების „ჰორიზონტალურ“ გაყოფასთან ერთად გამოიყენება „ვერტიკალური“ გაყოფის პრინციპი ფედერაციასა და მის სუბიექტებს შორის.

სახელმწიფოებრივი ხელისუფლების სამ ტრადიციულ შტოსთან ერთად (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო) გასათვალისწინ-

¹ იხ. გ. ლობჯანიძე, ნარკვევები ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძღვრების ისტორიიდან ქუთ. 1998 წ. 133-141.

ნებელია ე.წ. „მეოთხე ხელისუფლების“ ფუნქციონირება; საზოგადოებრივი აზრის (პრესის) საინფორმაციო საშუალებების „მასმედის“ როლი და მნიშვნელობა მაკონტროლებელი ორგანოების, სამართალდამცავ ორგანოებსა და ძალისმიერ სტრუქტურებთან, რომელიც ასოცირებულია სახელმწიფოს ისეთ ინსტიტუტებთან, როგორცაა ჯარი, პოლიცია, ციხე და ა.შ.

სამართლებრივი სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ნიშანია პიროვნების უფლებების და თავისუფლებების რეალური უზრუნველყოფა. ადამიანის უფლებები არის სამართლებრივი სახელმწიფოს კვინტესენცია, საზოგადოების განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი. ცნობილმა სოფისტმა პროტაგორამ (481-811 წ. ჩვ. წ. აღ.) ჩამოაყალიბა შემდგომი ეპოქებისათვის მნიშვნელოვანი ფორმულა: „ადამიანი საზომია ყველა საგნისა“. დროთა განმავლობაში შემოვიდა იმის გაგება, რომ ადამიანის უფლებების საუკეთესო გარანტია შეიძლება იყოს კანონი, რომელიც იცავს პიროვნების ინტერესებს.

ამასთან დაკავშირებით, მართებულია გაეიხსენოთ გერმანელი ფილოსოფოსი ი. კანტი (1724-1804 წწ.), რომელიც უკვე მე-19 საუკუნის პირველ მესამედში სამართლებრივი სახელმწიფოს თეორეტიკოსად იყო აღიარებული. მისი აზრით, პოზიტიური კანონმდებლობის ნორმები იმდენად წარმოადგენს სამართალს, რამდენადაც ისინი შეესაბამება გონებას, რომელიც ადამიანს თავისუფლების კანონებს აძლევს. სამართალი არეგულირებს ურთიერთობებს ინდივიდებს, თავისუფალი ნების მატარებლებს შორის და საბოლოოდ გამოდის პირობების ერთობლიობით, რომელიც ნებას რთავს ერთი პირის თავისუფლება შეთავსებულ იქნეს სხვა პირის თავისუფლებასთან საყოველთაო კანონის თვალსაზრისით. მაშასადამე, სამართალი, კანტის მიხედვით, არა მხოლოდ საგარეო თავისუფლების ფორმალური პირობაა, არამედ მისი ყოფის არსებითი ფორმაც არის. გონებით წარმოშობილ ქცევის წესებს კანტი „იმპერატივს“ უწოდებს.

კონტინენტურ ევროპაში დომინირებს სამართლებრივი სახელმწიფოს გერმანული კონსტრუქცია, რომელიც რაციონალისტურ ტრადიციას ემყარება. მისი საფუძველია კანტის, უმეტესად კი ჰეგელის ფილოსოფია. ჰეგელს კაცობრიობის ევოლუცია მიაჩნდა, როგორც თავისუფლების თანამიმდევრული განვითარება თვითნებობის დაძლევის გზით. გერმანული იურისპრუდენციისათვის (და არა მხოლოდ მისთვის) დამახასიათებელია სამართლის, სახელმწიფოს, თავისუფლების,

როგორც რაღაც განუყოფელი და შესატყვისი კატეგორიების ინტერპრეტირება. სამართლებრივი სახელმწიფოს ეს ვერსია დიდი ლიბერალური პოტენციალის შემცველია.

სამართლებრივ სახელმწიფოში ადგილი არ უნდა ჰქონდეს არავითარ პატერნალისტურ გონება-განწყობილებას, რომელთა თანახმად სახელმწიფო მოქალაქეებს რაღაც უფლებებით და თავისუფლებებით „ასაჩუქრებს“. ადამიანს დაბადებისთანავე ენიჭება სიცოცხლის, თავისუფლების, საკუთრების, ბედნიერებისაქენ სწრაფვის ბუნებრივი უფლებები. ისინი თვითცხად აპრიორულ ჭეშმარიტებას წარმოადგენენ და დემოკრატიულ სამართლებრივ სახელმწიფოს კონსტიტუციაში აისახებიან. გარდა ამისა, ინდივიდი არის პოლიტიკური კავშირის (სახელმწიფოს) წევრი და გამოდის, როგორც მოქალაქე. სახელმწიფოს და მოქალაქის ურთიერთობები უნდა ემყარებოდეს სამართლის მყარ საფუძველს და წარმოადგენს საჯარო-სამართლებრივ კავშირს, რომელიც უფლებების და თავისუფლებების ურთიერთალიარებას ვარაუდობს.

სამართლებრივი სახელმწიფოს სხვა მნიშვნელოვან ნიშნებს მიეკუთვნება: განვითარებული სამოქალაქო საზოგადოების არსებობა; დემოკრატიული პოლიტიკური ინსტიტუტების შექმნა, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ძალაუფლების ერთი პირის ან ორგანოს ხელში თავმოყრას; კონსტიტუციური კანონის უზენაესობა და სამართლებრივი ქმედება, სახელმწიფოებრივი ძალაუფლების სუვერენულობის კანონით დადგენა და სინამდვილეში გატარება; სასამართლოს, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოებრიობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი საშუალების, უზენაესობა; კანონების სამართალთან შესაბამისობა, სახელმწიფო ხელისუფლების სისტემის სამართლებრივი ორგანიზაცია და სხვა.

სამართლებრივი სახელმწიფოს თეორიის ნაირსახეობას წარმოადგენს განვითარებული და ზუსტად განსაზღვრული სამართლებრივი სისტემა, ანუ „სამართლის უზენაესობის“ კონცეფცია,¹ რომელიც ჩამოყალიბდა ლიბერალური პარადოგმის ჩარჩოებში, და უპირველეს ყოვლისა, ანგლოსაქსური სამართალპოლიტიკური ტრადიციისათვის არის დამახასიათებელი. შედარებითი სამართლისმცოდნეობის დარგის ცნობილი სპეციალისტის რ. დავითის სამართლიანი შენიშვნის მიხედვით, საერთო სამართალი ატარებს საკუთარი ისტორიის ცნობილ ანაბეჭდს. ინგლისური სამართლებრივი სისტემა ჩამოყალიბდა მოსამართლეების მიერ და აზღა, პრეცედენტული სამართალი არეგულირებს საზოგა-

¹ სამართლის უზენაესობის კონცეფცია მკვიდრდება საქართველოშიც იხ. მართლმსაჯულების მაცნე №4 თბ., 1998 წ.

დოებრივი ურთიერთობების უდიდეს სფეროს, სასამართლო პრაქტიკის როლი არსებითი და მნიშვნელოვანია დღესაც. ისე მოხდა, რომ თავდაპირველად ინგლისში, შემდეგ კი აშშ-ში სამართლის უზენაესობის იდეა იყო მატერიალიზებული, ძლიერი, დამოუკიდებელი სასამართლოს ინსტიტუტში, რომელიც ინდივიდს და ხელისუფლებას, უპირველეს ყოვლისა, ცენტრალურს შორის თავისებური ბუფერი გახდა. საზოგადოებრივ ცნობიერებაში და სამართლებრივ სისტემაში განმტკიცდა პიროვნების ავტონომიურობისა და დამოუკიდებლობის თეზისი. მსგავსი პოზიცია გამოიხატება კანონებისა და სახელისუფლებო ინსტიტუტების განკარგულებებისადმი ფრიად ფხიზელი დამოკიდებულებით, ვინაიდან სახელმწიფოს მიერ პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფის ალბათობა აქტუალურია ყოველთვის და ნებისმიერი პოლიტიკური რეჟიმის დროს. საზოგადოებრივი ცნობიერება მუდმივად უკეთეს ღემონსტრირებას ნდობის უმაღლეს ფაქტორს, უპირველეს ყოვლისა, სასამართლოს მიმართ და ადამიანის უფლებების ყველაზე მნიშვნელოვან გარანტად მიიჩნევს მას. ამგვარად, თანდათან ჩამოყალიბდა შეზღუდული სახელმწიფოს იდეა.

ყურადსაღებია, რომ „სამართლის უზენაესობის“ თეორია და სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფცია ერთი სულიერი წყაროდან—აღორძინების ფილოსოფიიდან იღებს სათავეს. ამასთან ერთად სამართლებრივი სახელმწიფოს რომანულ-გერმანულ თეორიას აქვს მკაფიოდ გამოსახული რაციონალისტური ასპექტი, ვინაიდან საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგება მხოლოდ პოზიტიური სამართლის საშუალებით მოიაზრება. ამ თვალსაზრისით სამართალი გადმოიცემა, როგორც თავისებური დისციპლინარული სოციალური სისტემა. არსებითად, გერმანული სამართლებრივი სახელმწიფო არის განმტკიცებული „მართლწესრიგის განსახიერება“ და სხვა არაფერი. გერმანული სამართლებრივი სახელმწიფო გამოიყურება, როგორც კანონწესრიგის სახელმწიფო, ხოლო მისი ანგლოსაქსური ვერსია ვარაუდობს შეზღუდულ სახელმწიფოს და თავისუფალ სამართლებრივ საზოგადოებას. უკანასკნელ შემთხვევაში სახელმწიფოს ენიჭება არბიტრის, შუამავლის როლი, რომელიც სამართლებრივ კონფლიქტში ჩაერევა მხოლოდ მაშინ, როდესაც ამოწურულია ყველა სხვა შესაძლებლობა და საჭირო ხდება მოთხოვნილება აქტიურ უფლებრივ მოქმედებაში.

სამართლის უზენაესობის კონცეფცია ფრიად თანამიმდევრულად გამოხატავს თავდადებას კლასიკური ლიბერალიზმის იდეებისადმი. ჯ. ლოკმა, ადამიანის ბუნებითი უფლებების თავისი ცნობილი ტრია-

დის—სიცოცხლე, თავისუფლება, საკუთრება—დასაბუთებით ბუნებრივად გამოაცხადა კერძო სამართლის ძირითადი პრინციპები, დაამტკიცა მათი პრიორიტეტულობა პოზიტიური სამართლის მიმართ. ამ პრინციპების დაცვით იზღუდება სახელმწიფოს უფლებები, ამიტომ ლოკის იდეალია სამართლებრივი საზოგადოება, რომლის არსებობის ერთ-ერთი პირობა შეზღუდული სახელმწიფოა. საჯარო სამართლით განსაზღვრული ხელისუფლების და პიროვნების ურთიერთობები აღიარებული შეიძლება იყოს იმდენად, რამდენადაც ისინი კერძო სამართლის სფეროში ბუნებრივად ჩამოყალიბებულ პრინციპებს აღიქვამენ. ინდივიდის და სახელმწიფოს კონფლიქტი ღებულობს ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებს შორის კოლიზიის ფორმას, ამ შემთხვევაში სამართალს ყოველთვის ეკუთვნის საბოლოო სიტყვა, ვინაიდან თავისუფლება ინდივიდუალურია და უმაღლეს ფასეულობას წარმოადგენს.

შეუძლებელია არ განვიხილოთ სამართლის უზენაესობის კონცეფციის სწრაფვა პიროვნების ინტერესების დასაცავად. სამართალი ამ შემთხვევაში არის საზოგადოების მოღვაწეობის პროდუქტი, ხოლო სახელმწიფოს ფაქტორი სამართლის ჩამოყალიბებაში ფრიად უმნიშვნელოა და ფორმალური. სამართლის უზენაესობის იდეა წარმოქმნის ძალიან მოქნილ, სიახლეების ამთვისებელ სამართლებრივ სისტემას, რომელიც მისი სირთულის მიუხედავად, საიმედო გარანტია ხელისუფლების თვითნებობის წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, ამ თეორიულ კონსტრუქციას აქვს სუსტი მხარეები, და მაინც, სამართლის უზენაესობის იდეას გარდაუვალი ჰუმანიტური მნიშვნელობა აქვს. ეს არის თავისებური სამართლებრივი ორიენტირი, ეტალონი, მიზანი, რომლისკენაც საჭიროა სწრაფვა. უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ ქვეყანაში სამართალს ნამდვილად აქვს მაღალი სოციალური ფასეულობა. „სამართლის უზენაესობის“ კონცეფცია ანაყოფიერებს სამართლებრივი ინსტიტუტების ევოლუციას, აგულიანებს უსასრულო სრულყოფისათვის პროგრესის და თავისუფლების გზაზე. სამართლისა და კანონის უზენაესობა არის სამართლებრივი სახელმწიფოს ერთი მედლის ორი მხარე, რომლებიც პრინციპში შერწყმული უნდა იყოს სამართლებრივი სახელმწიფოს ერთიან ცნებაში, სადაც საზალხო სუვერენიტეტის, კანონისა და სამართლის უზენაესობის, ხელისუფლების დანაწილების პრინციპებით მაღალ დონეზეა უზრუნველყოფილი ადამიანის, მოქალაქისა და საერთოდ პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. ასეთ სახელმწიფოში მოქალაქეებსა და სახელმწიფოს ერთმანეთის მიმართ აქვთ უფლებები და ეკისრებათ შექცევადი ურთიერთპასუხისმგებლობა.

§3. სამოქალაქო საზოგადოების სწრაფი

სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების იდეას განვითარების დიდი ისტორია აქვს, რომელიც ხასიათდება ყველა დროის მოაზროვნეთა მისწრაფებით—შექმნათ მოდელი რეალური იდეალური საზოგადოებრივი წყობისა, სადაც უნდა ებატონა აზროვნებას, თავისუფლებას, კეთილდღეობას და სამართლიანობას. სამოქალაქო საზოგადოების იდეის ჩამოყალიბებისას ყოველთვის ჩნდებოდა სახელმწიფოს სრულყოფასთან, კანონისა და სამართლის მნიშვნელობის ამაღლებასთან დაკავშირებული პრობლემები.

ამ მიზანს უძველეს სამყაროში ობიექტურად ითვალისწინებდა პლატონის ეიდოსის (სახელმწიფოს იდეა) თეორია. ასევე განხილვის ღირსია არისტოტელეს მოსაზრება იმის შესახებ, რომ სახელმწიფო არის საკმარისი თვითზეწოლის პირობებში არსებული მოქალაქეთა გაერთიანება, ე.ი. სამოქალაქო საზოგადოება, ციცირონი აკვირდებოდა და ასაბუთებდა რა ადამიანთა სამართლებრივ თანასწორობას, წერდა: სამართალი არის სამოქალაქო საზოგადოების შემაკავშირებელი რგოლი. კაცობრიობის განვითარების გარკვეულ ეტაპზე სამოქალაქო საზოგადოება მთლიანად გაიგივებული იყო სახელმწიფოსთან. ეს გრძელდებოდა საკმარის დიდხანს და განპირობებული იყო ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური ურთიერთობების განვითარების დონით (შრომის დანაწილების პრიმიტიული ფორმები, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების განვითარების საწყისი ეტაპი, საზოგადოებრივი ცხოვრების გასახელმწიფოებრივება, სოციალური სტრუქტურის კასტური ხასიათი).

საზოგადოებრივი ურთიერთობების შემდგომმა თანამიმდევრულმა განვითარებამ განაპირობა სამოქალაქო საზოგადოების შესახებ სწავლულთა შეხედულებების ტრანსფორმირება. XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე ნ. მაკიაველის, ჰ. გროციუსის, თ. ჰობსის, ჯ. ლოკის, შ. მონტესკიეს, ჟან-ჟაკ რუსოს ნაშრომებში უკვე დასაბუთებული იყო სამოქალაქო საზოგადოების შესაბამისობა არა ნებისმიერ, არამედ, მათი აზრით, მხოლოდ სახელმწიფოებრივი მოწყობის პროგრესულ ფორმებთან, რომლებიც დაფუძნებული იყვნენ ბუნებით-სამართლებრივ საწყისებზე. კერძოდ, ჯ. ლოკი თვლიდა, რომ „აბსოლუტური მონარქია... შეუთავსებელია სამოქალაქო საზოგადოებასთან და, აქედან გამომდინარე, საერთოდ არ შეიძლება იყოს სამოქალაქო მმართველობის ფორმა“, მაკიაველს საუკეთესოდ მიაჩნდა სახელმწიფოს შერეული ფორმა, შედგენილი მონარ-

ქის, არისტოკრატიისა და დემოკრატიისაგან, სადაც თითოეული მათგანი მოწოდებულია შეაკავოს და დაიცვას დანარჩენი ორი..

სამოქალაქო საზოგადოების საფუძვლების ფილოსოფიურ დახასიათებას გვაძლევს ი. კანტიც. მისი აზრით, უმთავრესია შემდეგი იდეები:

ა) ადამიანმა ყველაფერი საკუთარი ძალებით უნდა შექმნას და პასუხი უნდა აგოს თავის ქმნილებაზე;

ბ) ადამიანური ინტერესების შეჯერება და მათი დაცვის აუცილებლობა არის ადამიანის თვითსრულყოფის საფუძველი;

გ) კანონით დაცული სამოქალაქო თავისუფლება არის თვითგანვითარების აუცილებელი პირობა, ადამიანური ღირსების შენარჩუნებისა და ამაღლების გარანტი.

ეს იდეები უდავოდ შეიძლება დაედოს საფუძველად სამოქალაქო საზოგადოების თეორიას. კანტს გადააქვს რა ინდივიდებს შორის ანტაგონიზმის კონცენტრაცია, როგორც მათი თვითგანვითარების სტიმული, სახელმწიფოებს შორის ურთიერთობაზე, კაცობრიობისათვის უდიდეს პრობლემაზე, აკეთებს დასკვნას, რომ თვით ბუნება განსაზღვრავს საყოველთაო სამართლებრივი სამოქალაქო საზოგადოების შექმნას. ვ. ჰუმბოლდტმა მიიღო კანტის ფილოსოფიური მოძღვრება და კონკრეტულ მაგალითზე დაყრდნობით შეეცადა ეჩვენებინა წინააღმდეგობა და სხვაობა სამოქალაქო საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის. სამოქალაქო საზოგადოებას იგი აკუთვნებს:

ა) პირადად ინდივიდების მიერ შექმნილ ეროვნულ და საზოგადოებრივ დაწესებულებათა სისტემებს;

ბ) ბუნებით და საერთო სამართალს;

გ) ადამიანს;

მისი აზრით, სამოქალაქო საზოგადოებისაგან განსხვავებით სახელმწიფოს გააჩნია:

ა) სახელმწიფო ინსტიტუტების სისტემა;

ბ) სახელმწიფოს მიერ გამოცემული პოზიტიური სამართალი;

გ) ჰყავს მოქალაქე.

სამოქალაქო საზოგადოების ცნების განსაზღვრის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ჰეგელს, წარმოადგინა რა იგი როგორც კერძო ინტერესების მოქმედების სფერო. მან აქვე მიუჩინა ადგილი ოჯახს, წოდებრივ ურთიერთობებს, რელიგიას, სამართალს, მორალს, განათლებას, კანონსა და მათგან გამომდინარე სუბიექტების იურიდიულ ურთიერთკავშირს. ჰეგელი განსაკუთრებულ როლს ანიჭებს ურთიერთდაპირისპირებულ ინდივიდებს.

სახელმწიფო, რომელიც საერთო ინტერესების სფეროს წარმოაჩენს, განვითარების უფრო მაღალ საფეხურად მიაჩნია ჰეგელს, ვიდრე სამოქალაქო საზოგადოება. სახელმწიფო, აერთიანებს რა ინდივიდებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებს, მალღდება საზოგადოებაზე, აწესრიგებს მის წინააღმდეგობას, ათანხმებს დაპირისპირებულთა ინტერესებს.

მოვლენებსა და მათ ამსახველ კატეგორიებს მატერიალისტური დახასიათება მისცეს კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა. სამოქალაქო საზოგადოება დაუკავშირეს ინდივიდების მატერიალურ ურთიერთობას, საწარმოო ძალების განვითარების განსაზღვრულ დონეს. ისტორიული მონაცემებისა და მოყვანილი მსჯელობების ანალიზი გვიჩვენებს, რომ სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესი რთული და წინააღმდეგობრივია. იგი მოიცავს ათეულობით საუკუნეს, იწყება ანტიკურ სამყაროში (ათენი, რომი) და მიემართება ახალი დროის ევროპისა და ამერიკის განვითარებული საზოგადოებრივი სისტემებისაკენ. სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება დამოკიდებულია ეკონომიკური და სამართლებრივი ურთიერთობების განვითარების დონეზე, ინდივიდების პირადი და ეკონომიკური თავისუფლების რეალობაზე, სახელმწიფოებრივ-ძალოვან სტრუქტურაზე, საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმის მუშაობაზე. სამოქალაქო საზოგადოების ხარისხი ჩადებულია ნებისმიერ სამოქალაქო სისტემაში, მაგრამ მათ შეიძლება განვითარების სხვადასხვა დონე ჰქონდეთ. ასე რომ, დროის გარკვეულ მონაკვეთში, ისინი ჩანასახის მდგომარეობაში არიან, ტოტალიტარული სახელმწიფოს პირობებში კი შეიძლება დროებით დათრგუნული, შეკუმშული ზამბარის მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მკვეთრად გამოხატული კლასობრივი ხასიათის საზოგადოებრივ წყობაში გარკვეული დოზით არსებობენ და მხოლოდ სოციალური თანასწორობის მიღწევისას დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოებრიობის პირობებში ვითარდებიან და ხდებიან მნიშვნელოვანი.

სამოქალაქო საზოგადოების თანამედროვე გაგება ითვალისწინებს მასში მნიშვნელოვანი ნიშან-თვისებების კომპლექსის არსებობას. მათი უქონლობა ან განუვითარებლობა საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ სოციალური ორგანიზმის „ჯანმრთელობის“ მდგომარეობა და მისი თვითგანვითარების აუცილებელი მიმართულებები. განვიხილოთ ეს ნიშან-თვისებები უფრო დაწვრილებით.

სამოქალაქო საზოგადოება არის თავისუფალი ინდივიდების ერთობლიობა. ეკონომიკური თვალსაზრისით, ეს ნიშნავს, რომ თითოეული ინდივიდი წარმოადგენს მესაკუთრეს, რეალურად ფლობს იმ საშუ-

ალეებს, რომლებიც აუცილებელია ადამიანის ნორმალური არსებობისათვის. იგი თავისუფალია საკუთრების შექმნა-განკარგვაში, პროფესიის არჩევაში. სოციალური თვალსაზრისით, ინდივიდის რომელიმე სოციალურ ერთობაში გაწევრიანება აუცილებელი არ არის. მას შეუძლია დამოუკიდებლად იარსებოს, აქვს საკმარისი ავტონომიური თვითორგანიზაციის უფლება საკუთარი მოთხოვნილებებისა და ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ინდივიდის, როგორც მოქალაქის, თავისუფლების პოლიტიკურ ასპექტს წარმოადგენს მისი დამოუკიდებლობა სახელმწიფოსგან, ანუ, მას შესაძლებლობა აქვს იყოს იმ პოლიტიკური პარტიის ან გაერთიანების წევრი, რომელიც გამოდის არსებული სახელმწიფო ხელისუფლების კრიტიკით, მისი უფლებაა—მიიღოს ან არ მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში. თავისუფლება გარანტირებულად ითვლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ინდივიდს გარკვეული შექანიზმების (მაგალითად, სასამართლო) საშუალებით შეუძლია შეზღუდოს სახელმწიფო ან სხვა სტრუქტურების თვითნებობა საკუთარი უფლებების დასაცავად.

სამოქალაქო საზოგადოების დედააზრია ღია სოციალური წარმონაქმნი. მასში უზრუნველყოფილია სიტყვის თავისუფლება კრიტიკის თავისუფლების ჩათვლით, სხვადასხვა სახის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, თავისუფალი მიმოსვლის უფლება, სხვადასხვა ქვეყნის ინფორმაციული და საგანმანათლებლო ტექნოლოგიების ფართო და მუდმივი გაცვლა-გამოცვლა, უცხო ქვეყნების სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან კულტურული და ეკონომიკური თანამშრომლობა, საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად მონაწილეობის მიღება საერთაშორისო და უცხოური გაერთიანებების საქმიანობაში. იგი საერთო ჰუმანიტარული პრინციპის მომხრეა და ღიაა ურთიერთქმედებისათვის ანალოგიურ წარმონაქმნებთან პლანეტის მასშტაბით.

სამოქალაქო საზოგადოება რთული სტრუქტურის პლურალისტური სისტემაა, სხვადასხვაგვარი საზოგადოებრივი ფორმებისა და ინსტიტუტების (პროფკავშირი, პარტია, მეწარმეთა გაერთიანება, მომხმარებელთა საზოგადოება, კლუბები და ა.შ.) არსებობა იძლევა ინდივიდის ნებისმიერი მოთხოვნილების, ინტერესების გამოხატვისა და რეალიზაციის, ადამიანის არსის მთელი ორიგინალობით გახსნის საშუალებას. პლურალიზმი, როგორც საზოგადოებრივი სისტემის სტრუქტურისა და ფუნქციონირების დამახასიათებელი ნიშანი, მყლავნდება

მის ყოველ სფეროში: ეკონომიკურში—ეს არის საკუთრების მრავალ-გვარი ფორმა (კერძო, სააქციო, კოოპერაციული, საზოგადოებრივი და სახელმწიფო), სოციალურ და პოლიტიკურში—არის საზოგადოებრივი წარმონაქმნების ფართო და განვითარებული ქსელები, რომლებშიც ინდივიდს საშუალება აქვს წარმოაჩინოს და დაიცვას თავი; სულიერ-ში—მსოფლმხედველობის თავისუფლების დაცვა, იდეოლოგიური მოტივებით დისკრიმინაციის გამორიცხვა, სხვადასხვა რელიგიური და საწინააღმდეგო შეხედულებების მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულება.

სამოქალაქო საზოგადოება არის თვითგანვითარებადი და თვითმართვადი სისტემა. ინდივიდები, ერთიანდებიან სხვადასხვა ორგანიზაციებში და აწესრიგებენ ურთიერთშორის სხვადასხვა დამოკიდებულებებს, ათანხმებენ თავიანთ, ხანდახან წინააღმდეგობრივ ინტერესებს. ყოველივე ამით უზრუნველყოფენ საზოგადოების პარამონიულ, მიზანდასახულ განვითარებას. სამოქალაქო საზოგადოებას გააჩნია საკუთარი სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი, თვითგანვითარების შინაგანი წყაროები. უფრო მეტიც, ამის წყალობით მას შეუძლია შეზღუდოს სახელმწიფოს ძალისმიერი ზემოქმედება. საზოგადოების დინამიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს სამოქალაქო ინიციატივა, როგორც შეგნებული და აქტიური მოღვაწეობა საზოგადოების საკეთილდღეოდ. ისეთ ზნეობრივ კატეგორიებთან ერთად, როგორიცაა მოქალაქეობრივი ვალდებულება და მოქალაქეობრივი სინდისი, იგი სამოქალაქო საზოგადოების შემდგომი განვითარების საიმედო საშუალებად გვევლინება.

სამოქალაქო საზოგადოება არის სამართლებრივი დემოკრატიული საზოგადოება, რომლის შემაკავშირებელ ფაქტორად ადამიანისა და მოქალაქის ბუნებითი და შეძენილი უფლებების უზრუნველყოფა და დაცვა გვევლინება. სამოქალაქო საზოგადოების იდეებს ხელისუფლების გონიერებასა და სამართლიანობაზე, პიროვნების თავისუფლებასა და კეთილდღეობაზე შეესაბამება იდეები სამართლის პრიორიტეტის, სამართლისა და კანონის ერთიანობის, სახელმწიფო ხელისუფლების ცალკეული შტოების მოღვაწეობის სამართლებრივი გამიჯვნის შესახებ. სამართლიანობისაკენ მიმავალი სამოქალაქო საზოგადოება სახელმწიფოსთან ერთად ვითარდება, სამართლებრივი სახელმწიფო კი შეიძლება სამოქალაქო საზოგადოების განვითარების შედეგად და მისი შემდგომი სრულყოფის პირობად მივიჩნიოთ.

ცივილიზებული მიდგომა ამ პრობლემის მიმართ გამოიხატება იმით,

რომ სამართლებრივი სახელმწიფო არ უპირისპირდება სამოქალაქო საზოგადოებას, პირიქით, ნორმალური ფუნქციონირებისა და განვითარების ყველაზე უფრო ხელსაყრელ პირობებს უქმნის მას. ასეთი ურთიერთქმედება იძლევა დაპირისპირების სამართლებრივი, ცივილიზებული გზით მოგვარების, სოციალური კატაკლიზმების აღმოფხვრის, საზოგადოების თანდათანობითი, მშვიდობიანი განვითარების გარანტიებს. სამოქალაქო საზოგადოება არის კონკრეტულ ადამიანზე ორიენტირებული თავისუფალი დემოკრატიული სამართლებრივი საზოგადოება, იგი უქმნის სამართლებრივი ტრადიციებისა და კანონების, საერთო უმანიზმის იდეალების პატივისცემის ატმოსფეროს, უზრუნველყოფს შემოქმედებითი და მწარმოებლური საქმიანობის თავისუფლებას, შესაძლებლობას უქმნის ადამიანისა და მოქალაქის კეთილდღეობასა და სამართლის რეალიზაციას, ორგანულად გამოიმუშავეს სახელმწიფოს მოღვაწეობის შეზღუდვისა და კონტროლის მექანიზმს.

მაშასადამე, სამოქალაქო საზოგადოება არის საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელია. იგი მოიცავს არასამთავრობო ორგანიზაციებსა და გაერთიანებებს, რომელთაც მოქალაქენი ქმნიან საკუთარი კერძო ინტერესების და მიზნების განსახორციელებლად.

საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება XXI საუკუნის რეალობაა, თუმცა მისი მრავალი დამახასიათებელი ნიშან-თვისების ჩამოყალიბებისა და ფორმირების პროცესი დაწყებულია. დღეს ეს პროცესი რთულდება საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურების არასტაბილურობით, ცივილიზებულ საბაზრო ურთიერთობებზე შენელებული გადასვლით, მესაკუთრეთა ფართო სოციალური ფენის არარსებობით, პიროვნების სამართლებრივი დაცვის მექანიზმის დაბალი ეფექტიანობით. და მაინც, სხვადასხვა სახის კატაკლიზმებისა და დაპირისპირებების მიუხედავად, საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება თავსდება მსოფლიო განვითარების კალაპოტში, საკუთარი წარსულის დადებითი გამოცდილების გათვალისწინებითა და თვითმყოფადობის დაბრუნებით. 1995 წლის 24 აგვისტოს ახალი კონსტიტუციის მიღებით სამოქალაქო საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირების პროცესმა მიიღო მძლავრი იმპულსი და მისი განხორციელებისათვის გარკვეული იურიდიული გარანტიები. კონსტიტუციურად გამყარდა სამოქალაქო საზოგადოების ფუძემდებლური იდეები. ადამიანი, მისი უფლებები და თავისუფლებები გამოცხადებულია უმაღლეს ღირსებად, ხოლო ადამიანის და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფ-

ლებების აღიარება და დაცვა სახელმწიფოს ვალდებულებაა. საქვეყნოდ გამოცხადებულია საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების დაყოფა, რეალობად იქცა ადგილობრვი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობა.

სამოქალაქო საზოგადოების შემდგომი განვითარება დამოკიდებულია სახელმწიფოსგან საკუთრების გონივრულ და თანმიმდევრულ გამოყოფაზე, ბიუროკრატიული აპარატის შემცირებასა და ნეიტრალიზაციაზე, ქვეყნისათვის მისაღებ მრავალპარტიული სისტემის ჩამოყალიბებაზე, წარმოების აღორძინების სტიმულთა სისტემის შექმნაზე, ოპტიმალური სოციალური პროგრამების შემუშავებაზე და ა.შ. ამ ჭრილში ერთ-ერთ მოქმედ ბერკეტს წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების ფუძემდებლური ურთიერთობების სამართლებრივი მოწესრიგება, რომლის მნიშვნელობაც გამოიხატება სამართლის საშუალებებით სამი ძირითადი მიზნის მიღწევაში: შეიზღუდოს სახელმწიფოს მიერ ზედმეტი ჩარევა სამოქალაქო საზოგადოების საქმეებში და მოქალაქეთა პირად ცხოვრებაში; დაფიქსირდეს სახელმწიფოს ვალდებულებები საზოგადოების წინაშე; უზრუნველყოფილ იქნეს კონსტიტუციური დებულებების რეალიზაცია სახელმწიფოში.¹

¹ სამართლებრივი სახელმწიფოს და სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პროცესის შესახებ. იხ. Теория государства и права (курс лекции) М. 1999 г. Теория государства и права. Мос. 1998 г. ბ. სავანელი, სამართლის თეორია თბ., 1997 წ., ვ. ერქომაიშვილი, სამოქალაქო საზოგადოება თბ., 1998 წ. გ. მკურნალიძე, შ. ხამხაძე პოლიტოლოგია თბ., 1999 წ. გ. ინწირველი სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბ., 1998 წ.

Хропанюк В. Н. Теория государства и право М. 1999 г.

პარი მესამე

სამართლის თეორიის პრობლემები

თავი მეთხუთმეტი

სამართლის ცნება, არსი და სოციალური ღირებულება

§ 1 სამართლის ცნება, არსი და ნიშნები

იურიდიულ მეცნიერებაში მკვლევართა მიერ შემოთავაზებულია სამართლის არსის შესახებ სხვადასხვა დეფინიცია, რომლებიც ერთმანეთისგან განირჩევიან იმის მიხედვით, თუ რას თვლიან მათში მთავარს და ყველაზე არსებითს.¹

ესაა მცდელობა ზუსტად განისაზღვროს სამართლის ცნება, დადგინდეს მისი ნიშნები და თვისებები, რომლებითაც იგი განსხვავდება სხვა სოციალური მოვლენებისაგან.

მკვლევართა მნიშვნელოვანი ნაწილის აზრით, თავისი წარმოშობის მიზეზით, შინაარსით, დანიშნულებით და ისტორიული ბედით სამართალი განუყოფლადაა დაკავშირებული სახელმწიფოსთან. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია მისი კავშირი ეკონომიკასთან, პოლიტიკასთან, ზნეობასთან, რაც, ასე თუ ისე, აისახება მის თვისებებში, რადგან

¹ სამართლის ყველაზე მეტად გავრცელებული განსაზღვრებანი ასეთია: „სამართალი არის ქვეყნის საზოგადოებრივი წესწყობილებით განპირობებული გაბატონებული ფენის ან ხალხის უმრავლესობის ნების გამოხატველი და სახელმწიფო ხელისუფლების მიერ დადგენილი ან სანქციონირებული ერთობლიობა აღამიანთა ქცევის წესებისა (ნორმებისა), რომელთა შესრულება უზრუნველყოფილია დარწმუნებით და სახელმწიფოებრივი იძულებით (გ. ინჟკირველი) „სამართალი არის ზოგადსაეაღდებულო ქცევის წესების ერთობლიობა, რომელიც აწესრიგებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს. მონაწილე პირების უფლებების აღიარებისა და მოვალეობის დაკისრების გზით და რომელთა სამართლებრივი დაცვა მათი დარღვევის შემთხვევაში უზრუნველყოფილია სახელმწიფო იძულების გამოყენების შესაძლებლობით (ბ. სავანელი); „სამართალი არის სახელმწიფოს მიერ თავისი მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად დადგენილი ან სანქციონირებული ქცევის სავალდებულო წესების ერთობლიობა, რომლის დაცვა უზრუნველყოფილია დარწმუნებით და სახელმწიფოებრივი იძულებით“ (ა. შუმანაშვილი)

ნიშნები ახასიათებენ სამართალს, როგორც ცნებას, თვისებები კი—როგორც რეალურ მოვლენას.

მარქსისტული მსოფლმხედველობით, ეკონომიკასა და პოლიტიკაში გაბატონებული კლასი თავის ნებას, როგორც კანონს, თავს ახვევს მთელ საზოგადოებას. ასეთი მიდგომა ნიშნავს ადამიანთა უუფლებობას, მსგავს შემთხვევაში სამართალი გამოდის, როგორც ჩაგვრისა და ექსპლუატაციის საშუალება.

პრინციპულად განსხვავებული მიდგომაა, როდესაც სამართლის ზოგადსოციალური არსი და დანიშნულება განიხილება, როგორც კომპრომისის გამოხატულება კლასებსა და საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ფენებს შორის.¹ ყველაზე განვითარებულ თანამედროვე სამართლებრივ სისტემებში (ანგლო-საქსური და რომანულ-გერმანული სამართალი) პრიორიტეტი ადამიანს, მის უფლებებსა და თავისუფლებებს, ინტერესებსა და მოთხოვნილებებს ენიჭებათ. ამგვარად, ისტორიის ამა თუ იმ ეტაპზე სამართლის ნამდვილი არსია ის, თუ როგორ ასახავს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების იმ დონეს, რომელიც სახელმწიფოს მიერ არის განსაზღვრული და გარანტირებული.

სამართლის ზოგადსოციალური მნიშვნელობის უპირატესად აღიარების საფუძველზე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი განსაზღვრება:

სამართალი არის ბუნებით განპირობებული ადამიანთა უფლებამოვალეობების განსაზღვრელი ზოგად-საკვალდებულო ქცევის წესების ერთობლიობა და საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგების სისტემა, რომელსაც ახასიათებს ნორმატიულობა, ფორმალური განსაზღვრულობა, სისტემურობა და მათი შესრულება სახელმწიფოებრივი ზემოქმედებით არის უზრუნველყოფილი.

განვიხილოთ სამართლის უმნიშვნელოვანესი თვისებები (ნიშნები), რომელიც მას, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგების სპეციფიკურ სისტემას ახასიათებს. ესაა, პირველ ყოვლისა, ნორმატიულობა. „იგი თითქოსდა ერთ ფოკუსში აქცევს სამართლის სხვა დანარჩენ თვისებებს, მისი შინაარსის სპეციფიკურ ნიშნებს გამოხატავს და შესაბამისად განსაზღვრავს სამართლებრივი ზემოქმედების სპეციფიკას“²

ნორმატიული ხასიათი განასხვავებს სამართალს სოციალური რეგულირების სხვა ფორმებთან - ზნეობასთან, წეს-ჩვეულებებთან, რელიგიურ ნორმებთან და ა.შ.

¹ ძველ რომში და, შუა საუკუნეების ეპოქაში სამართალი უპირატესად კლასობრივ-წოდებრივი კომპრომისის პროდუქტი იყო.

² ჯ. ზეცურიანი, სამოქალაქო სამართლის ფუნქციები, თბ., 1995 წ., გვ. 19.

ნორმატიულობა ყველაზე უფრო მკაფიოდ გამოხატავს სამართლის ძირითად დანიშნულებას – იყოს ადამიანის ქცევის და საზოგადოებრივ ურთიერთობათა მომწესრიგებელი. სამართალი იურიდიული ნორმების მეშვეობით თითოეულ მოქალაქეს და მთლიანად საზოგადოებას აძლევს ინფორმაციას იმის თაობაზე, რა ქმედებაა შესაძლებელი, – აუცილებელი და რა – აკრძალული. თუ ადამიანი სამართლის მოთხოვნათა საზღვრებში მოქმედებს, იგი თავდაჯერებული და შინაგანად თავისუფალია, მას საზოგადოება და სახელმწიფო იცავს. იურიდიულ ლიტერატურაში დღემდე გავრცელებულია აზრი, რომ სამართალი გამგებლობს ადამიანთა ქცევის გარეგან, ხოლო ზნეობა მის შინაგან სფეროს. თავის დროზე ეს შეხედულება გააკრიტიკა პროფ. ალ. ვაჩიშვილმა: სამართალს აინტერესებს არა მარტო ნება მისი გარეგნული გამოხატულებით, არამედ თვით ამ ნების შინაარსიც, ის მიდრეკილებანი და სტიმულები, რომლებიც მას ამოძრავებენ.¹ სამართალი განსაზღვრავს ადამიანის თავისუფლების საზღვრებს და ამით აწესრიგებს მის ქცევას. თუ ადამიანი უგულვებელყოფს სამართლის, როგორც ურთიერთობათა მოწესრიგების საშუალებას, იგი არ არის და არ შეიძლება იყოს თავისუფალი, რადგანაც ხშირად არღვევს კანონს.

სამართლის ინტელექტუალურ-ნებითი ხასიათი. სამართალი ადამიანის ნებისა და ცნობიერების გამოვლინებაა. სამართლის ინტელექტუალური მხარეა ის, რომ იგი სოციალური კანონზომიერებისა და სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგების გამოხატულების ფორმაა. სამართალში აისახება საზოგადოების, ცალკეული პირებისა და ორგანიზაციების მოთხოვნილებები. ინტერესები, მიზნები, რომლებიც ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგოა, მაგრამ მასში სოციალური კომპრომისი სამართლიანობისა და გონიერების საწყისებზეა დაფუძნებული.

სამართალი არის ადამიანის ინტელექტისა და ნების გამოვლინება, რამდენადაც მასში განსაზღვრულია მისი მომავალი ქცევა, ინტერესები და მოთხოვნები, დასახული მიზნების მიღწევა, სამართლის ნებითი (ნებელობითი) საწყისი რამდენიმე კუთხით განიხილება:

– სამართლის შინაარსის საფუძველში ძვეს ცალკეული პირების, ორგანიზაციებისა და ადამიანთა ჯგუფების სოციალურ-სამართლებრივი უფლებები, რომლითაც გამოიხატება მათი ნება;

– ამ უფლებების სახელმწიფოებრივი აღიარება ზორციელდება კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მეშვეობით, ანუ სამართალი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ნებით ყალიბდება. უფრო სწორად,

¹ ალ. ვაჩიშვილი, სამართლის ზოგადი თეორია. თბ., 1926 გვ. 18.

„სამართალი იძენს კონკრეტული სახელმწიფო მოთხოვნის, ბრძანების ხასიათს ადამიანთა სავალდებულო და შესაძლო ქცევის შესახებ. გადაიქცევა ძალად, რომელსაც შეუძლია ადამიანთა ცხოვრებაზე იმოქმედოს და წარმართოს მათი ქცევა გარკვეული მიმართებით.“¹

-სამართლის მომწესრიგებელი ზემოქმედება შესაძლოა მხოლოდ იმ პირთა ცნობიერებისა და ნების „მონაწილეობით“, რომლებიც ახდენენ იურიდიული ნორმების რეალიზაციას.

სახელმწიფო იძულების და დარწმუნების უზრუნველყოფა არის სამართლის სპეციფიკური ნიშანი, რომელიც განასხვავებს მას სოციალური მოწესრიგების სხვა ფორმებისაგან (ზნეობა, წეს-ჩვეულებები, (ადათები) კორპორაციული ნორმები და სხვა), რაც იძულების განხორციელების, მონოპოლიის მქონე სახელმწიფო სამართლის არსებობისა და ფუნქციონირების აუცილებელ გარე ფაქტორს წარმოადგენს. ისტორიულად სამართალი წარმოიშვა და ვითარდებოდა სახელმწიფოსთან ურთიერთქმედებაში და პირველად სახელმწიფომ მიანიჭა სამართალს დაცვის ფუნქცია, შემდეგ განუსაზღვრა უმნიშვნელოვანესი თვისებები: სტაბილურობა, მკაცრი განსაზღვრულობა და შესრულების უზრუნველყოფა, რომელიც თავისი მახასიათებლებით უახლოვდება „არსებითს“. სამართალი, თითქოს არსებითის ნაწილი აფართოებს სოციალური ცხოვრების სფეროში თავისუფლების საზღვრებსაც.

სახელმწიფო იძულება ხორციელდება ორი მიმართულებით:

— უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების დაცვას და მიზნად ისახავს აიძულოს სამართალდამრღვევი, დაზარალებული მხარის სასარგებლოდ შეასრულოს ვალდებულებები (ვალის დაბრუნება, მიყენებული ზარალის ანაზღაურება და ა. შ.);

— კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში დამნაშავე მიეცემა იურიდიულ პასუხისგებაში და ექვემდებარება დასჯას (თავისუფლების აღკვეთა, ქონების კონფისკაცია, ჯარიმა და ა.შ.).

სახელმწიფო იძულება მკაფიოდ მიჯნავს უფლებასა და მოვალეობას, ანუ პირადი თავისუფლების სფეროსა და მისი საზღვრების ფარგლებს. სახელმწიფო იძულების (და მისი შესაძლებლობის) მეშვეობით მკვეთრად დგინდება საზღვარი თავისუფლებასა და თვითნებობას შორის და ეს საზღვარი იურიდიულ პასუხისმგებლობაზე გადის. სახელმწიფო იძულება ზღუდავს ადამიანის თავისუფლებას იმდენად, რომ შეუძლია იგი წაართვას კიდევ, ამიტომ საჭიროა თავისუფლების სფეროს (უფლება) და მისი საზღვრების შეზღუდვის (იურიდიული პასუხისმგებლობა)

¹ Д. А Керимов, Философские проблемы права, М., 1977г., с. 214

მკაფიო განსაზღვრა. იძულების გარდა სახელმწიფო სამართლის ნორმათა შესრულებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირების უზრუნველსაყოფად იყენებს დარწმუნების მეთოდს. რაც უფრო დემოკრატიულია ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკური სისტემა და რეჟიმი, მით მეტია დარწმუნების მეთოდის ხვედრითი წილი. დარწმუნების მეთოდის ფორმები და საშუალებები: სამართლებრივი კულტურის ამაღლება, მოქმედი კანონმდებლობის ახსნა-განმარტება, მოქალაქეთა უფლებების გაფართოება და მათი ინტერესების დაცვის მექანიზმის გაუმჯობესება, სამართალშემოქმედებით საქმიანობაში მონაწილეობის გაფართოება და ა.შ. ეს ამოცანები გადაიტარება სამართლის სახელმწიფოსთან კავშირის გამომხატველი კიდევ ერთი თვისების ფორმალური განსაზღვრულობის მეშვეობით.

ფორმალური განსაზღვრულობა. აღსანიშნავია, რომ ფორმალური განსაზღვრულობა გარკვეულწილად ახასიათებს სხვა სისტემებსაც. ასე მაგალითად, კორპორაციული ნორმები წესდებით, დებულებით და სხვა ნორმატიული აქტებით არის განსაზღვრული. რელიგიური ნორმები ცნებები—წმინდა წერილში ყალიბდებოდა, მაგრამ ჩამოთვლილ შემთხვევებში შესაბამის წესებს ფორმას, სახელმწიფოს ნაცვლად, სხვა ორგანიზაციები (საზოგადოებრივი, რელიგიური) აძლევს. სახელმწიფო, სამართალს მათგან განსხვავებით, კანონის რანგში ზოგადსაუკუნოდ მნიშვნელობასა და გამოხატვის ოფიციალურ ფორმას ანიჭებს.

სამართლის ნორმები ოფიციალურად მტკიცდება კანონებით და სხვა ნორმატიული აქტებით, რომლებიც ერთგვაროვან განმარტებას ექვემდებარება. პრეცედენტურ სამართალში ფორმალური განსაზღვრულობა მიიღწევა სასამართლო გადაწყვეტილებათა ოფიციალური პუბლიკაციებით, რაც ანალოგიური იურიდიული საქმეების განხილვისას აუცილებელ ნიშნად არის მიღებული. ჩვეულებით სამართალში იგი უზრუნველყოფილია კანონით, ფორმულით, რომელიც სანქციონირებას უკეთებს ჩვეულების გამოყენებას - ან ჩვეულების საფუძველზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებით. ამის შედეგად, სამართლისა და ინდივიდუალურ იურიდიულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე მკაფიოდ და ცალსახად განისაზღვრება სუბიექტის უფლებები, მოვალეობები, მოქალაქისა და ორგანიზაციების პასუხისმგებლობა.

ამგვარად, სახელმწიფო ფორმას ანიჭებს სამართლებრივ შინაარსს, მაგრამ ამით არ უნდა გავაზვიადოთ მისი როლი, არ უნდა მივიჩნიოთ, რომ სამართალი მხოლოდ სახელმწიფო მოღვაწეობის შედეგია. მით

უფრო, რომ ასეთი ცრუ წარმოდგენები ხანგრძლივი დროის მანძილზე ბატონობდა საბჭოურ მეცნიერებასა და პრაქტიკაში.

საზოგადოების, სახელმწიფოსა და სამართლის კავშირი აისახება ფორმულით: „სამართლის შინაარსს ჰქმნის საზოგადოება, სამართლის ფორმას — სახელმწიფო“. სამართალშემოქმედებაში სახელმწიფოს მონაწილეობით განისაზღვრება სამართლის წყაროები (ფორმები) სანქცირებული ჩვეულება, სასამართლო პრეცედენტი, ნორმატიული აქტი.

სისტემურობა. სამართალი რთული სისტემური ფენომენია. იგი წარმოადგენს ქცევის სავალდებულო წესების ერთობლიობას, ახასიათებს იდეებისა და პრინციპების ერთიანობა და გააჩნია საერთო მიზნები და ამოცანები.

სამართლის სისტემური კავშირები განიხილება სხვა ასპექტებშიც; სამართალი არის კერძო და საჯარო, იყოფა ნორმებად, ინსტიტუტებად და დარგებად, შეიცავს კანონმდებლობის სისტემას, რაც უფრო დაწვრილებით შემდეგ თავებშია ჩამოყალიბებული.

§ 2. სამართლის წარმოშობის თავისებურებაანი

როგორც ცნობილია, სამართლის წარმოშობა განაპირობა იმავე მიზეზებმა, რამაც თავის დროზე სახელმწიფოს წარმოქმნა გამოიწვია. ამასთანავე პირველყოფილი საზოგადოების მონონორმებსა და სამართლის ნორმებს შორის არსებობდა უფრო ღრმა მემკვიდრეობითობა, ვიდრე თემურ თვითმმართველობასა და სახელმწიფო ორგანოებს შორის. საუკუნეთა განმავლობაში მრავალი თაობის მიერ შემოწმებული ადათები განიხილებოდა, როგორც უზენაესისგან ბოძებული, ნამდვილი, სამართლიანი წესები, ამიტომ ხშირად მას „სამართალს“, „სიმართლეს“ უწოდებდნენ. მათგან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი სახელმწიფოს მიერ იყო სანქციონირებული და მომავალში სამართლის მნიშვნელოვან წყაროდ (ჩვეულებით სამართლად) იქცა.

ამ თვალსაზრისს ავითარებდა ინგლისელი მეცნიერი ჰ. მენი, რომლის შეხედულებებს რამდენადმე ემთხვეოდა ჩერნიშევსკის კონცეფცია, ორივენი ბუნებითი სამართლის პოზიციებიდან ამოდიოდნენ. ქართული სამართლებრივი აზროვნება სამართლის წარმოშობის თავისებურებებს ანალოგიურ ინტეპრეტაციას უკეთებდა. ამ მხრივ საინტერესოა ილია ჭავჭავაძის მოსაზრება, რომელიც მკვლევართა აზრით, ბუნებითი სამართლის თეორიის ნათესაობას ამჟღავნებს. სწორედ ბუნებითი სამართალი განიხილავს პოზიტიურ სამართალს აბსტრაქტული სამართლი-

ნობის გამოვლინებად. ამიტომ ილია ჭავჭავაძე ერთმანეთთან აიგივებს სამართალს და სიმართლეს.¹

ადრეულ სახელმწიფოთა მეფეები (მმართველები) აგრძელებდნენ ჩვეულებითი სამართლის საერთო სოციალურ ტრადიციებს და თავის კანონებში ცდილობდნენ განემტკიცებინათ ამ სფეროში სამართლიანობის საწყისები: ზღუდავდნენ სიმდიდრეს, მევახშეობას, ამყარებდნენ სამართლიან ფასებს და ა.შ. ყოველივე ეს აისახა უძველესი სამართლის აქტებში—ხამურაბის კანონებში, XII ტაბულის, სოლონის რეფორმებში. ამასთანავე, უეჭველია ისიც, რომ სამართალი თავისი განვითარების უძველესი ეტაპებიდან, საერთო სოციალური ფუნქციების შესრულებასთან ერთად, ასრულებდა ნორმატიულ-კლასობრივი რეგულირების ურთულეს როლსაც, ე.ი. საზოგადოებრივ ურთიერთობებს გაბატონებული კლასის ეკონომიკურ ინტერესებს უთანხმებდა.

სამართლის აღმოცენება საზოგადოებრივი ურთიერთობების გართულების, სოციალური წინააღმდეგობის, კონფლიქტების გამწვავებისა და გაღრმავების კანონზომიერი შედეგია. ტრადიციები ველარ უზრუნველყოფდნენ საზოგადოებრივ წესრიგსა და სტაბილურობას, რაც ნიშნავს, რომ წარმოიშვა საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგების პრინციპულად ახალი საშუალების ამოქმედების აუცილებლობა.

ტრადიციებისაგან განსხვავებით, სამართლებრივი ნორმები თავიდან ზეპირი სახით, შემდეგ კი წერილობით წყაროებში ფიქსირდება და სახელმწიფოს მიერ სანქციონირებულ, მკაცრად ჩამოყალიბებულ უფლებამოსილებებს, ვალდებულებებს, შეზღუდვებსა და აკრძალვებს შეიცავს. იცვლება სამართლებრივი ნორმების რეალიზაციის პირობები და პროცედურა, იქმნება მათი შესრულების ზედამხედველობის ახალი მეთოდები: თუ ძველად ასეთი ზედამხედველი საზოგადოება და მისი ლიდერები იყვნენ, ახლა, სახელმწიფოებრიობის პირობებში, ეს არის პოლიცია და არმია. სადაო ურთიერთობებს აწესრიგებს სასამართლო. სამართლებრივი ნორმები ტრადიციებისაგან სანქციებითაც განსხვავდება: მნიშვნელოვნად გამკაცრდა სასჯელის ზომები სოციალურად მაღალი კლასის, კერძო საკუთრების ხელყოფისა და პიროვნების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის, სასჯელი დიფერენცირდება დაზარალებულის სტატუსის მიხედვით—არის ის თავისუფალი, მონა, მამაკაცი თუ ქალი.

სამართლის წარმოშობის თავისებურებებზე საუბრისას აუცილებელია

¹ იხ. ვ. აბაშაძე, ილია ჭავჭავაძე—სახელმწიფოს და სამართლის შესახებ თბ., 1987 წ. 223-227.

გვახსოვდეს, რომ სახელმწიფოსა და სამართლის აღმოცენების პროცესები პარალელურად, ერთმანეთზე მათი ორმხრივი ზემოქმედების პირობებში მიმდინარეობდა. აღმოსავლეთში, სადაც განსაკუთრებით დიდია ტრადიციების როლი, სამართლის წარმოშობა და განვითარება ხდება რელიგიური და ზნეობრივი ზემოქმედებით და მის ძირითად წყაროებს წარმოადგენენ რელიგიური დებულებები (დარიგებები) — მანუს კანონები ინდოეთში, ყურანი მუსლიმანურ ქვეყნებში და ა.შ. აღმოსავლეთისგან განსხვავებით, ევროპულ ქვეყნებში, ჩვეულებით სამართალთან ერთად, ვითარდება უფრო ფართო და მაღალი ხარისხის ფორმალისაციით და განსაზღვრულობით გამორჩეული კანონმდებლობა და პრეცედენტული სამართალი.

§ 3. სამართლის პრინციპების განსაზღვრის პრობლემა

პრინციპები არის სახელმძღვანელო იდეები და მიმართულებები, რომლებიც სამართლის არსს და საზოგადოებაში მის დანიშნულებას განსაზღვრავენ. ერთი მხრივ, ისინი გამოხატავენ სამართლის ღირებულებებს, მეორე მხრივ, კი წარმოადგენენ საერთო პრინციპებს, რომელიც სამართლებრივი მოწესრიგების მთელ სფეროში მოქმედებს და ყველა სუბიექტზე ვრცელდება. ეს პრინციპები ან პირდაპირ კანონშია ჩამოყალიბებული, ან კანონების საერთო მნიშვნელობიდან გამომდინარეობს.

სამართლის პრინციპები განსაზღვრავს სამართლებრივი ნორმების სრულყოფის გზებს და კანონმდებლისათვის სახელმძღვანელო იდეებს წარმოადგენს. ისინი საზოგადოებისა და სამართლებრივი სისტემის განვითარებისა და ფუნქციონირების შემაკავშირებელი რგოლია. პრინციპების მეშვეობით ხდება სამართლის სისტემაში ადამიანისა და საზოგადოების ინტერესებისა და მოთხოვნილებების თანაფარდობა.

სამართლებრივი პრინციპები იყოფა მთლიანად სამართლის (ზოგად-სამართლებრივ), მისი ცალკეული დარგების (დარგობრივ) ან მოსაზღვრე დარგების ჯგუფის (დარგთაშორისი) დამახასიათებელ პრინციპებად. დარგობრივს განეკუთვნება სისხლის სამართალში სასჯელის ინდივიდუალისაცია, შეჯიბრის პრინციპი სამოქალაქო-საპროცესო სამართალში და ა.შ.

მეცნიერები, ზოგადპრაქტიკული მნიშვნელობის თვალსაზრისით ერთნაირად ახასიათებენ სამართლებრივ პრინციპებთან დაკავშირებულ პრობლემებს, რომ ეს კანონმდებელთა სუბიექტური შეხედულების შე-

244

დები და სამართლისათვის დამახასიათებელი ობიექტური თვისებაა, მაგრამ როცა საქმე ზოგადსამართლებრივი პრინციპების კონკრეტული ნუსხის დადგენას ეხება, აქ ცალსახა დამოკიდებულება არ არსებობს და ყოველ მკვლევარს ამ პრობლემისადმი საკუთარი მიდგომა გააჩნია.

მაგალითად, ზოგიერთი სამართლებრივი პრინციპი განსაზღვრულია კონსტიტუციით, მაგრამ აქ საჭიროა ორი მომენტის გათვალისწინება: პირველ რიგში, კონსტიტუციაში ჩამოყალიბებული ყველა პრინციპი არ არის სამართლებრივი (მაგალითად, ხელისუფლების დანაწილების პრინციპი), მეორეც, არც ერთი ქვეყნის კონსტიტუცია არ გვაძლევს ზოგადსამართლებრივი პრინციპების ნუსხას, მაგრამ საქართველოს კონსტიტუციის მაგალითზე შეიძლება გამოვყოთ სამართლის შემდეგი პრინციპები: ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემა, სამართლიანობა და თანასწორუფლებიანობა, საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლის ნორმების უშუალო მოქმედება, კონსტიტუციისა და კანონების უზენაესობა, საკუთრების და მემკვიდრეობის უფლებებისა, მართლმსაჯულების უზრუნველყოფის დაცვის პრინციპები და ა.შ.

კონსტიტუციის მე-⁶ მუხლში ლაპარაკია ქართული სამართლებრივი აქტების კანონმდებლობის საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებთან შესაბამისობაზე.¹ ამ მოთხოვნებს აქვთ ზოგადსამართლებრივი მნიშვნელობა, ამიტომ ლოგიკურია, რომ ისინი კეთილსინდისიერების, გონიერებისა და სამართლიანობის პრინციპებიდან გამომდინარეობენ. კონსტიტუციის პრეამბულაში მითითებულია, რომ საქართველოს მოქალაქეთა ურყევი ნებაა დაამკვიდრონ სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო. ამით ხაზგასმულია, რომ სამართლებრივადაა განმტკიცებული სოციალურ სფეროში ადამიანთა დაცვის პრინციპები, რომლის გარანტიად სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესია.

უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ზოგიერთი ზოგადსამართლებრივი პრინციპი.

სამართლიანობის პრინციპს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. იგი უფრო მეტად გამოხატავს სამართლის ზოგადსოციალურ არსს, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეების, პიროვნებასა და საზოგადოებას შორის კომპრომისის ძიების სწრაფვას. სამართალი ითხოვს შესაბამისობას მოქმედებასა და მის სოციალურ შედეგებს შორის. თანაზომიერი უნდა იყოს შრომა და მისი ანაზღაურება, ზიანის მიყენება და მისი

¹ იხ. საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 1995 წ., გვ. 7

ანაზღაურება, დანაშაული და სასჯელი. თუ კანონი სამართლიანობის პრინციპს პასუხობს, ეს თანაზომიერება დაცულია.

ადამიანის პიროვნების პატივისცემის პრინციპი უდევს საფუძვლად ბუნებით, თანდაყოლილ, გაუსხვისებელ უფლებებს, რომლებიც სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის ბირთვს შეადგენენ.

კონსტიტუცია ადამიანისადმი განსაკუთრებული ზრუნვითაა გამსჭვალული (მუხლები – 15, 18, 19)¹ და ადასტურებს, რომ ხელშეუვალია ადამიანის სიცოცხლე, მისი თავისუფლება, პატივი და ღირსება. კანონი გარკვეულ ფარგლებში იცავს თითოეულ პიროვნებას, დაუშვებელია დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება, ისევე, როგორც საერთოდ დაუშვებელია ადამიანის წამება, არაპუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება.

თანასწორუფლებიანობის პრინციპი განსაზღვრავს ყველა მოქალაქის თანაბარ სამართლებრივ სტატუსს, ანუ მათ თანასწორ კონსტიტუციურ უფლებებს და ყველასათვის ერთიან სამართალსუბიექტურობას. კონსტიტუციის მე-14 მუხლში ნათქვამია: სახელმწიფო გარანტიას აძლევს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების თანასწორობას განურჩევლად სქესის, რასის, ეროვნების, ენის, წარმოშობის, ქონებრივი და თანამდებობრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, რელიგიასთან დამოკიდებულების, რწმენის, საზოგადოებრივი გაერთიანებებისათვის კუთვნილების, აგრეთვე სხვა ვითარებისაგან. იკრძალება ადამიანის უფლებების ნებისმიერი შეზღუდვა:² სოციალური, რასობრივი, ეროვნული, ენობრივი ან რელიგიური კუთვნილების ნიშნების მიხედვით. თანასწორუფლებიანობის პრინციპის შესაბამისად უზრუნველყოფილია მოქალაქეთა შესაძლებლობების თანასწორობა მათი ცხოვრების ყველა სფეროში. ამ შესაძლებლობათა რეალიზაციის ხარისხი თვით ადამიანის სოციალურ-სამართლებრივ აქტივობაზეა დამოკიდებული.

საქართველოს კონსტიტუცია აღიარებულია როგორც სახელმწიფოს უზენაესი კანონი, მას აქვს უმაღლესი იურიდიული ძალა და მოქმედებს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. კანონები და სხვა ნორმატიული აქტები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციას. სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა, თანამდებობის პირებმა და მათმა გაერთიანებებმა უნდა დაიცვან კონსტიტუცია, კანონები და სხვა ნორმატიული აქტები. მართალია, საქართვე-

¹ იხ. საქართველოს კონსტიტუცია. თბ., 1995 წ., გვ. 10

² იგივე

ლოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მისი ნორმები ცვლილებას და განვითარებას არ ექვემდებარებიან. უკვე გამოითქვა შენიშვნა, რომ საქართველოს კონსტიტუციაში არ არის დაფიქსირებული ის გარემოება, რომ ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს უფლება აქვს ბინაზე (პროფ. გ. ნადარეიშვილი). სავარაუდოა, რომ ეს შენიშვნა მომავალში გათვალისწინებული იქნება.

მართლმსაჯულების ბატონობის პრინციპი გამოხატავს სასამართლო წესით უფლებების დაცვის გარანტიებს. კონსტიტუციის მე-18 მუხლის მეორე პუნქტში ჩაწერილია: „თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე“.¹

სამართალგანვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე თანდათანობით ჩამოყალიბდა, აგრეთვე, სამართლის ფორმისათვის დამახასიათებელი პრინციპები, რასაც იურიდიულ მეცნიერებაში სამართლებრივი აქსიომა ეწოდება. დავასახელოთ ზოგიერთი მათგანი: საერთო წესის მიხედვით, კანონს უკუქცევითი ძალა არა აქვს; ყველაფერი, რაც კანონით არ იკრძალება, დაშვებულია; არავის არ შეუძლია იყოს მოსამართლე საკუთარ საქმეზე; არ შეიძლება ორჯერ გასამართლება ერთი და იგივე სამართალდარღვევისათვის. სამართლებრივი აქსიომების უმრავლესობა განსაზღვრულია კანონით.

§4. პოლიტიკა, სამართალი და მწიფობა

თანამედროვე მეცნიერება საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმებში პოლიტიკასა² და სამართალს ერთად განიხილავს, რასაც თავისთავად ლოგიკური გამართლება გააჩნია.³ თუ კი სახელმწიფოს წარმოშობის თანავე იქმნება სამართალიც და ამ ორ დამოუკიდებელ საზოგადოებრივ ინსტიტუტს პარალელურად ვსწავლობთ, გამომდინარე აქედან, პოლიტიკური და სამართლებრივი ცნობიერება ძალიან ახლოს არიან ერთმანეთთან, ერთდროულად ჩნდებიან. მართალია, სხვადასხვა რანგის სოციალურ-პოლიტიკურ და სამართლებრივ ღირებულებას გამოხატავენ, მაგრამ საბოლოოდ სახელმწიფოებრივი ორგანიზმის სტრუქტურულ ასპექტებში ერთიანდებიან.

¹ იქვე. გვ. 10

² პოლიტიკური პასუხისმგებლობის პრობლემას შემდეგში ცალკე თავი ეძღვნება:

³ იხ. Козлихин И. Права и политика, СПб: 1996 г.

პირვანდელი კომუნიზმის დამხობის და სახელმწიფოს წარმოშობის-თანავე. სამართლის და კანონის თვისებას მივაქციოთ ყურადღება!—ამ სიტყვების ავტორი არჩილ ჯორჯაძე თვისებაში მათ ზნეობრივ მხარეს გულისხმობდა. შემთხვევითი არც ისაა, რომ სამეცნიერო იურიდიულ ლიტერატურაში დიდი ადგილი ეთმობა პოლიტიკის, სამართლის და ზნეობის თანაფარდობის საკითხის განხილვას და ახსნას. სამართალი საზოგადოებრივი ცნობიერების დამოუკიდებელ და ადამიანთა ზნეობრივი გაჯანსაღების პროცესის ერთ-ერთ ავტონომიურ ფორმად გვევლინება.

სამართლისა და ზნეობის ურთიერთობის პრობლემაში ამოსავალი პრინციპია მათი ფუნქციონალური ერთგვაროვნებისა და სოციალური მიზანდასახულობის თანხვედრობის გათვალისწინება. როგორც სამართლებრივი, ისე ზნეობრივი ნორმები პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესთა გამაწონასწორებელ და საზოგადოებრივი ცხოვრების მომწესრიგებელ ფაქტორებად. გვევლინებიან, ისინი ქმნიან ნორმატიულ სტრუქტურას და ადამიანთა თანაცხოვრების პრინციპებს უზრუნველყოფენ. „ზნეობა... მაგარი ქვიტკირია კაცთა ცხოვრებისათვის“²—წერდა ილია ჭავჭავაძე, ამგვარი საზომით ადამიანთა ქცევა ზნეობის ნორმების მეშვეობით ფასდება. ამის გამო, რომ სოციალური ორგანიზმი, ოჯახით დაწყებული და სახელმწიფოთი დამთავრებული, ვერ იარსებებს ზნეობრივი და სამართლებრივი მოწესრიგების გარეშე, ორივე ერთ საერთო მიზანს ემსახურება, ოღონდ სხვადასხვა მასშტაბებით. იგულისხმება მათი ფუნქციონალური ერთგვაროვნებისა და სოციალური მიზანდასახულობის ერთიანობა და განსხვავება.

მაშასადამე, საზოგადოებრივი ცხოვრების ზნეობრივი მოწესრიგება თავისუფლებასა და ნებაყოფლობაში ვლინდება, ხოლო სამართლებრივი იძულებასა და სავალდებულობაში. სამართლისა და ზნეობის ეს განსხვავება ედება საფუძვლად მათი ურთიერთობის სპეციფიკას, რომლის ერთ-ერთ მთავარ ასპექტს გამოხატავს გ. ელინეკის ფორმულა: „სამართალი არის ზნეობის მინიმუმი, ხოლო ზნეობა არის სამართლის მაქსიმუმი“.

ამ დეფინიციით სამართლისა და ზნეობის იმდენად განსხვავებაზე არაა ზაზგასმა, რამდენადაც საერთო მიზანდასახულობაზე და ღირებულებით სტატუსზე.³

გ. ელინეკის ამ ფორმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ,

¹ არჩ. ჯორჯაძე, თხზ. წიგნი I. თბ., 1911 წ. გვ. 2-3.

² ი. ჭავჭავაძე; თხზ. ტ. VIII. გვ. 133.

³ იხ. გ. ბანძელაძე; ეთიკა, თავი III, §2. ზნეობა და სამართალი. 1981 წ.

რომ სამართლის ნორმის ნებისმიერ დარღვევას მოჰყვება ზნეობრივი ნორმების ხელყოფაც, მაგრამ ზნეობრივი ნორმების დარღვევას ყოველთვის არ მოყვება სამართლის ნორმის დარღვევა.

§ 5. სამართლის სოციალური ღირებულებისა და უზენაესობის ბანსაგღერის პრობლემა

სამართლის სოციალური ღირებულება ნიშნავს მის კეთილისმყოფელ ზეგავლენას საზოგადოების, ადამიანთა ცხოვრებაზე, მათ ურთიერთობებზე.

საზოგადოებრივი ურთიერთობების შინაარსში სამართალი უპირველესად წესრიგს, გარკვეულობას, სიზუსტეს და მართლზომიერ ქცევას გამოარჩევს განუკითხაობისა და უწესრიგობისაგან;

მეორე, სამართალი თავიდან ააცილებს ადამიანს პასუხისმგებლობას და სხვა იძულებით ზომებს. ამავე დროს, იგი ხელს უშლის ხელისუფლების არაკანონიერ ჩარევას ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სფეროში, უზრუნველყოფს თავისუფლებისა და შეზღუდვების ოპტიმალურ შეხამებას;

მესამე, სამართლებრივ საფუძველზე ყალიბდება სამოქალაქო საზოგადოების დემოკრატიული ინსტიტუტები: საბაზრო ეკონომიკა, მრავალპარტიული პოლიტიკური და საარჩევნო სისტემა, თავისუფალი მეოთხე ხელისუფლება (მასობრივი ინფორმაციის საშუალებით).

მეოთხე, როდესაც სამართლის სოციალურ ღირებულებაზეა ლაპარაკი, მასში არა მარტო ის უნდა ვიგულისხმოთ, თუ კონკრეტულად როგორ ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებრივ ურთიერთობებზე სამართალი, არამედ, პირველ რიგში, გასათვალისწინებელია ის, თუ რა პრაქტიკული შედეგები მოჰყვება მის აქტივობას საზოგადოების განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე, სწორედ შედეგების მიხედვით განისაზღვრება, თუ რა როლს ასრულებს ზოგადად სამართალი საზოგადოებრივ ცხოვრებაში.¹ „სამართლის სოციალური ღირებულების“ კატეგორია ძირეულად არის დაკავშირებული სამართლებრივი ნორმების პრაქტიკაში განხორციელებასთან, რისთვისაც აუცილებელია სამართლის ფუნქციების გარკვევა.²

სამართლის არსი და სოციალური დანიშნულება ვლინდება მის ფუნქციებში. ისინი ასახავენ საზოგადოებრივ ურთიერთობებსა და ადამიანების ქცევაზე სამართლის ზემოქმედების ძირითად მიმართულებებს.

¹ იხ. Неновски И. Право и ценности м. 1987 г. стр. 5-8.

² Т. Н. Радько. Основные функции социалистического права, М., 1978, с.19. 249

განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:

--მომწესრიგებელ-სტატიკური ფუნქცია, ანუ საზოგადოებრივი ურთიერთობების განმტკიცების სტაბილურობის ფუნქცია. ყველაზე მკაფიოდ ეს გამოიხატება სხვადასხვა სუბიექტების საზოგადოებრივი სტატუსის განსაზღვრისას; ადამიანისა და მოქალაქის ძირითადი უფლებების, ორგანოებისა და თანამდებობის პირების კომპეტენციის, ფიზიკური და იურიდიული პირების სამართალსუბიექტურობის განსაზღვრისას. ეს ფუნქცია ყველაზე მეტად გამოხატავს სამართლის ბუნებას: მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს ენიჭებათ უფლებამოსილება, რომელთა ფარგლებშიც ისინი თავისუფლად, თავისი შეხედულებისამებრ მოქმედებენ, და, რაც უფრო ფართოა ეს საზღვრები, მით უფრო თავისუფალია ადამიანი თავის მოქმედებაში, მომწესრიგებელ-სტატიკური ფუნქცია ხორციელდება იმ ნორმებით, რომლებიც უფლებამოსილებას ანიჭებენ და კრძალავენ მათ საფუძველზე წარმოქმნილი პასიური ტიპის სამართალურთიერთობებს. ამგვარ სიტუაციაში სამართლის სუბიექტები თვითონ, საკუთარი ინიციატივით ავლენენ სამართლებრივ აქტივობას;

--მომწესრიგებელ დინამიური ფუნქციის მეშვეობით სამართალი განსაზღვრავს, როგორი უნდა იყოს ხალხის მომავალი ქცევა. ამ ფუნქციის ნორმები ადამიანებს ავალდებულებს მოიხადონ სამხედრო ვალდებულება, გადაიხადონ გადასახადი, დაიცვან შრომის დისციპლინა, შეასრულონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და ა.შ. მომწესრიგებელ-დინამიური ფუნქცია აქტიური ტიპის სამართალურთიერთობებში ვლინდება;

--დამცავი ფუნქცია გამოჰყოფს სამართალს სოციალური რეგულაციის სისტემებიდან, ვინაიდან მას ახორციელებენ სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც ინდივიდუალურად ღებულობენ გადაწყვეტილებებს, რომელთა შესრულება სახელმწიფო იძულებით არის გარანტირებული. დაცვითი ფუნქციის მეშვეობით სამართალი, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი, ავლენს პიროვნებისა და საზოგადოებისთვის ღირებულ თვისებებს: ამკვიდრებს სტაბილურობას, დეტალურ და ნათელ რეგლამენტაციას, მკაფიო პროცედურებს.

--დამცავი ფუნქცია ხორციელდება სპეციალური ნორმების გამოყენების მეშვეობით, როდესაც ადგილი აქვს პირის უფლებების დარღვევას და მათ აღსადგენად უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოებში მიმართვისას (დაცვის უფლება) ხორციელდება.

--შეფასებითი ფუნქცია. თუ ადამიანი მართლზომიერად მოქმედებს,

სახელმწიფოს და საზოგადოებას მასთან პრეტენზიები არ უნდა ჰქონდეს. მაშასადამე, სამართალი პიროვნებას ანიჭებს მოქმედების თავისუფლებას და იცავს არახელსაყრელი სოციალური შედეგებისაგან.

შეფასებითი ფუნქციის რეალიზაციისას განსაკუთრებულ როლს ასრულებს დაცვითი და წამახალისებელი ნორმები, რომლებშიც ზოგადაა მოცემული ამა თუ იმ შესაძლო მოქმედების უარყოფითი ან დადებითი შეფასება. ამ ნორმების გამოყენების პროცესში აისახება იურიდიული პასუხისმგებლობის ან წახალისების ინდივიდუალური ზომა (მაგალითად, დასჯა სასამართლოს განაჩენით, დაჯილდოება პრეზიდენტის ბრძანებულებით).¹ სამართალი საზოგადოების წევრების ცნობიერებაზე ზემოქმედებით ასრულებს აღმზრდელი ფუნქციას, რომელიც მიმართულია პიროვნების მართლშეგნების ჩამოყალიბება-ამაღლებისკენ. საბოლოოდ, სამართლის ფუნქცია არის სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე მდგარი ამოცანების გადასაწყვეტად საზოგადოებრივ ურთიერთობებზე სამართლის ზემოქმედების ძირითადი მიმართულებები, რომლებიც სამართლის შინაგანი სპეციფიკური ბუნებითაა განსაზღვრული.²

სამართლის ფუნქციის განსაზღვრის პრობლემებზე თავის დროზე თავიანთი მოსაზრებები ჩამოაყალიბეს ბ. პუგინსკიმ, ს. მაქსიმენკომ, მ. სეტროვმა, ს. ალექსეევმა, გერმანელმა მკვლევარებმა ვერნერ მაიპოფერმა, ერლიხ ფეხნერმა და სხვებმა. ზოგიერთის შემოთავაზებულ კონცეფციებს სამართლიანად არ ეთანხმება პროფ. ჯ. ხეცურიანი, რადგანაც, მისი აზრით, „ფუნქციის“ და „ფუნქციონალობის“ ცნებების გაიგივებას აქვს ადგილი. „ფუნქციონირება“ არის მოქმედება გარკვეული შედეგით, ხოლო „ფუნქცია“—თვითონ მოქმედება კი არ არის, არამედ მოქმედების მხოლოდ განსაზღვრული სახეა გარკვეული შედეგის მისაღწევად.

§ 6. სოციალურ ნორმათა სისტემაში სამართლის ადგილის განსაზღვრის პრობლემა

სოციალურ ნორმათა სისტემაში სამართლის თეორიის ერთ-ერთი პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს სამართლის ადგილის, როლისა

¹ Теория государства и права, Хропонюк В. М., 1998 г., ст. 219.

² იხ. ჯ. ხეცურიანი, სამოქალაქო სამართლის ფუნქციები, თბ., 1995 წ., გვ. 38

და მნიშვნელობის განსაზღვრა. განვიხილოთ სამართლისა და მორალის, სამართლისა და წეს-ჩვეულების, სამართლისა და კორპორაციული ნორმების თანაფარდობა.

სამართალი და მორალი. სამართალი და მორალი სოციალური ნორმების სახესხვაობებია და მათ ყველა სოციალური ნორმისთვის დამახასიათებელი თვისებები გააჩნიათ, რაც ხალხის ნებასა და ცნობიერებასთანაა დაკავშირებული, მაგრამ ერთმანეთისაგან პრინციპულად განსხვავდებიან.

სამართლებრივი ნორმები ჩნდება იურიდიული (პირველ რიგში, სასამართლო) და საკანონმდებლო პრაქტიკის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს შესაბამისი ინსტიტუტების მოღვაწეობის შედეგად. ამგვარად, სამართლებრივი ნორმები ინსტიტუციონალურია და სოციალური ინსტიტუტების ჩარჩოებში მოქმედებენ.

მორალი ყალიბდება საზოგადოების სულიერ სფეროში, არ არის ინსტიტუციონალური, ე.ი. არ არის დაკავშირებული საზოგადოების სტრუქტურულ ორგანიზაციასთან და განუყოფელია საზოგადოებრივი ცნობიერებისაგან. მორალის ნორმები ეყრდნობა საზოგადოების ცნობიერებაში ჩამოყალიბებულ შეხედულებებს სიკეთესა და ბოროტებაზე, ღირსებაზე, პატივზე, წესიერებაზე და ა.შ. რომლებსაც სამყაროს ეთიკური გააზრების პროცესში გამოიმუშავენ ფილოსოფია, რელიგია და ხელოვნება.

სამართლებრივი და მორალური ნორმების თანაფარდობის საკითხის განხილვისას ყურადღებას იქცევს მათი არსებობის სხვადასხვა ფორმები. სამართლებრივი ნორმა, როგორც ინსტიტუციონალური მოვლენა, მკაცრად განსაზღვრულია დოკუმენტური ფორმით (ნორმატიული აქტი, სასამართლო გადაწყვეტილება, ნორმატიული ხელშეკრულება და ა.შ.). მათი ფიქსაციის ხერხები და მეთოდები უნდა პასუხობდეს მკაცრად დადგენილ მოთხოვნებს. საკმაოდ კონკრეტულია იმ სუბიექტების წრეც, რომელიც აყალიბებს სამართლის ნორმების შემცველ იურიდიულ ტექსტებს - (მართლმსაჯულების ორგანოები, საკანონმდებლო ორგანოები, სახელმეკრულებო ურთიერთობების სუბიექტები და ა.შ.). რა თქმა უნდა, სხვადასხვა გამონათქვამები, რომლებსაც სამართლებრივი ხასიათი აქვთ, შეიძლება მონიხოს სხვა ფილოსოფიურ, სამეცნიერო და ლიტერატურულ ტექსტებშიც, მაგრამ მიუხედავად მათი კულტურული და სოციალური მნიშვნელობისა, გავლენას ვერ ახდენენ იურიდიული სტატუსის ფაქტორებზე.

მორალურ ნორმებზეა დაფუძნებული საზოგადოებრივი (მასობრივი)

შეგნება ისინი პრინციპების, ცნებების, იდეების, შეფასებების და.შ. სახით არსებობენ, შესაბამისად, მათი ფორმისა და ტექსტების მიმართ არ არსებობს მორალთან დაკავშირებული რაიმე განსაკუთრებული მოთხოვნა, რადგანაც თავიანთი ბუნებიდან გამომდინარე, არ შეიძლება ამ ნორმებს ტექსტუალური გამაგრება, ლოკუმენტური ხასიათი ჰქონდეს.

სამართლის ზემოქმედება საზოგადოებრივ ურთიერთობებზე ხორციელდება სამართლებრივი მოწესრიგების განსაკუთრებული მექანიზმის მეშვეობით, რომელიც ზოგადი წესების კონკრეტული სუბიექტების იურიდიულ უფლებებში და მოვალეობებში გადაყვანას უზრუნველყოფს. ეს უფლება-მოვალეობანი საკმაოდ ნათლადაა განსაზღვრული შესაძლო და საეაღდებულო მოქმედების კრილში, ე.ი. სუბიექტების ქცევის კონკრეტულ ვარიანტებში. ამის საპირისპიროდ მორალურ ნორმებში ზოგადადაა გამოხატული პიროვნების შინაგანი განწყობილების ფორმირება. ისინი ზემოქმედებენ სხვაგვარად, ღირებულებებზე, მოტივებზე, მითითებებზე და ა.შ. მორალური ნორმების არსი ზოგადი პრინციპების მრწამსისა და სასურველი ქცევის მითითების ჩამოყალიბებაში მდგომარეობს. ეს ნიშნავს, რომ მორალური ნორმების ზემოქმედებას სამართლებრივი ნორმებისაგან განსხვავებით არა აქვს საეაღდებულოობის წინასწარ დადგენილი საშუალებები.

ტრადიციულად იურიდიული ნორმების უზრუნველყოფის ხერხების და მეთოდების სპეციფიკას განიხილავენ სახელმწიფო იძულებასთან, სახელმწიფოსა და საზოგადოების განსაკუთრებული ინსტიტუტების ფუნქციონირებასთან კავშირში. სახელმწიფო იძულება არის სამართლის ნორმების შესრულების საშუალება და არა უბრალოდ ხელისუფლების თვითნებობა, რადგანაც მათი შესრულება ხორციელდება მხოლოდ სპეციალური სუბიექტების მიერ კანონით დადგენილი პროცედურების ფარგლებში.

მორალს არა აქვს ასეთი განსაკუთრებული მექანიზმები და ხერხები, მას ამკვიდრებს საზოგადოებრივი აზრი, რომელიც შესაბამისი მრწამსის, ღირსების, სინდისის და ა.შ. სახითაა წარმოდგენილი.

ქართულ საზოგადოებრივ ცნობიერებაში სამართალი ზნეობასთან, მორალთან ურთიერთობაში განიხილებოდა, ამიტომაც სამართალი სასწაულმოქმედ ძალად და ერის „სჯულად“ აღიქმებოდა.¹

სამართლის და მორალის თანაფარდობა საკმაოდ რთულია. რა თქმა

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. VI, გვ. 154

უნდა, თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში სამართალს მხარს უჭერს საზოგადოებრივი ცნობიერება, სამართლის დაცვა მორალურ ღირსებად მიიჩნევა, უფრო მეტიც, მიღებულია საუბარი ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე (სიცოცხლე, თავისუფლება, თანასწორუფლებიანობა და ა.შ.), რომლებიც სწორედ ზნეობრივი პრინციპების დონეზეა განსაზღვრული და საერთაშორისო და ეროვნულ იურიდიულ აქტებში წარმოდგენილი, როგორც ადამიანის უფლებები. მაშასადამე, ეს ღირებულებები მისაღებია როგორც მორალური, ისე სამართლებრივი სისტემისათვის.

ამასთან, შინაარსის თვალსაზრისით საზოგადოების მორალური ნორმები ცალსახოვანი არაა. ეს დაკავშირებულია ე.წ. ჯგუფური მორალის არსებობასთან, ანუ რომელიმე სოციალური ჯგუფის, ფენის და ა.შ. ზნეობრივი ფასეულობებისა და ნორმების სისტემასთან, რომელიც არ შეიძლება შეესაბამებოდეს საზოგადოებრივ მორალს. საზოგადოების კრიმინალური ფენების ანტისოციალური მორალი მხოლოდ კონკრეტული პირების უბრალოდ უზნეო, მართალსაწინააღმდეგო ქცევა კი არ არის, არამედ განსაკუთრებული ტიპის ჯგუფური მორალია, რომელიც საზოგადოებრივ მორალთან მოდის შეუსაბამობაში.

სამართლებრივი და მორალური ნორმების კოლიზია უფრო რთულია იმ საზოგადოებაში, სადაც მაღალია სოციალური დინამიკა და ძირეული რეფორმები მიმდინარეობს. გარდაუვალია საზოგადოებრივი მორალისა და საზოგადოების სამართლებრივი სისტემის ნაწილობრივი ნგრევა. ამასთან, ახალ მორალზე გადასვლა ხორციელდება უფრო ნელა, ვიდრე სამართლებრივი ინსტიტუტებისა და იურიდიული სტრუქტურების მოდერნიზაცია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იურიდიულ და მორალურ ნორმათა შორის ჩნდება „ისტორიული სინქრონიზაცია“, რაც აუცილებლად წარმოქმნის კოლიზიებს, რომლებიც სოციალურ ჯგუფურ მორალთან შედარებით ნაკლებად ღრმა, მაგრამ უფრო მასშტაბურია.

სამართლისა და მორალის მომწესრიგებელი ფუნქცია საკმაოდ მკაფიოდაა ასახული იურიდიულ ტექსტებში. საკანონმდებლო ნორმატიულ აქტებში ხშირია ზნეობრივი ხასიათის შეფასებითი ცნებების გამოყენება (უღირსი საქციელი, ცინიზმი, ღირსება და ა.შ.). ეს მეტყველებს იმაზე, რომ, ერთი მხრივ, მორალური ნორმები შეიძლება საფუძვლად დაედოს იურიდიულ შეფასებას, მეორე მხრივ, კი საზოგადოების მორალური პრინციპების დარღვევა ზოგიერთ შემთხვევაში საკმარისია სამართლებრივი შედეგების დადგომისათვის.

ამგვარად, შეიძლება ვისაუბროთ მორალისა და სამართლის მომწესრიგებელ ზემოქმედებაზე. მთლიანობაში კი შეიძლება მივიჩნიოთ, რომ

საზოგადოებრივი განვითარების პროცესში ხდება სამართლისა და მორალის თანაფარდობის მექანიზმების ჰარმონიზაცია, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, ყოველი კონკრეტული საზოგადოების კულტურის ხასიათთან და ცივილიზებულობის ხარისხთან არის დაკავშირებული.

სამართალი და წეს-ჩვეულება. წეს-ჩვეულება (აღათი) ეწოდება ადამიანთა ქცევის წესს, რომელიც იქმნება და მკვიდრდება საზოგადოებაში მისი ხანგრძლივი და მრავალჯერადი გამოყენების შედეგად. ისინი წარმოიშვნენ ქცევისა და ადამიანთა პრაქტიკული საქმიანობის მუდმივი აღწარმოების შედეგად. შემდეგ მრავალჯის გამოყენებისა და ხანგრძლივობის გამო ადამიანთა ჩვევად იქცნენ.

ჩვეულებების საფუძველში კონკრეტული, პრაქტიკული საქმიანობის მაგალითები ძვეს, ამიტომაც ქცევითი ნიმუში, როგორც ასეთი, ჯერ კიდევ არ არის ქცევის წესი, რადგან პიროვნება ყოველთვის ინარჩუნებს რამდენიმე ამგვარი ნიმუშისაგან ერთის არჩევის შესაძლებლობას თავისი ინტერესების, მიზნების, ამოცანების შესაბამისად. საკუთრივ ჩვეულება სოციალურ ნორმად ჩამოყალიბებულად შეიძლება ჩაითვალოს მაშინ, როდესაც ქცევითი სტერეოტიპი (ჩვევა), ქცევითი ტრადიცია, ე.ი. ქცევის ნორმა ხდება.

საზოგადოებაში ქცევითი და მოღვაწეობითი პრაქტიკა განუყოფელია და ჩვევების მრავალფეროვნებას განაპირობებს. სხვადასხვა ეთნიკურ სოციალურ ჯგუფს თავისი წეს-ჩვეულებები აქვს. ჩვეულებები განსხვავდებიან რეგიონების მიხედვითაც, რადგანაც მათში აისახება ადამიანთა ცხოვრების თავისებურებები, რომელიც სხვადასხვა პირობებში ყოფითი სპეციფიკით განისაზღვრება.

ჩვეულებების დაცვა თვით მათი არსებობის ფაქტით, ბუნებრივადაა უზრუნველყოფილი.

ისტორიულად ჩვეულებები ყველაზე ადრეულ სოციალურ ნორმათა რიცხვს განეკუთვნებიან. პირველი ცივილიზაციების ჩამოყალიბების, უძველესი სახელმწიფოების შექმნის პერიოდში ჩვეულებებს ზოგადასავალდებულო მნიშვნელობას ანიჭებდნენ. წერილობითი ფორმით გადმოცემული, გარკვეულად სისტემატიზებული ჩვეულებების კრებულები აყვანილია სახელმწიფო კანონთა რანგში (მანუს კანონები, ხამურაბის კანონები, ვახტანგ VI კანონთა კრებული და ა. შ.) და სამართლის პირველწყაროს წარმოადგენენ.¹ თანამედროვე საზოგადოების ნორმატიული სისტემები იურიდიულ ნორმებში ჩვეულებების ასეთ გარდაქმნას, ფაქტიურად, არ იცნობენ.

¹ იხ. გ. ინწიკრელი. სახელმწიფოს და სამართლის თეორია. თბ., 1998 წ., გვ. 53.

დღეს, როგორც წესი, საუბრობენ სამართლისა და ჩვეულებების თანაფარდობაზე, რომელიც განიხილება, უპირატესად, როგორც იურიდიული ნორმების დამოკიდებულება საზოგადოებაში არსებული ჩვეულებებისადმი.

სამართლისა და ჩვეულებების თანაფარდობისგან უნდა განვასხვაოთ ჩვეულება, როგორც სამართლის წყარო (ფორმა), რომელიც სახელმწიფოს მიერ სანქციონირების გზით ხდება ადამიანთა ქცევის საეაღდებულო წესი, მათი ერთობლიობა შეადგენს ადათობრივ ან ჩვეულებით სამართალს.¹

სამართლისა და ჩვეულებების თანაფარდობისას ჩვეულებას სამართლებრივი მნიშვნელობა ენიჭება სანქციონირების შემდეგ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ შემთხვევაში ჩვეულება იურიდიულ სტატუსს იძენს სამართლებრივ დოკუმენტში მისი ტექსტობრივი ფორმულირებისას. მიწის კანონთა კოდექსში გათვალისწინებული იყო, რომ კომლის გაყოფისას თითოეული წევრის ქონების განსაზღვრა შეიძლებოდა ადგილობრივი ჩვეულებების საფუძველზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა გააფართოვა ჩვეულებათა გამოყენების შესაძლებლობა. მე-2 მუხლის მეოთხე ნაწილში აღნიშნულია, „თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან სამართლისა და ზნეობის ან საჯარო წესრიგს“.²

სამართალი და კორპორაციული ნორმები. კორპორაციულ ნორმებში იგულისხმება ქცევის წესები, რომლებიც იქმნება ორგანიზებულ საზოგადოებაში, ვრცელდება მის წევრებზე და გამიზნულია ამ საზოგადოების ორგანიზაციისა და ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. კორპორაციული ნორმების ყველაზე უფრო გავრცელებულ მაგალითს საზოგადოებრივი ორგანიზაციების (პროფკავშირი, პოლიტიკური პარტია, სხვადასხვაგვარი გაერთიანებები და ა.შ.) ნორმები წარმოადგენს.

კორპორაციული ნორმები საკმაოდ სპეციფიკურია. ისინი იქმნება ადამიანთა თანამეგობრობის ორგანიზაციისა და მოღვაწეობის პროცესში; ვრცელდება მოცემული საზოგადოების წევრებზე; განისაზღვრება შესაბამის დოკუმენტებში (წესდებაში, დებულებაში, და ა.შ.); უზრუნველყოფილია გათვალისწინებული ორგანიზაციული ზომებით.

ფორმალური ნიშნების მიხედვით კორპორაციული ნორმები იურიდიულს ჰგავს: ტექსტუალურად განმტკიცებულია შესაბამის დოკუმენტებში, მიიღება განსაზღვრული პროცედურით, სისტემატიზებულია, მაგრამ ამით მსგავსება თითქმის მთავრდება, რადგან დასახელებულ

¹ იქვე, გვ. 148

² იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. თბ., 1997 წ., გვ. 3

ნორმებს არ გააჩნია ზოგადსაგებდებულო ხასიათი, არ არის უზრუნველყოფილი სახელმწიფო ზემოქმედებით.

კორპორაციულ ნორმებს აქვს სამართლისგან განსხვავებული ბუნება. მათი რეგულირების საგანს წარმოადგენს ურთიერთობები, რომლებიც იურიდიულად მოუწესრიგებელია (ასეთი მოწესრიგების შეუძლებლობის ან მიზანშეუწონლობის გამო). ისინი ეკუთვნიან სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტურულ ერთეულებს და ამ უკანასკნელთა ბუნების სპეციფიკას ასახავენ.

ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია კორპორაციული ნორმების განსხვავება ლოკალური ნორმატიული აქტებისაგან. ლოკალურ ნორმატიულ აქტებში შემავალი ნორმები მოქმედებს მხოლოდ გარკვეული ორგანიზაციის შიგნით, არის იურიდიული, რადგანაც იურიდიული მექანიზმებით უზრუნველყოფილ უფლებებსა და მოვალეობებს წარმოქმნის. მათი დარღვევის შემთხვევაში არსებობს კომპეტენტურ სამართალდამცავ ორგანოებში მიმართვის შესაძლებლობა. მაგალითად, აქციონერული საზოგადოების დამფუძნებელი დოკუმენტების დებულებათა, თუნდაც, მოგების განაწილების წესის დარღვევისას, დაინტერესებულ პირს შეუძლია სასამართლო წესით გაასაჩივროს მიღებული გადაწყვეტილება, პოლიტიკური პარტიის წესდების დარღვევით გამოტანილი გადაწყვეტილება კი არ ექვემდებარება გასაჩივრებას სასამართლოში.

ამგვარად, იურიდიული ნორმები ნორმატიული რეგულირების სისტემაში მოქმედებენ და ამ სისტემის ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენენ. სამართლებრივი და დემოკრატიული საზოგადოების პირობებში სამართლის ჰარმონიული ურთიერთქმედება სხვა სოციალურ ნორმებთან იურიდიული ნორმების ეფექტიანობის აუცილებელი პირობაა.

§ 7. რელიგიისა და სამართლის თანაზარდობის პრინციპი

რელიგიური წარმოდგენები სათავეს იღებს საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე. ისინი გაუჩნდა ჯერ კიდევ პირველყოფილ ადამიანს უძველეს ხანაში. თავდაპირველად იგი ღმერთს აიგივებდა ბუნების რომელიმე მოვლენასთან, მაგალითად, მზესთან ან მთვარესთან. კერპად იხდიდა ცხოველს ან მცენარეს. მათში ხედავდა რაღაც ზებუნებრივ ძალას, რომელსაც შეეძლო გატამწყვეტი გავლენის

მოხდენა მის ცხოვრებაზე. ასე ჩამოყალიბდა პირველი პოლითეისტური¹ რელიგიური წარმოდგენები.

რელიგიური ცნობიერების წარმოშობის თაობაზე სხვადასხვა მოსაზრებებია გამოთქმული, მაგრამ ამ პრობლემით დაინტერესებულთა უმრავლესობა შემდეგ მიზეზებს აღიარებს: 1) პირველყოფილი ადამიანის უძლურება. იგი მთლიანად მიჯაჭვულია ბუნებაზე. მისი იარაღები და ფიზიკური ძალა იმდენად სუსტია, რომ არ შეუძლია რაიმე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს ბუნების მოვლენაზე; თუმცა, მეცნიერებაში არსებობს მოსაზრება, რომ სწორედ მაშინ, როდესაც ადამიანი ბუნებასთან ურთიერთობაში ყველაზე უმწეო იყო, ე.წ. შემგროვებლობითი მეურნეობის ხანაში, რელიგია, საერთოდ, არ უნდა არსებულებოდა.

რელიგია თავისებური ფილოსოფიაა, ხალხური მეტაფიზიკაა. ის უნდა წარმოშობილიყო თუ მანამდე არა, მწარმოებლური მეურნეობის ხანაში მაინც.

2) პირველყოფილი ადამიანის უმეცრება. ადამიანს არ შეუძლია მის ირგვლივ მიმდინარე პროცესები ახსნას ბუნებრივი მიზეზებით. მეცნიერული ცოდნა ჯერ არ არსებობს. მან არ იცის თუ რა იწვევს დროთა ცვალებადობას, მცენარეთა ზრდას და ნაყოფიერებას, ჭექა-ქუხილს, მიწისძვრებსა და ა.შ.

3) სიკვდილის შიში. ბუნების სტიქიურ მოვლენებს უამრავი უბედურება და ტანჯვა მოაქვს ადამიანისათვის. იგი უძლურია მათ წინაშე და არც მათი მეცნიერული ახსნა შეუძლია. ამის გამო ბუნება იწვევს შიშსა და შეძრწუნებას, მაგრამ ეს ემოციები ადამიანს უჩნდება იმის გამო, რომ თვითონ არის მოკვდავი. მან იცის თავისი სიკვდილის გარდუვალობა;

4) გამოცანისა და საიდუმლოების გრძობების გაჩენა. ადამიანი მთლიანად ჩართულია სამყაროს მუდმივი ცვალებადობის ჯაჭვში. მასზე ბატონობს ბუნების ძალები, რომლებიც მისთვის უცხოა და მტრული. მათი მოთოკვა ან მოწესრიგება, მათზე ზემოქმედება ან მათგან თავის დაღწევა არ შეუძლია. ბუნების ურყევი წესრიგი და გარდაუვალობა მასში იწვევს არა მარტო შიშს, არამედ გაოცებას და მოწიწებას. სამყარო მისთვის იქცევა გამოცანად. იგი ხდება რაღაც საიდუმლო, მისტიკური, რომელსაც უცნობი და ზებუნებრივი ძალები წარმართავს.

ფ. ზელინსკი წერდა: "Религия - это не то, что вера, или исповедание, или благочестие, это - таинственная цель "связывающая"

¹ ბერძნ. „პოლი“ მრავალს ნიშნავს, „მონოს“ ერთს. ე.ი. პოლითეისტური (მრავალმერთიანობა) და მონოთეისტური (ერთმერთიანობა).

(relignus) нас с чем то выше нас, в чем бы оно ни заключалось.

Речь идет о том что религиозным является тот человек, который в своем мировоззрении находит место великому Непознаваемому и чувствует свою связь с ним".¹

ზემოჩამოთვლილი მიზეზები განაპირობებს რწმენის განსაკუთრებულ სახეს, რომელიც საფუძვლად დაედო რელიგიურ ცნობიერებას. ასე განდა პირველი პოლითეისტური რელიგიური წარმოდგენები, რომელთაც დასაწყისში პრიმიტიული ხასიათი ჰქონდა. შემდგომ თანდათან მოხდა მათი დახვეწა და განვითარება, რის შედეგად წარმოიშვა დიდი მონოთეისტური რელიგიები.

დღეს გავრცელებულია სამი ძირითადი მსოფლიო რელიგია: ბუდიზმი, ქრისტიანობა და ისლამი. ბუდიზმის სამშობლო ძველი ინდოეთია, რომელიც წარმოიშვა VI-V საუკუნეებში ძვ. წ.-ით. მის ფუძემდებლად ითვლება ბუდა, რომელიც ისტორიული წყაროებით დადასტურებული რეალური პიროვნებაა. ქრისტიანობა წარმოიშვა რომის იმპერიაში I საუკუნეში ახ. წ.-ით. მის ფუძემდებლად მიჩნეულია იესო ნაზარეტელი —ქრისტე, რომლის რეალურობა ისტორიული წყაროებით არის დადასტურებული.² ისლამი წარმოიშვა არაბეთის ნახევარკუნძულზე VII საუკუნის დასაწყისში ახ. წ.-ით. მისი ფუძემდებელია რეალური პიროვნება —მუჰამედი.

თანამედროვე რელიგია მოიცავს სამ მომენტს—შეხედულებებს, ემოციებსა და კულტს.

შეხედულებები არის იმ წარმოდგენების ერთობლიობა, რომელიც გვაძლევს სამყაროს სურათს. ქრისტიანობა აღწერს ღმერთის მიერ სამყაროს შექმნის პროცესს. ღმერთი ყოვლისშემძლე, ყოვლისმცოდნე და ყოვლადკეთილი არსებაა, რომელმაც ექვს დღეში არაფრისაგან შექმნა ბუნება მთელი თავისი მრავალფეროვნებით. მეექვსე დღეს მან შექმნა ადამიანი „ხატად და მსგავსად თვისა“. შემდეგ აღწერილია, თუ როგორ ჩაიდინეს პირველმა ადამიანებმა—ადამმა და ევამ—ცოდვა. მათ იგემეს აკრძალული ვაშლის ხის ნაყოფი, რომლის შემდეგ ისინი ღმერთმა განდევნა სამოთხის ბაღიდან და დაუწესა მძიმე ცხოვრება დედამიწაზე. ამიერიდან მათ თვითონ თავიანთი შრომით, ოფლის ღვრითა და ტანჯვით უნდა მოიპოვონ და დაიმსახურონ ღმერთის სიყვარული. ღმერთმა ადამიანებს გამგებლობაში გადასცა ბუნება და მოუწოდა: „დაეუფ-

¹ იხ. В. Поликарпов "История религий лекций и хрестоматия" М. 1997, ст. 4

² მეცნიერთა ნაწილი დღეს უფრო მეტად იზიარებს ქრისტეს რეალობას

ლეთ და გამრავლდით“. იწყება ადამიანთა მძიმე, ხიფათიანი და მოულოდნელობებით აღსავსე ცხოვრება, რომლის საბოლოო მიზანია სულიერი სიწმინდისა და სიმშვიდის მოპოვება. ეს კი შესაძლებელია ღმერთის კურთხევითა და სიყვარულით. ასეთია სამყაროს ალევორიული სურათი, რომელსაც ქრისტიანული რელიგია იძლევა.

—ემოციები ის გრძნობებია, რომელთაც რელიგია იწყევს ადამიანში. საქმე ისაა, რომ რელიგია ადამიანის გულზე უფროა ორიენტირებული, ვიდრე გონებაზე ქრისტიანობა სიყვარულის რელიგიაა. მისი ძირითადი მცნებებია სიყვარული და თანაგრძნობა, სიბრალული და მიტყევა. რელიგია არა ცნებებისა და მტკიცებების, არამედ შთაგონებისა და ღვთაებრივი სიბრძნის მეშვეობით ცდილობს აღძრას და გამოიწვიოს შესაბამისი ემოციები.

—კულტი არის იმ რიტუალებისა და ქცევის წესების ერთობლიობა, რომლის შესრულებაც მორწმუნისათვის სავალდებულოა. რელიგიის მიერ მკაცრად რეგლამენტირებულია არა მარტო ღვთისმსახურების, არამედ ყოფა-ცხოვრების ძირითადი მომენტები: როგორ ილოცოს, მონათლოს, ჯვარი დაიწეროს დაბადების დღე აღნიშნოს, მიცვალებული დამარხოს და ა.შ.¹

რელიგია რწმენის სფეროა და არა ცოდნის, ე.ი. რელიგია არის ზებუნებრივი ძალების რწმენა, სადაც ერთიანდება შეხედულებები, ემოციები და კულტი.

ნებისმიერი რელიგია განსაზღვრავს ადამიანის ადგილსა და დანიშნულებას სამყაროში, თუ როგორ და რისთვის უნდა იცხოვროს მან. ეს კი მოითხოვს გარკვეული ზნეობრივი ნორმების დაწესებას, რომელთა დაცვა და შესრულება ადამიანს მიიყვანს სასურველ მიზნამდე. ამისათვის რელიგია აყალიბებს მცნებებს, რომლებიც შეიცავენ მოთხოვნებს—თუ რა უნდა აკეთოს და რა არ უნდა აკეთოს ადამიანმა. ძველი აღთქმიდან ცნობილია ათი მცნება. მათგან სანიშნულად გამოვყოთ რამდენიმე: „არა კაც ჰკლა“, არა იქურდო“, არა ცილი სწამო“ და „არა იმრუშო“. ეს შეგონებები საფუძვლად დაედო არა მარტო ქრისტიანულ, არამედ საერთოდ ყოველგვარ მორალს, ისინი, საერთოდ, ადამიანური ქცევის ნორმებად იქცნენ და სამართლებრივი მნიშვნელობაც შეიძინეს.

ქრისტიანულმა რელიგიამ თავისი შესატყვისი მორალი დაამკვიდრა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცნობიერებაში.

როგორც სახელმწიფოებრივ, ისე სამართლის სფეროშიც ორი უწყება ფუნქციონირებდა: ერთი მხრივ, სახელმწიფო ხელისუფლება და მეორე მხრივ, ეკლესია. ეკლესიას თავისი დროშა და საკუთარი ჯარი

¹ ვ. ერქომაიშვილი, ფილოსოფია, თბ., 1998 წ. გვ. 47-48

ჰყავდა, თავისი ყმები და სახელმწიფო მართვა-გამგეობის წესებზე მოწყობილი მოხელეები, თავისი ეკონომიკური პოლიტიკა ჰქონდა და თავისივე სასამართლო, ამიტომ მრავალი ქვეყნის (მათ შორის საქართველოს) კანონიკური სამართალი საინტერესო გახდა არა მარტო საეკლესიო თვისებებით, არამედ როგორც სახელმწიფოებრივი სხეულისა და ეკლესიის წარმმართველი. როგორც სახელმწიფო, ასევე ეკლესია ქმნიდა წერილობით სამართლებრივ ძეგლებს (პოზიტიურ და კანონიკურ სამართალს). აქედან გამომდინარე, საერო და საეკლესიო კანონმდებლობის ძეგლებს ეყრდნობოდა სახელმწიფო და სამართლებრივი აზროვნება, იქმნებოდა და ყალიბდებოდა ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის მორალურ-სამართლებრივი ქცევის წესები. რადგანაც ეკლესია სახელმწიფო ყოფაცხოვრების ძლიერ ფაქტორად იქცა და ხალხის აზროვნებაზე ზემოქმედებდა, ამიტომ კანონიკური სამართალი გარკვეულ გავლენას ახდენდა საერო სამართალზეც. ამასთანავე იმდენად, რამდენადაც საეკლესიო სამართლის მოძღვრებას სისხლისა და სამოქალაქო სამართალზე დიდი გავლენა ჰქონდა. სამართლებრივად საქართველოში ეროვნულობისა და ქრისტიანობისათვის ბრძოლა ერთ მცნებად მოიაზრებოდა. ამიტომაც, რომ ერის სულიერი მამა, შემდგომში ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული ილია ჭავჭავაძე წერდა:

„ქრისტე-ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენი ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის. ამ პატარა საქართველოს გადავუღელეთ მკერდი და ამ მკერდზედ, როგორც კლდეზედ, დაუდგით ქრისტიანობას საყდარი, ქვად ჩვენი ძეგლები ვისმარეთ და კირად ჩვენი სისხლი, და ბჭეთა ჯოჯოხეთისათა ვერ შემუსრეს იგი.“

ქრისტეს რჯული ქართველებისათვის მარტო სარწმუნოებითი აღსარება კი არ იყო, იგი ამასთან ერთად პოლიტიკური ქვითკირიც იყო საქართველოს მრავალი ნაწილების გასაერთიანებლად და შემოსაკრებად. ერთობა სარწმუნოებისა ერთობას ერისას მოასწავებდა... სხვათა შორის, ქართველი ერი ამისათვის უფროთხილდებოდა თავის რჯულს, რომელიც თავის შინაგან ღირსების გარდა, დუღაბობას უწევდა ერთობასა.¹

ქრისტიანობა, ქრისტეს მოძღვრების გარდა, ჩვენში ჰნიშნავდა მთელი საქართველოს მიწა-წყალს, ჰნიშნავდა ქართველობას. დღესაც მთელს ამიერკავკასიაში ქართველი და ქრისტიანი ერთისა და იმავე მნიშვნელობის სიტყვები არიან. გაქრისტიანების მაგიერ გეტყვიან გაქართველდო.²

¹ ი. ჭავჭავაძე. თხზ. ტ. IV, 65-66, ტ. V, გვ. 12.

² გაზ. „ოვერია“, 1888 წ. №9, გვ. 2.

საბედნიეროდ, XIX და XX საუკუნის მიჯნაზე გაიზარდა რელიგიისაკენ ჭეშმარიტი სწრაფვა, განსაკუთრებით ამაღლდა მართლმადიდებლური ეკლესიის როლი და მნიშვნელობა. რაოდენ საამაყოა, როდესაც მსოფლიოს საპატრიარქოს წმინდა სინოდმა 1990 წლის 25 მარტს განიხილა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი და ბერძნულ-ქართულ საეკლესიო ცნობებზე დაყრდნობით სამართლიანად სცნო მისი აღდგენა. არც ის არის შემთხვევითი, რომ საქართველოს უზენაესი კანონი, კონსტიტუცია თავის მე-9 მუხლში აფიქსირებს, რომ სახელმწიფო აღიარებს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში. ამასთან ერთად, აცხადებს რწმენისა და აღსარებლობის სრულ თავისუფლებას, ეკლესიის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან.

ადამიანის უფლებათა შორის რელიგიის თავისუფლება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, იგი საერთაშორისო სამართლის დოკუმენტებითაა განმტკიცებული და ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა ამ უფლებების დაცვა, რადგანაც საქართველო ევროსაბჭოს წევრი ქვეყანაა და აღნიშნული საკითხისადმი მიდგომა საერთაშორისო სამართლის მოთხოვნების შესაბამისად უნდა განიხილებოდეს.

საქართველოში საეკლესიო სამართალი, როგორც ცალკე აღებული მეცნიერება, არ არსებობს, ამიტომ ეკლესიის უფლებების, მორწმუნეთა მრევლის გაზრდა მოითხოვს შესაბამის სამართლებრივ მოწესრიგებას. საეკლესიო სამართალთან დაკავშირებულმა ცვლილებებმა ასახვა უნდა ჰპოვოს კანონმდებლობაშიც. სასწრაფოადაა მისაღები სახელმწიფოსა და რელიგიას შორის ურთიერთობის შესახებ კანონი, რომელსაც მოჰყვება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გამოცემა, რითაც სიცხადე შევა სახელმწიფოსა და ეკლესიის სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგებაში. „არ შეიძლება მეცნიერება და რწმენა დაუპირისპირდეს ერთმანეთს“ - სამართლიანად ბრძანა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II. არ არის გამორიცხული, რომ მორწმუნე დიდი მეცნიერი გახდეს და პირიქით.

§8. მართლმშენების პრობლემა თანამედროვე იურისპრუდენციაში

მართლმშენება არის ცნობიერების ფორმა, ადამიანის მიზანმიმართული გონებრივი მოღვაწეობის პროცესი და შედეგი, გულისხმობს სამართლის შემეცნებას, მის აღქმას და შეფასებას.

უკანასკნელი პერიოდის სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანად განასხვავებენ მართლშეგნებას სამართლებრივი ცნობიერებისაგან, რადგანაც მართლშეგნების სუბიექტი ყოველთვის არის კონკრეტული პიროვნება!¹

ა) მოქალაქე, რომელსაც მინიმალური სამართლებრივი თვალსაწიერი აქვს და სამართლებრივ პრობლემებს შეეჯახა;

ბ) იურისტი—პროფესიონალი, რომელსაც სამართლებრივი ცოდნის საკმაო მარაგი აქვს, შეუძლია შეუფარდოს და განმარტოს სამართლებრივი ნორმები;

გ) აბსტრაქტული აზროვნების მქონე განსწავლული ადამიანი, რომელიც შეისწავლის სამართალს, შეუძლია ინტერპრეტაცია გაუკეთოს არა მხოლოდ ნორმებს, არამედ სამართლის პრინციპებსაც და ფლობს კვლევის განსაზღვრულ მეთოდოლოგიას. მართლშეგნება ყოველთვის ინდივიდუალურია, თუმცა ადამიანთა ჯგუფების, მთელი ფენებისა და კლასების წარმოდგენა სამართლის შესახებ შეიძლება ემთხვეოდეს ერთმანეთს.

მართლშეგნების შინაარსს წარმოადგენს პირის ცოდნა თავისი უფლება-მოვალეობების, ზოგადი და კონკრეტული ნებართვებისა და აკრძალვების შესახებ, აგრეთვე, მისი შეფასება და დამოკიდებულება, როგორც სამართლიანისა და უსამართლოს მიმართ. პიროვნების კულტურის, მეთოდოლოგიური აღჭურვის დონისა და შესასწავლი საგნის არჩევის მიხედვით მართლშეგნება შეიძლება იყოს სრული ან არასრული, სწორი ან დამახინჯებული, დადებითი ან უარყოფითი. ჩვეულებრივ ადამიანს სამართალი ესმის ისე, როგორც ამის საშუალებას შესაბამისი ეპოქისა და საზოგადოების გარკვეული კულტურული ტრადიციების საკუთარი ცოდნა აძლევს. მისთვის სამართლის გაგება დროებითი მასშტაბით, მისი სიცოცხლის ზღვართაა შემოფარგლული; მართლშეგნების ისეთი ელემენტები, როგორიცაა ცოდნა, შეფასება, შესაძლებელია გადაეცეს ხალხს, მეცნიერი, მკვლევარი სამართალზე წერილობით წარმოდგენებსაც კი ტოვებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენს წინამორბედთა გონებაში ჩამოყალიბებული და ამა თუ იმ კონცეფციის სახით გამოხატული სამართალი დიდ გავლენას ახდენს შემდგომი თაობების მართლშეგნების ფორმირებაზე. ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამართლის შესახებ ადრინდელ და თანამედროვე თეორიებს.

ამიტომ სამართლის შესახებ სხვადასხვა თეორიებისა და შეხედუ-

¹ სამართლებრივ ცნობიერებას ცოტა ქვემოთ საგანგებოდ განვიხილავთ.

ლებების განხილვისას საჭიროა შემდეგი გარემოებების გათვალისწინება:

—სამართლის ფუნქციონირების ისტორიული პირობები და კულტურული ჩარჩოები, რომლებშიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მოაზროვნე;

—მართლშეგნების შედეგი ყოველთვის მისი შემმეცნებელი სუბიექტის ფილოსოფიურ, ზნეობრივ, რელიგიურ, იდეოლოგიურ პოზიციაზე არის დამოკიდებული;

—რა დაედო ამა თუ იმ კონცეფციას საფუძვლად (სამართალწარმოქმნის წყარო თუ თვით მოვლენის არსი), რა იგულისხმება სამართლის წყაროსა (აღამიანი თუ ღმერთი) და მის არსში.

—ერთი მხრივ, კონცეფციების სიმყარე და ხანგრძლივობა და მათი დინამიურობა, მეორე მხრივ, საზოგადოებრივ ურთიერთობებთან ადაპტაციის უნარი.

კუმანიტარული მეცნიერებისა და სოციალური მოვლენების კვლევის მეთოდოლოგიის განვითარების თანამედროვე დონე იძლევა სამართლის შესახებ შეხედულებების სისტემატიზაციის შესაძლებლობას გარკვეული კრიტერიუმების საფუძველზე, რაც მართლშეგნების, სამართლის შემეცნების პრობლემასთანაა დაკავშირებული. ამიტომ შემდგომ თავში უფრო დაწვრილებით მოგვიხდება საუბარი სამართლის შესახებ სხვადასხვა თეორიებისა და შეხედულებების დადებით და უარყოფით მხარეებზე.¹ კერძოდ, რიგი ფილოსოფიური მიმდინარეობების წარმომადგენლები სამართალს, როგორც ზნეობრივ ნაწილს (შოპენჰაუერი) ან როგორც ზნეობის საწყის საფეხურს იხილავდნენ და სამართლის სოციალურ-ღირებულებით ხასიათს უარყოფდნენ (ლ. ტოლსტოი, ვ. სოლოვიოვი). სამართლის მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებას ავლენდნენ ანარქისტები; კომუნიზმის აშენების შემდეგ სამართლის კვდომის პრობლემები აქტიურად განიხილებოდა მარქსისტული სამართლებრივი თეორიის ჩარჩოებში.

თომა აქვინელის² მიმდევრები, ნეოთომისტები, ცდილობენ სამართლის რელიგიური არსი დაუკავშირონ საზოგადოებრივი ურთიერ-

¹ სამართლის ძირითადი თეორიები: I სოციოლოგიური იურისპუდენცია, ნორმატივიზმი, სამართლის მოქმედების თეორია დაწ. განხილული აქვს ბ. სავანელს. სამართლის თეორია, თბ., 1997 წ. გვ. 44-70.

² თ. აქვინელი ზოგიერთ სამეცნიერო ლიტერატურაში მოიხსენიება თ. აქვინელად, ერთიც და მეორეც მისაღება და შეცდომად არ შეიძლება მივიჩნიოთ.

თობების ბუნებით-სამართლებრივ საწყისებს და ემპირიულ შეფასებებს. იმის მიხედვით, თუ რა განიხილება სამართალწარმოქმნის წყაროდ— სახელმწიფო თუ ადამიანის ბუნება—განასხვავებენ პოზიტივისტურ და ბუნებითი სამართლის თეორიებს.

§9. სამართლის ძირითადი თეორიები და მათი ბანეიტარების პრობლემატი

მოძღვრება სამართლის წარმოშობის შესახებ მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელმწიფოს წარმოშობის კონცეფციებთან, თუმცა ისინი საკმაოდ განსხვავებულ მოსაზრებებსაც შეიცავენ. ხშირად სამართლის წარმოშობის პრობლემები მის ბუნებასთან, დედაარსთან, სამართლის დანიშნულებასა და სამართლებრივ მოწესრიგებასთან ერთიანობაში განიხილება.

თეოლოგიური თეორიის თანახმად სამართალი ღვთიური წარმოშობისაა და ღვთის ნების გამოხატულებას, გონების უმაღლეს გამოვლინებას წარმოადგენს. ეს თეორია არ უარყოფს სამართალში ბუნებითი და ადამიანური (კუმანური) საწყისების არსებობას. ბევრი რელიგიური მოაზროვნე ამტკიცებდა, რომ სამართალი არის ღვთისგან ბოძებული სიკეთისა და სამართლიანობის ხელოვნება. თეოლოგიური თეორია იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც დაუკავშირა სამართალი სიკეთესა და სამართლიანობას და ეს მისი უეჭველი ღირსებაა. ამასთანავე ხსენებული თეორია ეყრდნობა არა მეცნიერულად დასაბუთებულ არგუმენტებს, არამედ რწმენას.

ბუნებითი სამართლის თეორია თავის არსებობის სათავეს ჯერ კიდევ ანტიკური ეპოქიდან იღებს და ჩვენი აზრით ის პირველობას შემთხვევით არ ჩემულობს. საბჭოურ პერიოდში მას ფრაგმენტულად იკვლევდნენ, რადგან ამ მოძღვრებას დასავლურ მსოფლმხედველობად მიიჩნევდნენ. არსებითად კი, ადრეც და ამჟამადაც, შეუძლებელია ბუნებითი სამართლის გათვალისწინების გარეშე პოზიტიური, ჩვეულებითი თუ პრეცედენტური სამართლის საფუძვლიანი შესწავლა, თუმცა „სამართლის მეცნიერებაში მრავალი საუკუნის განმავლობაში გაბატონებული იყო მოძღვრება, რომელიც ამტკიცებდა, რომ მუდმივად ცვალებადი პოზიტიური სამართლისაგან ანუ კანონმდებლობისაგან დამოუკიდებლად არსებობს ბუნებითი სამართალი ანუ უზენაესი, საყოველთაო, მარადიული სამართლის პრინციპები, რომლებისკენაც უნდა ისწრაფოდეს

ყოველი ქვეყნის პოზიტიური სამართალი და რომლებიც წარმოადგენს მოქმედი კანონმდებლობის შეფასების კრიტერიუმს“.¹

მკვლევართა ნაწილის აზრით, ბუნებითი სამართალი სამართლის იდეალისტური გაგებაა, რომლის მიხედვითაც სამართალს განაპირობებს თვით ადამიანის ბუნება და ამიტომ დამოუკიდებელია კონკრეტული სოციალური პრობლემისა და სახელმწიფოსაგან. ბუნებითი სამართლის სკოლის მიმდევრებმა თავიანთი თეორია (პოლანდია—გროციუსი და სპინოზა; ინგლისი—ჰობსი და ლოკი; საფრანგეთი—ვოლტერი, მონტესკიე, რუსო; გერმანია—ლაიბნიცი, ვოლფი, პუფენდორფი, კანტი, ფიხტე; რუსეთი—რადიშჩევი) თითოეულ სახელმწიფოში მოქმედ ანუ პოზიტიურ სამართალს დაუპირისპირეს, რომელიც, პოზიტიურისაგან განსხვავებით, საერთოა ყველა ხალხისა და ყოველი ადამიანისათვის. იგი მარადიული და უცვლელია და საყოველთაო სამართლიანობის გამოვლინებას წარმოადგენს. „მათი შეხედულებით, მოქმედი სამართალი მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს მისაღებად, თუ იგი ბუნებითი სამართლის პრინციპებს შეესაბამება“.²

ბუნებითი სამართლის არსებობისა და განვითარების ისტორია პირობითად შეიძლება ოთხ ეტაპად დავყოთ:

1. ანტიკური სამყროს ხანა, რომელშიც მიმდინარეობს პირველყოფილი გვაროვნული წყობილების რღვევა და სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობა მონათმფლობელურ საზოგადოებაში.

მე. ჩინელი მოაზროვნეები ლაო-ძი, მო-ძი (VI-V ს.) და სხვა ფილოსოფოსები ერთმანეთისაგან უკვე განასხვავებდნენ ბუნებით და ადამიანურ სამართალს. ლაო-ძის მტკიცებით —წერს პროფ. ვ. აბაშმაძე—სახელმწიფოს მართვა მხოლოდ ბუნებითი დაოს მიხედვით უნდა წარმოებდეს, ხანდახან უიმისოდ შეუძლებელია საზოგადოებაში სიმშვიდისა და ჰარმონიის დამყარება. საზოგადოებას შეუძლია არსებობა ბუნებითი დაოს ბატონობისას ყოველგვარი ბრძანებების გარეშე. „დაო მუდმივია და მას არა აქვს სახელი. მართალია, იგი მცირე არსებაა, მაგრამ სამყაროში მისი დამორჩილება არვის შეუძლია. თუ კეთილშობილნი და ხელმწიფენი შეძლებენ მის დაცვას, მაშინ ყველა არსება თავისთავად გახდება მშვიდი, მაშინ ზეცა და დედამიწა შეერთდება ჰარმონიულად, დამყარდება ბედნიერება და კეთილდღეობა, ხოლო ხალხი ბრძანებების გარეშე დამშვიდდება“. უსახელმწიფო საზოგადოებაში, ლაო-ძის აზ-

¹ ბ. სავანელი, სამართლის თეორია, 1993, გვ. 177

² გ. ინჭირელი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბ., 1997 გვ. 95

რით, ყველაფერი ბუნებითი დაოს მიხედვით იმართებოდა, სახელმწიფოს წარმოშობის შემდეგ ბუნებითი დაოს გვერდით გაჩნდა ადამიანური დაო, რომელიც ავიწროვებს და ზღუდავს ბუნებით დაოს მოქმედებას. ბუნებითი სამართლის მოძღვრება ძველ ჩინეთში შემდგომში განავითარეს ფაცის სკოლის წარმომადგენლებმა. ამ სკოლის ბევრ თვალსაჩინო წარმომადგენელა შორის აღსანიშნავია ხან ფეის (ძვ. წ 288-233 წწ.) მოღვაწეობა.

ხან ფეის აზრით, არსებობს ორი სახის კანონები: ა) ბუნებითი ბ) ადამიანური. ბუნებითი კანონები უსწრებს ადამიანურ კანონებს. ის ჯერ კიდევ სახელმწიფოს წარმოშობამდე არსებობდა და სახელმწიფოს პირობებშიც მოქმედებს. რაც შეეხება ადამიანურ კანონებს, იგი სახელმწიფოს შექმნის შემდეგ ჩნდება, ამიტომ უპირატესობა ბუნებით კანონებს ენიჭება, რომლის მიზანია ბუნებასა და საზოგადოებაში დაამყაროს წესრიგი, სიმშვიდე და წონასწორობა. ადამიანური კანონები იგივე სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონებია და გამოხატავენ ადამიანთა ინტერესებს, მაგრამ რადგანაც საზოგადოების უმაღლეს მიზანს წარმოადგენს ადამიანთა შორის წესრიგისა და სიმშვიდის დამყარება, სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონები უნდა შეესაბამებოდეს ბუნებით კანონებს, რომლებიც ყველაზე უკეთ უზრუნველყოფენ ბუნებასა და საზოგადოებაში წესრიგის დამყარებას. სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონები ბუნებით კანონებს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს, კერძოდ, პოზიტიური სამართალი თვითნებურად არ უნდა ერეოდეს მოვლენათა ბუნებრივი განვითარების პროცესში, არამედ, საჭიროა, ბუნებისა და საზოგადოების მოვლენებზე მისი მოქმედება გამომდინარეობდეს ბუნებითი კანონების მოთხოვნებიდან.

ამიტომ, ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში ჩამოყალიბებული მოძღვრებით, სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართალი მთლიანად უნდა შეესაბამებოდეს ბუნებით სამართალს.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, პირველად ბუნებითი სამართლის მოძღვრებას საფუძველი ჩაეყარა ბერძენ ფილოსოფოსთა შეხედულებებში. მიგვაჩნია, რომ ბუნებითი სამართალი დამოუკიდებლად ჩამოყალიბდა საბერძნეთსა და რომში და მისი განვითარების მესამე ეტაპი დაკავშირებულია XVII-XVIII სს-ების მოღვაწეთა, გროციუსისა და სხვათა სახელთან. ძველ ბერძნებში იგი რამდენიმე მიმართულებით განვითარდა: ა) ბუნებითი სამართალი, როგორც პოზიტიური სამართლის საფუძველი, ბ) როგორც ეთიკური სინამდვილის კრიტიკული ნორმა, გ) როგორც გონების ბატონობით განსაზღვრული მთელი კოსმოსის წეს-

რიგი. ეს აზრი განავითარეს და ჩამოაყალიბეს პერაკლიტემ, დემოკრიტემ და პროტაგორამ. საზოგადოებაში ბუნებით კანონებზე დამყარებული ყველა ურთიერთობა წააგავს ყველას ომს ყველას წინააღმდეგ. ბუნებით მდგომარეობაში შეუძლებელია ადამიანთა ერთობლივი ცხოვრება. ამ მძიმე მდგომარეობიდან თავის დასაღწევად იქმნება სამოქალაქო საზოგადოება და შესაბამისად პოზიტიური სამართალი, რომელიც უნდა ისწრაფვოდეს თავისი სრულყოფისათვის ბუნებითი სამართლისაკენ. ასეთ დამოკიდებულებას ეხედავთ სოკრატესა და პლატონის მოძღვრებებში.

ბუნებით სამართალთან დაკავშირებით, საბერძნეთის მეცნიერული მემკვიდრეობის ზეგავლენით, ისინი შეეცადნენ აეხსნათ ბუნებითი სამართლის სავალდებულო ხასიათი, მისი მატერიალური წყარო, რაც, განსხვავებით მანამ არსებული მოსაზრებებისაგან, ბუნებით სამართალს უნივერსალურ ხასიათს ანიჭებს. მათ ბუნებითი სამართლის განმსაზღვრელი შინაარსი ღვთის ნებას დაუმორჩილეს. ამით ღვთაებრივი სამართალი გააიგივეს ბუნებით სამართალთან, რომლის ძალითაც ბუნებითი სამართლის ნორმების რეალიზაცია არ მოითხოვს იძულებითი ღონისძიებების გამოყენებას, იგი ღვთის ნებით განსაზღვრული ადამიანთა ბუნების შესაბამისია და ლოგიკური აუცილებლობით აღსრულდება. საბოლოოდ, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ადამიანური სამართალი უნდა შეესაბამებოდეს ღვთის ნებით განსაზღვრულ ბუნებით სამართალს.

ბერძნული ბუნებითი სამართლის მოძღვრებაში არისტოტელე შეეცადა მთელი რიგი ახალი მომენტები შეეტანა. კერძოდ, იგი ბუნებით სამართალს აცხადებს უმნიშვნელოვანეს კრიტიკულ ნორმად ეთიკური სინამდვილის შესავსებად. მისი მტკიცებით, პოზიტიურ (ადამიანურ) და ბუნებით სამართალს შორის არსებული წინააღმდეგობების შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ მხოლოდ ბუნებითი სამართლის მოთხოვნები. ბუნებითი სამართალი მუდმივია, იგი არ იცვლება. მას ყველგან ერთნაირი ძალა აქვს, ცეცხლი ისევე წვას საბერძნეთში, როგორც—სპარსეთში. ბუნებითი სამართალი წარმოადგენს ეთიკურად სინამდვილის შესაფასებელ ერთადერთ კრიტიკულ ნორმას და ამდენად იგი ადგენს ზნეობაზე დამყარებულ ყველაზე უმაღლეს სამართლიანობას.

რომში ბუნებითი სამართლის თავისებური ფილოსოფიური საფუძველი შექმნეს ციცერონმა, მარკუს ავრელიუსმა, სენეკამ, ეპიქტეტემ, ულპიანემ და სხვებმა. ციცერონი შრომებში „სახელმწიფოს შესახებ“

და „კანონის შესახებ“ ამტკიცებს, რომ ბუნებითი სამართლის სფერო დაწერილ სამართალთან შედარებით ფართოა, იგი ვრცელდება არა ერთ რომელიმე ხალხზე, არამედ ყველა ხალხზე ერთნაირად.

რომაელი ფილოსოფოსები (სტოელები) ერთმანეთისაგან განასხვავებენ კოსმოსის მუდმივ კანონს და ადამიანურ სამართალს ცალკეული სახელმწიფოებისათვის. ბუნებითი სამართალი, მათი აზრით, არის ადამიანური სამართლის კრიტიკული საზომი.

დემოკრიტესა და პროტაგორის აზრით, ბუნებითი სამართალი არის იგივე ღვთაებრივი სამართალი და მას შესწევს ძალა მოაწესრიგოს ყველაფერი.

პროფესორ ვ. აბაშმაძის აზრით, ბუნებითი სამართლის მოძღვრება, რომელსაც ძველი ბერძენი მოაზროვნეების ნაშრომებში შედარებით აბსტრაქტული ხასიათი ჰქონია, რომის სახელმწიფოში კლასობრივი წინააღმდეგობის გამწვავების შედეგად თანდათანობით ძლიერ პოლიტიკურ უღერადობას იძენს და იგი გამოიყენება რომის მონათმფლობელური წყობილების შენარჩუნებისა და განმტკიცების იარაღად, მაგრამ ბუნებითი სამართლის როლი მარტო ამით არ ამოიწურება; ქრისტიანული რწმენის ფუძემდებელი სოფისტების, სოკრატეს, პლატონის, არისტოტელეს, ციცერონის, რომაელი სტოელებისა და იურისტების მოძღვრებას ბუნებითი სამართლის შესახებ შუა საუკუნეებში ფართოდ იყენებენ ქრისტიანობის რელიგიური დოგმატების ჭეშმარიტების დასაბუთებლად.¹

2. ბუნებითი სამართლის მეორე ეტაპი ქრისტიანული იდეოლოგიის პოლიტიკაში დამკვიდრებით იწყება. ამ საფეხურზე ბუნებითი სამართალი კონკრეტიზაციას განიცდის. კერძოდ, პატრისტიკის წარმომადგენლები ბუნებითი სამართალს აცხადებენ ღმერთის გონების გამოვლენად,² განსხვავებით მონათმფლობელური ეპოქისაგან, სადაც ბუნებითი სამართლის საფუძვლად და წყაროდ აღიარებული იყო არა პერსონალური, არამედ აბსტრაქტული მსოფლიო გონება. ბუნებით სამართალს ეკლესიის მამები უმაღლესი, ღმერთის ნებით განსაზღვრული მუდმივი სამართლის ერთ-ერთ სახედ მიიჩნევენ და ამ მოსაზრების დასაბუთებლად ფართოდ იყენებენ ანტიკური ეპოქის მოძღვრებებს ბუნებით სამართალზე, განსაკუთრებით ეს ითქმის ქრისტიანობის პოლიტიკური დოქტრი-

¹ ვ. აბაშმაძე, ქართული ინტელექტუალური ფენომენები. თბ., 1992 წ. გვ. 33

² მ. ცაცანაშვილი, თეზისები თბ., 1996 წ. გვ. 6.

ნის ფუძემდებელზე აკრედიტის ავგუსტინეზე და პატრისტიკის ქრისტიანული პოლიტიკური იდეოლოგიის სხვა წარმომადგენლებზე (ორიგენე, გრიგოლ ნოსელი, ტერტულიანე, იოანე ქრისტოსისობიუსი),¹ რომლებმაც საფუძველი მოუზადეს სქოლასტიკოსების ქრისტიანულ-პოლიტიკური იდეოლოგიის განვითარებას შუა საუკუნეებში (რუკენიუსი, როლანდ კრემონელი, ანსელმ ლიონელი, თომა აკვინელი). მათ დაუპირისპირდა რეფორმისტულ-ევენგელისტური მოძრაობის ლიდერი მარტინ ლუთერი. თუმცა ეს დაპირისპირება იმ რეფორმების ფარგლებში დარჩა, რომელიც რეფორმისტული მოძრაობის ლიდერებმა წამოაყენეს რომის პაპის წინააღმდეგ.²

3. მესამე ეტაპი დაკავშირებულია XVI-XVII ს.ს. ინგლისში, პოლანდიასა და საფრანგეთში კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებასა და ურთიერთდაპირისპირებულ სოციალურ-პოლიტიკურ და რელიგიურ ძალებს შორის უკიდურესად გამწვავებულ ბრძოლასთან, პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარ ძვრებთან, რაც ბუნებითი სამართლისაგან რელიგიური სამართლის ჩამოცილებაში გამოიხატა. აღნიშნული ეტაპი განავითარეს რევოლუციის ცნობილმა იდეოლოგებმა: ჰუგო გროციუსმა, სპინოზამ — პოლანდიაში, თომას ჰობსმა, ჯონ ლილბორნმა, ჯონ ლოკმა — ინგლისში, სამუელ ჰუმფრედორფმა, ქრისტიან ვოლფმა, ლაიბნიცმა, ქრისტიან თომაზიუსმა — გერმანიაში. ამ ეტაპზე ბუნებით სამართალს იდეების გადაშუქვებით ახალი სახელმწიფოებრივი მოწყობის იდეოლოგიური საფუძველი შეექმნა. ეს იდეები სრულყოფეს და შემდგომში კლასიკური ფორმით ჩამოაყალიბეს ფრანგმა განმანათლებლებმა ვოლტერმა, მონტესკიემ, რუსომ, პოლბახმა, ჰელვეციუსმა, დიდრომ და სხვებმა.

ჯონ ლოკის აზრით, სახელმწიფოში ადამიანთა ბუნებითი თავისუფლების უზრუნველყოფისათვის ერთიანი სახელმწიფოებრივი ხელისუფლება უნდა დანაწილდეს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სამოკავშირო (ფედერაციულ) ხელისუფლებად.

ეს თეორია შემდგომ გამოიყენა მონტესკიემ თავის ნაშრომში „კანონთა გონის შესახებ“. მან ერთმანეთისაგან განასხვავა: ა) საკანონმდებლო ხელისუფლება, რომელიც უნდა ეკუთვნოდეს პარლამენტს, ბ) აღმასრულებელი ხელისუფლება — მეფეს, გ) სასამართლო — ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს.

¹ ვ. აბაშაძე, ქართულ ინტელექტუალური ფენომენები. თბ., 1992 წ. გვ. 332.

² მ. ცაცანაშვილი, თეზისები თბ. 1996 წ. გვ. 7.

ასე რომ, ბუნებითი სამართლის ტრადიციულ მოძღვრებაში მან შეიტანა სრულიად ახალი და უცნობი მომენტი სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილება, როგორც ადამიანებისათვის თანდაყოლილი ბუნებითი თავისუფლებისა და უფლებების საზოგადოებაში დაცვისა და უზრუნველყოფის საშუალება.

მაგრამ ამ ეტაპზე გამოჩნდა რადიკალურად განწყობილი მიმართულება—ჟან-ჟაკ რუსოს იდეოლოგია. იგი ადამიანთა ბუნებითი უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად რესპუბლიკური მმართველობის ფორმას მიიჩნევს საჭიროდ და ზედმეტად ეჩვენება ხელისუფლების დანაწილება. „ეს იგივეა—ამბობს რუსო, ადამიანი შეადგინო რამდენიმე სხეულისაგან, რომელთაგან ერთს ექნება თვალი, მეორეს—ხელი, მესამეს—ფეხი და სხვა არაფერი“. იგი ხელისუფლების დანაწილების იდეას უპირისპირებს სახალხო სუვერენიტეტის იდეას. მისი აზრით, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადამიანთა ბუნებითი უფლებები და თავისუფლებები დაცული იქნება ხელისუფლებისაგან, თუ შეიქმნება ისეთი სახელმწიფო წყობილება, რომელიც გამოხატავს ხალხის საერთო ნებას და სახალხო სუვერენიტეტი განუსხვისებელი და დაუნაწილებელი იქნება. ასე რომ, რუსომ შეასწორა ლოკის და მონტესკიეს მოძღვრება ბუნებით სამართალში სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თვალსაზრისით და ეს დანაწილება მთლიანად დაუქვემდებარა ბუნებითი სამართლის მოძღვრებაში მანამდე უცნობ სახალხო სუვერენიტეტის იდეას.

ბუნებითი სამართლის მოძღვრების კრიზისი დაიწყო ჟოზეფ დე მესტრის, ბონალდის, თეოკრატიული სკოლის, კანტის პოზიტივიზმის და სამართლის ისტორიული სკოლის წარმოშობით. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან პრიორიტეტული გახდა პოზიტივიზმი, რომელიც ცდილობს შეარიგოს სამართლის ბუნებითი და ისტორიული მიმართულებანი. XX საუკუნის დასაწყისში ძალას იკრებს ნორმატივიზმი, რომელმაც დასრულებული სახე მიიღო კელზენის „წმინდა თეორიაში“.

აქვე განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი

პოზიტივიზმის თეორია (კ. ბერგერი, გ. შერჩენევიჩი¹) წარმოიშვა, უპირველესად როგორც „ბუნებითი სამართლის“ ოპოზიცია.

ბუნებით-სამართლებრივი თეორიისაგან განსხვავებით, რომლისთვისაც პირველადია ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, პოზიტივიზმს შემოაქვს უფლებების ახალი ცნებები, როგორც წარმოებული ობიექტური უფლებებიდან, რომელიც დადგენილი და შექმნილია სახელ-

¹ Шершеневич Г. Ф. Общая теория права, М., 1970 г.

მწიფოს მიერ. სახელმწიფო ახდენს უფლებების დელეგირებას და ადგენს იურიდიულ ვალდებულებებს სამართლის იმ ნორმებით, რომლებიც დასრულებულ, სრულყოფილ სისტემას წარმოადგენენ. პოზიტივიზმი აიგივებს სამართალს და კანონს. მისი დადებითი მხარეა სტაბილური მართლწესრიგის დამყარების, სამართლებრივი ნორმის სტრუქტურის, იურიდიული პასუხისმგებლობის საფუძვლების, ნორმებისა და ნორმატიული აქტების, ინტერპრეტაციის სახეების დეტალური შესწავლის შესაძლებლობა.

იმის მიხედვით, თუ რა განიხილებოდა სამართლის საფუძვლად (საბაზო ელემენტად)—სამართლის ნორმა, სამართალცნობიერება, მართლშეგნება, ჩამოყალიბდა სამართლის ისტორიული ნორმატივიზმის, სამართლის მოქმედების, სოლიდარიზმის ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური თეორიები.

სამართლის ისტორიული სკოლის შემქმნელები გერმანიაში XVII-XIX ს.ს. (გ. ჰუგო, ფ. სავინი, ფ. პუხტა) ამტკიცებდნენ, რომ კანონმდებლის მიერ სამართალი კი არ დეკრეტირდება, არამედ ისტორიულად ყალიბდება და ვითარდება, როგორც ენა. იგი გამომდინარეობს „ეროვნული“, „ხალხური“ ცნობიერებიდან. სამართლის ისტორიული სკოლა მჭიდრო კავშირშია რელიგიურ შეხედულებებთან. ასე მაგალითად, გ. პუხტა ამტკიცებდა, რომ „სამართალი ღმერთისგანაა ბოძებული, რომელმაც სხვადასხვა ერის ბუნებაში სამართლის შექმნის ძალა ჩადო“.

სამართლის ფსიქოლოგიური თეორია სამართალწარმოქმნის მიზეზებს ხედავს ადამიანთა ფსიქიკაში, „იმპერატიულ-ატრიბუტულ სამართლებრივ განცდებში“. სამართალი, ამ თეორიის მიმდევართა აზრით, ინდივიდის ფსიქიკის სფეროში არსებობს (ლ. ი. პეტრაჟცკი!) „განსაკუთრებული სახის რთული, ემოციურ-ინტელექტუალური ფსიქიკური განცდებია. სამართლის წარმოშობის საფუძვლად კონკრეტულ ფსიქიკურ რეალობას მიიჩნევს და ადამიანის სამართლებრივ ემოციებს აღიარებს.

ამ თეორიის თანახმად სამართლებრივი ემოციები იმპერატიულ-ატრიბუტული ხასიათისაა და ორად იყოფა:

- ა) სახელმწიფოს მიერ დადგენილი პოზიტიური უფლების განცდა;
- ბ) ინტუიციური პირადი უფლების განცდაა. სწორედ ინტუიციური უფლება გახლავთ ადამიანის ქცევის განმსაზღვრელი და ამიტომ განიხილება, როგორც რეალური, ნამდვილი უფლება.

¹ Петражицки Л.И. Теория права и государства в связи с теорией нравственности СПб Т. 1 1909 г.

დადებითი აქ არის ის, რომ თეორია ყურადღებას ამახვილებს სამართლებრივი სისტემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს, ფსიქოლოგიურ მხარეზე. შეუძლებელია მოამზადო და გამოცე კანონი საზოგადოების სამართლებრივი კულტურისა და ცნობიერების დონის შესწავლის გარეშე. არ შეიძლება კანონის გამოყენება ინდივიდის ფსიქოლოგიური თავისებურებების გაუთვალისწინებლად.

ვფიქრობთ, რომ არა გვაქვს საფუძველი უარყოთ ფსიქოლოგიური ფაქტორის გავლენა სამართლის წარმოშობასა და ფუნქციონირებაზე, მაგრამ კიდევ უფრო ნაკლებია საფუძველი იმის, რომ მის პირველ მიზეზად ადამიანთა ფსიქიკური განცდები მივიჩნიოთ.

ნორმატივიზმის თეორიის მამამთავარს ჰანს კელზენს (1881-1913) რუს იურისტ ნოვგოროდცევს (1886-1924), გერმანელ რუდოლფ შტამლერს (1856-1938) სამართალი თვით სამართლიდან გამოჰყავდათ. სამართალი, ამტკიცებდნენ ისინი, არ ექვემდებარება მიზეზობრივ პრინციპს, საკუთარ თავში იძენს ძალას და მოქმედების უნარს. კელზენისათვის სამართლის წარმოშობის მიზეზები საერთოდ არ არსებობდა. და ჩამოაყალიბა ე.წ. „სამართლის წმინდა თეორია“.

„სამართლის წმინდა თეორია არის მოქმედი (პოზიტიური) სამართლის თეორია, ე.ი. თეორია, რომლის კვლევის საგანია მოქმედი სამართალი.“¹ კელზენის „წმინდა“ თეორია ემიჯნება ყველა ბუნებით და სოციალურ მოვლენას, „ასუფთავენს“ მას.²

ნორმატივიზმის თეორია ეფუძნება შეხედულებას, რომ სამართალი არის კანონებსა და სხვა ნორმატიულ აქტებში გამოხატულ ნორმათა ერთობლიობა, ხოლო სამართლის თეორია კი არსებული სამართლის კონცეპტუალური გააზრებაა. ამ კონცეფციების ავტორის პ. კელზენის აზრით, სამართალი წარმოადგენს იერარქიულ პირამიდას ლოგიკურად ურთიერთდაკავშირებული ელემენტებით, რომლის თავში „ძირითადი ნორმაა“. ყოველი ნორმის იურიდიული ძალა და კანონიერება დამოკიდებულია იურიდიული ძალის უფრო მაღალი ხარისხის მქონე „ზემ-

¹ ალ. ვაჩიშვილი. კელზენის მოძღვრება სამართალსა და სახელმწიფოზე იხ. ტფილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. IX და ტ. X 1929-1930 წწ. იხ. H. Kelsen Hauptprobleme der Staatsrechtslehre entwickelt aus der Lehre vom Rechtssatz Tubingen 1911; H. Kelsen der Soziologische und der juristische Untersuchung des Verhältnisses von Staat und Recht Tubingen 1928 . Келзен Г. Общая теория государства и права Кембридж 1964 Келзен Г. Общее учение о праве Вена 1967 г. H. Kelsen Rechtsphilosophie in der Krise Berlin 1976 H. Kelsen Hauptprobleme der Staatsrechtslehre entwickelt aus der Lehre vom Rechtssatz Tubingen 1911, s. 73. 1923 Kelsen Hauptprobleme der Staatsrechtslehre, 2Aufe; Tubingen; 1923.

² გ. ინწკირველი, სახელმწიფოს და სამართლის თეორია თბ., 1986 გვ. 99.

დგომ“ ნორმაზე პირამიდაში. ამ თეორიის ჩარჩოებში სამართლის გაგება შეიძლება გამოიხატოს შემდეგი სქემით:

ა) სამართალი არის ნორმატიულ აქტებში ჩამოყალიბებული ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთმოქმედი სისტემა;

ბ) სამართლის ნორმებს გამოსცემს სახელმწიფო. კანონში მოცემულია სახელმწიფო ნება;

გ) თვით სამართალს და მის რეალიზაციას, აუცილებლობის შემთხვევაში, უზრუნველყოფს სახელმწიფოს იძულებითი ძალა;

დ) ნორმებზეა დამოკიდებული სამართალურთიერთობების წარმოშობა, მართლშეგნების ჩამოყალიბება, სამართლებრივი ქცევა.

ნორმატივიზმის თეორია:

— იძლევა კანონმდებლობის სისტემის შექმნისა და სრულყოფის საშუალებას;

— უზრუნველყოფს კანონიერების განსაზღვრულ რეჟიმს;

— ხელს უწყობს სამართალზე, მოქალაქეთა მართლშეგნების ფორმალურ-ლოგიკურ საფუძველზე „ნორმატიული“ წარმოდგენის ფორმირებას;

— უზრუნველყოფს სამართლის ფორმალურ განსაზღვრას, რაც აფიქსირებს სუბიექტების უფლებებსა და მოვალეობებს, სახელმწიფო იძულების ზომებსა და საშუალებებს და ა.შ.

პროფ. გ. ინწკირველის აზრით, „ნორმატივისტები სამართალს განიხილავენ რეალური სინამდვილისაგან მოწყვეტით და აცხადებენ, რომ იგი მიეკუთვნება არა „არსობის“, არამედ „ჯერარსობის“ სფეროს, ე.ი. სამართალი ის კი არ არის, რაც არსებობს, არამედ ის, რაც უნდა არსებობდეს. კელზენის მიხედვით, სამართლის მეცნიერებას არ უნდა აინტერესებდეს არც სამართლის წარმოშობის მიზეზი, არც მისი დანიშნულება და შეფასება; ნორმატივისტები უგულვებელყოფენ ფაქტების სამყაროს. მათი აზრით, იურისპრუდენციის საგანს უნდა შეადგენდეს თვით ნორმები „წმინდა სახით“, მისი დაუსაბუთებულობისა და სამართლიანობის მხედველობაში მიუღებლად:

სამართლებრივი მოწესრიგების საკითხთანაა დაკავშირებული სამართლის მოქმედების თეორია.

სამართლის მოქმედების თეორიამ ფართო გავრცელება ჰპოვა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ჩამოყალიბდა ორი მიმართულება: პრაგმატისტული და რეალისტური.

სამართლის მოქმედების თეორიის პრაგმატისტული მიმართულების ფუძემდებელია როსკიე პაუნდი, რომელსაც მიაჩნდა, რომ სამართლის

მეცნიერების უმთავრესი ამოცანაა შეისწავლოს ის, თუ როგორ ფუნქციონირებს სამართლებრივი ნორმები და როგორ უნდა იქნეს კონსტრუირებული, რომ მისი მეოხებით შესაბამის შედეგს მივაღწიოთ. ე.ი. როგორია კომპრომისი იურიდიულ პრაქტიკასა და სამართლებრივ ნორმებს შორის. პაუნდის მტკიცებით, სამართლის თეორია ყოველთვის ემსახურებოდა სოციალური განვითარების კონკრეტულ მიზნებს. გამოკვლევაში „სამართლის ისტორიის ახსნა“ პაუნდი მიდის იმ დასკვნამდე, რომ სამართლის თეორია წარმოშვა სამართლის სტაბილურობასა და სამართლის განვითარებას შორის ჰარმონიის მიღწევის აუცილებლობის პრობლემამ. მისივე მტკიცებით, სამართლის თეორიის ცენტრია არა ზოგადად აბსტრაქტული საკანონმდებლო ნორმები, არამედ იურიდიული პრაქტიკა, კერძოდ სასამართლო და ადმინისტრაციული გადაწყვეტილებები, რომლებითაც იქმნება სისტემა. პაუნდს მიაჩნია, რომ სახელმწიფო ორგანოების ნებისმიერი საქმიანობა სამართლებრივია და მათი მოღვაწეობით იქმნება სამართალი, მაგრამ სამართლის ერთიანი გაგების ფარგლებში ის მაინც მიჯნავს სამართლის ორ მხარეს: სტატიკურს და დინამიკურს (სტაბილურობა და განვითარება).

სამართლის მოქმედების თეორიის მეორე მიმდინარეობა, რეალისტური. მსოფლმხედველობა იურისპრუდენციაში, დაამკვიდრა ამერიკელმა სოციოლოგმა და იურისტმა პოლმსმა, რომელსაც მალე გამოუჩნდნენ მიმდევრები გრეის, ლეველინის, დიურკჰეიმის და სხვათა სახით. მართალია, რეალისტური სკოლის წარმომადგენლებს პრობლემისადმი განსხვავებული მიდგომები გააჩნდათ, მაგრამ მათი საერთო პრინციპებია სამართლის გააზრება იმ მოვლენად, რომელიც საზოგადოებასთან ერთად მუდმივ მოძრაობაშია და იგი სისტემატურად უნდა იცვლებოდეს, რეალისტებისათვის სამართალი შედგება არა ზოგადსავალდებულო ქცევის წესების ერთობლიობისაგან, არამედ სასამართლოს ემპირიული გადაწყვეტილებებისაგან.¹ მოსამართლე ქმნის სამართალს. ის ადგენს უფლებასა და მოვალეობას.

სოლიდარიზმის თეორია XIX საუკუნის II ნახევარში ჩამოყალიბდა. ამ მოძღვრების ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენელი გახლდათ ფრანგი იურისტი ლეონ დიუგი (1859-1929 წ.წ.) სოლიდარიზმის მიხედვით, საზოგადოებაში ადამიანთა ურთიერთობა დამყარებულია ერთსულვნების პრინციპზე, რაც განპირობებულია „მოთხოვნილებათა ერთიანობით“ და შრომის განაწილებით. საზოგადოების წარმომადგენლები

¹ დაწ. იხ. ბ. საანელი, დასახ. ნაშრ. გვ. 63-69, თეორიების შეც. იხ. Теория государства и права. Хропанюк В. М. 1999 г. стр. 194.

განიხილებიან, როგორც ინდივიდები, საერთო სოციალური ინტერესებით და არა როგორც ამა თუ იმ კლასის თუ სოციალური ფენის ინტერესებით. რა თქმა უნდა, თავისთავად, სოლიდარობა და კლასობრივი ზავი, შეთანხმება საზოგადოებრივი მოვლენებია, მაგრამ სხვადასხვა სოციალური ფენის მატერიალურ მდგომარეობას შორის განსხვავება მხოლოდ ფორმალურ თანასწორობას უზრუნველყოფს. მაგრამ თუკი საზოგადოებაში დამყარდება რეალური თანასწორობა და საზოგადოების წევრთა უფლებების დაცვა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის შესაფერის ღონეზე დადგება, ლეონ დიუგის სოლიდარიზმის თეორია წინასწარმეტყველური აღმოჩნდება, —სამართლიანად აღნიშნავს გ. ინწკირველი.

სამართლის რეალისტური სკოლა, ანუ სოციოლოგიური მიმართულება, ყველაზე გავრცელებული სკოლაა თანამედროვე სამართლის მეცნიერებაში. მან ფართო გასაქანი კპოვა აშშ-ში. ამ სკოლას სხვადასხვა მიმართულებები გააჩნია, რომლებიც ხშირად არ თავსდება ერთმანეთში, მაგრამ მათთვის საერთოა პრაგმატიზმი - იდეალისტური მოძღვრება, რომელიც უარყოფს წარმოდგენას ჭეშმარიტებაზე როგორც ობიექტური სინამდვილის ასახვაზე და ჭეშმარიტების ერთადერთ კრიტერიუმად აცხადებს პრაქტიკულ სარგებლიანობას, მიზანშეწონილობას. ამ სკოლის ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელია რ. პაუნდი, რომელიც აღიარებს „ფაქტიურად დამყარებულ წესს“.

სამართლის სოციოლოგიური თეორია XIX საუკუნის შუა წლებში ჩაისახა. სოციოლოგიური იურისპრუდენციის ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენლები იყვნენ ლ. დიუგი,¹ ს. მურომცევი² ე. ეირლიზი, რ. პაუნდი. სოციოლოგიური თეორია სამართალს განიხილავს, როგორც ემპირიულ მოვლენას. უგულებელყოფს სამართლის ნორმატიულ ბუნებას, მისი ძირითადი პოსტულატი. „სამართალი ნორმაში ან ფსიქიკაში კი არა, არამედ რეალურ ცხოვრებაში უნდა ვეძიოთ“. სამართლის საფუძველში ძევს სახელმწიფოს მიერ დაცული საზოგადოებრივი ურთიერთობები. სამართალი არ აღიარებს კანონის ნორმებსა და სამართალცნობიერებას, თუმცა არც უარყოფს მათ, ნორმები და სამართალი კანონის ნიშნად გვევლინება, თვით სამართალი კი არის წესრიგი საზოგადოებრივ ურთიერთობებსა და ხალხის ქცევაში. სასამართლო და აღმინისტრაციული ორგანოები მოწოდებულნი არიან გამოავლინონ ასეთი წესრიგის არსი, გადაჭრან დავა ამა თუ იმ კონკრეტულ სიტუაციაში.

¹ Дюги Л. Общество личность, государство СПб 1904 г. Дюги Л Социальное право индивидуальное право и преобразование государства М., 1909 г.

² Муромцев. С. Определение и основное разделение права, М. 1879 г.

სოციოლოგიურ თეორია ხელს უწყობს შემდეგი პრობლემის გააზრებას:

ა) საზოგადოება და სამართალი განიხილება, როგორც მთლიანი, ურთიერთდაკავშირებული მოვლენა;

ბ) თეორია ამტკიცებს, რომ საჭიროა არა სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნორმების, არამედ საზოგადოებაში ჩამოყალიბებული სამართლებრივი ურთიერთობის შესწავლა;

გ) მოძღვრებაში განსაკუთრებით აღინიშნება სამართლის როლი როგორც სოციალური კონტროლისა და სოციალური თანასწორობის მიღწევის საშუალება, ფართოვდება სასამართლო ხელისუფლების ფუნქციები.

რეალისტური სკოლის წარმომადგენლები აფერმკრთალებენ სამართლისა და სამართლებრივი ნორმების მნიშვნელობას. ამ სკოლის აქტიური თეორეტიკოსები ფრენკელი და ლეველინი თვლიან, რომ რეალურად არსებობენ ფაქტები და მოვლენები, ადამიანთა მოქმედება და საქმიანობა, ე.ი. სამართალიც მხოლოდ მოსამართლეებისა და ადმინისტრატორების საქმიანობაა, მათ მიერ გამოტანილი კონსტრუქციული გადაწყვეტილებებია, რომელიც უკავშირდება არსებულ ფაქტებს და მოვლენებს, „რეალიზმს“.

პროფ. ივ. სურგულაძის აზრით, სამართლის თეორიები სხვადასხვა ეპოქის მიხედვით სხვადასხვა შინაარსისა იყო, მაგრამ საერთო ნიშანიც ჰქონდათ. რაც შეეხება ბუნებით სამართალს, სხვადასხვა ეპოქის წარმომადგენელთა შეხედულებებში საერთო იყო ის, რომ ბუნებითი სამართალი წარმოადგენს მარადიულ და უცვლელ იდეებს, ეს იდეები გამომდინარეობს თვით ადამიანის ბუნებიდან, ან ღვთის განგებიდან და არ შედის პოზიტიურ სამართალში, რომელიც ისტორიულად ცვალებადია. ბუნებითი სამართალი მალღა დგას პოზიტიურ სამართალზე. უკანასკნელი პირველის იდეებით უნდა ხელმძღვანელობდეს. პოზიტიურ სამართალს ქმნის ხალხი. ბუნებითი სამართალი, თავის მხრივ, სამართლიანობას წარმოადგენს. რასაკვირველია, ეს სამართლიანობა კლასობრივი შინაარსისაა და სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვანაირად არის გაგებული“.

ამრიგად, თანამედროვე ბუნებითი სამართლის იდეები გაგრძელებაა ანტიკური სამყაროს მოაზროვნეთა შეხედულებების. ძველი რომის რიტორებმა იცოდნენ ბუნებითი სამართალი ბუნებიდან გამომდინარე ნორმები, რითაც რეგულირდებოდა ადამიანთა და ცხოველთა ქცევის წესები. „ხალხთა სამართალი, რომელიც ბუნების მიერ ყველა ხალხისათვის არის დაწესებული და საერთოა ადამიანებისათვის; ცივილური სამართალი, რომელიც დაწესებულია ცალკეული ხალხისათვის (რომელიცისათვის)“¹

¹ ივ. სურგულაძე, საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, 1986 წ. გვ. 98

შუა საუკუნეებში ბუნებითი სამართალი აღიარებული იყო ღვთის სამართლის სახეობად. ბუნებითი სამართალი შემდგომ განვითარებას განიცდის ფეოდალიზმის რღვევისა და კაპიტალისტური ურთიერთობების ჩამოყალიბების ხანაში.

4. მეოთხე ეტაპი ცნობილია „აღორძინებული“ ბუნებითი სამართლის ანუ სამართლის ფილოსოფიის სახელწოდებით. იგი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ნორმატივიზმის ადგილს იკავებს, აღორძინებული ბუნებითი სამართლის სკოლის ნახტომის სახელითაც მოიხსენიებენ და იურიდიული პოზიტივიზმის საპირისპირო მიმართულებაა. მისი კვლევის ობიექტი გახდა სამართლის იდეა. ბ. სავანელის აზრით, თანამედროვე სამართლის ფილოსოფიამ კვლევა იმით დაიწყო, რომ ეცადა დაედგინა სამართლის იდეის პირველწყარო და მიიჩნია, რომ საკითხი იმის შესახებ, თუ რა უდევს საფუძვლად სამართლის იდეას, დღესაც სადავოა.¹

სამართლის იდეის საფუძვლად აღიარებული ერთი პირველწყარო არ არსებობს—არსებობს სხვადასხვა შეხედულებანი აღნიშნული საკითხისადმი.

აღორძინებული ბუნებითი სამართლის მომხრეები აღიარებენ, რომ კაცობრიობის ისტორიაში მუდამ არის განსაკუთრებულად ფასეული მუდმივად მოქმედი და უცვლელი ნორმები. ადამიანები თავიანთ ურთიერთობებში ხელმძღვანელობენ სახელმწიფოს მიერ დადგენილი პოზიტიური სამართლით, მაგრამ თუ გვსურს, რომ პოზიტიური სამართალი იყოს მართალი სამართალი, მისი დადგენისას კანონმდებელმა უნდა იხელმძღვანელოს სოციალური ფასეულობების მქონე მუდმივი და აუცილებელი ბუნებით სამართლის ნორმებით. ე.ი. არსებობს სამართლიანობის მუდმივი იდეა. მისგან განუყოფელია სამართლებრივი იდეა, რომელსაც ემყარება ბუნებითი სამართლის უმაღლესი პრინციპები.²

ამ თეორიას აქვს რამდენიმე მიმართულება. მათ შორის უფრო გავრცელებულია ნეოთომიზმი, ფენომენოლოგია, ეგზისტენციალიზმი და ჰერმენევტიკა.

ნეოთომიზმი (ჟ. ლაბენი, ვ. კატრაინი, ჟ. მარიტენი, რ. მარჩინი, ი. მესნერი და სხვები) გავრცელდა საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში ავსტრიაში, ბელგიაში, ესპანეთში, აშშ-ში, ლათინური ამერიკის ქვეყნებში, 1879 წელს რომის პაპმა თომა აქვინელის მოძღვრება კათოლიციზმისთვის ყველაზე უფრო ადეკვატურ მოძღვრებად გამოაცხადა.

¹ ბ. სავანელი, სამართლის თეორია, 1993 წ. გვ. 129

² მ. ცაცანაშვილი, დას. შრ. გვ. 14.

ნეოთომისტებმა შეიმუშავეს პოლიტიკურ-სამართლებრივი დოქტორინები, რომლებიც მოწოდებულნი არიან გააერთიანონ რელიგიური წარმოდგენები და თანამედროვე მეცნიერების მონაცემები. ღმერთი, როგორც პირველმიზეზი ყველაფრისა, არის ნეოთომისტური სამართლის ფილოსოფიის საფუძველი.

სამართლის ფენომენოლოგიური თეორიის წარმომადგენლები (ე. ჰუსერლი, ა. რაინახი და სხვები) პოზიტიური სამართლის საფუძველებს ხედავენ ეგრეთ წოდებულ „ეიდოსებში“, რომლებიც წარმოადგენენ „წმინდა არსებებს“, „იდეალურ იურიდიულ ფორმებს“, აპრიორულ „ნორმატიულ იდეებს“. „ეიდოსური“ სამართალი ბუნებითი სამართლის სპეციფიკური ანალოგია და წინ უსწრებს პოზიტიურ კანონმდებლობას.

სამართლის ეგზისტენციარული ფილოსოფია (ე. ფეხნერი, ვ. მაიხოფერი, გ. კონგი და სხვები) ყოველდღიური, ემპირიული განკერძოებული ყოფიერებისა და ადამიანის არსებობის, მის ეგზისტენციის დაპირისპირებას ეფუძნება. სამართალი ყოველდღიური ყოფიერების დონეზეა, პოზიტიური სამართალი როგორც ასეთი, რაღაცით ხელოვნურია. თავის სასიცოცხლო ძალას იგი იღებს ადამიანის ეგზისტენციიდან. ურთიერთკავშირი ეგზისტენციას, როგორც სამართლის საფუძველსა და ყოველდღიურ საზოგადოებრივ ყოფას შორის გამოიხატება კონკრეტული ცხოვრებისეული სიტუაციების უწყვეტ სერიაში, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია „მოსაზღვრე სიტუაციებს“. ამ სიტუაციებში ხდება ეგზისტენციის ზემოქმედება პოზიტიურ სამართალზე. შედეგად პოზიტიური სამართალი განიხილება როგორც შესაძლო ეგზისტენციული სამართალი.

ბუნებითი სამართლის პერმენენტული თეორიის მომხრეები (ა. კაუფმანი, ვ. ჰასემერი და სხვები) გამოდიან აბსოლუტური, უძრავი ბუნებითი სამართლის, აგრეთვე ბუნებით და პოზიტიურ სამართალს შორის დაპირისპირებულობის წინააღმდეგ. ბუნებით სამართალს ისინი განმარტავენ, როგორც ისტორიულად განვითარებად „მოცემული დროისათვის სამართლიან სამართალს“, ბუნებითი სამართალი გამომდინარეობს სამართლის იდეიდან, ანუ სამართლიანობიდან, რაც გულისხმობს ინდივიდთა ფორმალურ თანასწორობას, მათ უშიშროებას, თვითნებობის არარსებობას და ა.შ.¹

როგორც ვხედავთ, ბუნებითი სამართლის თეორიული საფუძველები ჯერ კიდევ ძველი საბერძნეთიდან და რომიდან იწყება, დემოკრიტეს, სოკრატეს, პლატონის სახელებს უკავშირდება და ასახავს თვით ადა-

¹ იხ. მეტრეველი, გ. დავითაშვილი, პოლიტიკურ და სამართლებრივი მოძღვრების ისტორია თბ., 1997 წ. გვ. 407-409.

მიანის ბუნებით განპირობებულ ზნეობრივ საწყისებს სამართალში. „კანონი, — ხაზს უსვამს დემოკრიტი, — ისწრაფვის დაეხმაროს ხალხის ცხოვრებას, მაგრამ ამის მიღწევა მას შეუძლია მხოლოდ მაშინ, როდესაც თვითონ მოქალაქეებს ბედნიერი ცხოვრება სურთ: კანონის მორჩილთათვის კანონი მხოლოდ მათი საკუთარი ზნეობრიობის მოწმობაა“¹ ბუნებითი სამართლის თეორიამ განვითარების რთული გზა განვლო, მისი პოპულარობა, გაფურჩქვნის პერიოდები ყოველთვის უკავშირდებოდა ხალხის სწრაფვას — შეცვალონ თავიანთი ცხოვრება უკეთესობისკენ — ეს აღორძინების ეპოქა, ბურჟუაზიული რევოლუციების ეპოქა და სამართლებრივი სახელმწიფოსკენ გადასვლის თანამედროვე ეპოქაცაა.

ბუნებითი სამართლის თეორია განამტკიცებს ადამიანის ბუნებით, განუყოფელი უფლებების იდეას;

— ამ თეორიის მეშვეობით შესაძლებელი გახდა სამართლისა და კანონის, ბუნებითი და პოზიტიური სამართლის გარჩევა ერთმანეთისაგან;

— იგი კონცეპტუალურად აერთიანებს სამართალსა და ზნეობას.

აქედან გამომდინარე, სამართლებრივ თეორიებს შორის ბუნებითი სამართალი ყვლაზე უძველესია, რომელსაც თავისი დასაყრდენი და ტრადიციები გააჩნია საქართველოში.²

სამართლის წარმოშობის მარქსისტული კონცეფცია თანმიმდევრულად მატერიალისტურია. მარქსიზმის მიხედვით, სამართლის ფესვები ეკონომიკაში, საზოგადოების ბაზისში ძევს. ამიტომ სამართალი არ შეიძლება ეკონომიკაზე მალლა იდგეს, იგი ეკონომიკური გარანტიების გარეშე ილუზიად იქცევა. ამასთან ერთად მარქსიზმი ასევე მყარად უკავშირებს სამართლის გენეზისს კლასებსა და კლასობრივ ურთიერთობებს, მასში მხოლოდ ეკონომიკურად გაბატონებული კლასის ნებას ხედავს, მაგრამ სამართალს უფრო ღრმა ფესვები აქვს, ვიდრე კლასებს, მისი წარმოშობა უფრო ღრმა, საერთო საზოგადოებრივი მიზეზებითაცაა განპირობებული.

ყველა ჩამოთვლილ თეორიებს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, მათი აღმოცენება და განვითარება საზოგადოების ბუნებრივი განვითარებით არის განპირობებული და ადამიანთან ცხოვრებაში სამართლის აუცილებლობაზე, მის სოციალურ ღირებულებასა და მართლშეგნებაზე მეტყველებს.

¹ Демокрит изд. Ленинград 1970 г. с. 361

² დაწ. იხ. ვ. გობჯანიძე, ნარკვევები ქართული საზოგადოებრივ პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან 1998 წ. გვ. 34

პირითადი თეორიები სამართლის წარმოშობის
შესახებ

თეოლოგიური თეორია
თომას აქვინელი

ბუნებითი სამართლის თეორია გროციუსი, სპინოზა, ჰობსი, ლოკი, ვოლტერი, მონტესკიე, რუსო, ლაიბნიცი, ვოლფი, პუფენდორფი, კანტი, ფიხტე, რადიშჩევი

სამართლის ისტორიული
სკოლა
გუსტავ ჰუგო, კარლ
სავინი, ფრიდრიხ ჰუხტა

სამართლის ფსიქოლოგიური
თეორია
ლ. პეტრაფიცი
ლ. კნაპი

ნორმატივიზმის თეორია
პ. კელზენი, პ. ნოვგოროდ-
ციევი, რ. შტამლერი

სოლიდარიზმის თეორია
ლეონ დიუგი

სამართლის მოქმედების
თეორია როსკიე ჰაუნდი,
ჰოლმსი, გრეი, დიურკჰეიმი

სამართლის რეალისტური
სკოლა ფრენკი, ლეველინი

სოციოლოგიური
მიმდინარეობა რ. ჰაუნდი,
ფრენკლი, ლეველინი

მარქსისტული თეორია
კარლ მარქსი,
ფრიდრიხ ენგელსი,
ვლადიმერ ლენინი.

თავი მეთექვსმეტი

სამართლებრივი მოწესრიგების პრობლემები

§1. სამართლებრივი მოწესრიგების სწავლა და საბანი

იურიდიულ ლიტერატურაში კარგა ხანია შემოვიდა და დამკვიდრდა სამართლებრივი მოწესრიგების მექანიზმის ცნება, როგორც ერთობლიობაში აღებული სამართლებრივ საშუალებათა ჯამი. ვიწრო გაგებით, იგი მოიაზრება, როგორც სამართლის ნორმების (სამართლებრივი ნორმების სისტემის) ზემოქმედება ადამიანთა ქცევასა და საზოგადოებრივ ურთიერთობებზე მათი მოწესრიგებისა და განვითარების მიზნით.

პირველ რიგში სამართლებრივი მოწესრიგების მნიშვნელობა უნდა გავიაზროთ, როგორც პოზიტიური ნორმების რეალიზაციის საშუალებებისა და ხერხების ერთობლიობა. ნორმატიულობა, ზოგადსაგალობელობა, ფორმალური განსაზღვრულობა, სახელმწიფო სამართლებრივი იძულებით უზრუნველყოფა შესაძლებელს ხდის, რომ სამართლებრივი ნორმები ადამიანისა და საზოგადოების ყოველდღიურ პრაქტიკულ ცხოვრებაში განვახორციელოთ.

სამართლებრივი მოწესრიგება არის იურიდიული მეთოდებით ხალხის ქცევასა და საზოგადოებრივ ურთიერთობებზე მიზანმიმართული სამართლებრივი ზემოქმედება.

ამ განსაზღვრებიდან გამომდინარეობს, რომ მოწესრიგება შეიძლება ეწოდოს მხოლოდ ისეთ ზემოქმედებას, როდესაც მიზანი საკმაოდ ნათლად და დასახული. მაგალითად, მიწის გამოყენების მოწესრიგების, მისი დაცულობის უზრუნველყოფის, მიწათსარგებლობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით გამოიცა კანონი მიწის შესახებ, რის შედეგადაც ხდება მიწასთან დაკავშირებული პრობლემების დარეგულირება, რასაც შეიძლება სამართლებრივი მოწესრიგება ვუწოდოთ.

თუ საკანონმდებლო აქტის ან მისი ნორმების ზემოქმედებით მიიღება გაუთვალისწინებელი შედეგები, რომლებიც ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მიზნებს, ასეთი ქმედება არ შეიძლება ჩაითვალოს სამართლებრივ რეგულირებად. თუ მიწის კანონმდებლობის ზემოქმედებით

გაიზარდა მიწის ნაკვეთების ფასი, გახშირდა მიწის თაობაზე სპეკულაციური გარიგებები მიწის მიტაცების, მისი არადანიშნულებით გამოყენების შემთხვევები, მაშინ მიწის შესახებ კანონის ნეგატიური გავლენა საზოგადოებრივ ურთიერთობებზე არ შეიძლება მივიჩნიოთ სამართლებრივ მოწესრიგებად, რადგანაც ამას არც კანონმდებელი ითვალისწინებდა და არ შეესაბამება სამართლის მიზნებს.

სამართლებრივ მოწესრიგებად არ შეიძლება ჩავთვალოთ ზემოქმედება, რომელიც სამართლებრივი გზით არ ხორციელდება. ასე მაგალითად, ზემოქმედება ხალხის ცნობიერებასა და ქცევაზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, პროპაგანდის, აგიტაციის და სხვა მეთოდებით.

უდავოა, რომ რეალურ ცხოვრებაში სამართლის სულიერი, იდეოლოგიური, ფსიქოლოგიური ზემოქმედება ურთიერთდაკავშირებულია და შეესაბამება სპეციალურ იურიდიულ სამართლებრივ მოწესრიგებას, რომელიც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრების სულიერ-ზნეობრივ, იდეოლოგიურ მხარეზე.

სამართალი არ აწესრიგებს ყველა საზოგადოებრივ ურთიერთობას და ვერც შეძლებს ამას. ამიტომ ზუსტად უნდა განისაზღვროს სამართლებრივი რეგულირების ფორმა და საგანი.

იმ შემთხვევაში, როცა სამართლებრივი მოწესრიგების სფერო შევიწროებულია, როდესაც არ გამოიყენება სამართლის შესაძლებლობები საზოგადოებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად, საზოგადოებაში ჩნდება განუკითხაობის, ქაოსის, განუჭვრეტელობის საშიშროება. როდესაც სამართლებრივი რეგულირების სფერო გაუმართლებლად გაფართოებულია, განსაკუთრებით ცენტრალიზებულ სახელმწიფოში, ძალისმიერი ზემოქმედებით, იქმნება ტოტალიტარული რეჟიმის განმტკიცების, ხალხის ქცევის გადამეტებული მოწესრიგების პირობები, რასაც საზოგადოების წევრთა სოციალური პასიურობისაკენ, უინიციატიურობისაკენ მიყვავართ.

სამართლებრივი მოწესრიგების სფეროში უნდა შედიოდნენ:

— ურთიერთობები, რომლებიც, საზოგადოების წევრების ინდივიდუალური და ზოგადსოციალური ინტერესებით არიან განსაზღვრული;

— ასეთ ურთიერთობებში ზდება მისი მონაწილეების ურთიერთინტერესთა რეგულირება, სადაც თითოეული მათგანი სხვისი ინტერესების დაქაფოფილების გამო ზღუდავს თავის ინტერესებს;

— ეს ურთიერთობები აიგება გარკვეული წესების სავალდებულოდ აღიარების საფუძველზე; რომელთა დაცვა განმტკიცებულია მოქმედი კანონმდებლობით.

მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ სამართლებრივი მოწესრიგების სფეროში შედის საზოგადოებრივი ურთიერთობების სამი ჯგუფი, რომელიც პასუხობს ჩამოთვლილ ნიშნებს.

პირველ ჯგუფში მოიაზრება ურთიერთობები, რომლებიც ღირებულებების (როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური) გაცვლის სფეროს განეკუთვნება. აქ ყველაზე უფრო ნათლად ვლინდება ქონებრივი ურთიერთობების სამართლებრივი მოწესრიგების აუცილებლობა, რადგანაც ქონების ურთიერთმისაღები გაცვლით დაინტერესებულთა მთელი საზოგადოება, თითოეული ადამიანი.

ეს ურთიერთობები აიგება საყოველთაოდ აღიარებული წესების საფუძველზე (მაგალითად, ფულადი ეკვივალენტით ქონების ღირებულების აღიარება); რომელთა საკვალდებულობა უზრუნველყოფილია სამართლებრივი იძულების სპეცილური აპარატის მოქმედების ძალით.

მეორე ჯგუფს ჰქმნიან საზოგადოების ძალისმიერი მართვის ურთიერთობები. სოციალური პროცესების მართვაში დაინტერესებულთა ადამიანიც და საზოგადოებაც. მართვა ხორციელდება როგორც ინდივიდუალური, ისე ზოგადსოციალური ინტერესების დასაკმაყოფილებლად და უნდა მოხდეს იძულების და დარწმუნების გზით. სამართლებრივი უზრუნველყოფის სფეროში შედის სახელმწიფოს მართვა სოციალური ამოცანების გათვალისწინებით.

მესამე ჯგუფში შედის მართლწესრიგის უზრუნველყოფელი ურთიერთობები, რომლებიც მოწოდებული არიან არეგულირონ ღირებულებათა გაცვლის პროცესებისა და საზოგადოების მართვის ნორმალური მიმდინარეობა. ეს არის ურთიერთობები, რომლებიც წარმოიქმნება ორ აღნიშნულ სფეროში ადამიანთა ქცევის მომწესრიგებელი ნორმების დარღვევის შედეგად.

ჩამოთვლილ ჯგუფებში შემავალი საზოგადოებრივი ურთიერთობები შეადგენს სამართლებრივი მოწესრიგების საგანს. ამ საზოგადოებრივმა ურთიერთობებმა თავისი ბუნების გამო შეიძლება განიცადოს ნორმატიულ-ორგანიზაციული ცვლილება და კონკრეტულ ისტორიულ პირობებში ოპერატიულ სამართლებრივ მოწესრიგებასაც საჭიროებს. საზოგადოებრივი ურთიერთობების ხასიათსა და შინაარსზე დამოკიდებულია სამართლებრივი რეგულირების ზერხები და საშუალებები, მაგალითად, ქონებრივი ურთიერთობები, ითხოვს სხვა სამართლებრივ საშუალებებსა და რეგულირების ზერხებს, ვიდრე ისინი, რომლებიც მმართველობითი ურთიერთობების მოწესრიგებისათვის გამოიყენება.¹

¹ Теория государства и права под ред В.М. Корелского и В.Д. Перевалова, М., 1998 г. ст. 260

§2. სამართლებრივი მოწესრიგების მეთოდები ლა ხერხები

სამართლებრივი მოწესრიგების სფეროში შემაჯავლი საზოგადოებრივი ურთიერთობების მრავალფეროვნების გამო გამოიყენება განსხვავებული იურიდიული ზემოქმედების სპეციალური მეთოდები და ხერხები.

იმ საზოგადოებრივი ურთიერთობების ხასიათი, რომლებიც სამართლებრივი ურთიერთობების საგანს წარმოადგენენ, განაპირობებს სამართლებრივი მოწესრიგების ინტენსიურობის ხარისხს და საშუალებას.

სამართლებრივი მოწესრიგების მეთოდი არის ადამიანთა ქცევაზე ხანგრძლივი ურთიერთობის შედეგად გამომუშავებული იურიდიული ზემოქმედების ხერხების და საშუალებების ერთობლიობა. სამართლებრივი რეგულირების საგანი გვიჩვენებს, თუ რას აწესრიგებს სამართალი, მეთოდი კი—როგორ აწესრიგებს მას. ამასთან მეთოდი აერთიანებს ობიექტურ და სუბიექტურ მხარეებს და საგანთან მიმართებაში დამატებითი (პროცესუალური) ხასიათისაა.

საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგებისას გამოიყენება სხვადასხვა სპეციალური მეთოდი: იმპერატიული, დისპოზიციური, ალტერნატიული, სარეკომენდაციო, წახალისების და ა.შ. მათი გამოყენება ურთიერთობის შინაარსზე, კანონმდებლის შეხედულებებზე, ჩამოყალიბებულ სამართალშეფარდებით პრაქტიკაზე, მოსახლეობის სამართლებრივი კულტურის დონეზე არის დამოკიდებული. დასახელებული მეთოდები შეიძლება მოქმედებდეს დამოუკიდებლად და ერთმანეთთან კავშირშიც.

წინა პარაგრაფში განხილული საზოგადოებრივი ურთიერთობის სამი ჯგუფიდან პირველი განსხვავებულია მეორე და მესამე ჯგუფისაგან. თუ პირველ ჯგუფში შედის ურთიერთობები ღირებულებების თანასწორუფლებიან მფლობელებს (მესაკუთრეებს) შორის, გამყიდველსა და მყიდველს შორის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაში, მეორე და მესამე ჯგუფებში ხელისუფლებასა და ქვეშევრდომებს შორის ურთიერთობები წარმოდგენილი. ეს დამახასიათებელია სახელმწიფო ორგანოსა და მასზე დაქვემდებარებულ თანამდებობის პირს შორის, სასამართლოსა და იურიდიულ პასუხისგებაში მიცემულ სამართალდამრღვევს შორის და ა.შ.

ამ განსხვავებების მიხედვით სამართლებრივი მოწესრიგების თეორიაში გამოიყოფა ზემოქმედების ორი ზოგადი ხასიათის მეთოდი:

საზოგადოებრივ ურთიერთობებში მოწესრიგების დეცენტრალიზებული მეთოდი მხარეთა ინტერესებისა და მიზნების კოორდინაციაზეა აკებული და სამოქალაქო საზოგადოების იმ სუბიექტების ურთიერთობებს აწეს-

რიგებს, რომლებიც, პირველ რიგში, აკმაყოფილებენ თავის კერძო ინტერესებს, ე.ი. აღნიშნული მეთოდი კერძოსამართლებრივი ხასიათის სფეროებში გამოიყენება.

ცენტრალიზებული, (მბრძანებლური) მოწესრიგების მეთოდი ეყრდნობა საზოგადოებრივ ურთიერთობებში მონაწილეთა შორის სუბორდინაციის პრინციპს. მისი მეშვეობით წესრიგდება ურთიერთობები, სადაც, როგორც წესი, პრიორიტეტული ზოგადსოციალური ინტერესია. სახელმწიფოებრივ-ორგანიზებულ საზოგადოებაში ზოგადსოციალურ ინტერესებს, პირველ რიგში, სახელმწიფო გამოხატავს, რომელიც ახორციელებს სოციალური პროცესების მართვას და რომელსაც მინიჭებული აქვს ძალისმიერი ზოგადმნიშვნელოვანი უფლებამოსილებანი: ამიტომ ცენტრალიზებული, იმპერატიული მეთოდები გამოიყენება საჯარო-სამართლებრივ დარგებში (კონსტიტუციური, ადმინისტრაციული, სისხლის სამართალი). რ. იერიხის აზრით, ძალა ზღუდავს თავის თავს ნორმით და გადადის სამართალში. პირველი საფეხური ამ პროცესისა, - აღნიშნავდა ალ. ვაჩიშვილი, არის ინდივიდუალური ბრძანება, გამოცემული ცალკე შემთხვევისათვის. მისი ძალა და შინაარსი ისაზღვრება მხოლოდ ამ შემთხვევით. მას აქვს გარდამავალი ხასიათი. როცა ისპობა ეს შემთხვევა, ისპობა ბრძანების ძალაც. ამ საფეხურზე ძალაუფლება მუდმივ მოძრაობაშია. სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ისტორიას არ დაუტოვებია ამ პირველი საფეხურის კვალი, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც ლოგიკურად ასე უნდა წარმოგიდგინოთ წინარესამართლის ბუნება წინარესახელმწიფოებრივ საზოგადოებაში. მეორე საფეხურს წარმოადგენს, —წერდა ალ. ვაჩიშვილი, —ცალმხრივსავალდებულო ნორმა: აქ ბრძანებას უკვე ზოგადი ხასიათი აქვს. ინდივიდუალური ბრძანების ადგილს იკავებს საერთო წესი, რომელიც ითვალისწინებს მრავალ კერძო შემთხვევებს.¹

რაც შეეხება სამართლებრივი რეგულირების ზერხებს, სამართლის ნორმებში დაფიქსირებული ვალდებულებების ხასიათით, ისინი ხალხის ქცევაზე ზემოქმედების ხარისხით განისაზღვრება. სამართლის თეორიაში გამოიყენება სამი ძირითადი ზერხი:

—სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეთათვის პირადი უფლებების მინიჭება (უფლებამოსილება)— უფლებამოსილი პირისათვის განსაზღვრული მოქმედებების განსახორციელებლად დასაშვები ქმედებების კომპლექსის დელეგირება (მაგალითად, დასაშვებია, რომ მესაკუთრეს შეეძლოს მისი კუთვნილი ნივთის ფლობა, სარგებლობა და განკარგვა);

¹ ალ. ვაჩიშვილი, სამართლის ზოგადი თეორია, თბ., 1926 გვ. 59.

—სამართლის მოთხოვნათა სახით რაიმე ქმედების დავალდებულება (მაგალითად, საცხოვრებელი სახლის მესაკუთრეს ეკისრება გადაიხადოს გადასახადი);

—აკრძალვა—გარკვეული მოქმედებისაგან თავშეკავების, მოვალეობის დაკისრება (მაგალითად, დაშვირებულს ეკრძალება ზეგანაკეთურ სამუშაოზე დააკაოს არასრულწლოვანები).

მეორე და მესამე ხერხებს გარკვეული მსგავსება აქვს —ერთიც და მეორეც მოვალეობების დაკისრებას ითვალისწინებს, მაგრამ ერთ შემთხვევაში მოვალეობები პოზიტიური, აქტიური ხასიათისაა, მეორეში —პასიური ხასიათის ატარებს.

სამივე ხერხი წინასწარ განსაზღვრულია სამართლის ფუნქციებით. არსებობს სამართლებრივი ზემოქმედების დამატებითი ხერხებიც. მათ შორის, იძულებითი ზომების გამოყენება (მაგალითად, ჩადენილი დანაშაულისათვის იურიდიული პასუხისმგებლობის დაკისრება). ეს ხერხი დამატებითს მიეკუთვნება, პირველ რიგში იმიტომ, რომ წარმოადგენს მოვალეობის სახეობას, მეორეც, ამ ხერხით ხდება მინიჭებული უფლების სათანადო შესრულების, დაკისრებული მოვალეობის, დაწესებული აკრძალვის დაცვის უზრუნველყოფა.

დამატებითი ხერხებია ნორმების გამაფრთხილებელი (პრევენტული) ზემოქმედებაც, რომელიც სამართლებრივი იძულების გამოყენებას ითვალისწინებს. კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის ნორმებს შეუძლიათ პრევენტული ზემოქმედება იმ პირებზე, რომლებსაც მიდრეკილება აქვთ დანაშაულისადმი.

სამართლებრივი მოწესრიგების (როგორც ძირითად, ისე დამატებით) ხერხებთან ერთად ცნობიერებაზე, ნებასა და, მაშასადამე, საზოგადოებაში ადამიანების ქცევაზე ურთიერთმოქმედებს გავლენის არაიურიდიული მეთოდებიც. ასეთია სამართლებრივი მოვალეობების ინფორმაციული ზემოქმედება. მათი მეშვეობით ხალხს მიეწოდება ინფორმაცია, რომელსაც ის თავის სასარგებლოდ იყენებს. ეს არის ინფორმაცია საზოგადოებრივ ცხოვრებაში შესაძლებელისა და აუცილებელის, იურიდიულად მნიშვნელოვანი ქცევის შედეგების შესახებ და ადამიანს საშუალებას აძლევს განჭვრიტოს თავისი და სხვისი ქცევა ცხოვრების იმ სფეროებში, რომლებსაც სამართლებრივი რეგულირება მოიცავს.

იურიდიულ ლიტერატურასა და პრაქტიკაში არსებობს ორი ფორმულა, რომელთა საფუძველზეც გამოიყოფა სამართლებრივი მოწესრიგების ორი სახე.

—დაშვებულია ყველაფერი, გარდა კანონით პირდაპირ აკრძალული-

სა. ამ ფორმულაზე აგებულია სამართლებრივი მოწესრიგების სანებართვო ურთიერთობები, რომლის მიხედვით სამართალი მოწესრიგებულ ურთიერთობებში მტკიცდება. როგორც წესი, აქ აკრძალვის მოცულობა არ არის დიდი, დაშვების მოცულობა კი განუსაზღვრელია: დაშვებულია ყველაფერი, რაც აკრძალული არ არის. მაგალითად, სამართალი საზოგადოების წევრებისათვის უშვებს მატერიალური სიკეთის გამრავლების ნებისმიერ საშუალებას გარდა კანონით პირდაპირ აკრძალულისა. ამ სახის სამართლებრივი მოწესრიგება ხელს უწყობს ინიციატივის, აქტივობის, დამოუკიდებლობის გამოვლენას ცხოვრებისეული ამოცანების გადაწყვეტას. იგი დამახასიათებელია ურთიერთობებისათვის, რომლებიც სამოქალაქო სამართლით წესრიგდება.

—სამართლებრივი რეგულირების მეორე ფორმულა სხვაგვარად ჟღერს: აკრძალულია ყველაფერი, გარდა პირდაპირ ნებადართულისა. ამით იგულისხმება, რომ ამგვარი სახის სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეს შეუძლია, შეასრულოს მხოლოდ კანონით დაშვებული ქმედება, ყველა დანარჩენი კი აკრძალულია. სამართლებრივი მოწესრიგების ამ სახეს ამკრძალავი ეწოდება, იგი ახასიათებს სამართლის იმ დარგებს, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფოს მართვასთან (ადმინისტრაციული სამართალი). აქ კანონში მითითებულია ზუსტი, მკაცრად შეზღუდული უფლებამოსილებების მოცულობა; ყველაფერი, რაც სცდება ძალაუფლების მქონე სუბიექტის კომპეტენციის ფარგლებს, კატეგორიულად იკრძალება.

სამართლის თეორიაში სამეცნიერო-პრაქტიკულ მიმოქცევაში შემოდის ტერმინი „სამართლებრივი რეჟიმი“.¹ ამ ტერმინით აღინიშნება სხვადასხვა იურიდიული საშუალებებისა და ხერხების მეშვეობით გარკვეული საზოგადოებრივი ურთიერთობების იურიდიული რეგულირების სპეციფიკა. როგორც წესი, საზოგადოებრივი ურთიერთობების სხვადასხვა სფერო სამართლებრივი რეგულირების ხერხების, მეთოდების, სახეების სხვადასხვაგვარ. შეხამებას ითხოვს. სამართლებრივი რეჟიმების თავისებურება შეიმჩნევა როგორც ყოველი დარგის შიგნით, ისე მთლიანად სამართლებრივ სისტემაში. სამართლებრივი რეჟიმი შეიძლება შეიცავდეს სხვადასხვა სახის ხერხს, მეთოდს, მათი სხვადასხვაგვარი გამოყენებით, როდესაც ერთს წამყვანი როლი ენიჭება, მეორეს კი—დამხმარე.

საკმაოდ ნათელია სამართლებრივი რეჟიმების განსხვავება იმ დარგებს შორის, რომლებიც საჯარო და კერძო სამართალს განეკუთვნება.

¹ Теория государства и права. М., 1998 г. ст. 265.

სამართლებრივი მოწესრიგების მეთოდების, ხერხებისა და ფორმების საკითხს თეორიულთან ერთად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს.

სამართლებრივი მოწესრიგების ამა თუ იმ ფორმის არჩევა დამოკიდებულია რეგულირებადი ურთიერთობების შინაარსზე, აგრეთვე რიგ სხვა პირობებზე, რომლებიც, ერთად აღებული, კანონმდებლობისაგან ითხოვენ ამ ურთიერთობებიდან აირჩიონ სწორედ ისეთი (არა სხვა) ხერხი იურიდიული აგებულებისა, რომ სამართლებრივი მოწესრიგება უფრო ეფექტური, მიზანშეწონილი გახდეს და ხელი შეუწყოს პროგრესს, სამართლებრივი საზოგადოების ჰუმანისტური იდეების ცხოვრებაში გატარებას.

§3. სამართლებრივი მოწესრიგების სტაბილიზაცია

სამართლებრივი მოწესრიგება დროში ხანგრძლივად მოქმედი პროცესია. იგი გულისხმობს ხალხის, ცალკეული სოციალური ჯგუფების აქტიურ მოღვაწეობას როგორც სამართლის ფორმირების, ასევე მისი ცხოვრებაში გატარებისას.

ხალხის ქცევასა და საზოგადოებრივ ურთიერთობებზე სამართლის ზემოქმედების პროცესი იწყება სამართლის მეშვეობით საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგების აუცილებლობისა და შესაძლებლობის გაცნობიერების მომენტიდან. იურიდიული მოთხოვნების არარსებობისა და ადამიანები ზოგიერთ პირობებში სამართლის მიხედვით ან მის საწინააღმდეგოდ მოქმედებენ. მაგალითად, სასაქონლო დეფიციტის დროს, ხალხი კანონით კი არ ახორციელებს ყიდვა-გაყიდვის გარიგებებს, არამედ ტრადიციულად, რაც ითვალისწინებს გამყიდველისა და მყიდველის უფლებას თვითონ განსაზღვრონ საქონლის ფასი. ტოტალიტარული პოლიტიკური რეჟიმის პირობებში ადამიანები, მიუხედავად მის მიმართ დამსჯელი იურიდიული სანქციების გამოყენების საშიშროებისა, იცავენ აზრის თავისუფლებისა და მისი გამოთქმის ბუნებით უფლებას.

სამართლის რეგულაციური ზემოქმედება ყველაზე თვალნათლივ და ეფექტიანად იწყება კანონშემოქმედი ორგანოების მიერ ნორმატიული აქტების გამოცემით. ნორმად ქცევა, მისთვის მკაცრი იურიდიული ფორმების მინიჭება არის სამართლებრივი მოწესრიგების პირველი სტადია, როდესაც იქმნება მისი ნორმატიული საფუძველი. ამ სტადიაზე სამართლებრივ სისტემაში შეყვანილი ნორმები საზოგადოებრივი ურთიერთობის მონაწილეებს განუსაზღვრავს უფლება-მოვალეობებს მათი სამართლებრივი სტატუსის შესტი დადგენის გზით.

მოქალაქის სამართლებრივი სტატუსი, უპირველეს ყოვლისა, განისაზღვრება კონსტიტუციური კანონმდებლობით, აგრეთვე სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებით. ორგანიზაციათა სამართლებრივი მდგომარეობას კი განსაზღვრავს ნორმატიული აქტები, რომლებიც აღგენენ მათ კომპეტენციას ანუ უფლება-მოვალეობების მოცულობას. კონსტიტუცია მოქალაქეს ან ორგანიზაციას ანიჭებს უფლებას, სასამართლოს წესით მოითხოვოს იმ ცნობების უარყოფა, რომლებიც ლახავენ მის პატივსა და ღირსებას. ამ ნორმით განსაზღვრულია საზოგადოების ნებისმიერი წევრის შესაძლებლობა—თავისი პატივისა და ღირსების დასაცავად მიმართოს სასამართლოს.

პირველ სტადიაზე ხორციელდება სამართლის ზოგადი, არაპერსონიფიცირებული, არაინდივიდუალიზებული ზემოქმედება. სამართლის ნორმები სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს აძლევს ორიენტაციას დასახული მიზნების მისაღწევად, აფრთხილებს სამართლებრივი მოწესრიგების სფეროში ადამიანთა ქცევის როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური მოსალოდნელი შედეგების დადგომის შესაძლებლობის შესახებ. სამართლის ნორმებში თითქოსდა პროგნოზირდება დაბრკოლებები საზოგადოების წევრთა სამართლებრივი ინტერესების დაკმაყოფილების გზაზე და აღინიშნება მათი დაძლევის შესაძლო სამართლებრივი საშუალებები.

ამის გარდა, პირველ სტადიაზე ხდება სამართლის ინფორმაციული შესაძლებლობების რეალიზება, აქტიური ზემოქმედება ცნობიერებაზე, ნებაზე, მაშასადამე, სამართლებრივი მოწესრიგების სფეროში ხალხის აქტიურ ქცევაზეც. სამართლებრივი მოწესრიგების მეორე სტადიაზე ხდება უფლება-მოვალეობების ინდივიდუალიზაცია და დაკონკრეტება. ნორმებით გათვალისწინებული ვითარების დადგომამდე, რომლებსაც იურიდიულ ფაქტებს უწოდებენ, ჩნდება ინდივიდუალური ურთიერთობები, რომელთა მონაწილეებს უჩნდებათ კონკრეტული უფლება-მოვალეობები. აქ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს „ენიჭებათ“ ქცევის უფლება, რომლებიც სამართლის ნორმებიდან და კონკრეტული სამართლებრივი პირობებიდან გამომდინარეობენ, ე.ი. ხდება მათი უფლება-მოვალეობების გამოიჯვანა.

ამ მეორე სტადიაზე კონკრეტულ ადამიანს ან ორგანიზაციას, რომლის ღირსება და პატივი შეილახა, კონსტიტუციის თანახმად უფლება აქვს სასამართლოს მიმართოს, სასამართლო ორგანო კი მოვალეა განსახილველად მიიღოს სარჩელი;

მეორე სტადია არის სამართლებრივი მოწესრიგების ელემენტების

აქტიური მოქმედების სტადია, რომელსაც სამართლებრივ ურთიერთობას უწოდებენ.

სამართლებრივი მოწესრიგების მესამე სტადია ხასიათდება სუბიექტების იმ უფლება-მოვალეობების რეალიზაციით, რომლებიც გააჩნიათ ურთიერთობის მონაწილეებს. მათ ამა თუ იმ სამართლებრივ მდგომარეობაში. მაგალითად, მოქალაქის ან ორგანიზაციის დარღვეული უფლებების აღდგენა მიღწეული იქნება, როდესაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნებული შემლახავი ინფორმაცია სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნება უარყოფილი, დაზარალებულს კი აუნაზღაურდება მორალური ზიანი და სხვა ზარალი.

უფლებათა და მოვალეობათა რეალიზაციის სტადია შეიძლება მოხდეს გახანგრძლივებულ სამართალურთიერთობებში (ქორწინება, საოჯახო, შრომითი ურთიერთობები). ამ სტადიაზე ხორციელდება სუბიექტების დარღვეული უფლებებისა და ინტერესების დაცვა, იხსნება დაბრკოლებები მათი მიღწევის გზაზე, ე.ი. ხორციელდება სამართალუზრუნველყოფელი, სამართალდაცვითი ფუნქციები.

§4. სამართლებრივი მონესრიგების მექანიზმები

სამართლის თეორიაში სამართლებრივ მექანიზმს უწოდებენ იურიდიულ საშუალებათა სისტემას (ხერხებს, მეთოდებსა და საშუალებებს), რომლის მეშვეობითაც ხორციელდება სამართლებრივი მოწესრიგება.

სამართლებრივი მოწესრიგების მექანიზმის ცნება საშუალებას გვაძლევს შევკრიბოთ და სისტემატიზაცია გავუკეთოთ საზოგადოებრივ ურთიერთობებზე სამართლებრივი ზემოქმედების იურიდიულ საშუალებებს, განვსაზღვროთ მათი ადგილი და როლი საზოგადოების სამართლებრივ სისტემაში.

სამართლებრივი მოწესრიგების მექანიზმების შემადგენელ ნაწილებს მიეკუთვნება: იურიდიული ნორმები, ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები, ოფიციალური ახსნა-განმარტების აქტები, იურიდიული ფაქტები, სამართალურთიერთობები, სამართლის რეალიზაციის აქტები, სამართალშეფარდებითი აქტები, სამართალცნობიერება, კანონიერება. თითოეული ამ ელემენტთაგანი ასრულებს მარეგულირებელ ფუნქციას, თავისი ხერხებით ზემოქმედებს ადამიანთა ქცევასა და საზოგადოებრივ ურთიერთობებზე.

სამართლის ნორმები გამოდის როგორც მოთხოვნა და როგორც

ქცევის ნიმუში, მოდელი სამართლებრივ ურთიერთობებში. ნორმა სამართლებრივი მოწესრიგების ამოსავალი ბაზაა, მასში მითითებულია, რა არის დაშვებული და ნებადართული, როგორია მათში დაფიქსირებული ნორმის მოთხოვნათა დაცვის ან დარღვევის მოსალოდნელი შედეგები. სამართლის ნორმები სამართლებრივი რეგულირების მთელი მექანიზმის საფუძველია. მისი ყველა ელემენტი გათვალისწინებულია სამართლის ნორმებით და ატარებს ნორმატიულ ხასიათს.

ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი, როგორც სამართლის ნორმების შემცველი დოკუმენტი, საზოგადოებრივი ურთიერთობის ამა თუ იმ ფორმის რეგლამენტაციის სამართლებრივი ურთიერთობის დამყარების შემდეგ ზემოქმედებს ადამიანთა ქცევაზე. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს მატერიალური სიკეთის (ქონება) გამოყენებისას სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობების მონაწილეთა სამართლებრივ მდგომარეობის დადგენის რეგლამენტირების რეჟიმს.

ოფიციალური ახსნა-განმარტების აქტი არის დოკუმენტი, რომელსაც გამოსცემენ სპეციალურად საამისოდ უფლებამოსილი ორგანოები (მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლო პლენუმი) და მათში განმარტებულია სამართლებრივი ნორმების შინაარსი.

იურიდიული ფაქტები არის სამართლის ნორმებით გათვალისწინებული სხვადასხვა გარემოებები, რომლებიც იწვევენ იურიდიულ შედეგებს: სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას.

სამართლებრივი ურთიერთობები სამართლის ნორმებში ჩადებული ქცევის კონკრეტულ და ინდივიდუალურ აქტებში გადაყვანის საშუალებაა. სამართლებრივი ურთიერთობების მეშვეობით რეალიზდება სამართალი, ეს არის სამართლის ნორმების მოთხოვნათა ადამიანთა ქცევაში შესისხლხორცების გზა.

სამართლის რეალიზაციის აქტები არის სამართლის სუბიექტების, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა ქმედებები სამართლის ნორმების ცხოვრებაში გასატარებლად. ასეთი მოქმედებებით ზორციელდება უფლებებით და მოვალეობებით გამოხატული შესაძლო ან აუცილებელი ქცევის ზომები.

კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები—საზოგადოებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად გამიზნული ინდივიდუალური სამართლებრივი რეგულირების აქტი (როგორც მოქმედება, ისე დოკუმენტი).

სამართლის ნორმის შეფარდების ყველაზე მკაფიო მაგალითია სასამართლოს გადაწყვეტილება კონკრეტულ იურიდიულ საქმეზე.

სამართალცნობიერება და კანონიერება სამართლებრივი რეგულირების მექანიზმის თავისებურ ელემენტს წარმოადგენს. ამ ელემენტების თავისებურება მათ არამატერიალურობაში მდგომარეობს. მაგრამ არამატერიალურობა მათ ხელს არ უშლის — ქმედითი გავლენა იქონიონ სამართლებრივი მოწესრიგების მთელ პროცესებზე. სამართლებრივი რეგულირების მექანიზმის ყველა ელემენტის მუშაობის ეფექტურობა სამართალცნობიერების დონესა და კანონიერების მდგომარეობაზეა დამოკიდებული.

სამართლებრივი მოწესრიგების მექანიზმის ელემენტები არა მხოლოდ სპეციფიკურად ზემოქმედებს საზოგადოებრივ ურთიერთობებზე, არამედ იურიდიულადაც. სამართლის ნორმები, კანონმდებლობის აქტები, სასამართლოების გადაწყვეტილება ხალხის ქცევასა და საზოგადოებრივ ურთიერთობებზე ახდენს ინფორმაციულ, ფსიქოლოგიურ, იდეოლოგიურ ზემოქმედებას, მათი გავლენით ყალიბდება ფსიქოლოგიური ქცევის მოტივები. სინამდვილეში სპეციალური იურიდიული და ზემოქმედების საშუალებები ადამიანთა ქცევაზე სხვადასხვა კომბინაციაში შეესაბამება არაიურიდიულ ურთიერთობებსაც.

სამართლის მოქმედების მექანიზმის საკითხებს დეტალურად სწავლობს სამართალმცოდნეობის ინსტრუმენტალისტური მიმართულება, რომელიც სამართალს განიხილავს, როგორც ინდივიდუალური და ჯგუფური სოციალური ამოცანების გადაწყვეტის ინსტრუმენტს.

სხვადასხვა იურიდიული ფორმებისა და საზოგადოებრივ ურთიერთობებზე ზემოქმედების საშუალებების ანალიზის შედეგად შეიძლება გავარკვიოთ, რომელი მათგანია ყველაზე ოპტიმალური და ეფექტიანი მოცემულ პირობებში, როგორ შედეგებს შეიძლება მივაღწიოთ ამა თუ იმ იურიდიული საშუალებების გამოყენებით.

სამართლებრივი მოწესრიგების მექანიზმის ცოდნა კანონმდებელს საშუალებას მისცემს ეფექტურად გამოიყენოს იურიდიული საშუალებები და ხერხები საზოგადოების განვითარების მოცემულ ეტაპზე სამართლის წინაშე მდგარი პრობლემების გადასაწყვეტად.

თავი მეჩვიდმეტი სამართლის ნორმები

§1. სამართლის ნორმის ცნება, მისი ნიშნები

თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაში სამართლის ნორმას განმარტავენ, როგორც ზოგადსავალდებულო ქცევის ფორმალურად განსაზღვრულ წესს, რომელიც დადგენილია ან სანქციონირებულია სახელმწიფოს მიერ, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია იძულებით ან დარწმუნებით და გამიზნულია საზოგადოებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად მათი მონაწილეების უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრის გზით. სამართლის ნორმებს ორ ჯგუფად, ტექნიკურ და სოციალურ ნორმებად ყოფენ.

ტექნიკური ნორმები აწესრიგებენ ადამიანის ზემოქმედებას ბუნებაზე. სოციალური ნორმები კი ადამიანთა ურთიერთობებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.¹

შეიძლება გამოვყოთ სამართლებრივი ნორმების შემდეგი არსებითი ნიშნები:

—სამართლის ნორმები სახელმწიფოს წარმოშობის თანმხვედრი მოვლენებია. მათი არსებობა იწყება პირველყოფილი თემური წყობილების რღვევისა და საზოგადოების სოციალურად განსხვავებულ ფენებად დაყოფის შემდეგ.

—სამართლის ნორმა არის უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრის ფორმა. უფლება-მოვალეობები აქ გამოდის სამართლის სუბიექტების მოქმედების ფარგლების აღმნიშვნელი ორიენტირების სახით, რადგან ადამიანებსა და სახელმწიფოს ორგანიზაციებს შორის ურთიერთობების რეალური მოწესრიგება ხორციელდება სწორედ ერთისათვის უფლების მინიჭებისა და მეორისათვის მოვალეობების დაკისრების მეშვეობით. ყველაზე უფრო ნათლად მიმნიჭებულ-დამკისრებელი ხასიათი გამოხატულია რეგულაციურ ნორმებში, უფრო ნაკლებად—სპეციალურ (დეკლარაციულ, დეფინიციურ) ნორმებში. სამართლებრივ ურ-

¹ დაწ. იხ. გ. ინწკირველი, სახელმწიფოს და სამართლის თეორია, თბ., 1999 წ. გვ. 114-115.

თიერთობებში მონაწილე სუბიექტებს უფლებები და ამასთან მოვალეობები გააჩნიათ. არ შეიძლება უფლებები მოვალეობების გარეშე იყოს და არ არსებობს მოვალეობები უფლებების გარეშე. ეს არის ნებისმიერი სამართლებრივი სისტემის აგებისა და ფუნქციონირების ერთ-ერთი პრინციპი;

—სამართლის ნორმა წარმოადგენს ზოგადი ხასიათის ქცევის წესს, ანუ იგი:

ა) რომელიმე კონკრეტულ შემთხვევას კი არ ეხება, არამედ გულისხმობს მრავალჯერ გამოყენებას;

ბ) აწესებს კონკრეტული ინდივიდისათვის სავალდებულო მოქმედების ფარგლებს;

გ) საერთოა ყველასათვის, ეს ეხება სხვადასხვა პირს ან ორგანოს, ვინც მისი მოქმედების სფეროში აღმოჩნდება;

—ეს არის ქცევის ფორმალურად განსაზღვრული წესი. ნორმის შიდა განსაზღვრულობა ვლინდება შინაარსში, უფლებებისა და მოვალეობების მოცულობაში, მკაფიო მოთხოვნებში მისი დარღვევის შედეგების თაობაზე. გარე განსაზღვრულობა იმაში მდგომარეობს, რომ ნებისმიერი ნორმა განმტკიცებულია ოფიციალურ დოკუმენტში—ნორმატიულ-სამართლებრივ აქტში—მუხლში, თავში, კარში;

—სამართლის ნორმა არის სავალდებულო ქცევის წესი, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფოებრივი იძულებით, რაც მოქალაქეთა უფლებებისა და მართლწესრიგის დარღვევის შემთხვევაში სამართლის მოქმედითობის ერთ-ერთი მთავარი გარანტიაა და აქვს სისტემურობის თვისება. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ სამართლის ნორმის სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია რიგ ფაქტორებზე, რომელთა ახსნა საშუალებას მოგვცემს ზუსტად განვსაზღვროთ ნორმის ადგილი სამართლებრივ სისტემაში, გავიგოთ ნორმატიული მოწესრიგების მნიშვნელობა პიროვნებისა და საზოგადოებისათვის.

უპირველეს ყოვლისა, უნდა დაინახოთ სამართლებრივი ნორმის ბუნებითი განპირობება, როგორც სოციალური ფენომენი (სოციალური ასპექტი). იმ რეალური მოვლენებისა და პროცესების დახასიათება, რომელთანაც საქმე აქვს ადამიანს, რაც სოციალური სამყაროს ყველაზე არსებითი თვისებაა. ზოგადსოციალურ ჭრილში სამართლებრივი ნორმა გამოდის შემდეგი სახით:

ა) ადამიანთა ქცევის სამართლიანი მასშტაბი, საზოგადოებრივი ავტორიტეტით, სოციალური ძალით და საზოგადოებაში გაბატონებული წარმოდგენებით აუცილებლობისა და მართებულის შესახებ;

ბ) გამეორებადი ფაქტობრივი საზოგადოებრივი ურთიერთობების ტიპიური ანაბეჭდი;

გ) უმრავლესობის ინტერესების გამოხატვის ფორმა. ინდივიდუალურ-სოციალურ ჭრილში სამართლის ნორმა არის პიროვნების ინტერესების, უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის საშუალება და, იმავედროულად, აუცილებლობის შემთხვევაში თავისუფალი ქცევის შეზღუდვის საშუალებაც.

და ბოლოს, აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ სამართლის ნორმა არის ადამიანის ინტელექტუალური, შეგნებული მოღვაწეობის შედეგი, რომლის გონებას და ნებას აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს (ინტელექტუალურ-იდეოლოგიური ასპექტი). ამიტომ სამართლის ნორმა არ შეიძლება ჩავთვალოთ ზოგადად. მსოფლიო წესრიგის ნაწილად ან საზოგადოებრივი ურთიერთობების დანამატად. მისი შექმნა ყოველთვის წარმოადგენს ურთულეს აზრობრივ-მოღვაწეობით პროცესს, რომელშიც კონკრეტული ადამიანებისა და სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ინტერესები ერთიანდებიან ან ეწინააღმდეგებიან და ამ (ეკონომიკურ, პოლიტიკურ, იდეოლოგიურ, რელიგიური) წინააღმდეგობების შეცნობას, შესწავლას და მათი მოგვარების მცდელობას საბოლოოდ მიუყვართ ისეთი სამართლებრივი ნორმების შემუშავებისაკენ, როგორცაა:

ა) ადამიანთა ნორმალური ცხოვრების მოწესრიგების საშუალება, რომელიც კომპრომისული და მისაღებია ამ დროისა და საზოგადოებისათვის;

ბ) სოციალური სინამდვილის განზოგადებული ინფორმაცია;

გ) შემეცნებითი მოღვაწეობის შედეგი;

დ) ადამიანებს შორის წინააღმდეგობების (დავების) გადაჭრის კონკრეტული საშუალება.

და კიდევ, სახელმწიფოს ისტორიული ტიპის ცვალებადობასთან ერთად იცვლება საზოგადოებაში ნორმატიული რეგულირების მთელი სურათი. თანდათანობით საზოგადოების მეტი ნაწილი ექცევა სახელმწიფოს მიერ სანქციონირებული და მიღებული სამართლებრივი ნორმებით განსაზღვრულ ურთიერთობაში.

ამგვარად, სამართლის ნორმას აქვს ბუნებით-ისტორიული სათავეები, რომელიც სოციალურად განპირობებულია და ადამიანის მოღვაწეობის შედეგს წარმოადგენს. იგი ასახავს შესაბამისობას ინდივიდსა და საზოგადოებას შორის, გამოდის, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი.

სამართლებრივად შეიძლება მივიჩნიოთ ისეთი ნორმები, რომლებიც: ისტორიულად ჩამოყალიბდნენ და ჩვენ დრომდე მოაღწიეს წეს-ჩვეულებების, ტრადიციების, პრეცედენტების სახით, არ ეწინააღმდეგებიან ზოგადჰუმანურ იდეალებს და აღიარებს სახელმწიფო; გამოძინარეობენ უშუალოდ საზოგადოებისაგან (ქვეყნისაგან), ტერიტორიული წარმონაქმნისაგან და გამოხატავენ მთელი მოსახლეობის ან მისი უმრავლესობის ნებას, ე.ი. კონსტიტუციურია ან საყოველთაო სახალხო არჩევნების (რეფერენდუმის) გზით არის მიღებული და არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო-სამართლებრივ აქტებს, რომლებიც დადებულია სამართლის სუბიექტებს შორის მოქმედი კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებით.


§2. სამართლებრივი ნორმების სახეები

საზოგადოებრივი ურთიერთობების სიძრავლე განაპირობებს სამართლებრივი ნორმების მრავალფეროვნებას. იმისათვის, რომ განვსაზღვროთ ამ ნორმების საერთო და განმასხვავებელი ნიშნები, დავადგინოთ მათი ადგილი და როლი, საჭიროა ნორმათა კლასიფიკაცია, რომლის საფუძვლები შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს:

—სამართალშემოქმედების სუბიექტების მიხედვით განასხვავებენ სახელმწიფოსა და უშუალოდ სამოქალაქო საზოგადოებისათვის მისაღებ ნორმებს. პირველ შემთხვევაში ეს არის წარმომადგენლობითი სახელმწიფო ხელისუფლების, აღმასრულებელი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ნორმები (იმ ქვეყნებში, სადაც ადგილი აქვს პრეცედენტს); მეორე შემთხვევაში ნორმებს ადგენს უშუალოდ კონკრეტული ტერიტორიული წარმონაქმნის (სოფლის კრება და ა.შ.) ან მთელი ქვეყნის მოსახლეობა (საყოველთაო სახალხო რეფერენდუმი). ასე მაგალითად, 1991 წლის 31 მარტს საყოველთაო არჩევნების შედეგად საქართველოს მოქალაქეებმა გამოაცხადეს ქვეყნის დამოუკიდებლობა;

—სოციალური დანიშნულებითა და როლით სამართლებრივ სისტემაში ნორმები შეიძლება იყოს: დამფუძნებელი (ნორმები-პრინციპები), რეგულაციური (ნორმები მომწესრიგებელი), დამცავი (ნორმები აღმჭურველი), უზრუნველყოფილი (ნორმები-გარანტიები), დეკლარაციული (ნორმები-განცხადებები), დეფინიციური (ნორმები-განსაზღვრებანი), იმპერატიული (ნორმები —ინსტრუმენტები) კოლიზიური ნორმები (დაწ. იხ სქემა).¹

¹ Общая теория права и государство, под. ред. П. В. Лаврова, М., 1996 г. с. 146-150
Теория государства и права Хропанюк В. М., 1999, ст. 232-234.



დამფუძნებელი ნორმები ასახავს საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების, ადამიანის სამართლებრივი მდგომარეობის, სახელმწიფოს საქმიანობის საწყისებს, ამაგრებს სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობის საფუძვლებს, საზოგადოების სამართლებრივი სისტემის მშენებლობის ფუძემდებლურ იდეებსა და პარამეტრებს. ისინი წარმოადგენენ ეტალონს, რომელიც საშუალებას იძლევა—დავადგინოთ კონკრეტული სამართლებრივი მოთხოვნების, მიზნებისა და საშუალებების შესაბამისობა საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურ კანონზომიერებებთან. ეს კონსტიტუციური ნორმები კანონმდებლობით, კოდექსებით არის გამყარებული, მაგალითად, კონსტიტუციის მე-13 მუხლის ნორმა გვაუწყებს: „საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს განურჩევლად მისი ადგილსამყოფელისა“¹ რეგულაციური ნორმები მიმართულია უშუალოდ იმ ფაქტიური ურთიერთობების მოსაწესრიგებლად, რომლებიც ჩნდება სხვადასხვა სუბიექტებს შორის მათთვის უფლებების მინიჭების და მოვალეობების დაკისრების გზით. უფლებებისა და მოვალეობების ხასიათიდან გამომდინარე განასხვავებენ რეგულაციური ნორმების სამ ძირითად სახეობას: უფლების მიმნიჭებელი (რომლებიც თავის ადრესატს ანიჭებენ დადებითი მოქმედების შესრულების უფლებას); მავალბელი (რომლებიც შეიცა-

¹ იხ. საქართველოს კონსტიტუცია. თბ., 1995 წ. გვ. 9
298

ვენ მოვალეობას—შეასრულონ გარკვეული დადებითი მოქმედება); ამკრძალავი (რომლებიც კრძალავენ იმ მოქმედებასა და ქცევას, რომლებიც კანონით განსაზღვრულია, როგორც სამართალდარღვევა). რეგულაციური ნორმების თავისებურებაა ის, რომ მათ მკაფიოდ გამოხატული აღმჭურველ-მავალბელი ხასიათი აქვთ. დამცავი ნორმები აფიქსირებს სახელმწიფო იძულების ზომებს, რომლებსაც იყენებენ სამართალდარღვევისას. ისინი, აგრეთვე, განსაზღვრავენ სასჯელისაგან გათავისუფლების პირობებსა და წესს.

როგორც რეგულაციური, ისე დამცავი ნორმები მიმართულია მისი ფუნქციების განსაზღვრისაკენ. მათში აისახება რეგულირების ხერხები.

უზრუნველყოფელი ნორმები შეიცავს მოთხოვნებს, რომლებიც სამართლებრივი რეგულირების პროცესში უფლებებისა და მოვალეობების განხორციელების გარანტიას იძლევა. მათი სოციალური ღირებულება დამოკიდებულია იმაზე, რამდენად უწყობენ ხელს სამართლის დაუბრკოლებელი რეალიზაციის მექანიზმებისა და კონსტრუქციების შექმნას. ეს ნორმები შეიძლება განთავსდეს ერთმანეთთან დაკავშირებულ სხვადასხვა ნორმატიულ აქტებში.

დეკლარაციული ნორმები ჩვეულებრივ შეიცავს პროგრამული ხასიათის დებულებებს, განსაზღვრავს საზოგადოებრივი ურთიერთობების ცალკეული სახეების სამართლებრივი რეგულირების ამოცანებს, ნორმატიულ განცხადებებს.

დეფინიციური ნორმები აყალიბებს ამა თუ იმ სამართლებრივი მოვლენებისა და კატეგორიების განსაზღვრებას (სისხლის სამართლის კანონმდებლობაში დანაშაულის, სამოქალაქო სამართალში გარიგებების და ა.შ. ცნებები).

იმპერატიული ნორმები ადგენს ნორმატიული აქტის ძალაში შესვლის, მისი მოქმედების შეწყვეტის თარიღებს და ა.შ.

კოლიზიური ნორმები მოწოდებულია თავიდან აიცილოს სამართლებრივ მოთხოვნებს შორის წარმოქმნილი წინააღმდეგობები;

—სამართლებრივი რეგულირების საგნის მიხედვით განასხვავებენ: კონსტიტუციურ, სამოქალაქო, სისხლის სამართლის, აღმინისტრაციულ, შრომით და სხვა დარგის სამართლის ნორმებს. დარგობრივი ნორმები შეიძლება იყოს მატერიალური და პროცესუალური — პირველი სუბიექტების ქცევის წესებია, მეორენი შეიცავენ მოთხოვნებს, რომლებიც ადგენენ ამ წესების გამოყენების პროცედურას;

—სამართლებრივი რეგულირების მეთოდის მიხედვით გამოიყოფა: იმპერატიული, დისპოზიციური, სარეკომენდაციო ნორმები.

იმპერატიული ნორმები მკაცრი, მბრძანებლურ-კატეგორიულია და არ უშვებს გადახრას რეგულირებად ქცევაში. ეს, როგორც წესი, ადმინისტრაციული სამართლის ნორმებია.

დისპოზიციური ნორმებისათვის დამახასიათებელია ავტონომიური ხასიათი, რომელიც მხარეებს (მონაწილეებს) საშუალებას აძლევს თვითონ მოილაპარაკონ უფლება-მოვალეობების მოცულობის, რეალიზაციის პროცესის საკითხებზე, ან გარკვეულ შემთხვევებში გამოიყენონ სარეზერვო წესი, ისინი უპირატესად სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში ხორციელდებიან.

სარეკომენდაციო ნორმები ადგენს სახელმწიფოსათვის სასურველი ქცევის ვარიანტებს და, ჩვეულებრივ, გამიზნულია არასახელმწიფო დაწესებულებებისათვის.

— მოქმედების სფეროს მიხედვით იკვეთება ხასიათის შეზღუდული მოქმედებისა და ლოკალური ნორმები.

ზოგადი ხასიათის ნორმები ფუნქციონირებს სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე და სავალდებულოა ყველა მოქალაქისათვის;

შეზღუდული მოქმედების ნორმებს აქვს ტერიტორიული, დროის, სუბიექტური ფაქტორებით განპირობებული საზღვრები; ეს არის იმ (ავტონომიური) რესპუბლიკების უმაღლესი ხელისუფლების ორგანოების მიერ გამოცემული ნორმები, რომლებიც ქვეყნის შემადგენლობაში შედიან;

ლოკალური ნორმატიული ნორმები მოქმედებს ცალკეული საზოგადოებრივი ან კერძო სტრუქტურების ჩარჩოებში;

— სამართლის ნორმების კლასიფიკაცია ხდება, აგრეთვე, დროის (მუდმივი და დროებითი), პირთა წრის მიხედვით (სავალდებულოა ყველასათვის, ვინც ექვემდებარება მათ მოქმედებას, ან სუბიექტების მკაფიოდ მონიშნული ჯგუფისათვის: სამხედრო მოსამსახურეები, რკინიგზელები და სხვა).

§3. სამართლის ნორმის სტრუქტურა


სამართლის ნორმა, ერთი შეხედვით, მარტივი სახის უჯრედს წარმოადგენს სამართლის სისტემაში, სინამდვილეში იგი ყველაზე რთული კონსტრუქციის იურიდიული მოვლენაა, რომელიც საზოგადოებრივი განვითარების პროცესში ჩამოყალიბდა და ასახავს ადამიანთა სწრაფვას—შემეცნებისა და სამართლებრივი სინამდვილის ათვისების თვალსაზრისით ტრადიციულად ითვლება, რომ სამართლის ნორმა სა-

მი ელემენტის — ჰიპოთეზის, დისპოზიციისა და სანქციისაგან შედგება.¹

ჰიპოთეზა მიუთითებს კონკრეტულ რეალურ გარემოებებზე (პირობებზე), რომელთა არსებობისას ხდება ნორმის რეალიზება. ე.ი. როდის უნდა შეეფარდოს ესა თუ ის ნორმა და როდის უნდა დატოვდეს ამ ურთიერთობის მონაწილეებს ნორმით დადგენილი უფლებები და მოვალეობები. ნორმაში აღნიშნული გარემოებების რაოდენობაზე დამოკიდებულია ჰიპოთეზის სიმარტივე და სირთულე, აქედან გამომდინარე, ჰიპოთეზა შეიძლება იყოს ზოგადი ან აბსტრაქტული, კონკრეტული ან კაზუალური, მარტივი და რთული.

¹ „იურიდიულ ლიტერატურაში სხვადასხვა შეხედულებებია გამოთქმული სამართლის ნორმის სტრუქტურის თაობაზე. თეორეტიკოსთა უმრავლესობა იზიარებს მოსაზრებებს ნორმის-სამელემენტოვან შემადგენლობაზე, ნაწილი თვლის, რომ ნორმას მხოლოდ ორი ელემენტი აქვს — ჰიპოთეზა, დისპოზიცია, ხოლო სანქცია, სახელმწიფოებრივი იძულება, საერთოდ სამართლის არსებობის ან განხორციელების წინაპირობაა და არა ნორმის ელემენტი. იხ. გ. ინწკირველის „სახელმწიფოსა და სამართლის თეორია“, თბ., 1993 წ. გვ. 126.

სამართლის ნორმის სტრუქტურა



ზოგადი, ანუ აბსტრაქტული ჰიპოთეზა ნორმის გამოყენების პირობებსა და გარემოებებს განსაზღვრავს საერთო, გეაროვნული ხასიათის ნიშნებით და შეეხება მოცემული ნორმით მოსაწესრიგებელ ურთიერთობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ერთგვაროვან შემთხვევებს. საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 27-ე მუხლში ლაპარაკია ადმინისტრაციის უფლებაზე დროებით გადაიყვანოს მუშაკი სხვა სამუშაოზე „საწარმოო აუცილებლობის“¹ შემთხვევაში. ეს ზოგადი ჰიპოთეზაა, ვინაიდან საწარმოო აუცილებლობის ნიშნით შეიძლება წარმოდგენილი იქნეს სხვადასხვა შემთხვევა.

კონკრეტული, ანუ კაზუალური ჰიპოთეზა ნორმის გამოყენების პირობებსა და გარემოებებს განსაზღვრავს ინდივიდუალური ხასიათის ნიშნებით და შეეხება მხოლოდ ერთ კონკრეტულ შემთხვევას (კაზუსს). კაზუალურ ჰიპოთეზას შეიცავს, მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საქორწინო და საოჯახო ნაწილში მოცემული ნორმა: „თუ მეუღლეთა შორის არის დავა ან მეუღლეებს ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები, განქორწინების საქმეს განიხილავს სასამართლო“² მუხ. 1126 კონკრეტული ჰიპოთეზა გააჩნია, აგერთვე. საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 138 მუხლს: „თუ დისციპლინური სასჯელის დადების დღიდან ერთი წლის განმავლობაში მუშას ან მოსამსახურეს არ დაედება ახალი დისციპლინური სასჯელი, იგი ჩაითვლება ისეთ პირად, რომელსაც დისციპლინური სასჯელი არ ჰქონია დადებული“.³

მარტივი ჰიპოთეზა მიუთითებს ერთ რომელიმე პირობაზე ან გარემოებაზე, რომლის დადგომის შემთხვევაში ერთად უნდა მოხდეს ამ ნორმის გამოყენება. ასეთი ჰიპოთეზა აქვს ზემოაღნიშნულ ნორმას, სადაც მითითებულია, იმ შემთხვევაში, თუ ორივე მშობელს ჩამოერთმევა მშობლის უფლება, ბავშვებს მეურვეობა და მზრუნველობა უწესდებათ“⁴ (მუხ. 1275).

რთული ჰიპოთეზის დროს ნორმის გამოყენება უნდა მოხდეს ორი ან რამდენიმე პირობის ერთდროულად არსებობის შემთხვევაში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 260-ე მუხლში აღნიშნულია, რომ „თუ მოგირავენ სათანადოდ არ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, დამგირავენებს შეუძლია მოითხოვოს საგნის გადაცემა მესამე პირისათვის“. ამ შემთხვევაში როგორც ნორმის ჰიპოთეზიდან ჩანს, ერთდროუ-

¹ საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი. თბ., 2000 წ. გვ. 10
² საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997 წ. გვ. 282
³ იქვე, გვ. 55.
⁴ იქვე, გვ. 315

ლად არსებობს შემდეგი პირობები: რომ მოგირავენ არ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას და არსებობს საგნის მესამე პირისათვის გადაცემის შესაძლებლობა.

ალტერნატიულია ისეთი პიპოთეზა, რომელშიც აღნიშნული რამდენიმე პირობისაგან ერთ-ერთის დადგომაა საკმარისი, რათა ნორმა გამოყენებულ იქნას. ასეთ პიპოთეზას შეიცავს, მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 548-ე მუხლი, სადაც წერია: „გამქირავებულს შეუძლია მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც გამოწვეულია დამქირავებლის მიერ“.¹

დისპოზიცია შეიცავს თვით ქცევის წესს, რომლის თანახმად უნდა მოქმედებდნენ სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილენი. გადმოცემის ხერხის მიხედვით დისპოზიცია შეიძლება იყოს: მავალეული ამკრძალავი, აღმჭურველი. ნორმის დისპოზიციები ქცევის წესების გამოხატულების ხერხების მიხედვით იყოფა: მარტივ, აღწერილობით, მითითებით და ბლანკეტურ დისპოზიციად. ალტერნატიული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს საშუალებას აძლევს, მოახდინონ თავიანთი ქცევის ლავირება ნორმით დადგენილ ფარგლებში; ბლანკეტური დისპოზიცია შეიცავს ქცევის წესს ყველაზე ზოგადი ფორმით, ავზავნის რა რეალიზაციის სუბიექტს სხვა სამართლებრივ ფორმებთან.

მავალეული დისპოზიცია წარმოადგენს მოთხოვნას ამა თუ იმ მოქმედების შესრულების შესახებ, მაგალითად, სიტყვებით: მოვალეა, ვალდებულია და ა.შ.

ამკრძალავი დისპოზიცია შეიცავს ამა თუ იმ მოქმედების პირდაპირი აკრძალვის, მისი შესრულების დაუშვებლობის მოთხოვნას. აღსანიშნავია, რომ სიხსლის სამართლის ნორმებს, რომლებიც ცალკეულ დანაშაულთა სახეებს შეეხებიან, სწორედ ამკრძალავი დისპოზიცია გააჩნიათ. ასეთივე სახის დისპოზიცია აქვს, აგრეთვე, აღმინისტრაციულ, სამოქალაქო და შრომის სამართლის რიგ ნორმებს.

აღმჭურველი დისპოზიცია ფორმულირებულია როგორც პირის უფლებამოსილება ამა თუ იმ მოქმედების შესრულებისა (ე.ი. პირდაპირ არც ავალებს და არც უკარძალავს). საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ითვლისწინებს, რომ „მესაკუთრეს უფლება აქვს გამოითხოვოს თავისი ქონება უკანონო მფლობელისაგან“, ე.ი. მესაკუთრეს უფლება ენიჭება დაიბრუნოს ქონება, მაგრამ ნორმა არ ავალდებულებს ამის გაკეთებას.

ნორმის დისპოზიციები მათში ქცევის წესების გამოხატულების ხერხების მიხედვით იყოფა: მარტივ, აღწერილობით, მითითებით და ბლანკეტურ დისპოზიციებად.

¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997 წ. გვ. 70.

მარტივ დისპოზიციაში მითითებულია მხოლოდ ქმედების (მოქმედების თუ უმოქმედობის) სახელწოდება, მისი ნიშნების აღწერის გარეშე. მარტივი დისპოზიცია აქვს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 190-ე მუხლს, სადაც წერია: „ქრთამის მიცემა ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით...“¹

აღწერილობითი დისპოზიცია აღნიშნავს არა მარტო ამა თუ იმ ქცევის წესის სახელწოდებას, არამედ შეიცავს მისი არსებითი ნიშნების აღწერასაც. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ იმავე კოდექსის 239-ე მუხლი, სადაც დისპოზიცია შემდეგნაირად არის ფორმულირებული: „ზულიგნობა, ესე იგი მოქმედება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას“²

მითითებითი დისპოზიცია მაშინ არის, როდესაც ქცევის წესის შინაარსის ჩამოსაყალიბებლად ან დასაზუსტებლად იგი მიუთითებს რომელიმე სხვა ნორმის დისპოზიციაზე. ამგვარ დისპოზიციას შეიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 90-ე მუხლი, სადაც წერია: „განუცხადებლობა იმ პირის მიერ, ვინც ნამდვილად იცის, რომ მზადდება ან ჩადენილია ამ კოდექსის 73-ე, 78-ე და 88-ე მუხლებით გათვალისწინებული სახელმწიფო დანაშაული - ისჯება თავისუფლების აღკვეთით...“³

ბლანკეტური დისპოზიცია შეიცავს განკარგულებას ამ ნორმასთან დაკავშირებულ საკითხებზე, რომელიმე კომპეტენტური ორგანოს მიერ გამოცემული აქტების შესრულების აუცილებლობაზე.

სანქცია მიუთითებს სამართლებრივი ნორმის დისპოზიციის დარღვევის შედეგად წარმოქმნილ არახელსაყრელ შედეგებზე. განსაზღვრულობის ხარისხის (დონის) მიხედვით სანქცია შეიძლება იყოს: აბსოლუტურად განსაზღვრული (ზუსტად მითითებული ჯარიმის ოდენობა), შედარებით განსაზღვრული (თავისუფლების აღკვეთა სამიდან ათ წლამდე ვადით), ალტერნატიული (თავისუფლების აღკვეთა სამ წლამდე ვადით ან გამასწრებელი სამუშაოები ერთი წლის ვადით, ან ჯარიმა...), კუმულაციური და მითითებითი სანქციები.

აბსოლუტურად განსაზღვრული სანქციები ზუსტად განსაზღვრავს ზემოქმედების იმ ზომას, რომელიც უნდა იქნეს გამოყენებული ნორმის დამრღვევის მიმართ.

¹ დაწ. იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. თბ., 1999 წ. გვ. 139.

² იქვე, გვ. 78.

³ იქვე.

შედარებით განსაზღვრულ სანქციებში მითითებულია ის ფარგლები, რომლებშიც უნდა იქნეს არჩეული ზემოქმედების ზომა სათანადო ორგანოს მიერ ნორმის გამოყენების დროს. ამასთან, შედარებით განსაზღვრული სანქციები შეიძლება აღგენდეს მხოლოდ სათანადო სასჯელის მინიმუმს.

ალტერნატიული სანქციები შეიცავს ორი ან რამდენიმე სახის ზემოქმედების ზომას, რომელთაგანაც ნორმის შემფარდებელმა ორგანომ უნდა აირჩიოს მხოლოდ ერთი.

კუმულაციური სანქციები შეიცავს ორ ან მეტ სხვადასხვაგვარ სანქციას, ზოლო ნორმის შეფარდების დროს აუცილებელია მათი შეერთება, გარკვეული ვადით თავისუფლების აღკვეთა, საექიმო ან სხვა სახის საქმიანობის აკრძალვით, ასევე რაიმე ვადით.

მითითებითი სანქციების არსებობა კანონმდებლობის გარკვეულ ტექნიკურ ზერხთან არის დაკავშირებული, რაც იმაში გამოიხატება, რომ მოცემულ ნორმაში პირდაპირ არ არის აღნიშნული სანქციის სახე, მაგრამ მითითებულია სხვა ნორმის სანქციაზე, რომელიც უნდა იქნეს გამოყენებული.¹

როგორც ვხედავთ, იურიდიული ნორმის სტრუქტურა არის ნორმაში მოცემული საზოგადოებრივი ურთიერთობების ასახვის კონკრეტული შედეგი, იგი წინასწარ მკაცრად განსაზღვრავს ნორმის სტრუქტურული ელემენტების კავშირის ხასიათსა და რაოდენობას. სტრუქტურაზე გავლენას ახდენს; სუბიექტებისა და ობიექტების რაოდენობითი მახასიათებლები, საზოგადოებრივი ურთიერთობების განვრცობადობა და განმეორებითობა, მისი განზოგადების შესაძლო დონე.

გარკვეული პირობითობით შეიძლება იმის მტკიცება, რომ ესა თუ ის სამართლებრივი ნორმა შეიცავს იმდენ სტრუქტურულ ლოგიკურ ელემენტს, რამდენსაც ამას მოცემული საზოგადოებრივი ურთიერთობა ითხოვს.

ამგვარად, ნორმატიული აქტით განმტკიცებული იურიდიული ნორმის რეალური სტრუქტურა გარკვეული სახის საზოგადოებრივი ურთიერთობიდან იწარმოება და გამოდის, როგორც კონკრეტული საზოგადოების სამართლებრივი სისტემის კანონზომიერი განვითარების შედეგი.

სამართლის ნორმის სტრუქტურა შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც დიალექტიკურად ურთიერთდაკავშირებული ელემენტების სის-

¹ იხ. გ. ინჭირველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია. თბ., 1998 წ. გვ. 118-126
Н.И. Матузов, А. В. Малько, Теория государства и права. Курс лекций. М., 1997 ст. 285-288.

ტემა, რომლებიც მის ჩარჩოებში ურთიერთქმედებენ. აღნიშნულ ელემენტებს შეუძლია სახე იცვალოს, გარდაიქმნას, გაერთიანდნენ და გამოვლინდნენ ერთიანობაში. ურთიერთქმედების ხასიათი და სახეობა თვით ელემენტების სპეციფიკური თავისებურებებით განისაზღვრება. ამასთანავე, უნდა გავითვალისწინოთ კანონმდებლის ნების ზემოქმედება, რომელიც აყალიბებს სტრუქტურული ელემენტების მიმართებას, აკავშირებს მათ მოქმედებებს კონკრეტულ იურიდიულ ფაქტებთან.

ლიტერატურაში აღწერილია ნორმის სტრუქტურული ელემენტების სხვადასხვა თვისებების გამოვლენის შემთხვევები იმისდა მიხედვით, თუ როგორ იცვლება ფაქტობრივი გარემოებები და თავისებურებანი, როგორც სისტემურ-სტრუქტურული მოვლენები.

იმის გამო, რომ სამართალს გააჩნია სისტემურობის თვისება, უზრუნველყოფილია სხვადასხვა იურიდიული ნორმების სტრუქტურათა მჭიდრო ურთიერთქმედება. ამასთან, კავშირები მათ შორის შეიძლება იყოს უბრალო (ერთხაზოვანი) და რთული (ორმხრივი). სტრუქტურების ურთიერთქმედებას შეიძლება ჰქონდეს მოქმედებათა სიბრტყეების გადაბმის, გადაკვეთის ან ფუნქციონირების სფეროების ნაწილობრივი (ზოგჯერ სრული) დამთხვევის სახე. მაგალითად, აქ შეიძლება მოვიყვანოთ კონსტიტუციური და სამართლის სხვა დარგების ნორმები, აგრეთვე სამოქალაქო, სისხლის სამართლის კოდექსების ზოგად და კერძო ნაწილებში მოცემული ნორმები.

სამართლებრივი ნორმის სტრუქტურის შექმნის მექანიზმი შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად: კანონმდებელი ვარაუდობს, მოაწესრიგოს ესა თუ ის საზოგადოებრივი ურთიერთობა, a priori „არგებს“ მას ადამიანის პრაქტიკის, მეცნიერების მიღწევების, სამართლებრივი რეგულირების გამოცდილების საფუძველზე გამომუშავებული ნორმის ლოგიკურ მოდელს, ამასთან ცდილობს საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარება წარმართოს თავისთვის საჭირო მიმართულებით, ცდილობს, დაადგინოს მისი დროებითი, სივრცობრივი მახასიათებლები, მიაღწიოს მისი სამართლებრივი მოწესრიგების დიდ ეფექტიანობას, მაგრამ საზოგადოებრივი ურთიერთობა იდეალურ მოდელს (ნორმის ლოგიკურ სტრუქტურას) მხოლოდ პრინციპში შეესაბამება. მას შეაქვს კორექტივები, ნორმის ლოგიკურ სტრუქტურაში არჩევს იმ ელემენტებს და მათ შორის კავშირებს, რომლებიც მის ინტერესებს შეესაბამება. სხვაგვარად რომ ვთქვთ, კანონმდებელი იძულებულია — მიუსადაგოს ლოგიკური სტრუქტურა საზოგადოებრივი ურთიერთობების შესაბამის სახეობას, ამასთანავე, გაითვლისწინოს იურიდიული ნორ-

მების შიდა და გარე ლოგიკური შეთანხმების აუცილებლობა, გამოიყენოს ყველა სამართლებრივი საშუალება, სამართლის, როგორც სისტემის, თვისება.

თვითონ ნორმის სტრუქტურა არის მდგრადობის გამოხატულება სხვადასხვა პროცესებში. იგი მეტნაკლებად დამოკიდებულია ელემენტების ცვალებადობაზე. ეს თვისება სამართლის ნორმას საშუალებას აძლევს ყველა ხსენებულ შემთხვევაში შეინარჩუნოს ერთიანი და მთლიანი სახელმწიფოებრივ-მბრძანებლური სტატუსი. პრაქტიკა ადასტურებს, რომ ნორმის ამა თუ იმ სტრუქტურული ელემენტის გამოყოფა შესაძლოა მხოლოდ განსაკუთრებული წესით მისი დამოუკიდებელი ფუნქციონირებისას.

ამგვარად, სამართლებრივი ნორმის სტრუქტურა არის ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებული მისი შინაგანი, ფაქტობრივი საზოგადოებრივი ურთიერთობებით განპირობებული აგებულება, რომელიც ხასიათდება ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთმოქმედი ელემენტების არსებობით და რეალურად აისახება სამართლებრივ აქტებში.

თავი მეთვრამეტა

სამართლის ფორმები (წყაროები)

სამართალშემოქმედების პრობლემები

§1. სამართლის ფორმის (წყაროს) სწავლა და სახეები

საზოგადოების სამართლებრივ ცნობიერებასა და სამეცნიერო ლიტერატურაში საუკუნეთა მანძილზე დომინირებს სამართლის წყაროს ცნება. ამ ხნის მანძილზე მას განმარტავენ და იყენებენ სხვადასხვა ქვეყნის სამართალმცოდნეები. ტრადიციული იურისპრუდენცია სამართლის წყაროდ თვლის იმ ზოგადი ხასიათის ნორმატიული აქტებს, რომლებიც ერთობლიობაში ქმნიან სამართლებრივ ორგანიზმს. მაგრამ, თუ გამოვალთ ტერმინ „წყაროს“ ზოგადგავრცობითი მნიშვნელობიდან, მაშინ სამართლის სფეროში იგი გულისხმობს ძალას, რომელიც სამართალს ქმნის. ასეთი ძალა, უპირველეს ყოვლისა, არის სახელმწიფო ხელისუფლება, რომელიც საზოგადოების მოთხოვნილებებზე, საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარებაზე რეაგირებს და შესაბამის სამართლებრივ გადაწყვეტილებებს იღებს. ე.ი. აუცილებელია სამართლის წყარობთან ერთად სახელმწიფო ნების გამოხატვის ფორმა, რომელიც შეიცავს სახელმწიფოს სამართლებრივ გადაწყვეტილებას. ფორმის მეშვეობით სამართალი იძენს თვისებებსა და ნიშნებს: საერთო სავალდებულობას, საყოველთაო გავრცელებას და ა.შ. სამართლის წყარობებს წარმოადგენენ ის სპეციფიკური ფორმები, რომლებსაც სახელმწიფო ხელისუფლება გამოხატავს სამართლებრივ ნორმებში.

სამართლის უძველეს წყაროს (ფორმას) წარმოადგენს სამართლებრივი წეს-ჩვეულება.¹

ჩვეულებას (ადათს), როგორც სამართლის წყაროს, შედარებით უმნიშვნელო ადგილი უკავია თანამედროვე სამართლებრივ სისტემებში. როდესაც იგი სამართლის წყაროს როლს ასრულებს, იმ გამონაკლის შემთხვევაში აუცილებელია მისი სანქციონირება სახელმწიფოს მიერ.

¹ ადათი, როგორც სამართლის წყარო განხილული აქვს ი. დოლიძეს. ნაშ. საქართველოს ჩვეულებითი სჯული. თბ., 1960, გვ. 7-33

უკანასკნელ დრომდე საქართველოში, ისევე როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში, იშვიათად ხდებოდა სანქციონირებული ჩვეულებების გამოყენება ზოგიერთ ურთიერთობათა მოწესრიგებისათვის.

ახალმა სამოქალაქო კოდექსმა ერთგვარად გააფართოვა ჩვეულებათა გამოყენება ზოგიერთ ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირებისათვის, „თუ ისინი არ ეწინააღმდეგება სამართლისა და ზნეობის ნორმებს ან საჯარო წესრიგს“ (მე-2 მუხლის, მე-4 ნაწილი).

სასამართლო პრეცედენტის, როგორც სამართლის წყაროს არსი მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებას ყოველ კონკრეტულ საქმეზე ნორმატიული ხასიათი მიანიჭოს. სასამართლოსათვის ყველა გადაწყვეტილება და განაჩენი არ არის სავალდებულო. სავალდებულოა მხოლოდ საქმის „შუაგული“, სამართლებრივი პოზიციის არსი, რომლის საფუძველზე გამოითანება გადაწყვეტილება. როგორც ანგლოსაქსური სამართლებრივი სისტემის სპეციალისტები უწოდებენ - „ratio decidendi“ პრეცედენტისაგან თანდათანობით შეიძლება ჩამოყალიბდეს სამართლის ნორმაც ე.ი. „სასამართლო პრეცედენტი არის ქვეყნის უმაღლესი სასამართლო ინსტანციების მიერ კონკრეტულ საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში ფიქსირებული ზოგადსავალდებულო ნორმები, რომლებიც აწესრიგებს საზოგადოებრივ-ურთიერთობათა გარკვეულ ჯგუფს მათში მონაწილე პირების უფლება-მოვალეობათა აღრიცხვა-გამიჯვნით და რომელთა დაცვა მათი დარღვევის შემთხვევაში უზრუნველყოფილია შესაბამისი სასამართლო განაჩენის თუ გადაწყვეტილების შეცვლის ან გაუქმების გზით“.¹

ახლო წარსულში საბჭოთა სამართლებრივ მეცნიერებაში პრეცედენტი, როგორც სამართლის წყარო, მხოლოდ უარყოფითად იყო შეფასებული, მაგრამ ბოლო დროს კრიტიკული ტონი რამდენადმე შერბილდა. უფრო მეტიც, უკვე გზვდება წინადადებები სასამართლო დოქტრინის სამართლის წყაროებთან გათანაბრების აუცილებლობის შესახებ. ვფიქრობთ, ეს მომავლის საქმეა, ამისათვის საჭიროა უფრო მეტად დამოუკიდებელი სასამართლო და მოსამართლეთა შესაბამისი სამართლებრივი მომზადება, აგრეთვე მათი სამართალცნობიერების ჩამოყალიბება იმ მიმართულებით, რომლის დროსაც შესაძლებელი გახდება სამართალშემოქმედება.

პოზიტიური სამართალი, ანუ კანონმდებლობა, როგორც სამართლის წყარო, არის სახელმწიფო ორგანოების მიერ დადგენილი ზოგადსა-

¹ ბ. სავანელი, სამართლის თეორია. თბ., 1997 წ. გვ. 38

ვალდებული ქცევის წესების ერთობლიობა, რომელიც აწესრიგებს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ჯგუფს მასში მონაწილე პირის უფლება-მოვალეობათა აღიარება-გამიჯვნის გზით და რომელთა დაცვა მათი დარღვევის შემთხვევაში უზრუნველყოფილია სახელმწიფო იძულებით.¹

ნორმატიული აქტი² არის სამართლის დომინირებული წყარო მსოფლიოს ყველა სამართლებრივ სისტემაში. მას აქვს რიგი უდავო უპირატესობანი:

—ნორმატიული აქტი შეიძლება გამოიცეს ოპერატიულად, შეიცვალოს ნებისმიერ ნაწილში, რაც საშუალებას გვაძლევს საკმაოდ სწრაფად მოვახდინოთ რეაგირება სოციალურ პროცესებზე;

—ნორმატიული აქტი, როგორც წესი, გარკვეულწილად სისტემატიზებულია, რაც საშუალებას იძლევა ადვილად მოიძებნოს საჭირო დოკუმენტი გამოყენებისა და რეალიზაციისათვის;

—ნორმატიულ აქტში ზუსტადაა დაფიქსირებული სამართლებრივი ნორმების შინაარსი, რაც ერთიანი პოლიტიკის გატარების, ნორმების თავისუფალი განმარტებებისა და გამოყენების გარანტიაა;

—ნორმატიულ აქტებს მხარს უჭერს და იცავს სახელმწიფო. ნორმატიული აქტების დებულებების დამრღვევი იღვენება და ისჯება კანონის საფუძველზე.

ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები (კონსტიტუცია, კონსტიტუციური და ორგანული კანონები, ბრძანებულება, დადგენილება, ინსტრუქცია, ხელშეკრულება), სამართლებრივი წეს-ჩვეულებები, სასამართლო პრეცედენტი, ყველა სამართლის წყაროა, მაგრამ ამ შემთხვევაში ნორმატიულობა არის იურიდიული აქტების სხვა წყაროებთან გამიჯვნის საშუალება და ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ იურიდიული დოკუმენტები შეიცავს სამართლის ნორმებს, სახელმწიფოს მიერ დადგენილ ქცევის ზოგად წესებს.

ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები:³

¹ იხ. ბ. სავანელი, სამართლის თეორია. თბ., 1997 წ. გვ. 38

² იურიდიულ ლიტერატურაში საკანონმდებლო აქტები თავისი მნიშვნელობის მიხედვით იყოფა ორ ჯგუფად: კონსტიტუციური (ანუ ძირითადი) და ჩვეულებრივი (ანუ მიმდინარე) კანონები, მაგრამ საერთო სიტყვა-ხმარებაში ფართო გაგებით „კანონს“ უწოდებენ ნებისმიერ საკვალდებულო ნორმატიულ აქტს.

³ 1. სამართლებრივი აქტი არის უფლებამოსილი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს თანამდებობის პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული, შესასრულებლად სავალდებულო აქტი.

2. სამართლებრივი აქტი ორი სახისაა: ნორმატიული და ინდივიდუალური.

ა) დიფერენცირებულია, რადგან სახელმწიფოს მექანიზმს აქვს გარკვეული სამართალშემოქმედებითი უფლებამოსილების და მნიშვნელოვანი მოცულობის სხვა ფუნქციების მქონე ორგანოების განშტოებული სტრუქტურა, რომელიც რეალიზდება იურიდიული აქტების გამოცემით;

ბ) იერარქირებულია (კონსტიტუციის წამყვანი როლის გათვალისწინებით), რამდენადაც ეს სისტემა აგებულია აქტების სხვადასხვა დონის იურიდიული ძალის საფუძველზე, რის შედეგად სამართლის ქვემოთ მდგომი წყაროების ზემდგომ წყაროებზეა დამოკიდებული და ვერ შეეწინააღმდეგებიან მათ;

გ) დაკონკრეტებულია მოწესრიგების საგნის, სამართლის რეალიზაციის აღსრულებისა და სუბიექტების მიხედვით, რომლებზეც მითითებულია წყაროებში.

საბოლოოდ ნებისმიერ თანამედროვე სახელმწიფოში სამართლის წყაროები (და პირველ რიგში პარლამენტის კანონები) მოწესრიგებულია, განსაკუთრებით კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, სამართლებრივი წეს-ჩვეულებები და პრეცედენტები, რომელთა ერთობლიობა ადგენს გარკვეულ სამართლებრივ რეჟიმს.

ამგვარად, ნორმატიული აქტი¹ არის ოფიციალური დოკუმენტი, რომელსაც ჰქმნიან სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოები და შეიცავს ზოგადსავალდებულო იურიდიულ ნორმებს (ქცევის წესებს).

§2. სამართალშემოქმედების პრობლემათი

საკანონმდებლო მოღვაწეობა ნებისმიერი სახელმწიფოს საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. ეს სპეციფიკური ინტელექტუალური პროცესი მოითხოვს განსაკუთრებულ ცოდნას და შესაძლებლობას, რაც სახელმწიფოში არსებული სამართლებრივი ნორმების შექმნასა და შეცვლასთან არის დაკავშირებული.

სამართალშემოქმედებითი საქმიანობის შედეგების, კანონებისა და

¹ ნორმატიული აქტი არის უფლებამოსილი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს თანამდებობის პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს.

სხვა ნორმატიული აქტების ხარისხის მიხედვით მსჯელობენ სახელმწიფოზე მთლიანად, მისი დემოკრატიულობის, ცივილიზებულიობის, კულტურის დონეზე, რადგანაც საზოგადოება ყოველთვის საჭიროებად ზუსტ და სრულყოფილ სამართლებრივ გადაწყვეტილებებს.

სამართლებრივი სისტემის მოწესრიგება, არაუფექტური ნორმატიული აქტების მინიმუმამდე დაყვანა კანონმდებლის ძირითადი ამოცანაა. სწორედ ამით აიხსნება სამართლის ნორმების შექმნის პროცესთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. კანონების „მომხმარებელი“ არის ხალხი, საზოგადოება და არ შეიძლება დავეშვათ ნაჩქარევი, დაუფიქრებელი სამართლებრივი გადაწყვეტილებების მიღება, რადგან კანონმდებლის ნებისმიერი შეცდომა გაუმართლებელ მატერიალურ დანახარჯებს, მოქალაქეთა უფლებების დარღვევას იწვევს. საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკაში მრავალი ფაქტი არსებობს, როდესაც ეკონომიკა, სოციალური და სულიერი სფეროები დაზიანდა დაუფიქრებელი, მეცნიერულად დაუსაბუთებელი და უხეში სამართლებრივი გადაწყვეტილებებით.

მსოფლიო ისტორიაში ცნობილია კანონმდებლობაში დაუსუვებელი შეცდომების მაგალითები. საკმარისია მოვიყვანოთ აშშ „დიდი დეპრესიის“ პერიოდში, როდესაც აკრძალული იყო სპირტიანი სასმელების წარმოება და მოხმარება, რამაც მთლიანობაში კონტრაბანდის, მაფიისა და დამნაშავეობის ზრდა გამოიწვია, რითაც დაზარალდა საზოგადოება და ქვეყანა. თითქმის ანალოგიური მდგომარეობა შეიქმნა ყოფილ საბჭოთა კავშირში, როდესაც მიღებულ იქნა ლოთობა-ალკოჰოლიზმის, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლისკენ მიმართული სკკპ ცკ-ს დადგენილებები, რომლებმაც შემდგომში ასახვა ჰპოვეს სამართლებრივი ნორმებსა და კანონმდებლობაში, რამაც დიდი ეკონომიკური ზარალი გამოიწვია.

შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ სამართალშემოქმედების საფუძვლების ცოდნა სასარგებლოა მხოლოდ იმათთვის, ვინც მას ახორციელებს—პარლამენტის წევრების, მთავრობაში მოღვაწე მოხელეებისათვის და ა.შ. მაგრამ ეს ასე არ არის, რადგანაც სამართლებრივი ნორმების შექმნაში მონაწილეობას იღებს საზოგადოება და (საყოველთაო სახალხო რეფერენდუმი) ნებისმიერი დონის სახელმწიფო ორგანოები, უმაღლესიდან ადგილობრივამდე, ამიტომ იურისტები, იურიდიული უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულები ზედმიწევნით უნდა ფლობდნენ სამართალშემოქმედებითი საქმიანობის მეთოდებს, რომ თეორიული ცოდნა შემდგომ პრაქტიკაში წარმატებით გამოიყენონ.

სახელმწიფო თავისი უფლებამოსილებების განხორციელებისას იყენებს სხვადასხვა ხერხებს და მეთოდებს—ოპერატიულ მმართველობას, მართლმსაჯულებას, ზედამხედველობასა და კონტროლს, მაგრამ სახელმწიფოს მოღვაწეობის ეს მიმართულებები არ მიეკუთვნება სამართალშემოქმედებას, თუმცა ხორციელდება მათ საფუძველზე.

უნდა აღინიშნოს, რომ სამართალშემოქმედება არის არა სახელმწიფოს განსაკუთრებული ფუნქცია, არამედ სამართლებრივი ფორმა, სახელმწიფო მოღვაწეობის სამართლებრივი „გარსი“. სამართალშემოქმედებას აქვს ორი მხარე: სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მოღვაწეობა სამართლებრივი ნორმების გამოსაცემად და ამ მოღვაწეობის შედეგი, რაც გამოიხატება იურიდიული დოკუმენტის, კანონის და სხვა სახით მათ შესრულებაში.

სამართალშემოქმედების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი არის სახელმწიფო და მისი მოღვაწეობა. სახელმწიფო ორგანოები იღებენ და ქმნიან სამართლის ნორმებს, რომლებიც სავალდებულოა განკუთვნილი წრისათვის, მაგრამ ხშირად სამართალს საზოგადოებრივი ორგანიზაციებიც ჰქმნიან საამისო უფლებამოსილების მინიჭებით, ან კიდევ უშუალოდ ხალხის პირდაპირი სამართალშემოქმედებით (რეფერენდუმით) და სასამართლოების მეშვეობით (ანგლო-საქსურ სამართლებრივ სისტემაში).

სამართალშემოქმედებითი აზრი და მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ავირჩიოთ იურიდიული მოწესრიგების ისეთი ვარიანტი, რომელიც უფრო სრულად უპასუხებს ხალხის და კანონმდებლობის ინტერესებსა და მიზნებს, ხელს შეუწყობს საზოგადოების პროგრესს. ამასთან საჭიროა, საზოგადოების განვითარების კანონზომიერებათა, კანონის მიღებისა და გამოყენებისათვის ხელსაყრელი ობიექტური და სუბიექტური პირობების შექმნა, აგრეთვე სახელმწიფო გადაწყვეტილების ოპტიმალური სამართლებრივი ფორმის არჩევა (კანონი, ბრძანებულება, დადგენილება, ბილი, სტატუსი, რეგლამენტი და სხვა).

სახელმწიფო თავის საკანონმდებლო პოლიტიკას ახორციელებს საზოგადოების მოთხოვნების შესწავლისა და საზოგადოებრივი განვითარების ტენდენციის შემეცნების საფუძველზე. კანონის შექმნის ან სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის ძირითადი იმპულსია მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრა, მწვავე სოციალური სიტუაცია, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების უმეტესი ნაწილისა და მთელი სახელმწიფოსათვის. კანონმდებლის ხელოვნება იმაში აისახება, რომ საზოგადოების დროულად, და ზუსტად, ადეკვატური

სამართლებრივი საშუალებებით მოახდინოს რეაგირება საზოგადოებრივ ურთიერთობაზე. სამართლის ისტორიამ იცის როგორც კარგი ნორმატიულ-სამართლებრივი გადაწყვეტილება (საფრანგეთის 1804 წლის სამოქალაქო კოდექსი, რომელმაც თითქმის ორი საუკუნე იმოქმედა), ასევე მცდარი, ნაჩქარევი გადაწყვეტილებები (1927 წელს თურქეთმა გადმოიღო შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსი, რომელიც, კერძოდ, აუქმებდა მრავალცოლიანობას. თურქეთის მუსლიმანური მოსახლეობა არ იყო მზად ამისთვის, რასაც თურქული საზოგადოების მრავალი ფენის წინააღმდეგობა მოჰყვა).

სამართლებრივი გადაწყვეტილებების მიღების დრო, მისი შინაარსი და ფორმის განსაზღვრა მეცნიერებაზე დაყრდნობით უნდა ხდებოდეს. სწორედ მეცნიერებას აქვს ისეთი შემეცნებითი ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას იძლევა თითქმის უშეცდომოდ გამოვლინდეს საზოგადოებრივი განვითარების პრობლემები და მისი გადაწყვეტის იურიდიული გზები, რა თქმა უნდა, კანონების შინაარსში უნდა აისახოს ამა თუ იმ სახელმწიფოს განვითარების დონე და არ უნდა მოხდეს განვითარებული სახელმწიფოების კანონმდებლობის პირდაპირი გადმოტანა.

§3. სამართალშემოქმედად (საკანონმდებლო) პროცესი და მისი ეტაპები

სამართლის თეორიაში აღიარებულია, რომ კანონების შექმნის პროცესი დროშია განვითარებული და, როგორც წესი, გამოიყოფა სამართალშემოქმედების (საკანონმდებლო) პროცესის ორი ეტაპი.

პირველი, წინასაპროექტო ეტაპი, მდგომარეობს იმაში, რომ საზოგადოებაში ვლინდება სოციალური პრობლემის სამართლის ნორმებით მოწესრიგების მოთხოვნილება. ასეთი მოთხოვნილების გამოვლენა ხდება სპონტანურად, მნიშვნელოვანია მხოლოდ პრობლემის (საკითხის) სიმწვავის დონე, მისი ზოგადმნიშვნელობა და აქტუალობა.

სამართლებრივი მოწესრიგების მოთხოვნილებას აფასებს როგორც საზოგადოება, რომელსაც თავისი ინსტიტუტების—ლიდერების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, მეცნიერების—მეშვეობით შეუძლია გავლენა იქონიოს კანონმდებელზე, ასევე თვითონ სამართალშემოქმედებითი ორგანოები, სახელმწიფო. რწმუნდება სამართლებრივი მოწესრიგების მოთხოვნაში, როდესაც კანონი არის ყველაზე ეფექტური საშუალება, მოწესრიგების უპირატესი ფორმა ზემოქმედების სხვა სოციალურ საშუალებებთან (ეკონომიკური, მორალური და სხვა) შედარებით.

სამართალშემოქმედების მეორე ეტაპს ეწოდება საპროექტო ეტაპი, ანუ სამართალშემოქმედებითი გადაწყვეტილების მიღების ეტაპი. მისი თავისებურებაა ის რომ, პირველ რიგში, ეს სამუშაო სრულდება უშუალოდ თვით საკანონმდებლო ორგანოში, მეორე კი, მოცემულ ეტაპზე ერთდება აზრობრივი პროცესი, იცვლება ან უქმდება სამართლის ნორმები, მიმდინარეობს ინტელექტუალური მუშაობა კანონპროექტის ტექსტზე. ამასთან საპროექტო ეტაპი, თავის მხრივ, შეიძლება დაყოფილი იქნეს რამდენიმე სტადიად, რომლებიც თანმიმდევრულად ცვლიან ერთმანეთს.

პირველი სტადია: სამართალშემოქმედებით ორგანოში კანონპროექტის შეტანა, რაც დაკავშირებულია საკანონმდებლო ინიციატივასთან. საქართველოს კონსტიტუციის 68-ე მუხლით:¹

—საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვს საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის წევრს, საპარლამენტო ფრაქციას, პარლამენტის კომიტეტს, აფხაზეთისა და აჭარის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს, არანაკლებ 30000 ამომრჩეველს.

—საქართველოს პრეზიდენტის მოთხოვნით მის მიერ წარდგენილ კანონპროექტს პარლამენტი განიხილავს რიგგარეშე.

—უფრო ხშირად კანონის მიღების ინიციატორი არის მთავრობა, რომელიც ახორციელებს ამა თუ იმ პოლიტიკას და სხვაზე მწვავედ გრძნობს, რომელი აქტია უფრო საჭირო შემდგომი ეფექტიანი საქმიანობისათვის. ამის გამო კანონპროექტი ხშირად შემუშავდება სწორედ აღმასრულებელ ხელისუფლებაში.

ახალი ნორმატიული აქტის მიღების აუცილებლობაში მთავრობას ხშირად არწმუნებენ ზეწოლის ჯგუფების მეშვეობით. მაგალითად, პროფკავშირებს შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს მინისტრებსა და პარლამენტის წევრებზე, რათა მიაღწიოს კანონის გამოცემას, გაუქმებას, ან შეიტანოს ცვლილებები მოქმედ კანონში. ამგვარ საქმიანობას ეწოდება ლობიზმი იმ დროიდან, როდესაც ადამიანთა გარკვეული წრის ინტერესების პირველი დამცველები გაჩნდნენ პარლამენტის კულუარებში (lobbi).

მსოფლიო სამართლებრივი პრაქტიკა უკვე დიდი ხანია იცნობს ლობისტურ საქმიანობას. ამ პროცესების მოწესრიგებისა და საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით 1998 წლის სექტემბერში საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა კანონი „ლობისტური საქმიანობის შესახებ“.

ლობისტური საქმიანობა საქართველოსათვის ლეგალიზებული საქ-

¹ დაწ. იხ. საქართველოს კონსტიტუცია. თბ., 11)5 წ. გვ. 34.

მიანობის სრულიად ახალი სფეროა და ნიშნავს „საკანონმდებლო“ ცვლილებების განხორციელების მიზნით წარმომადგენლობით ან აღმასრულებელ ორგანოზე ლობისტად რეგისტრირებული პირის (შემდგომ — ლობისტი) ისეთ ზემოქმედებას, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით“.

ლობისტის უფლებათა ფარგლები განისაზღვრება ზემოხსენებული კანონით და დამოკიდებულია მარწმუნებლისაგან მიღებულ დავალებაზე, დავალება შეიძლება ითვალისწინებდეს მხოლოდ ერთი ნორმატიული აქტის (აგრეთვე მისგან გამომდინარე ნორმატიული აქტების) მიღებას, (გამოცემას), მის შეცვლას ან უარყოფას.¹

მეორე სტადია: კანონპროექტის განხილვა საკანონმდებლო ორგანოს კომისიებში ან კომიტეტებში, მისი შინაარსის სხადასხვა პოზიციიდან გაანალიზების და სამართლებრივი ზემოქმედების უფრო სრულყოფილი საშუალებების შეთავაზების მიზნით. ამ პროცესში განსაკუთრებული როლი ეკუთვნის პარლამენტის იურიდიულ, საკანონმდებლო კომისიას (კომიტეტს), რომელსაც, ჩვეულებრივ, რჩება ბოლო სიტყვა პარლამენტის სხდომაზე პროექტის განსახილველად გამოტანის წინ.

მესამე სტადია: კანონპროექტის განხილვა კანონშემოქმედი ორგანოს სხდომაზე. ასეთი განხილვის მიზანია წინადადებების, შესწორებისა და შენიშვნების გამოთქმა. პარლამენტის წევრებისა და ფრაქციების (დეპუტატთა გაერთიანებების) მიერ. ამ ფორმას შეიძლება ჰქონდეს განვითარების ორი სტადია:

ა) კანონპროექტის მიღება პირველი მოსმენით;

ბ) მისი დაბრუნება დამატებითი დამუშავებისათვის პარლამენტის კომისიებსა და კომიტეტებში განხილვის პროცედურის შემდგომი გავლით.

მეოთხე სტადია: კანონის მიღება სამართალშემოქმედებითი ორგანოს მიერ საბოლოო მოსმენით.²

პროცედურული თვალსაზრისით მიღება ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ პროექტი მოიწონა დეპუტატთა უმრავლესობამ (ან პარლამენტმა მთლიანად). იურიდიული თვალსაზრისით, პარლამენტის წევრთა მიერ კანონპროექტის მიღება ერთ-ერთი აუცილებელი ფაქტორია, რომელიც განაპირობებს კანონპროექტის შემდგომ გადაქცევას სრულყოფილ კანონად. საკანონმდებლო პროცესის დასრულებისათვის საჭიროა კიდევ

¹ დაწ. იხ. როგორ იქმნება კანონი. თბ., 2000, გვ. 17^ა

² რიგ ქვეყნებში კანონპროექტის გავლის წესი შეიცავს ორზე მეტ მოსმენას. მაგ., დიდ ბრიტანეთში, საქართველოში პარლამენტი სამჯერ კითხულობს ყოველ კანონპროექტს.

რამდენიმე მნიშვნელოვანი პროცედურა. რომელიც ლოგიკურადაა ჩართული სამართალშემოქმედების მეოთხე სტადიაში. ეს კანონპროექტის დამტკიცებაა სახელმწიფოს მეთაურის მიერ, მისი პრომულგირება¹ და გამოქვეყნება.

—საქართველოს პარლამენტი მიღებულ კანონპროექტის 5 დღის ვადაში გადასცემს საქართველოს პრეზიდენტს.²

—საქართველოს პრეზიდენტი კანონპროექტის გადაცემიდან 10 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს საქართველოს კონსტიტუციურ კანონს, ორგანულ კანონს ან მოტივირებული შენიშვნებით უბრუნებს პარლამენტს. იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტმა მიიღო მისი შენიშვნები, პრეზიდენტი ხელს აწერს და აქვეყნებს კანონს მისთვის გადაცემიდან შვიდი დღის ვადაში.

—თუ პრეზიდენტმა დადგინო ვადაში არ გამოაქვეყნა კანონი, ამ ვადის გასვლიდან არაუგვიანეს მეხუთე დღისა, მას ხელს აწერს და აქვეყნებს პარლამენტის თავმჯდომარე.

—საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტი, აგრეთვე საქართველოს პარლამენტის ნორმატიული ხასიათის დადგენილება უნდა გამოქვეყნდეს მისი ხელმოწერიდან (მიღებიდან) 7 დღის ვადაში, ხოლო ყველა სხვა ნორმატიული აქტი უნდა გამოქვეყნდეს ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში შეტანიდან. 7 დღის ვადაში. საქართველოს ნორმატიული აქტი (გარდა საქართველოს პარლამენტის და საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტებისა) არ შეიძლება გამოქვეყნდეს მის სახელმწიფო რეესტრში შეტანამდე.

—საქართველოს ნორმატიული აქტის ოფიციალურ გამოქვეყნებად ითვლება მისი სრული ტექსტის პირველი გამოქვეყნება „საქართველოს კანონმდებლობის მაცნეში“, ხოლო პარლამენტის მიერ მიღებული ნორმატიული აქტების—აგრეთვე „საქართველოს პარლამენტის უწყებებში“. ნორმატიული აქტის ოფიციალურად გამოქვეყნებამდე არ შეიძლება მისი გამოქვეყნება სხვა რომელიმე ბეჭდვით ორგანოში.

—ნორმატიული აქტის მიმღები (გამომცემი) ყველა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო (თანამდებობის პირი) ვალდებულია ნორმატიული აქტის ოფიციალური გამოქვეყნებიდან 10 დღის

¹ პრომულგირების შეს. დაწ. იხ. როგორ იქმნება კანონი. თბ., 2000, გვ. 81-84 (პრომულგირება არის სახელმწიფოს მეთაურის განსაკუთრებული აქტის გამოცემა პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტის გამოქვეყნების შესახებ).

² სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ვადებია დადგენილი მაგ., საფრანგეთსა და რუსეთის ფედერაციაში პრეზიდენტმა კანონს ხელი უნდა მოაწეროს 14 დღის განმავლობაში, აშშ - 10 დღეში, იტალიაში - 1 თვის განმავლობაში და ა.შ.

ვდაში აცნობოს იუსტიციის სამინისტროს ნორმატიული აქტის გამოქვეყნების თარიღი და გადაუგზავნოს მას გამოქვეყნებული ნორმატიული აქტი.¹

კანონშემოქმედებასთანაა დაკავშირებული საკანონმდებლო ორგანოში შესული კანონპროექტების განხილვის ვადების პრობლემა: საფრანგეთში — 15 დღეა შეტანიდან, გერმანიაში — 6 კვირა, ესპანეთში — 20 დღემდე (სასწრაფო კანონპროექტებისათვის). დიდ ბრიტანეთში კერძო კანონპროექტებისათვის დადგენილია ვადა სტადიებს შორისაც — ოთხი დღე (პირველსა და მეორე მოსმენას შორის), სამი დღე მეორე და მესამე მოსმენას შორის.² საქართველოს პარლამენტს ჯერ კიდევ არა აქვს კანონპროექტების განხილვის ვადების მკაფიო რეგლამენტაცია, რაც მიუთითებს პარლამენტში არსებული საქმის გაჭიანურებასა და გარკვეული პოლიტიკური ძალების შესაძლებლობაზე, რომ გაართულონ მათი გამოცემა.

§4. სამართალშემოქმედების პრინციპები და სახეები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამართალშემოქმედება სახელმწიფო საქმიანობის ძალზე მნიშვნელოვანი მიმართულებაა, რის გამოც იგი უნდა აიგოს რაციონალურ, პრაგმატულ, რაიმე იდეოლოგიასმოკლებულ ეფექტიან პრინციპებზე. საკითხი პრინციპების შესახებ არ ატარებს აბსტრაქტულ-თეორიულ ხასიათს, მისი დამუშავება სამართლის თეორიაში დადებითად მოქმედებს იურიდიული, ნორმატიული დოკუმენტების შექმნაზე.

სამართალშემოქმედების პრინციპების დაცვა ეხმარება კანონმდებელს თავიდან აიცილოს კანონშემოქმედებით მოღვაწეობაში შეცდომები, ამცირებს არაეფექტიანი სამართლებრივი ნორმების შექმნის ალბათობას, ხელს უწყობს მოსახლეობის, ფიზიკური და იურიდიული პირების სამართლებრივი კულტურის ამაღლებას. ასე რომ, პრინციპები სამართალშემოქმედების განხორციელების ძირითად საწყისებს წარმოადგენს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია:

კანონიერების პრინციპი: ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების შემუშავება და მიღება უნდა ხდებოდეს სამართლებრივი პროცედურის დაცვით და არ უნდა სცილდებოდეს მათი მიმღები ორგანოების კომპეტენ-

¹ საქართველოს კანონები. თბ., 1998, გვ. 253.

² Пучников О.А. Формы права, Правотворчество, М., 1998 г. ст. 295.

ციას. ამ პრინციპს ესადაგება ნორმატიული აქტების შესაბამისობა ქვეყნის კონსტიტუციასა და მოქმედ კანონმდებლობასთან.

მეცნიერულობის პრინციპი გვაუწყებს, რომ ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადება და მიღება ხორციელდება მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთა მონაწილეობით. უდავოა, რომ მეცნიერი იურისტების მუშაობას ღიდი მნიშვნელობა აქვს კანონშემოქმედებით პროცესში. ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ყველა ეტაპზე—დაწყებული კანონპროექტის კონცეფციის შემუშავებიდან, რომელიმე საზოგადოებრივი ურთიერთობის სამართლებრივ მოწესრიგების მოთხოვნის გამორკვევიდან (სოციოლოგიური გამოკვლევების, დაკვირვების, ანალიზის მეშვეობით), სამართლებრივი ხერხისა და მეთოდის განსაზღვრამდე და ნორმატიული აქტის მიღების მომენტამდე.

მემკვიდრეობითობის პრინციპი გულისხმობს, რომ ყოველი ახლად-შემუშავებული ნორმატიული აქტი უნდა ეყრდნობოდეს სახელმწიფოსა და მთლიანად ცივილიზაციის დადებით სამართლებრივ გამოცდილებას. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს XX და XXI საუკუნეების მიჯნაზე საინფორმაციო ნაკადების თავისუფალი გადაადგილების საშუალებათა მრავალფეროვნების თვალსაზრისით.

დემოკრატიზმის პრინციპი საშუალებას იძლევა ეფექტიანად გამოვლინდეს ხალხის ჭეშმარიტი ნება და მისწრაფებები. საყოველთაო სახალხო კენჭისყრა (რეფერენდუმი) ნორმატიულ-სამართლებრივი აქტისათვის უმაღლესი იურიდიული ძალის მიცემის ერთ-ერთი ხერხია. სწორედ რეფერენდუმით გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა 1991 წლის 31 მარტს, მაგრამ საყოველთაო ხმის მიცემა საკმაოდ ძვირადღირებული პროცედურაა, ამიტომ ხშირად მისი გამოყენება არ ხდება. რეფერენდუმის გზას მიმართავს პატარა სახელმწიფოები, რაც ღიდ ძალებსა და სახსრებს არ საჭიროებს. რეფერენდუმთან ერთად სამართალშემოქმედებაში დემოკრატიზმის გამოხატულებაა სამართალ-შემოქმედ ორგანოში კანონპროექტის განხილვის საჯაროობა, მის თავისუფალი კრიტიკა, ალტერნატიული ვარიანტების შეთავაზება და სხვა.

პრაქტიკასთან კავშირი, როგორც სამართალშემოქმედების პრინციპი, გამოხატავს კანონმდებლის ამოცანას მუდმივად ადევნოს თვალყური საზოგადოებრივ პროცესს, მოახდინოს ორიენტირება უკვე მოქმედი კანონების გამოყენების პრაქტიკაზე, დროულად აღმოფხვრას სამართლის თეთრი ლაქები, აღიქვას ყოველივე კარგი, რასაც სთავაზობენ სამართალდამცავ ორგანოებს.

ტრადიციულად, სამართლის თეორიაში გამოყოფენ სამართალშემოქმედების სამ სახეობას:

- კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების სამართალშემოქმედება;
- „ხალხის უშუალო სამართალშემოქმედება“ (რეფერენდუმი);
- იმ ნორმების სანქციონირება, რომლებიც საზოგადოებაში ყალიბდებიან.

სამართალშემოქმედების ყველაზე მთავარი და გავრცელებული სახეობაა პარლამენტის მიერ კანონების მიღება. პარლამენტის საკანონპროექტო მუშაობის მექანიზმი ხასიათდება შემდეგი თავისებურებებით:

- საკანონმდებლო ინიციატივის სუბიექტთა შეზღუდული წრე;
- პარლამენტში პროექტის გატარების მკაცრი პროცედურა;
- საკანონმდებლო სტადიების თანამიმდევრული ცვლა;
- კანონმდებლის განკარგულებაში მყოფი იურიდიული რეაგირების საშუალებათა სიმრავლე;

— საკანონმდებლო აქტის იურიდიული შინაარსის განპირობება, მოსაწესრიგებელი ურთიერთობების წრე.

კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემოქმედების სუბიექტებია: პრეზიდენტი, მთავრობა, სახელმწიფოს სხვა უმაღლესი ორგანოები, რომლებსაც კანონის მიხედვით აქვთ ნორმატიული აქტების მიღების უფლება. ნორმაშემოქმედების ამ სახეობის არსებობა გამართლებულია იმდენად, რამდენადაც უამრავია სახელმწიფო ორგანოების გადასაჭრელი საკითხები. პარლამენტი ყოველთვის არ არის მზად, რომ განსახილველად თვითონ მოამზადოს ყველა საკითხზე კანონპროექტი, რომელიც დარგობრივ მაღალპროფესიონალიზმს მოითხოვს. გარდა ამისა, პარლამენტი არ უნდა განიხილავდეს ყველა საკითხს. არის სიტუაციები, როდესაც მიზანშეწონილია საკითხი დასამუშავებლად გადაეცეს შესაბამის ორგანოს, რის უფლებასაც იძლევა კანონმდებლობა.

კანონქვემდებარე სამართალშემოქმედების არსებობის მეორე ძირითად მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ პარლამენტი ხშირად განიცდის დროის დეფიციტს, რის გამოც ძნელდება შესაბამისი სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღება და სამართალშემოქმედებითი უფლებამოსილება გადაეცემათ ნორმაშემოქმედების სხვა სუბიექტებს. კანონქვემდებარე ნორმაშემოქმედების ზრდის ტენდენცია ყველა ქვეყანაში შეიმჩნევა. სხვადასხვა ქვეყნის მკვლევართა გაანგარიშებით, პარ-

ლამენტის მიერ მიღებულ 10 კანონზე მოდის 100-დან—150-მდე მთავრობის ნორმატიული აქტი.¹

კანონქვემდებარე ნორმა—შემოქმედებას აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეებიც. მის ღირესებებში შედის ოპერატიულობა, მოქნილობა და ნაკლები ფორმალობა, შესაბამისი ორგანოების კომპეტენტურობა, ადგილობრივი და სხვა პირობების ცოდნა, რაც ზრდის მიღებული იურიდიული გადაწყვეტილების ეფექტიანობას.

კანონქვემდებარე სამართალშემოქმედების ნაკლოვანებებია სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღების პროცესის დახურულობა, ნორმების მიმოხილვისა და გამოყენების სირთულე ნორმატიული აქტების სიმრავლის გამო.

სამართალშემოქმედების განსაკუთრებული სახეობაა კანონქვემდებარე სამართალშემოქმედებასთან მიახლოებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და არასახელმწიფოებრივი იურიდიული პირების ნორმაშემოქმედება.

§5. კანონის ცნება და სახეები

კანონის² და სამართლის უზენაესობა დაკავშირებულია დემოკრატიულ სახელმწიფოსთან, რომელიც წარმოადგენს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციას, დაფუძნებულს ხელისუფლების დანაწილების, ყველა სფეროში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის პრინციპებზე. თანამედროვე სახელმწიფოების უმრავლესობისათვის სამართლის მთავარი წყარო არის კანონი.

კანონი არის უმაღლესი იურიდიული ძალის ნორმატიული აქტი, რომელიც მიღებულია განსაკუთრებული წესით სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს ან უშუალოდ ხალხის მიერ (რეფერენდუმით) და აწესრიგებს ყველაზე მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ურთიერთობებს.

კანონს, როგორც სამართლის წამყვან წყაროს, ახასიათებს, რომ:

- არის სამართლის ნორმების შემცველი იურიდიული დოკუმენტი;
- არის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს სამარ-

¹ Теория государства и право. М., 1998 г. ст. 298

² „კანონი“ შემოსულია ქართულში ბერძნულიდან. მანამდე ქართველები „კანონის“ შესატყვისად ხმარობდნენ „წესს“ და „განგებას“, ხანაც „რიგს“. „რიგ“-ში იგულისხმებოდა „პირივე ღმერთის“ მიერ დადგენილი ქცევის წესი. ფიჭობდნენ, რომ ღმერთი ადგენდა ნებისმიერ ქცევის წესს.

თალშემოქმედების (პარლამენტის, მონარქის და სხვა) ან მთელი ხალხის მოღვაწეობის შედეგი;

—არეგულირებს საზოგადოების ყველაზე მნიშვნელოვან ტიპიურ, მყარ ურთიერთობებს;

—არის უმაღლესი იურიდიული ძალის, რაც ვლინდება იმაში, რომ მას ვერ გააუქმებს ვერც ერთი სხვა ორგანო, გარდა იმისა, ვინც ის მიიღო;

—არის ფუნდამენტური იურიდიული დოკუმენტი, სხვა სახელმწიფო ორგანოების, სასამართლოების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობის ბაზა და საფუძველი.

სახელმწიფოში, რომელსაც საპარლამენტო სისტემა აქვს, ბუნებრივია, ყალიბდება საკანონმდებლო სისტემაც, რომელიც პარლამენტის ნორმატიული აქტებისაგან (კანონების, სტატუსების და სხვა) შედგება. „კანონების კლასიფიკაციისა და კანონმდებლობის სახეების განსაზღვრისას... განსხვავებული უნდა იქნეს საქართველოს რესპუბლიკისა და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობა... რადგანაც მის შემადგენლობაში შედის ორი ავტონომიური რესპუბლიკა, რომელთაც გააჩნიათ თავიანთი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოები, რომელთა მიღებული საკანონმდებლო აქტები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონებს“.¹

1998 წლის 29 ოქტომბერს მიღებული კანონით (მე-4 მუხლი) „ნორმატიული აქტების შესახებ“ განსაზღვრულია კანონთა შემდეგი კლასიფიკაცია: ა) საქართველოს კონსტიტუცია, ბ) კონსტიტუციური კანონები, გ) ორგანული კანონი, დ) კანონი.²

„სამართლის თეორიაში არსებობს ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება, კერძოდ, ქვეყნის აბსოლუტურ უმრავლესობაში გათვალისწინებულ კანონთა ზოგადი კლასიფიკაციის საფუძველები, რომელთა მიხედვითაც კანონები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თავიანთი იურიდიული ძალის მიხედვით, მათი რეგულირების სფეროს მიკუთვნებული საკითხების წრით და მათზე ვეტოს უფლების გამოყენების შესაძლებლობით. ბუნებრივია, რაც უფრო მეტია ნორმატიული აქტი, მით უმეტეს კანონის იურიდიული და იმპერატიულობის ძალა, და მისი იმპერატიულობის ხარისხი, მით უფრო მართებულია მათზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების პროცედურა. სწორედ ეს გარემოებანი განა-

¹ გ. ინწკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია. თბ., 1998 წ. გვ. 141.

² იხ. საქართველოს კანონები, ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო აქტები და კონვენციები. თბ., 1998. თბ., 1998 წ. გვ. 238.

პირობებენ ცალკეულ კანონთა მიმართ განსაკუთრებული საკანონმდებლო რეჟიმის დადგენას, რაც გამოიხატება იმით, რომ მათ განსხვავებული წესით იღებენ“.¹

კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის კანონპროექტის შეტანის უფლება აქვს საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტს, არანაკლებ 200000 ამომრჩეველს. კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედი. ორგანული კანონის პროექტი მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სიით შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საქართველოს კონსტიტუციით (66 მუხლი) კანონპროექტი ან დადგენილება მიღებულად ითვლება, როცა მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა, თუ კონსტიტუციით არ არის განსაზღვრული კანონპროექტის ან დადგენილების მიღების სხვა წესი.²

რაც უფრო მაღალია საზოგადოების ცივილიზებულობის, განვითარებისა და ჰუმანურობის დონე, მით უფრო მეტ, განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს იგი კანონს. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ კანონის შინაარსი უნდა იყოს სამართლებრივი, ე.ი. განუყოფელი, განუსხვი-სებელი, ბუნებითი და შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებებს, რომლებიც ძირითადად დაფიქსირებულია გაეროს საერთაშორისო-სამართლებრივ დოკუმენტებში, წარმოადგენენ ყოველი ადამიანის ცალკე და საერთოდ ადამიანთა ცივილიზაციის სამართლებრივი დაცვის იურიდიულ ბაზას და ნებისმიერი სახელმწიფოს კანონმდებლობის იურიდიულ იმპერატი-ვად გამოდიან. კანონში ადამიანის უფლებების დაცვის დონე არის თვით კანონის ხარისხის კრიტერიუმი, მისი არსისა და სარგებლობის, სამართლიანობისა და თავისუფლებაზე ორიენტირების მაჩვენებელი, რაც გამორიცხავს ზელისუფლების მხრიდან ადამიანთა პირად ცხოვ-რებაში უხეშ ჩარევას.

კანონის შინაარსს ქმნის პირველადი ნორმები, რომლებიც ცალკეულ შემთხვევაში შემდგომ კანონქვემდებარე აქტებში ზუსტდება და ვითარ-დება.

¹ იხ. როგორ იქმნება კანონი. თბ., 2000 წ. გვ. 31.

² იხ. საქართველოს კონსტიტუცია. თბ., 1995, გვ. 33-34 და 58.

§6. სამართლისა და კანონის თანაფარდობის პრობლემა

სამართლისა და კანონის თანაფარდობის საკითხის გადაწყვეტა ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა იურიდიულ ლიტერატურაში. ამის მიზეზი კანონის, როგორც ტერმინის, მრავალმნიშვნელოვნებაა. ვიწრო გაგებით ეს არის უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ ან საყოველთაო სახალხო კენჭისყრით (რეფერენდუმით) მიღებული უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე აქტი და სამართლის უპირველესი წყარო. ფართო გაგებით კანონი ნორმატიულ აქტს, სასამართლო პრეცედენტს და სანქციონირებულ წეს-ჩვეულებებსაც მოიცავს. ნების კანონის რანგში აყვანა ნიშნავს, რომ მას მიენიჭოს ზოგადსაგებობის მნიშვნელობა, იურიდიული ძალა, უზრუნველყოფილ იქნეს მისი სახელმწიფოებრივი დაცვა.

სამართლისა და კანონის გაიგივებისკენ სწრაფვას გარკვეული საფუძველი გააჩნია: ამ შემთხვევაში სამართლის შინაარსი მკაცრად ფორმალიზდება—სამართლად აღიარებულია მხოლოდ ის, რაც აყვანილია კანონის რანგში. სამართალი კანონგარეშე არ არის და არც შეიძლება იყოს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთი რამ: თუ სამართალში ვიგულისხმებთ მხოლოდ სამართლის ნორმების ერთობლიობას, მაშინ თვალსაზრისი სამართლისა და კანონის იდენტიფიცირების შესახებ შესაძლებელია მისაღები იყოს, რადგანაც იურიდიული ნორმები სამართლის წყარობს გარეთ არ არსებობენ. მაგრამ, სამართალი არ შეიძლება დავიყვანოთ მარტო ნორმებამდე—ნორმების გარდა იგი შეიცავს სოციალურ-სამართლებრივ მოთხოვნებს (ბუნებითი უფლება) და პოზიტიურ უფლებებს. ამ შემთხვევაში ნორმების დანიშნულებაა—გარდაქმნას სოციალურ-სამართლებრივი მოთხოვნები უფლებებად და მოაქციოს ისინი იურიდიულ სფეროში. მაშასადამე, სამართალი მოიცავს არა მარტო აუცილებელს (ნორმატიული და ინდივიდუალური მოთხოვნები და გადაწყვეტილებები), არამედ არსებითსაც (იურიდიულ შესაძლებლობათა რეალური გამოყენება, მოვალეობების რეალური შესრულება). სამართალი არის საზოგადოების ყოფის ამსახველი საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგების საშუალება და მის შედეგად წარმოქმნილი იურიდიული ფორმაც.

სამართლის ასეთი ფართო მნიშვნელობით გაგებისას ცხადი ხდება, რომ მის შინაარსს ქმნის საზოგადოება, სახელმწიფო კი მხოლოდ ანიჭებს ნორმატიულობის სტატუსს, ე.ი. „აჰყავს იგი კანონის რანგში“. ფორმულა „სამართალს ქმნის საზოგადოება, კანონს კი—სახელმწიფო“ ყველაზე უფრო ზუსტად გამოხატავს სამართლისა და კანონ-

¹ იხ. Теория государства и права под. ред. В. Корелского, В. Перевалова, м. 2000. стр. 237-238.

ნის გამიჯვნას. მხოლოდ აქ არ უნდა დაევიწყოთ სამართლებრივი შინაარსისა და სამართლებრივი ფორმის ერთიანობა და მათ შორის შესაძლო დაპირისპირება. სამართლებრივ შინაარსს, რომელიც არ არის აყვანილი კანონის რანგში, არ აქვს რეალიზაციის გარანტიები, მაშასადამე, არ არის სამართალი ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით. კანონი შეიძლება იყოს არასამართლებრივი, თუ მისი შინაარსი სახელმწიფო ხელისუფლების თვითნებობაა. ანდა „კანონი სხვადასხვა სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ფაქტორების გავლენის ანდა სულაც ელემენტარული შეცდომის გამო შესაძლოა ცდომილებაში აღმოჩნდეს სამართალთან—იყოს უსამართლო არაკონსტიტუციური“.¹ ამგვარი კანონები შეიძლება განისაზღვროს, როგორც ფორმალური სამართალი, ანუ სამართალი ფორმის და არა შინაარსის თვალსაზრისით. ცხოვრება გვიჩვენებს, რომ შესაძლებელია—კანონმდებლობასაც არაფერი ჰქონდეს საერთო ჭეშმარიტ სამართალთან (ტოტალიტარული სახელმწიფოები).

კანონისა და სამართლის თანაფარდობის პრობლემა კარგად ესმოდა ილია ჭავჭავაძეს და ერთმანეთისაგან სწორად განასხვავებდა მათ. მისი აზრით, „კანონი სამართლისაგან ამოწვდომი ხმალიც არის ურჩხათვის და ფარიც არის სახსნელად ჩაგრულთათვის“ ან კიდევ „კანონი და სამართალი თავისუფლების ციხე-სიმაგრეა“.²

სამართლისა და კანონის გამიჯვნას დიდი ჰუმანური მნიშვნელობა გააჩნია, რადგან მაშინ სამართალი განიხილება, როგორც კანონის ღირებულების შეფასების კრიტერიუმი, თუ რამდენად აღიარებს ეს უკანასკნელი ადამიანის უფლებებს, მის ინტერესებსა და მოთხოვნილებებს.

§7. ნორმატიული აქტების მოქმედება დროში, სივრცეში და პირთა წრის მიხედვით

ყველა ნორმატიულ აქტს აქვს თავისი მოქმედების და არსებობის განსაზღვრული დრო, ტერიტორიული შეზღუდვა, აგრეთვე ვრცელდება პირთა (სამართლის სუბიექტთა) გარკვეულ წრეზე. ზოგადი წესით, ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი გამოიყენება მისი მოქმედების პერიოდში არსებული ურთიერთობის დასარეგულირებლად. ნორმატიული აქტი დროის საზღვრების დასადგენად ითვალისწინებს სამ არსებით

¹ „მართლმსაჯულების მაცნე“, თბ., 1998 წ. №4, გვ. 25.

² იხ. „ივერია“, 1887 წ. №129.

გარემოებას: კანონიერ ძალაში შესვლის (ამოქმედების), მოქმედების შეწყვეტის მომენტს და კანონის მომდევნო ნორმატიული აქტით დადგენილი იურიდიული ნორმების გამოყენებას იმ ურთიერთობების მიმართ, რომლებიც არსებობდნენ მის კანონიერ ძალაში შესვლამდე („კანონის უკუქცევითი ძალა“).

ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის ამოქმედების მიზნით ტექსტში დაფიქსირებულია კალენდარული თარიღი, საიდანაც იგი იწყებს მოქმედებას;

ნორმატიული აქტის ტექსტში ასევე მითითებულია სხვა გარემოება, რომელსაც უკავშირდება დოკუმენტის კანონიერ ძალაში შესვლა („ხელმოწერის მომენტიდან“, „გამოქვეყნების მომენტიდან“ და ა.შ.).

ზოგადი წესების მიხედვით კანონი და უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების ერთდროულად ამოქმედება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მისი ოფიციალური გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს, თუ თვით საკანონმდებლო აქტით სხვა ვადა არ იქნა დადგენილი. პრეზიდენტის დეკრეტი ძალაში შედის მხოლოდ ოფიციალურ ორგანოში მისი გამოქვეყნების შემდეგ, დეკრეტში მითითებული მომენტიდან და მოქმედებს მასში აღნიშნულ დრომდე. პრეზიდენტის ბრძანებულება ძალაში შედის ოფიციალურად ბეჭდვით ორგანოში მისი გამოქვეყნებისთანავე, თუ იმავე ბრძანებულებით სხვა ვადა არ იქნა დადგენილი. პრეზიდენტის ბრძანება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან, თუ იმავე ბრძანებით სხვა ვადა არ იქნა დადგენილი.

გამოცემები, რომლებშიც ოფიციალურად იბეჭდება ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები, არის „პარლამენტის უწყება“, „საქართველოს რესპუბლიკა“ და კანონმდებლობის კრებული.

ნორმატიული აქტის მოქმედება წყდება:

იმ ვადის გასვლის შემდეგ, რა დროითაც იყო მიღებული იურიდიული დოკუმენტი;

ნორმატიული აქტის იურიდიული ძალის დაკარგვის შესახებ გამოცხადების შედეგად (სპეციალური აქტით პირდაპირი გაუქმება);

უფლებამოსილი ორგანოს მიერ ახალი ნორმატიული იურიდიული დოკუმენტის მიღების შემდეგ, რომელიც არეგულირებს საზოგადოებრივი ურთიერთობების იმავე წესს და აქვს თანაბარი ან უფრო მეტი იურიდიული ძალა;

იურიდიული დოკუმენტის მოქმედება იმ გარემოებების გაქრობასთან დაკავშირებით, რომლებიც ქვეყმდებარებოდა მოწესრიგებას, მაგრამ დაკარგეს თავისი აქტუალობა და ამიტომ შეწყვიტეს მოქმედება.

საკითხი ნორმატიული აქტების დროში მოქმედების შესახებ უნდა განვიხილოთ კიდევ ორი ასპექტის გათვალისწინებით.

—ნორმატიულ-სამართლებრივ აქტს არა აქვს უკუქცევითი ძალა (ეს იურიდიული აქსიომაა ჯერ კიდევ ძველი რომის იურისტებმა ჩამოაყალიბეს). ნორმატიული დოკუმენტი მოქმედებს მხოლოდ იმ გარემოებებისა და შემთხვევების მიმართ, რომლებიც წარმოიქმნენ მის მოქმედებაში შესვლის შემდეგ. გამონაკლისს წარმოადგენს სისხლის სამართლის კანონმდებლობა, რომელშიც კუმანური მოტივების გამო მოქმედებს წესი „სისხლის სამართლის კანონს აქვს უკუმოქმედების ძალა, თუ იგი ამსუბუქებს ან აუქმებს დასჯადობას“. ეს წესი არის სამართლებრივი სტაბილურობის აუცილებელი ფაქტორი, როდესაც მოქალაქეები და იურიდიული პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ იმაში, რომ მათი სამართლებრივი მდგომარეობა არ გაუარესდება კანონით;

—ნორმატიულ-სამართლებრივმა აქტმა შეიძლება დაკარგოს ძალა, მაგრამ მისი ცალკეული დებულებები, ნორმები შეიძლება გამოყენებული იქნენ იმ ფაქტებთან, რომელთაც ადგილი ჰქონდათ მისი მოქმედების დროს. ეს ხანგრძლივი სამართალურთიერთობების რეგულირებას განეკუთვნება.

სივრცეში ნორმატიული აქტების მოქმედების არსი მდგომარეობს მათი მოქმედების ტერიტორიულ შეზღუდვაში, როდესაც ნორმატიული აქტი გამოიყენება ტერიტორიაზე, რომელზეც ვრცელდება სახელმწიფოს სუვერენიტეტი, ან შესაბამისი ორგანოების კომპეტენცია; ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების აქტები ვრცელდება მთელ ტერიტორიაზე, მუნიციპალური ორგანოების — შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიაზე.

სახელმწიფოს საზღვრებით შემოფარგლულ ტერიტორიას განეკუთვნება: ხმელეთი მათ შორის წიაღისეული და კონტინენტური შელფი, ტერიტორიული წყლები (ზღვის 12 მილი), საჰაერო სივრცე.

სახელმწიფო ტერიტორიას უთანაბრდება საზღვაო-სამდინარო ზომადლები, რომლებიც სახელმწიფო დროშით დაცურავენ, აგრეთვე საჰაერო ტრანსპორტი, საერთაშორისო წესების მიხედვით სამხედრო გემები უგამონაკლისოდ, ხოლო სამოქალაქო საზღვაო და საჰაერო ზომადლები თავისი სახელმწიფოს წყლებში და ჰაერში, ღია ზღვაში, საჰაერო სივრცეში.

ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მოქმედება პირთა წრის მიხედვით განპირობებულია შემდეგი გარემოებებით: ყველა მოქალაქე, მოქალაქეობის არმქონე პირი, უცხოელი და იურიდიული პირი ვალდებულია

დაემორჩილოს იმ ქვეყნის კანონმდებლობას, რომლის ტერიტორიაზეც ცხოვრობს ან იმყოფება. იურიდიული მეცნიერებისა და პრაქტიკისათვის ცნობილია ექსტერიტორიული პრინციპი. ეს არის იურიდიული ფიქცია, რომლის მიხედვით სახელმწიფო ტერიტორიის გარკვეული ნაწილი (უცხოეთის საელჩოები, მისიების შენობები ან მათი სატრანსპორტო საშუალებები), აგრეთვე უცხო ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლები არ ითვლებიან იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სადაც ისინი ფიზიკურად იმყოფებიან; იურიდიულად ისინი „იმყოფებიან“ იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ვისი წარმომადგენლებიც არიან. ნაცვალგების საწყისებზე ყველა ქვეყანაში საელჩოს ტერიტორია ითვლება იმ სახელმწიფოს კუთვნილებად, ვისი საელჩოც განთავისებულია ამ შენობაში.¹ საელჩოს შენობის ნებისმიერი ხელყოფა უთანაბრდება სახელმწიფო ტერიტორიის მთლიანობის ხელყოფას და განიხილება, როგორც საერთაშორისო სამართლის დარღვევის ფაქტი.

§8 ნორმატიული აქტების სისტემატიზაცია

საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების პროცესში სახელმწიფო ახორციელებს სამართალშემოქმედებით საქმიანობას, რის შედეგადაც გამოიქვამა ასეულობით ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. საკანონმდებლო სისტემის, ჩამოყალიბება ხდება არა მარტო დაგეგმვით, არამედ სისტემატიზაციითაც. კანონმდებლობის სისტემატიზაცია არის სახელმწიფოს მიზანმიმართული საქმიანობა მოქმედი საკანონმდებლო აქტების ერთიან სისტემაში მოსაყვანად მათი ხელმისაწვდომობისა და ეფექტიანად გამოყენების მიზნით.

სისტემატიზაციის მიზანია შექმნას კანონთა მწყობრი სისტემა, რომელსაც გააჩნია ნორმატიული აქტებით სარგებლობის სისრულის, ხელმისაწვდომობის და მოხერხებულობის თვისებები; მოძველებული და არაეფექტიანი სამართლის ნორმებისაგან განთავისუფლება, იურიდიული კოლიზიების გადაჭრა; ხარვეზების აღმოფხვრა და კანონმდებლობის განახლება.

იურიდიული მეცნიერებისათვის ცნობილია სისტემატიზაციის ორი სახე: ინკორპორაცია და კოდიფიკაცია.

ინკორპორაციის დროს მოქმედი ნორმატიული აქტები ერთიანდება

¹ იხ. ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი თბ., 1998 წ. გვ. 35-40.

მათი შინაარსის შეცვლის, გადამუშავებისა და რედაქტირების გარეშე. ამ შემთხვევაში იურიდიული ნორმების (ქცევის წესების) ტექსტი არ იცვლება. ინკორპორაციის მიზანია გამოიციეს სხვადასხვა კრებულები, რომლებიც წაღობდებიან თემატური პრინციპით (რეგულირების საგნის მიხედვით) ან ნორმატიული აქტების გამოცემის წლების მიხედვით (ქრონოლოგიური პრინციპით).

ინკორპორაცია იყოფა ოფიციალურ და არაოფიციალურ სისტემატიზაციად. ოფიციალურს განეკუთვნება კანონმდებლობის კრებული. მის პირველ კარში იბეჭდება გარკვეული პერიოდის პრეზიდენტისა და მთავრობის ნორმატიული აქტები, მეორეში — მათი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები. არაოფიციალურ ინკორპორაციას ეკუთვნის ნორმატიული მასალების კრებული (სამართლის დარგების მიხედვით), რომლებიც მოსახლეობის განათლებას, კანონის შესწავლას ემსახურება და ა.შ. სასამართლოებში იურიდიულ საქმეთა განხილვისას და სხვა სამართალშეფარდებულ ორგანოებში ამგვარ არაოფიციალურ ინკორპორაციულ მასალებზე დაყრდნობა არ შეიძლება.

კოდიფიკაცია მიზნად ისახავს სამართლის ნორმების გადამუშავებას შინაარსის მიხედვით და მათ სისტემატიზებულ, მეცნიერულად დასაბუთებულ ჩამოყალიბებას ახალ კანონში (კანონთა კრებულში, კოდექსში, კანონმდებლობის საფუძვლები და სხვა). კოდიფიკაცია უფრო მაღალი დონის სასისტემატიზაციო სამუშაოა, ვიდრე ინკორპორაცია, რადგანაც კოდიფიკაციის დროს ხდება მოქმედი იურიდიული ნორმების ხარისხობრივი გადამუშავება, სამართლებრივ მოწესრიგებაში ნორმათა ხარვეზის განმეორებისა, და დაპირისპირების აღმოფხვრა, უქმდება არაეფექტიანი და მოძველებული ნორმები. კანონმდებელი ნორმატიულ მასალას ალაგებს მწყობრ, შინაგანად შეთანხმებულ სამართლებრივ სისტემად. ადრე მოქმედი დიდი რაოდენობის იურიდიული ნორმატიული დოკუმენტების მაგივრად იქმნება ახალი ერთიანი კრებოსითი აქტი, რომლის გამოცემით მიიღწევა სიზუსტე და ეფექტიანობა სამართლებრივ რეგულირებაში.

ქართული სამართლის ისტორიაში განსაკუთრებით აღსანიშნავია ვახტანგ VI-ის მიერ ჩატარებული საკოდიფიკაციო საქმიანობა. მან შეკრიბა და გადმოათარგმნინა სამართლის (ებრაული, ბერძნული, სომხური) ძეგლები და ამასთან თავი მოუყარა ძველი ქართული სამართლის (გიორგი ბრწყინვალის, ბექასა და აღბუღას, კათალიკოზის სამართლის) ძეგლებსაც. თავის საკანონმდებლო მუშაობა მან ქართუ-

ლი სამართლის კოდექსის შექმნით დააგვირგვინა, რომელიც ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნითაა ცნობილი.¹

კანონმდებლობის კოდიფიკაცია შეიძლება იყოს საყოველთაო (როცა გადაშუადება სახელმწიფოს მთელი კანონმდებლობა), დარგობრივი (თუ გადამუშავდება კანონმდებლობის გარკვეული დარგის ნორმები) ან სპეციალური (მოიცავს რომელიმე სამართლებრივი ინსტიტუტის ნორმებს).

§9 საკანონმდებლო ტექნიკა

კანონებისა და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების ეფექტიანობა და შედეგიანობა დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ზუსტი და ნათელი, ლოგიკურად დაკავშირებული და თანმიმდევრული არიან იურიდიული ფორმულირებები, რამდენად ერთგვაროვანია იურიდიული ცნებებისა და ტერმინების გამოყენება. ამას ხელს უწყობს იურიდიული ტექნიკის წესები და ხერხები, რომლებსაც კანონმდებელი იყენებს ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მომზადებისას.

საკანონმდებლო ტექნიკად მიჩნეულია ნორმატიული აქტების შემუშავების, გაფორმებისა და სისტემატიზაციის წესების, საშუალებებისა და ხერხების ერთობლიობა. საკანონმდებლო ტექნიკის ობიექტი არის ნორმატიული დოკუმენტის ტექსტი, რომელზეც მუშაობისას კანონმდებელი იყენებს ნორმატიული აქტების მომზადების სხვადასხვა წესებსა და ხერხებს.

საჭიროა აღვნიშნოთ, რომ საკანონმდებლო ტექნიკის განვითარების დონე ყოველთვის არის საზოგადოების სამართლებრივი კულტურის განვითარების მაჩვენებელი. უეჭველია აგრეთვე ისიც, რომ საკანონმდებლო ტექნიკა არის არა წმინდა ტექნიკური, გამოყენებითი პრობლემა, არამედ სამართლის არსის განსაზღვრის, კანონმდებლის პოლიტიკური ნების კრიტერიუმი.

ნორმატიული აქტების პროექტების მომზადების წესები მრავალგვარი და მრავალრიცხოვანია, მათგან გასათვალისწინებელია:

—სამართლებრივი რეგულირების კონკრეტულობა, მკაფიოობა და სისრულე;

—დოკუმენტის ტექსტის გადმოცემის ლოგიკა და კავშირი ნორმატიულ მოთხოვნებს შორის;

¹ იხ. ვახტანგ V6, სამართლის წიგნი. თბ., 1955 წ. (არსებობს სხვა გამოცემებიც).

—წინააღმდეგობების, ხარვეზების, კოლიზიების დაუშვებლობა როგორც ნორმატიულ აქტებში, ისე კანონმდებლობის მთელ სისტემაში;

—ტერმინების სიზუსტე, გამოყენებისა და გაგების სიმარტივე;

—სიტყვიერი შტამების, მოძველებული კონსტრუქციების და იშვიათად ხმარებული სიტყვების უარყოფა;

—სამართლებრივი ნორმების ლაკონურობა და კომპაქტურობა, ერთსა და იმავე საკითხზე ნორმატიული მასალის განმეორების მინიმუმამდე შემცირება.¹

საკანონმდებლო ტექნიკის წესებისაგან განსხვავდება ნორმატიული აქტის გაფორმების წესი. ეს სპეციფიკური და უნიფიცირებული ნორმები აფიქსირებენ ნორმატიული აქტის ოფიციალურ რეკვიზიტებსა და სტრუქტურულ ნაწილებს. მაგალითად, ყველა კონსტიტუციას ყოველთვის აქვს პრეამბულა (შესავალი ნაწილი), კოდექსი კი შედგება ზოგადი და კერძო ნაწილებისგან. კოდექსში მუხლების ნუმერაცია უწყვეტი და მიმდევრობითია, მასში ჩართვისას ახალ ნორმას ენიჭება ინდექსი („ნიშანი“), რომელიც არ არღვევს დადგენილ ნუმერაციას, ნორმატიული აქტების რეკვიზიტებს, რომლებიც ადასტურებენ მის ოფიციალურ ხასიათს, მიეკუთვნება მისი მიღების თარიღი და ადგილი, თანამდებობის პირთა ხელმოწერა, სათაური (სრული და შემოკლებული) იურიდიული დოკუმენტის ადრესატის დასახელება და ა.შ.

¹ Общая теория права и государства. М., 1996, ст. 153-154.

Матузов Н.И., Малько А.В. Теория государства и права. Изд. "Юрист" М., 1997, ст. 571-577. საკანონმდებლო ტექნიკის შესახებ იხილეთ. ნაშ. როგორ იქმნება კანონი. თბ., 2000, გვ. 218

თავი მეცხრამეტი

სამართლისა და კანონმდებლობის სისტემების თანაზარდობის პრობლემა

§1 სამართლის სისტემის სწავლა

განსაზღვრული პრინციპების საფუძველზე ამა თუ იმ ქვეყნის სამართლის შინაგან აგებულებას, სტრუქტურას, იურიდიულ ნორმათა ერთობლიობასა და დიფერენციაციას სამართლის სისტემას უწოდებენ. ამ ცნების ძირითადი მიზანია—ახსნას ნორმატიული მასივის ინტეგრირება და დაყოფა დარგებად და ინსტიტუტებად, სისტემურად დაახასიათოს პოზიტიური სამართალი მთლიანობაში, რომელიც არის კონკრეტული საზოგადოების სამართლებრივი სისტემის ბირთვი და ფლობს ისეთ თვისებებს, როგორცაა მთლიანობა, ავტონომიურობა, სტაბილურობა, დინამიზმი, შინაარსისა და ფორმის ურთიერთკავშირი და სტრუქტურულობა. აქ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ სამართლის სტრუქტურა (სისტემა) განაპირობებს მის ფორმას (კანონმდებლობის სისტემას) და უწყვეტადაა დაკავშირებული მასთან.

იმისათვის, რომ შევიცნოთ და ავითვისოთ სამართალი, როგორც სისტემა, საჭიროა, გამოვავლინოთ იურიდიული ნორმების აგების საფუძველები, ინტეგრაციისა და დიფერენციაციის კრიტერიუმები. ამისათვის მიზანშეწონილია, გამოვიყენოთ. სხვადასხვა საშუალება და განზომილებები, რომლებიც ხსნიან სამართლებრივი მატერიის არსებობისა და განვითარების ლოგიკას.

გენეტიკური მიდგომის პოზიციიდან შეიძლება გამოვყოთ პირველადი და მათგან წარმოებული კრიტერიუმები. პირველადი (ბუნებითი) კრიტერიუმი სამართალთან მიმართებაში არის ადამიანი. ამ კუთხით შეიძლება წარმოებული იყოს სხვადასხვა, რომელიმე წესით გაფორმებული სოციალური და სოციალურ-პოლიტიკური წარმონაქმნი, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო და საზოგადოება. აქედან იღებს საწყისს სამართლის სისტემის შემქმნელი, შემაერთებელი და ის კავშირებიც, რომლებიც განაპირობებენ მის დაყოფას ბუნებით და პოზიტიურ სამართლად. ბუნებით სამართალში მოიაზრება იმ უფლება-მოვალეობების ერთობლიობა, რომლებიც გამომდინარეობენ თვით ადამიანის, როგორც

გონიერი სოციალური არსების, ბუნებიდან, ე.ი. ის უფლება-მოვალეობები, რომლებმაც საზოგადოებაში ადამიანთა ქცევის სამართლებრივი ხასიათი მიიღო. პოზიტიური სამართალი წარმოადგენს ნორმათა სისტემას, რომელიც შეიცავს სახელმწიფოსა და საზოგადოებისაგან გამომდინარე გარკვეულ უფლება-მოვალეობებს და გამოხატულია (განსაზღვრულია) ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტებით (კანონი, სასამართლო პრეცედენტი, აღმასრულებელი ხელისუფლების აქტი). ამასთან თანამედროვე პოზიტიური სამართლის ყველა სისტემა ამა თუ იმ ზომით ეფუძნება ბუნებით სამართალს, შეიცავს ბუნებით-სამართლებრივ საწყისებს.

ამავე კრიტერიუმით სამართალი იყოფა კერძო და საჯარო სამართლად.¹ კერძო სამართალი მიმართულია ცალკეული პირების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა და ინტერესების დასაცავად, საჯარო სამართალი კი იცავს სახელმწიფოს საერთო ინტერესებს.

ისტორიული მიდგომა გამოიყენება სამართლის, როგორც სისტემის, ჩამოყალიბების მთელი გზის შესასწავლად. საერთო კრიტერიუმი აქ არის სამართლის ფორმა (წყარო), რომლის ანალიზი საშუალებას იძლევა აღინიშნოს უპირატესი სისტემაშემქმნელი საწყისები, რომლებიც დამახასიათებელია სამართლის ამა თუ იმ სისტემისათვის, მისი ელემენტების კომპონირების სპეციფიკა, არქიტექტონიკა. ამ კრიტერიუმით გამოიყოფა ჩვეულებითი (ტრადიციული) პრეცედენტული, სახელმწიქრულებო და პოზიტიური (კოდიფიცირებული, სტატუკური) სამართალი.

ისტორიული შეხედულება ხსნის სამართლის გენეტიკურ კავშირებს, რომლებიც მის საფუძველს შეადგენენ და ამასთანავე იძლევა საშუალებას აღვადგინოთ სისტემის ცვლილების დინამიკა დროსა და სივრცეში. ეს დაკავშირებულია, კერძოდ, ადამიანის, როგორც ინდივიდისა და სხვადასხვა სოციალური წარმონაქმნის განვითარებასთან. აქ ვლინდება სხვადასხვა რელიგიური, იდეოლოგიური, ეთიკური ფაქტორების გავლენა სამართალზე და თანაფარდობა მათ შორის. ამ კუთხით, გამოყოფენ მუსლიმური სამართლისა და ინდუსური სამართლის სისტემებს.

სისტემურ-სტრუქტურული ჭრილი აღნიშნავს სამართლის ნორმების სივრცობრივ, გარკვეულწილად მოწესრიგებულ განლაგებას. იურიდიული ნორმების კომბინაციების მოწესრიგებულობა, შეთანხმებულობა, ურთიერთდაკავშირებულობა და დიფერენცირებულობა განპირობებულია

¹ ეს დაყოფა ძველი რომის სამართლიდან მოდის.

საზოგადოებრივი ურთიერთობების სტრუქტურით და მათი სამართლებრივი განხორციელების მიზანმიმართულებით. სამართლის სისტემაში სტრუქტურული წარმონაქმნები ერთმანეთისგან განსხვავდება აგებულების სირთულით (პორიზონტალური, ვერტიკალური, ხაზოვანი, მატრიცული), სიხისტის დონით, ელემენტების შეკავშირებით და სხვა. საზოგადოებისა და სამართლის განვითარების გარკვეულ პერიოდებში წინა პლანზე გამოდის ყველაზე ოპტიმალური სტრუქტურა. აწმყოში იგი შეიცავს სამართლის ნორმებს, ინსტიტუტებს, დარგებს.

იურიდიული ნორმა არის სამართლის პირველადი და საბოლოო სტრუქტურული ელემენტი. იგი პირველი განიცდის იმ ცვლილებებს, რომლებიც სამართალში მიმდინარეობს. უნივერსალური, გამჭოლი მნიშვნელობის გამო სამართლის ნორმის თვისებები ვრცელდება სისტემის სხვა დონეებზე და ათვლის წერტილს, სამართლებრივი მატერიის ზომის ერთეულს წარმოადგენს.

სამართლის ნორმა დამოუკიდებლად აწესრიგებს საზოგადოებრივი ურთიერთობის ერთ რომელიმე მხარეს მთლიანობაში. ურთიერთობის სამართლებრივი მოწესრიგებისათვის ხშირად საჭირო ხდება ნორმების (მატერიალური, პროცესუალური, დეფინიციური, იმპერატიული) კომპლექსური ურთიერთქმედება.

სამართლის ინსტიტუტი არის იმ იურიდიული ნორმების განყენებული ჯგუფი, რომელიც აწესრიგებს კონკრეტული სახის საზოგადოებრივ ურთიერთობებს (მაგალითად, სამოქალაქო სამართლის საკუთრების უფლების ინსტიტუტი, ადმინისტრაციული სამართლის—თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის ინსტიტუტი. საარჩევნო უფლების კონსტიტუციურ სამართალში). ინსტიტუტები შეიძლება იყოს დარგობრივი და დარგთაშორისი (კომპლექსური).

სამართლის დარგი წარმოადგენს იურიდიული ნორმების, ინსტიტუტების განყენებულ ერთობლიობას, რომელიც აწესრიგებს ერთგვაროვან საზოგადოებრივ ურთიერთობებს, ასახავს სისტემაშემქმნელი კავშირების უფრო მაღალ დონეს და გარკვეული მთლიანობით, ავტონომიურობით ხასიათდება.

სამართლის დარგები იყოფა მატერიალურად და პროცესუალურად. მატერიალურ სამართალს განეკუთვნება, სამოქალაქო შრომის, სისხლის, მიწის სამართალი; პროცესუალურს—სამოქალაქო, სისხლი სამართლის პროცესი და ადმინისტრაციულ-პროცესუალური სამართალი; ასევე ყალიბდება კონსტიტუციურ-საპროცესო სამართალიც. განვიხილოთ უფრო დაწვრილებით ზოგიერთი მათგანი:

სახელმწიფო (კონსტიტუციური) სამართალი სამართლის სისტემის უმნიშვნელოვანესი დარგია, ვინაიდან მისი შემადგენელი ნორმები უშუ-

ალოდ არიან დაკავშირებული სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებასთან. სახელმწიფო სამართლის ნორმები განსაზღვრავენ ქვეყნის საზოგადოებრივი წესწყობილებისა და პოლიტიკის საფუძვლებს, ეროვნულ-სახელმწიფო წყობილების საკითხებს, მოქალაქეობის უმთავრეს დებულებებსა და პრინციპებს. მისი ზემოქმედება ვრცელდება საზოგადოების არსებობისა და განვითარების უმნიშვნელოვანეს პროცესებზე, საზოგადოების წევრთა ურთიერთობის უმთავრეს მხარეებზე, სახელმწიფო საქმიანობის ძირითად მიმართულებებზე. ამიტომ არის, რომ სახელმწიფო სამართლის ნორმები თავის გამოხატულებას პოულობენ, პირველ ყოვლისა, ქვეყნის ძირითად კანონში—კონსტიტუციაში, ხოლო სახელმწიფო სამართალს კონსტიტუციურ სამართალსაც უწოდებენ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, სახელმწიფო სამართლის ძირითად წყაროს კონსტიტუცია შეადგენს. გარდა ამისა, ამ დარგის წყაროებად შეიძლება ჩაითვალოს ზოგიერთი სხვა კანონებიც, სახელმწიფოთა უმაღლესი თანამდებობის პირების ბრძანებულებები, აგრეთვე ხელისუფლებისა და მმართველობის სხვა ორგანოთა ნორმატიული აქტები.

სახელმწიფო სამართლის ინსტიტუტებია მოქალაქეობის, მოქალაქეთა ძირითადი უფლებებისა და მოვალეობების საარჩევნო უფლების ინსტიტუტები, პრეზიდენტის ინსტიტუტი, საქართველოს სახალხო დამცველის ინსტიტუტი და მრავალი სხვა.

ადმინისტრაციული სამართალი წარმოადგენს იმ სამართლებრივი ნორმების ერთობლიობას, რომელიც აწესრიგებს სახელმწიფო მმართველობის სფეროში აღმოცენებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, განსაზღვრავს მმართველობის ორგანოების შექმნისა და გაუქმების, მათი ორგანიზაციისა და საქმიანობის წესს პრინციპებს და მათ დამოკიდებულებას მოქალაქეებთან.

„საზღვარგარეთის განვითარებულ ქვეყნებში ადმინისტრაციულ სამართალს საჯარო სამართლის დარგს აკუთვნებენ, რადგანაც იგი აწესრიგებს საჯარო ხელისუფლების განხორციელებას მმართველობის ორგანოების მეშვეობით. კერძო სამართლის ელემენტები კი მასში არ შეიმჩნევა. მოქალაქენი თავიანთ კერძო ქონებრივ, შრომით საოჯახო და სხვა უფლებებს მოიპოვებენ არა ადმინისტრაციული, არამედ კერძო სამართლის მეშვეობით“.¹

ადმინისტრაციული საქმიანობა, რომელიც სახელმწიფო მმართველობის პროცესში ხორციელდება, გულისხმობს სახელმწიფოს წინაშე

¹ იხ. ე. ლორია, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი თბ., 2000 წ. გვ. 3.

მდგარი ამოცანებისა და მათი ფუნქციების შესრულების პრაქტიკულ ორგანიზაციას მოქმედი კანონების საფუძველზე და მათ შესასრულებლად. აღმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობანი, წარმოშობიან სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა აღმასრულებელ-განმკარგულებელი საქმიანობის პროცესში. ასეთი ორგანოებია: საქართველოს მთავრობა და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა კაბინეტი, საქართველოსა და ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროები, მმართველობის ადგილობრივი ორგანოები, მათი განყოფილებები და სამმართველოები.

აღმინისტრაციული სამართლის ძირითადი წყაროებია: საქართველოსა და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციები, საქართველოსა და ავტონომიური რესპუბლიკების კანონები, საქართველოს ზოგადი აღმინისტრაციული კოდექსი, საქართველოს აღმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსი, საქართველოს მმართველობის ცენტრალური და ადგილობრივ ორგანოთა ნორმატიული აქტები.

აღმინისტრაციული სამართლის ცალკეული ინსტიტუტებისა სახელმწიფო სამსახურის ინსტიტუტი, აღმინისტრაციული გადაცდომის აღმინისტრაციული სახდელის საგარეო საქმეთა დარგში მმართველობის კავშირგაბმულობის დარგში მმართველობის ინსტიტუტი, განათლების დარგში მმართველობის ინსტიტუტი და სხვ.

სამოქალაქო სამართალი არის სამართლის დარგი, რომლის ნორმები აწესრიგებს კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად არაქონებრივ ურთიერთობებს. სამოქალაქო სამართალი განსაზღვრავს სამოქალაქო ურთიერთობის, ინტელექტუალური საქმიანობისა და საოჯახო ურთიერთობის მონაწილეთა უფლებრივ მდგომარეობას, საკუთრებისა და სხვა ქონებრივ უფლებათა წარმოშობის საფუძველებსა და განხორციელების წესს, აწესრიგებს სახელმეკრულებო და სხვა ვალდებულებებიდან წარმოშობილ ურთიერთობებს.¹

ქონებრივი ხასიათის ურთიერთობანი ისეთი ურთიერთობებია, რომლებიც ეკონომიკური შინაარსით ხასიათდებიან და დაკავშირებულნი არიან წარმოების საშუალებების საკუთრებასთან.

არაქონებრივი ხასიათის პირადი ურთიერთობანი, რომლებიც აგრეთვე სამოქალაქო სამართლის მოწესრიგების საგანს შეადგენენ, უშუა-

¹ იხ. სამოქალაქო სამართლის კოდექსი თბ. 1997 წ. ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში თბ., 2000 წ. რ. შენგელია, ქონებრივი ზიანი და მისი ანაზღაურების ვალდებულება თბ. 1991 წ. მისივე კონდიციურ ვალდებულებათა საფუძველები თბ. 1996 წ. ზ. ახელედიანი, ვალდებულებითი სამართალი თბ., 1998 წ. ბ. ზოიძე, სანიეთო სამართალი თბ., 2000 წ.

ლოდ არიან დაკავშირებული სამართლის სუბიექტის პიროვნებასთან. ისევე როგორც სამართლის ზემოთ დასახელებული დარგებისათვის, კონსტიტუციასთან ერთად, სამოქალაქო სამართლის წყაროებს წარმოადგენენ ცალკეული კანონები, რომლებიც არეგულირებენ სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებს, მაგრამ საკანონმდებლო აქტებიდან, სამოქალაქო სამართლის ყველაზე უფრო ვრცელ და სპეციალურ წყაროს წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსი.

სამოქალაქო სამართალი, თავის მხრივ, უამრავ იურიდიულ ინსტიტუტს შეიცავს, რომელთაგანაც თითოეული არეგულირებს სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობათა ერთ რომელიმე სახეს ან მსგავს ურთიერთობებს. ასეთი ინსტიტუტებია, იურიდიული პირის ინსტიტუტი, გარიგების ინსტიტუტი, წარმომადგენლობის ინსტიტუტი, სასარჩელო ხანდაზმულობის ინსტიტუტი, საკუთრების უფლების ინსტიტუტი და საკუთრების ცალკეულ ფორმათა ინსტიტუტები და ა.შ.

საოჯახო სამართალი წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის ნაწილს, რომელიც თავისი ნორმებით არეგულირებს საოჯახო-საქორწინო ურთიერთობებს საზოგადოებაში. ეს ურთიერთობანი დაკავშირებულია, პირველ ყოვლისა, ქორწინებასთან (ურთიერთობა მეუღლეებს შორის), ნათესაობასთან (ურთიერთობა მშობლებსა და შვილებს შორის, აღმავალი და დაღმავალი ხაზით ნათესავეებს—შვილებს, შვილიშვილებს, მშობლებს, ბებიებსა და ბაბუებს შორის, გვერდითი ხაზით ნათესავეება ძმებსა და დებს შორის), შვილად აყვანასთან, მეურვეობასა და მზრუნველობასთან, აგრეთვე აღსაზრდელად ბავშვების აყვანასთან და სხვა.¹

საოჯახო სამართალი შემთხვევით არ გაერთიანებულა სამოქალაქო სამართალთან, იგი გარკვეული სიახლოვით გამოირჩევა მასთან და არც ის არის შემთხვევითი, რომ მას სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთ ინსტიტუტს უწოდებენ, რამდენადაც მთელი რიგი საოჯახო-საქორწინო ურთიერთობანი დაკავშირებულია ქონებრივ ურთიერთობებთან (მაგალითად, სამემკვიდრეო და საალიმენტო ურთიერთობანი). კონსტიტუციისა და სხვა კანონების, აგრეთვე ზოგიერთი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გარდა, საოჯახო სამართლის ძირითად იურიდიულ წყაროს წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მეხუთე წიგნი.

საოჯახო სამართალთან დაკავშირებული დებულებები მოცემულია შრომის კანონმდებლობაში, კანონში განათლების შესახებ, სხვა კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებში.

¹ იხ. რ. შენგელია, მეურვეობა და მზრუნველობა თბ., 1958 წ. მისივე ქორწინება და მეუღლეთა უფლება-მოვალეობანი თბ. 1998 წ., შ. ჩიკვაშვილი საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი. თბ., 1999 წ.

შრომის სამართალი, ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში შემაჯავლი ერთ-ერთი დარგია შრომის სამართალი, თავისი ნორმებით აწესრიგებს უმთავრესად მუშებისა და მოსამსახურეების შრომითი ხასიათის ურთიერთობებს, როგორცაა: შრომის ხელშეკრულება, კოლექტიური ხელშეკრულებანი, სამუშაო დრო და დასვენების დრო, შრომის ხელფასი, შრომის დისციპლინა, შრომის დაცვა და ა.შ. შრომის სამართლის ნორმებით მოწესრიგებულია, აგრეთვე, ისეთი ურთიერთობანი, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია და გამოდინარეობენ შრომითი ურთიერთობებიდან; მაგალითად, მოხუცებულობაში, ავადმყოფობის ან ინვალიდობის შემთხვევაში მატერიალური უზრუნველყოფის ურთიერთობანი, შრომითი დავების განხილვა, პროფორგანიზაციებსა და ადმინისტრაციას შორის ურთიერთობანი და ა.შ. ზოგიერთ შემთხვევაში, შრომის სამართლის ნორმები ვრცელდება კოოპერაციული, სხვა საზოგადოებრივი და კერძო ორგანიზაციების მუშაკებზე. მაგალითად, ნორმების საწარმოო სანიტარიის, შრომის ჰიგიენის, უსაფრთხოების ტექნიკის, ქალებისა და მოზარდთა შრომის დაცვის საკითხებზე.

შრომითი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების ამოსავალი დებულებები მოცემულია საქართველოს კონსტიტუციაში. კონსტიტუციით აღიარებულია შრომის თავისუფლება, დადგენილია სახელმწიფოს ვალდებულება, ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას, აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა. შრომით ურთიერთობას უფრო დაწვრილებით აწესრიგებს საქართველოს 1973 წლის შრომის კანონი დაწვრილებით აწესრიგებს საქართველოს 1973 წლის შრომის კანონთა კოდექსი, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ 1997 წლის 12 ნოემბერს მიღებული კანონით, საქართველოს შრომის კანონთა კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, რიგი სიახლეებით შეივსო. მნიშვნელოვან საკანონმდებლო აქტს წარმოადგენს, აგრეთვე, საქართველოს 1997 წლის 18 ოქტომბრის კანონი საჯარო სამსახურში ინტერესთან შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ, სხვა კანონები და კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც აწესრიგებენ შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებულ საკითხებს.

შრომის კანონმდებლობის შესასრულებლად სახელმწიფო მმართველობის ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ღებულობენ ნორმატიული ხასიათის დადგენილებებს, ინსტრუქციებსა და განმარტებებს.

საფინანსო სამართალი არის სამართლის ერთ-ერთი დამოუკიდებელი დარგი,¹ რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული სახელმწიფო სამართალთან და, განსაკუთრებით, ადმინისტრაციულ სამართალთან. მისი

¹ იხ. რ. შენგელია, საქართველოს საფინანსო სამართლის საკითხები, ნაკ. I. თბ. 1992 ნაკ. II, თბ. 1993 წ. მისივე აუდიტორიული საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება, კრებული, თბ. 1996 წ.

ნორმები არეგულირებენ იმ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშობიან სახელმწიფოსა და მისი ორგანოების საფინანსო საქმიანობის განხორციელების პროცესში.

ამ მრავალფეროვანი საფინანსო ურთიერთობების მონაწილენი შეიძლება იყვნენ და ამ ურთიერთობებში სამართლის სუბიექტებად გამოდიოდნენ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი და ადგილობრივი ორგანოები, სახელმწიფო მმართველობის ორგანოები, სპეციალური საფინანსო ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და სხვა იურიდიული პირები, აგრეთვე, ცალკეული მოქალაქენი.

საფინანსო-სამართლებრივი ურთიერთობების მარეგულირებელი და ამ ურთიერთობების მონაწილეთა უფლება-მოვალეობების განმსაზღვრელი ნორმები გამოხატულებას პოულობენ სათანადო ნორმატიულ აქტებში. ამგვარ აქტებს, ე.ი. საფინანსო სამართლის წყაროებს წარმოადგენენ, პირველ ყოვლისა, კონსტიტუცია და სხვა კანონები, განსაკუთრებით კანონები ყოველწლიური ბიუჯეტების შესახებ. გარდა ამისა, საფინანსო სამართლის წყაროებია პრეზიდენტის ნორმატიულ ბრძანებულებებში, მინისტრების ბრძანებები და ინსტრუქციები, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილებანი საფინანსო საქმიანობის საკითხებზე მათთვის დაწესებული კომპეტენციის ფარგლებში.

საფინანსო სამართლის ნორმების ცალკეული ჯგუფები შეადგენენ საფინანსო სამართლის სხვადასხვა ინსტიტუტებს. ასე მაგალითად, სახელმწიფო ბიუჯეტის ინსტიტუტი, სახელმწიფო გადასახადების ინსტიტუტი, სახელმწიფო ბაჟის ინსტიტუტი, აგრეთვე, სახელმწიფო სესხის ინსტიტუტი, ქონებისა და სიცოცხლის დაზღვევის ინსტიტუტი, დაკრედიტების ინსტიტუტი და სხვ.

სისხლის სამართალი წარმოადგენს ისეთი სამართლებრივი ნორმების ერთობლიობას, რომლებიც აწესრიგებენ დანაშაულთან და სასჯელთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, ადგენენ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლებს, განსაზღვრავენ რომელი საშიში ქმედებაა დანაშაულებრივი და აწესებენ სასჯელებს, ან სხვა სისხლის სამართლებრივ ღონისძიებებს.

სისხლის სამართალი და მისი ნორმები ორ ნაწილად იყოფა: ზოგადი და კერძო.¹

ზოგად ნაწილში შედის ის ნორმები, რომლებშიც ჩამოყალიბებულია

¹ იხ. ზ. წულაია, საქართველოს სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. თბ., 2000 წ. 2. ლეკვიშვილი, პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანართვისთვის ლ. სურგულაძე, სისხლის სამართალი თბ., 1989 წ. თბ. 1999 წ.

ზოგადი პრინციპები და დებულებები დანაშაულისა და სასჯელის შესახებ, რითაც უნდა ხელმძღვანელობდნენ საგამოძიებო, სასამართლო და პროკურატურის ორგანოები კონკრეტული სისხლის სამართლებრივი საქმეების განხილვისას.

კერძო ნაწილს შეადგენენ ის ნორმები, რომლებშიც მოცემულია დანაშაულის ცალკეული სახეები და განსაზღვრულია კონკრეტული სასჯელები, რომლებიც უნდა შეეფარდოს ამა თუ იმ დანაშაულის ჩამდენ პირებს. სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ნორმები დაჯგუფებულია უმთავრესად დანაშაულებრივი ხელყოფის ობიექტების მიხედვით — სახელმწიფო, სამეურნეო, ქონებრივი, პიროვნების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული, თანამდებობრივი, მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართული, სამხედრო დანაშაული და ა.შ.

სისხლის სამართლის წყაროები, ე.ი. იურიდიული ფორმები, რომლებშიც გამოხატულებას პოულობენ სისხლის სამართლის ნორმები, კონსტიტუციაში ჩაწერილი ზოგადი დებულებების და სხვა საკანონმდებლო ზოგიერთი აქტის გარდა, ძირითადად მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსში, რომელიც მიღებულია 1999 წლის 22 ივლისს ცვლილებებით და დამატებებით 2000 წლის 1 ივნისამდე.

რაც შეეხება საპროცესო სამართალს, იგი წარმოადგენს იმ ნორმების კრებადობას, რომლებიც განსაზღვრავენ ქვეყანაში მართლმსაჯულების განხორციელების წესებს. როგორც ცნობილია, მართლმსაჯულება ხორციელდება სისხლის სამართლის საქმეების აღმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლის საქმეების წარმოებისა და განხილვის გზით. ამიტომ, საპროცესო სამართალიც სამ ნაწილად იყოფა — სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის და აღმინისტრაციული სამართლის პროცესუალურ ნორმებად.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა (კოდექსი) ორი ზოგადი და კერძო ნაწილისაგან შედგება. მასში განსაზღვრულია მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოების, პროკურატურისა და სასამართლოს საქმიანობა სისხლის სამართლის საქმეთა გამოკვლევისა და განხილვის დროს, დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ კანონით დადგენილი სასჯელის ზომების შეფარდებისა ან უდანაშაულო პირთა გამართლების მიზნით, და ა. შ. საპროცესო კოდექსი მთავრდება გარდამავალი და დასკვნითი დებულებებით.¹

¹ იხ. შ. ფუფიაშვილი, სისხლის სამართლის საქმისა და სისხლის სამართლებრივი დევნის აღძვრის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში თბ., 1999 წ. ზ. მუჟანაძე, სისხლის სამართლის პროცესი. თბ., 1999 წ.

სამოქალაქო სამართლის საპროცესო ნორმებში განსაზღვრულია უმთავრესად სასამართლო ორგანოების საქმიანობა, აგრეთვე სამოქალაქო სამართლის პროცესის მონაწილეთა (მოსარჩლე, მოპასუხე, მესამე პირი) უფლება-მოვალეობანი, პროკურატურის მონაწილეობა სამოქალაქო პროცესში და ა.შ. სამოქალაქო საპროცესო სამართალში შედის, აგრეთვე, სანოტარო ორგანოების საქმიანობის მომწესრიგებელი ნორმები.

ადმინისტრაციული საპროცესო ნორმები განსაზღვრავენ საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული საქმეების განხილვისა და გადაწყვეტის საპროცესო წესებს, ადმინისტრაციული პროცესის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი და მხარეები. ისინი საქმის განხილვისას სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 და მე-4 მუხლებით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით.

სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის და ადმინისტრაციული საპროცესო ნორმების უმთავრესი წყაროა საქართველოს რესპუბლიკის საპროცესო კოდექსი—სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მიღებულია 1998 წლის 20 თებერვალს, რომელიც ძალაში შევიდა 1999 წლის 15 მაისიდან, ხოლო სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი—1998 წლის 14 ნოემბერს, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი მიღებულია 1999 წლის 23 ივლისს, რომელიც ძალაში შევიდა 2000 წლის 1 იანვრიდან.

ასეთია სამართლის ზოგიერთი დარგის მოკლე დახასიათება. რაც შეეხება საერთაშორისო სამართალს, იგი არ შედის ცალკეული რომელიმე ქვეყნის სამართლის სისტემაში.

საერთაშორისო სამართალი წარმოადგენს სამართლის განსაკუთრებულ და თავისებურ დარგს. მისი ნორმები იქმნებიან სხვადასხვა სახელმწიფოთა შეთანხმების შედეგად, გამოხატულებას პოულობენ უმთავრესად საერთაშორისო ხელშეკრულებებში, აქტებში, კონვენციებში და აწესრიგებენ ურთიერთობებს ქვეყნებს შორის მათი თანამშრომლობის, ზოგჯერ კი დაპირისპირებულობისა და ბრძოლის პროცესში.

საერთაშორისო სამართლის წყაროებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, რომლის დებულებებისა და პრინციპების განხორციელებით დაინტერესებულია ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი და სახელმწიფო; აგრეთვე—სახელმწიფოთა შორის დადებულ ხელშეკრულებებსა და ცალკეული ქვეყნების ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგა-

ნოების მიერ მიღებულ აქტებს სხვა ქვეყნებთან დამოკიდებულებისა და ურთიერთობის საკითხებზე.¹

საზოგადოებრივი ურთიერთობები სამართლის დარგებისა და ინსტიტუტების დაყოფის მთავარ ობიექტურ (მატერიალურ) კრიტერიუმებად გვევლინება. ამ ურთიერთობების სტრუქტურა, მათი ტიპი, გვარი, სახეობა გარკვეულწილად განაპირობებენ ნორმის, ინსტიტუტის, დარგის და მთლიანად სამართლის სტრუქტურულ და შინაარსობრივ პარამეტრებს.

§2. კანონმდებლობის სისტემა

კანონმდებლობის სისტემა გულისხმობს ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების ერთობლიობას. მათი შინაარსობრივი და სტრუქტურული მახასიათებლებით ეს არის სამართლის გარეგანი გამოხატვა, რომელიც თავის რეალურ ყოფას იღებს ფორმალურად განსაზღვრულ აქტებში—დოკუმენტებში. მაგრამ სამართლისა და კანონმდებლობის სისტემების თანხვედრა ცალკეული ნორმიდან სამართლამდე მთლიანობაში აბსოლუტური არ არის—გარკვეულ საზღვრებში ისინი არსებობენ დამოუკიდებლად, რადგან თავთავისი სპეციფიკა, განვითარების საკუთარი ტენდენციები გააჩნიათ.

კანონმდებლობის² სისტემა იქმნება სამართლებრივი ნორმების გამოცემის, ოფიციალური დოკუმენტებით მათი განმტკიცებისა და ამ აქტების სისტემატიზაციის შედეგად. იგი რთული სტრუქტურის და საფუძვლებისაა. კრიტერიუმების მიხედვით შეიძლება გამოვყოთ კანონმდებლობის ჰორიზონტალური, ვერტიკალური და კომპლექსური სახეები.

კანონმდებლობის სისტემის ჰორიზონტალური (დარგობრივი) აგებულება განპირობებულია სამართლებრივი რეგულირების საგნით - ფაქტობრივი საზოგადოებრივი ურთიერთობებით. ამ კრიტერიუმით გამოიყოფა კანონმდებლობის დარგები, რომლებიც შეესაბამება სამართლის სისტემის დარგებს (კონსტიტუციური უფლება - კონსტიტუციური კანონმდებლობა, შრომის უფლება შრომის კანონმდებლობა,

¹ იხ. გ. ინწკირველი სახელმწიფოსა და სამართლის თეორია თბ., 1999 წ. გვ. 182-191 ლ. ალექსიძე თანამედროვე საერთაშორისო სამართალი თბ., 1998 წ. გვ. 73-86.

² ინგლისელი ფილოსოფოსი იერემია ბენტამი (1749-1832) კანონმდებლობას განსაზღვრავს, როგორც ხელოწესებას, რომელიც ადამიანის ქცევებს არეგულირებს.

სამოქალაქო საპროცესი უფლება - სამოქალაქო პროცესუალური კანონმდებლობა).

ვერტიკალური (იერარქიული) აგებულება ასახავს სახელმწიფო ორგანოებისა და ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების იერარქიას იურიდიული ძალის მიხედვით. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციით, „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონით მიღებულია შემდეგი კლასიფიკაცია. ნორმატიულ-სამართლებრივი სისტემის თავში დგას კონსტიტუცია, შემდეგ კონსტიტუციური კანონები, ორგანული კანონები, მიმდინარე კანონები, პრეზიდენტის დეკრეტები¹; მთავრობის დადგენილებები, ადგილობრივი ორგანოების ნორმატიული აქტები, ლოკალური ნორმატიული აქტები.

კანონმდებლობის სისტემაში კომპლექსური მიდგომები იქმნება სამართლებრივი მოწესრიგების ობიექტის და სახელმწიფო მართვის სისტემის მიხედვით. მათ შეიძლება მივაკუთვნოთ ბუნებისდამცავი, სატრანსპორტო კანონმდებლობა, ნორმატიული აქტები, რომლებიც განსაზღვარვენ ცალკეული სოციალური ჯგუფების (ახალგაზრდების, ქალების, ვეტერანების) სამართლებრივ მდგომარეობას და სხვა.

იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს კანონმდებლობისა და სამართლის სრულყოფილ სისტემებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ცნობილი მოაზროვნე ტომას კარლაიდი წერდა: კანონმდებლობის ჩინებული სტრუქტურა, აღმასრულებელი ორგანოს სწორი კონტროლი, სამართლის ბრძნული მოწყობა არის ის ყოველივე, რაც ადამიანურ ბედნიერებას სჭირდება.²

§3 სამართლისა და კანონმდებლობის სისტემების ბანვითარების პრობლემა

სამართლის განვითარებისა და სრულყოფის ძირითადი პრობლემები დაკავშირებულია ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ რეფორმებთან. ამასთანავე თვით სამართლის შინაარსის შეცვლის პრინციპებთან, კანონმდებლობის განახლების და ადამიანთა ცხოვრებაში სამართლებრივი მოვლენების როლის გაცნობიერების პროცესებთან. ამ პრობლემებიდან გამომიყოფა შემდეგი მიმართულებები:

—სამართლისა და კანონმდებლობის სისტემის, როგორც ერთი მთლიანი მოვლენის ორი მხარე;

¹ საკანონმდებლო ნორმატიული აქტების ზემომოყვანილი კლასიფიკაციის მიმართ სამართლიანი შენიშვნები აქვს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფესორ გ. ინწკირველს. დაწ. იხ. გ. ინწკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბილისი, 1999 წ., გვ. 143-144.

² იხ. ტ. კარლაიდი, ღრის ნიშნები. ესეები თბ. 1999 წ. გვ. 141

—სამართლის სტრუქტურის აგებულების, სრულყოფისა და განვითარების პრინციპები;

—კანონმდებლობის სრულყოფის მიმართულებები.

ზოგად პრობლემებს განეკუთვნება შემდეგი:

—თანდათანობით იცვლება ადამიანებსა და კანონმდებლობას შორის თანაფარდობა—საუბარია სამართლის „გაადამიანურებაზე“ ისეთი სამართლებრივი სისტემის შექმნაზე, სადაც ყურადღების ცენტრში ყოველთვის ადამიანი, მისი უფლებები და თავისუფლებები იქნება. ამ მიმართულებით რეალური ნაბიჯებია გადადგმული ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების დეკლარაციაში, კონსტიტუციაში, სამოქალაქო კოდექსში, საკუთრების, მოქალაქეობის შესახებ კანონებში და სხვა ნორმატიულ აქტებში. ამასვე განეკუთვნება ნორმატიული მოწესრიგების მეთოდების შეცვლა: იმპერატიული მეთოდებიდან დისპოზიციურზე გადასვლა, ადამიანთა შორის ურთიერთობებში რეგულირების ზოგადდასაშვები ტიპის სიჭარბე, ერთი სიტყვით, უფრო მეტად ზუსტდება და ფართოვდება კერძო სამართლის მოქმედების სფერო.

მეორე მხრივ, შეიმჩნევა საჯარო-სამართლებრივი რეგულირების გარკვეული შეზღუდვა, რომელიც წინა პერიოდში აბსურდამდე იყო აყვანილი (საბაღე სახლების, აბანოების, სარდაფების და ა.შ. ზღვრული ზომების დადგენა). ჩვენს დროში ხდება ურთიერთობების გათანაბლოება სახელმწიფოსა და ცალკეულ ადამიანებს შორის, მათი უფლებებისა და მოვალეობების მოცულობის, მათი რეალიზაციის გარანტიის თვალსაზრისით; ხდება სახელმწიფოსა და პიროვნების თანაბრად დამორჩილება კანონისადმი. იმას, რის მიღწევასაც სოციალისტური სახელმწიფოს კანონმდებლობა კანონის ძალით ცდილობდა, ზოგიერთ ცივილიზებულ ქვეყანაში კანონმდებლობის ჩარევის გარეშე შეძლეს.

—სამართლებრივი მოწესრიგების დეცენტრალიზაცია. საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ, ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს—საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ დეცენტრალიზაციის განვითარების და საკანონმდებლო სტიმულირების ბაზაა.¹ მნიშვნელოვნად ვითარდება დეცენტრალიზებული რეგულირების ისეთი საშუალებები, როგორცაა ხელშეკრულება, სუბსიდიების გამოყენება, კანონისა და სამართლის ანალოგია;

¹ იხ. საქართველოს პრეზიდენტის რეგიონალური პოლიტიკისა და მართვის სამსახურის საინფორმაციო ბიულეტენი. №5, თბ., 1999 წ.

—გარკვეულ შემთხვევებში საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების, ნორმებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების ინტეგრაცია კანონმდებლობაში;

სამართლის სტრუქტურის (სისტემის) განვითარების მიმართულებებს განეკუთვნება:

—ნორმატიული მასალის თანდათანობითი დაგროვების პროცესი და მისი განაწილება სტრუქტურული ბლოკების—ინსტიტუტების, დარგების მიხედვით. უფრო შესამჩნევი ხდება სტრუქტურისა და ამგვარი მახასიათებლების მიხედვით ერთმნიშვნელოვანი, გარკვეული უნიფიკაციის ტენდენცია, რაც მათი ურთიერთქმედების სიბრტყეების გაფართოების, ეფექტური რეგულირების ამალღების საშუალებას იძლევა. ეს პროცესი მოიცავს ახალი ინსტიტუტებისა და დარგების (საბანკო, საგადასახადო, საბაჟო სამართალი)¹ შექმნას, ასევე მათ გამოყოფას სტრუქტურული ქვესისტემებიდან და სხვა;

—სამართლებრივი მოწესრიგების მნიშვნელობის ზრდა, რაც იწვევს იურიდიული ნორმების კომპლექსური სტრუქტურული გაერთიანებების შექმნას; ეს სამართლებრივი მოწესრიგების საგნისა და მეთოდის, სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტებისა და ობიექტების კომპლექსური ხასიათით არის განპირობებული. კომპლექსური წარმონაქმნის არსებობა დამოკიდებულია სამართლებრივი სისტემის განვითარების დონესა და საზოგადოების სხვა ნორმატიულ-რეგულაციურ სისტემებთან ურთიერთქმედებაზეც.

—თანამედროვე სტრუქტურიდან, საკმაოდ მყარი კავშირებით იკვეთება ინსტიტუტებსა და დარგებს შორის სამართლის სისტემის შესაძლო განვითარება, „პლაზმური“ აგებულებისაკენ, სადაც პირველადი სტრუქტურული ელემენტები შედარებით ავტონომიურობის მდგომარეობაში იქმნება. საჭიროების შემთხვევაში გარკვეული სისტემაშექმნილი ფაქტორების არსებობისას მათ შეუძლიათ შექმნან სტრუქტურული ასოციაციები რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად. საზოგადოებრივი განვითარების ბუნებითი მოთხოვნებიდან გამომდინარე პრობლემები განაპირობებს კანონმდებლის მიზნებს მათი დარეგულირების საქმეში. კანონმდებლის მიზანი ნორმატიული მასივიდან შეარჩიოს თავისი დანიშნულებითა და ფუნქციური სპეციალიზაციით სხვადასხვა ნორმები, რათა სწრაფად მიაღწიოს სასურველ შედეგს.

¹ ამ მხრივ გარკვეული ნაბიჯები უკვე გადაიდგა, დაწ. იხ. ვ ქარუმიძე, „საბაჟო სამართალი“, თბილისი, 1998 წ.

კანონმდებლობის სრულყოფის პრობლემების გადაწყვეტის გზები შემდეგნაირია:

ა) მთელი საკანონმდებლო კორპუსის მოყვანა კონსტიტუციასთან შესაბამისობაში. ეს პროცესი ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობის გადასინჯვას, მოქველებული ნორმატიული აქტების გაუქმებას, ახალი კანონების შექმნას, საკანონმდებლო ტექნიკისა და საკანონმდებლო პროცესის სრულყოფას.

ბ) კანონმდებლობის ახალი კომპლექსური დარგების ჩამოყალიბება—ბანკებისა და საბანკო საქმიანობის, პრიატიზაციის, საწარმოთა გაკოტრების, გადასახადების, ადგილობრივი თვითმმართველობის, ადგილობრივი (მუნიციპალური) საკუთრების და სხვათა შესახებ. კომპლექსური სამართლებრივი ზემოქმედება იქმნება გარანტი უფრო ეფექტიანად და მიზანმიმართულად გადაწყდეს ეკონომიკური და სოციალური პრობლემები.

თავი მეოცე

სამართლებრივი ცნობიერება და სამართლებრივი კულტურა

§1. სამართლებრივი ცნობიერების სტრუქტურა და კლასიფიკაცია

სამართლებრივი ცნობიერება¹ არის შეხედულებების და განცდების ერთობლიობა, რომლებიც გამოხატავენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში სამართლისა და სამართლებრივი მოვლენებისადმი ადამიანთა დამოკიდებულებას.

მკვლევარები თვლიან, რომ სამართალი, როგორც სოციალური მოვლენა, ადამიანებში იწვევს ამა თუ იმ განწყობილებას, რომელიც შეიძლება იყოს დადებითი (ადამიანს ესმის სამართლის აუცილებლობა და ფასი), ან უარყოფითი (ადამიანი თვლის სამართალს უსარგებლოდ და ზედმეტად). საზოგადოებაში სამართლისა და სამართლებრივი მოვლენების მიმართ ესა თუ ის დამოკიდებულება შეიძლება ჰქონდეს ერთ ადამიანს, ან ადამიანთა ჯგუფს, საზოგადოებას. თუ სამართალს ობიექტურ რეალობად მივიჩნევთ, მაშინ უნდა ვაღიაროთ სამართალზე ხალხის რეაქციის არსებობაც, რაც შეიძლება სამართალცნობიერებას მივაკუთვნოთ. სამართლებრივი ცნობიერება სამართლისა და საზოგადოების მუდმივი თანამგზავრია. ეს იმითაა განპირობებული, რომ სამართალი ნებითა და ცნობიერებით ადამიანთა ურთიერთობის მომწესრიგებელია. ცხადია, რომ სამართლის შექმნის პროცესი (სამართალშემოქმედება) დაკავშირებულია ადამიანთა შეგნებულ გათვითგაცნობიერებულ მოღვაწეობასთან.

სამართლებრივი ცნობიერება რეალობისა და სინამდვილის სხვა სახეებსა და ფორმებთან არის დაკავშირებული, ასევე ითვალისწინებს მორალურ ნორმებსაც. ხალხი სამართალს და სამართლებრივ მოვლენებს სიკეთისა და ბოროტების, სამართლიანობის და უსამართლობის, სინდისის, ღირსებისა და კიდევ სხვა თვალსაზრისითაც აფასებს. სა-

¹ სამართლებრივი ცნობიერების სანაცვლოდ ზოგიერთ შემთხვევაში ვიყენებთ ტერმინს „სამართალმცოდნეობა“.

მართლთან დამოკიდებულება ხშირად განისაზღვრება პოლიტიკური შეხედულებებით. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია მარქსისტულ-ლენინური მიდგომისათვის. აქ სამართალი განხილულია, როგორც გაბატონებული კლასის კანონის რანგში აყვანილი ნება, კანონი კი—როგორც პოლიტიკური ზომა. სამართლისადმი ამგვარი მიდგომა საშუალებას არ იძლეოდა სრულად გაგვევო მისი არსი და როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამიტომ საჭიროა, იურიდიულ მეცნიერებასა და საერთოდ, იურიდიულ აზროვნებაში სამართლისა და სამართლებრივი ცნობიერების დეპოლიტიზაციისაკენ სწრაფვა. სამართალგაგებისადმი კლასობრივ-პოლიტიკური მიდგომა უნდა განვიხილოთ სამართლებრივი საკითხების კვლევისადმი, როგორც მრავლიდან ერთ-ერთი მეცნიერული მიდგომა.

სამართლებრივი ცნობიერება მჭიდროდ არის დაკავშირებული ფილოსოფიურ თეორიებთან, იდეოლოგიურ შეხედულებებთან, რელიგიურ დოქტრინებთან. ზოგიერთი მოაზროვნე მიიჩნევდა, რომ სამართლის ნორმები, მათი სავალდებულობა, იძულებითობა ცოცხლობს მხოლოდ ადამიანის ცნობიერებაში, ამიტომ სამართალი ფსიქოლოგიური მოვლენაა (ლ. პეტრაჟიციკი); სხვები ხაზს უსვამდნენ სამართლის, როგორც ადამიანის უფლების მოწესრიგების საშუალებების გარე იძულებითობას (კანტი. ჰ. ჰეგელი). მესამენი ამტკიცებდნენ, რომ სამართალი საზოგადოებრივ-კლასობრივი ურთიერთობების მომწესრიგებელია; მეოთხენი აღიარებდნენ სამართლის, როგორც ადამიანის ბუნებითი უფლებების გამფორმებლისა და გარანტის როლს (შ. მონტესკიე, ჟ. ჟ. რუსო).

რუსი სამართალმცოდნე ი.ა. ილინი სამართლებრივ ცნობიერებას განიხილავდა, როგორც სამართალზე, სახელმწიფოზე, საზოგადოებრივი ცხოვრების მთელ ორგანიზაციაზე შეხედულებების ერთობლიობას. იგი მიიჩნევდა, რომ სახელმწიფოში მმართველობის ფორმა განისაზღვრება, უპირველეს ყოვლისა, ხალხის მონარქიული ან რესპუბლიკური სამართლებრივი ცნობიერებით—და აღნიშნავდა, რომ სამართლებრივი ცნობიერების გარეშე ადამიანი იცხოვრებს საკუთარი თვითნებობით და იძულებული იქნება მოითმინოს სხვისი თვითნებობაც.¹

ძალზე მნიშვნელოვანია სამართლებრივი ცნობიერების ზემოქმედება საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზაციაზე. ამით აიხსნება მისი, როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობებზე გავლენის ერთ-ერთი საშუალების ჩართვა სამართლებრივი მოწესრიგების მექანიზმში. სამართლებრივი ცნობიერების, როგორც რეგულირების მექანიზმის შემადგენელი ნაწილის, სპეციფიკური თვისება მდგომარეობს იმაში, რომ მისი

¹ Ильин И.А. О монархии, вопр. филологии. М., 1991 г. №4.

როლი არ იფარგლება სამართლებრივი ზემოქმედების ერთი რომელიმე სტადიით. სამართლებრივი ცნობიერება პრაქტიკაში ერთვება სამართალშემოქმედების და სამართლის რეალიზაციის სტადიაზეც. ამა თუ იმ ზომით იგი არსებობს სამართლებრივი მოწესრიგების მექანიზმის ყველა ელემენტში—სამართლის ნორმებში, სამართლებრივ ურთიერთობებში, სამართლის რეალიზაციის აქტებში.

ყველაზე ცხადად სამართლებრივი ცნობიერების როლი ჩანს სამართლის რეალიზაციის სტადიაზე, იურიდიული ნორმების და მოვალეობების ცხოვრებაში გატარების პროცესში. ადამიანის ცხოვრება ნათლად უჩვენებს, რომ ცნობიერება, აზრი, სახე, ნებითი ძალისხმევა ნამდვილად მართავენ ადამიანთა ქცევას, და აწესრიგებენ მის ქმედებებს ცნობიერების ყველა, მათ შორის სამართლებრივ სფეროშიც.

სამართლებრივი ცნობიერების დონეზე, თვისებებზე, შინაარსზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ისიც, თუ როგორი იქნება ადამიანის ქცევა საზოგადოებაში—მართლზომიერი, სოციალურად სასარგებლო თუ არამართლზომიერი, სოციალურად მავნე ან საშიში.

სამართლებრივი ცნობიერება (როგორც ინდივიდუალური, ასევე კოლექტიური) არის რთული სტრუქტურული წარმონაქმნი, რომელშიც შეიძლება გამოვყოთ, ჩვეულებრივ სამართლებრივ იდეოლოგიად წოდებული რაციონალური კომპონენტები. ასეთი წარმოდგენების დონე და ხარისხობრივი მაჩვენებლები შეიძლება იყოს პრიმიტივიდან დაწყებული მეცნიერულ-თეორიულით დამთავრებული. სამართლებრივ იდეოლოგიას შეიძლება მივაკუთვნოთ ცხოვრებით დაბრძენებული სოფლის, ზევის უხუცესის მოსაზრებები სამართლის შესახებ.¹

იდეოლოგია, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მეცნიერულ თეორიას, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების სამართლებრივი ცხოვრების სტრატეგიას, ახორციელებს თანამედროვე სამართლებრივი მდგომარეობის ყოველმხრივ ანალიზს. პირობითად მეცნიერული დოქტრინები შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც სამართლის წყარო. სამართლებრივი თეორიის თვისება, საზოგადოების ცხოვრებაში სამართლის როლის რაციონალური გააზრება იურიდიული განათლების, პროფესიონალიზმის ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი და აუცილებელი ელემენტია.

სამართლებრივ ცნობიერებაში შეიძლება გამოვყოთ ემოციურ-სტრუქტურული ელემენტები, რომლებსაც სამართლებრივი ფსიქოლოგია ეწოდება. ემოციები ორგანულადაა ჩართული ცნობიერებაში და ადამიანს

¹ Каминская Р.И., Рахимов А.Р. Правосознание как элемент правовой культуры М., 1974 г. ст. 50-55.

არ შეუძლია სამართლებრივი მოწესრიგების სფეროში იხელმძღვანელოს მხოლოდ რაციონალური აზროვნებით. ემოციური შეფერილობა (დადებითი ან უარყოფითი) არსებითად მოქმედებს სამართლებრივი ქცევის ხასიათზე და მიმართულებაზე. მართლზომიერი ქცევის შესწავლის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ძნელია რამე გაიგო ადამიანის ქცევის ბუნებაში, თუ მის ემოციურ სფეროს არ გავითვალისწინებთ. ემოციები მოქმედებს არამართლზომიერ ქცევაზეც. იურიდიული მნიშვნელობა აქვს ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში დანაშაულის ჩადენისას. ეს საკითხები შეისწავლება სისხლის სამართლის სასწავლო კურსის გავლისას.

კანონებთან და სხვა ნორმატიულ სამართლებრივ აქტებთან ადამიანთა დამოკიდებულების ანალიზი საშუალებას გვაძლევს—გამოვყოთ სამართლებრივი ცნობიერების სხვა ელემენტებიც:

პირველი—ინფორმაციული. ელემენტი ეს არის ცნობიერებაში კანონის შესახებ ინფორმაციის მოცულობის არსებობა. ინფორმაცია შეიძლება იყოს სრული და ყოველმხრივი (მაგალითად, კანონის ტექსტზე მუშაობის მისი მიღების პროცესის გაცნობის, ამ კანონის კომენტარების კითხვის შემდეგ), შეიძლება იყოს ზედაპირულიც, სხვის აზრებზე დაყრდნობილი. სამართალცნობიერების ინფორმაციული დონე არის მისი სავალდებულო სტრუქტურული ნაწილი, რადგან კანონის შესახებ ინფორმაციის გარეშე არ შეიძლება არსებობდეს მის მიმართ დამოკიდებულება.¹

მეორე შეფასებითი ელემენტი. ადამიანი, როგორც კი მიიღებს ინფორმაციას ნორმატიული აქტის შესახებ, ავლენს მისდამი რაიმე დამოკიდებულებას, აფასებს მას, ადარებს საკუთარ ღირებულებებს.

სამართლებრივი ცნობიერების აქსიოლოგიურ (ღირებულებით) ელემენტებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მის სტრუქტურაში. ადამიანის ღირებულებითი წარმოდგენების საფუძველზე ყალიბდება სამართლებრივ სფეროში მისი ქცევის მოტივები და ხელს უწყობს ადამიანის მიზნებისა და ინტერესების რეალიზაციას.

ინფორმაციული და შეფასებითი ელემენტების საფუძველზე ყალიბდება მესამე ელემენტი—ნებელობა. კანონის გაცნობისა და შეფასების შემდეგ ადამიანი წყვეტს, რა უნდა გააკეთოს მან კანონით გათვალისწინებულ პირობებში. გამოიყენოს კანონი საკუთარი მიზნების რეალიზაციისათვის, თუ გვერდს აუვლის მას, მკაცრად, დაიცავს ამ კანონის

¹ საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსი ძალაში შევიდა 2000 წლის იანვრიდან, მაგრამ რეალურად მისი განხორციელება შეუძლებელი გახდა, რადგანაც მოსახლეობას ინფორმაცია დროულად არ მიეწოდა და სათანადო ორგანოებიც არ აღმოჩნდნენ მიზნადებული მის სარეალიზაციოდ.

მოთხოვნებს, ან იპოვის სხვა სამართლებრივ აქტებს, რომლებიც უფრო მეტად პასუხობენ მის ინტერესებსა და მოთხოვნილებებს. ყველა ეს მომენტი სამართლებრივი ცნობიერების ნებით ელემენტში შედის. სამართალშემოქმედების ნებით მიმართულებას ხანდახან უწოდებენ სამართლებრივ მოთხოვნებს, ფსიქოლოგიურ მიმართულებას, ადამიანის მზადყოფნას იმოქმედოს სამართლებრივი მოწესრიგების სფეროში.

სამართლებრივ ცნობიერებაში სტრუქტურული ელემენტების გამოყოფა ხელს უწყობს ადამიანს განსაზღვროს მისი როლი და ადგილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

იურიდიულ ლიტერატურაში სამართლებრივი ცნობიერების სახეებად დაყოფის საფუძვლად მიიჩნევენ სამართლის გაცნობიერების ხარისხს, სამართალსა და სამართლებრივი მოვლენების არსში საზოგადოების წვდომის სიღრმეს, რაც თითქოს მისი ხარისხობრივი დახასიათების საშუალებას იძლევა. ამ კრიტერიუმების მიხედვით სამართალცნობიერება სამ ღონეზე ფასდება:


პირველი ღონე—ჩვეულებრივი სამართლებრივი ცნობიერება. ეს ღონე დამახასიათებელია საზოგადოების წევრთა ძირითადი მასისათვის და სამართლებრივი მოწესრიგების სფეროში მოქალაქეთა ყოველდღიური ცხოვრების ბაზაზე ყალიბდება. ადამიანებს თავის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში უხდებათ სამართლებრივი მოთხოვნების გათვალისწინება: ეცნობიან მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, თვალყურს ადევნებენ სახელმწიფო ორგანოთა, თანამდებობის პირთა და სხვათა იურიდიულ მოღვაწეობას და ა.შ. სამართლებრივი ცნობიერების ამ ღონის ადამიანებისათვის დამახასიათებელია სამართლის ზოგადი პრინციპების ცოდნა, აქ სამართლებრივი შეხედულებები მჭიდროდ უკავშირდება ზნეობრივ წარმოდგენებს.

მეორე ღონე არის პროფესიული სამართლებრივი ცნობიერება, რომელიც სპეციალური მომზადებისას (მაგალითად, იურიდიულ სასწავლო დაწესებულებებში სწავლისას), პრაქტიკული იურიდიული მოღვაწეობის განხორციელების პროცესში ყალიბდება. ამ ღონის სუბიექტებს გააჩნიათ მოქმედი კანონმდებლობის განსაკუთრებული, დეტალური ცოდნა, მისი გამოყენების უნარი და გამოცდილება. პროფესიული სამართლებრივი ცნობიერების გამოყენებას თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. არაპროფესიონალიზმი სამართალშემოქმედებისა და სამართალშეფარდებაში საზოგადოების დიდი ნაკლოვანებაა;

მესამე ღონე—ეს მეცნიერული, თეორიული სამართალშემოქმედებაა და მკვლევარებისათვის, სამართლებრივი რეგულირების საკითხებით

დაკავებული მეცნიერ-მუშაკებისათვის არის დამახასიათებელი.

მატარებლების მიხედვით შეიძლება გამოვყოთ ინდივიდუალური და კოლექტიური სამართლებრივი ცნობიერება.¹



კოლექტიური სამართლებრივი ცნობიერების ერთ-ერთი სახეობა არის ჯგუფური სამართალცნობიერება, ე.ი. ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის, კლასის, ფენის, პროფესიული საზოგადოებების სამართლებრივი წარმოდგენები და განცდები. ზოგ შემთხვევაში ერთი სოციალური ჯგუფის სამართალცნობიერება შეიძლება არსებითად განსხვავდებოდეს სხვა ჯგუფის სამართლებრივი ცნობიერებისაგან. კლასობრივ საზოგადოებაში კლასების სამართალცნობიერებაში არსებითი განსხვავებაა. მარქსისტულ-ლენინურ ლიტერატურაში ხაზგასმულია ექსპლუატატორებისა და ექსპლუატირებულების სამართლებრივი ცნობიერებათა წინააღმდეგობა, დაპირისპირებულობა, ეს განსხვავება შეიძლება დავინახოთ მოსახლეობის ასაკობრივი ფენების, სხვადასხვა სპეციალობის ადამიანთა პროფესიულ სამართლებრივ ცნობიერებაში, პროკურატურის, სასამარ-

¹Теория государства и права. М., 1998 г. ст. 328.

• თლოს, ადვოკატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში მომუშავე პირების სამართალცნობიერებაში.

ჯგუფური სამართლებრივი ცნობიერება უნდა განვასხვავოთ მასობრივისაგან, რომელიც დამახასიათებელია ადამიანთა არასტაბილური, დროებითი გაერთიანებებისათვის (მიტინგი, დემონსტრაცია, ამბოხებული ბრბო).

მაკროკოლექტივების დახასიათებისათვის (ქვეყნის, კონტინენტის, ისტორიული ეპოქის მოსახლეობა) გამოიყენება ცნება „საზოგადოებრივი სამართლებრივი ცნობიერება“. აქვე უნდა აღვნიშნოთ ერისა და ეროვნებების სამართლებრივი შეხედულებები და ა.შ.

სამართლებრივი ცნობიერების ობიექტი შეიძლება იყოს სამართალი პლანეტარული მასშტაბით, კონკრეტული საზოგადოების სამართალი, სამართლის დარგი, ინსტიტუტი, სამართლის ნორმა.

§2 სამართლებრივი კულტურა

სამართლებრივი კულტურა კულტურის საერთო სისტემის შემადგენელი ნაწილია, რადგანაც სისტემაში შემავალი დარგები (რელიგია, მეცნიერება, პოლიტიკა, ეკონომიკა და ა.შ.) ავლენენ სპეციფიკურ კანონზომიერ კავშირს, რაც გულისხმობს სოციალური, სულიერი, პოლიტიკური და ეკონომიკური წყობით განპირობებული საზოგადოებრივი ცხოვრების თვისობრივ მდგომარეობას, რომელიც სამართლებრივი მიღწევების, იურიდიული აქტების, სამართლებრივი ცნობიერების და მთლიანად სუბიექტის (ადამიანის, სხვადასხვა ჯგუფების, მთელი მოსახლეობის) სამართლებრივი განვითარების მიღწევის, აგრეთვე სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარანტიის დონით გამოიხატება.¹

კულტურის ზოგადი დახასიათებიდან ჩანს, რომ სამართლებრივი კულტურა არის საზოგადოების სამართლებრივი ცხოვრების გარკვეული „თვისება“, მისი განვითარების დონე, რომელიც ამა თუ იმ მდგომარეობაში მყოფი (განვითარების დონის თვალსაზრისით) ქვესისტემების, ნაწილებისა და ელემენტებისაგან ყალიბდება, როგორც სამართლებრივი კულტურის ორგანიზაცია.

საზოგადოების სამართლებრივი კულტურა, პირველ რიგში, დამოკიდებულია მოსახლეობის სამართლებრივი ცნობიერების განვითარების დონეზე, ე.ი. იმაზე, რამდენად ღრმად აქვს ხალხს ათვისებული ისეთი

¹ Каминская Р.И., Рахимов А.Р. Правовая культура и вопросы правового воспитания. М., 1974, ст. 57-60.

სამართლებრივი ფენომენი, როგორცაა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, დავის გადაჭრის კომპრომისების ძიების სამართლებრივი პროცედურის ღირებულება, რამდენად ინფორმირებულია მოსახლეობა სამართლებრივ საკითხებში, როგორია მოსახლეობის ემოციური დამოკიდებულება კანონთან, სასამართლოსთან, სხვადასხვა სამართალდამცავ ორგანოებთან, იურიდიულ საშუალებებსა და პროცედურებთან, როგორია მოქალაქეთათვის განმარტება სამართლებრივი მოთხოვნების დაცვასთან (დაუცველობასთან) დაკავშირებით და ა.შ.—ეს სამართლებრივი კულტურის პირველი ელემენტია.

სამართლებრივი ცნობიერების განვითარების დონე შეიძლება დაფიქსირებული იქნეს მხოლოდ რეალურ სამართლებრივ მოღვაწეობაში, სამართლებრივ ქცევაში, რომელსაც დამოუკიდებელი მახასიათებლები აქვს, ამიტომ სამართლებრივი კულტურის მეორე ელემენტს წარმოადგენს სამართლებრივი საქმიანობის განვითარების დონე, ეს კი მეცნიერი იურისტების თეორიულ მოღვაწეობაზე, უმაღლესი იურიდიული სასწავლებლების და ა.შ. სტუდენტებისა და მსმენელების განათლების, სამართალშემოქმედებით სამართალშეფარდებით პრაქტიკულ მოღვაწეობაზეა დამოკიდებული. ცხადია, რომ საზოგადოების სამართლებრივი კულტურა ბევრადაა დამოკიდებული საზოგადოების საკანონმდებლო საფუძვლის შესაქმნელად სამართალშემოქმედებითი მოღვაწეობის განვითარებისა და ხარისხის დონეზე. სამართალშემოქმედებით საქმიანობაში დაკავებულნი უნდა იყვნენ იურისტები და სხვა სამართლებრივ ურთიერთობებში გარკვეული ადამიანები, რომლებიც თავიანთ საქმიანობას დემოკრატიული და იურიდიული პრინციპების დაცვით განახორციელებენ.

საზოგადოების სამართლებრივ კულტურაზე არსებითად მოქმედებს სამართალშეფარდებაც. სამართალშეფარდებითი საქმიანობის ხარისხი დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე, რომელიც შეიძლება იყოს, როგორც ინსტიტუციონალური (სახელმწიფო აპარატის სტრუქტურა, მისი ორგანოების ურთიერთობის წესი), ისე სხვა ხასიათისა (პროფესიონალიზმი, სამართალშეფარდების კულტურა და სხვა.)

სახელმწიფო აპარატის სამართალდამცავი საგამოძიებო ორგანოების სტრუქტურისა და დაქვემდებარების წესის სრულყოფის საკითხი, სამართლის ავტორიტეტის ამაღლების, მისი დამოუკიდებლობის გარანტიების განმტკიცების პრობლემები უკავშირდება სამართალდამცავ ორგანოთა მუშაობის სრულყოფას და ახალი პრინციპების დანერგვას, ხელისუფლების მესამე განშტოების—მართლმსაჯულების როლის ამაღლებას და ა.შ.

საზოგადოებაში სამართლებრივი კულტურა ბევრად განისაზღვრება მოქალაქეთა რეალური სამართლებრივი ქცევით, იმით, თუ რამდენად იციან და დროულად ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს (მაგალითად, საგადასახადო დეკლარაციის შევსება), იცავენ აკრძალვებს და რამდენად სრულფასოვნად იყენებენ თავიანთ უფლებებს.

საზოგადოების სამართლებრივი კულტურის მესამე ელემენტია იურიდიული აქტების (რომლებშიც ასახული და განმარტებულია მოცემული საზოგადოების უფლება), ანუ დოკუმენტების ტექსტების მთელი სისტემის განვითარების დონე. საზოგადოების სამართლებრივი კულტურის შეფასებისათვის ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს კანონმდებლობის სისტემას, რომლის საფუძველს კონსტიტუცია წარმოადგენს. მნიშვნელოვანია ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მთელი სისტემის განვითარების დონე, კანონების, ხელისუფლების ცენტრალური აღმასრულებელი ორგანოებისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების აქტების ჩათვლით. ნებისმიერი იურიდიული აქტი უნდა იყოს სამართლებრივი, ანუ პასუხობდეს საზოგადოებრივ ცნობიერებაში გაბატონებულ წარმოდგენებს სამართლიანობაზე, თანასწორობასა და თავისუფლებაზე. კანონი სრულყოფილი უნდა იყოს ფორმის თვალსაზრისითაც: ამასთან—მოკლე, მკაფიო და გასაგები მოსახლეობისათვის, გამოქვეყნებული უნდა იყოს ყველასათვის მისაწვდომ საინფორმაციო საშუალებებში და ა.შ. კანონის ხარისხზე მეტყველებს მისი რეალიზაციის მექანიზმი (ინსტიტუციონალური, ორგანიზაციული, პროცედურული, ფინანსურ-ეკონომიკური და სხვა), რომელსაც ტექსტი შეიცავს. საზოგადოების სამართლებრივი კულტურის ხარისხის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების მდგომარეობაც. ესენია: სამართალშეფარდებითი (სასამართლოს გადაწყვეტილება და განაჩენი, გამომძიებლის დადგენილება, პროკურორის აქტი, აღმინისტრაციულ-მმართველობითი სფეროს დოკუმენტები და ა.შ.) და სამართალ-სარეალიზაციო (სამეურნეო ხელშეკრულებები და ა.შ.) დოკუმენტები.

ჩამოთვლილი სამართლებრივი აქტების, აგრეთვე სამართლებრივი ხასიათის სხვა (მეცნიერულ-პუბლიცისტური) ტექსტების ანალიზის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა არა მარტო საზოგადოების სამართლებრივი მდგომარეობის, არამედ მთლიანად მისი კულტურის განვითარების დონესთან დაკავშირებით. ჩვენამდე მოღწეული სამართლის ძეგლებით, სამართლებრივი დოკუმენტებით ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებებით, ისტორიული—არქეოლოგიური წყაროებით და სხვა იურისტ-მკვლევარებს და ისტორიკოსებს შეუძლიათ აღადგინონ მთლი-

ანად საზოგადოების სამართლებრივი და სამეურნეო ცხოვრების ან წესის, საზოგადოებრივი ურთიერთობების წყობის თავისებურებებიც. სამართლებრივ აქტებში განისაზღვრება წარმოების იარაღებსა და საშუალებებზე საკუთრების ფორმა, აისახება რომელიმე კლასის, სოციალური ჯგუფის ხელში ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლების თავმოყრის ფაქტი, სახელმწიფო აპარატის სტრუქტურა, საზოგადოებაში პიროვნების სამართლებრივი მდგომარეობა, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცულობის დონე. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ „მუშანიკის წამება“, „აბო თბილელის, ევსტათი მცხეთლის მარტვილობა“, რომელთა ანალიზის მიხედვით ღგინდება მაშინდელი საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური და სამართლებრივი სახე.¹

სამართლებრივი კულტურის სტრუქტურული ელემენტების გამოყოფა საკმაოდ პირობითია, რადგანაც არც ერთი საკითხი არ წყდება სამართლებრივი ცნობიერების გარეშე. სამართლებრივი ცნობიერება კი მხოლოდ სამართლებრივი საქმიანობით, მისი შედეგებით—სამართლებრივი აქტებით შეიძლება გამოვლინდეს. და ბოლოს, სამართლებრივი კულტურის ვერც ერთი შემადგენელი ნაწილი ვერ იარსებებს მისი მატარებლის, სუბიექტის, ადამიანის, ადამიანთა ჯგუფის, მთლიანად მოსახლეობის გარეშე. საზოგადოების სამართლებრივი კულტურა დამოკიდებულია სხვადასხვა სოციალური და პროფესიული ჯგუფების სამართლებრივი ცნობიერების, აგრეთვე ცალკეული ინდივიდების მართლშეგნების განვითარების დონეზე. მართლშეგნების ამ ასპექტში უნდა გამოვყოთ მთლიანად მოსახლეობის, ჯგუფური და პიროვნების, ადამიანის სამართლებრივი კულტურა. კერძო ინდივიდის ცოდნის დონე და მისი დამოკიდებულება სამართლებრივი ღირებულებების, კანონის მიმართ, აგრეთვე იურიდიული ნორმების დაცვის მოთხოვნების დონე. პიროვნების სამართლებრივ კულტურაზე შეიძლება ვიმსჯელოთ ამ სფეროში მისი ქცევის მიხედვით, ანუ გამოვიყენოთ სამართლებრივი კულტურის იგივე ნიშნები და კრიტერიუმები (სამართლებრივი ცნობიერების, მართლშეგნების სამართლებრივი საქმიანობის განვითარების დონე), მაგრამ მხოლოდ ინდივიდუალურად.

ამრიგად, სამართლებრივი კულტურის ანალიზი აუცილებელია, რათა ჯერ გამოვყოთ და გავიზიაროთ სამართლებრივი ღირებულებები და იდეალები, რომლებისააქენაც უნდა ისწრაფოდეს კანონმდებელი, სამარ-

¹ დაწ. იხ. ივ. სურგულაძე, საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან თბ. 1986. გვ. 32-37.

თალშემფარდებელი, მოქალაქე და მთლიანად საზოგადოება, მერე კი, საქმის რეალური ვითარების შეფასების შემდეგ უნდა ვეძიოთ სამართლებრივი სახელმწიფოსა და საზოგადოების ასაშენებლად დასახული იდეალების მიღწევის გზები და საშუალებები, რომლებშიც უზრუნველყოფილი იქნება ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური, სულიერი წყობის შესაბამისი უფლებები და თავისუფლებები. რაც შეეხება ჩვენს სამართლებრივ კულტურას, ისევე როგორც ქართულ სახელმწიფოებრიობას და სამართალს გააჩნია უძველესი ისტორია, ბუნებრივია პარალელურად იქმნებოდა ქართული სამართლებრივი კულტურა, რომლის შესწავლითაც დაინტერესებულა არა ერთი უცხოელი მკვლევარი, მათ შორის. ი. კარსტი, დირესტი, ფ. ჰოლდაკი, მ. კოვალევსკი და სხვები,¹ რომლებმაც შეისწავლეს და შესაბამისი შეფასება მისცეს სხვადასხვა პერიოდის ქართულ სამართლებრივ კულტურას.

¹ დაწ. იხ. გ. ნადარეიშვილი, სამართლებრივი კულტურის ზოგიერთი საკითხი XI-XII სს. საქართველოში. თბ., 1959 წ.

თავი ოცდამეერთე

სამართლებრივი ურთიერთობის პრობლემატიკა

§1. სამართლებრივი ურთიერთობის სწავლა

სამართლებრივი ურთიერთობა არის საზოგადოებრივი ურთიერთობის შემადგენელი ნაწილი, რომლის მონაწილეები სამართლის ნორმის საფუძველზე გამოდიან უფლებებისა და მოვალეობების მატარებლები.

საზოგადოებრივი ურთიერთობების სუბიექტი შეიძლება იყოს სოციალური ერთობა ხალხი, ერი, საზოგადოებრივი ორგანიზაცია, სახელმწიფო, იურიდიული და ფიზიკური პირები. ყოველი სუბიექტის ადგილი სოციალური კავშირების სისტემაში განპირობებულია საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფუნქციონირების ობიექტური კანონზომიერებით და მონაწილეთა აქტიურობით.

სამართალი გამოდის ურთიერთობათა მორგანიზებელ ფაქტორად და გარკვეული განსაზღვრულობა და სიმყარე შეაქვს საზოგადოებრივი ცხოვრების შესაბამის სფეროში. სამართლებრივი ურთიერთობანი საშუალებას გვაძლევს გავიგოთ, თუ როგორ ზემოქმედებს სამართალი ხალხის ქცევაზე. სამართლებრივი ურთიერთობის ჩარჩოებში ადამიანთა ცხოვრება იძენს ცივილიზებულ, სტაბილურ და პროგნოზირებად ხასიათს.

სამართლებრივი ურთიერთობა არის სამართლის ნორმების საფუძველზე აღმოცენებული საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომლის მონაწილეებს აქვთ სახელმწიფოს მიერ ურთიერთგანმსაზღვრული უფლებები და იურიდიული მოვალეობები. ეს სამართლებრივი რეგულირების მექანიზმის ცენტრალური რგოლი და სამართლის რეალიზაციის მთავარი არხია. სამართლებრივ ურთიერთობას, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობების სახეობა, ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

—სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მხარეებს გააჩნიათ უფლებები და მოვალეობები. სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი ყალიბდება მისი მონაწილეების ნების, იურიდიული ნორმების მოქმე-

ლების შედეგად, აგრეთვე სამართალშემფარდებელ ორგანოთა გადაწყვეტილებების შესაბამისად.

სამართლებრივი ურთიერთობა წარმოადგენს ორმხრივ კავშირს. ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერ სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეობს ორი მხარე: უფლებამოსილი და მოვალე. მაგალითად, სესხის ხელშეკრულებით უფლებამოსილი მხარე სესხის მიმცემია, მოვალე მხარე—სესხის ამღები. ხშირად სამართლებრივ ურთიერთობებს აქვთ უფრო რთული სტრუქტურა, როდესაც ყოველი მხარე უფლებამოსილიცაა და მოვალეც. მაგალითად, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით: გამყიდველი ვალდებულია მყიდველს გადასცეს ნაყიდი ნივთი და უფლება აქვს, მოითხოვოს ფულის გადახდა, მყიდველი კი ვალდებულია გადაიხადოს საჭირო თანხა და უფლება აქვს, მიიღოს ნაყიდი ნივთი;

—სამართლებრივი ურთიერთობა არის ისეთი საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელშიც სუბიექტების უფლებების განხორციელება და მოვალეობის შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფო იძულებით. უმეტეს შემთხვევაში უფლებების განხორციელება და მოვალეობის შესრულება სახელმწიფო იძულების ზომების გამოყენების გარეშე ხდება. აუცილებლობის შემთხვევაში დაინტერესებული მხარე მიმართავს კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოს, რომელსაც იურიდიული საქმის განხილვის შემდეგ გამოაქვს გადაწყვეტილება სადაც ზუსტადაა განსაზღვრული მხარეთა უფლებები და მოვალეობები;

იურიდიულ ლიტერატურაში სამართლებრივი ურთიერთობა განიხილება, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობის კონკრეტული სახე, მაგრამ განსაზღვრულობის სხვადასხვა დონით.

ზოგჯერ ხდება იმ სამართლებრივი ურთიერთობების მინიმალური დაზუსტება, რომლებიც უშუალოდ კანონიდან გამომდინარეობენ. ამგვარ შემთხვევებში იურიდიული ნორმის ყველა ადრესატს, ნებისმიერი პირობების მიუხედავად, საერთო (ერთიანი) უფლებები, თავისუფლებები და თანასწორი მოვალეობები აქვს. ამის ნათელი მაგალითია კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები. თუ უკანასკნელს განვიხილავთ თითოეულ მოქალაქესთან კავშირში, მაშინ ნორმატიული მოთხოვნები სამართლებრივი ურთიერთობების სიბრტყეში უნდა გადავიყვანოთ. ყოველი მოქალაქე თვითონ განსაზღვრავს, რა ზომით გამოიყენებს შესაძლებლობებს, რომლებსაც მას კონსტიტუცია ანიჭებს.

განსაზღვრულობის საშუალო დონე შეიმჩნევა, როცა ინდივიდუალური უფლებებია არა მხოლოდ სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი, არამედ ობიექტიც. საკუთრების სამართლებრივ ურთიერთობაში განსაზღვრულია მესაკუთრე და ნივთი—საკუთრების ობიექტი.

განსაზღვრულობის მაქსიმალური დონე არსებობს იმ შემთხვევებშიც, როდესაც ზუსტად ცნობილია როგორი მოქმედებები უნდა განახორციელოს მოვალემ უფლებამოსილი პირის სასარგებლოდ. აქ ინდივიდუალურად დგინდება ობიექტები, ორივე მხარე და სამართლებრივი კავშირის შინაარსი მათ შორის. იჯარის ხელშეკრულებით (სამოქალაქო კოდექსი) ერთი მხარე, მეიჯარე ვალდებულია მეორე მხარის (შემკვეთის) დავალებით შეასრულოს გარკვეული სამუშაო და ჩააბაროს შემკვეთს, შემკვეთი კი ვალდებულია მიიღოს შესრულებული სამუშაოს შედეგი და აანაზღაუროს იგი.¹

ელემენტების შემადგენლობის მიხედვით სამართლებრივი ურთიერთობა რთული სტრუქტურისაა. მასში შედის სუბიექტი, ობიექტი, უფლება და მოვალეობა, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი.

§2. სამართლის სუბიექტები

სამართლის სუბიექტებად შეიძლება იყვნენ: მოქალაქენი, უცხოელები და მოქალაქეობის არმქონე პირები, სახელმწიფო, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სოციალური ერთობები, რომლებსაც იურიდიული ნორმების საფუძველზე შეუძლიათ იყვნენ სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილენი, ანუ უფლებებისა და მოვალეობების მატარებლები.

სამართალსუბიექტურობა ნიშნავს სამართლის ნორმებით გათვალისწინებულ უნარს (შესაძლებლობას) იყოს სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე, ისარგებლოს გარკვეული უფლებებით, ან შეასრულოს რაიმე მოვალეობანი. მოქალაქეს, კონკრეტულ პიროვნებას, რომელიც სამართლის სუბიექტს წარმოადგენს ახასიათებს—უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა.

უფლებაუნარიანობა არის სამართლის ნორმებით გათვალისწინებული პირის უნარი (შესაძლებლობა) იქონიოს უფლებები და იურიდიული მოვალეობები, ე.ი. იყოს სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე.

ქმედუნარიანობა არის სამართლის ნორმებით გათვალისწინებული პირის უნარი და იურიდიული შესაძლებლობა თავისი ნებითა და მოქმედებებით შეასრულოს და განახორციელოს უფლება-მოვალეობები, ისინი. ქმედუნარიანობის სახეებია გარიგების უნარი, ანუ უნარი (შესაძლებლობა). პირადად, თავისი მოქმედებებით განახორციელოს სამო-

¹ იხ. Теория государства и права под ред. М. Рассокова, В Лучина, В. Эбеева, М. 2000 г. стр. 316-318. Теория государства и право, под. ред. В. Корельского, В. Перевалова м. 2000 г. стр. 349-351.

ქალაქო-სამართლებრივი გარიგებები და დელიქტუნარი—სამართლის ნორმებით გათვალისწინებული იურიდიული პასუხისმგებლობის ალების უნარი.

უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის გამიჯვნა ძირითადად სამოქალაქო სამართლისათვის არის დამახასიათებელი, რადგანაც მოქალაქის უფლებაუნარიანობა ჩნდება მისი დაბადების მომენტში, ქმედუნარიანობა კი—გარკვეული ასაკის მიღწევისას. როგორ ხორციელდება უფლებები და სრულდება მოვალეობები, თუ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილედ არაქმედუნარიანი პირი გამოდის? ამ შემთხვევაში სამოქალაქო სამართალში არსებობს წარმომადგენლობითი ინსტიტუტი. თავისი მოქმედებებით წარმომადგენელი ახორციელებს უფლებებს და ასრულებს მოვალეობებს სამართლებრივი ურთიერთობის არაქმედუნარიანი მონაწილის სახელით. სხვა სამართლებრივ დარგებში უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა არ იყოფა, იგულისხმება, რომ ისინი მოქალაქეს ერთდროულად უჩნდება და მისი სამართლებრივი მდგომარეობა ხასიათდება ერთიანი სამართალუნარიანობით ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, სამართალსუბიექტურობით.


სამართალსუბიექტურობის მქონე პირთა წრე განისაზღვრება სპეციალური ნორმებით. მაგალითად, საოჯახო სამართლის შესაბამისად საქორწინო ასაკი განისაზღვრება 18 წლით. გამონაკლის შემთხვევაში 16 წლის ასაკამდე დაქორწინება დაიშვება მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების წინასწარი წერილობითი თანხმობით (მუხლის 1108).¹

მოქალაქეები სამართლის ყველაზე მრავალრიცხოვანი სუბიექტებია, ისინი შედიან სხვადასხვა—სამოქალაქო-სამართლებრივ, საოჯახო, შრომით, მიწის, ფინანსურ, პროცესუალურ და სხვა სამართლებრივ ურთიერთობებში.

მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობის დეკლარირებულმა აქტებმა შემდგომ სხვადასხვა ფორმით ასახვა ჰპოვა საქართველოს კონსტიტუციაში, რომელიც ცალსახად აღიარებს საქართველოს მოქალაქეთა თანასწორობას სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუცია—ერთი მხრივ, აკანონებს ადამიანის უფლებას—ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითაროს თავისი კულტურა, ისარ-

¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997 წ. გვ. 278.



¹ სქემ. იხ. დასას. თეორია რუსულ ენაზე. კორელსკის და პერეველოვის რედ. გვ. 356.

გებლოს დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ; მეორე მხრივ, ხაზს უსვამს, რომ უმცირესობათა უფლებების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სუვერენიტეტს, სახელმწიფო წყობილებას, ტერიტორიულ მთლიანობასა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.

კონსტიტუცია ყველას აძლევს კანონისა და სამართლის წინაშე თანასწორობის გარანტიას, სიცოცხლის, პიროვნების ღირსების დაცვის უფლებას, თავისუფლებას და პირადი შეუხებლობის უფლებას, ცხოვრების, საცხოვრებლის შეუხებლობის, გადაადგილების, ყოფისა და ცხოვრების ადგილის არჩევის თავისუფლებას, სინდისის, აზრის და სიტყვის, შეკრებების, მიტინგებისა და დემონსტრაციების თავისუფლებას, გაერთიანების, სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობის უფლებას, სამეწარმეო მოღვაწეობის თავისუფლებას, კერძო, მათ შორის, მიწაზე საკუთრების უფლების დაცვას. ყველას შეუძლია—თავისუფლად განკარგოს თავისი შრომის შედეგი. აქვს სოციალური უზრუნველყოფის გარანტიები, საცხოვრებლის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, შემოქმედების თავისუფლების, სასამართლო დაცვის უფლება. კონსტიტუცია ადგენს ვალდებულებებს: მოქალაქემ უნდა გადაიხადოს კანონით დადგენილი გადასახადები, შეინარჩუნოს ბუნება და გარემო, სათუთად მოექცეს ბუნებრივ სიმდიდრეს, დაიცვას სამშობლო, გაიაროს სამხედრო სამსახური და სხვა.

მოქალაქეთა უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა დაახლოებით ერთნაირია მოცულობის მიხედვით, მაგრამ რიგ შემთხვევებში კანონით ან სასამართლო გადაწყვეტილებებით პირი იზღუდება ქმედუნარიანობაში.

უფლებაუნარიანობისაგან განსხვავებით ქმედუნარიანობა სრული მოცულობით გააჩნია არა ყველა ადამიანს, არამედ მხოლოდ ისეთებს, რომლებსაც თავისი ასაკობრივი და გონებრივი მდგომარეობის გამო შესაძლებლობა აქვთ შეგნებულად შეაფასონ და განსაზღვრონ საკუთარი მოქმედების მნიშვნელობა და შედეგები.

ბავშვები 7 წლის ასაკამდე თუმცა უფლებაუნარიანი არიან, ე.ი. შესაძლებელია ჰქონდეთ უფლებები და მოვალეობები, მაგრამ მათ არ გააჩნიათ ქმედუნარიანობა, ე.ი. არ შეუძლიათ თვითონ, თავიანთი ნებითა და მოქმედებით განახორციელონ ეს უფლება-მოვალეობანი; ასეთ შემთხვევაში, როდესაც კანონით დადგენილი ასაკის მიუღწევლობის გამო სამართლის სუბიექტს არა აქვს ქმედუნარიანობა, ბავშვების უფლებებსა და მოვალეობებს განახორციელებენ მათი მშობლები ან მეურვეები.

კანონით, აგრეთვე, დადგენილია ქმედუნარიანობის შეზღუდვა არას-

რულწლოვანთათვის 7-დან 18 წლამდე. ამ ასაკის პირები ნაწილობრივ ქმედუნარიანნი არიან, ე.ი. სარგებლობენ შეზღუდული სამოქალაქო ქმედუნარიანობით; იურიდიული ხასიათის სხვადასხვა მოქმედებანი მათ მიერ უნდა სრულდებოდეს მშობლების, შვილად ამყვანთა, მეურვეების ან მზრუნველების თანხმობით, მაგრამ რიგ შემთხვევაში დამოუკიდებლად შეუძლიათ განახორციელონ თავიანთი უფლება-მოვალეობანი!

ზოგიერთ შემთხვევაში კანონით დაწესებული საფუძვლის არსებობისას სრულწლოვანი პირიც შეიძლება ცნობილ იქნეს არაქმედუნარიანად, სახელდობრ, მაშინ, თუ იგი სულით ავადმყოფი ან გონებასუსტია, ე.ი. გააჩნიათ ქონებრივი უფლებები და მოვალეობანი. მაგრამ საკუთარი ნებითა და მოქმედებით მათი განხორციელება არ შეუძლიათ. სულით ავადმყოფების ქონებრივ უფლება-მოვალეობებს მათ მაგიერ ახორციელებენ ის პირები ან ორგანოები, რომლებსაც დაკისრებული აქვთ მათზე მზრუნველობა.

უცხოელი მოქალაქენი და მოქალაქეობის არმქონე პირები შეიძლება იყვნენ შრომითი, სამოქალაქო, პროცესუალური და სხვა სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტები, მაგრამ მათ არა აქვთ საარჩევნო უფლება, მათზე არ ვრცელდება სამხედრო ვალდებულება, სისხლის სამართლის კოდექსის ზოგიერთი მუხლი (მაგალითად, სახელმწიფოს ღალატის შესახებ) და ა.შ.

საერთო (საკონსტიტუციო) სამართლებრივი სტატუსის გარდა მოქალაქეებს აქვთ სპეციალური სტატუსი, რომელიც განისაზღვრება უფრო კონკრეტული კანონებით: მაგალითად, სამხედრო მოსამსახურის, პოლიციელის, სტუდენტის, პენსიონერის და ა.შ. სტატუსი. ამჟამად ზედმიწევნით საკანონმდებლო დამუშავებას მოითხოვს ლტოლვილის, დროებით გადაადგილებულის, საზღვარგარეთის მუშის, უმუშევრის და სხვა სტატუსი, რაც ნაკარნახევია მსოფლიოში მიმდინარე პროცესებით.

სამართლის სუბიექტებს განეკუთვნება სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციები, მთლიანად სახელმწიფო.

სახელმწიფო ორგანიზაციები იქმნება მრავალგვაროვანი ფუნქციების შესასრულებლად. როგორც სამართლის სუბიექტები, ისინი შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად:

—სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც მართვის ფუნქციებს ასრულებენ და აქვთ ძალისმიერი უფლებამოსილებები. ხშირად ისინი ადმინისტრაციული, მიწის, სისხლის სამართლის, პროცესუალური სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტებად გამოდიან. სახელმწიფო ორ-

¹ გ. ინწკირელი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია. თბ., 1998 წ. გვ. 164-165.

განობის სამართლებრივი მდგომარეობა ხასიათდება კომპეტენციით, ანუ შესაბამისი ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული უფლებამოვალეობების ერთობლიობით.

—დაწესებულებები, რომლებიც სოციალურ-კულტურული მოღვაწეობით არიან დაკავებული, აღჭურვილი არ არის ძალისმიერი უფლებამოსილებით. ასეთი დაწესებულებები (სკოლები, საავადმყოფოები, უმაღლესი სასწავლებლები, ბიბლიოთეკები, თეატრები, მუზეუმები და სხვა) სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან, მინიჭებული აქვთ უფლებებისა და მოვალეობების კომპლექსი თავიანთი ფუნქციების შესასრულებლად;

—სამეურნეო საქმიანობით დაკავებული დაწესებულებები, რომლებიც სამეურნეო გამგებლობის უფლებებით (უნიტარული დაწესებულებები) ან ოპერატიული მართვის უფლებით (სახელმწიფო დაწესებულებები) მოქმედებენ. სახელმწიფო სუბსიდიარულად პასუხისმგებელია მათ ვალდებულებებზე.

სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფო ორგანიზაციები გამოდიან, როგორც იურიდიული პირები. ისინი ახორციელებენ ფუნქციებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული ძალისმიერ უფლებამოსილებებთან. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის შესაბამისად „იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი საკუთარი ქონების მქონე ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ“.

იურიდიული პირის უფლებებს ღებულობს ბევრი არასახელმწიფო ორგანიზაცია (სამეურნეო ამხანაგობა და საზოგადოება, საწარმოო და მომხმარებელთა კოოპერატივები, საზოგადოებრივი, რელიგიური ორგანიზაციები და ა.შ.)

არასახელმწიფო ორგანიზაციები მოქმედებენ არა მარტო მეურნეობის სფეროში, არამედ პოლიტიკის (პარტია), მოქალაქეთა უფლებების დაცვის (იურიდიული კონსულტაცია, მომხმარებელთა უფლებების დაცვის საზოგადოება, პროფკავშირი) სფეროში, გამოდიან, როგორც სამართლის სუბიექტები სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ, შრომით, პროცესუალურ და სხვა ურთიერთობებში.

სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ (სახელმწიფოთაშორისო, რესპუბლიკებსა და ფედერაციებს შორის) და ზოგიერთ ქონებრივ (შიდასახელმწიფოებრივი სესხის ობლიგაციების გამოშვებისას, უპატრონო ქო-

ნებაზე, განძზე და ა.შ. საკუთრების უფლების მიმართ) ურთიერთკავშირებში სამართლის სუბიექტად გვევლინება სახელმწიფო, როგორც მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის და სხვა დაწესებულებების მესაკუთრე.

სოციალური ერთობა (ხალხი, ერი, რეგიონის მოსახლეობა, შრომითი კოლექტივი) სამართლის სუბიექტია განსაკუთრებულ, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. მაგალითად, ხალხი უშუალოდ ახორციელებს თავის უფლებებს საყოველთაო არჩევნების (რეფერენდუმის) გზით.

§3 სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი

მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტის განსაზღვრის საკითხი დღემდე დავას იწვევს სამართლის თეორიის მეცნიერებაში, მაინც იურისტთა შორის გავრცელებულია შეხედულება, რომლის მიხედვითაც სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტად ითვლება ყოველივე ის, რის გამოც წარმოიშობა ე.წ. ურთიერთობა, ე.ი. სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტს წარმოადგენს რეალური სიკეთე, რომლის გამოყენებასა და დაცვაზე მიმართულია სუბიექტის უფლებები და იურიდიული მოვალეობები.

სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი მჭიდროდაა დაკავშირებული უფლებამოსილი მხარის ინტერესებთან და წარმოადგენს სიკეთეს, რომელიც მის გამგებლობაში იმყოფება და სახელმწიფო იცავს. ობიექტი შეიძლება იყოს მრავალგვარი საგანი, რომელიც წარმოადგენს ღირებულებას სამართლის სუბიექტისათვის. კანონმდებლობის მიხედვით საცხოვრებელი სახლის დამკირავებლისათვის ობიექტი—მისი ცხოვრებისათვის აუცილებელი საცხოვრებელი სათავსოა.

აღრე მოქმედი კანონმდებლობით სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის პირობებში სახელმწიფოს ჰქონდა მრავალი ობიექტის ფლობის მონოპოლია. მხოლოდ მას შეეძლო საკუთრებაში ჰქონოდა მიწა, საწარმო, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის დაწესებულებები, სკოლები, საავადმყოფოები და მრავალი სხვა, მოქალაქეს კი არ შეეძლო აღნიშნული ობიექტების ფლობა, მისი ქონებრივი უფლებები მკაცრად რეგლამენტირებული და შეზღუდული იყო. მოქალაქის პირად საკუთრებაში შეიძლება ყოფილიყო ერთი საცხოვრებელი სახლი (ან სახლის ნაწილი) ერთად მცხოვრებ მეუღლეებს და მათ არასრულწლოვან შვილებს შეიძლება ჰქონოდათ ერთი საცხოვრებელი სახლი (ან სახლის ნაწილი), რომელიც პირადი საკუთრების უფლებით ეკუთვნოდა ერთ-ერთ მათგანს ან რომელიც მათ საერთო საკუთრებაში იმყოფებოდა;

მრავალბინიან სახელწიფო სახლში ერთად მცხოვრებ ცოლ-ქმარს და მათ შვილებს შეეძლოთ ჰქონოდათ მხოლოდ ერთი ბინა; საცხოვრებელი სახლის ან მისი ნაწილის ზღვრული ოდენობა, რომელიც ეკუთვნოდა მოქალაქეს საკუთრების უფლებით, არ შეიძლება ყოფილიყო საცხოვრებელი ფართის 60 კვ.მ. მეტი, მაგრამ მოქალაქისთვის, რომელსაც დიდი ოჯახი ჰყავდა ან უფლება ჰქონდა დამატებით ფართზე, რაიონის, ქალაქის დეპუტატთა საბჭოს აღმარსულებელ კომიტეტს შეეძლო დიდი სახლის აშენების, შექმნის ან შენარჩუნების უფლება მიეცა. ამ შემთხვევაში, საცხოვრებელი ფართი არ უნდა აღმატებოდა ზომას, რომელიც მოცემული ოჯახისათვის იყო განსაზღვრული. დამქირავებლებისათვის ნორმების მიხედვით მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სახლებში დამატებით ფართზე უფლების გათვალისწინებით. კანონმდებლობა ადგენდა შეზღუდვებს საკარმიდამო ნაკვეთებზე, პირუტყვზე და პირად საკუთრებაზე. თანამედროვე სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად ფიზიკურ და იურიდიულ პირებს აქვთ უფლება ჰქონდეთ ქონება და საკუთრება, ფლობდნენ, სარგებლობდნენ და განკარგავდნენ მათ, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს. ნივთი შეიძლება იყოს მოძრავი და უძრავი; არამატერიალური ქონებრივი სიკეთე არის ის მოთხოვნები და უფლებები, რომლებიც შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს, ან გამიზნულია საამისოდ, რომ მათ მფლობელს შეექმნას მატერიალური სარგებელი ანდა მიენიჭოს უფლება მოსთხოვოს სხვა პირს რაიმე (სამოქალაქო კოდექსი მუხ. 147-152),¹ ამიტომაც სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტებად გამოდიან სულიერი შემოქმედების არამატერიალური სიკეთეები, რომლებსაც ქცევის გარეგან ობიექტებსაც უწოდებენ (მაგალითად, საავტორო უფლების ობიექტი—ავტორის მიერ შექმნილი ნაწარმოები), პირადი და საოჯახო საიდუმლოს უფლება, მიმოწერის საიდუმლოს, სატელეფონო საუბრების, საფოსტო, სატელეგრაფო და სხვა შეტყობინებების უფლება.


ერთი და იგივე სიკეთე შეიძლება სხვადასხვა სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი იყოს. ასე მაგალითად, ნივთი შეიძლება იყოს საკუთრების უფლების, ყიდვა-გაყიდვის სამართლებრივი ურთიერთობების, გირაოს, მემკვიდრეობითობის, დაზღვევის და ა.შ. ობიექტი.

სამართლებრივი ურთიერთობის შემადგენლობის განხილული ელემენტები იხ. სქემის სახით.²

¹ იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997 წ. გვ. 40-41.

² Теория государства и права. под. ред. В.Ю. Корелского, и В. Переволоова стр. 361-369. 2000 г. 1998 г. ст. 351.

სამართლებრივი ურთიერთობის შემადგენლობა
(ყიფვა-გაყიფვის სამართლებრივი ურთიერთობის მაგალითზე)



სქემაზე ჩანს, რომ უფლება-მოვალეობები, როგორც იურიდიული შინაარსის ელემენტები, მკაფიოდ გამოიჯნულია, ერთიანდება მხოლოდ უფლება-მოვალეობები, როგორც ფაქტობრივი შინაარსის ელემენტი, ნივთის გადაცემა—ერთსა და იმავე დროს მყიდველის უფლება და გამყიდველის მოვალეობა; ფულის გადაცემა—ერთსა და იმავე დროს გამყიდველის უფლება და მყიდველის მოვალეობა.

§4. უფლება და მოვალეობა, რომლის სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი

იურიდიულ ლიტერატურაში მკვლევართა მიერ უფლება და მოვალეობა განხილულია, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი, რომელსაც ორმაგი ხასიათი გააჩნია. იურიდიული და ფაქტობრივი.

სამართლებრივი ურთიერთობის იურიდიული შინაარსი არის უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედების შესაძლებლობა, ან გარკვეული ქმედებისაგან თავშეკავების აუცილებლობა, ფაქტობრივი კი თვით ქმედებებია, როდესაც ხდება უფლებებისა და მოვალეობების რეალიზება. იურიდიული და ფაქტობრივი შინაარსი ერთი და იგივე არ არის—პირველი შეიცავს შესაძლებლობების განუსაზღვრელ რაოდენობას, მაგალითად, საშუალო განათლების მქონე პირს უფლება აქვს აირჩიოს უმაღლესი სასწავლებელი, ე.ი. მის წინაშე იმ შესაძლებლობების დიდი არჩევანია, რომლებიც მისი უფლების შინაარსს შეიცავენ, მაგრამ რეალურად შეიძლება ისწავლო მხოლოდ ერთ უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების ჩაბარების ან ხელშეკრულების პირობით. ამგვარად, ფაქტობრივი შინაარსი უფლების რეალიზაციის ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტია.

სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი არის იურიდიული უფლება-მოვალეობები. უფლება და მისი შესაბამისი მოვალეობა ჰქმნიან იურიდიულ კავშირს უფლებამოსილ და მოვალე მხარეთა შორის, ამასთან, სამართლებრივი ურთიერთობა შეიძლება დგებოდეს ერთი ან რამდენიმე იურიდიული კავშირისაგან. მაგალითად, ყოფა-გაყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოქმნილი სამართლებრივი ურთიერთობა შეიცავს მინიმუმ ორ სამართლებრივ კავშირს: პირველი—მყიდველის უფლებას—მიიღოს საქონელი; მეორე—გამყიდველის უფლებას—მიიღოს ფული საქონლისათვის და მყიდველის მოვალეობა—გადაიხადოს ხელშეკრულებაში შეთანხმებული თანხა.

არსებობს სამართლებრივი კავშირების ორი ტიპი: შეფარდებითი, ცალკეულ პირებს (სუბიექტებს) შორის წარმოქმნილი და აბსოლუტური—სამართლის სუბიექტისა და სახელმწიფოს (ყველას და ყოველს) შორის.¹

„უფლება ეწოდება სამართლის სუბიექტის შესაძლებლობას სამართლის ნორმის საფუძველზე შეასრულოს გარკვეული მოქმედება ან მოსთხოვოს სხვას რაიმე მოქმედების შესრულება“,² ე.ი. უფლება არის სამართლის სუბიექტის შესაძლებლობა თავისი ინტერესების დასაკმა-

¹ იხ. Теория государства и права под. ред. В. К. В. П. 2000 г. ст. 352.

² გ. ინწკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია. თბ., 1998 წ. გვ. 167-168.

ყოფილებლად სამართლის ნორმით გათვალისწინებული შესაძლო ქცევის ზომა, რომელიც სხვა პირების იურიდიული მოვალეობებითაა უზრუნველყოფილი და მას შემდეგი ნიშნები აქვს:

—პირის უფლება არის შესაძლო ქცევის ზომა. ზომა ნიშნავს რაღაცის გამოვლენის ზღვარს. უფლებასთან მიმართებაში ზომა შეიცავს შესაძლო ქცევის სახეობას და ოდენობას. კუთვნილი ფასიანი შევებულების უფლების მარეგულირებელი ნორმა განსაზღვრავს ქცევის სახეობასაც (ყოველწლიური შევებულება საშუალო ხელფასის შენარჩუნებით) და მის ოდენობას (შევებულების ხანგრძლივობა). უფლება არის შესაძლო ქცევა, ანუ უფლების მატარებელს ყოველთვის აქვს არჩევანი: იმოქმედოს გარკვეულად და თავი შეიკავოს მოქმედებებისაგან;

—გასაანალიზებელი უფლების შინაარსი სამართლის ნორმებითა და იურიდიული ფაქტებით დგინდება;

—უფლების განხორციელება უზრუნველყოფილია სხვა მხარის მოვალეობით. ერთ შემთხვევაში ამ მოვალეობას შეადგენს იმ ქმედებებისგან თავშეკავება, რომლებიც არღვევენ სხვა მხარის უფლებას, მეორე შემთხვევაში კი ეს უფლება უზრუნველყოფილია მოვალეობის შესრულებით, ე.ი. მოვალე პირის აქტიური ქმედებით;

—უფლება ენიჭება პირს თავისი ინტერესების დასაცავყოფილებლად; უკანასკნელის არარსებობისას უფლების განხორციელების სტიმული იკარგება;

—მოცემული უფლება მდგომარეობს პირის არა მარტო შესაძლებლობაში, არამედ იურიდიულ ან ფაქტობრივ ქცევაში.

უფლება არის რთული მოვლენა, რომელიც შეიცავს რიგ შესაძლებლობებს:

ა) საკუთარი აქტიური მოქმედების უფლება, რომელიც მიმართულია ობიექტის სასარგებლო თვისების უფლების გამოყენებისაკენ (მაგალითად, ნივთის მესაკუთრეს უფლება აქვს გამოიყენოს იგი პირდაპირი დანიშნულებით);

ბ) იურიდიული მოქმედებების, ე.ი. იურიდიული გადაწყვეტილებების მიღების უფლება (მესაკუთრეს შეუძლია დააგირავოს ნივთი, გაყიდოს, გააჩუქოს, უანდერძოს და ა.შ.);

გ) უფლება მოსთხოვოს სხვა მხარეს მოვალეობის შესრულება, ე.ი. უფლება სხვის მოქმედებებზე (სესხის მიმცემს უფლება აქვს მოსთხოვოს სესხის ამღებს ფულის ან ნივთის დაბრუნება);

დ) სარჩელის უფლება, რომელიც მოვალე პირის წინააღმდეგ იძულების

აპარატის ამუშავებაში მდგომარეობს, ე.ი. მოვალეობის იძულებით შესრულების უფლება (იძულებითი წესით შეიძლება გადაახდევინონ ვალი, სამსახურში აღადგინონ მუშა-მოსამსახურე).

იურიდიული მოვალეობა არის მოვალე პირისათვის მითითებული და სახელმწიფო იძულების შესაძლებლობით უზრუნველყოფილი აუცილებელი ქცევის ზომა (მოქმედება და მოქმედებისაგან თავის შეკავება), რომელსაც უნდა მოჰყვეს უფლებამოსილი პირის ინტერესების დაკმაყოფილება. ე.ი. მოვალეობა (ვალდებულება) არის სამართლის ნორმით განსაზღვრული ფიზიკური ან იურიდიული პირის აუცილებელი ქცევა, ზომა, მასშტაბი, ანუ ვალდებულება, რომელიც გულისხმობს პირის მოქმედების სამართლებრივ აუცილებლობას.¹

იურიდიულ მოვალეობას შემდეგი ნიშნები გააჩნია:

—ეს არის აუცილებელი ქცევის ზომა, ზუსტი განსაზღვრა იმისა, თუ როგორი უნდა იყოს იგი. ასეთი ზომის დაცვა აუცილებელია, რადგან მოვალეობა უზრუნველყოფილია სახელმწიფო იძულების შესაძლებლობით (თუ მოვალეობა ვალის გადახდაა, მაშინ ზუსტად უნდა განისაზღვროს ვალის ოდენობა, მისი გადახდის ვადა და ა.შ.);

—მოვალეობა დგინდება იურიდიული ფაქტებისა და სამართლებრივი ნორმების მოთხოვნების საფუძველზე;

—მოვალეობა დგინდება უფლებამოსილი პირის, ცალკეული პირის ან საზოგადოების (სახელმწიფოს) სასარგებლოდ;

—მოვალეობა არის არა მხოლოდ (და არც იმდენად) აუცილებლობა, არამედ მოვალე პირის რეალური ფაქტობრივი ქცევა;

—მოვალე პირს არა აქვს არჩევანი მოვალეობის შესრულებასა და შეუსრულებლობას შორის. იურიდიული მოვალეობის შესრულებლობა ან არასათანადო შესრულება სამართალდარღვევაა და იწვევს სახელმწიფო იძულების ზომებს.

იურიდიული მოვალეობა სამი ფორმისაა: აკრძალული ქმედებებისაგან თავშეკავება (პასიური ქცევა); კონკრეტული ქმედებების შესრულება (აქტიური ქცევა); პირის უფლებების ქონებრივი ან ორგანიზაციული ხასიათის შეზღუდვა (იურიდიული პასუხისმგებლობის ზომები).

უფლება და მოვალეობა განუყრელადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. არ არსებობს უფლება, რომელიც მოვალეობით არ არის უზრუნველყოფილი და არ არის მოვალეობა, რომელსაც არ შეესაბამება უფლება. ასევე სამართლებრივი ურთიერთობა არ არსებობს, თუ არ არის უფლებამოსილი ან მოვალე მხარე. ეს ერთიანობა შეიძლება აღამიანთა

¹ ბ. სვანელი, სამართლის თეორია, თბ., 1993 წ. გვ. 90.

მოქმედებებში, ქცევებში დაეინახოთ. ფაქტობრივი ქცევა იმავდროულად ერთი მხარისათვის უფლებაა და მეორისათვის მოვალეობა. მაგალითად, მომატებული ოდენობით ზევადიანი სამსახურის ანაზღაურება აღმინისტრაციის მოვალეობაა, ასეთი ხელფასის მიღება კი შემსრულებლის უფლება.

§5. იურიდიული შაქბები

სამართლებრივი ურთიერთობები საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე დინამური მოვლენებია. ისინი ჩნდება, იცვლება, წყდება, და მთავრდება, ანუ სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობა დაკავშირებულია რეალურ, ცხოვრებისეულ გარემოებებთან, ე.ი. იურიდიულ ფაქტებთან.

იურიდიული ფაქტები არის სხვადასხვა გარემოებები, რომელთა არსებობასთანაა დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა.

ფაქტებს იურიდიულს უწოდებენ, რადგან სამართლის ნორმებით არის გათვალისწინებული, პირდაპირ—ჰიპოთეზაში, ირიბად—დისპოზიციაში, სანქციაში. როგორც კი აღნიშნული ფაქტები რეალურად ჩნდება, ნორმების ჰიპოთეზა იწყებს მოქმედებას, ან პირები—ნორმის აღრესატები იძენენ დისპოზიციაში აღნიშნულ უფლება-მოვალეობებს.


უფლების მიმნიჭებული და მავალბელი ნორმები მიუთითებს, როგორი უნდა იყოს მხარეთა ქცევა, რომელიც ზორციელდება იურიდიული ნორმის დისპოზიციის მოთხოვნების შესაბამისად და იურიდიულ ფაქტს წარმოადგენს.

გარდა ამისა, ფაქტებს იურიდიული იმიტომ ეწოდებათ, რომ სამართლის ნორმებთან ერთად განსაზღვრავენ მხარეთა მიმართ უფლებებისა და მოვალეობების კონკრეტულ შინაარსს. მაგალითად, მყიდველისა და გამყიდველის უფლება-მოვალეობების შინაარსი დგინდება არა იმდენად სამოქალაქო სამართლის ნორმით, რამდენადაც მხარეთა შორის ხელშეკრულებით, უკანასკნელი კი იურიდიული ფაქტია.

ძალიან ხშირად სამართლებრივი ურთიერთობების წარმოქმნისათვის საჭიროა ფაქტობრივი ერთობლიობა, რომელთა არსებობა იურიდიული შედეგების დადგომისათვისაა აუცილებელი (მაგალითად, საპენსიო სამართლებრივი ურთიერთობის წარმოქმნისათვის საჭიროა გარკვეული

ასაკის მიღწევა, შრომითი სტაჟის არსებობა და სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების გადაწყვეტილება პენსიის დანიშვნის შესახებ). ხშირად სამართლის ნორმებს იურიდიულ შედეგებს უკავშირებენ არა მარტო ამა თუ იმ გარემოების არსებობას, არამედ მის უქონლობასაც. ასეთი კავშირის ტიპური მაგალითი არის იმ მოვალეობის შეუსრულებლობა, რომელიც პროცესუალური ურთიერთობის წარმოშობის საფუძველია დარღვეული უფლებების დაცვის მიზნით. ფაქტებს, რომლებიც მეტყველებენ რომელიმე გარემოების ან მოქმედების უქონლობაზე, იურიდიულ მეცნიერებაში უწოდებენ უარყოფითს.

იურიდიული ფაქტები წარმოადგენენ ცხოვრებისეულ გარემოებებს, ამიტომაც მათი კლასიფიკაცია შეიძლება სხვადასხვა საფუძველების მიხედვით. უმნიშვნელოვანესია იურიდიული ფაქტების დაყოფა შედეგების და ნებელობის მიხედვით.



ნებლობითი ნიშნის გარდა იურიდიული შედეგების მიხედვით იურიდიული ფაქტები იყოფა სამ ჯგუფად:¹

—გარემოებანი, რომლებიც იწვევენ სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას (სამართალწარმომშობი);

—გარემოებანი, რომლებიც იწვევენ სამართლებრივი ურთიერთობის შეცვლას (სამართალშემცვლელი);

—გარემოებანი, რომლებიც იწვევენ სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტას (სამართალშემწყვეტი).

სამართლებრივი ურთიერთობის წარმომშობი ფაქტები იწვევს სამართლებრივი ურთიერთობის წარმოქმნას. ეს არის სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგებები, შრომითი ხელშეკრულების დადგენა, ქორწინება საოჯახო სამართლის ნორმების შესაბამისად, დანიშნულებრივი ქმედებების ჩადენა, რომლებიც იწვევენ სისხლის სამართლის სამართლებრივ ურთიერთობებს და სხვა.

სამართლებრივი ურთიერთობის შემცვლელი ფაქტები ცვლიან სამართლებრივ ურთიერთობებს. მაგალითად, სხვა სამუშაოზე გადაყვანა ცვლის შრომითი სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსს მხარეთა შორის, თუმცა მთლიანად სამართლებრივი ურთიერთობა შენარჩუნებულია.

სამართლებრივი ურთიერთობის შემწყვეტი ფაქტები განაპირობებენ სამართლებრივი ურთიერთობების შეწყვეტას. ასეთია მოქმედებები პირადი უფლებების განსახორციელებლად ან იურიდიული მოვალეობის შესასრულებლად. მაგრამ სამართლებრივი ურთიერთობა შეიძლება შეწყდეს არა მარტო პირადი უფლება-მოვალეობების რეალიზაციის შედეგად, არამედ ადამიანის სიკვდილის (სამართლის სუბიექტის), ნივთის დაკარგვის (სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტის) შედეგად.

ერთსა და იმავე ფაქტს შეუძლია გამოიწვიოს რამდენიმე იურიდიული შედეგი. კერძოდ ადამიანის სიკვდილმა შეიძლება გამოიწვიოს ერთდროულად მემკვიდრეობის სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობა, შრომითი სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტა, დაქირავებული საცხოვრებელი სათავსოს სამართლებრივი ურთიერთობის შეცვლა.

ნებლობითი ნიშნით იურიდიული ფაქტები იყოფიან: ხლომილებად და მოქმედებად (მოქმედება ან უმოქმედობა).

ხლომილება არის ისეთი იურიდიული ფაქტი, რომლის დადგომა არ არის დამოკიდებული სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტების ნებაზე

¹ Указ Теория ст. 353.

(ელვისგან ხანძარი, ვადის გასვლა, ადამიანის ბუნებრივი სიკვდილი და სხვა).

მოქმედება არის ადამიანის შეგნებული მოქმედების ნებითი აქტი, მისი ნებისა და ცნობიერების გარეგანი გამოხატვა. ისინი შეიძლება იყოს მართლზომიერი და არამართლზომიერი. მართლზომიერი მოქმედებები სრულდება მოქმედი ნორმების მოთხოვნების ჩარჩოებში. ისინი იყოფა ინდივიდუალურ იურიდულ აქტებად და იურიდიულ ქცევებად. ინდივიდუალური იურიდული აქტები—ადამიანის გარე გამოხატული გადაწყვეტილებებია, რომლებიც მიმართულია სამართლებრივი შედეგის მიღწევაზე. მათ განეკუთვნება სამართლის შეფარდების აქტები, სამართლის ნორმის ახსნა-განმარტება არის ინტელექტუალურ-ნებითი, ორგანიზაციებს შორის ხელშეკრულებები, სამოქალაქო სამართლებრივი გარიგებები, მოქალაქეთა განცხადებები და სხვა ნება, რომელიც სამართლებრივ შედეგს იწვევს. იურიდიული ქცევები არის ადამიანების ფაქტობრივი მოქმედება, რომელიც რეალური ურთიერთობების შინაარსს შეადგენს (მაგალითად, შრომითი ვალდებულებების შესრულება, ნივთებისა და ფულის გადაცემა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით). იურიდიული ქცევები სამართლებრივ შედეგებს იწვევს იმის და მიუხედავად, იყენენ თუ არა ისინი მიმართული ამ შედეგების მიღწევისაკენ. არამართლზომიერად ანუ მართლსაწინააღმდეგოდ ჩაითვლებოდა ისეთი მოქმედება, რომელიც არღვევს სამართლის ნორმას და ნორმების საფუძველზე დადგენილ მართლწესრიგს. ამ უკანასკნელის სახის ქმედობანი თავისი შინაარსით სამართლის დარღვევას წარმოადგენს და, როგორც ცნობილია, იყოფა სისხლის-სამართლებრივ, ადმინისტრაციულ, დისციპლინურ და სამოქალაქო-სამართლებრივ დარღვევებად. ყოველი ასეთი არამართლზომიერი მოქმედებანიც იურიდიულ ფაქტებს წარმოადგენს, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

სამართლებრივი ურთიერთობები დარგობრივი ნიშნით შეიძლება დაიყოს: კონსტიტუციურ, სამოქალაქო-სამართლებრივ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ და სხვა სახეობებად. ამ დაყოფის საფუძველში დევს საზოგადოებრივი ურთიერთობების ცალკეული დარგების სპეციფიკა.

შინაარსის ხასიათის მიხედვით სამართლებრივი ურთიერთობები იყოფა ზოგადრეგულაციურ, რეგულაციურ და დაცვით ურთიერთობებად. ზოგადრეგულაციური სამართლებრივი ურთიერთობები ჩნდება უშუალოდ კანონიდან. ისინი წარმოიქმნება იურიდიული ნორმების საფუძველზე, რომელთა ჰიპოთეზები არ შეიცავს მითითებებს იურიდიულ ფაქტებზე.

ასეთი ნორმები ყველა ადრესატს ანიჭებს უფლებებს ან მოვალეობებს ყოველგვარი პირობების გარეშე (კონსტიტუციური ნორმა). რეგულაციური ნორმები, რომლებიც ჰიპოთეზაში შეიცავენ იურიდიულ ფაქტებზე განსაზღვრებას, ასევე უქმნის ყველა ადრესატს ერთნაირ სამართალსუბიექტურ შესაძლებლობებს, რომელთა გარანტიასაც სახელმწიფო იძლევა. პირადი უფლებებისა და იურიდიული მოვალეობების არსებობის შესაძლებლობა წარმოადგენს განსაკუთრებულ უფლებას, ზოგადრეგულაციური სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტს. რეგულაციურ სამართლებრივ ურთიერთობებს სიცოცხლეს ანიჭებს სამართლის ნორმები და იურიდიული ფაქტები (მოვლენები და მართლზომიერი მოქმედებები). ისინი შეიძლება გაჩნდნენ ნორმატიული რეგლამენტაციის უქონლობისას მხარეთა შორის ხელშეკრულების საფუძველზე. დაცვითი სამართლებრივი ურთიერთობები ჩნდება დაცვითი ნორმებისა და სამართალდარღვევების საფუძველზე. ისინი დაკავშირებულია იურიდიული პასუხისმგებლობის წარმოქმნასა და რეალიზაციასთან, რაც დაცვითი ნორმის სანქციით არის გათვალისწინებული.

სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტების (მხარეების) კონკრეტიზაციის (ინდივიდუალიზაციის) ხარისხის მიხედვით სამართლებრივი ურთიერთობები შეიძლება იყოს შედარებითი და აბსოლუტური. შედარებითი ურთიერთობით კონკრეტულად (სახელდობრ) განსაზღვრულია ორივე მხარე (მყიდველი და გამყიდველი, მიმწოდებელი და მიმღები, მოსარჩლე და მოპასუხე). აბსოლუტურიით—მხოლოდ დასახელებული მხარე, მოვალე მხარე კი ყველა და ყოველია. მათი მოვალეობა იმაში მდგომარეობს, რომ თავი შეიკავონ უფლებების დარღვევისაგან (სამართლებრივი ურთიერთობები, რომლებიც გამომდინარეობენ საკუთრების უფლებიდან, საავტორო უფლებიდან).

მოვალეობის ხასიათის მიხედვით სამართლებრივი ურთიერთობები იყოფა აქტიურად და პასიურად. აქტიური ტიპის სამართლებრივი ურთიერთობებით ერთი მხარის მოვალეობაა შეასრულოს გარკვეული დადებითი ქმედებები, მეორეს უფლება კი მხოლოდ ამ მოვალეობის შესრულების მოთხოვნაა. პასიური ტიპის სამართლებრივ ურთიერთობებში მოვალეობა იურიდიული ნორმებით აკრძალული ქმედებისაგან თავშეკავებაში მდგომარეობს.

თავი ოცდამეორე

სამართლის ნორმის ახსნა-განმარტების პრობლემა

§1. ახსნა-განმარტების იდეა

სამართლის რეალიზაციის, ანუ სამართლის ნორმათა შეფარდების პროცესთანაა დაკავშირებული ნორმის ახსნა-განმარტების საკითხი.

სამართლის ნორმების ახსნა-განმარტება არის ინტელექტუალურ ნებითი საქმიანობა მისი ნამდვილი შინაარსისა და დანიშნულების დასადგენად, მისი სრულყოფის და რეალიზაციის მიზნით.¹

ახსნა-განმარტება, ჩვეულებრივი აზროვნებითი პროცესი, უბრალოდ შეშეცნების აქტი კი არ არის, ინტელექტუალურ-ნებითი, ორგანიზაციული მოღვაწეობა, დროში მიმდინარე ქმედებაა და ორ დამოუკიდებელ კომპონენტს—დანიშნულების გარკვევას და განმარტებას შეიცავს. გარკვევა არის ნორმის შინაარსის გაგების, გათვითცნობიერების პროცესი. განმარტება კი ათვისებული შინაარსის სხვისთვის ახსნა და გაგებინებაა.

იურიდიულ ლიტერატურაში ამ ელემენტებთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. ერთნი განმარტებას განიხილავენ, მხოლოდ როგორც გარკვევას, სხვები კი მხოლოდ როგორც განმარტებას. იყო მცდელობა, დაედგინათ მთავარი, განმსაზღვრელი ორ კომპონენტს შორის. საკითხის ამგვარი დასმა არ უნდა იყოს გამართლებული როგორც მეცნიერული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. გარკვევა და განმარტება არის ერთიანი პროცესის დიალექტიკურად დაკავშირებული ორი მხარე. გარკვევა წინ უსწრებს, თან ახლავს და ასრულებს განმარტებით პროცედურებს, რადგან სანამ ნორმის შემფარდებელი სუბიექტი სხვას განუმარტავს ნორმების შინაარსს, იგი თავად უნდა გაერკვეს, გაიცნობიეროს ყველა მსხვილმან-წვრილმანი, მაგრამ მხოლოდ განმარტება თავისთავად არ არის გაგების შედეგი და მიზანი—ეს კეთდება იმისათვის, რომ ნორმის შინაარსი გასაგები და გარ-

¹ „სამართლის ნორმის ახსნა-განმარტება ნიშნავს იმის დადგენას, თუ რა აზრი ჩადო მასში სამართლის ნორმის დამდგენმა სუბიექტმა“ იხ. ბ. სავანელი, სამართლის თეორია. თბ., 1993 წ. გვ. 166.

კვეული იყოს სხვა პირებისთვისაც. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ სამართლის ნორმის ახსნა-განმარტება ხდება არა უბრალო შემეცნებისა და სამართლებრივი ნორმების შესწავლის, არამედ მათი რეალიზაციის მიზნით - სწორედ ეს გარემოება ანიჭებს ახსნა-განმარტებით პროცესს სპეციფიკურ თავისებურებებს.

უფრო ღრმა ანალიზი საშუალებას გვაძლევს სამართლის ნორმის განმარტება დავახასიათოთ, როგორც სპეციფიკური საქმიანობა, განსაკუთრებული სოციალური მოვლენა, სამართლებრივი კულტურის თავისებური ფაქტორი, სამართლის არსებობის და განვითარების მომენტი, სამართლებრივი რეგულირების აუცილებელი პირობა, რომლის სპეციფიკას რიგი ფაქტორები განაპირობებს:

—სამართლის ნორმათა ახსნა-განმარტება, რომლის მიზანია სამართლებრივი მოთხოვნების რეალიზაცია, სამართლებრივი მოწესრიგების აუცილებელ პირობადაც გვევლინება;

—კანონით დადგენილ შემთხვევებში ამ საქმიანობას ასრულებს კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოები;

—ახსნა-განმარტების შედეგები, როდესაც საჭიროა მათთვის სავალდებულო მნიშვნელობის მინიჭება, განისაზღვრება სპეციალური სამართლებრივი (ინტერპრეტაციული) აქტით.

სამართლის ნორმის ახსნა-განმარტების განსაკუთრებული ხასიათი ითხოვს არა მარტო განმარტების სპეციფიკურ ხერხებსა და საშუალებებს, არამედ გარკვეულ მეთოდოლოგიურ მიდგომასაც.

სამართლის თავისებურება მისი ქმედითობაა. კანონი თავის ფუნქციას ასრულებს, როცა ის სრულდება, რეალიზდება ადამიანთა ქცევაში, მაგრამ ფორმალური სამართლებრივი იმპერატივის რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ ადრესატის მიერ მისი გაგების, ინდივიდის შინაგან სურვილად ქცევის, ცნობიერებაში გადასვლის მომენტიდან. შემთხვევითი არ არის, რომ სამართალს, სამართლებრივ მოწესრიგებას ახასიათებს კანონის ცოდნის პრეზუმპცია—ვარაუდი, რომ სამართლის სუბიექტმა, მისმა ადრესატმა იცის (გაცნობიერებული აქვს, ესმის) სამართლებრივი მოთხოვნების შინაარსი და ეს აუცილებლად ითვალისწინებს მათ განმარტებასაც.

სამართლის საფუძველს წარმოადგენს ნორმები, ე.ი. ზოგადი ხასიათის ქცევის წესები. საჭიროა ამ ზოგადი ნორმების ახსნა-განმარტება, შეიძლება თუ არა და რამდენად მიზანშეწონილია მისი გამოყენება კონკრეტულ შემთხვევაში და კონკრეტულ პირთა მიმართ.

სამართალი არის სპეციფიკური საზოგადოებრივი მოვლენა და გან-

ვითარების თავისი კანონზომიერებები, გამოვლენის და რეალიზაციის ფორმები, სტრუქტურა, პრინციპები, ხერხები და მოწესრიგების მეთოდი გააჩნია. არამართო ახსნა-განმარტება, სპეციალური იურიდიული ტერმინების გაგება; არამედ გასათვალისწინებელია სამართლებრივი რეგულირების თავისებურებებიც.

სამართლის ახსნა-განმარტების აუცილებლობა გამოწვეულია შესაძლო წინააღმდეგობებით მის ფორმასა და შინაარსს შორის. სამართლის შინაარსი დგინდება ნორმატიული სამართლებრივი აქტებით, რომლებიც ყოველთვის სწორად არ გამოხატავენ კანონმდებლის ნებას. იურიდიული ტექნიკის დაბალი დონე, ტექნიკური ნაკლოვანებები ქმნიან ხარვეზებს, წინააღმდეგობებს, ამახინჯებენ სამართლის შინაარსს. ამგვარ შემთხვევაში განმარტება სამართლის ნორმის მოთხოვნათა ნამდვილი შინაარსის შემეცნების აუცილებელი პირობაა.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ მხოლოდ გაურკვეველი ნორმები უნდა განიმარტოს, გარკვეული, გასაგები კი არ საჭიროებს განმარტებას.


სამართლის ნორმის ახსნა-განმარტება საჭიროა აგრეთვე სამართლებრივი ნორმების ფორმალურ ხასიათსა და საზოგადოებრივი ურთიერთობების დინამიკას შორის წინააღმდეგობის გამო. ფორმალური განსაზღვრულობის სამართლებრივი მოთხოვნები უცვლელი და სტაბილური რჩება, საზოგადოებრივი ცხოვრება კი მუდმივცვალებადია, ამიტომ ხშირად კანონი მისი გამოცემის მომენტთან შედარებით არსებითად შეცვლილ პირობებში გამოიყენება.

§2. სამართლებრივი ნორმების ახსნა-განმარტების ხერხები

სამართლებრივი ნორმების ახსნა-განმარტების თავისებურება საჭიროებს ამ პროცესში სპეციალური ხერხებისა და მეთოდების გამოყენებას.

იურიდიულ მეცნიერებასა და პრაქტიკაში იყენებენ განმარტების შემდეგ ხერხებს: გრამატიკული, ლოგიკური, სისტემატიკური, ისტორიულ-პოლიტიკური, სპეციალურ-იურიდიული და ფუნქციონალური (იხ. სქემა.)¹

¹ ук Теория государства и права. М., 2000 г. стр. 374.



გრამატიკული განმარტება. ყველანაირი სამართლებრივი აქტი სიტყვებით გადმოსცემს კანონმდებლის აზრს. აზრის გამომხატველ სიტყვებს აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა, ამასთან, სხვა სიტყვებთან გარკვეულ ლოგიკურ კავშირში იქნეს შეზღუდულ და ზოგად წყობას დაქვემდებარებულ აზრს, ამიტომ კანონის განმარტებისას, პირველ რიგში, ღვება ცალკეული ცნებების—რისგანაც მისი არსი შედგება—ტერმინოლოგიური ან გრამატიკული შინაარსის გარკვევის აუცილებლობა. ეს პროცესი დაკავშირებულია ცალკეული ნორმატიული აქტის ცნებებისა და ტერმინების მნიშვნელობის გაგებასთან. სიტყვებისა და ტერმინების აზრის გარკვევის შემდეგ ღვინდება წინადადებათა აზრი, რომელთა მეშვეობით ჩამოყალიბდება სამართლის ნორმა: ზღება სიტყვათა გრამატიკული ფორმების (გვარი, რიცხვი, ბრუნვა...) შეღარება, ვლინდება კავშირები სიტყვებსა და წინადადებებს შორის, ღვინდება წინადადებების სინტაქსური და მორფოლოგიური სტრუქტურები (სასენი ნიშნები, შემაერთებელი და გამყოფი კავშირები და სხვა).

გრამატიკის წესების არასაკმარისი ცოდნა, მათი არასწორი ინტერპრეტაცია იწვევს ნორმის შინაარსის არაზუსტ გაგებას, მასსაღმე, მის დარღვევას რეალიზაციის პროცესში.

ლოგიკური განმარტება ეწოდება სამართლებრივი აქტის განმარტებას მისი აზრის მიხედვით ლოგიკის კანონების გამოყენებით. სწორედ ამ ხერხის მეშვეობით ღვინდება ნორმის შინაარსის მთელი მოცულობა, აღმოიფხვრება მასში არსებული გაურკვეველობანი. თუ გრამა-

ტიკული განმარტება მიზნად ისახავს აქტის შინაარსის გარკვევას, ლოგიკური განმარტება ფორმალური ლოგიკის წესების მეშვეობით ცხადყოფს იმას, რაც კანონმდებელს სურს გამოხატოს კანონის ტექსტში, რა თქმა უნდა, ამისათვის ნორმის შემფარდებელმა უნდა იცოდეს ლოგიკის კანონები, სხვადასხვა ლოგიკური ხერხები და ა.შ. ფორმალური ლოგიკის ერთი წესის გამოყენებით არ შეიძლება განსამარტივო ნორმის სხვა ნორმებთან ყველა კავშირის, მისი მიზნებისა და დანიშნულების, მოცემულ ისტორიულ პირობებში სოციალურ-პოლიტიკური შინაარსის დადგენა, ამიტომ სამართლის ნორმების შინაარსის შემეცნებისათვის ფორმალური ლოგიკის წესებთან ერთად გამოიყენება დიალექტიკური ლოგიკის კანონებიც.

დასახელებული კანონები გამოიყენება სისტემატიკური და ისტორიულ-პოლიტიკური განმარტებების პროცესშიც.

სისტემატიკური განმარტება. განმარტების ამ ხერხის არსებობა განპირობებულია სამართლის სისტემურობით და სხვა ნორმებთან შედარების გზით კონკრეტული ნორმის აზრის გაგებაში მდგომარეობს. სამართლის ნორმები არ არსებობს ერთმანეთის გარეშე, ამიტომაც მათი აზრის სრულად გასაგებად საკმარისი არ არის შიდა ანალიზი, საჭიროა მისი შინაარსის, მისი სხვა ნორმებთან კავშირების კვლევა.

სისტემატიკური ხერხის მეშვეობით შეიძლება გამოვავლინოთ სამართლებრივი ნორმის იურიდიული ძალა, მისი მოქმედების სფერო, გარკვეულ დარგთან, სამართლის ინსტიტუტთან მიმართებაში.

ხშირად თვით ნორმატიული აქტის ტექსტი შეიცავს საფუძველს სისტემატიკური განმარტებისათვის. მისი გამოყენება საჭირო ხდება ბლანკეტური ნორმების რეალიზაციისას.

ისტორიულ-პოლიტიკური განმარტება. სამართლისადმი მატერიალისტური მიდგომა გულისხმობს, რომ სამართლის შინაარსი, სამართლებრივი ურთიერთობები შეიძლება სწორად იქნეს გაგებული მხოლოდ მათ წარმოქმნელ საზოგადოებრივ ურთიერთობებთან მჭიდრო კავშირში. სამართლებრივი მითითების რეალიზაცია შეუძლებელია კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში მათი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური შინაარსის გაუხსნელად. ასეთი განმარტება საჭიროა, როდესაც კანონი მოძველდა და არ ასახავს მისი მოქმედების დროის ობიექტურ პირობებს.

სპეციალურ-იურიდიული განმარტება. სამართლის ნორმებში კანონმდებლის ძალისმიერი ნება გამოიხატება არა მარტო ზოგადგამოყენებითი სიტყვების, არამედ სპეციფიკური ტერმინების მეშვეობით, ამას-

თან, გამოიყენება სხვადასხვა იურიდიულ-ტექნიკური საშუალებები და ხერხები, გათვალისწინებული სამართლებრივი რეგულირების სხვადასხვა ფორმები, მეთოდები და ტიპები. ეს მოითხოვს, სამართლის ნორმის ახსნა-განმარტების სუბიექტმა ნორმის განმარტებისას გამოიყენოს სპეციალური იურიდიული ცოდნა, უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება სპეციალური ტერმინების განმარტებას, მაგრამ განსახილველი ხერხი არ დაიყვანება მხოლოდ აქამდე (მაშინ იგი გრამატიკულ განმარტებასთან გაიგივდებოდა). მისი შინაარსი უფრო ფართოა. გათვალისწინებული უნდა იქნას სამართლებრივი რეგულირების თავისებურებანი, იურიდიული კონსტრუქციები, რეგულირების ტიპი და ა.შ. კანონის ზოგადდასაშვები ტიპის პირობებში („დაშვებულია ყველაფერი, ვარდა პირდაპირ აკრძალულისა“) რეგლამენტაცია ხორციელდება ამკრძალავი ნორმების გამოყენების გზით, თუმცა საუბარია საერთო დაშვებულობაზე. კანონის ზოგადდასაშვები ან ნებადართული ტიპის არსის გაგების გარეშე შეუძლებელია სამართლებრივი ნორმების სწორი რეალიზაცია.

ფუნქციონალური განმარტება. ზოგიერთ შემთხვევაში ნორმის აზრის ჩასაწვდომად საკმარისი არ არის გაკეთდეს მხოლოდ მისი ფორმალური ანალიზი და გაირკვეს რეალიზაციის საერთო პირობები—ზოგჯერ სამართლის ნორმის ახსნა-განმარტების სუბიექტმა უნდა გაითვალისწინოს ის ფაქტორები და გარემოებები, რომლის დროსაც ხდება ნორმის რეალიზება. უწინარეს ყოვლისა, ეს ე.წ. შეფასებით ტერმინებს („საპატიო მიზეზი“, „არსებითი ზიანი“, „მნიშვნელოვანი ზარალი“, „უკიდურესი აუცილებლობა“ ა.შ.) ეხება. ადგილის, დროის და სხვა ფაქტორების თვისობრიობის გათვალისწინებით ერთი და იგივე გარემოებები შეიძლება ჩაითვალოს საპატიოდ ან არასაპატიოდ, არსებითად ან არაარსებითად და ა.შ. ზოგჯერ კანონმდებელი პირდაპირ ავალდებულებს სხვადასხვა კონკრეტული პირობების გათვალისწინებას, ანუ ავალდებულებს მიმართოს ფუნქციონალურ განმარტებას, ჰაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველ პუნქტში მითითებულია, „არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად კანსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.“¹ არასრულწლოვანი ბავშებისათვის ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო ითვალისწინებს, აგრეთვე, მზარე-თა მატერიალურ ან ოჯახურ მდგომარეობას და სხვა საყურადღებო კარემოებებს.

¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. თბ., 1998 წ. გვ. 107.

ლიტერატურაში ცალკეულ შემთხვევებში უპირატესობა ენიჭება განმარტების ერთ ხერხს. რა თქმა უნდა, ნორმის შინაარსის გასარკვევად ყოველთვის არაა საჭირო განმარტების ყველა ხერხის ერთნაირად გამოყენება, ზოგჯერ შეიძლება შემოვიფარგლოთ გრამატიკული ან ლოგიკური განმარტებით, მაგრამ ეს არ იძლევა რომელიმე ხერხის იგნორირების საფუძველს, რადგანაც შეიძლება, რომ სწორედ იმ ერთის საშუალებით გაირკვეს ბოლომდე ნორმის შინაარსი და თავიდან იქნეს აცილებული მისი პრაქტიკაში არასწორად გამოყენების საფრთხე.

§3. სამართლის ნორმის ახსნა-განმარტების ფორმები და სუბიექტები

ახსნა-განმარტების სხვადასხვა ხერხის გამოყენება საშუალებას იძლევა სწორად და ამომწურავად გამოვლინდეს ნორმატიული აქტის ტექსტში ჩაღებული კანონმდებლის ნება, მაგრამ იურიდიული პრაქტიკისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ნორმის ჭეშმარიტი შინაარსის თანაფარდობას მის ტექსტუალურ გამოხატვასთან, ანუ განმარტებას მოცულობის მიხედვით—იგი სამართლის ნორმების შინაარსის გამორკვევის ლოგიკური გაგრძელება და დასასრულია. საქმე ისაა, რომ კანონის „აზრი“ სიტყვით ყოველთვის ზუსტად და გარკვეულად არ გამოიხატება. ენისა და აზროვნების, სიტყვისა და ცნების ერთიანობა არ ნიშნავს მათ იგივეობას, ეს კი წარმოქმნის არა მარტო სიტყვა-სიტყვითი, არამედ ცალკეულ შემთხვევებში განვრცობითი და შეზღუდვითი განმარტების გარდაუვალობას.

სიტყვა-სიტყვითი (ადეკვატური) განმარტება ნიშნავს სამართლის ნორმის სიტყვიერი გამოხატვის სრულ შესაბამისობას მის ნამდვილ აზრთან. ნორმების უმრავლესობა განიმარტება სწორედ სიტყვა-სიტყვით.

განვრცობითი განმარტებისას ნორმის შინაარსი (აზრი) უფრო ფართოა, ვიდრე მისი ტექსტუალური გამოხატვა. იმ შემთხვევათა ჩამონათვალს, რომელიც ითხოვს განვრცობით განმარტებას, ხშირად ახლავს გამოთქმები „და ა.შ.“ და „და სხვა“.

განვრცობითი განმარტება შესაძლებელია კანონში მიუთითებლადაც. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 409-ე მუხლის მე-4 პუნქტი ითვალისწინებს დაზარალებულისაგან სარჩოს ნაცვლად კომპენსაციის მოთხოვნის უფლებას, „თუ არსებობს საამისო მნიშვნელოვანი საფუძველი“.¹ რა შემთხვევაში შეიძლება კომპენსაციის მოთხოვნა, ან რა შეიძლება

¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. თბ., 1997, გვ. 107.

მივიჩნით მნიშვნელოვან საფუძველად, საჭიროა უფრო ზუსტი და სრული განმარტება.

ამავე დროს განვრცობითი განმარტება არ უნდა გაავივივოთ ანალოგიის მიხედვით სამართლის გამოყენებასთან. კანონის ანალოგიისას გარკვეულ ფაქტებს არ მოიცავს კანონის არა მარტო აზრი, არამედ ასოც, რამეთუ კანონმდებელი საერთოდ არ ითვალისწინებდა მოცემულ ვითარებას, განვრცობითი განმარტებისას კი ფაქტები, რომლებიც საქმეს განეკუთვნება, მოცემულია კანონმდებლის აზრით, თუმცადა მათ არ მიუღიათ ზუსტი და სრული განსაზღვრება ნორმატიული აქტის ტექსტში.

შეზღუდვითი განმარტებისას სამართლის ნორმის შინაარსი მისი ტექსტუალური გამოხატვია. ასე მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 1158¹ მუხლში აღნიშნულია, რომ „მეუღლეთა მიერ ქორწინების განმაკლებლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას თანასაკუთრებას“¹; მაგრამ ხშირია შემთხვევები, როდესაც მეუღლეები, ქორწინების დაურღვევლად, ცალკე ცხოვრობენ. არის თუ არა ასეთ შემთხვევაში მათ მიერ შეძენილი ქონება ერთობლივი? ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, საჭიროა სამართლის ნორმა განიმარტოს შეზღუდულად (ანუ ქორწინების დროს შეძენილი ყველანაირი ქონება არ არის ერთობლივი).

სამართლის ნორმები განიმარტება ადეკვატურად (სიტყვა-სიტყვით), შეზღუდვითი და განვრცობითი განმარტება ჩვეულებრივ გამონაკლისია ზოგადი წესისაგან. ხშირად განმარტების ეს ხერხები კანონმდებლობის არასრულყოფის, მასში ხარვეზების, არაზუსტი ფორმულირებების არსებობის შედეგია და ა.შ., მაგრამ ზოგჯერ კანონმდებელი ასეთ შესაძლებლობას შეგნებულად უშვებს და რადგანაც ამგვარ შემთხვევებში არ არის გამორიცხული სიტყვა-სიტყვით განმარტების შესაძლებლობა, ძნელდება სამართლებრივი ნორმების ერთგვაროვანი რეალიზაცია.

სამართლის ნორმები განიმარტება სამართალშემფარდებელი სუბიექტების მიერ. მაგრამ განმარტების შედეგების იურიდიული მნიშვნელობა განსხვავდება იმის მიხედვითაც, ვინ განმარტავს სამართლის ნორმებს. ამიტომ, მნიშვნელოვანია, მოხდეს განმარტების სახეების კლასიფიცირება მისი სუბიექტების მიხედვით.

ამ საფუძველზე გამოყოფენ ოფიციალურ და არაოფიციალურ განმარტებას. ოფიციალურ განმარტებას იძლევა კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოები და მისი შედეგები სავალდებულოა სამართლის

¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997 წ. გვ. 289.

ყველა სუბიექტისათვის. ოფიციალური განმარტება, თავის მხრივ, იყოფა ავთენტიკურ, ლეგალურ და სასამართლო ახსნა-განმარტებად.

ავთენტიკურ განმარტებას აკეთებს ორგანო, რომელმაც მიიღო ნორმატიული აქტი. მას არ სჭირდება რაიმე სპეციალური ნებართვა საკუთარი აქტების განმარტებისათვის—იგი ამას თავისი კომპეტენციის ძალით აკეთებს.

სამართალშემოქმედებით ორგანოს შეუძლია ავთენტიკური განმარტება შეიტანოს როგორც თვით აქტის ტექსტში (დეფინიციური ნორმები), ასევე გამოსცეს სპეციალური აქტები.

ლეგალურ განმარტებას ასრულებს კანონით უფლებამოსილი ორგანო. საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაა ნორმატიული აქტების განმარტება მათი კონსტიტუციასთან შესაბამისობის თვალსაზრისით. საარჩევნო კანონმდებლობის ოფიციალური განმარტების უფლებით სარგებლობს ცენტრალური საარჩევნო კომისია. უზენაესი სასამართლო ორგანო (პლენუმი) იძლევა არსავე აღდებული სარეკომენდაციო ახსნა-განმარტებას.

განსაკუთრებით უნდა გამოეყოთ განმარტება, რომელსაც აქვს სახელმწიფოთაშორისო მნიშვნელობა. ასეთია, კერძოდ, სავაჭრო ტერმინების „ინკოტერმსის“ განმარტების საერთაშორისო წესები, რომლებიც გამოცემულია საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ და შეიცავენ სხვადასხვა იურიდიული დებულებების ინტერპრეტაციას, რომლებსაც საერთაშორისო ვაჭრობის მონაწილენი იყენებენ.

არსებობს არანორმატიული ოფიციალური განმარტება, ანუ სამართალშეფარდებითი განმარტება. სამართალშეფარდების პროცესის მეორე სტადიაზე ირჩევა და ანალიზდება (ე.ი. განმარტება) სამართლის ნორმები. აქ განმარტების პროცესი განუყოფლად არის დაკავშირებული შეფარდების პროცესთან.

არაოფიციალურ განმარტებას ასევე ახორციელებენ სხვადასხვა სუბიექტები, მაგრამ მის შედეგებს არა აქვს იურიდიული ძალა. იგი ჩვეულებრივი, პროფესიული და დოქტრინალური არაოფიციალური განმარტებაა.

ჩვეულებრივი განმარტება შეიძლება გააკეთოს სამართლის ნებისმიერმა სუბიექტმა. მისი სიზუსტე სუბიექტის სამართალცნობიერების პირდაპირპროპორციულია, ამასთან, ასეთი განმარტების ხასიათზე ბევრად და მოკიდებული კანონიერების მდგომარეობა, რადგანაც იგი მოქალაქეთა იურიდიული მოღვაწეობის, მათი მართლზომიერი ქცევის საფუძველს წარმოადგენს.

სამართლებრივი ნორმების პროფესიულ ახსნა-განმარტებას იძლევიან სპეციალისტი იურისტები. განმარტების ამ სახეობის გამოყოფის კრიტერიუმი არის არა სამართლის ცოდნა, არამედ პროფესიული მოღვაწეობა. ასეთია, ნორმის ახსნა-განმარტება, რომელსაც იძლევა პროკურორი ან ადვოკატი სასამართლო პროცესზე. მისი შედეგები არ არის სავალდებულო სასამართლოსათვის, მაგრამ პროცესის ამ მონაწილეთა მოღვაწეობის აუცილებლობა განსაზღვრულია ნორმატიულად (სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა).

დოქტრინალურ განმარტებას იძლევიან მეცნიერი იურისტები, სამართლის სფეროს სპეციალისტები მონოგრაფიებში, სამეცნიერო კომენტარებში, სტატიებში და სხვა; დოქტრინალური განმარტების შედეგები ქვეყნდება განსაკუთრებულ კრებულებში, რომლებიც შეიცავენ მოქმედი კანონმდებლობის ამა თუ იმ დარგის სამეცნიერო-პრაქტიკულ კომენტარს და რომლითაც პრაქტიკული მუშაკები სარგებლობენ. იმისდა მიხედვით, თუ სამართლებრივი რეგულირების რომელ სტადიაზე ხორციელდება სამართლის ნორმის განმარტება. შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ნორმატიული და კაზუალური განმარტება. „კანონის ახსნას და განმარტებას მართო სიტყვა-სიტყვით თარგმნაც კანონისა ყოველთვის არა კმველის. ამას გაწრთვნილი იურისტი უნდა, წერდა ილია ჭავჭავაძე, იმიტომ, რომ ამისთანა შემთხვევაში საჭიროა კაცმა სულს მიაგნოს კანონისა და არ მართო ხორცს, და უნარს მიგნებისას მართო მეცნიერება იძლევა, მეცნიერება სჯულიერებისა“¹

ნორმატიული განმარტების დროს ოფიციალურად განიმარტება ნორმა მთლიანობაში რეალიზაციასთან მისი კავშირის გარეშე. ასეთია ავთენტიკური და ლეგალური განმარტებები, რომლებიც ხორციელდებიან იურიდიული პრაქტიკის განზოგადებისას.


კაზუალური განმარტებისას ნორმის ინტერპრეტაცია ხდება კონკრეტულ შემთხვევასთან მიმართებაში. ეს არის გამოსაყენებელი ნორმების განმარტებები, მსჯელობები, რომლებსაც შეიცავს ცალკეულ საქმეებზე უზენაესი სასამართლო კოლეგიების გადაწყვეტილებები და განსაზღვრებები.

ახსნა-განმარტება განსხვავდება განმარტების ობიექტის მიხედვითაც, რომელიც შეიძლება იყოს მთლიანად ნორმატიული აქტი, ან ცალკეული ნორმა.

განმარტების ობიექტი შეიძლება იყოს არა მართო ნორმატიული, არამედ სამართალშეფარდებითი აქტი. ამგვარ განმარტებას ახორციე-

¹ ი. ჭავჭავაძე. თხზ. ტ. VIII. გვ. 225.

ლებენ მაგალითად, საკასაციო და საზედამხედველო ინსტანციები. სამართალშეფარდებითი აქტების განმარტებას აქვს თავისებურებები. სპეციფიკურია ხელშეკრულებების განმარტებაც, და ბოლოს, განმარტების ობიექტად გამოდის იურიდიული პრაქტიკაც.



§4. სამართლის ნორმის ახსნა-განმარტების ფუნქციათა ბანსაზღვრის პრობლემა

ახსნა-განმარტებას, როგორც სპეციფიკურ იურიდიულ საქმიანობას, დიდი მნიშვნელობა აქვს სამართლებრივი მოწესრიგებისათვის. იგი სამართლის არსებობის და განვითარების აუცილებელი პირობაა, ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს მის ფუნქციათა მართებულ განსაზღვრას. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ პრობლემასთან დაკავშირებით გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება:

—სამართლის ნორმის ახსნა-განმარტების შემეცნებითი ფუნქცია გამომდინარეობს თვით შინაარსიდან, განმარტების არსიდან, რომლის დროსაც სუბიექტები სამართალს, სამართლებრივი მოთხოვნების შინაარსს შეიმეცნებენ;

—დაზუსტების ფუნქცია. განმარტებისას სამართლებრივი მოთხოვნები ხშირად კონკრეტდება, ზუსტდება გარემოებების გათვალისწინ-

ნებით (განსაკუთრებით მკაფიოდ ეს ფუნქცია ვლინდება ფუნქციონალური განმარტების პროცესში);

—განმსაზღვრელი ფუნქცია. სამართლის ნორმა ახსნა-განმარტების ფორმაში თითქოს ასრულებს საზოგადოებრივი ურთიერთობების ნორმატიული მოწესრიგების ფუნქციას. ეს ნიშნავს, რომ მოქალაქეებმა და ორგანიზაციებმა, ნორმაშემფარდებელმა სუბიექტმა უნდა იხელმძღვანელოს არა მარტო სამართლის ნორმებით, არამედ მათი ოფიციალური განმარტების აქტებითაც;

—სამართალზრუნველყოფის ფუნქცია. განმარტების ზოგიერთი აქტი გამოიცემა სამართალშეფარდებითი პრაქტიკის ერთიანობისა და ეფექტურობის უზრუნველსაყოფად. ასეთია ცენტრალური საარჩევნო კომისიის განმარტება არჩევნების კანონის ნორმების გამოყენების წესის შესახებ;

—გამაფრთხილებელი ფუნქცია. ნორმატიული აქტების განმარტება საშუალებას გვაძლევს, აღმოვაჩინოთ მათი ტექნიკური და იურიდიული ხასიათის ნაკლოვანებები. ეს კანონმდებლობისათვის შესაბამისი ნორმების სრულყოფის აუცილებლობის საშუალებაა.

ბოლო პერიოდის სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა საინტერესო მოსაზრება პროექტული განმარტების შესახებ, რომლის დროსაც სამართლის ნორმების განმარტება, ინტერპრეტაცია, აზრობრივი „მოსინჯვა“ ხორციელდება მათი შემუშავების სტადიაზე.

საბოლოოდ ახსნა-განმარტება, როგორც იურიდიული საქმიანობა, ემსახურება სამართლებრივი რეგულირების კანონიერებისა და ეფექტურობის ამაღლების ამოცანებს. თანამედროვე პირობებში მისი აქტუალობა ბევრად გაიზარდა. ეს აიხსნება იმით, რომ ბოლო წლებში კანონმდებლობა საფუძვლიანად განახლდა, მასში გაჩნდა ახალი ნორმები და დარგები, სამართლის კერები (მაგალითად, კერძო სამართალი). სამართალშემოქმედება ახლა მოქმედებს სხვა პრინციპებით, გამოიყენება ახალი იურიდიული ტერმინები და კონსტრუქციები, რეგულირების სრულიად სხვა ტიპი. საკანონმდებლო პრაქტიკაში უფრო ფართოდ ინერგება უცხოური გამოცდილება. ამ პირობებში განმარტებამ, როგორც შემეცნების უმნიშვნელოვანესმა, სამართლის რეალიზაციის და სრულყოფის ინსტრუმენტმა, დიდი როლი უნდა ითამაშოს.

ინტერპრეტაციული აქტები. სამართლის ნორმის ახსნა-განმარტების განსაზღვრულ ფუნქციასთანაა დაკავშირებული განსაზღვრის პრობლემა, როგორც კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების სამართლებრივი აქტები, რომლებიც შეიცავენ ოფიციალური განმარტების შედეგს.

პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს აქტები სამართლებრივია,

გამოსცემენ კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოები, აქვთ სავალდებულო ხასიათი, ფორმალურად განსაზღვრულია, მათ რეალიზაციას უზრუნველყოფს სახელმწიფო. ამაშია მათი მსგავსება სხვა სამართლებრივ აქტებთან (ნორმატიულ და სამართალშეფარდებით) სხვა ნიშნებით კი ინტერპრეტაციული აქტები ძლიერ განსხვავდება ნორმატიული და სამართალშეფარდებითი აქტებისაგან.

ნორმატიული აქტი შეიცავს სამართლის ნორმებს, ინტერპრეტაციული კი მხოლოდ განმარტავს, ხსნის ამ ნორმებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, განმარტებას, მიუხედავად მთელი მისი მნიშვნელობისა, არ შეუძლია „შექმნას“ ახალი ნორმები, ახსნა-განმარტების სუბიექტი კი ვერ შეცვლის კანონმდებელს. სამართლის ნორმების არარსებობისას, ინტერპრეტაციული აქტი განუყოფელია განსამარტი ნორმატიული აქტისაგან; როდესაც ნორმატიული აქტი იურიდიულ ძალას კარგავს, მნიშვნელობას კარგავს ინტერპრეტაციული აქტიც. სამართალშეფარდებითი აქტისაგან ინტერპრეტაციული აქტი განსხვავდება იმით, რომ პირველი დაკავშირებულია კონკრეტული საქმის გადაჭრასთან, მეორეს კი ზოგადი ხასიათი აქვს.

მეცნიერებაში არაერთხელ წამოჭრილა საკითხი ოფიციალური ახსნა-განმარტების აქტების იურიდიული ბუნების შესახებ, შეიცავენ თუ არა ისინი სამართლის ნორმებს. საკითხის ასე დაყენების საფუძველს გვაძლევს მოქმედი კანონმდებლობა. სასამართლო ორგანოებს არ გააჩნიათ სამართალშემოქმედებითი კომპეტენცია. მათი აქტები განმარტების აქტებია, ჩვენს ქვეყანაში სასამართლო პრეცედენტი არ ითვლება სამართლის წყაროდ. თუმცა მეცნიერება ეძებს აღნიშნული წინააღმდეგობის გადაჭრის გზებს. ზოგადი ხასიათის მითითებები, რომლებიც ოფიციალური განმარტების აქტებშია, მიჩნეულია არა სამართლის ნორმებად, არამედ სამართალდებულებებად, რომლებსაც აქვთ იურიდიული მნიშვნელობა. უკანასკნელი ვლინდება იმაში, რომ სამართალშეფარდებულმა ორგანოებმა (მაგალითად, სასამართლოებმა) კონკრეტული საკითხების გადაჭრისას უნდა გაითვალისწინონ სამართალდებულებების შინაარსი. ამასთანავე, სამართალდებულებები, რომლებიც არ წარმოადგენენ იურიდიულ ნორმებს, არ შეიძლება იყოს სამართალშეფარდებითი გადაწყვეტილებების საფუძველი. სამართალშემოქმედმა ორგანოებმა, თავის მხრივ, თვალყური უნდა ადევნონ სამართალშეფარდებით პრაქტიკას და ჩამოყალიბებული სამართალდებულებების საფუძველზე ოპერატიულად შეიტანონ ცვლილებები მოქმედ კანონმდებლობაში.

თავი ოცდამეხუთე

სამართლის რეალიზაცია და სამართლის ნორმის შეფარდების პრობლემა

§1. სამართლის რეალიზაცია

სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის მკვლევარები სასწავლო-სახელმძღვანელოებში სამართლიანად მიუთითებენ, რომ პიროვნებისა და საზოგადოებისათვის სამართალს მაშინ აქვს აზრი და ღირებულება, თუ იგი ზორციელდება ცხოვრებაში. სამართლის ნორმების მთავარი დანიშნულება არის ის, რომ ეხმარება ადამიანს სამართლის შინაარსის განსაზღვრაში და ამით ხელს უწყობს მის რეალიზაციას.

სამართლის რეალიზაცია არის იურიდიულად განსაზღვრული და სახელმწიფოს მიერ მისივე სტრუქტურების მეშვეობით გარანტირებული შესაძლებლობების განხორციელება.

სიტყვა „რეალიზაცია“ წამოდგება ლათინურიდან „realis“ სიტყვა-სიტყვით ნიშნავს განიეთებას. ჩვენს დროში რეალიზაცია განისაზღვრება, როგორც რაიმე გეგმის, პროექტის, პროგრამის, განზრახვის და ა.შ. ცხოვრებაში გატარება. ამავე მნიშვნელობისაა ტერმინი „უფლებების რეალიზაცია“—სამართალი, როგორც შესაძლებლობა, ზორციელდება მოქმედებით, ადამიანის აქტიური ქცევით, მატერიალური და სულიერი ფასეულობათა სარგებლობით. ამასთან, სამართლის რეალიზაციას კიდევ ერთი აზრობრივი დატვირთვა აქვს: სამართალი სხვა შესაძლებლობებისაგან (გეგმა, დაპროგრამება, განზრახვა და ა.შ.) განსხვავებით ხასიათდება რეალიზაციის მომატებული უნარით და უზრუნველყოფილია სახელმწიფოებრივი გარანტიებით.

შემდეგი მომენტი, რომელიც ართულებს ამ ცნების განსაზღვრას, არის ის, რომ თვით სამართალი წარმოადგენს მრავალმხრივ მოვლენას, ამიტომ სამართლის რეალიზაცია გაგებული უნდა იყოს მრავალმხრივი შინაარსის გათვალისწინებით.

სამართლის რეალიზაცია დროში მიმდინარე რთული პროცესია. მასში მონაწილეობენ არა მარტო უფლებებისა და მოვალეობების მატარებელი მხარეები, არამედ სახელმწიფოც სხვადასხვა (სამართალშემოქმედებითი, სამართალდამსრულებელი, სამართალშეფარდებითი) - ორგანოს მეშვეობით. სამართლის რეალიზაცია, მოიცავს იურიდიულ მე-

ქანიზმებს და საშუალებებს, რითაც ფაქტიური ურთიერთობები იძენს იურიდიულ ფორმას.

სამართლის რეალიზაციის იურიდიული მექანიზმები მრავალგვარია და მათი შინაარსი ამა თუ იმ ქვეყნის სამართლებრივი სისტემის თავისებურებებით განისაზღვრება.

რომანულ-გერმანულ სამართლებრივ სისტემაში სამართლის რეალიზაციის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

პირველი ეტაპი, ბუნებითი სამართლის აყვანა კანონის რანგში (პოზიტიური სამართალი), მისთვის ნორმატიული ფორმის მინიჭება. ადამიანის უფლებები, ადამიანისა და საზოგადოების ბუნებიდან გამომდინარე სოციალურ-სამართლებრივი მოთხოვნები შეადგენენ ბუნებითი სამართლის ბირთვს, რომელთა რეალიზაციისათვის საჭიროა სახელმწიფოს მიერ მათი ნორმატიული აღიარება.

ადამიანის უფლებების კანონის რანგში აყვანა ნიშნავს კონსტიტუციასა და მოქმედ კანონმდებლობაში მათ განმტკიცებას:

მეორე ეტაპზე ჩაერთვება კანონის რეალიზაციის სხვადასხვა მექანიზმი, რომელთა მეშვეობით კანონის მოთხოვნები უფლებებისა და იურიდიული მოვალეობების კონკრეტულ შინაარსს იძენს. ეს მექანიზმები მრავალგვარია, რაც გამოხატულებას პოულობს მთავრობის, სამინისტროების, უწყებების, თვითმმართველობის ორგანოების და სხვათა კანონქვემდებარე ნორმატიულ და ლოკალურ ნორმატიულ აქტებში; სამართლის ოფიციალური განმარტების აქტებში; კანონის მიღების, შეფარდების და იძულებითი შესრულების პროცედურების მომწესრიგებელ ნორმებში; აქვე შედის სახელმწიფო ორგანოების სამართლებრივი აქტების მომზადებისა და მიღების პროცესი.

მესამე, დასკვნითი ეტაპი წარმოადგენს საკუთრივ უფლების რეალიზაციას. სწორედ აქ გარდაიქმნება უფლებები შესაძლებლობიდან სინამდვილედ და ეს გარდაქმნა ხდება უფლების მფლობელის ნებით, ანუ სამართლის სუბიექტისაგან დამოუკიდებელია, იქნება თუ არა სამართალი რეალიზებული, როდის და რა ფარგლებში.

ანგლოსაქსურ სამართლებრივ სისტემაში სამართალრეალიზაციის პროცესი სხვაგვარად მიმდინარეობს.

სამართლებრივი მოთხოვნების, ანუ ბუნებითი უფლებების აყვანას სავალდებულო ნორმის რანგში ახორციელებს სასამართლო. სასამართლო, იხილავს კონკრეტულ იურიდიულ საქმეს, ზედმიწევნით აანალიზებს წამოჭრილი დავის ფაქტობრივ გარემოებებს, მხარეთა პრეტენზიებს, განსაზღვრავს მათ უფლებებსა და მოვალეობებს და წყვეტს

დავებს. საქმის გადაწყვეტიტისას ნორმატიულ საფუძვლად გამოდის პრეცედენტი—ანალოგიურ საქმეზე ადრე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება.

სამართლებრივი მოთხოვნების რეალიზაციის მექანიზმი უფრო მარტივია ანგლოსაქსურ სამართლებრივ სისტემაში, ვიდრე რომანულ-გერმანულში, რადგანაც არ ითხოვს წინასწარ საკანონმდლო განმტკიცებას. მოსამართლეთა თვითნებობის საფრთხე კი არც ისე დიდია, რადგანაც ყოველთვის არის სასამართლო გადაწყვეტილების ზემდგომ სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა. მაგალითად, ინგლისში, სადაც ჩამოყალიბდა ანგლოსაქსური სამართალი, უმაღლესი სასამართლო ინსტანცია ლორდთა პალატა ინგლისის პარლამენტის ზედა პალატაა.

იმის გასაგებად, რა არის უფლებების რეალიზაცია, საჭიროა, გავერკვეთ შემდეგში: უფლების რეალიზაციით დაინტერესებულია მხოლოდ ის, ვისაც აქვს უფლება, ანუ არის უფლების სუბიექტი. ყველა სხვა პირი—მოვალე მხარე, სამართალშემფარდებელი სუბიექტი—მოქმედებს საბოლოოდ უფლებამოსილის სასარგებლოდ. ამ პირებისა და ორგანიზაციების საქმიანობა და ამ საქმიანობის მარეგულირებელი იურიდიული ნორმები ერთობლიობაში უფლებების რეალიზაციის რთულ და მრავალსაქეტიან მექანიზმს ქმნის. მაშასადამე, გადაწყვეტილება, იქნება თუ არა უფლება რეალიზებული, დამოკიდებულია მის მფლობელზე. მხოლოდ მისი ნებით შეიძლება გამოყენებული, ამოქმედებული იქნეს უფლების რეალიზაციის მექანიზმი. მნიშვნელოვანია მხოლოდ ის, რომ ასეთი მექანიზმი არსებობდეს და შეეძლოს ხარისხიანი და ეფექტური მოქმედება.

იურიდიულ ლიტერატურაში მკვიდრდება აზრი იმის თაობაზე, რომ დაცვის პროცესში ხდება დარღვეული უფლების აღდგენა და კვლავ ჩნდება მისი რეალიზაციის შესაძლებლობა. გარკვეულწილად იურიდიული პასუხისმგებლობა უზურუნველყოფს პირადი უფლებების დაცვას უკანონო ხელყოფისაგან და ამით ქმნის მათი რეალიზაციის პირობებს.

უშუალო რეალიზაცია, ანუ უფლების განხორციელება ფაქტობრივ ქცევაში, ხდება სამი ფორმით.

პირველი, აკრძალვის დაცვა. აქ ხდება ამკრძალავი და დაცვითი ნორმების რეალიზაცია. ყველა დაცვითი ნორმა შეიცავს აკრძალვას, რომელიც თუმცა პირდაპირ არაა ჩამოყალიბებული, მაგრამ გამომდინარეობს ნორმის მნიშვნელობიდან: ამგვარი აკრძალვა დადგენილია სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმებით.

მეორე, ნაკისრი ვალდებულების შესრულება, არის იმ მავალელები ნორმების რეალიზაცია, რომლებიც ითვალისწინებს პოზიტიურ მოვალეობებს, რისთვისაც საჭიროა აქტიური ქცევა: გადასახადის გადახდა, მყიდველისათვის საქონლის მიწოდება, შრომითი ხელშეკრულების მიხედვით სამუშაოს შესრულება და ა.შ.

მესამე, უფლების გამოყენება. ამ ფორმით ხდება უფლებააღმჭურველი ნორმების რეალიზაცია, რომელთა დისპოზიციაში გათვალისწინებულია პირის უფლებები. სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველ ნაწილში ჩაწერილია: „მესაკუთრეს შეუძლია თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით, (ნივთით) განკარგოს იგი“.¹ სუბიექტის უფლება გულისხმობს როგორც აქტიურ, ისე პასიურ ქცევას. სუბიექტი იქცევა პასიურად, თუ უარს ამბობს თავისი უფლებების გამოყენებაზე. სუბიექტის უფლება შეიძლება განხორციელდეს უფლებამოსილი პირის საკუთარი ფაქტობრივი მოქმედებების გზით (ნივთის მესაკუთრე იყენებს მას პირდაპირი დანიშნულებით), იურიდიული მოქმედების შესრულების მეშვეობით (ნივთის გირაოში გადაცემა, ჩუქება, გაყიდვა და ა.შ.) მევალე პირისათვის მოთხოვნის წაყენების გზით (მოთხოვნა დააბრუნოს ვალი) და პრეტენზიის ფორმით, ანუ კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოში მიმართვა დარღვეული უფლების აღსადგენად (თუ მევალე უარს აცხადებს დააბრუნოს ვალი, კრედიტორი მიმართავს სასამართლოს იძულებითი წესით ვალის გადახდევინების თხოვნით) და ა.შ.

§2. სამართლის ნორმების შეზარღვის სტადიები

სამართლის ნორმების შეფარდება თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის რთული პროცესია, რომელიც რამდენიმე სტადიას მოიცავს: პირველი სტადია—იურიდიული საქმის ფაქტიური გარემოებების დადგენა;

მეორე—დაქვემდებარებული სამართლებრივი ნორმის არჩევა და ანალიზი;

მესამე—იურიდიულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღება და მისი დოკუმენტური გაფორმება.

პირველი ორი სტადია მოსამზადებელია, მესამე—დასკვნითი, ძირითადი. მესამე სტადიაზე მიიღება სამართლის ნორმის შეფარდების აქტი.

¹ იხ. დას. სამოქალაქო კოდექსი. გვ. 45.

სამართლის ნორმის შეფარდების აქტი ოფიციალური ხასიათის დოკუმენტია, რომელშიც წერილობითი ფორმით არის ფიქსირებული და ჩამოყალიბებული სამართლის ნორმის შეფარდების ინტელექტუალური პროცესი და კონკრეტულ პირთა ქცევის წესი, ყოველივე ეს მათ შორის უფლება-მოვალეობათა აღიარება-გამიჯვნის გზით ხდება. იგი ინდივიდუალური ნორმატიული აქტია, რომლის დოკუმენტურობა გამოიხატება მის გარეგნულ სტილში. მისი დასაბუთებულობა გულისხმობს აქტში მასალის გადმოცემას გარკვეული სქემის მიხედვით.¹

ფაქტობრივ გარემოებათა წრე, რომელთა დადგენიდან იწყება ნორმის შეფარდება, ძალზე ფართოა. მას მიეკუთვნება: პირი, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა, ჩადენის ადგილი, დრო, ხერხი, მანევრ შედეგები, დანაშაულის ხასიათი (განზრახ, გაუფრთხილებლობა) და სხვა გარემოებები; სამოქალაქო სამართლებრივი დავის წამოჭრისას გარიგების დადების გარემოებები, მისი შინაარსი, ქმედებები მისი ჩადენისას, მხარეთა ურთიერთვალდებულებები და ა.შ. ფაქტობრივი გარემოებები, როგორც წესი, ეკუთვნის წარსულს და ამიტომ სამართლის შემფასებელ სუბიექტს არ შეუძლია მათი უშუალო გამოყენება. ისინი დასტურდება მტკიცებით დოკუმენტში დაფიქსირებული წარსულის მატერიალური და არამატერიალური კვალით (მოწმეების ჩვენება, ექსპერტების დასკვნა, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი და ა.შ.) ძირითადად ეს დოკუმენტები შეადგენს იურიდიული საქმის მასალებს და ასახავს იურიდიულად მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებას. მტკიცებების შეგროვება შეიძლება იყოს ურთულესი იურიდიული საქმიანობა (მაგალითად, სისხლის სამართლის საქმის წინასწარი გამოძიება), მაგრამ შეიძლება დამთავრდეს დაინტერესებული პირის მიერ საჭირო დოკუმენტების წარდგენით. მაგალითად, მოქალაქე, რომელსაც პენსიის უფლება აქვს, მოვალეა პენსიების დამნიშვნელ კომისიაში წარადგინოს ამ უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები ასაკის, მუშაობის სტაჟის, ხელფასის შესახებ.

მტკიცებები, რომელთა მეშვეობით დგინდება საქმის ფაქტობრივი გარემოება, უნდა პასუხობდეს შედარებითობის, დაშვებულობის და სისრულის პროცესუალურ მოთხოვნებს.

შედარებითობის მოთხოვნა ნიშნავს მხოლოდ იმ მტკიცებების მიღებას და ანალიზს, რომლებიც მნიშვნელოვანია საქმისათვის, ანუ ხელს უწყობენ სწორედ იმ ფაქტობრივ გარემოებების დადგენას, რომლებსაც სამართლის შესაფარდებელი ნორმა უკავშირებს იურიდიული

¹ დაწ. იხ. ბ. სავანელი, სამართლის თეორია, თბ., 1998 წ.

შედგების (უფლებების, მოვალეობების, იურიდიული პასუხისმგებლობის) დადგენას.

დაშვებულობის მოთხოვნის არსი არის ის, რომ გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ გარკვეული პროცესუალური კანონებით განსაზღვრული მტკიცების საშუალებები. მაგალითად, არ შეიძლება მტკიცებად გამოვიყენოთ მოწმის მიერ შეტყობინებული მონაცემები, თუ იგი ვერ ასახელებს მისი გათვითცნობიერების წყაროს, სიკვდილის მიზეზებისა და სხეულის დაზიანების ხასიათის დადგენისათვის აუცილებელია ექსპერტიზის ჩატარება და ა.შ.

სისრულის მოთხოვნა აფიქსირებს საქმისათვის მნიშვნელოვანი ყველა გარემოების დადგენას. მათი არასრული გარკვევა სასამართლო გადაწყვეტილების, განაჩენის გაუქმების ან შეცვლის საფუძველია;

პირველ სტადიაზე დადგენილი ფაქტების სწორი იურიდიული კვალიფიკაციისათვის საჭიროა ვიპოვოთ (ავირჩიოთ) პირდაპირ ამ ფაქტებზე გათვლილი ნორმა (ნორმები).

დავადგინოთ ამ ნორმის შემცველი კანონის მოქმედება დროში, სივრცეში და პირთა წრის მიხედვით. მაგალითად, გავითვალისწინებთ რა კანონის მოქმედებას დროში, უნდა დავიცვათ შემდეგი წესი: „კანონს, რომელიც ამძიმებს პასუხისმგებლობას, უკუქცევითი ძალა არ გააჩნია“.

იურიდიული კვალიფიკაცია ფაქტების გამორკვევის გზით აიოლებს ნორმის სამართალშეფარდების პროცესს. ირკვევა არა ნებისმიერი ფაქტი, არამედ მხოლოდ ის, რომელიც გათვალისწინებულია არჩეული ნორმის ჰიპოთეზისათვის მისადაგებლად. იურიდიულ პრაქტიკაში დამატებითი გარემოებების გარკვევას ხშირად მივყავართ იურიდიული კვალიფიკაციის შეცვლამდე.

არჩეული ნორმის ანალიზი, განმარტება ვარაუდობს შესაბამისი ნორმატიული აქტის ოფიციალური ტექსტის, მისი პირვანდელი რედაქციის შესაძლო დამატებასა და ცვლილებებს, ნორმის ანალიზი აუცილებელია აგრეთვე სწორი იურიდიული გადაწყვეტილების მისაღებად, რომელიც უნდა პასუხობდეს შესაფარდებელი ნორმის დისპოზიციის (სანქციის) მოთხოვნებს;

—იურიდიული საქმის გადაწყვეტილების შინაარსი განისაზღვრება ძირითადად მისი ფაქტობრივი გარემოებებით, ამასთან გადაწყვეტილების გამოტანისას სამართალშემფარდებელი სუბიექტი ხელმძღვანელობს შესაფარდებელი ნორმის დისპოზიციის (სანქციის) მოთხოვნებით.

საქმეზე გადაწყვეტილების მიღება უნდა განვიხილოთ ორი ასპექტი:

—ეს არის აზრობრივი საქმიანობა, რომლითაც ფასდება შეგროვებული მტკიცებები და მათ საფუძველზე ღვინდება მომხდარის ნამდვილი სურათი საბოლოო იურიდიული კვალიფიკაციით და მხარეებისათვის ან ბრალდებულისათვის იურიდიული შედეგების— მხარეთა უფლება-მოვალეობების, დამნაშავეის პასუხისმგებლობის ზომის დადგენით;

—საქმეზე გადაწყვეტილება წარმოადგენს დოკუმენტს—ნორმის შეფარდების აქტს, რომელშიც განსაზღვრულია იურიდიული საქმის გადასაჭრელად აზრობრივი მოღვაწეობის შედეგი, ოფიციალურად ფიქსირდება იურიდიული შედეგები კონკრეტული პირებისათვის.

სამართალშეფარდების აქტი თამაშობს განსაკუთრებულ როლს სამართლებრივი რეგულირების მექანიზმში. იურიდიული ნორმები, მათ საფუძველზე მინიჭებული უფლებები და დაკისრებული იურიდიული მოვალეობები უზრუნველყოფილია სახელმწიფო იძულების საშუალებით, მაგრამ უკანასკნელი რეალიზდება სწორედ ინდივიდუალური სამართალშეფარდებითი აქტით, რადგანაც ეს გადაწყვეტილებები შეიძლება შესრულდეს იძულებითი წესით.

სამართლის ნორმის შეფარდების აქტის იძულებითი შესრულების შესაძლებლობა განაპირობებს მის თავისებურებებს და მისდამი წარდგენილი დასაბუთებისა და კანონიერების მოთხოვნებს.

§3. სამართლის ნორმის შეფარდების აქტები

ზოგადად სამართლის ნორმის შეფარდების აქტი არის იურიდიული ფაქტების ან ნორმების საფუძველზე გამოცემული კომპეტენტური ორგანოს ან თანამდებობის პირის სამართლებრივი აქტი, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტული პირის უფლებებს, მოვალეობებს ან იურიდიული პასუხისმგებლობის ზომებს.

სამართალშეფარდებით აქტს აქვს მთელი რიგი თავისებურებები:

—მას გამოსცემს კომპეტენტური ორგანო ან თანამდებობის პირი; აქედან გამომდინარეობს სამართლის შეფარდების აქტების სახელმწიფო-კატეგორიული ხასიათი;

—სამართალშეფარდებითი აქტი მკაცრად ინდივიდუალურია, ე.ი. სახელობით ეგზავნებათ გარკვეულ პირებს. ამით ის განსხვავდება ნორმატიული აქტებისაგან, რომლებსაც საერთო ხასიათი გააჩნიათ;

–სამართლის შეფარდების აქტი მიმართულია იურიდიული ნორმების მოთხოვნების სარეალიზაციოდ, რადგანაც გარკვეული სიტუაციებისა და პირობების მიმართ აკონკრეტებს სამართლის ნორმების საერთო მოთხოვნებს, ოფიციალურად აფიქსირებს მათ უფლებებს, მოვალეობებს ან იურიდიული პასუხისმგებლობის ზომებს, ე.ი. ასრულებს ინდივიდუალური მოწესრიგების ფუნქციებს;

სამართალშეფარდების აქტის რეალიზაცია უზრუნველყოფილია სახელმწიფო იძულებით. ამასთანავე, სამართლის შეფარდების აქტი არის დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო იძულებითი ზომების გამოყენების უშუალო საფუძველს. სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებების სისრულეში მოყვანა ეკისრებათ სასამართლო აღმასრულებლებს. სისხლის სამართლის საქმეების განაჩენის აღსრულებას განაგებენ ქვეყნის იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დაწესებულებები.

სამართლის შეფარდების აქტი მრავალგვარია და სხვადასხვა საფუძველით კლასიფიცირდება (იხ. ცხრილი გვ. 185).

სამართლის შემფარდებელი სუბიექტის მიხედვით სამართლის შეფარდების აქტი შეიძლება გამოსცეს სახელმწიფო ხელისუფლების, სახელმწიფო მართვის, მაკონტროლებელ-საზედამხედველო, სასამართლო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა.¹

¹ Указ. Теория. ст. 388-389.

სამართალშეფარდებითი აქტის სახეები

კრიტერიუმი	სახეობა	მაგალითი
1. სუბიექტების მიხედვით	<p>სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს აქტი</p> <p>სახელმწიფო მმართველობის ორგანოს აქტი</p> <p>სასამართლო ორგანოს აქტი</p> <p>მაკონტროლებელ-საზედამხედველო ორგანოს აქტი</p> <p>ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს აქტი</p>	<p>პრეზიდენტის ბრძანება მინისტრის დანიშვნის შესახებ</p> <p>კონკრეტული პიროვნების სამუშაოდან გათავისუფლების ბრძანება</p> <p>სასამართლო განაჩენი</p> <p>სანიტარიული ინსპექტორის გადაწყვეტილება ჯარიმის დარიცხვის შესახებ</p> <p>ქალაქის მერის განკარგულება რაიონის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ</p>
2. სამართლებრივი ზემოქმედების ხასიათის მიხედვით	<p>მარეგულირებელი</p> <p>დამცავი</p>	<p>სასამართლოს გადაწყვეტილება სამოქალაქო საქმის შესახებ</p> <p>სასამართლო განაჩენი</p>
3. მნიშვნელობის მიხედვით	<p>ძირითადი</p> <p>დამხმარე</p>	<p>სასამართლო განაჩენი</p> <p>დადგენილება სასამართლოსათვის დამნაშავეის გადაცემაზე</p>
4. ფორმის მიხედვით	<p>ცალკე დოკუმენტი</p> <p>რეზოლუცია საქმის მასალებზე</p> <p>ზეპირი ფორმა</p>	<p>სასამართლო განაჩენი</p> <p>პროკურორის მიერ საბრალდებო დასკვნის დამტკიცება</p> <p>ჯარიმის დარიცხვა საზოგადოებრივი ტრანსპორტით უბილეთო მგზავრობისათვის</p>

მიღების წესის მიხედვით სამართლის შეფარდების აქტი არის კოლექტიური ან ერთპიროვნული. სამართლებრივი ზემოქმედების ხასიათის მიხედვით—მარეგულირებელი და დამცავი.

მარეგულირებელი აქტი უზრუნველყოფს მოწესრიგებული ნორმების დისპოზიციის რეალიზაციას და ძალაუფლებრივად ამტკიცებს ან განსაზღვრავს მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს; დამცავი აქტი კი განსაზღვრავს იურიდიული პასუხისმგებლობის ზღვარს და ახდენს დამცავი ნორმების სანქციების რეალიზაციას.

სამართალშეფარდებით პროცესში მნიშვნელობის მიხედვით სამართლის ნორმის შეფარდების აქტი შეიძლება იყოს დამხმარე (მაგალითად, სასამართლოს გადაწყვეტილება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ) და ძირითადი (სასამართლოს დასკვნა სამოქალაქო საქმეებზე, სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების კომისიის დადგენილება პენსიის დანიშვნაზე და ა.შ.); ფორმის მიხედვით — ცალკე დოკუმენტი (სასამართლოს განაჩენი, გადაწყვეტილება დამნაშავეისათვის აღკვეთის ზომის შეფარდების შესახებ), საქმის სხვა მასალებზე—რეზოლუცია (პროკურორის მიერ განაჩენის დამტკიცება, რეზოლუცია შემოწმების მასალების გამოძიების ორგანოებში გადაცემის შესახებ), ხოლო უფრო უმნიშვნელო შემთხვევებში — ზეპირი განკარგულების ფორმისა (ჯარიმის დარიცხვა საზოგადოებრივი ტრანსპორტით უბილეთო მგზავრობისათვის).

შეფარდების აქტი უნდა პასუხობდეს დასაბუთების, კანონიერებისა და მიზანშეწონილობის მოთხოვნებს.

დასაბუთების მოთხოვნა მიეკუთვნება იურიდიული საქმის ფაქტობრივ მხარეს, ლოგიკურ დასკვნას ფაქტების დამადასტურებელ ან უარმყოფელ საბუთებზე. როგორც პრაქტიკა მოწმობს, ყველაზე ხშირად ირღვევა სწორედ ეს მოთხოვნები (რამაც შეიძლება გამოიწვიოს მცდარი გადაწყვეტილების გამოტანა, მაგალითად, უდანაშაულო პიროვნების დასჯა).

კანონი მკაცრად მოითხოვს შემდეგი მომენტების გათვალისწინებას: —სასამართლოს მოთხოვნების დაცვა კომპეტენტური ორგანოების ან თანამდებობის პირების მიერ, რომლებიც საქმესთან შეხებაში იმყოფებიან

—მტკიცებულებების შეგროვების მომწესრიგებელი ყველა პროცესუალური ნორმის, განხილვის პროცედურების და ა.შ. მტკიცედ დაცვა;

—სწორი იურიდიული კვალიფიკაცია და ზუსტად იმ ნორმის გამოყენება, რომელიც ამ კონკრეტულ შემთხვევაში მოქმედებს;

—საქმეზე შესაფასებელი ნორმის დისპოზიციის მითითებებთან (სანქციები) შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

მიზანშეწონილობის მოთხოვნა თავისი მნიშვნელობით მეორეა კანონის მოთხოვნებთან მიმართებაში. ეს ნიშნავს: დისპოზიციის მოთხოვნები (სანქციები), როგორც წესი, სამართალშემფარდებელს ანიჭებს გარკვეულ თავისუფლებას გადაწყვეტილების მიღებისას, მაგრამ ეს თავისუფლება შეზღუდულია მიზანშეწონილობის მოთხოვნებით, რომლებიც საქმის თავისებურების მიხედვით სხვადასხვაგვარად გამოიხატება და სამართლიანობის, ეფექტურობის, მხარეთა მატერიალური მდგომარეობის აღრიცხვის, პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის და სხვა პრინციპების დაცვით მქლავდება. მაგალითად, ირჩევს რა სასჯელის ზომებს სისხლის სამართლის კანონის სანქციების ფარგლებში, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, ბრალდებულის ბრალის ხარისხი, მდგომარეობის დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი გარემოებები. არამიზანშეწონილმა გადაწყვეტილებამ პასუხისმგებლობის ზომის შესახებ შეიძლება ძალიან მკაცრი ან შედარებით ლმობიერი სასჯელი გამოიწვიოს. ასეთი განაჩენი ზემდგომმა სასამართლო ინსტანციებმა შეიძლება შეცვალონ ან გააუქმონ.

სამართალშეფარდების აქტები იურიდიული ხასიათის დოკუმენტებია, მათ აქვთ ზუსტი სტრუქტურა და ოთხი ნაწილისაგან შედგებიან.

შესავალი ნაწილი შეიცავს აქტის დასახელებას (განაჩენი, გადაწყვეტილება, დადგენილება და ა.შ.), მიღების დროსა და ადგილს, თანამდებობის პირის ან ორგანოს დასახელებას, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას ამ საქმეზე;

აღწერილობით ნაწილში გადმოცემულია განსახილველი ფაქტები, ფიქსირდება სად, როდის, ვის მიერ, რა პირობებში და როგორი მეთოდებითაა ჩადენილი ქმედებები;

დასასაბუთებელი ნაწილი შეიცავს მტკიცებულებათა ანალიზს, რომელიც ადასტურებს ფაქტობრივი მდგომარეობის არსებობასა თუ უქონლობას, მათ იურიდიულ კვალიფიკაციასა და დასაბუთებას, მითითებას იმ კანონებისა და პროცესუალური ნორმების ოფიციალურ განმარტებაზე, რომლებითაც ხელმძღვანელობდა კანონშემფარდებელი.

სარეზოლუციო ნაწილში ფორმდება კონკრეტულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება (მხარეთა უფლებები და მოვალეობები, იურიდიული პასუხისმგებლობის არჩეული ზომა, იურიდიული ფაქტის დადგენა და ა.შ.).

§4. კანონისა და სამართლის ანალოგის პრობლემა

სამართალშეფარდებით პროცესში შესაძლებელია ისეთი პრობლემის წარმოქმნა, რაც დაკავშირებულია მოსაწესრიგებელი საზოგადოებრივი ურთიერთობის შესაბამისი სამართლის ზოგადი ნორმის, ქცევის წესის არარსებობასთან ანუ სამართალშემფარდებელი სუბიექტის მიერ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზის გამოვლენასთან, როდესაც ამ ურთიერთობებს აქვს სამართლებრივი ხასიათი.

კანონმდებლობის ხარვეზი არის სამართლებრივი რეგულირების სფეროში შემაჯავლი, ურთიერთობის რეგლამენტაციისათვის აუცილებელი კონკრეტული ნორმის არარსებობა. „სამართლის თანამედროვე თეორიაში სამართლის ხარვეზების პრობლემა ფუნდამენტურად აქვს გამოკვლეული იტალიელ მეცნიერ-იურისტს პ. კონტეს“¹.

სამართლებრივი მოწესრიგების სფეროში მოცული საზოგადოებრივი ურთიერთობების წრეს კანონმდებელი განსაზღვრავს ორი მეთოდით:

—ნებისმიერი იურიდიული ნორმა აწესრიგებს საზოგადოებრივი ურთიერთობის ცალკეულ მხარეს, რომლის ნიშნები მის ჰიპოთეზაში აღწერილი. ამგვარად, ნებისმიერ ნორმას გააჩნია სამართლებრივი მოწესრიგების საერთო სფეროს საკუთარი „მონაკვეთი“. ამგვარი „მონაკვეთების“ ერთიანობა, თუ მხედველობაში მივიღებთ რომელიმე დარგის აბსოლუტურად ყველა ნორმას, შეადგენს ამ დარგის სამართლებრივი მოწესრიგების საერთო სფეროს;

—სამართლებრივად მიჩნეულ ურთიერთობათა წრეს კანონმდებელი განამტკიცებს სამართლის ცალკეულ დარგებში სპეციალური ნორმების საშუალებით. ასეთი ნორმების დანიშნულებაა—დაადგინოს სამართლებრივი მოწესრიგების სფეროში შემაჯავლი ურთიერთობების წრე.

ამასთანავე კანონშემფარდებლისათვის საკმარისი არ არის განსახილველი შემთხვევის მხოლოდ სამართლებრივი ხასიათის განსაზღვრა. აუცილებელია, მან იცოდეს, როგორი იქნება მისი სამართლებრივი შედეგები. ამ ინფორმაციის მიღება მას შეუძლია მხოლოდ იმ კონკრეტული ნორმებიდან, რომელთა დისპოზიციებშიც მთლიანად არის ჩამოყალიბებული მხარეთა უფლებები და მოვალეობები. თუკი ასეთი ნორმები არ არის, მაშინ, ცხადია, გვაქვს ხარვეზი კანონმდებლობაში.

კანონმდებლობაში ხარვეზი არსებობს ძირითადად ორი მიზეზით:

—იმ ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობების წარმოქმნის შედე-

¹ იხ. ბ. სავანელი, სამართლის თეორია. თბ., 1993 წ. გვ. 173.

გად, რომლებიც კანონის მიღების მომენტში არ არსებობდა და ამიტომ კანონმდებლებს არ შეეძლოთ მათი გათვალისწინება;

—კანონის შემუშავების დროს დაშვებული დაუდევრობის გამო.

ამგვარ პირობებში, ჩვეულებრივ, გამოიყენება ორი სპეციალური ხერხი: კანონისა და სამართლის ანალოგია.

კანონის ანალოგია არის მოქმედი კანონმდებლობით მოუწესრიგებელი ურთიერთობის მიმართ მსგავსი შემთხვევის მარეგლამენტირებელი ნორმის გამოყენება. ამ ხერხის გამოყენების აუცილებლობა გამოიხატება იმით, რომ იურიდიული საქმის განხილვას აუცილებლად უნდა ჰქონდეს სამართლებრივი საფუძველი, ამიტომ თუ არ არის პირდაპირგათვალისწინებული ნორმა, უნდა მოინახოს ისეთი, რომელიც არეგულირებს მსგავს სადავო ურთიერთობებს და გამოყენებული იქნება სამართლებრივ საფუძველად საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანის დროს.

კანონმდებელი ითვალისწინებს სამართლის ანალოგიის გამოყენებას კანონმდებლობაში ხარვეზების აღმოჩენისას. ასეთ შემთხვევაში საკითხი წყდება მოქმედი სამართლის მთელი სისტემისა და კანონმდებლობის ზოგადი პრინციპების საერთო სულისკვეთების საფუძველზე.

კანონმდებლობის საერთო საწყისი და აზრი სხვა არაფერია, თუ არა სამართლის პრინციპი (საერთო-სამართლებრივი და დარგობრივი). სამართლის ანალოგიის შემთხვევაში პრინციპები ასრულებს უშუალოდ მოწესრიგების ფუნქციებს და სამართალშეფარდებითი გადაწყვეტილებების ერთადერთ ნორმატიულ-სამართლებრივ საფუძველად გამოდის.

ამგვარად, სამართლის ანალოგიის გამოყენება გამოწვეულია ორი მიზეზით: კანონმდებლობის ხარვეზით და მსგავსი ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმის არარსებობით, რაც არ იძლევა კანონის ანალოგიის გამოყენების საშუალებას.

სისხლის სამართლის დარგში დაუშვებელია კანონისა და სამართლის ანალოგიის გამოყენება,¹ სამოქალაქო სამართალი კი მიმართავს მათ.

¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულია: კანონმდებლობაში ხარვეზების არსებობისას დასაშვებია სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ანალოგიით გამოყენება თუ ამით არ ილახება აღძვინის უფლებები.

თავი ოცდამეოთხე

სამართლებრივ სფეროში ადამიანების ქცევის პრობლემები. მართლწილობიერი ქცევა, სამართალდარღვევა

§1. ადამიანების ქცევა და სამართალი

სამართალი დიდ როლს ასრულებს საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგების, განვითარებისა და დაცვის საქმეში, მაგრამ თვით ეს ურთიერთობები არის ადამიანთა არსებობის საშუალება. მაშასადამე, საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგება სამართალს შეუძლია იმ კონკრეტული პირების ზოგადად ადამიანთა ქცევაზე ზემოქმედების შედეგად, რითაც იქმნება ეს ურთიერთობები. შეიძლება ითქვას, რომ სამართალი არის ადამიანების ქცევის მართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რომელიც სამართლებრივი მოწესრიგების უშუალო ობიექტად გვევლინება. დიდია ქცევის როლი სამართლებრივ რეგულირებაში, საკუთარი ქმედებების გარეშე ადამიანი საერთოდ არ არსებობს კანონისათვის, არ არის მისი ობიექტი, ამიტომ ადამიანის მოქმედება არის ერთადერთი, რისი ძალითაც იგი მოქმედი სამართლის სფეროში ექცევა.

ადამიანთა ქცევა განსაკუთრებით მრავალგვარია. მათ აქვთ გამოხატვის სხვადასხვაგვარი ფორმა, ინტენსივობა, მოტივი, მიზანი, შედეგები, მაგრამ ქცევის ნებისმიერი ვარიანტი ამჟღავნებს გარკვეულ ინტერესს, ორიენტაციას, იდეოლოგიურ პოზიციას სახელმწიფოებრივ-ორგანიზებული საზოგადოების ურთიერთობების სისტემაში, სწორედ ამიტომაც ზღვება ნებისმიერი ქცევა მორალური და სამართლებრივი შეფასების ობიექტი.

სამართლის პოზიციიდან ადამიანის ქცევა სხვადასხვაგვარად შეიძლება შეფასდეს. ადამიანთა ცალკეული ურთიერთობები სამართლებრივი მოწესრიგების სფეროს გარეთ იმყოფება და ამიტომ საერთოდ არ ექვემდებარება სამართლებრივ შეფასებას, ისინი ემორჩილებიან მხოლოდ მორალურ შეფასებას. სხვა ურთიერთობები სამართლით არ წესრიგდება, და არ ითხოვს სამართლებრივ გაწონასწორებას (მაგალითად, სპორტი, მუსიკა, სპორტული თამაშები). იურიდიული მეცნიერებისა და პრაქტიკისათვის უდიდეს ინტერესს წარმოადგენს ადამიანის ქცევა სამარ-

თლებრივი ზემოქმედების სფეროში, ე.ი. ქცევა, რომელიც სამართლით არის მოწესრიგებული. ლიტერატურაში ასეთ ქცევებს მართლზომიერი ეწოდება.

სამართლებრივ ქცევებს ახასიათებთ მთელი რიგი ნიშან-თვისებები:

—სოციალური მნიშვნელობა. ადამიანის მოქმედება ჩართულია საზოგადოებრივი ურთიერთობების სისტემაში და ამიტომაც მასზე გარკვეულ (დადებით ან უარყოფით) ზემოქმედებას ახდენს. თავისი სოციალური მნიშვნელობის გამო ნებისმიერი ადამიანური ქცევა იწვევს ირგვლივმყოფთა რეაქციას—მოწონებას ან გაკიცხვას. სწორედ ამაში გამოიხატება სოციალური დახასიათება (შეფასება) ქცევისა, რომელიც შეიძლება იყოს საზოგადოებრივად სასარგებლო ან საშიში (მაგნი);

—სამართლებრივი ქცევის ფსიქოლოგიურობა და სუბიექტურობა. ეს განპირობებულია იმით, რომ ადამიანს მინიჭებული აქვს ცნობიერება და ნებისყოფა და აკონტროლებს საკუთარ ქცევებს. სუბიექტი ასრულებს ამა თუ იმ მოქმედებებს სამართლებრივ სფეროში, შეუფარდებს მას არსებულ ნორმებს და ღირებულებებს, აანალიზებს მას იმ პოზიციიდან, რა სარგებლობას მოუტანს იგი საზოგადოებას, საკუთარ თავს, სხვა ადამიანებს—ამის მიხედვით მიიღება გადაწყვეტილება, განისაზღვრება ქცევის მიმართულება და ინტენსიურობა. ეს ასპექტი დაკავშირებულია პიროვნების მოქმედებასთან, მის შედეგებთან და ქცევის სუბიექტურ მხარეს წარმოადგენს.

ამასთან ერთად, ადამიანის ქცევას სამართლებრივ სფეროში აქვს სპეციფიკური, იურიდიული, მისი სამართლებრივად დამახასიათებელი თვისებები, რაც განისაზღვრება ქცევის კავშირით სამართალთან, სამართლებრივ მოწესრიგებასთან.

—სამართლებრივი ქცევის პირველი იურიდიული თვისებაა სამართლებრივი რეგლამენტაცია (მოწესრიგება). ქცევის როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური მომენტები აისახება სამართლებრივ მოთხოვნებში. ასეთი რეგლამენტაცია უზრუნველყოფს ქცევის გარკვეულობასა და სიზუსტეს სამართლებრივ სფეროში, წარმოადგენს მოქალაქეთა მოქმედებაში სხვა სუბიექტების ჩარევისაგან დაცვის მექანიზმს. სამართლებრივი ქცევების ეს ფორმალურ-იურიდიული მხარე ძალზე მნიშვნელოვანია. სწორედ სამართლებრივი ნორმების საშუალებით სტიმულირდება, ინერგება ცხოვრებაში საზოგადოებისათვის სასარგებლო და პირიქით, იღვენება არასასურველი ქცევები, რამდენად საზოგადოებრივად სასარგებლო (ან პირიქით, საზოგადოებრივად საშიში) უნდა იყოს ქცევა, თუ იგი არ არის სამართლით გაწონასწორებული, არ არის

სამართლებრივი, არ გააჩნია სახელმწიფოს იძულებითი ხელისუფლების მხარდაჭერა;

—სამართლებრივი ქცევის მეორე იურიდიული ნიშანია მისი კონტროლდაქვემდებარება სახელმწიფოსადმი სამართალშემფარდებელი და სამართალდამცველი ორგანოების სახით. ეს ნიშან-თვისება გამომდინარეობს სახელმწიფოს მხრივ სამართლის გარანტირების თვისებიდან, მისი იძულებითი ხასიათიდან. სახელმწიფო ამოწმებს სამართლის სუბიექტების მოქმედებას და კორექტირებას უკეთებს მათ სოციალურად მნიშვნელოვან ქცევასთან დამოკიდებულებით;

—სამართლებრივი ქცევის მესამე იურიდიული ნიშან-თვისებასთან გვაქვს საქმე, როდესაც „დაშვებულია ყველაფერი, რაც კანონით აკრძალული არ არის“, შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ ნებისმიერი ქმედება, რომელიც არ არის აკრძალული სამართლებრივი ნორმებით, სამართლიანია. სუბიექტები ჩადიან ისეთ ქცევას, რომელიც, სამართლით არ იკრძალება და არ მოჰყვება რაიმე იურიდიული შედეგი, მაგრამ ასეთი ქმედებები მაინც არ არის სამართლებრივი. აღნიშნული თავისებურებების ზეგავლენით სამართლებრივი მოქმედება წარმოჩნდება, როგორც ჩვეულებრივი იურიდიული ფაქტი—სამართლებრივი ურთიერთობის წარმოქმნის შეცვლის (ან შეწყვეტის) საფუძველი; ეს საშუალებას გვაძლევს—განვსაზღვროთ სამართლებრივი ქცევა, როგორც ინდივიდუალური ან კოლექტიური სუბიექტების სოციალურად მნიშვნელოვანი შეგნებული ქმედება, რაც მოწესრიგებულია სამართლის ნორმებით და იურიდიული შედეგები მოაქვს.

ამგვარად, ადამიანის საქმიანობა სამართლებრივ სფეროში შეიძლება შეფასებული იქნეს სოციალური, იურიდიული მხრიდან. საუბარია მართლზომიერ და უსამართლო ქცევაზე, როცა ის განიხილება სამართლებრივი დანიშნულების მოთხოვნების თვალსაზრისით. იგი შეიძლება იყოს საზოგადოებრივად სასარგებლო ან საზოგადოებრივად საშიში (მაგნე), როცა შეფასების კრიტერიუმს წარმოადგენს მისი სოციალური მნიშვნელობა. ამის გარდა, ადამიანის ქცევების დახასიათებისას მნიშვნელოვანია სუბიექტური მომენტის გათვალისწინება.

ბოლო პერიოდი იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრდა აზრი, რომ, სუბიექტის ქცევა არ შეიძლება შეფასდეს მხოლოდ ერთი რომელიმე აღნიშნული ფაქტორის პოზიციიდან, ცალმხრივი მიდგომა საშუალებას არ იძლევა სწორად შეფასდეს ქცევა, სწორი კვალიფიკაცია მიეცეს მის შედეგებს, განისაზღვროს მასზე სახელმწიფოსა და საზოგადოების რეაქცია. კერძოდ, სამართლებრივ ქცევას ხშირად განიხილავენ

ცალმხრივად. ნებისმიერი, სამართლის ნორმების შესაბამისი ქცევა გაიაზრება, როგორც მართლზომიერი, მისი საპირისპირო კი—როგორც სამართალდარღვევა, ქცევის გაანალიზების შემთხვევაში მიდგომა უნდა იყოს არა მხოლოდ იურიდიული, არამედ სოციალური თვალსაზრისითაც, ასეთ შემთხვევაში გამოიკვეთება მისი სხვადასხვა ვარიანტი. შესაძლებელია, სამართლებრივი ნორმის ჩარჩოებში განხორციელებული ქმედება, რომელიც არ არღევს მას, გარკვეულ ზიანს აყენებდეს საზოგადოებას, ცალკეულ მოქალაქეს. ზღბა, რომ პირი არღვევს სამართლის ნორმებს, არაკანონზომიერად მოქმედებს, მაგრამ მის მოქმედებას არ მოაქვს რაიმე უარყოფითი შედეგი ირგვლივ მყოფთათვის, ამიტომაც იურიდიულ ლიტერატურაში გაჩნდა აზრი, რომ არ შეიძლება შემოიფარგლოს სამართლებრივი ქცევის სახეები ორი დასახელებულით: მართლზომიერი და სამართალდამრღვევი. იურიდიული პრაქტიკის განვითარება და მოთხოვნილებები საჭიროებს უფრო ღიფერენციურებულ მიდგომას, რადგანაც სამართლებრივი ქცევის სხვადასხვა სახეობას შესაბამისი სამართლებრივი რეგლამენტაცია სჭირდება. ეს ყველაფერი საშუალებას იძლევა გამოიყოს სამართლის სფეროში ქცევების შემდეგი სახეები:

—მართლზომიერი—სამართლებრივი მოთხოვნების შესაბამისი სასარგებლო ქმედება;

—სამართალდარღვევა—სამართლის ნორმების მოთხოვნების დამრღვევი სოციალურად მავნე ქმედება;

—სამართლის (უფლების) ბოროტად გამოყენება—სოციალურად მავნე, მაგრამ სამართლის ნორმების ფარგლებში განხორციელებული ქმედება;

—ობიექტურად-მართლსაწინააღმდეგო—ქმედება, რომელსაც ზიანი არ მოაქვს, მაგრამ ხორციელდება სამართლის მოთხოვნათა დარღვევით. ამასვე შეიძლება მივაკუთვნოთ არაქმედუნარიანი პირის მართლსაწინააღმდეგო ქცევა.

§2. მართლზომიერი ქმევა

სამართლებრივი ქცევის ერთ-ერთი სახეობაა მართლზომიერი ქცევა. იგი არის ადამიანების საზოგადოებრივად სასარგებლო შეგნებული ქცევა, რომელიც შეესაბამება სამართლებრივ ნორმებს და მათი დაცვა გარანტირებულია სახელმწიფოს მიერ.

მართლზომიერ ქცევას ახასიათებს შემდეგი ნიშან-თვისებები:

—მართლზომიერი ქცევა შეესაბამება სამართლებრივი ნორმების მოთხოვნებს. აღამიანი მოქმედებს მართლზომიერად, თუ ზუსტად იცავს სამართლებრივ მოთხოვნებს. ხშირად მართლზომიერი ქცევა განიმარტება, როგორც მოქმედება, რომელიც არ არღვევს სამართლის ნორმებს, მაგრამ ასეთი განმარტება ზუსტად არ ასახავს ამ მოვლენის შინაარსს, რადგან ქცევა, რომელიც არ ეწინააღმდეგება სამართლებრივ მოთხოვნებს, შეიძლება განხორციელდეს სამართლებრივი რეგულირების სფეროს მიღმა, არ იყოს სამართლებრივი;

—მართლზომიერი ქცევა პიროვნების კანონიერი ინტერესების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას უზრუნველყოფს;

—მართლზომიერ ქცევას ახასიათებს მისი სუბიექტური მხარის წარმომჩენი ნიშან-თვისება. მასაც, როგორც სხვა ნებისმიერ მოქმედებას, განაპირობებს მოტივები და მიზნები, ქცევის შესაძლო შედეგების შეცნობის ხარისხი და მისდამი ინდივიდის შინაგანი დამოკიდებულება. ამასთანავე მოტივები ასახავს არა მარტო იდეურ მიმართულებას (არღვევს თუ არა სამართლის ნორმებს), არამედ ხასიათსაც, აქტიურობის ხარისხს, ქცევის დამოუკიდებლობასა და ინტენსივობას რეალიზაციის პროცესში. სუბიექტური მხარე წარმოაჩენს პიროვნების სამართლებრივი კულტურის დონეს, პასუხისმგებლობის ხარისხს, მის დამოკიდებულებას სოციალურ და კულტურულ ღირებულებებთან.

განსაკუთრებით მაღალია მართლზომიერი ქცევის სოციალური როლი, იგი წარმოადგენს სამართლის ეფექტურ რეალიზაციას, რომელსაც სახელმწიფო იცავს. სწორედ მართლზომიერი ქცევის საშუალებით ხდება საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის აუცილებელი ურთიერთობების მოწესრიგება, მყარი მართლზომიერების უზრუნველყოფა. მართლზომიერი ქცევა წარმოადგენს საზოგადოების წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტის მნიშვნელოვან ფაქტორს, თუმცა მართლზომიერი ქცევის სოციალური როლი საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით არ შემოიფარგლება, სუბიექტების სამართლებრივი ქცევების ინტერესების უზრუნველყოფა მისი არანაკლებ მნიშვნელოვანი ფუნქციაა. საზოგადოება და სახელმწიფო დაინტერესებულნი არიან ასეთი მოქმედებით, ამიტომ ორგანიზაციული ზომებით ხელს უწყობენ, სტიმულს აძლევენ, ახალისებენ მას. მართლზომიერი ქცევის დამაბრკოლებელი საქმიანობა აღიკვეთება სახელმწიფოს მიერ. ამასთანავე, სხვადასხვა სოციალური ქმედების სხვადასხვა ვარიანტის სოციალური მნიშვნელობა, სხვადასხვაა აგრეთვე მათი იურიდიული განმარტებაც.

საზოგადოების ნორმალური განვითარებისათვის ობიექტურად აუცილებელია მართლზომიერი ქცევის ზოგიერთი სახეობა: სამშობლოს დაცვა, შრომითი ვალდებულებების შესრულება, შინაგანი შრომითი განაწესის, საგზაო მოძრაობის წესების დაცვა და ა.შ. ამგვარი ქმედების ვარიანტები განსაზღვრულია იმპერატიულ-სამართლებრივი ნორმებით ვალდებულებების სახით. მათი შესრულება (სახელმწიფოს ორგანიზაციული საქმიანობის გარდა) უზრუნველყოფილია სახელმწიფო იძულების ღონისძიებებით.

საზოგადოებისათვის სასურველია ქცევის სხვა ვარიანტები, რომლებიც ასე აუცილებელი არ არიან (არჩვენებში მონაწილეობა, ქორწინება, თანამდებობის პირთა არასამართლებრივი მოქმედების გასაჩივრება და ა.შ.) ეს ქცევები განიხილება არა როგორც მოვალეობა, არამედ როგორც უფლება, რომლის რეალიზაციის ხასიათი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული თვით უფლებამოსილი პირის სურვილებსა და ინტერესებზე. ასეთი მოქმედებების მრავალი ვარიანტი დისპოზიციური ნორმებით არის განსაზღვრული.

არსებობს მართლზომიერი სოციალურად დაშვებული ქმედებები—მეუღლეების გაყრა, სამუშაოს ხშირი ცვლა, გაფიცვა... სახელმწიფო დაინტერესებული არ არის მათი გავრცელებით, მაგრამ ეს კანონით დაშვებული მართლზომიერი ქმედებებია, ამიტომაც უზრუნველყოფს მათ შესაძლებლობას.

სოციალურად მაკნე, საზოგადოებისათვის არასასურველი ქმედებები ნორმატიულად განსაზღვრულია აკრძალვის სახით. მართლზომიერი მოქმედება ამ შემთხვევაში გამოიხატება აკრძალული ქმედების ჩაუდენლობით.

მართლზომიერი ქმედებები შეიძლება დაიყოს: სუბიექტების, ობიექტური და სუბიექტური მხარეების, იურიდიული შედეგების და სხვათა მიხედვით.

ამგვარად, სამართლის სუბიექტების მიხედვით, რომლებიც ახორციელებენ მართლზომიერ ქმედებებს, გამოიყოფა ინდივიდუალური და ჯგუფური ქმედებები. ჯგუფური ქმედება არის „გარკვეული ჯგუფის წევრების, რომელთაც ახასიათებთ ინტერესებისა და მიზნების გარკვეული თანაზიარობა და მოქმედების ერთიანობა, მოქმედებაში გაერთიანება. ამათ მიეკუთვნება შრომითი კოლექტივების, სახელმწიფო ორგანოების — იურიდიული პირის სამართლით განმტკიცებული საქმიანობა.

ობიექტური მხარის მიხედვით მართლზომიერი ქმედება შეიძლება

გამოიხატოს აქტიური ქმედების ან უმოქმედობის ფორმით. ამასთან ახლოსაა მართლზომიერი ქმედებების დაყოფა სამართლებრივი ნორმის რეალიზაციის ფორმებად, რომელთაც მიეკუთვნება მათი დაცვა, შესრულება და გამოყენება.

იურიდიული შედეგით, რისი მიღწევაც სურს რეალიზაციის სუბიექტს, განასხვავებენ იურიდიულ ფაქტს, იურიდიულ საქციელსა და მოქმედებას, რომელიც ქმნის ობიექტურ შედეგებს (აქ მართლზომიერი ქმედება გამოდის, როგორც იურიდიული ფაქტი).

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მართლზომიერი ქმედების კლასიფიკაციას სუბიექტური მხარის მიხედვით. მართლზომიერი ქმედების სუბიექტური მხარე ახასიათებს სუბიექტის პასუხისმგებლობის დონეს, რომელიც შეიძლება მიეკუთვნებოდეს სამართლის ნორმების რეალიზაციას მაღალი პასუხისმგებლობის ან უპასუხისმგებლობის გრძნობით. პასუხისმგებლობის ხარისხის, თავისი ქცევის მიმართ სუბიექტის დამოკიდებულების, მისი მოტივაციის მიხედვით განასხვავებენ სამართლებრივი ქმედების რამდენიმე სახეობას.

სოციალურად აქტიური ქცევა სუბიექტის პასუხისმგებლობის მაღალ ხარისხზე მიუთითებს. სამართლებრივი ნორმების რეალიზაციისას იგი მოქმედებს განსაკუთრებით აქტიურად, ცდილობს, რაც შეიძლება უკეთ, ეფექტურად განახორციელოს სამართლებრივი დადგენილება, მაქსიმალური სარგებლობა მოუტანოს საზოგადოებას, გამოავლინოს თავისი ნიჭი. სამართლებრივი აქტიურობა შეიძლება გამოვლინდეს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა, საწარმოო, პოლიტიკურ და ა.შ. სფეროში. მაგალითად, წარმოებით სფეროში ეს არის შრომისადმი შემოქმედებითი მიდგომა, მწარმოებლობის მუდმივი ამაღლება, ინიციატივა და დისციპლინა შრომაში.

კანონმორჩილება არის სამართლებრივი ქცევა, რაც გამოიხატება ადამიანის შეგნებული მორჩილებით კანონის მოთხოვნებისადმი. მართლზომიერი მოთხოვნები ამ შემთხვევაში სრულდება ნებაყოფილობით, სათანადო სამართალშეგნების საფუძველზე, რაც მართლზომიერი ქცევების სტრუქტურაში ყველაზე ხშირია.

ნიჰილისტურ ქცევას (დამოკიდებულებას, განწყობას) ახასიათებს სოციალური აქტივობის დაბალი ხარისხი. პიროვნება პასიურად იცავს სამართლებრივ მოთხოვნებს, ცდილობს შეეგუოს გარემომცველ პირობებს, არ გამოიჩინოს სხვებისგან.

მარგინალური ქცევა თუმცა ითვლება მართლზომიერად, მაგრამ სუბიექტის პასუხისმგებლობის დაბალი დონის გამო თითქმის ანტისაზოგადოებრიობის, არამართლზომიერების ზღვარზე იმყოფება („მარგინალუ-

რი“—„ზღვარზე მყოფი“ ლათინურად). არამართლზომიერებას სუბიექტი ასცდება სასჯელის შიშის (და არა სამართლებრივი ნორმების რეალიზაციის აუცილებლობის შეგრძნებით) ან რაიმე ანგარების გამო. ამ შემთხვევაში სუბიექტი მხოლოდ ემორჩილება კანონს და არ აღიარებს, პატივს არ სცემს მას.¹

ამ კლასიფიკაციაში ოდნავ განცალკევებით დგას ჩვეულებითი ქცევა, როცა მართლზომიერი ქცევა მრავალჯერ გამეორების გამო ჩვეულებად იქცევა. ჩვეულებით ქცევას სამართლიანად უწოდებენ „მეორე ნატურას“, ის ადამიანის შინაგან მოთხოვნილებად იქცევა. ჩვეულებითი ქცევის განსაკუთრებულობას წარმოადგენს ის, რომ ადამიანი გონებაში არ აფიქსირებს მის არც სოციალურ და არც იურიდიულ მნიშვნელობას, უბრალოდ, არ ფიქრობს ამაზე. ჩვეულება არ გამორიცხავს საკუთარი საქციელის ფაქტობრივი ელემენტების შეცნობას, თუმცა ხელთ არ გვაქვს მისი მოსალოდნელი შედეგების სათანადო სოციალური შეფასება. ეს ჩვეულებითი, მაგრამ არა შეუგნებელი მოქმედებაა.

· §3. სამართალდარღვევა

სამართალდარღვევა არის სამართლის ნორმით აკრძალული პირის ბრალეული ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომელიც ხელყოფს ამავე ნორმით აღიარებული სამართლის სუბიექტის უფლებას.² არსებობს სამართალდარღვევის სხვა განმარტებაც: სახელმწიფოს კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნათა შეუსრლებლობა სამართლის დარღვევას წარმოადგენს.³ ე.ი. სამართალდარღვევა არის ანტიისოციალური, მართლსაწინააღმდეგო ქცევის ნაირსახეობა. სოციალური თვალსაზრისით, ეს მოქალაქეების, მათი კოლექტივებისა და მთლიანად საზოგადოების უფლებებისა და ინტერესების საწინააღმდეგო, მათთვის ზიანის მიმყენებელი ქმედებებია, ისინი ართულებენ და არეუ-დარევა შეაქვთ საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარებაში. მართალია, ცალკეულ სამართალდარღვევებს არ შეუძლია დიდი საშიშროება შეუქმნას მთელ საზოგადოებას, მაგრამ მთლიანობაში მნიშვნელოვან პრობლემებს წარმოადგენს, არღვევს მართლწესრიგით დამყარებულ კანონიერებას. დროის გარკვეულ პერიოდში ქვეყანაში მომხდა-

¹ Шабуров А.С. Правомерное поведение и правонарушения. М., 1998 г. ст. 405.

² ბ. სავანელი, სამართლის თეორია. თბ., 1997 წ. გვ.

³ გ. ინწიკრელი, სახელმწიფოს და სამართლის თეორია. თბ., 1993 წ. გვ. 110.

რი დანაშაულების ერთობლიობას, რომელსაც მასობრიობა ახასიათებს, დამნაშავეობა ეწოდება.

თანამედროვე პირობებში ჩვენს ქვეყანაში შეიმჩნევა სამართალდარღვევების მკვეთრი ზრდა, მათ რიცხვში ყველაზე საშიში ფორმაა დანაშაული საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. დამნაშავეობის შეუჩერებელი ზრდა სერიოზულ საფრთხეს უქმნის სახელმწიფოსა და საზოგადოებას, მოქალაქეთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და ქონებას. სამართალდარღვევასთან ბრძოლაში აუცილებელია განისაზღვროს მისი ბუნება, თავისებურებები, ჩადენის მიზეზები და ამის საფუძველზე დაისახოს მისი შემცირებისა და აღმოფხვრის გზები, ე.ი. სამართალდარღვევა არის ქმედუნარიანი პირის სამართლის ნორმებით აკრძალული ბრალეული ქმედობა (მოქმედება ან უმოქმედობა).

განვიხილოთ სამართალდარღვევების ძირითადი ნიშან-თვისებები.

—სამართალი განსაზღვრავს ქმედებათა იმ წრეს, რომელიც ხელყოფს საზოგადოებრივ ურთიერთობათა მონაწილეების უფლებებს. სამართალდარღვევა არის მოქმედებით ან უმოქმედობით გამოხატული ქცევის აქტი (უმოქმედობაში აქ იგულისხმება მოქმედებისაგან თავის შეკავება, როცა კანონი გვავალებს მის შესრულებას). სამართალდარღვევად არ შეიძლება ჩაითვალოს ჩანაფიქრი, გრძნობები, პოლიტიკური ან რელიგიური თვალსაზრისი, რომლებიც მოქმედებით არ არის გამოხატული. სამართალდარღვევად არ ითვლება აგრეთვე თვისებები, პიროვნების ჩვევების, ეროვნულობა, ადამიანის ნათესაური კავშირები და ა.შ.

—სამართალდარღვევად ითვლება მხოლოდ ქმედება (მოქმედება ან უმოქმედება), რომელიც იწვევს სამართლის ნორმით გათვალისწინებულ შედეგს, ზიანს აყენებს სამართლის სუბიექტის ინტერესს ან უქმნის მას რეალურ საფრთხეს. სამართალდარღვევად არ შეიძლება ჩაითვალოს ცნობიერებით გაუკონტროლებელი, ანდა იმ სიტუაციაში ჩადენილი ქმედება, როცა ადამიანს წართმეული აქვს მოქმედების არჩევის ყველა ვარიანტი, გარდა სამართალდარღვევისა, ამიტომ სამართალდარღვევად ითვლება მხოლოდ ქმედუნარიანი (დელიქტოუნარიანი) ადამიანების ქმედების ვარიანტები. მცირეწლოვანებსა და სულით ავადმყოფებს კანონი ქმედუნარიანად არ მიიჩნევს;

—სამართალდარღვევად მიჩნეულია მხოლოდ ისეთი ქმედება, რომლის ჩადენის დროსაც ინდივიდს შეგნებული აქვს, რომ მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს, თავისი საქციელით ზიანს აყენებს საზოგადოებრივ ინტერესებს;

—სამართალდარღვევა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, სამართლის ნორმების მოთხოვნათა დარღვევაა. ამ დროს ირღვევა სამართლის ნორმით აღიარებული სამართლის სუბიექტის უფლება ან არ სრულდება ნაკისრი ვალდებულებები. სამართლის აქტიური რეალიზაციიდან თავის შეკავება სამართალდარღვევას არ წარმოადგენს. სამართალდარღვევას ახასიათებს ფორმალურ-იურიდიული მხარე. საყოველთაოდ ცნობილია, რომ არავინ შეიძლება იყოს შეზღუდული საკუთარ უფლებებსა და თავისუფლებაში და რომ სამართლებრივი მოთხოვნების ფარგლებში ჩადენილი არცერთი მოქმედება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სამართალდარღვევად. მართლზომიერი ქმედებისაგან განსხვავებით, რომლებიც შეიძლება პირდაპირ იყოს გათვალისწინებული სამართლის ნორმებით, ან შეიძლება გამომდინარეობდნენ რეგულირების ტიპის („დაშვებულია ყველაფერი, რაც აკრძალული არ არის“) ან კანონის სულისკვეთებიდან, მართლსაწინააღმდეგო ქმედებები და მათი აკრძალვის სახეები მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული სამართლებრივ ნორმებში.

—სამართალდარღვევა ყოველთვის სოციალურად მავნეა. ნებისმიერი სამართალდარღვევა ზიანს აყენებს პიროვნების, საზოგადოების, სახელმწიფოს ინტერესებს (ქონებრივი, სოციალური, მორალური, პოლიტიკური და ა.შ.). ქონების დაზიანება ან განადგურება, ადამიანის მოკვლა, მისი ღირსების შელახვა, სამუშაო დროის დაკარგვა, წუნდებული პროდუქცია სამართალდარღვევის უარყოფითი შედეგებია. შესაძლებელია, ქმედებამ არ მიაყენოს რეალური ზიანი და მხოლოდ საფრთხის ქვეშ დააყენოს სოციალური ღირებულებები (ასეთია, მაგალითად, მძღოლის სიმთვრალე);

—იმისათვის, რომ პირის ესა თუ ის ქმედება ცნობილი იქნას სამართალდარღვევად, საჭიროა ბრალის არსებობა. ხოლო ბრალი არის პირის ფსიქიკური უნარი—მოიცვას მიზეზობრივი კავშირი თავის ქმედებასა და დამდგარ. შედეგს შორის განზრახვის ან გაუფრთხილებლობის ფორმით.

ზემოთ აღნიშნული ნიშან-თვისებებიდან თუნდაც ერთ-ერთის უქონლობა საშუალებას არ გვაძლევს განვიხილოთ ქმედება, როგორც სამართალდარღვევა. მაშასადამე, სამართალდარღვევას არ წარმოადგენს ქცევის ის ვარიანტი, რომელიც თუმცა არღვევს სამართლის მოთხოვნებს, მაგრამ ზიანი არ მოაქვს. სოციალურად საშიში, მაგრამ სამართლებრივი მოთხოვნების ფარგლებში განხორციელებული ქმედება ისევე არ ითვლება სამართალდარღვევად, როგორც არაქმედუნარიანი პირის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება.

სამართლის ფორმალური განსაზღვრის თვალსაზრისით ნორმები ზუსტად ადგენს არა მარტო თვით ქცევის წესებს (აუცილებელს ან აკრძალულს), არამედ სხვა ფაქტორებსაც, რომლებიც საშუალებას იძლევიან დახასიათდეს მოქმედება, როგორც სამართალდარღვევა.

სამართალდარღვევის ნიშან-თვისებების სისტემა იურიდიული პასუხისმგებლობის დასაკისრებლად აუცილებელ და საკმარის, ობიექტურ და სუბიექტურ მხარეებთან ერთიანობაში განიმარტება, როგორც სამართალდარღვევის შემადგენლობა. იგი მოიცავს სამართალდარღვევის სუბიექტებს, სამართალდარღვევის ობიექტს, სამართალდარღვევის ობიექტურ და სუბიექტურ მხარეებს.

სამართალდარღვევის სუბიექტი შეიძლება იყოს ქმედუნარიანი ფიზიკური პირი ან ორგანიზაცია. სისხლის სამართლით ასეთი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი. სამართალდარღვევის სუბიექტი მინიმუმებულია იურიდიული ნორმის ჰიპოთეზაში. ასე მაგალითად, დაუდევრობა შეიძლება ჩაიდინოს მხოლოდ თანამდებობის პირმა.

სამართალდარღვევის ობიექტს წარმოადგენს ის საზოგადოებრივი სიკეთე, რაზედაც მიმართულია სამართალდარღვევა, ე.ი. ის ღირებულება და კეთილდღეობა, რომელიც სამართალდარღვევით დაზარალდა—საკუთრება, სიცოცხლე, მოქალაქეთა ჯანმრთელობა, საზოგადოებრივი წესრიგი და სხვა. ობიექტი (ისევე როგორც სუბიექტი) ზუსტად არის განსაზღვრული სამართლებრივი ნორმით.

სამართალდარღვევის ობიექტურ მხარეს ახასიათებს ქმედების გარეგანი გამოსახვა, მიზეზობრივი კავშირი პირის ქმედობასა და დამდგარ შედეგს შორის. როგორც შემადგენლობის სხვა ელემენტები, ობიექტური მხარეც საკმაოდ ზუსტად არის განსაზღვრული კანონით. მაგალითად, სხეულის დაზიანება შეიძლება იყოს მძიმე, ნაკლებად მძიმე ან მსუბუქი. ნებისმიერი მათგანი ქმნის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის დამოუკიდებელ შემადგენლობას.

სამართალდარღვევის სუბიექტური მხარე დაკავშირებულია დანაშაულის ცნებასთან. დანაშაული არის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედობა (მოქმედება ან უმოქმედობა), რომელიც ხელყოფს სამართლის სუბიექტის კონსტიტუციით აღიარებულ უფლებრივ სტატუსს. დანაშაულის სიმძიმე განისაზღვრება დამნაშავის მიერ საკუთარი ქმედების გათვალისწინებით ან გაუთვალისწინებლობით, ქმედებასა და მის შედეგებთან დამოკიდებულებით. ბრალი შეიძლება გამოიხატოს წინასწარ განზრახული ან გაუფრთხილებლობის ფორმით. ეს უკანასკნელი გუ-

ლისხმობს, რომ გაუფრთხილებლობით დანაშაულად ითვლება მოქმედება, რომელიც ჩადენილია თვითიმედოვნებით ან დაუდევრობით.

ქმედება თვითიმედოვნებითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებდა, რომ ამ შედეგს თავიდან აიცილებდა.

ქმედება დაუდევრობითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული არ ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, არ ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ამის გათვალისწინება მას ევალებოდა და შეეძლო კიდევ.

სამართალდარღვევა, ისევე როგორც მართლზომიერი ქცევის აქტი, საკმაოდ მრავალგვარია: მართლწინააღმდეგობის ხარისხის, ქმედების ხანგრძლივობის, სუბიექტების, დარღვეული კანონმდებლობის სფეროების, ობიექტების მიხედვით და სხვა.

ხასიათისა და მართლწინააღმდეგობის ხარისხის მიხედვით სამართალდარღვევა შეიძლება იყოს დანაშაული და გადაცდომა.¹ ამ დაყოფას აქვს არა მარტო მეცნიერულ-თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც, რადგანაც ხელს უწყობს ეფექტური სამართლებრივი მოწესრიგების უზრუნველყოფას, სამართალდარღვევასთან ბრძოლას, მართლწესრიგის განმტკიცებას.

დანაშაული არის სისხლის სამართლით დასჯას დაქვემდებარებული მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედობა. ზოგიერთი სამართალდარღვევის (გადაცდომის) ფაქტი ზიანის მომტანი, ანტისოციალური ხასიათისაა, მაგრამ არ აღწევს საზოგადოებრივი საშიშროების დონეს. ქმედობა, რომელიც ფორმალურად შეიტაკვს კანონით გათვალისწინებულ დანაშაულის ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩამდენის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლას ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე, უნდა გაითვალისწინოს კანონშემფარდებელმა, რომლის წმინდა ვალია „არ გადააქციოს დანაშაულად ის, რასაც გადაცდომის ხასიათი აქვს“.

დანაშაულის აღნიშნული მხარე განსაზღვრულია კანონმდებლობით. საზოგადოებრივი საშიშროება² ახასიათებს მისი შემადგენლობის ყვე-

¹ გადაცდომა ძირითადად დამახასიათებელია აღმინისტრაციულ, სამოქალაქო და დისციპლინარული დარღვევებისათვის. ე.ი. არის არამართლზომიერი ქცევა, რომელიც ეწინააღმდეგება სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა მიერ დადგენილ წესებს და ამა თუ იმ საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის შინაგანაწესს.

² საზოგადოებრივი საშიშროება ანუ მატერიალური მართლწინააღმდეგობა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობიდან ამოღებულია.

ლა ელემენტს, მათ შორის სუბიექტსაც. შემთხვევითი არ არის, რომ ერთობლივად აღებული დანაშაული შეადგენს სოციალურ-სამართლებრივ მოვლენას დანაშაულებას; ნებისმიერი საზოგადოება იძულებულია შეურიგებლად ებრძოდეს ამ საშიშროებას. დანაშაულის ჩადენაში მხილებული და პასუხისგებაში მიცემული სუბიექტისათვის კანონით გათვალისწინებულია სპეციალური შედეგი—გასამართლება.

დანაშაულის მაღალი საზოგადოებრივი საშიშროება განაპირობებს მის ფორმალურ-იურიდიულ მხარეს. ქმედების დანაშაულებრივი ხარისხი ფასდება მხოლოდ კანონით, არც ერთ სხვა ნორმატიულ აქტს ამის გაკეთება არ შეუძლია, ამასთან, სისხლის სამართლის კოდექსში ამოწურავი მოცულობითაა განსაზღვრული, სისხლის სამართალში ანალოგია დაუშვებელია.

სამოქალაქო-სამართლებრივ სამართალდარღვევებს, დანაშაულისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევისაგან განსხვავებით, არ გააჩნიათ კანონმდებლობაში მკაცრად განსაზღვრული დეფინიციები. ეს არის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც ზიანს აყენებს სამოქალაქო სამართლის ნორმებით დარეგულირებულ ქონებრივ და მათთან დაკავშირებულ პირად არაქონებრივ ურთიერთობებს (ხელშეკრულებრივი ვალდებულების შეუსრულებლობა ან არასათანადოდ შესრულება, ქონებრივი ზიანის მიყენება და ა.შ.), ასეთი მოქმედებისათვის გათვალისწინებულია სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა სხვადასხვა ფორმით.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევა არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კანონით გათვალისწინებული საშიში ბრალეული ქმედობა (მოქმედება ან უმოქმედობა), რომელიც ხელყოფს ადმინისტრაციული სამართლით დაცული სუბიექტების კანონით აღიარებულ იმ უფლებებს, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოების მართვასთან და ფუნქციონირებასთან და რომელთა დარღვევა არ არის გათვალისწინებული სისხლის სამართლის კანონით.

ტერმინი დისციპლინური გადაცდომა გულისხმობს მუშის ან მოსამსახურის მიერ მასზე დაკისრებული შრომითი ვალდებულების დარღვევას, რაც იწვევს შინაგანი შრომითი განაწესის შეუსრულებლობას. ასეთი სამართალდარღვევები ხელს უშლის შრომით დისციპლინას და ამით ზიანს აყენებს საწარმოს, ორგანიზაციის ნორმალურ ფუნქციონირებას. სამეცნიერო ლიტერატურაში სამართალდარღვევის დამოუკიდებელ სახეობად მიიჩნევა სამართლებრივი აქტების გამოცემის უფლების მქონე სახელმწიფო ორგანოების ისეთი ქმედება, როცა აქტი

ენინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს. ამ ფენომენს საფუძვლად უდევს კანონის უზენაესობის პრინციპისა და სამართალშეფარდებითი აქტების კანონქვემდებარეობის დარღვევა. ასეთი სამართალდარღვევა ჯერჯერობით არ არის სათანადოდ დამუშავებული თუმცა კანონთა დაპირისპირებული ნორმატიული აქტების რაოდენობა (სამინისტროებსა და დარგების აქტები) საკმაოდ დიდია. სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის პირობებში, რომლის უმთავრეს პრინციპს კანონის უზენაესობა წარმოადგეს, ამგვარი ფაქტები თანდათანობით უნდა გამოირიცხოს, ამიტომ პრობლემა შემდგომ შესწავლა-დამუშავებას საჭიროებს.

§6. პოლიტიკური და ზნეობრივი პასუხისმგებლობის პრობლემა

განასხვავებენ საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის სამ სახეს პოლიტიკურს, ზნეობრივ და იურიდიულს. სამართლის დარღვევისა და იურიდიული პასუხისმგებლობის საკითხს მომდევნო თავი ეძღვნება, ამიტომ აქ განვიხილავთ მხოლოდ პოლიტიკურ და ზნეობრივი პასუხისმგებლობის პრობლემას. რადგანაც ვთვლით, რომ პოლიტიკური პასუხისმგებლობა სამართლის სფეროა და განისაზღვრება სახელმწიფოს საქმიანობით—მისი წარმატებით თუ წარუმატებლობით. იგი ეკისრებათ პოლიტიკურ მოღვაწეებს, უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლების წარმომადგენლებს, სახელმწიფო მოხელეებს, რადგანაც ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე ძირითადად პასუხს აგებს ოფიციალური ხელისუფლება.

საკუთარი პოლიტიკური პასუხისმგებლობის შეფასების საკითხი რთულია. დემოკრატიის პირობებში ხელისუფლების კრიტიკა კანონით დაშვებულია და ოპოზიცია მას სრულად იყენებს, მაგრამ მსაჯულად არ გამოდგება, რადგან დაინტერესებულია ხელისუფლების შეცდომების მხილებით, რათა მიაღწიოს კონკრეტულ მიზანს—აიძულოს ხელისუფლება გადადგეს, რომ თვითონ აიღოს ხელში სახელმწიფო მართვა.

ზნეობრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება იმ მორალური პრინციპებით და ნორმებით, რომელთაც ზოგადსაკაცობრიო ღირებულება აქვთ. ინდივიდი, რომელიც მათ დაარღვევს, ითვლება ზნეობრივი ნორმების დამრღვევად.

არცთუ იშვიათად პასუხისმგებლობა თავისუფლების საფასურია, მაგ-

რამ ადამიანი ყოველთვის ნებაყოფლობით არ მოქმედებს, იგი ზოგჯერ იძულებულია აკეთოს ის, რაც არ უნდა, მაგრამ იგი ამით პასუხისმგებლობისაგან არ თავისუფლდება. იძულება ადამიანს არ ართმევს ნების თავისუფლების უნარს, რომელიც მას საშუალებას აძლევს გააკეთოს არჩევანი და თუ მან ეს შესაძლებლობა არ გამოიყენა, შეიძლება გაეუგოთ და შევებრალოთ, მაგრამ ჩვენი სიბრალული ვერ გაათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან.¹

თავის დროზე პოლიტიკისა და ზნეობის ურთიერთმიმართების პრობლემას არისტოტელემ მიაქცია ყურადღება. მისი აზრით, პოლიტიკაში მორალი-ზნეობა უნდა დომინირებდეს. „ზნეობრიობის გარეშე ადამიანი ყველაზე ცოდვილ და ყველაზე ველურ არსებად იქცევა“.

მაკიაველის აზრით, პოლიტიკოსი სახელმწიფოებრივი ინტერესებით უნდა ხელმძღვანელობდეს, და, თუკი საჭირო გახდა, არ უნდა მოერიდოს ძალადობას, ტყუილს და სისასტიკეს, რადგანაც პოლიტიკოსისათვის სამშობლო უმაღლესი ღირებულებაა. ე.ი. მაკიაველი პოლიტიკას, მორალსა და კანონზე მაღლა აყენებს. მან თავისი კონცეფციით პოლიტიკა გამოიყენა მორალისაგან. აქედან გამომდინარე, ძალადობასა და უზნეობაზე დამყარებულ პოლიტიკას—„მიზანი ამართლებს საშუალებას“ —მაკიაველიზმი უწოდეს.

მ. ვებერმა პოლიტიკაში, მიზნისა და საშუალებების ურთიერთობის პრობლემა მაკიაველის პოლიტიკური რეალიზმის ტრადიციით განაწილათარა. მან „შეარიაგა“ მორალი და ძალადობა მათი მოქმედებათა სფეროს საზღვრების დადგენის გზით. მ. ვებერის აზრით, პოლიტიკაში ქცევის ერთნაირი მორალური კოდექსი არ შეიძლება არსებობდეს და კონკრეტულ სიტუაციაში თავად პოლიტიკოსმა უნდა გადაწყვიტოს როგორ მოიქცეს.²

ზნეობრივი პასუხისმგებლობის მსაჯულია საზოგადოებრივი აზრი და სინდისი. ამის თაობაზე, ილია ჭავჭავაძე წერს, „ზნემადალი კაცისათვის ნამუსი უფრო ღიდი საქონელია, ვიდრე ჭკუა და ამისთანა კაცი სულელის სახელს უფრო ირჩევს, ვიდრე უნამუსოსას... ზნე—ხასიათის წრთვნა ზრდაა შინაგანის კაცისა... რადგანაც შინაგანობა კაცისა მისი სულიერი ვინაობაა, მისი სულიერი ბუნებაა, მამასადამე, წრთვნა ზნე-ხასიათისა ზრდაა, გარკვევაა მისის სულიერის ვინაობისა, სულიერის ბუნებისა, ანუ უკეთ ვსთქვათ, მისის კაცობისა,—ადამიანობისა“.³ საზოგადოებრივი აზრის მიერ ზნეობრივი დანაშაულის გაკიცხვა

¹ იხ. ვ. ერქომაიშვილი, ფილოსოფია თბ., 1998 წ. გვ. 97-100.

² გ. მკურნალიძე, მ. ხამხაძე, პოლიტოლოგია, თბ., 1999 წ. გვ. 16-18.

³ ი. ჭავჭავაძე, თხზ., VIII, გვ. 133, ტვ. IV, გვ. 296.

მხოლოდ დემოკრატიულ საზოგადოებაში შეიძლება იყოს პირუთვნელი. დიქტატურის პირობებში იგი ხელისუფლების მსახურია, ამიტომ ვერ იქნება ობიექტური.

ერთი სიტყვით, პოლიტიკური პასუხიმგებლობა ეკისრება ადამიანს, რომელიც პოლიტიკურ საქმიანობას ეწევა; იურიდიული პასუხისმგებლობა ეკისრება სისხლის სამართლის დამნაშავე— დანაშაულის ჩამდენს და მის თანამონაწილეს, ზნეობრივად კი პასუხს აგებს არა მხოლოდ ის, ვინც დანაშაული ჩაიდინა, არამედ ისიც, ვისაც მასში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. ბოროტებისადმი თანაგრძნობა ან გულგრილობაც კი ზნეობრივად დანაშაულია.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ილია ჭავჭავაძის „სარჩობელა-ზედ“, სადაც ავტორმა ზნეობრივ დანაშაულში ამხილა მოხუცი პეტრე და მისი სახით მთელი საზოგადოება. გზასაცდენილ ახადგაზრდას კი ათქმევინა: „განა შენ კი ამხანაგი არა ხარ ჩემის მამინაცვლისა! განა შენ კი არ დამიხრჩე ჩემი ერთადერთი ძმა! განა შენ კი არ მიიყვანე იგი სარჩობელამდე!“!

საინტერესოდ განიხილავს დავით აღმაშენებლის პიროვნებას და აფასებს მის სახელმწიფოებრივ საქმიანობას პროფესორი ვ. ერქომაიშვილი. ბრძენმა მეფემ თავისი ენერგიული და შორსმჭვრეტე პოლიტიკით თითქმის შეუძლებელი შეძლო. მან გაწმინდა საქართველო მტრებისაგან, ცეცხლითა და მახვილით შექმნა ძლიერი სახელმწიფო. დასჭირდა გამუდმებული ომების წარმოება შემოსეულ ურდოებთან, დაუნდობელი იყო გარეშე თუ შინაური მტრების მიმართ; მსტოვართა ინსტიტუტი აიყვანა სახელმწიფოებრივ ღონეზე. მტერთან ბრძოლის დროს მიმართავდა მოულოდნელ თავდასხმებს, რითაც აღწევდა გაუგონარ წარმატებებს და ეს იყო მისი სამხედრო სტრატეგია და ტაქტიკა. უდავოა, რომ მის მიერ გამოყენებული მეთოდები ზოგიერთ შემთხვევაში ზნეობის ფარგლებს სცილდება, მაგრამ მისი მოღვაწეობა არ უნდა შეეაფასოსთ როგორც უზნეობა. რა თქმა უნდა, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს პოლიტიკის სფეროა, რომელიც არ ექვემდებარება ზნეობას და არ რეგულირდება მისი ნორმებით და პრინციპებით. აქ საკითხი უნდა დაისვას გამოუვალობის თვალსაზრისით. სხვაგვარად შეეძლო თუ არა მეფეს იმ კონკრეტულ სიტუაციაში ქვეყნის გადარჩენა. ცხადია, რომ მარტო მიტევებით და შენდობით, კაცთომოყვარებით და ღმობიერებით არა თუ გაიმარჯვებდა, არამედ ოდნავი წარმატებაც კი გამო-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. 1985 წ. გვ. 376.

რიცხული იყო, მაშასადამე, მეფე იძულებული იყო ზოგიერთ შემთხვევაში მიემართა ზნეობრივი თვალსაზრისით გაუმართლებელი მეთოდებისათვის. სხვაგვარად მას, როგორც პოლიტიკურ მოღვაწეს, სრული კრაზი მოელოდა. ამიტომ დავით აღმაშენებლის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა სამართლიანი იყო, რადგანაც მიზანი ქვეყნის კეთილდღეობა იყო, ხოლო საშუალება—მისი პიროვნული შესაძლებლობანი, რომელიც სამშობლოს ინტერესებს არ გასცილებია. პროფ. გ. ნადარეიშვილი აღნიშნავს, რომ დავით აღმაშენებელმა მიაღწია იმას, რომ სახელმწიფო დამსჯელი ორგანოების მოქმედება იმდენად ეფექტური იყო, რომ არც ერთი პოლიტიკური დანაშაული დაუსჯელი არ რჩებოდა. თუმცა ის სიკვდილით არ სჯიდა მათ. უმეტეს შემთხვევაში დამნაშავეებს აკაებდნენ, იჭერდნენ დანაშაულის მზადების სტადიაზე. დიდი დავითის მოღვაწეობაში ერთმანეთში იყო შერწყმული სიმკაცრე და „კუმანიზმი“, ამიტომ სულ სხვა კრიტერიუმებით უნდა მოხდეს დავით აღმაშენებლის, როგორც პიროვნების შეფასება. კაცთმოყვარეობა და შემწყნარებლობა, ქველმოქმედება და სათნოება—აი, თვისებები, რომლითაც მეფე გამოირჩეოდა პოლიტიკური სფეროს მიღმა. რაც მთავარია, მას, როგორც პიროვნებას, აწუხებდა თავისი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ზოგიერთი შედეგი, რის გამოც სინდისი ქეჯნიდა და მიტყუებას სთხოვდა უფალს. ამის დასტურია მისი „გალობანი სინანულისანი“, რომელიც, თავისთავად, უდიდესი პოეტური შედეგრიც არის.

ჩვენს წინაშეა ორი სრულიად განსხვავებული სულის მქონე ადამიანი—პოლიტიკოსი და პიროვნება. დავით აღმაშენებელი, როგორც პოლიტიკური მოღვაწე, სასტიკი და დაუნდობელია. დავით აღმაშენებელი, როგორც პიროვნება, კაცთმოყვარე და შემწყნარებელია. პირველი სამართლიანია, მაგრამ არავითარ შემთხვევაში უზნეო, მეორე კი—ზნეობრივია, ზოგჯერ არასამართლიანია, მაგრამ არავითარ შემთხვევაში უსამართლო.

მკვლევართა ეს დახასიათება პარადოქსულად გამოიყურება, მაგრამ იოლი ასახსნელია, თუ გავითვალისწინებთ განსხვავებას პოლიტიკურ და პიროვნულ ურთიერთობებს შორის. პირველი სამართლიანობა-უსამართლობის, ხოლო მეორე ზნეობრიობა-უზნეობის სფეროა. შესაბამისად, პოლიტიკოსი შეიძლება დახასიათდეს როგორც სამართლიანი ან უსამართლო, ხოლო პიროვნება—როგორც ზნეობრივი ან უზნეო. თუ

¹ იხ. გ. ნადარეიშვილი „სასჯელთა კუმანიზმის საკითხი დავით აღმაშენებლის ეპოქის საქართველოში“. კრებ. „მეცნიერება“ 1990 თბ., გვ. 155-162.

მოხდა აღრევა, მაშინ შეფასებებიც უმართებულო იქნება. აღმოჩნდება, რომ ძლიერი და დიდი პოლიტიკოსი უფრო უზნეოდ გამოიყურება, ვიდრე პოლიტიკოსი, რომელმაც თავისი უნებისყოფობისა და უნიათობის გამო ვერც სიკეთე დათესა და ვერც ბოროტება.

ამგვარად, პოლიტიკა სიმართლის და არა ზნეობის სფეროა. როდესაც დისბალანსია პოლიტიკურ პასუხისმგებლობასა და ზნეობის პრინციპებს შორის, მაშინ ადამიანები ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ პოლიტიკურ ზნეობას. ხალხმა იცის, რომ ხელისუფლებაში მათთვის მიუწვდომელი მაქინაციებია და სხვა ნეგატიური პროცესები მიდის, მაგრამ, არ ძალუძთ რაიმეს შეცვლა, ამიტომ მათი მონაწილეობა პოლიტიკაში მხოლოდ ხმის მიცემით იფარგლება (ზოგიერთი შემთხვევაში ამასაც არ აკეთებს). ე.ი. ურიგდება საერთო მდგომარეობას და ცდილობს თავისი „პრობლემები“ მოაგვაროს თუნდაც უკანონო გზით. როგორც მონტესკიე აღნიშნავს, „გახრწნა იშვიათად იწყება ხალხიდან“ ამის პარალელურად არსებობს გამოთქმა „თევზი თავიდან იწყებს გაფუჭებას“, ამიტომ ხელისუფლებაში მყოფმა პოლიტიკურმა ელიტამ თუ პოლიტიკურმა ძალებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ არსებობს ზნეობა, რომელსაც ანგარიშის გაწევა სჭირდება,¹ რადგანაც მათ უკან დგას ისტორია, ყველაზე მართალი მსაჯული, რომელსაც შეუფასებელი და განუსჯელი არაფერი რჩება (საკმარისია პინოჩეტის მაგალითი). ისტორია გადააფასებს უზნეო პოლიტიკოსთა „ღვაწლს“, რომელთაც ჰკონიათ, რომ მიზანი ყოველთვის ამართლებს საშუალებას.

ამ თვალსაზრისით, მისაღებია ჰეგელის მოსაზრება, რომ საშუალება იგივე მიზანია და სწორედ საშუალებებში იხსნება მიზნის რეალური არსი, ზნეობრივი ღირებულება.

¹ იხ. შ.ლ. მონტესკიე, კანონთა გონი, თბ., 1994 წ. გვ. 70.

თავი ოცდამეხუთე

იურიდიული პასუხისმგებლობის პრობლემა

§1. იურიდიული პასუხისმგებლობის ცნება

იურიდიული პასუხისმგებლობის განმარტების თაობაზე თანამედროვე მეცნიერებაში არ არის შემუშავებული ერთიანი აზრი.

მეცნიერთა ნაწილს იურიდიული პასუხისმგებლობა წარმოდგენილი აქვს, როგორც სახელმწიფო იძულების მომენტი, ან აიგივებს მას სამართალდარღვევისათვის დასჯასთან.

მკვლევართა სხვა ჯგუფი იურიდიულ პასუხისმგებლობას განიხილავს არსებული სამართლებრივი კატეგორიების ფარგლებში, როგორც სპეციფიკურ იურიდიულ ვალდებულებას, სამართლებრივი ნორმების სანქციების რეალიზაციას და სხვა.

უკანასკნელ ხანებში ჩამოყალიბდა კიდევ ერთი მიმართულება—პოზიტიური იურიდიული პასუხისმგებლობის კონცეფცია.¹

იურიდიული პასუხისმგებლობის საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული მომწესრიგებელ და დაცვით სამართლებრივ ნორმებთან, რადგანაც მათი ხელყოფის შემთხვევაში დაცვითი სამართლებრივი ნორმები უზრუნველყოფს მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმებით რეგულირებული საზოგადოებრივი ურთიერთობის მონაწილეთა უფლებების დაცვას, ე.ი. სუბიექტმა, რომელმაც დაარღვია სხვისი უფლება პასუხი უნდა აგოს სამართალდარღვევისათვის.

დავახასიათოთ მისი ძირითადი ნიშან-თვისებები:

—იურიდიული პასუხისმგებლობა გულისხმობს სახელმწიფო იძულებას;

—ეს არის არა „საერთოდ“ იძულება, არამედ მოცულობით მკვეთრად გამოხატული იძულების „ზომა“ (რაოდენობრივი მაჩვენებელი);

—სამართალდარღვევას მოსდევს იურიდიული პასუხისმგებლობა;

—პასუხისმგებლობას თავისთავად მოჰყვება სამართალდამრღვევის მიმართ მისთვის არახელსაყრელი და არასასურველი სხვადასხვა სახის იძულებითი ხასიათის ღონისძიებების გამოყენება,² მისი უფლებების შეზღუდვა (თავისუფლების, მშობლის უფლების და სხვა), მასზე ახალი,

¹ იხ. Теория государства и права под. ред. В. Корельсково, В. Перевалова М. 2000 г. ст. 435.

² გ. ინწკირველი, დას. ნაშ. გვ. 112.

დამატებითი ვალდებულებების დაკისრება (გარკვეული თანხის გადახდა, რაიმე ქმედების შესრულება და ა.შ.);

—ალკვეთის ზომა და შინაარსი დადგენილი სამართლის ნორმების სანქციებით;

—ალკვეთის დაკისრება, სახელმწიფო-იძულებითი ზომების გამოყენება ხორციელდება კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების სამართალშეფარდებითი საქმიანობის პროცესში კანონით მკაცრად განსაზღვრული წესით და ფორმით. პროცესუალური ფორმების გარეშე იურიდიული პასუხისმგებლობა შეუძლებელია (არ ღებება).

ამრიგად, იურიდიული პასუხისმგებლობა არის სამართლის ნორმის სანქციით¹ განსაზღვრული სუბიექტის ვალდებულება—პასუხი აგოს იმ შედეგისათვის, რაც მოჰყვა მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმებით დარეგულირებული საზოგადოებრივი ურთიერთობის მონაწილის უფლების დარღვევას.

¹ (სანქცია ლათინური სიტყვაა Sanctio („სანქცია“)—სიმტკიცის მინიჭებას ნიშნავს) იმის შესაბამისად, თუ საზოგადოებრივ ურთიერთობათა რომელი მხარის მარკვეულირებელი ნორმაა დარღვეული—სანქციები იყოფა ოთხ ძირითად ჯგუფად: სისხლის-სამართლებრივი, ადმინისტრაციული, დისციპლინური და ქონებრივი სანქციები.

სისხლის სამართლებრივი სანქციები გამოიყენება სისხლის სამართლის ნორმის დარღვევის შემთხვევაში დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ. ასეთ სანქციებად საქართველოს დღევანდელი კანონმდებლობით დადგენილია: თავისუფლების აღკვეთა, გამასწორებელი სამუშაოები თავისუფლების აღუკვეთლად, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, ჯარიმა, თანამდებობიდან დათხოვა, საზოგადოებრივი გაკიცხვა, გარდა ამისა, ე.წ. დამატებითი სასჯელები, როგორცაა: ქონების კონფისკაცია, სამხედრო ან სპეციალური წოდების ჩამორთმევა, მშობლის უფლების ჩამორთმევა.

ადმინისტრაციული სანქციები გამოიყენება ადმინისტრაციული დარღვევის ჩამდენი პირების მიმართ. ადმინისტრაციული სანქციების შეფარდებას აწარმოებენ საამისოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები—სასამართლოები (ადმინისტრაციული მოსამართლეები), პოლიციის ორგანოები, სანიტარული ინსპექციის, სახანძრო ზედამხედველების, სატრანსპორტო, საბაჟო და ზოგიერთი სხვა ორგანოები.

დისციპლინური სანქციები გამოიყენება ამა თუ იმ საწარმოსა და დაწესებულების მუშა-მოსამსახურეების მიმართ მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობის, კერძოდ, შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევაში. დისციპლინური სანქციის შეფარდებას ახდენს დაწესებულებათა და საწარმოთა ხელმძღვანელები, ადმინისტრაცია—მათაში დაქვემდებარებული თანამშრომლების მიმართ; თანამდებობის პირთა მიმართ კი—ზემდგომი ორგანოები. დისციპლინურ სანქციებს წარმოადგენენ: გაფრთხილება, საყვედური, მკაცრი საყვედური, უფრო დაბალ ხელფასიან თანამდებობაზე გადაყვანა, სამუშაოდან დათხოვნა და ა.შ.

ქონებრივი სანქციები გამოიყენება უმთავრესად სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმის დარღვევის დროს, სახელდობრ, მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის. ასეთი სანქციები გამოიხატება ნორმის დამრღვევი პირებისაგან გარკვეული ქონების ჩამორთმევისა ან ფულადი თანხის გადახდევინებაში.

იურიდიული პასუხისმგებლობა გამომდინარეობს მოქმედი კანონ-მდებლობის შინაარსიდან. ასე მაგალითად, პიროვნების მიერ სისხლის სამართლის კანონით აკრძალული ქმედების ჩადენას ჯერ კიდევ არ მოჰყვება იურიდიული პასუხისმგებლობა. უფრო მეტიც, სასამართლოს შესაბამის გადაწყვეტილებამდე (განაჩენი) პიროვნება საერთოდ უდანაშაულოდ ითვლება (უდანაშაულობის პრეზუმცია). ცალკეულ შემთხვევებში პირი, რომელმაც სამართალდარღვევა ჩაიდინა, შეიძლება გათავსუფლებული იქნეს პასუხისმგებლობისაგან, ე.ი. სამართალშეფარდებით პროცესი არ განხორციელდება. სხვა შემთხვევაში დამრღვევ პირს სამართალშეფარდებით პროცესში შეიძლება შეეცვალოს აღმკვეთი ღონისძიება. მაგრამ არ განთავისუფლდეს მთლიანად პასუხისმგებლობისაგან.

იურიდიული პასუხისმგებლობის დედააზრში უფრო ღრმად ჩასაწვდომად აუცილებელია გავერკვეთ საზოგადოებაში, მის დანიშნულებასა და მიზნებში. ამგვარი გარკვევის აუცილებლობაზე ჯერ კიდევ ნ. ვინერი მიუთითებდა: „იქამდე, სანამ საზოგადოება არ გადაწყვეტს, სინამდვილეში რა სურს მას—მონანიება, იზოლაცია, პოტენციური დამნაშავის აღზრდა თუ დაშინება,—ჩვენ არ გვექნება არც მონანიება, არც აღზრდა, არც დაშინება, გვექნება მხოლოდ არეულობა, სადაც ერთი დანაშაული მეორეს წარმოშობს“¹. მიზანი არის სუბიექტის (პიროვნების, ორგანოს, სოციალური ჯგუფის) იდეალური წარმოდგენა საკუთარი ქმედების შედეგებზე, სწორედ ისინი განსაზღვრავენ მის მისაღწევად მიმართულ მოქმედებათა შინაარსსა და საშუალებებს.

იურიდიული პასუხისმგებლობის მიზანი სამართლის საერთო მიზნების კონკრეტული გამოვლინებაა. ამ მისიას კისრულობს საზოგადოებრივი ურთიერთობების განმტკიცება, მოწესრიგება და დაცვა. რაც განაპირობებს სამართლით რეგულირებადი და დაცვითი ფუნქციების არსებობას.

იურიდიული პასუხისმგებლობა „მონაწილეობს“ დაცვითი ფუნქციების რეალიზაციაში, მაშინ მიზანიც საერთო ფორმით შეიძლება განვიხილოთ, როგორც არსებული წყობისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა. კონკრეტული სამართალდარღვევის მიმართ გამოყენებულ პასუხისმგებლობას კი (საზოგადოებრივი ურთიერთობების დაცვასთან ერთად) აქვს უფრო შეზღუდული მიზანი—დამნაშავის დასჯა. ამასთანავე, სახელმწიფო იღებს იძულების ზომებს და აქვს კიდევ ერთი მიზანი—მომავალში სამართალდარღვევის თავიდან აცილება.

გარდა ამისა, არსებობს იურიდიული პასუხისმგებლობის წმინდა

¹ Винер Н. Кибернетика и общество. М., 1958 г. ст. 253.

სამართლებრივი მიზნები, რომელსაც სუბიექტების მიერ უფლებების დაცვით და იურიდიული ვალდებულებების შესრულებით სამართალურთიერთობის რეალიზაციის გზით და სამართლებრივი მოწესრიგების მექანიზმის ნორმალური ფუნქციონირებით მიიღწევა, რაც კანონიერების მნიშვნელოვან გარანტიებს წარმოადგენს.

იურიდიული პასუხისმგებლობის მიზნები განსაზღვრავს მის ფუნქციებს. მთავარი მათ შორის საჯარიმო, დამსჯელი ფუნქციაა. იგი გვეკლინება, როგორც სახელმწიფოს სახით საზოგადოებრივი რეაქცია სამართალდამრღვევის მიერ მიყენებულ ზიანზე. უპირველეს ყოვლისა, ეს არის სამართალდამრღვევის დასჯა. რაც სხვა არაფერია, თუ არა საზოგადოების თავდაცვის საშუალება მისი არსებობის პირობების შესანარჩუნებლად. სასჯელი ყოველთვის სამართალდამრღვევისადმი სულიერი, ფიზიკური ტკივილის და მატერიალური ზარალის მიყენებაა. იგი რეალიზდება დამრღვევისათვის იურიდიული სტატუსის შეცვლით, მისი უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის, ან მასზე დამატებითი ვალდებულებების დაკისრების გზით. თუმცა სამართალდამრღვევის დასჯა თვითმიზანი არ არის, ეს აგრეთვე ახალი სამართალდამრღვევის ჩადენის თავიდან აცილების საშუალებაცაა (პრევენცია). მაშასადამე, იურიდიული პასუხისმგებლობა აგრეთვე ასრულებს პრევენციულ ფუნქციასაც.

სახელმწიფო სასჯელი ზემოქმედებას ახდენს სამართალდამრღვევის შეგნებაზე. ეს ზემოქმედება „დაშინებაში“, სასჯელის გარდაუვალობის დამტკიცებასა და ამით ახალი სამართალდარღვევის თავიდან აცილებაში გამოიხატება. ეს გამაფრთხილებელი ზემოქმედებაა არა მარტო სამართალდამრღვევზე, არამედ გარეშემომყოფებზეც. ეს, რა თქმა უნდა, არამც და არამც არ ნიშნავს, რომ დასჯა ხდება დამრღვევის დანაშაულის სიმძიმის გაუთვალისწინებლად, მხოლოდ სხვებისათვის ჭკუის სასწავლებლად. სასჯელის გადამეტებული, გაუმართლებელი სისატიკე არ შეიძლება იყოს ახალი დარღვევების თავიდან აცილების საშუალება. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სასჯელის გამაფრთხილებელი მნიშვნელობა განისაზღვრება არა მისი სიმკაცრით, არამედ გარდაუვალობით და დანაშაულთან შესაბამისად „სიმძიმეს დანაშაულისას უნდა შეეწონოს სიმძიმე სასჯელისაც“.¹

ამასთანავე, სასჯელი მიმართულია დამნაშავეს რესოციალიზაციისაკენ, ე.ი. იურიდიულ პასუხისმგებლობას აქვს აღმზრდელობითი ფუნქციებიც. დამრღვევებთან ეფექტური ბრძოლა, დამნაშავეთა დროული

¹ ი. ჭავჭავაძე. თხზ. ტ. VIII, გვ. 221

და გარადუვალი დასჯა მოქალაქეებს წარმოდგენას უქმნის არსებული წეს-წყობილების შეურყევლობაზე, უმტკიცებს სახელმწიფო ხელისუფლების სამართლიანობისა და ძლიერების რწმენას, რომ მათი კანონიერი უფლებები და ინტერესები საიმედოდ იქნება დაცული. ეს, თავის მხრივ, ხელს უწყობს პოლიტიკური და სამართლებრივი კულტურის, მოქალაქეთა პასუხისმგებლობისა და დისციპლინის ამღობვას, მათი პოლიტიკური და შრომითი მოღვაწეობის გააქტიურებას და საბოლოო ჯამში მართლწესრიგის, სიმტკიცისა და კანონიერების გამყარებას.

უმრავლეს შემთხვევაში იურიდიული პასუხისმგებლობის ზომები მიმართულია არა დამნაშავეის ფორმალური დასჯისაკენ, არამედ იქითკენ, რომ აღსდგენს საზოგადოების, სამართლით აღჭურვილი პირის დარღვეული უფლებები. ამ შემთხვევაში იურიდიული პასუხისმგებლობა ახორციელებს სამართალდღეობით (საკომპენსაციო) ფუნქციებს. უფრო მკვეთრად ეს აისახება სამოქალაქო სამართალში, რომელიც ითვალისწინებს ისეთ სანქციებს, როგორცაა, მაგალითად, ზარალის ანაზღაურება. რა თქმა უნდა, ზიანის ანაზღაურება ყველა შემთხვევაში შესაძლებელი არ არის (არ შეიძლება მოკლულის გაცოცხლება და ა.შ.), მაგრამ იქ, სადაც ეს შესაძლებელია, იურიდიული პასუხისმგებლობის ანაზღაურებადი ფუნქცია ერთ-ერთი უმთავრესია.

ამგვარად, იურიდიული პასუხისმგებლობა ძირითადად დაკავშირებულია სახელმწიფოს და სამართლის დაცვით ფუნქციებთან, მაგრამ ის ასევე ასრულებს მთლიანობაში სამართლისათვის დამახასიათებელ (მომწესრიგებელ) ფუნქციას. უკვე თვითონ სასჯელის არსებობისა და გარდაუვალობის ფაქტი უზრუნველყოფს საზოგადოებრივი საქმიანობის მორგანიზებელ საწყისებს.

ისტორიულად იურიდიული პასუხისმგებლობა წარმოიშვა, როგორც კერძო საკუთრების დაცვის საშუალება. ამ უკანასკნელის ჩანასახს წარმოადგენდა მფლობელობა, ხოლო სამართლის, როგორც კლასობრივი საზოგადოების ურთიერთობების სპეციფიკური რეგულირების საფუძველს — მფლობელობის საჯარო ხელისუფლების დაცვა, რაც თანდათანობით გადაიზარდა კერძო საკუთრებაში. სახელმწიფოს მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა კერძო საკუთრების დაცვა აკრძალვისა და სახელმწიფო იძულების განხორციელების გზით. უძველესი სამართლებრივი აქტების გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ მათ ბირთვს წარმოადგენდა საკუთრების ინსტიტუტი და მისი დაცვა, ხოლო ვალდებულებითი სამართალი აღმოცენდა და განვითარდა მესაკუთრის უფლებების დარღვევის იურიდიული შედეგის ფორმით. ამგვარად, სამარ-

თალი იყო კერძომესაკუთრული ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და განმტკიცების იარაღი და ამასთანავე არის საზოგადოებისათვის უცხო და მოძველებული ურთიერთობების განდევნის საშუალება.

§2. იურიდიული პასუხისმგებლობის პრინციპის ბანსაზღვრის პრობლემა

სასწავლო ლიტერატურაში აღიარებულია, რომ იურიდიული პასუხისმგებლობის არსის უფრო ფართოდ გაცნობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მისი პრინციპების განსაზღვრას. სადაც აისახება ის კანონზომიერი კავშირები, რომელთა წყალობითაც ისინი არსებობენ. პასუხისმგებლობის პრინციპების შესწავლა საშუალებას გვაძლევს—სწორად გამოვიყენოთ დამცავი ნორმები, სამართალში ხარვეზების შემთხვევაში სწორად გადავწყვიტოთ კანონისა და სამართლის ანალოგია და უზრუნველვყოთ სახელმწიფო იძულების ეფექტურობა.

სამართლის მეცნიერებაში არსებობს იურიდიული პასუხისმგებლობის შემდეგი პრინციპები: კანონიერება, სამართლიანობა, აღსრულების გარადუვალობა, მიზანშეწონილობა, სასჯელის ინდივიდუალობა, პასუხისმგებლობა დანაშაულისათვის, სასჯელის გაორმაგების დაუშვებლობა.

კანონიერება. კანონიერების არსი მდგომარეობს სამართლებრივი მოთხოვნების მკაცრი და ზუსტი რეალიზაციის აუცილებლობაში. იურიდიული პასუხისმგებლობის თვალსაზრისით ეს მოთხოვნები გამოიხატება იმით, რომ პასუხისგებაში მიცემა შეუძლია მხოლოდ კომპეტენტურ ორგანოებს კანონით მკაცრად ჩამოყალიბებული წესების მიხედვით და კანონით გათვალისწინებულ საფუძველზე.

პასუხისმგებლობის ფაქტიურ საფუძველს წარმოადგენს სამართალდარღვევა ყველა მისი ელემენტის ერთიანობაში! თუ სუბიექტის ქმედებებში არ არის სამართალდარღვევის შემადგენლობის თუნდაც ერთი ელემენტი, მაშინ არ არსებობს კანონიერი საფუძველი მისი პასუხისგებაში მიცემისათვის. არავითარი სხვა ფაქტორი (ეროვნულობა, პარტიულობა, განათლება, სქესი, იდეოლოგიური შეხედულებები და ა.შ.) არ შეიძლება იყოს ამის საფუძველი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს იქნება უკვე არა სამართლებრივი პასუხისმგებლობა, არამედ განუკითხაობა.

კანონიერება გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს დამრღვევის პასუხის-

გებაში მიცემის წესებსაც. დაუშვებელია კანონით ჩამოყალიბებული წესებისაგან გადახვევა პასუხისმგებლობის დაჩქარების, გამარტივების, ეფექტიანობის მომიზეზებით ან კანონის გადამეტებულ ფორმალისმზე დაყრდნობით.

სამართლიანობა. კანონიერ მოთხოვნებზე დაფუძნებული დამნაშავეის დასჯა გამსჭვალული უნდა იყოს სოციალური სამართლიანობის იდეებით. იგი წარმოადგენს სამართლის პრინციპს, მართლმსაჯულების საფუძველს. ა.ფ. კონი ხაზს უსვამდა, რომ სამართლიანობამ თავისი გამოხატულება უნდა პპოვოს კანონმდებლობაში, რომელიც მით უფრო მაღალია, რაც ღრმად ჩაიხედავს ადამიანური მოთხოვნილებებისა და შესაძლებლობების სიმართლესა და მართლმსაჯულებაში, ეს კი განპირობებულია ადამიანის პიროვნებისადმი რეალური და არა ფორმალური მიდგომით.¹

ეს გამონათქვამი სრულად მიესადაგება იურიდიულ პასუხისმგებლობასაც. „დასაჯო დამნაშავე ისე, რომ არ დაირღვეს სამართლიანობა—ამბობდა ფ. პ. მარატი, —ეს ნიშნავს ლაგამი ამოსდო ბოროტებას, დაიცვა უდანაშაულოები, იხსნა სუსტები შევიწროებისაგან, ხელიდან გამოსტაცო მანვილი ტირანიას, ხელი შეუწყო საზოგადოებაში წესრიგსა და მისი წევრების საზოგადოებრივ სიმშვიდეს. კიდევ სხვა რა მიზანი შეიძლება იყოს უფრო კეთილშობილი, უფრო გონივრული, უფრო ღირსულოვანი და უფრო მნიშვნელოვანი ადამიანთა კეთილდღეობისათვის?“²

იურიდიული პასუხისმგებლობის სამართლიანობა არ არის აბსტრაქტული. ზნეობრივი ან ფსიქოლოგიური ცნება. იგი წარმოჩნდება ფორმალური მოთხოვნილებების შემდეგი სისტემით:

—არ შეიძლება სისხლის სამართლის სასჯელი დაინიშნოს გადაცდომისათვის;

—კანონს, რომელიც აწესებს პასუხისმგებლობას ან აძლიერებს მას, უკუქმედების ძალა არა აქვს;

—თუკი დამრღვევის მიერ მიყენებულ ზიანს გააჩნია შექცევადი ხასიათი, იურიდიულმა პასუხისმგებლობამ უნდა უზრუნველყოს მისი ანაზღაურება;

—ერთი დანაშაული მხოლოდ ერთი სასჯელით უნდა განისაზღვროს;

—პასუხისმგებლობა ეკისრება სამართალდარღვევის ჩამდენს;

¹ Кон А.Ф. Собр. соч. М., 1968 г. ст. 25.

² Марат Ж.П. План уголовного законодательства. М., 1951 г. ст. 31.

—სასჯელის სახეობა და ზომა დამოკიდებულია სამართალდარღვევის სიმძიმეზე.

პასუხისმგებლობის დაკისრების დროს გათვალისწინებულია როგორც დამამძიმებელი, ასევე შემამსუბუქებელი გარემოებები.¹ კანონით გათვალისწინებულ ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია სასჯელის ზომის განსაზღვრა სანქციის ზღვრული ნორმით დაწესებულზე უფრო ქვევით, ან პიროვნების საერთოდ გათავისუფლება სასჯელისაგან.

—აღსრულების გარდაუვალობა. იურიდიული პასუხისმგებლობა უწყვეტად არის დაკავშირებული სამართალდარღვევასთან. ამ კავშირიდან გამომდინარეობს პასუხისმგებლობის გარდაუვალობის პრინციპი, ნებისმიერ სამართალდარღვევაზე მისი აღსრულების აუცილებლობა. თუკი ამა თუ იმ ქმედებებს უნდა მოჰყვეს სახელმწიფო იძულების ზომები, მაშინ კანონიერი საფუძვლების გარეშე არავინ და არავითარი მიზეზით (საზოგადოებრივი მდგომარეობა, პარტიული კუთვნილება, ნათესაური კავშირები და ა.შ.) არ შეიძლება იყოს გათავისუფლებული პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან.

თუ სამართალდარღვევა ჩადენილია, ხოლო მას პასუხისმგებლობა არ მოჰყვა, ეს მორალურ ზიანს აყენებს კანონის ავტორიტეტს, მოქალაქეებისა და თანამდებობის პირების შეგნებაში ამკვიდრებს უკანონობის განწყობას. მოქალაქეთა შეგნებაში სამართალდარღვევისა და სასჯელის შესატყვისი კავშირის აუცილებლობის დანერგვა სამართალდარღვევის შემცირების მნიშვნელოვანი ფაქტორია.

მიზანშეწონილობა. პასუხისმგებლობის გარდაუვალობა გულისხმობს მის მიზანშეწონილობას. პასუხისმგებლობა აუცილებლად განხორციელდება, იმიტომ, რომ იგი მიზანშეწონილია. დაუშვებელია დამნაშავის გათავისუფლება პასუხისმგებლობისაგან კანონიერი საფუძვლის გარეშე სიმძიმის, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობის, პოლიტიკური, იდეოლოგიური და სხვა არასამართლებრივი მოტივების მომიზეზებით. ამასთანავე, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ პასუხისმგებლობის მიზანშეწონილობა, როგორც იურიდიული მოვლენა და მიზანშეწონილობის გათვალისწინება სამართალშეფარდებით პროცესში პიროვნების მიმართ პასუხისმგებლობის დაკისრების, მისი სასჯელის ზომის განსაზღვრის დროს. ამ შემთხვევაში მიზანშეწონილია, დამნაშავისათვის შერჩეული ზემოქმედების ღონიძიებები შეესაბამებოდეს იურიდიული პასუხისმგებლობის მიზნებს. იგი ითვისწინებს მკაცრი ინდივიდუა-

¹ იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. თბ., 2000 წ. სადაც კონკრეტულ მუხლებში ისინი უკვე მითითებული აღარ არის, მაგრამ მათი გათვალისწინების საშუალებას იძლევა ცალკეული მუხლები. გვ. 18-19 გვ. 27-29

ლური დამსჯელი ღონისძიებების გატარებას არა მხოლოდ დანაშაულის სიმძიმიდან, არამედ თვითონ დამნაშავეის პიროვნული თვისებებიდან, ქმედების ჩადენის პირობებიდან და ა.შ. გამომდინარე. თუ პასუხისმგებლობის მიზნები მიღწეული იქნება მისი რეალიზაციის გარეშე, კანონი იძლევა დამნაშავეის პასუხისმგებლობიდან გათავისუფლების შესაძლებლობას. შეიძლება იგი თავდებით იქნეს გამოშვებული და სხვ.

მიზანშეწონილობის მოთხოვნები პასუხისმგებლობის რეალიზაციის პროცესში არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კანონიერების მოთხოვნებს (მიზანშეწონილობა არ უშვებს სახელმწიფო ორგანოს თვითნებური, სუბიექტური გადაწყვეტილებების გამოტანის შესაძლებლობას). მით უმეტეს, არ შეიძლება კანონის მოთხოვნების დარღვევა მისი არამიზანშეწონილობის მომიზეზებით, რადგანაც თვითონ კანონი იძლევა მიზანშეწონილი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. მაგალითად, სისხლის სამართლის ნორმები შედარებით პირობითადაა განსაზღვრული, რაც შესაძლებლობას აძლევს სახელმწიფო ორგანოს კონკრეტულ შემთხვევაში უფრო მიზანშეწონილი სასჯელის ზომა აირჩიოს.

სასჯელის ინდივიდუალიზაცია. ამ პრინციპის არსია ის, რომ პასუხი ჩადენილ სამართალდარღვევაზე თვითონ დამნაშავემ უნდა აგოს. დაუშვებელია მისი გადატანა დამნაშავიდან სხვა სუბიექტზე (მაგალითად, ხელმძღვანელის უპასუხისმგებლო ქმედებაზე ხშირად პასუხისმგებლობას აკისრებენ წარმოებას, როგორც იურიდიულ პირს, მოზარდთა სამართალდარღვევაზე პასუხისმგებლობას აკისრებენ მშობელს, მასწავლებელს).

ამ პრინციპის ცხოვრებაში გასატარებლად მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობაში ზუსტად განმტკიცდეს ნებისმიერი პირის ფუნქცია და ასევე ზუსტად განისაზღვროს პასუხისმგებლობის ზომები მისი შეუსრულებლობისათვის. იურიდიული პასუხისმგებლობა ეფექტიანია მხოლოდ მაშინ, როცა მისი მატარებელი პერსონალურად არის განსაზღვრული. ეს გამორიცხავს „უპირო“, კოლექტიური პასუხისმგებლობის პრობლემას და პასუხისგებაში მხოლოდ იმ პირთა მიცემას, რომლებიც რაიმე კავშირში იყვნენ დამნაშავესთან.

დანაშაულისათვის პასუხისმგებლობა. პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს მხოლოდ სამართალდამრღვევის მიერ ჩადენილი დანაშაულის არსებობის შემთხვევაში, რაც ნიშნავს პიროვნების მიერ საკუთარი საქციელისა და მისგან გამოწვეული შედეგების შეცნობას. თუ პიროვნება უდანაშაულოა, მიუხედავად მისი ქმედების სიმძიმისა, არ შეიძლება მისი პასუხისგებაში მიცემა. ამასთანავე, სამოქალაქო ნორმების განსაკუთრებულ შემთხვევებში დაშვებულია პასუხისმგებლობა დანაშაუ-

ლის გარეშე, ე.ი. თვით მართლსაწინააღმდეგო, სოციალური ქმედების ჩადენის ფაქტზე. კერძო, გადამეტებული საფრთხის წყაროს მფლობელი, ორგანიზაცია ან მოქალაქე ვალდებულია აანაზღაუროს ამ წყაროთი მიყენებული ზარალი, მაშინაც კი, როდესაც არ არის დამნაშავე ზარალის მიყენებამი.

სამართლის სხვადასხვა დარგებში სხვადასხვაგვარად წყდება საკითხი, როგორ განისაზღვროს დამრღვევის დანაშაული, ვინ უნდა დაამტკიცოს იგი. პიროვნების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის დროს მოქმედებს უდანაშაულობის პრეზუმპცია. პიროვნება ითვლება უდანაშაულოდ მანამ, სანამ სასამართლოს მიერ არ დამტკიცდება მისგან ჩადენილი დანაშაული. ბრალდებულის დამნაშავეობას ამტკიცებს სახელმწიფო ორგანო, თვითონ კი თავისუფლება აუცილებლობისაგან დაამტკიცოს საკუთარი უდანაშაულობა. სამოქალაქო სამართალში მოქმედებს მეორე პრეზუმპცია—ზიანის მიმიყენებლის დამნაშავეობის. პიროვნება სამართალდარღვევის ობიექტური მხარის არსებობის შემთხვევაში დამნაშავეა მანამ, სანამ საწინააღმდეგოს არ დაამტკიცებს. ორივე პრეზუმპცია ემსახურება პიროვნების ინტერესების, მისი პირადი და ქონებრივი უფლებების დაცვას. პირველ შემთხვევაში საუბარია სამართალდამრღვევზე, მეორეში—იმ პირის ინტერესებზე, რომელიც სამართალდარღვევისაგან დაზარალდა.

პასუხისმგებლობის გაორმაგების დაუშვებლობა არის ერთი სამართალდარღვევისათვის იურიდიული პასუხისმგებლობის ორი ან მეტი სახეობის შეერთების დაუშვებლობა. ეს არ ნიშნავს, რომ ერთ დანაშაულზე არ შეიძლებოდეს ძირითადი და დამატებითი სასჯელის (მაგალითად, თავისუფლების აღკვეთა და ქონების კონფისკაცია) გამოტანა, მაგრამ ერთი დარღვევისათვის დამნაშავე მხოლოდ ერთხელ შეიძლება დაისაჯოს.

§3. იურიდიული პასუხისმგებლობის საფუძვლები და სახეები

სამართალდარღვევა უშუალოდ არ იწვევს სუბიექტის პასუხისმგებლობას, საჭიროა სამართალდაცვითი ნორმის შეფარდების აქტი, რაც დაკავშირებულია კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს მიერ პირისათვის გარკვეული ვალდებულების მბრძანებლურ დაკისრებასთან, რომელიც ზუსტად დადგენილი მოქმედების ან უმოქმედობის ვალდებულებაში, თავისუფლების გარკვეულ შეზღუდვაში შეიძლება გამოიხატოს.¹

იურიდიული პასუხისმგებლობის საფუძვლები არის გარემოებები,

¹ იხ. ნ. სეანელი, დას. ნაშ. გვ. 141-143.

რომელთა არსებობა პასუხისმგებლობის დადგომას არა თუ შესაძლებელს, არამედ აუცილებელს ხდის, მათი არარსებობა კი გამორიცხავს მას. იურიდიული პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ სამართლის ნორმების მოთხოვნათა დაცვით სამართალშეფარდებითი ორგანოს გადაწყვეტილებების საფუძველზე. მის ფაქტიურ დასაყრდენს წარმოადგენს სამართალდარღვევა და ხასიათდება სხვადასხვა ნიშან-თვისებათა ერთობლიობით, რომლებიც წარმოქმნიან სამართალდარღვევის შემადგენლობას:

—სამართალი განსაზღვრავს მოქმედებათა იმ წრეს, რომელიც ხელყოფს საზოგადოებრივ ურთიერთობათა მონაწილეების უფლებებს. ადგენს თუ რომელი მოქმედება ითვლება სამართლით აღიარებული უფლების დარღვევად (სამართალდარღვევად).

—სამართალდარღვევა არის ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს სამართლის ნორმით გათვალისწინებულ შედეგს—ზიანს აყენებს სამართლის სუბიექტის ინტერესს, ან ქმნის ზიანის მიყენების რეალურ საფრთხეს.

—სამართალდარღვევა სახეზეა, როდესაც არსებობს აუცილებელი მიზეზობრივი კავშირი პირის მოქმედებასა და დამღვარ შედეგს შორის (ან ზიანის მიყენებით რეალური საფრთხე შეიქმნა).

—იმისათვის, რომ პირის მოქმედება ცნობილი იქნას, სამართალდარღვევად საჭიროა ბრალის არსებობა.¹

პირი შეიძლება მიცემულ იქნას პასუხისგებაში მხოლოდ ამ შემადგენლობის ყველა ელემენტის არსებობის დროს.

სამართალდარღვევა თავისთავად ავტომატურად არ იწვევს პასუხისმგებლობას, არ მიმართავს სახელმწიფო იძულებით ზომებს, არამედ წარმოადგენს მხოლოდ საფუძველს ასეთის გამოყენებისათვის. იურიდიული პასუხისმგებლობის რეალური განხორციელებისათვის აუცილებელია სამართლის ნორმის შეფარდების აქტი—კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილება, რომელიც კონკრეტულ პიროვნებას დააკისრებს იურიდიულ პასუხისმგებლობას და განუსაზღვრავს იძულებითი ღონისძიების ზომას და ფორმას. ეს შეიძლება იყოს სასამართლოს განაჩენი, ადმინისტრაციული ბრძანება და ა.შ.

ცალკეულ შემთხვევებში კანონი ითვალისწინებს არა მარტო პასუხისმგებლობის, არამედ მისგან და სასჯელისგან გათავისუფლების საფუძველსაც. ამგვარად, პირი, რომელმაც ჩაიდინა დანაშაულის ნიშ-

¹ იხ. ბ. სავანელის დას. ნაშ. გვ. 134-160.

ნების შემცველი ქმედება, შეიძლება გათავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, თუკი გამოძიების ან სასამართლოში საქმის განხილვის დროს მიიჩნევენ, რომ გარემოებების შეცვლის შედეგად ჩადენილმა ქმედებამ დაკარგა სოციალურად საშიში ხასიათი. კერძოდ, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან ან სასჯელისაგან გათავისუფლება ითვალისწინებს არასრულწლოვანის მშობლების, მათი შემცველი პირების, ან სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანოს ზედამხედველობაში გადაცემას. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესაძლებლობა დაფიქსირებულია სხვა დარგობრივი სამართლის ნორმებითაც.

იურიდიული პასუხისმგებლობით გასათვალისწინებელი ფაქტობრივი გარემოებების მრავალგვარობა მოითხოვს მათი აღმოჩენისა და პიროვნების პასუხისმგებლობაში მიცემის გარკვეული მოქმედების ჩატარებას. იურიდიული პასუხისმგებლობისათვის დამახასიათებელია მისი განხორციელების ზუსტი ნორმატიული რეგლამენტაცია. ასეთი რეგლამენტი აუცილებელია მოქალაქეებისა და სხვა სუბიექტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების მაქსიმალურად დაცვის უზრუნველყოფისათვის.

იურიდიული პასუხისმგებლობის დაკისრების წესი ყალიბდება საპროცესო სამართლის ნორმებით, რომლებიც იურიდიული ფაქტის არსებობის შემთხვევაში ქმნიან პროცესუალურ სამართალური თვითობებს, მკაცრი რეგლამენტაცია საშუალებას იძლევა ზუსტად დაფიქსირდეს საქმის ყველა გარემოება, სამართალდარღვევის შემადგენლობა, ამასთანავე დაცული იყოს პროცესის ნებისმიერი მონაწილის უფლებები. განხილვის ზედმეტად გართულებული ფორმები ზოგ შემთხვევაში წარმოქმნის ფორმალურად, გაჭიანურებას და ა.შ., მაგრამ კიდევ უფრო დიდ ზიანს იწვევს საპროცესო პასუხისმგებლობის დაკისრების მექანიზმის არასრულყოფილებას.

იურიდიული პასუხისმგებლობის კლასიფიკაცია სასწავლო ლიტერატურასა და იურიდიულ მეცნიერებაში სხვადასხვა კრიტერიუმებითაა დაყოფილი. სამართალშეფარდებაში ყველაზე გავრცელებულია პასუხისმგებლობის დაყოფა დარგობრივი ნიშნით. ამ საფუძველზე გამოიყოფა სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული, სამოქალაქო-სამართლებრივი, დისციპლინარული და მატერიალური პასუხისმგებლობა. ნებისმიერ ამ სახეს გააჩნია სპეციფიკური საფუძველი (სამართალდარღვევის სახეობა), რეალიზაციის განსაკუთრებული წესი, იძულების სპეციფიკური მეთოდები (იხ. ცხრილი გვ. 431).

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა პასუხისმგებლობის ყველაზე მკაცრი სახეობაა. იგი გათვალისწინებულია დანაშაულისათვის და პასუხისმგებლობის სხვა სახეებისაგან განსხვავებით მხოლოდ კანონითაა განსაზღვრული. არც ერთ სხვა ნორმატიულ აქტს არ შეუძლია შეაფასოს მართლსაწინააღმდეგო ქმედება, როგორც დანაშაულებრივი და დააკისროს მისთვის პასუხისმგებლობის ზომები.

სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემის უფლებამოსილება აქვს მხოლოდ სასამართლოს. არავინ არ უნდა იყოს მიჩნეული დამნაშავედ და განესაზღვროს სასჯელის ზომა სასამართლო განაჩენის გარეშე. სისხლის სამართლის სასჯელის ზომები სახელმწიფო იძულების ყველაზე მკაცრი ფორმაა და უმთავრესად დამნაშავეის პიროვნებაზე ზემოქმედებს: თავისუფლების აღკვეთა, გამასწორებელი სამუშაოები, ქონების კონფისკაცია და ა.შ. თუმცა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის პროცესუალური ფორმის საფუძველში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძვეს უდანაშაულობის პრეზუმფცია.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ-დარღვევას (გადაცდომა) მოსდევს. ადმინისტრაციული იძულების ზომები: გაფრთხილება, ჯარიმა, განსაკუთრებული უფლებების ჩამორთმევა, ადმინისტრაციული პატიმრობა.

სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა. სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევას ანდა ხელშეკრულების გარეშე ქონებრივი ზიანის მიყენება, ე.ი. სამოქალაქო-სამართლებრივი დელიქტის შემთხვევას მოსდევს. მისი არსი მდგომარეობს, აიძულოს პირი აანაზღაუროს ზარალი. ზარალის სრული ანაზღაურება სამოქალაქო პასუხისმგებლობის ძირითადი პრინციპია. რომლის ანაზღაურებას ზოგ შემთხვევაში ემატება საჯარიმო სანქციები, მაგალითად, პირისაგამტეხლოს გადახდა.

დისციპლინური პასუხისმგებლობა დგება დისციპლინური გადაცდომის შედეგად. მათი სამართალდაპირისპირების სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ ასეთ შემთხვევაში ირღვევა არა ამკრძალავი ნორმა, არამედ მუშაკის შრომითი ვალდებულებით განსაზღვრული დადგენილი წესი. დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრება შეუძლია კონკრეტულ მუშაკზე განმკარგულებელ-დისციპლინარული ძალაუფლების მქონე პირს. არსებობს დისციპლინარული პასუხისმგებლობის სამი სახესხვაობა: შინაგანი შრომითი განაწესის, დაქვემდებარების წესის და დისციპლინარული წესდებებისა და დებულებების შესაბამისად. დისციპლინარული პასუხისმგებლობის სახეებია საყვედური, მკაცრი საყვედური, სამსახურიდან განთავისუფლება და ა.შ.

იურიდიუ- ლი პასუხის- მგებლობის სახეები	სისხლის სამარ- თლის	ადმინის- ტრაციუ- ლი	სამოქალა- ქო- სამარ- თლებრივი	დისციპ- ლინური	მატერიალუ- რი
სამართალ- დარღვევა	დანაშაული	ადმინისტრა- ციული გადაცდომა	სამოქალაქო სამარ- თლებრივი დელიქტი	დისციპლი- ნური გადაცდომა	მატერიალუ- რი ზარალი
სამართალ- გადაცემის სუბიექტი	სასამარ- თლო	ადმინისტრა- ციული ორგანოები	სასამართლო	საწარმოს ადმინის- ტრაცია	საწარმოს ადმინისტრა- ცია
ფორმა	თავისუფ- ლების აღკვეთა	ჯარიმა	საურავი, ზარალის ანაზღაუ- რება	საყვედური, გათავისუფ- ლება	ფულის გადახდვე- ნება
იურიდიული წესი	სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი	ადმინისტრა- ციული სამართალ- დარღვევის საპროცესო კოდექსი	სამოქალაქო საპროცესო კოდექსი	შრომის კოდექსი	შრომის კოდექსი
სამართალ- შეფარ- დებითი აქტი	განაჩენი	დადგენი- ლება	გადაწყვეტი- ლება	ბრძანება	ბრძანება

მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური პასუხისმგებლობა საწარმოო-
დაწესებულებისათვის მიყენებული ზარალისათვის გამოიხატება კანონ-
ით დადგენილი წესით ზიანის აუცილებელ ანაზღაურებაში. ასეთი
პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს შრომის პროცესში ზიან-
ის მიყენება იმ საწარმოსათვის, რომელთანაც მუშა იმყოფება შრომით
ურთიერთობაში. მიყენებული ზარალის რაოდენობა განისაზღვრება „მუშა
ან მოსამსახურის ხელფასის გარკვეული ნაწილით და არ უნდა აღემა-
ტებოდეს მიყენებული ზიანის სრულ ოდენობას“¹. ამას გარდა, როგორც

¹ იხ. საქართველოს შრომის კანონის კოდექსი, თბ., 2000 წ. გვ. 44-46.

დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის სახის სამეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით კანონმდებლობის საწინააღმდეგო აქტების გაუქმების პრობლემას. მიუხედავად იურიდიულ პასუხისმგებლობასთან გარკვეული მსგავსებისა და მოცემული პრობლემის მნიშვნელობისა, მკვლევარები ვარაუდობენ, რომ იგი მაინც განსხვავდება პასუხისმგებლობისაგან,¹ რაზედაც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი, მაგრამ პრობლემა შემდგომში შესწავლა-დამუშავებას საჭიროებს.

§4. იურიდიული პასუხისმგებლობა და სახელმწიფოებრივი იძულების ლეგიტიმურობის პრობლემა

იურიდიული პასუხისმგებლობა უფრო მეტად იძულებაა. ცნობილია, რომ იძულებითი ზემოქმედება ყველა დროის საზოგადოებაში არსებობდა, მაგრამ იურიდიული პასუხისმგებლობა არის არა ზოგადად იძულება, არამედ სახელმწიფო ლეგიტიმური იძულება. მის ლეგიტიმურობას წარმოადგენს ის, რომ იძულებით ღონისძიებებს ახორციელებს სახელმწიფო ორგანოები სახელმწიფოს სახელით. ასეთი იძულების მეორე დამახასიათებელი თვისებაა სამართლებრივი ხასიათი, რომლის ძალითაც იგი მოქმედებს, როგორც სამართლებრივი იძულება. სახელმწიფო იძულების სამართლებრივი ხასიათი მდგომარეობს იმაში, რომ მას კანონით განსაზღვრული ფორმით და კანონიერ საფუძველზე ახორციელებენ მხოლოდ კომპეტენტური ორგანოები.

იურიდიული პასუხისმგებლობა არ არის სახელმწიფო იძულების ერთადერთი ფორმა, ვინაიდან სახელმწიფო იძულება არის სამართლის ობიექტური თვისება და აქვს გარკვეული მიზნები სამართლებრივი რეგულირების პროცესში. კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში დარღვეული უფლებების აღდგენისა და დაცვის მიზნით სახელმწიფო მიმართავს იძულებით ზომებს დამნაშავეის პასუხისმგებაში მიცემის გარეშე. ასეთ ზომებს წარმოადგენს უცხო პირის უკანონო მფლობელობაში არსებული ქონების იძულებით ამოღება (ვინდიკაცია), ალიმენტის იძულებითი გადახდევინება ბავშვების შესანახად და ა.შ. და თუმცა ამ შემთხვევებში იძულება მიმართულია სამართალდამრღვევისაკენ (მაგალითად, მშობელი, რომელიც თავს არიდებს ალიმენტის გადახდას), აქ არ ხორციელდება სასჯელის მიზანი—დამნაშავეის დასჯა. ეს ზომები

¹ Теория государства и права. М., 1999 г. ст. 432.

განსაზღვრულია არა იურიდიული ნორმების სანქციებით, არამედ მათი დისპოზიციით.

სახელმწიფო იძულების ზომებს მიეკუთვნება აღკვეთის ზომებიც. ისინი სამართალდარღვევის თავიდან აცილებისათვისაც გამოიყენება. აღკვეთის ზომებს მიეკუთვნება დაკავება, ჩხრეკა, ბარგის დათვალიერება და სხვა. მათ აქვთ სამართლებრივი ხასიათი და კანონის საფუძველზე განსაზღვრული წესით სრულდება.

კანონმდებლობა ითვალისწინებს სახელმწიფო იძულების სხვა სპეციალურ ზომებსაც, რომლებიც პასუხისმგებლობას არ წარმოადგენენ. ეს არის, მაგალითად, აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ზომები, რომლებიც გამოიყენება არასრულწლოვანი (არაქმედუნარიანი) პირების მიმართ, მათ მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისათვის. მათ აგრეთვე არ ახასიათებთ დასჯის ელემენტები. ასეთივე სპეციფიკა აქვთ სამედიცინო ხასიათის ზომებს—საზოგადოების უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით იძულებითი მკურნალობა იმ პირებისა, რომლებმაც შეურაცხად მდგომარეობაში ჩაიღინეს საზოგადოებისათვის საშიში ქმედებები.

სახელმწიფო იძულების სპეციფიკური ზომაა რეკვიზიტია—საგანგებო პირობებში მესაკუთრისათვის ქონების ჩამორთმევა მისი ღირებულების ანაზღაურებით სახელმწიფოს ან საზოგადოების სასარგებლოდ.

ყველა ჩამოთვლილ ზომას გააჩნია სახელმწიფო-სამართლებრივი ხასიათი, ისინი სამართლებრივ საფუძველზე ხორციელდებიან, რაც მათ ლეგიტიმურობას განაპირობებს.

თავი ოცდამეექვსე

კანონიერებისა და მართლწესრიგის პრობლემა

§1. კანონიერების ცნება

საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში თითქმის ერთად განიხილებოდა სამართალი, კანონიერება და მართლწესრიგი¹, ამიტომ თანამედროვე სამართლის თეორიით დაინტერესებული მკვლევარები ცდილობენ კანონიერება და მართლწესრიგი დამოუკიდებელ კვლევის საგნად აქციონ, გაირკვეს მსგავსებისა და განსხვავების პრობლემები, და მათი ადგილი კანონმდებლობის სისტემაში.

იურიდიულ ლიტერატურაში კანონიერების განსაზღვრის სხვადასხვა ვარიანტი არსებობს, ვიწრო გაგებით მკვლევარები კანონიერებას უწოდებენ სახელმწიფოსა და მისი ორგანოების, თანამდებობის პირთა და მოქალაქეთა საქმიანობის სახელმძღვანელო პრინციპებს. ანდა კანონიერებას განიხილავენ, როგორც სამართლებრივ რეჟიმს, ფართო გაგებით კანონიერება არის იურიდიული მეცნიერებისა და პრაქტიკის ფუნდამენტალური კატეგორია, ხოლო მისი დონე და მდგომარეობა სახელმწიფოსა და მისი მოქალაქეების სამართლებრივი ცხოვრების შეფასების მთავარ კრიტერიუმად გვევლინება და იგი სოციალური ცხოვრების მთავარ ფაქტორს წარმოადგენს. ამასთან, მისი ბუნებიდან გამომდინარე კანონიერება არ წარმოიდგინება სამართლებრივი ურთიერთობების გარეშე.

სამართლებრივი მოწესრიგების ეს მხარე მოიცავს ისეთ იურიდიულ კატეგორიებს, როგორცაა „სამართლის შეფარდება“, „მართლზომიერი ქცევა“, „სამართლებრივი ურთიერთობა“, „სამართლის ეფექტურობა“. ყველა ეს კატეგორია შეესაბამება უშუალოდ სამართლის მოქმედებას, უფრო კონკრეტულად „სამართლებრივი ქცევა“ განსაზღვრავს სუბიექტის მოქმედების შესაბამისობას სამართლის ნორმებთან, „სამართლებრივი ურთიერთობა“ მიუთითებს მისი მონაწილეების სამართლებრივ კავშირებზე, „სამართლის ეფექტურობა“—სამართლებრივი ზემოქმედების შედეგიანობაზე და ა.შ., კანონიერება კი არის ამ კატეგორიათა კომპლექსი, რომელიც სამართლებრივი ურთიერთობის ყველა ასპექტს, მთლიანად საზოგადოებრივი ცხოვრების მოწესრიგებას მოიცავს.

¹ დაწ. იხ. Общая Теория права и государства под. ред. В. Лазарева М. 1996 г. стр. 218.

კანონიერება გამოხატავს მთლიანად სამართალთან საზოგადოების ურთიერთობის საერთო პრინციპებს. აქედან გამომდინარე, მისი შინაარსი განიხილება:

ა) საზოგადოებრივი ცხოვრების „სამართლებრივი“ ხასიათით;

ბ) კანონის საყოველთაო პატივისცემისა და ნებისმიერი სუბიექტის მიერ მისი აუცილებელი შესრულებით;

გ) მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების რეალური უზრუნველყოფისა და აუცილებელი დაცვის, მთლიანად მართლწესრიგის ნებისმიერი დარღვევისაგან დაცვის თვალსაზრისით.

მაშასადამე, კანონიერების შინაარსი დაკავშირებულია როგორც სამართლის ცხოვრებაში გამტარებელი სუბიექტის ქმედებებთან, ასევე სამართლის ჩამოყალიბების, რეალიზაციისა და დაცვის უზრუნველყოფი სახელმწიფო ორგანოების მოღვაწეობასთან.

უახლოეს წარსულში მეცნიერები კანონიერებას აანალიზებდნენ უპირატესად მეორე ასპექტით, განმარტავდნენ მას, როგორც ნებისმიერი სუბიექტის მიერ სამართლის ნორმების უსიტყვოდ დაცვის მოთხოვნას. ეს თავისი არსით სწორი გაგებაა, მაგრამ ცალმხრივად ასახავს ამ მოვლენის შინაარსსა და დედააზრს. ამ შემთხვევაში კანონიერების მოთხოვნები ვრცელდება მხოლოდ იმ მოქალაქეებსა და ორგანიზაციებზე, რომლებიც უშუალოდ ახდენენ საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების რეალიზაციას. იმ ორგანოების მოღვაწეობა კი, რომლებიც სამართლებრივ მოწესრიგებას უზრუნველყოფენ (სამართალშემოქმედებითი და სამართალშეფარდებითი), მისი შემადგენლობის გარეთ რჩება.

ეს გაგება ცალმხრივად მიმართავდა იურიდიულ პრაქტიკასაც. კანონიერების უზრუნველყოფა საბოლოოდ გამოიხატება საკონტროლოსაზედამხედველო და სამართალდამცველი ორგანოების საქმიანობით გამოველინებინათ და შემდგომ დაესაჯათ სამართალდამრღვევები. თვითონ სასამართლოც კი განიხილებოდა როგორც სამართალდამცველი და არა როგორც მართლმსაჯულების ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეთა და მათი გაერთიანებების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.

კანონიერების ამგვარი გაგება, რომელიც ტოტალიტარულ რეჟიმს აკმაყოფილებდა, სრულიად ვერ ასახავს საზოგადოების ნორმალურ ფუნქციონირებას დემოკრატიის პირობებში, მით უფრო, ხელს ვერ უწყობს სამართლებრივი სახელმწიფოსა და საზოგადოების ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას. კანონიერების ამგვარი განმარტება არის სამართლისა და კანონის გაიგივების შედეგი, როცა სახელმწიფოს მიერ მიღებული ნებისმიერი ნორმატიული აქტი (თუნდაც ანტიკომუნური, რეაქციული) არის „სამართლებრივი“ და შესაბამისად დაუყო-

ნებლიე რეალიზაციას მოითხოვს, თუმცა ეს აქტები ვერ უზრუნველყოფენ სამართლებრივი რეგულირების, კანონიერების მიზნების აღსრულებას. პირიქით, ისინი ქმნიან სოციალურ დაძაბულობას, ზღუდავენ მოქალაქეთა თავისუფლებას, მათ ბუნებრივ უფლებებს, უშვებენ უკანონობასა და თვითნებობას თანამდებობის პირთა საქმიანობაში. ამის გარდა რთული არ არის შეენიშნოთ, რომ კანონიერების ამ გაგებით აქცენტი კეთდება მხოლოდ სამართლის ნორმების შესრულებაზე, ხოლო ამ ნორმების შემადგენლობის საკითხს გვერდს უვლიან.

ყველაზე ფართო გაგებით, კანონიერება არის კომპლექსური პოლიტიკურ-სამართლებრივი მოვლენა, რომელიც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ორგანიზების სამართლებრივ ხასიათს, სამართალსა და ხელისუფლებას, სამართალსა და სახელმწიფოს შორის ორგანულ კავშირებს გამოსახავს. შემთხვევითი არ არის, რომ ადრე სამართლებრივი სახელმწიფოს თეორიას—„სამართლის ბატონობას“—უწოდებდნენ.¹

კანონიერების ანალიზი, ამ სიტყვის ფართო გაგებით, საშუალებას გვაძლევს მის შინაარსში გავარჩიოთ—სამართლებრივი, იურიდიული და სახელმწიფო-პოლიტიკური—მომენტები.

კანონიერება განუყოფელია სამართლის საერთო-საყოველთაო აუცილებლობისაგან. ყველაზე მეტად სწორედ ეს მომენტი აისახება მეცნიერებაში კანონიერების განსაზღვრის უმეტეს შემთხვევებში, ანუ კანონიერება ახასიათებს სამართალს მისი შესრულების თვალსაზრისით. აქ მთავარია კანონებისა და მათზე დაფუძნებული ნორმატიული აქტების ცხოვრებაში უთუოდ განხორციელების მოთხოვნა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კანონიერება ამგვარი გაგებით მოითხოვს საზოგადოებრივი ურთიერთობების სუბიექტების ქცევის შესაბამისობას სამართლებრივი ნორმების მოთხოვნებთან, ე.ი. ყველა მისი მონაწილის მართლზომიერი ქცევების რეალურ უზრუნველყოფას. კანონიერების ამგვარი განსაზღვრა გამომდინარეობს თვით სამართლის, როგორც საყოველთაოდ სავალდებულო წესების სისტემის არსებობის ფაქტიდან. ამ პოზიციებიდან შეიძლება ვისაუბროთ კანონიერებაზე, როგორც სახელმწიფოებრივად ორგანიზებული საზოგადოების ცხოვრების პირობებზე.

განსახილველი მოვლენის სხვა მხარე გაიგივებულია კანონიერების იდეასთან, რომელშიც იგულისხმება საზოგადოებრივ სამართალშეგნებაში ჩამოყალიბებული იდეა ისეთი რეალური მდგომარეობის მიზანშეწონილებისა და აუცილებლობის შესახებ, როდესაც თვითნებობისათვის ადგილი არ რჩება, ფაქტიურად, მიღწეულია სამართლის საყოველთაობა, უფლებებისა და თავისუფლების ნამდვილი რეალიზაცია. შემთხვე-

¹ Хропанюк В.Н. Теория государства и права. М., 1999 г. ст. 343-348.

ვითი არ არის, რომ კანონიერება განიმარტება, როგორც სამართლის პრინციპი, რომელიც ერთობლიობაში გამოხატავს ამ უკანასკნელის მოქმედებასა და რეალიზაციის პროცესში გამოხატულ მის თვისებებს. შედეგად სამართალიც განიხილება, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობების ორგანიზებულობის უზრუნველყოფი ძალა. კანონიერება წარმოადგენს საერთო-სამართლებრივ პრინციპებს და მოიცავს მთელ სამართლებრივ მატერიას, განსაზღვრავს მის ფორმირებას, ფუნქციონირებას, განვითარებას და, კერძოდ, სამართლის ისეთ ნიშან-თვისებას, როგორიცაა კანონის უზენაესობა და სამართალშეფარდებითი აქტების ნორმატიულობა.

კანონიერების, როგორც სახელმწიფოს მიერ საზოგადოების ხელმძღვანელობის მეთოდის, გაგება გულისხმობს, რომ სახელმწიფო თავის ფუნქციებს ასრულებს მხოლოდ სამართლებრივი პრინციპებით—ნორმატიული აქტების მიღებისა და მისი უპირობო რეალიზაციის უზრუნველყოფის გზით. რადგანაც სამართლებრივი მოწესრიგება ვრცელდება საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროებზე, აუცილებელია მისი რეგლამენტაციის საკმაოდ ფართო სპექტრი. ამასთანავე, სახელმწიფო არა მარტო ფორმალურად განამტკიცებს სამართლებრივ ნორმებს, არამედ უზრუნველყოფს მის რეალიზაციას (პოლიტიკური, ორგანიზაციული, სამართლებრივი მეთოდებით) და უფლების დაცვასაც. ასეთ სახელმწიფოში დაუშვებელია თანამდებობის პირთა თვითნებობა, გამორიცხულია სუბიექტური, არასამართლებრივი გადაწყვეტილებების მიღება, პოლიტიკური საკითხების ძალოვანი მეთოდებით გადაწყვეტა. სახელმწიფოს მოღვაწეობაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა საკანონმდებლო და სასამართლო ორგანოებს.

ამავე დროს კანონიერება არის სახელმწიფო მოღვაწეობის პრინციპი. სახელმწიფო, ყველა მისი ორგანო, ორგანიზაციები და დაწესებულებები შეკავშირებული არიან სამართლებრივი ნორმებით, მოქმედებენ მის ფარგლებში და მისი რეალიზაციისათვის, ამ თვალსაზრისით განხილული კანონიერება ემსახურება არა ნებისმიერი, არამედ მხოლოდ დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კანონიერება არის თვითნებობისა და უკანონობის აღკვეთის თავიდან აცილების რეალური საშუალება და, უპირველეს ყოვლისა, თვით სახელმწიფო ხელისუფლების თვითნებობისა და უკანონობისა, რომელსაც ზოგიერთ შემთხვევაში სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლები და თანამდებობის პირები ჩადიან. ეს პრინციპი, განაპირობებს რა მის ღელააზრს, ყველაზე უფრო მკვეთრად მჟღავნდება სამართლებრივ სახელმწიფოში. ასეთი სახელმწიფო შეიძლება განისაზღვროს, როგორც მკაცრად კანონიერი სახელმწიფო.

ამასთანავე, სამართლის რეალიზაცია, ცხოვრებაში სამართლებრივი

მოთხოვნების უპირობო განხორციელების არა ფორმალური მოთხოვნაა, არა თვითმიზანია, არამედ სახელმწიფოსა და საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირების, წესრიგის, ორგანიზებულობისა და დისციპლინის უზრუნველყოფის პირობაცაა. კანონიერების წყალობით საზოგადოებაში ინერგება სამართლიანობის, ჰუმანიზმის, პირადი და საზოგადოებრივი თავისუფლების იდეები, ამიტომ ფართო სოციალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით კანონიერება შეიძლება საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების რიტმად მივიჩნიოთ. ეს არის პირობა, რომლის დროსაც ნებისმიერი სუბიექტის მოღვაწეობა კანონზეა დამყარებული, ხოლო სამართლის, ჰუმანიზმის, სამართლიანობის, თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის იდეები ბატონობს პირად, ჯგუფურ, კლასობრივ ინტერესებზე. კანონების ზუსტი და განუხრელი დაცვა, მოქალაქეთა უფლებების რეალურობა და ხელშეუხებლობა წარმოადგენს საზოგადოების, მისი მოქალაქეების ცხოვრების საფუძველს.

კანონიერებას ჯერ კიდევ არისტოტელე თვლიდა სახელმწიფოებრივი ფორმის—პოლიტიკის საუკეთესო ნიშან-თვისებად. ჰეგელიც ჭეშმარიტად დემოკრატიულ საზოგადოებას დესპოტურ სახელმწიფოს უპირისპირებდა, რომელშიც კანონი და პიროვნების თავისუფლება ბატონობს.

მაშასადამე, კანონიერება არის ისეთი პოლიტიკურ-სამართლებრივი წესრიგი (რეჟიმი), ცხოვრების ისეთი პირობები, ისეთი სამართლებრივი ატმოსფერო, რომელიც იცავს პიროვნებას ხელისუფლების თვითნებობისაგან, ადამიანთა მასას—ანარქიისაგან, მთლიანად საზოგადოებას—ძალადობის, ქაოსისა და უწესრიგობისაგან.¹

§2. კანონიერების პრინციპების ბანსაგვრის პრობლემა

მკვლევართა ნაწილი კანონიერებას განიხილავს როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების რეჟიმს და ამ ურთიერთობების განსაზღვრულ, დადგენილ წესს. თუ მას ასე გავიგებთ, მაშინ იგი გაიგივდება მართლწესრიგთან. სინამდვილეში კანონიერება გვეკვლინება, როგორც აუცილებლობა, რომელიც გამოიხატება ობიექტური მოთხოვნების სისტემით, რაც ახასიათებს სამართლით რეგულირებად საზოგადოებრივ ურთიერთობებში მონაწილე ყველა სუბიექტს. ამ მოთხოვნების ერთი ნაწილი ეხება მოქალაქეებს, ორგანიზაციებს, მეორე—სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა შტოებს (საკანონმდებლო, აღმას-

¹ Шобуров А.С. Законность и правопорядок, ук. ст. 443.

რულებელი, სასამართლო). განვიხილოთ ეს მოთხოვნები უფრო დაწვრილებით.

სამართლის ბატონობის იდეა წამოაყენა ჯერ კიდევ არისტოტელემ, იგი მიიჩნევდა, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში კანონი ყველაზე უნდა მბრძანებლობდეს,¹ ანუ ძირითადი როლი საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგებაში მიეკუთვნება სამართალს. სწორედ სამართალი უნდა იყოს სოციალური რეგულირების საფუძველში და არა პირადი, იდეოლოგიური, პოლიტიკური და სხვა მსგავსი მოტივები.

ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს ცხოვრების ყველა სფეროს ტოტალური სამართლებრივი რეგლამენტაციისაკენ მოწოდებას. სამართლით მოწესრიგებული უნდა იყოს მხოლოდ ის ურთიერთობები, რომლებიც ამას ობიექტურად საჭიროებენ. ამასთან, კანონმდებლობა ტექნიკურად სრულყოფილი, საკმაოდ მკაფიო, განსაზღვრული უნდა იყოს, არ უნდა უშვებდეს თვითნებურ ან წინააღმდეგობრივ განმარტებას და შეფარდებას, არ უნდა ჰქონდეს ხარვეზები. მაგრამ ეს საკითხის მხოლოდ ერთი მხარეა. კანონის უზენაესობის ხაზგასმისას უნდა გვახსოვდეს, რომ კანონი და სამართალი იდენტური ცნებები არ არის. პოლიტიკური პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ტოტალიტარული რეჟიმის, მმართველობის დესპოტური ფორმის, აბსოლუტური მონარქიის პირობებში თვითნებობის გამოხატულებად გვევლინება თვით კანონი, რადგანაც „უკანონო რეჟიმის დროს არ შეიძლება იყოს კანონიერი მოქმედება“.

კანონიერება მოითხოვს, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობების საყოველთაო მოწესრიგების პირობებში კანონის, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შინაარსი ყოველთვის უნდა შეესაბამებოდეს სამართლის ბუნებას. კანონმდებლობაში დამკვიდრებული უნდა იყოს ჰუმანური, სამართლიანი, სწორედ „სამართლებრივი“ გადაწყვეტა (კანონიერების ამ მოთხოვნებს განსაზღვრავენ აგრეთვე ტერმინით „სამართალ-კანონიერება“). კანონიერება მხოლოდ საზოგადოებრივი ურთიერთობების ობიექტური ბუნების, ძირითადი სამართლებრივი პრინციპების, თავისუფლების, ჰუმანიზმის და სამართლიანობის იდეების შესატყვისი კანონმდებლობის არსებობისას არის უზრუნველყოფილი.

კანონის უზენაესობა. კანონი არის სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგელობითი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოების აქტი, რომელიც უშუალოდ ხალხის ნებას, სამოქალაქო საზოგადოების ინტერესებს გამოხატავს, ამიტომ კანონიერება დაკავშირებულია, უპირველეს ყოვლისა, კანონების ბატონობასთან. ყოველი გამოცემული სამართლის ნორმა, რომელიც კანონს ეწინააღმდეგება, არის მისი დარღვევა და სასწრაფოდ უნდა გაუქმდეს.

¹ Этика Аристотеля. М., 1908 г.

ყველაზე დიდი იურიდიული ძალა აქვს კონსტიტუციას—სახელმწიფოს უზენაეს კანონს, ამიტომაც კანონიერების შინაარსი, როგორც უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, ეფუძნება კონსტიტუციურ კანონიერებას.

კანონის უზენაესობა მჟღავნდება არა მარტო კანონმდებლობის შინაარსის, არამედ ფორმის უზენაესობაშიც. ეს ნიშნავს, რომ ნორმატიული აქტები კანონით მკაცრად დადგენილი წესით და ფორმით უნდა მიიღებოდეს. მხოლოდ მაშინ გამოხატავენ ისინი სრულად ხალხის ნებას, საზოგადოების ინტერესებს, სამართლის ძირითად იდეებს და პრინციპებს, უზრუნველყოფენ ჭეშმარიტი კანონიერების რეჟიმს.

ყველას თანასწორობა კანონის წინაშე. კანონის წინაშე ყველა თანასწორი უნდა იყოს. ყველას უნდა ჰქონდეს სამართლის მოთხოვნების დაცვის თანაბარი ვალდებულება, ერთნაირ პირობებში ყველა თანაბარ ვალდებულებებს უნდა ფლობდეს და არავის უნდა ჰქონდეს უპირატესობა, ყველას უფლება ერთნაირად უნდა იყოს დაცული. ამ პრინციპს ქადაგებდა ციცერონი, იგი ამტკიცებდა, რომ „კანონის მოქმედების სფეროში ყველა უნდა ხვდებოდეს“¹. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აუცილებელია სამართლიანობის იდეა ცხოვრებაში ზორციელდებოდეს ყველას მიერ, მათ შორის, ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდანაც.

სამართლებრივი აქტების განუხრელი დაცვა (აღსრულება). ეს ნაკარნახევია სახელმწიფო-სახელისუფლებო მოთხოვნების (ვალდებულება და აკრძალვა) რეალიზაციის აუცილებლობით, მათი უპირობო სავალდებულოობით სამართლის ყველა სუბიექტისათვის.

უფლებებისა და თავისუფლებების განუხრელი დაცვის უზრუნველყოფა. ეს მოთხოვნა ეხება არა უფლებამოსილ (თავისი შეხედულებისამებრ შეუძლია უფლების რეალიზება ან რეალიზაციაზე უარის თქმა) პირს, არამედ სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებს. მოქალაქეებისათვის მარტო უფლებების მიცემა მხოლოდ მოტყუებაა, მნიშვნელოვანია იმ პირობების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფს მათ განხორციელებას, მათი დაცვის საგარანტიო ორგანიზაციული, იურიდიული ზომების სისტემას.

უფლების სათანადო სწორი და ეფექტური გამოყენება. ამ წესის ადრესატია სახელმწიფო ორგანოები, რომელთა კომპეტენციაში შედის ვალდებულება, უზრუნველყონ სამართლის ნორმების შესრულება. გავიხსენოთ, რომ უფლების გამოყენება არის კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების საქმიანობა სამართლის ნორმების რეალიზაციის უზრუნველსაყოფად. საქმეა არა მხოლოდ ის, რომ ეს ორგანოები უნდა

¹ Цицерон. Диалоги о государстве. О законах. М., 1966, ст. 139.

მოქმედებდნენ მკაცრად კანონის ჩარჩოებში—კანონიერება საჭიროებს ეფექტურ სამართალშეფარდებით საქმიანობას, რაც გულისხმობს საქმის გაჭიანურების, ბიუროკრატიზმის, ადამიანის ინტერესებისადმი გულგრილობის დაუსშევებლობას, დროულ რეაგირებას მოქალაქეთა ნებისმიერ განცხადებაზე მათი უფლებების და თავისუფლების შელახვის შესახებ, ეფექტიანი სამართალშეფარდებითი აქტების გამოცემას.

თანამიმდევრული ბრძოლა სამართალდარღვევასთან. კანონიერება მოითხოვს, რომ დროულად გაკეთდეს რეაგირება კანონის მოთხოვნათა ნებისმიერ გადახვევაზე, სამართალდარღვევის შედეგები აცილებული იქნეს, დამრღვევნი კი პასუხისგებაში მიეცნენ.

თანამდებობის პირთა საქმიანობაში თვითნებობის დაუსშევებლობა.

თანამდებობის პირები იღებენ სახელისუფლებო გადაწყვეტილებებს და უნდა ხელმძღვანელობდნენ არა პირადი ან ჯგუფური ინტერესებით, არამედ კონკრეტული სამართლებრივი მოთხოვნებით და, ამასთან, უნდა ითვალისწინებდნენ საზოგადოების, სახელმწიფოს ინტერესებს, სამართლებრივ პრინციპებს და მორალის მოთხოვნებს. ეს წესი ეხება არა მხოლოდ სამართალშეფარდებით, არამედ სამართალშემოქმედ ორგანოებსაც, რომლებმაც სამართლიდან უნდა გამორიცხონ თვითნებობის და სუბიექტივიზმის პირობების წარმომშობი ხარვეზები და წინააღმდეგობები. ამის გათვალისწინებით კანონიერება შესაძლოა შემდეგნაირად განიმარტოს:

კანონიერება არის საზოგადოებრივ-პოლიტიკური წესრიგი (რეჟიმი), რომელიც წარმოადგენს სამართლისა და კანონის უზენაესობას ურთიერთობების, ყველა მონაწილის მიერ სამართლებრივი ნორმების განუხრეულ განხორციელებას, თანამდებობის პირთა საქმიანობაში სამართალდარღვევის და თვითნებობის აღმოფხვრას, წესრიგის და ორგანიზებულობის უზრუნველყოფას.

ჭეშმარიტი, რეალური (და არა ფორმალური) კანონიერება უნდა იგებოდეს გარკვეულ პრინციპებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მის დემოკრატიულ, ჰუმანურ ხასიათს. ამ პრინციპებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია:

კანონიერების ერთიანობა. მოქმედი კანონებისა და ნორმატიული აქტების მრავალგვარობასა და ყველა ადგილობრივ თავისებურებასთან ერთად კანონიერება ერთიანი უნდა იყოს მთელი ქვეყნისათვის. კანონების გაგება და გამოყენება ერთნაირი უნდა იყოს მთელ მის ტერიტორიაზე. არ შეიძლება იმის დაშვება, რომ ყოველ კუთხესა და რაიონში (მით უმეტეს, კონკრეტულ საწარმოში) შეიქმნას საკუთარი, საერთო-სახელმწიფოსაგან განსხვავებული კანონიერება. ამგვარი მდგომარეობა არღვევს კანონიერების ერთიანობას, ამცირებს სამართლებრივი რეგუ-

ლირების ეფექტიანობას, დეზორგანიზაცია შეაქვს საზოგადოებრივ ურთიერთობებში.

ამასთან, კანონიერების ერთიანობა არ ნიშნავს შაბლონს სამართლებრივი აქტების გამოყენებაში, ადგილებზე დამოუკიდებლობის და ინიციატივის შელახვას. საუბარია მხოლოდ იმაზე, რომ იჩენენ რა ინიციატივას, არ დაუშვან საერთო წესებისაგან გადახვევა, რომ ადგილობრივი პირობების თავისებურებების გათვალისწინება კანონის გვერდის ასავლელად არ იყოს გამოყენებული.

კანონიერების საყოველთაობა. ეს პრინციპი ახასიათებს კანონიერების მოქმედებას პირთა წრის მიხედვით. კანონიერება არ შეიძლება იყოს შერჩევითი, მისი მოთხოვნა უკამონაკლისოდ ეხება ყველას. სამართლებრივ მოთხოვნებს უნდა ასრულებდნენ ცალკეული პირები და მათი გაერთიანებები, თანამდებობის პირები, სახელმწიფო ორგანოები, პოლიტიკური პარტიები. საზოგადოებაში არ უნდა არსებობდეს რაიმე ორგანიზაცია ან ცალკეული პირი, რომელიც გამოყვანილია კანონიერების გავლენიდან, რომელზეც არ ვრცელდება მისი მოთხოვნები.

ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ კანონიერების სუბიექტები შესაძლოა იყვნენ მხოლოდ ხელისუფლების ორგანოები და არა ცალკეული მოქალაქეები, რადგან უკანასკნელნი თითქოს თავისი მოქმედებებით არ არღვევენ ამ რეჟიმს. შემთხვევითი არ არის, რომ მართლაც კანონიერების მოთხოვნათა უმრავლესობა ეხება სახელმწიფოს, მის ორგანოებს, მაგრამ თუ მოქალაქეთა სამართალდარღვევა იღებს მასობრივ ხასიათს, თუ იზრდება დამნაშავეობა, რა თქმა უნდა, ირღვევა კანონიერების პრინციპები. არ არსებობს საფუძველი იმისა, რომ მოქალაქეები არ ითვლებოდნენ კანონიერების სუბიექტების რიცხვში, თუმცა, რა თქმა უნდა, მათი (მოქალაქეების) როლი კანონიერების უზრუნველყოფაში ვერ შეედრება სახელმწიფო ორგანოების ასეთსავე როლს.

კანონიერების მიზანშეწონილობა. კანონიერების როლის შეფასების კრიტერიუმი უნდა იყოს ის, როგორ უწყობს ხელს სახელმწიფოსა და საზოგადოების მიზნების მიღწევას, რამდენად უზრუნველყოფს სოციალური პროგრესის ამოცანების გადაჭრას, მოქალაქეების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.

კანონიერების მიზანშეწონილობა, უპირველეს ყოვლისა, გამომდინარეობს თვით სამართლის, როგორც თავისუფლების, პასუხისმგებლობის, სამართლიანობის, როგორც წესრიგის, ორგანიზებულობის და დისციპლინის უზრუნველყოფის საშუალების გამოხატულების ღირებულებებისაგან. სწორედ სამართალით, კანონით გამოიხატება უმაღლესი სოციალური მიზანშეწონილობა.

ეს უფლებას გვაძლევს ვისაუბროთ გამოცემული ნორმატიული აქ-

ტის მიზანშეწონილობის პრეზუმპციაზე. თავის მხრივ, ამ ვარაუდით არის ნაკარნახევი სამართლებრივი მოთხოვნების განუხრელი, ზუსტი რეალიზაციის აუცილებლობა, მიუხედავად სამართლის რეალიზაციის სუბიექტების დამოკიდებულებისა მისი ნორმებისადმი. მხოლოდ მიზანშეწონილობაზე დაფუძნებულ პოლიტიკურ-სამართლებრივ წესრიგს (რეჟიმს) შეუძლია დაიცვას საზოგადოება შემთხვევითობისა, და ცალკეული პირების სუბიექტივიზმისაგან.

ფორმალური განსაზღვრულობის გამო კანონი არ იცვლება ცხოვრების შეცვლასთან ერთად და ამიტომ ხშირად ჩამორჩება მის მოთხოვნებს, ძველდება. შესაძლოა კანონები არაეფექტიანი, ტექნიკურად არასრულყოფილი იყოს. ხშირია შემთხვევა, როცა მსგავსი კანონები ირღვევა სწორედ მათი მოძველების, არასრულყოფილების ანუ მიზანშეწონილობის გამო. კანონიერების პრინციპების თვალსაზრისით, ნებისმიერი გადახვევა კანონის მოთხოვნებისაგან, რითაც უნდა იყოს ის მოტივირებული, შეუწყნარებელია. ყოველთვის მიზანშეწონილია კანონიერება, კანონის მოთხოვნების ზუსტი დაცვა. რა თქმა უნდა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოძველებული ან არაეფექტიანი სამართლებრივი მოთხოვნების დაცვამ შესაძლოა ნეგატიური შედეგი გამოიღოს, მაგრამ ასეთი კანონის მოთხოვნებისაგან საყოველთაო გადახვევა გამოიწვევს გაურკვევლობას, სამართლებრივი რეგულირების არასტაბილურობას, ზიანს მოუტანს საზოგადოებას და მართლწესრიგს.

რამდენადმე განსხვავებულად მჟღავნდება მიზანშეწონილობა სამართლის შეფარდების პროცესში, სადაც მისაღები გადაწყვეტილების სარგებლიანობის, ეფექტიანობის, შედეგების გათვალისწინება არა მარტო დასაშვებია, არამედ აუცილებელიც. მაგრამ აქაც მიზანშეწონილობა კანონიერების ჩარჩოებში უნდა იქნეს მიღწეული.

სამართალი დაფუძნებულია კანონიერების პრინციპებზე და სამართალშეფარდებითი საქმიანობისას თვითონ იძლევა მიზანშეწონილობის ფაქტორის გათვალისწინების საშუალებას. სამართლის ნორმები ხშირად გულისხმობს ინდივიდუალურ რეგულირებას, როცა გარდაუვალია სუბიექტების მიერ ყოველი კონკრეტული შემთხვევის თავისებურებების გათვალისწინება - ოპტიმალური გადაწყვეტილების არჩევა. სამართლებრივი ნორმები შემთხვევით არ ატარებს შედარებით განსაზღვრულ ხასიათს. მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის ნორმებს არა აქვს აბსოლუტურად განსაზღვრული სანქციები.

მკვლევართა ნაწილი კანონიერების პრინციპებად ასახელებენ „კანონიერების კავშირს კულტურასთან“, „კანონიერების და სამართლიანობის ერთიანობას“, და ა.შ., მაგრამ ხაზგასასმელია, რომ კანონიერ-

რების კავშირი სხვა მოვლენებთან არ შეიძლება პრინციპი იყოს. გარდა ამისა, მათ ყველას მოიცავს მიზანშეწონილობის შინაარსი.¹

მნიშვნელოვანია, რომ თავისი პრინციპების წყალობით კანონიერება გვევლინება, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველაზე უფრო ეფექტიანი, ჰუმანური, სამართლიანი ფორმა, ხოლო ამ პრინციპებიდან ნებისმიერი გადახვევა, მათი შეუფასებლობა იწვევს კანონიერების დარღვევას, მისი სოციალური ღირებულების, მთლიანად სამართლებრივი მოწესრიგების ეფექტიანობის შემცირებას.

უნდა განვასხვაოთ კანონიერება, როგორც ფორმალური მოთხოვნების სისტემა და რეალური კანონიერება. პრაქტიკაში კანონის მოთხოვნები მეტნაკლებად ირღვევა, ხშირად შეიმჩნევა გადახვევა სამართლებრივი მოთხოვნებისაგან. აქედან გამომდინარე, რეალურ კანონიერებას აქვს რაოდენობრივი მაჩვენებლები, რომლებიც განსაზღვრავენ მის ღონეს კონკრეტულ საზოგადოებაში.

§3. კანონიერებისა და კანონმდებლობის თანაზარღობა სამართლის თეორიაში

კანონიერების ცნების, კანონმდებლობაში მისი ადგილის განსაზღვრისათვის გარკვეული თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს კანონიერების და კანონმდებლობის თანაფარდობის პრობლემის გარკვევას ამ სამართლებრივ მოვლენებს შორის არსებობს უწყვეტი ორგანული კავშირი, რადგან კანონიერება, როგორც მოვლენა, ერწყმის არსებული კანონიერების და ნორმატიული აქტების რეალიზაციას და კანონმდებლობის სისტემას ქმნის, მაგრამ ასეთი სიახლოვე მათ იგივეობას არ ნიშნავს. ამგვარი გათანაბრება საზიანოა, პირველ რიგში, პრაქტიკული თვალსაზრისით. ის აიხსნება სამართლებრივი მოთხოვნების საყოველთაობით, რომლებიც ამის გამო რეალიზდება (თუმცა გამორიცხული არ არის მათი დარღვევის შესაძლებლობა). აქედან დასკვნა, რომ კანონიერება თვით ნორმატიული აქტების არსებობის ფაქტს მოსდევს.

კანონმდებლობის და კანონიერების გაიგივება შობს უკანასკნელის განხორციელების და დამკვიდრების ამოცანის იოლად გადაჭრის ილუზიას.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ საკმარისია გამოიყენოთ კარგი კანონი და გადაიჭრება სამართალდარღვევასთან ბრძოლის, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დამკვიდრების პრობლემები, ლიკვიდირებული იქნება საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალი ნეგატიური მოვლენა,

¹ იხ. В. Глушенко Теория государства и права М. 2000 г.

მაგრამ პოლიტიკური პრაქტიკა არ იძლევა ასეთი ოპტიმისტური დასკვნების საფუძველს. ისტორიამ იცის მრავალი სახელმწიფო, სადაც ჰქონდათ უამრავი კარგი სამართლებრივი აქტი და კანონი, კანონიერება კი არ ყოფილა დაცული.

კანონმდებლობის და კანონიერების გაიგივება გაუმართლებელია მეცნიერული თვალსაზრისითაც, რადგან ასეთი მიდგომა არ იძლევა საშუალებას სრულად განვსაზღვროთ კანონიერების შინაარსი. კანონიერების და კანონმდებლობის კავშირი რთული და წინააღმდეგობრივია. რამდენადაც კანონიერება არის მოქმედი კანონების განხორციელების მოთხოვნა, ისინი მისი არსებობის პირობასაც წარმოადგენენ. ამგვარად, კანონმდებლობა არის კანონიერების საფუძველი, ნორმატიული ბაზა. „კანონიერების პირველ პირობას წარმოადგენს თვით კანონი“ და ბევრ რამეში განსაზღვრავს მის ხასიათს. კერძოდ, რომის სამართლის დეტალურად დამუშავებულმა სისტემამ, მისმა კოდიფიკაციამ განსაზღვრა კიდევ რომში ქონებრივი ურთიერთობების სფეროში კანონიერების მაღალი დონე, მაგრამ კანონმდებლობა მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს კანონიერების ბაზა, როცა ის ჭეშმარიტად „სამართლებრივია“, როცა მასში აისახება სიკეთის, ჰუმანიზმის, სამართლიანობის იდეები, დამკვიდრებულია ადამიანის უფლებები და თავისუფლებები. „კანონი, რომელიც სჯის, არ არის სახელმწიფოს მიერ თავისი მოქალაქეებისათვის გამოცემული კანონი“. ამგვარი აქტები არა მარტო არ უზრუნველყოფს კანონიერებას, არამედ წარმოშობს მის საპირისპირო მოვლენებს—უუფლებობას, განუკითხაობას, ხელისუფლების თვითნებობას.

ჭეშმარიტი კანონიერების საფუძველი შეიძლება იყოს მხოლოდ ეფექტიანი კანონმდებლობა, რომელიც პასუხობს საზოგადოებრივი განვითარების მოთხოვნებს.

კანონიერების უზრუნველსაყოფად კანონმდებლობა არა მარტო უნდა პასუხობდეს ობიექტურ მოთხენილებებს, არამედ ტექნიკურად სრულყოფილი უნდა იყოს. მისი ფორმირებისას გამოყენებული უნდა იქნეს თანამედროვე იურიდიულ მენციერებაში მოპოვებული სიახლეები, უნდა ჰქონდეს მკაფიო სტრუქტურული ორგანიზაცია და პროგრესულ პრინციპებს ეფუძნებოდეს. არაზუსტი ფორმულირებები, ხარვეზები და, მით უმეტეს, წინააღმდეგობები კანონმდებლობაში გარდაუვლად იწვევს სამართლებრივი მოთხოვნების დარღვევას, ზიანი მოაქვს კანონიერებისათვის. კანონიერების აუცილებელ პირობას წარმოადგენს კანონმდებლობაში ისეთი მნიშვნელოვანი პრინციპების გატარება, როგორცაა კონსტიტუციის უზენაესობა, რადგან კანონიერების რღვევის პროცესი ყველაზე ხშირად კონსტიტუციის დებულებების უხეში დარღვევებით, ანტიკონსტიტუციური კანონების, კანონსაწინააღმდეგო კანონქვემდებარე აქტების მიღებით იწყება. ამასთანავე, გათვალისწინებული უნდა იქნეს,

რომ კანონიერება გულისხმობს არა მარტო სამართლის მოთხოვნათა რეალიზაციას, არამედ ადამიანისა და მოქალაქის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების (საქართველოს კონსტიტუციის 44-ე მუხლი) უზრუნველყოფასაც.¹

კანონმდებლობის სისტემას, როგორი სრულყოფილიც უნდა იყოს, თავისთავად არ შეუძლია კანონიერების უზრუნველყოფა. კარგი კანონის შემუშავება, მისი გამოცემა საკმარისი არ არის. კანონი სიცოცხლისუნარიანია და მოქმედებს მხოლოდ მაშინ, როცა იგი სრულდება. ამისათვის კი აუცილებელია შეიქმნას მისი რეალიზაციისა და დაცვის ეფექტური მექანიზმი, უზრუნველყოფილ იქნეს იმ მოქალაქეთა და თანამდებობის პირთა პოლიტიკური და სამართლებრივი კულტურის შესაბამისი დონე, რომლებიც ახდენენ სამართლის რეალიზაციას. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ კანონიერება უზრუნველყოფილი უნდა იქნეს გარანტიების სათანადო სისტემით.

§4. კანონიერების ბანგბაიხაბის პრობლემა

ყველაზე სრულყოფილი კანონი მაშინ ასრულებს თავის დანიშნულებას, როდესაც მისი მოთხოვნები საზოგადოებაში განუხრელად ხორციელდება იმისათვის რომ კანონისა და სამართლის მოთხოვნები არ ირღვეოდეს, აუცილებელია შესაბამისი პირობები და იდეოლოგიურ, პოლიტიკურ, იურიდიულ ორგანიზაციულ ღონიძიებათა კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს კანონიერების განმტკიცებას.

კანონიერების დაცვის გარანტიები არის ობიექტური პირობები და სუბიექტური ფაქტორები, აგრეთვე ის სპეციალური საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფენ კანონიერების რეჟიმს.

მათ შორის მკაფიოდ უნდა განვასხვავოთ ზოგადი პირობები და სპეციალური საშუალებები (იხ. სქემა, გვ. 241)

ზოგადი პირობებია საზოგადოებრივი ცხოვრების იმ ობიექტური (ეკონომიკური, პოლიტიკური) პირობების არსი, რომლებშიც ხორციელდება სამართლებრივი მოწესრიგება. ეს პირობები ქმნის სამართლის რეალიზაციის, მისი ფუნქციონირების მაკროგარემოს და, გარკვეულწილად, განსაზღვრავს კიდევ კანონიერების განმტკიცების სპეციალურ საშუალებებს.

მარქსისტულ ლიტერატურაში საკმაოდ ფართოდ განიმარტებოდა ზოგადი პირობები, როგორც კანონიერების განმტკიცების გარანტიები. ეკონომიკურ გარანტიად მიიჩნეოდა არსებული მეურნეობის სისტემა, საკუთრების საზოგადოებრივი ფორმა, პოლიტიკური სისტემა, საზო-

¹ იხ. საქართველოს კონსტიტუცია. თბ., 1995 წ. გვ. 22.

გადღობის თვისობრივი სტრუქტურა და ა.შ. თანამედროვე გაგებით გარანტიების ასეთი გაგება ვერ აკმაყოფილებს პრაქტიკის მოთხოვნებს, რადგან არაერთმნიშვნელოვანია მათი გავლენა კანონიერების მდგომარეობაზე, ზოგჯერ ისინი მასზე ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენენ. ამიტომ აუცილებელია ზოგადი პირობების კონკრეტული განხილვა, მათგან იმ ფაქტორების გამოყოფა, რომლებიც დადებითად მოქმედებენ სამართლის რეალიზაციაზე.

კანონიერების განმტკიცების საქმეში ხელსაყრელი პირობების საუკეთესოდ გამოყენების მნიშვნელოვან წინამძღვარს მათი მაქსიმალურად შესაძლო კონკრეტიზაცია წარმოადგენს. მართო ეკონომიკური წყობა, პოლიტიკური სისტემა, გაბატონებული იდეოლოგია ვერ იქნება მიჩნეული იმ ფაქტორებად, რომლებიც კანონიერებას უზრუნველყოფენ. გაგაანალიზოთ ეს დებულება საკუთრების მაგალითზე. საკმაოდ დიდი დროის განმავლობაში ითვლებოდა, რომ სოციალისტური საკუთრება (კერძოსაგან განსხვავებით) თავისთავად გულისხმობდა კანონიერების უზრუნველყოფის პირობას. ასეთი დასკვნა ეფუძნებოდა იმ ვარაუდს, რომ თითქოს ის აღვიძებდა ადამიანში მეპატრონის, წარმოების საშუალებათა მესაკუთრის გრძნობას, ამიტომ ხელს უწყობდა მათ შენახვას, გაღრმავებას, დაცვას, მაგრამ, როგორც ყველანი დავრწმუნდით, სოციალისტური საკუთრება გახდა კანონიერებისათვის უცხო მოვლენების—უყაირათობის, დატაცების და ა.შ. მიზეზიც.

თუმც არავის არ შეუძლია ზემოაღნიშნული ფაქტორის აუცილებლობის უარყოფა.

აქედან გამომდინარე, საუბარია იმაზე, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებიდან გამოიყოს ისინი, რომლებიც ხელს უწყობენ კანონიერების განმტკიცებას, შეიქმნას წინამძღვრები მათი განვითარებისა და ადამიანებზე ზემოქმედებისათვის, აგრეთვე ორგანიზაციული ზომების, სპეციალური საშუალებების გამოყენების გზით განეიტრალდეს უარყოფითი ფაქტორების მოქმედება, განვიხილოთ ის ზოგადი პირობები, რომლებიც კანონიერების განმტკიცების გარანტიებად გვევლინება.

ეკონომიკური პირობები. ეს არის საზოგადოების ეკონომიკური განვითარების მდგომარეობა, მეურნეობის სისტემის ორგანიზაცია და ა.შ. კანონიერების უზრუნველმყოფელ პირობებად აქ გვევლინება ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ორგანიზებულობის ხარისხი ეკონომიკურ სფეროში, მთელი მეურნეობრივი ორგანიზმის რიტმული მუშაობა, შრომის მწარმოებლურობის და საწარმოო მოცულობის მუდმივი ზრდა, მყარი ფულადი სისტემა და ა.შ. ამგვარი ფაქტორები უშუალოდ ახდენს გავლენას კანონიერების მდგომარეობაზე. მაგალითად, ეკონომიკის არასტაბილურობის, წარმოების ვარდნის, მეურნეობრივი კავშირების წყვე-

ტის, ფასების ზრდის, სწრაფი ინფლაციის პირობებში იზრდება სოციალური დაძაბულობა საზოგადოებაში, რასაც არამართო ანარქიამდე, დეზორგანიზაციამდე, არამედ ზოგადად ეკონომიკური დანაშაულის ზრდამდე მივყავართ.

პოლიტიკური პირობები. სტაბილური კანონიერების ძირითად პოლიტიკურ პირობას ძლიერი სახელმწიფო ხელისუფლება წარმოადგენს. სახელმწიფო ძალაუფლების სიძლიერეს არ განსაზღვრავს არც დიდი არმია, არც რეპრესიული აპარატის სიმძლავრე. ძლიერი სახელმწიფო ხელისუფლება არის მყარი, ლეგიტიმური, საზოგადოების მხარდაჭერის მქონე ხელისუფლება, რომელსაც აქვს უნარი—უზრუნველყოს მიღებული საკანონმდებლო ნორმათა მოთხოვნების რეალიზაცია. ძლიერი სახელმწიფო ახდენს საზოგადოების განვითარების, ადამიანების უშიშროების, დამნაშავეობასთან, კორუფციასთან¹ და სხვა ანტისოციალურ მოვლენებთან ბრძოლის გარანტიებს. ხოლო სახელმწიფო-ხელისუფლებრივი სტრუქტურების დეზორგანიზაციის, ძალაუფლებრივი ბრძოლის, მიღებული გადაწყვეტილებების რეალიზაციის უზრუნველყოფაში სახელმწიფოს უუნარობის, დისციპლინის დაბალი დონის, ბიუროკრატიზმის, კორუფციის აყვავების პირობებში კანონიერება არათუ მტკიცდება, არამედ იშლება სახიფათო ზღვრამდე. ძლიერი სახელმწიფო არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალიზაციას, ავტორიტარულ რეჟიმს, რომელიც კი არ უზრუნველყოფს, არამედ პირიქით, უარყოფს კანონიერებას. სახელმწიფოს განმტკიცების, კანონიერების და მართლწესრიგის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან პირობას დემოკრატია წარმოადგენს. დემოკრატიული სახელმწიფო არ არის სუსტი, ამორფული ხელისუფლება. ეს არის ძლიერი და ამავე დროს მთლიანად ხალხის წინაშე პასუხისმგებელი ხელისუფლების სისტემა, რომელიც ეფუძნება სახელმწიფო მექანიზმის ფორმირების და ფუნქციონირების დემოკრატიულ პრინციპებს (ხელისუფლების დანაწილება, პარლამენტარიზმი, საჯაროობა, კონსტიტუციის უზენაესობა და ა.შ.)

იდეოლოგიური პირობები. კანონიერების მდგომარეობას დიდად განსაზღვრავს მოსახლეობის პოლიტიკური, სამართლებრივი და საერთო კულტურის დონე. კანონიერება გულისხმობს სამართლებრივი კულტურის ისეთ დონეს, როდესაც სამართლისა და კანონის პატივისცემა ყოველი ადამიანის, ამასთან, არა მარტო რიგითი მოქალაქის, არამედ

¹ კორუფცია ლათინური სიტყვაა, რომელიც ნიშნავს მოსყიდვას. ჩვენი აზრით, ცნება ასეთნაირად შეიძლება ჩამოყავალიზდეს. „პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა, სამხედრო, საეკლესიო მსახურთა და თანამდებობის პირთა მოსყიდვას და ჩარევას ჯგუფურ დანაშაულში, რასაც მოჰყვება მაფიოზურ-კლანური თანამდებობრივი იერარქია“.

პირველ რიგში სახელმწიფო მოხელის, კანონმდებლის პირადი მრწამსია.

კულტურის აუცილებელი დონე უზრუნველყოფილია სამართლებრივი პროპაგანდის ორგანიზაციით, მოქალაქეებში მაღალი ზნეობრივი თვისებების, პატრიოტიზმის, პასუხისმგებლობის, სამართლის და კანონიერების გრძნობის აღზრდის მკაფიო სისტემით. აღზრდის სისტემის რღვევის პირობებში იდეოლოგიური ვაკუუმი ივსება საზოგადოებისათვის უცხო შეხედულებებით, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს დისციპლინის, ორგანიზებულობის, კანონიერების მდგომარეობაზე (პორნოგრაფიის გავრცელება, ძალის ბატონობა და სხვა), ხელს უწყობს სამართალდარღვევის, დამნაშავეების ზრდას, რაც საფრთხეს უქმნის კანონიერების რეჟიმს.

სოციალური პირობები. მოქალაქეთა კანონმორჩილება, მათი პატივისცემა კანონისადმი, მისი მოთხოვნების რეალიზაცია დიდად არის დამოკიდებული სოციალური სფეროს მდგომარეობაზე. მოსახლეობის ცხოვრების დონის ვარდნა, უმუშევრობის, ცხოვრების, სოციალური მომსახურების საფასურის ზრდა ყველაზე უშუალო კვალს ამჩნევს კანონიერების დონეს, ახდენს მოქალაქეთა პროვოცირებას უკანონო გამდიდრების, კანონის შემოვლის გზების საძიებლად, წარმოშობს ეროვნულ და სოციალურ კონფლიქტებს და ა.შ. მყარი კანონიერება შესაძლებელია მხოლოდ სოციალური სტაბილურობის, თავიანთი სოციალური უფლებების და თავისუფლებების ურყევობაში მოქალაქეთა დარწმუნებულობის პირობებში.

სამართლებრივი პირობები. კანონიერება, როგორც პოლიტიკურ-სამართლებრივი მოვლენა, განპირობებულია თვით სამართლის, კანონმდებლობის სისტემის მდგომარეობით. მოქმედი კანონმდებლობა უნდა იყოს საკმაოდ სრული, სტაბილური, იურიდიული ტექნიკის მაღალი დონით, რეალიზაციის და დაცვის აუცილებელი მექანიზმებით უზრუნველყოფილი. ამისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კანონმდებლის მიერ გამოყენებულ სამართლებრივ საშუალებებს, სამართლებრივი რეგულირების მეთოდებს, და ტიპებს, პრინციპებს, რომლებზეც შენდება კანონმდებლობა. მაგალითად, კანონმდებლობა, რომელიც ჩამორჩება საზოგადოებრივი ურთიერთობების დინამიურ განვითარებას, ართულებს დამნაშავეობასთან ბრძოლას.

კანონიერების განმტკიცების გარანტიას წარმოადგენს აგრეთვე შესაბამისი სუბიექტური ფაქტორები. მათ შორის შეიძლება აღინიშნოს სამართლის მეცნიერების მდგომარეობა, მასში პროგრესული, ჰუმანური იდეების, დებულებების, სამეცნიერო-ტექნიკური კონსტრუქციების სისრულე და განვითარება. კანონიერების დონეზე უშუალო გავლენას ახდენს მეცნიერებაში. გაბატონებული სამეცნიერო-თეორიული კონ-

ცეფციები. სამართლებრივი სახელმწიფოს იდეის მეცნიერულ-ტექნიკური დამუშავება, მისი ძირითადი დებულებების დანერგვა. საკანონმდებლო და სამართალშეფარდებითი პრაქტიკა საშუალებას იძლევა, რომ სახელმწიფო ორგანოების საქმიანობაში განმტკიცდეს კანონიერება.

კანონიერების დონეს განსაზღვრავს აგრეთვე პოლიტიკური ელიტის ეფექტიანი მოღვაწეობა, ლიდერების მიერ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას სწორი პრიორიტეტების არჩევა, შესაბამისი ორგანოების მზადყოფნა და უნარი აწარმოონ ბრძოლა კანონიერების განსამტკიცებლად.

კანონიერების უზურუნველყოფისათვის აუცილებლობას წარმოადგენს იურიდიული და ორგანიზაციული გარანტიები (საშუალებები).

იურიდიული გარანტიები არის კანონმდებლობაში დამკვიდრებული საშუალებების ერთობლიობა, აგრეთვე მათი გამოყენების ორგანიზაციულ-სამართლებრივი საქმიანობა, რომელიც მიმართულია კანონიერების უზურუნველყოფისა და შეუფერხებელი განხორციელებისაკენ, ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. ისინი კანონიერების განმტკიცების პრობლემებთანაა დაკავშირებული.

სამართალდარღვევათა გამოვლენის საშუალებები. მათ მიეკუთვნება პროკურატურის, წინასწარი გამოძიების ორგანოების, კონსტიტუციური სასამართლოს და ა.შ. საქმიანობა. პრობლემების გადაწყვეტა დაკავშირებულია იმ კომპეტენტური ორგანოების საქმიანობასთან, რომლებიც მოწოდებულია სამართალდარღვევათა გამოსავლენად მათი აღკვეთისა და მოსალოდნელი შედეგების თავიდან აცილების მიზნით. ზოგიერთი საკითხი დაკავშირებულია მოქალაქეთა სამართლებრივ მდგომარეობასთან მაგალითად, თანამდებობის პირთა უკანონო მოქმედებების სასამართლოში გასაჩივრების კონსტიტუციური უფლება.

სამართალდარღვევათა აცილებისა და აღკვეთის საშუალებები. ეს არის კანონმდებლობაში დამკვიდრებული ნორმები, რომლებიც შესაძლო სამართალდარღვევების თავიდან აცილების საშუალებას იძლევა. ისინი მიმართულია სამართალდარღვევის აღკვეთისაკენ, მოქალაქეთა და ორგანიზაციათა უფლებების და თავისუფლებების დარღვევის დაუშვებლობისაკენ: ესენია დაკავება, დაპატიმრება, ჩხრეკა, გაუსვლელობის ხელწერილი, აღკვეთის სხვა ზომები, უკანონო აქტების გაუქმება.

დარღვეული უფლებების დაცვის და აღდგენის, სამართალდარღვევათა შედეგების აღმოფხვრის ზომები. ესაა თანხის გადახდევინება ბავშვის სარჩენად (ალიმენტი), ვინდიკაცია (ქონების იძულებითი ამოღება სხვისი უკანონო მფლობელობიდან) და სხვა.

იურიდიული პასუხისმგებლობა. გულისხმობს იმ პირის დასჯას, რომელმაც კანონი დაარღვია. ეს საშუალება უმნიშვნელოვანესი და

აუცილებელია კანონიერების განმტკიცებისათვის, ამასთან მისი ეფექტიანობა განისაზღვრება არა სიმკაცრით, არამედ გარდაუვალობით.

პრობლემებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროცესუალური გარანტიები, რადგან პროცესი არის მატერიალური უფლების ფორმა, ფორმალურად დამკვიდრებული უფლებები და თავისუფლებები რეალურად ხორციელდება მხოლოდ პროცესუალური უზრუნველყოფის მეშვეობით. სამართლებრივი ნორმების რეალიზაციის იურიდიული მექანიზმი გულისხმობს მკაფიო ნორმატიული ბაზის არსებობას. კონსტიტუციური ნორმები, რომლებიც ამკვიდრებენ უფლებებს და თავისუფლებებს, საკმარისად განსაზღვრულია, თუმცა ბევრი მათგანი არ არის განმტკიცებული მოქმედი კანონმდებლობით, რეალიზაციის მკაფიო იურიდიული მექანიზმით, რაც ართულებს მათ განხორციელებას.

დასასრულს, კანონიერების განმტკიცების უმნიშვნელოვანესი გარანტია არის მართლმსაჯულება - სასამართლოების საქმიანობა, რომელიც ხორციელდება სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმეების განხილვის და გადაჭრის გზით კანონიერების ყოველმხრივ განმტკიცების მიზნით.¹

ორგანიზაციულ პრობლემებად მოიაზრება ორგანიზაციული ხასიათის სხვადასხვა ღონიძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ კანონიერების განმტკიცებას, სამართალდარღვევასთან ბრძოლას, მოქალაქეთა უფლებების დაცვას. მათ მიეკუთვნება სამართალდამცავი ორგანოების ნორმალური მუშაობის პირობების შექმნის საკადრო, ორგანიზაციული ზომები, ამ უკანასკნელთა სტრუქტურაში სპეციალური ქვედანაყოფების შექმნა (ორგანიზაციულ დამნაშავეობასთან, კორუფციასთან საბრძოლველად და სხვა). დიდია მათი როლი კანონიერების უზრუნველყოფის საქმეში, მაგრამ შეიძლება მათი მნიშვნელობის უკონტროლოდ გაზრდამ უარყოფითად იმოქმედოს მათი მუშაობის ეფექტურობაზე. ქვეყანაში დამნაშავეობის ზრდის გამო პასუხისმგებლობა მხოლოდ პროკურატურისა და შსს ორგანოებს ეკისრება. დამნაშავეობასთან ბრძოლის პრობლემა უმეტესად „წყდება“ მხოლოდ ამ ორგანოების ხელმძღვანელობის შეცვლით პირობების არსებითად გაუმჯობესების გარეშე, რაც, ცხადია, ვერ უზრუნველყოფს კანონიერების განმტკიცების პრობლემების გადაჭრას. მხოლოდ მეცნიერულ საფუძვლებზე დამყარებული მიზანმიმართული მუშაობა, რეალური პირობების შექმნა, სპეციალური საშუალებების ეფექტური გამოყენება, კანონმდებლობის მუდმივი სრულყოფა იძლევა საშუალებას უზრუნველყოფილი იქნეს სტაბილური კანონიერება და მყარი მართლწესრიგი - საზოგადოების ნორმალური ცხოვრების საფუძველი.

¹ Шабуров А.С. Законность и правопорядок. М., 1998 г. указ. кн. ст. 449-455.

კანონიერების
განმტკიცების გარანტიები

ზოგადი პირობები

ეკონომიკური

პილიტიკური

სოციალური

იდეოლოგიური

სამართლებრივი

სპეციალური საშუალებები

ორგანიზაციული

იურიდიული

სამართალდარღვევათა გამოვლენის
საშუალებები

სამართალდარღვევათა აცილების და
აღკვეთის საშუალებები

დაცვის საშუალებები

იურიდიული პასუხისმგებლობა

პროცესუალური გარანტიები

მართლმსაჯულება

§5. მართლწესრიგისა და საზოგადოებრივი წესრიგის თანაშარღობის პრობლემა

კანონიერებასთან მჭიდრო კავშირშია მეორე სამართლებრივი მოვლენა—მართლწესრიგი რომლის განმტკიცება არის სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ფუნქცია. მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერებაში აქამდე არ არის შემუშავებული ამ მოვლენის ერთიანი განსაზღვრა.

მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ მართლწესრიგი არის სამართლის ნორმებით მოწესრიგებული საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემა ან კიდევ მართლწესრიგი არის კანონისა და სამართლის მეშვეობით მოწესრიგებული საზოგადოებრივი ურთიერთობა.¹

პროფ. ირ. სურგულაძის აზრით: „მართლწესრიგი წარმოადგენს არსებულის ონტოლოგიურად შეზღუდულ სფეროს (Seinsgebiet) და ხასიათდება საკუთარი კანონზომიერებით (Gesetzmäßigkeit) ის რთული იურიდიული კომპლექსია, რომელიც მოიცავს მართლურთიერთობათა სისტემას. მართლწესრიგი, როგორც მართლურთიერთობათა ერთიანობა, წარმოადგენს სამართლებრივი რეგულირების აბსტრაქტულ სისტემას (Rechtliche Regelung). ასეთი სახით მას ვერ დავახასიათებთ როგორც იურიდიულად შესაძლებელ სტადიას. მართლწესრიგში იურიდიული ელემენტების გარდა ჩართულია ფაქტიური რიგის განსაზღვრული ელემენტები, რომლებიც თავისთავად მოკლებული არიან იურიდიულ ხასიათს, თუმცა იურიდიულ მნიშვნელობას იძენენ სამართლებრივი ნორმებიდან (Bestimmende Rechtssätze). მართლწესრიგის ძირითადი ელემენტები - მართლურთიერთობანი - იურიდიულ სინამდვილეში მოცემული არიან არა იზოლირებულად, არამედ განსაზღვრულ ერთიანობებში, გარკვეულ კომპლექსურ ფორმებში. ამასთან ერთად მართლწესრიგის ანალიზს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ეს ერთიანობანი არ ხასიათდებიან ერთნაირი მნიშვნელობით: მათში მოცემულია ისეთი მართლურთიერთობანი, რომელთაც აქვთ ფუძემდებლური (fundirende) მნიშვნელობა და ისეთი მართლურთიერთობანი, რომელთაც აქვთ დამოკიდებული მნიშვნელობა. ამრიგად, მართლურთიერთობათა ფარგლებში ჩვენ აღმოვაჩინებთ ძირითად იურიდიულ კომპლექსს, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ Status და დამოკიდებულ მართლურთიერთობებს“.²

შევეცდებით გავაანალიზოთ მართლწესრიგში ჩართული იურიდიული და არაიურიდიული ხასიათის ელემენტების ადგილი, როლი და

¹ იხ. Общая Теория права и государства под. ред. В. Лазарева М. 1996 г. стр. 218-219.

² იხ. ირ. სურგულაძე, ხელისუფლება და სამართალი თ.ს.უ. 1928 წ. გვ. 4-5. ციტირებულია ბ. სავანელის დას. ნაშრომშიც გვ. 146-147.

მნიშვნელობა რომელსაც პროფ. ირ. სურგულაძე „Status“ და დამოუკიდებელ მართლურთიერთობებს უწოდებს.

იურიდიულ ლიტერატურაში მეტად გავრცელებულია შეხედულება, რომ მართლწესრიგი არის რეალიზებული კანონიერება, ამგვარი განმარტება პრობლემების მხოლოდ ერთ მხარეს ეხება. მართლწესრიგის ფორმირებაში კანონიერება გვევლინება, როგორც სახელმწიფო ორგანოების, თანამდებობის პირთა და მოქალაქეთა საქმიანობის ფუძემდებლური პრინციპი, მაგრამ „მართლწესრიგი“ ვერ ჩამოყალიბდება, როგორც მხოლოდ ერთი პრინციპის შედეგი, თუნდაც ეს პრინციპი ფუძემდებლური იყოს... ამიტომ უფრო ზუსტი იქნებოდა გვეთქვა, რომ მართლწესრიგი ყალიბდება, როგორც ყველა სამართლებრივი მოთხოვნების რეალიზაციის შედეგი კანონიერების პრინციპების შესაბამისად. მართლწესრიგის საფუძვლად გვევლინება არა კანონიერება, არამედ სამართალი, კანონიერება კი მართლწესრიგის პირობაა.

ცნება „მართლწესრიგი“ ფართოდ გამოიყენება მოქმედ კანონმდებლობაში. უპირველეს ყოვლისა, მართლწესრიგი არის წესრიგი, ორგანიზებულობა, სიმყარე. აქედან გამომდინარე, მართლწესრიგის მახასიათებელი საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგებულობა ქაოსის, ანარქიის, არაორგანიზებულობის გამოპრიცხავი პირობაა. შემდეგ, მართლწესრიგი არის სამართლებრივი წესრიგი, საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლით დაპროგრამებული მდგომარეობა. სამართლებრივი წესრიგი შეიძლება განვიხილოთ, როგორც სამართლებრივი რეგულირების მიზანი, რომელიც არსებული წყობის დაცვას და განმტკიცებას ემსახურება, მაგრამ მართლწესრიგი არის არა მარტო მიზანი, არამედ სამართლებრივი ურთიერთობის შედეგიც—საზოგადოებრივი ურთიერთობების რეალურად არსებული ფაქტობრივი მოწესრიგებულობა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მართლწესრიგი შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც სამართალსა და კანონიერებაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზაცია, რომელიც ასახავს სამართლებრივ ურთიერთობათა ხარისხობრივ მდგომარეობას საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე.

განვიხილოთ ამ მოვლენის თავისებურებები:

—მართლწესრიგი არის საზოგადოებრივი ცხოვრების მოწესრიგებული, ორგანიზებული მდგომარეობა;

—ეს არის წესრიგი, რომელიც სამართლის ნორმებით არის გათვალისწინებული;

—მართლწესრიგი არის სამართლებრივი ნორმების ფაქტობრივი რეალიზაციის, მათი ცხოვრებაში განხორციელების შედეგი და სამართლებრივ რეგულირებას წარმოადგენს;

—მართლწესრიგს უზრუნველყოფს სახელმწიფო.

როგორც ცნობილია, სამართლის ნორმები ყოველთვის არ სრულდება. ზშირია სამართლის ნორმების მოთხოვნებიდან გადახრა და სამართალდარღვევა. ამიტომ აუცილებელია განვასხვავოთ რეალურად არსებული მართლწესრიგი (სამართლებრივი რეგულირების შედეგი) და ის მართლწესრიგი, რომლის მიღწევასაც ესწრაფვოდა კანონმდებელი საზოგადოების განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე. მართლწესრიგს აქვს არა მხოლოდ ხარისხობრივი, არამედ რაოდენობრივი მახასიათებლებიც. ამიტომ არის, რომ სახელმწიფოს ფუნქციონირების სფეროში მნიშვნელოვანია მართლწესრიგის განმტკიცების, სრულყოფის, უზრუნველყოფის, დაცვის მიმართულებები.

მართლწესრიგი არის არა საჭირო ან შესაძლებელი, არამედ სამართლით მოწესრიგებული ურთიერთობების ფაქტობრივი მდგომარეობა, ამიტომაც იგი მეტნაკლებად შეიძლება დახასიათდეს, როგორც სამართლებრივი ურთიერთობების სისტემა.

მართლწესრიგის პრინციპებია:

განსაზღვრულობა. მართლწესრიგი ეფუძნება ფორმალურ-განსაზღვრულ სამართლებრივ მოთხოვნებს, რომელთა რეალიზაციაც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ურთიერთობების განსაზღვრულობას. ამით განსხვავდება ის ურთიერთობათა იმ სისტემისაგან, რომელიც წარმოიქმნება სხვა სოციალური ნორმების მოქმედების შედეგად, სადაც არ არის მკაფიო ფორმალური ორიენტირები, ხოლო სუბიექტური მომენტების როლი ძალიან დიდია;

სისტემურობა. ამავე მიზეზით (სამართალთან კავშირი) მართლწესრიგი არ არის ქცევის ერთეული, განცალკევებული აქტების, სხვადასხვა სამართლებრივი ურთიერთობების ერთობლიობა. ეს არის ურთიერთობათა სისტემა, რომელიც ეფუძნება სამართლის ერთიან არსს, ამა თუ იმ საზოგადოებაში გაბატონებული საკუთრების ფორმას, ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემას და უზრუნველყოფილია ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლების ძალით;

ორგანიზებულობა. მართლწესრიგი წარმოიქმნება არა სტიქიურად, არამედ სახელმწიფოს, მისი სტრუქტურების მათორგანიზებელი საქმიანობის პროცესში;

სახელმწიფოებრივი გარანტია. არსებულ მართლწესრიგს უზრუნველყოფს სახელმწიფო, იგი იცავს მას დარღვევებისაგან. შემთხვევითი არ არის, რომ სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას არსებული მართლწესრიგის დაცვა წარმოადგენს;

მდგრადობა. მართლწესრიგი, რომელიც წარმოიქმნება სამართლის საფუძველზე და უზრუნველყოფს სახელმწიფო, საკმაოდ სტაბილური და მდგრადია. დესტაბილიზაციის, მართლწესრიგის დარღვევის მცდე-

ლობას აღკვეთენ შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოები; ერთიანობა. საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში სხვადასხვაგვარია მართლწესრიგის ორგანიზაციის ხასიათი, მაგრამ ერთნაირ პოლიტიკურ და სამართლებრივ პრინციპებზე დაფუძნებული, ერთიანი სახელმწიფო ნებითა და კანონიერებით უზრუნველყოფილი მართლწესრიგი ერთია მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე. მისი შემადგენელი ყველა ელემენტი თანაბრად არის გარანტირებული სახელმწიფოს მიერ. მისი ნებისმიერი დარღვევა ითვლება სამართალდარღვევად და აღიკვეთება სახელმწიფო იძულებით.

ჩამოთვლილ თავისებურებათა გათვალისწინებით, მართლწესრიგი შეიძლება დახასიათდეს, როგორც წესრიგი, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ცხოვრების სტაბილურობას და სოციალურ პროგრესს, რამდენადაც განისაზღვრება სამართლით და სახელმწიფო უზრუნველყოფს, ისიც ამკვიდრებს სოციალურ-ეკონომიკური წყობის ყველაზე მნიშვნელოვან თვისებებს და მხარეებს, ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ურთიერთობათა სისტემას.

აქედან გამომდინარე, სამოქალაქო სფეროში მართლწესრიგი მოიცავს არა მარტო ადამიანთა ურთიერთობებს, არამედ სამართლის ნორმებზე დაფუძნებულ თვით პოლიტიკური ძალაუფლების ორგანიზაციასაც, ანუ სახელმწიფოს. მართლწესრიგის ამ მხარეს ჯერ კიდევ ციკერონმა მიაქცია ყურადღება, „განა რა არის სახელმწიფო, თუ არა საერთო მართლწესრიგი?“¹ ახლოს არის მასთან კანტიც, რომელიც სახელმწიფოს განიხილავს, როგორც „დიდძალი ხალხის გაერთიანებას, რომელიც ემორჩილება სამართალსა და კანონებს“.²

არისტოტელე წესრიგს, კანონის მიმართ ყველას თანასწორობას, სახელმწიფოს სიძლიერეს, სიმყარეს უკავშირდება. მისი აზრით „მყარია ის სახელმწიფო, რომელიც იცავს თანასწორობას და თითოეულს აძლევს იმას, რაც მას ეკუთვნის“.³

სხვაგვარად რომ ვთქვათ, სახელმწიფო არის მართლწესრიგის აუცილებელი პირობა. ერთი მხრივ, სამართლით კონსტიტუირებული და მკაცრად დადგენილ ჩარჩოებში ფუნქციონირებადი სახელმწიფო შეადგენს მართლწესრიგის უმნიშვნელოვანეს რგოლს, მეორე მხრივ, იგი (სახელმწიფო), არის ძალაუფლების მქონე სუბიექტი, რომელიც უზრუნველყოფს და იცავს მართლწესრიგს. შემთხვევითი არ არის, რომ სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის რეგულირება ხორციელდება პრინციპით „დასაშვებია მხოლოდ ის, რაც პირდაპირ არის ნებადართული“.

¹ ციკერონი. დას. შრომა. (რუს.) გვ. 24.

² Кант. И. Соч. т. 4. М., 1984. ст.223.

³ არისტოტელე. პოლიტიკა. ნაწ. 6. თბ., 1995 წ. გვ. 27.

ამგვარად, მართლწესრიგი შეიძლება განიხილებოდეს, როგორც სამართლისა და ხელისუფლების ერთიანობა. ეს არის წესრიგი, რომლის პირობებში სამართლებრივი მდგომარეობა და საზოგადოებრივი, პოლიტიკური და სახელმწიფო ცხოვრების ყველა სუბიექტის ურთიერთდამოკიდებულება მკაფიოდ განისაზღვრება კანონებით და დაცულია სახელმწიფო ძალაუფლებით; ამგვარი მართლწესრიგის რეალობის ყველაზე უფრო ადექვატური ფორმა არის სამართლებრივი სახელმწიფო.

მართლწესრიგი არის არა თვითმიზანი, არამედ საზოგადოებრივ ურთიერთობებში თავისუფლებისა და სამართლიანობის გამოხატვის, დაფუძნების და ორგანიზაციის ისტორიულად განპირობებული საყოველთაო საშუალება და ფორმა.

„მართლწესრიგის ჩამოყალიბებაში მონაწილეობენ ისტორიული და ეროვნული ტრადიციები, მოსახლეობის ზნე-ჩვეულებანი და ყოფაცხოვრების წესები. ქცევისა და დისციპლინის საზოგადოებრივი და კოლექტიური კონტროლის ჩამოყალიბებული ფორმები. თანამდებობის პირთა სამართლებრივი კულტურის დონე და პოლიტიკური რეჟიმი“¹.

მართლწესრიგი უნდა განეკუთვნოს მასთან მიხედვით, მაგრამ არა იდენტური მოვლენის—საზოგადოებრივი წესრიგისაგან, რომელიც, როგორც მართლწესრიგი, ხასიათდება საზოგადოებრივი ურთიერთობების ორგანიზებულობით, მოწესრიგებულობით, მაგრამ მართლწესრიგისაგან განსხვავებით საზოგადოებრივი წესრიგი იქმნება არა მარტო სამართლებრივი, არამედ სხვა სოციალური ნორმების—მორალის, ჩვეულების, კორპორაციული და სხვა ნორმების ზემოქმედებითაც. აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი წესრიგი არის ყველა სოციალური ნორმის და პრინციპის რეალიზაციაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგება.

საზოგადოებრივი წესრიგი უპირატესად უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი ზემოქმედებით, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო გულგრილია მისი მდგომარეობისადმი. ერთი მხრივ, მართლწესრიგი არის საზოგადოებრივი წესრიგის უმნიშვნელოვანესი ნაწილი, მეორე მხრივ, იგი მნიშვნელოვნად განაპირობებს მართლწესრიგის მდგომარეობას. შეუძლებელია მართლწესრიგის რეგლამენტირება, თუ არ იქნა ზემოქმედება საზოგადოებრივ წესრიგზე, რომელიც სწორედ ამიტომ ხშირად სახელმწიფო იძულების ძალით არის დაცული.

ამგვარად, მართლწესრიგი და კანონიერება არიან სამართლებრივი რეგულირების მიზანი და შედეგი, უმნიშვნელოვანესი იურიდიული და პოლიტიკური მოვლენები, რომელთა მდგომარეობა უშუალო გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ამიტომაც, შემთხვევითი არ არის,

¹ იხ. ბ. სვანელი, სამართლის თეორია თბ., 1993. გვ. 148.

რომ პროფესიონალ იურისტთა საქმიანობის ძირითად მიმართულებას მათი უზრუნველყოფა (განმტკიცება) წარმოადგენს.

სახელმწიფოსა და მისი მოქალაქეების ნორმალური ცხოვრების საფუძველია კანონიერება და მართლწესრიგი, როგორც უდიდესი სოციალური ღირებულებები, ამიტომ მათი განმტკიცება ერთ-ერთი უმთავრესია საზოგადოების წინაშე მდგომ ამოცანათა შორის და სახელმწიფო საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება, მისი ფუნქციაა. კანონიერებისა და მართლწესრიგის მდგომარეობა ჩვენს ქვეყანაში კვლავაც სერიოზულ პრობლემად რჩება.

იურიდიულმა და პოლიტიკურმა პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ სამართალდარღვევათა მიზეზები უნდა ვეძებოთ დღევანდელ სინამდვილეში, ისინი იქმნება იმ ობიექტურ (ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ) პირობებში, რომლებშიც იმყოფება საზოგადოება განვითარების კონკრეტულ ეტაპზე.

კანონიერების დარღვევათა აღკვეთა, აცილება მხოლოდ იურიდიული პრობლემა არ არის. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღმოიფხვრას ის ობიექტური მიზეზები, რომლებიც ხელს უწყობენ დამნაშავეობას, პირობებს უქმნიან სამართალდარღვევათა ჩადენას, კანონის მოთხოვნებისაგან გადახვევას. ეკონომიკურ ურთიერთობათა სტაბილიზაცია, ადამიანთა მატერიალური უზრუნველყოფის გაზრდა, მათი ზნეობრივი ჩამოყალიბება კანონიერების და მართლწესრიგის განმტკიცების აუცილებელი წინამძღვრები და უმნიშვნელოვანესი გზაა. ამასთან, მხოლოდ ამ ობიექტურ პროცესებზე დაყრდნობა შეცდომა იქნებოდა. აუცილებელია კანონიერების უზრუნველყოფის საქციალური იურიდიული, სახელმწიფო-სახელისუფლო საქმიანობა საზოგადოებაში. ამ საქმიანობის ფორმები მრავალგვარია. მათ შორის ძირითადია დარწმუნება, სამართლებრივი აღზრდა, სამართალდარღვევათა პროფილაქტიკა, საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებანი და სახელმწიფო იძულების ზომების გამოყენება.

დარწმუნება, როგორც კანონიერების განმტკიცების მეთოდი, მოქალაქეთა, თანამდებობის პირთა სამართალშეგნების ამაღლებაში მდგომარეობს. სამართლებრივი აღზრდა გულისხმობს სამართლის ცოდნას, მისი მოთხოვნების შესრულების აუცილებლობის გაგებას, კანონმდებლობის ნებისმიერი დარღვევის შეურიგებლობის გრძნობის დანერგვას ადამიანთა შეგნებაში. ამის უზრუნველყოფა მხოლოდ სამართლებრივი აღზრდის, სწავლების, პროპაგანდის საშუალებების მწყობრი სისტემის შექმნით და ამ მიმართულებით სისტემური გეგმაზომიერი მუშაობით შეიძლება. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მოქალაქეებმა ისწავლონ ბრძოლა საკუთარი უფლებებისათვის, მათი დაცვა კანონიერი გზებით. ამის თაობაზე ჯერ კიდევ რ. იერიხვი წერდა: „უფ-

ლებისათვის ბრძოლა არის მოვალეობა უფლებამოსილი ადამიანისათვის ივე თავის წინაშე... ბრძოლა უფლებისათვის მუდმივი მოღვაწეობაა, რომლის გარეშე არ არსებობს უფლება, როგორც საკუთრება შრომის გარეშე... როგორც კი უფლებისათვის ბრძოლის მზადყოფნა გაქრება, დაიღუბება თავად უფლება¹. ბრძოლა უფლებისათვის ამავე დროს არის ბრძოლა კანონისათვის²”.

დარწმუნების მეთოდთან მჭიდროდ არის დაკავშირებული სამართალდარღვევათა პროფილაქტიკა. მისი არსი მდგომარეობს შესაძლო სამართალდარღვევების აცილებაში იმ მიზეზებისა და პირობების საგულდაგულო შესწავლის გზით, რომლებიც ხელს უწყობენ კანონიერების დარღვევის ჩადენას და მათი სალიკვიდაციო ზომების მიღებას.

კანონიერების უზრუნველყოფაში დიდია საზოგადოებრიობის როლიც, მაგრამ აქ გადამწყვეტია სახელმწიფოს მონაწილეობა. სწორედ ის ახდენს თავისუფლებების, საკუთრების, მართლწესრიგის დაცვის ფუნქციების რეალიზებას, რომლებიც ცხოვრებაში სამართლებრივი საშუალებებით ხორციელდება. შესაძლებელია, დავასახელოთ ამ ფუნქციების განხორციელების შემდეგი გზები: მოქმედი კანონმდებლობის მუდმივი სრულყოფა და დროული განახლება, მართლმსაჯულების როლის გაზრდა, სამართალშეფარდებითი და სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესება და სხვა.

საზოგადოებაში მართლწესრიგის განმტკიცება შეუძლებელია თვით სახელმწიფო აპარატის საქმიანობაში კანონიერების უზრუნველყოფის, ისეთი ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრის გარეშე, როგორცაა კორუფცია, და ბოლოს, კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების უმნიშვნელოვანესი პირობა არის დემოკრატიული საწყისების განუხრელი დანერგვა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის, სახელმწიფო აპარატის საქმიანობაში. გარდა ამისა საზოგადოებრივი წესრიგი გვარდება ზნეობის—ჩვეულებებისა და ცხოვრების სხვა ნორმებითაც, ამიტომ მართლწესრიგი მთლიანად საზოგადოებრივი წესრიგის შემადგენელი ნაწილია.²

¹ იხ. რ. ფ. იერინგი, უფლებისათვის ბრძოლა თბ., 2000 წ. გვ. 48-82 და 116.

² თხ. გ. ინწკირველი, დას. ნაშ. გვ. 110.

ადამიანი, სამართალი და სპირიტუალიზმი (მსოფლიო) მართლწესრიგის პრობლემა

თავი ოცდამეშვიდე

ადამიანის უფლებები და სამართალი

§1. ადამიანი და სამართალი

ათასწლეულები გახდა საჭირო, რომ ადამიანებს თანდათანობით, ჯერ ინტუიციით, ხოლო შემდეგ უფრო გააზრებით დაეწყათ ცხოვრებაში სამართლის რაობისა და მნიშვნელობის გაგება. ადამიანები ცხოვრების განა მართო მაყურებლები არიან, არამედ მთავარი მოქმედი პირნიც, ცხოვრება არის მათი ქმნილება ნამოქმედარი და ჭირნახული.¹

სამართალი ადამიანებს საზოგადოებრივი ურთიერთობების სფეროში წარმოშობილი წინააღმდეგობების დაძლევის მათ მიერვე შექმნილი სიკეთის დასაცავად დასჭირდათ, ამიტომ სამართალთან მიმართებაში აუცილებელია საკითხის შესწავლა დავიწყოთ თვით ადამიანიდან, ვისი არსობრივი ნიშნები, იდეალური და ყოფითი პირობები ცხადად თუ შეუცნობლად სამართალთან არის დაკავშირებული. ცოცხალ არსებებს შორის მხოლოდ ადამიანს აქვს გონება, ემოციური თვისებების კომპლექსი, შესაძლებლობა—შეიცნოს და აღიქვას სამართალი, დაიცვას სამართლებრივი წესები, მოერგოს სამართლებრივ სინამდვილეს, სხვა ადამიანებთან ურთიერთობის პროცესში შეუძლია სრულყოფილი იურიდიული ნორმები, შექმნას საზოგადოებრივი ქცევის უფრო მიზანშეწონილი მოდელი, ეძებოს მომწესრიგებელი მექანიზმი ამ ნორმების დარღვევისა თუ უმოქმედობის შემთხვევაში. ერთი სიტყვით, ადამიანი ცხოვრობს სამართლებრივ სისტემაში და სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და პროგრესული განვითარების სხვა ფაქტორების გამო არ შეუძლია იარსებოს სამართლის გარეშე.

სამართლის მეორე მხარეს წარმოადგენს ადამიანი, როგორც მისი შემოქმედი. უპირველეს ყოვლისა, აქ უნდა გავიაზროთ, რომ სამართალი ადამიანისაგან განუყოფელი ღირებულება და მისი ყოფიერების თვისებაა, თავდაპირველად დედამიწაზე ადამიანი წარმოიშვა, როგორც სახეობა; მას შემდეგ იგი იქცა პიროვნებად, რომელიც იცავს. საკუთარ

¹ იხ. ი. ჭავჭავაძე თხზ. ტ. III, გვ. 259.

ცხოვრებას, თავისუფლებას (თავიდან ინსტიტუტურად, შემდეგ შეგნებულად). აქედან გამომდინარეობს ადამიანის ბუნებითი, განუყოფელი უფლებები: სიცოცხლის, თავისუფლების, საკუთრების, თანასწორუფლებიანობის, ბედნიერების უფლება და ა.შ., ამიტომ სამართალს აქვს ბუნებითი ღირებულება, ანუ თვითღირებულება.

ხანგრძლივი დროის მანძილზე ადამიანის ჩამოთვლილი თვისებები (სიცოცხლე, თავისუფლება, საკუთრება) და მათი დაცვა განუყოფელი იყო და ატარებდა კონკრეტულ, პერსონიფიცირებულ ხასიათს, რომელიც უზრუნველყოფდა ადამიანთა შორის ურთიერთობის დარეგულირების კაზუალურ მეთოდს. ადამიანთა ურთიერთობის პროცესში, მათი ბუნებრივი მოთხოვნილებების, ინტერესებისა და უფლებების რეალიზაციისას თანდათანობით გამოქმედდება ჩვეულებები, სტერეოტიპები, რომლებიც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფენ მოქმედების თავისუფლებას და, მეორე მხრივ სოციალური უმრავლესობის ან სოციალური ძალის პოზიციით ზღუდავენ მას გონივრულ ფარგლებში. ყალიბდება ქცევის ნორმები. ადამიანი შეიცნობს თავის თავს სოციალური თვალსაზრისით და ეს არის საკუთარი უფლებებისა და მოვალეობის შეგრძნება სხვა ადამიანთან მიმართებაში. ადამიანი უკვე სამართლის დახმარებით აფასებს თავის მოქმედებებს, სხვა ადამიანების საქციელს მართლისა თუ მტყუანის, სამართლიანისა თუ უსამართლოს თვალსაზრისით.

საზოგადოების განვითარების მიხედვით ადამიანის ბუნებით-სამართლებრივი თვისებები იღებენ თავისუფლების, სამართლიანობის და ყველა ადამიანის თანასწორუფლებიანობის მასშტაბურ ხასიათს. წარმოიქმნება სამართლებრივი ნორმატიულობა, ურთიერთობების საყოველთაო მოწესრიგება და სამართალი იძენს სოციალურ ღირებულებას, როგორც საზოგადოების ნორმალური ცხოვრების საყოველთაო ფორმა და საშუალება. სოციალური ჯგუფების, ფენების, კლასებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბებასთან ერთად ადამიანს გაუჩნდა შესაძლებლობა აქტიურად ჩაერიოს სამართალშემოქმედებით პროცესში, შექმნას ახალი ნორმები, შეათანხმოს არსებული წესები და ჩვევები საზოგადოების ან კონკრეტული ფენის, კლასის ინტერესებთან. სამართალში ჩნდება და გამოიყენება საზოგადოებრივ ურთიერთობებზე ზეგავლენის მქონე მძლავრი საშუალებების, ახალი ღირებულებების საზომი; იგი გვევლინება ყველაზე საიმედო და ეფექტურ შუამავლად ადამიანსა და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის და სახელმწიფოც შეიძლება ჩაითვალოს დემოკრატიულად და სიცოცხლისუნარიანად იმდენად. რამდენადაც შესძლო გაეთვალისწინებინა საკუთარი სამართალშემოქმედებისა და სამართალშეფარდებითი საქმიანობის ბუნებით-სამართლებრივი საწყისები.

ამგვარად, ყველაფერი ის საერთო, რაც კი არსებობს ადამიანის ბუნებით და სოციალურ თვისებებში, დამოუკიდებლად რასობრივი,

ეროვნული, სქესობრივი, რელიგიური და იდეოლოგიური განსხვავებისა, განსაზღვრავს ნებისმიერ ადრინდელი თუ თანამედროვე სამართლებრივი სისტემის საერთო თვისებებს. ამასთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურაში სამართლიანადაა მინიშნება პროტაგორას ცნობილი გამონათქვამის მიმართ, რომ „ადამიანი საზოგადოება ყველა საგნისა“, და უშუალოდ სამართლისკენაა მიმართული.¹ ამ დებულებამ თავისებური განვითარება ჰპოვა ქართული საზოგადოებრივ და სამართლებრივ აზროვნებაში. ადამიანი ერთის მხრივ უფალია, მეორე მხრივ მოვალე. უფალია თავის საკუთარს საქმეში. თავის ცალკე ინტერესების მოედანზე. აქ მას თავისი განცალკევებული საკუთარი „შინა“ აქვს, რომელიც მისი ზელშეუხებელი კუთვნილებაა. აქ მბრძანებლობა ადამიანის მძლავრი „მე“, რომელსაც საზოგადოებრივი „ჩვენ“ არამც თუ ერჩის რამეს, არამედ თვითონ გუშაგად უდგება, რომ დასაჯელად არავინ ზელი არ შეახოს² წერდა ილია ჭავჭავაძე და ამ ფუნქციას სამართალი ასრულებდა. ბუნებით, სოციალურ და პოლიტიკურ ერთიანობაში სამართალი წარმოჩინდება, როგორც ადამიანის ყოფიერების მთავარი ფაქტორი.

§2. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების სწავლა

ადამიანის უფლებების წარმოქმნა და მისი, როგორც თეორიული პრობლემის, შეცნობა განუყრელად არის დაკავშირებული ბუნებითი სამართლის იდეის აღმოცენებასა და გავრცელებასთან. ჯერ კიდევ ჩვ. წ. აღ-მდე VI-V ათასწლეულებში ძველი ბერძენი მოაზროვნეები (ლიკოფრონი, ანტიფონი) ამტკიცებდნენ, რომ ყველა ადამიანი დაბადებიდანვე თანასწორუფლებიანია და ბუნებით მინიჭებული ერთნაირი უფლებები აქვთ. არისტოტელე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა უფლებას კერძო საკუთრებაზე, რომელიც ასახავს თვით ადამიანის ბუნებას და საკუთრებისადმი მის სიყვარულს ემყარება. ფეოდალიზმის პერიოდში მრავალი ბუნებით-სამართლებრივი იდეა შეიმოსა რელიგიური მანტიით. მოგვიანებით მათ ასახვა და შემდგომი განვითარება ჰპოვეს ლოკის, მონტესკიეს, რუსოს, კანტის, ბენტამის და სხვა მოაზროვნეთა ნაშრომებში. საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარებასთან ერთად ადამიანის უფლებები იდეალური კატეგორიიდან გარდაიქმნა რეალურ სინამდვილედ, გამყარდა სახელმწიფო-სამართლებრივ და საერთაშორისო-სამართლებრივ დოკუმენტებში და ამა თუ იმ სისტემის სამართლებრივი თუ სახელმწიფო მოწყობის დემოკრატიულობის კრიტერიუმად წარმოჩინდა.

¹ იხ. Матузов Н. Правовая система и личность сар. 1987 г.

² იხ. ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. VIII გვ. 242-244.

ერთ-ერთი პირველი იურიდიული დოკუმენტი, რომელიც ასახავს ადამიანის სისტემატიზებულ უფლებებს და საფუძვლად დაედო აშშ კონსტიტუციის (1791 წ) უფლებათა ბილს (პირველი თავისუფლების ნუსხა), ვირჯინიის დეკლარაცია იყო (1776 წ). შეუვალი მნიშვნელობა აქვს ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა ფრანგულ დეკლარაციას (1789 წ.). ამ პოლიტიკურ-სამართლებრივ დოკუმენტებში ჩადებულ ადამიანის ფუძემდებლურ უფლებებს დღესაც არ დაუკარგავს თავისი აქტუალობა. ადამიანის უფლებები განვრცობილად გამოიხატა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში, რომელიც გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1948 წელს მიიღო.

ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ევროსაბჭო სახელმწიფოთაშორისი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც 1949 წელს დაარსდა. მის შემადგენლობაში 1998 წლის დეკემბრის მონაცემებით 40 ქვეყანაა გაერთიანებული.

ადამიანის უფლებების და თავისუფლებების პრობლემების გადაჭრას ემსახურება ევროსაბჭოს წევრი ქვეყნები, ესენი არიან: ავსტრია, ალბანეთი, ბელგია, ბულგარეთი, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის შეერთებული სამეფო, გერმანია, დანია, ესპანეთი, ესტონეთი, თურქეთი, ირლანდია, ისლანდია, იტალია, კვიპროსი, ლატვია, ლიტვა, ლიხტენშტეინი, ლუქსემბურგი, მაკედონია (ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა), მალტა, მოლდოვა, ნიდერლანდები, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, რუსეთი, საბერძნეთი, სან-მარინო, საფრანგეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უკრაინა, უნგრეთი, ფინეთი, შვეიცარია, შვეცია, ჩეხეთის რესპუბლიკა, ხორვატია.

საქართველომ გაწევრიანების განაცხადი 1996 წლის 14 ივლისს გააგზავნა ევროსაბჭოში;

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ განიხილა ეს საკითხი 1999 წლის 27 იანვარს და მხარი დაუჭირა საქართველოს ევროსაბჭოში გაერთიანებას.

სპეციალურად მიწვეული სტუმრის სტატუსით სარგებლობენ: აზერბაიჯანი, ბოსნია-ჰერცეგოვინა და სომხეთი. დამკვირვებლის სტატუსი აქვთ: ამერიკის შეერთებულ შტატებს, არგენტინას, ვატიკანს, იაპონიას, კანადას, ურუგვაის და ყირგიზეთს.

ევროსაბჭოს ოფიციალური სამუშაო ენებია: ფრანგული და ინგლისური.

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელების რეალურობისა და გარანტიის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი როლი აკისრია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტებს (1966 წ).

საქართველო გაეროს 5 უმათავრესი პაქტისა და კონვენციის მონაწილეა. 1994 წელს საქართველო შეუერთდა ადამიანის სამოქალაქო, პოლიტიკურ უფლებათა, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების პაქტებს, აგრეთვე, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა ფაკულტატიურ ოქმს. იმავე წელს ჩვენი ქვეყანა შეუერთდა წამებისა და ღირსების შემლახავი სხვა სასტიკი და არაადამიანური მოპყრობის წინააღმდეგ გაეროს კონვენციას, აგრეთვე ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმისა და ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციებს.¹

სადღეისოდ ადამიანის უფლებები ფართოდაა ასახული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობის კონსტიტუციებსა და საკანონმდებლო აქტებში.

ადამიანის უფლებები ნებისმიერი ადამიანის ხელშეუვალი და მისი ყოფიერების მნიშვნელოვანი ნიშან-თვისებაა. სახელმწიფო არავის „ასაჩუქრებს“ უფლებებით, იგი მხოლოდ ამტკიცებს მას კანონით და უზრუნველყოფს მის რეალიზებას. სახელმწიფო ამ შემთხვევაში შეიძლება სამართლებრივად ჩაითვალოს, ხოლო თუ იგი უგულვებელყოფს ადამიანის ბუნებით უფლებებს, ან, უფრო მეტიც, ბღალავს და ებრძვის მას, ეწინააღმდეგება მათ განხორციელებას, ასეთი სახელმწიფო ხასიათდება, როგორც ანტიდემოკრატიული (ავტორიტარული, ტოტალიტარული და ა.შ.)

ადამიანის უფლება არის ადამიანის ბუნებითი შესაძლებლობები, ნებადართული ქცევის წესები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის სიცოცხლეს, ადამიანურ ღირსებებს და თავისუფალ მოღვაწეობას ცხოვრების ნებისმიერ სფეროში.

კატეგორია „სამართალთან“ ერთად იხმარება ტერმინი „თავისუფლება“. სინდისის თავისუფლება, სარწმუნოების არჩევის თავისუფლება, აზრის თავისუფლება, სიტყვის თავისუფლება და ა.შ. აზრობრივად და შინაარსობრივად ეს კატეგორიები შეიძლება ტოლფასად ჩაითვალოს. იურიდიულ ლიტერატურასა და კანონმდებლობაში. იხმარება აგრეთვე კატეგორიები „სამოქალაქო თავისუფლებები“, „სამოქალაქო უფლებები“, „პიროვნების უფლებები“ და „მოქალაქის უფლებები“.

ადამიანის უფლებებს აქვს ბუნებითი შინაარსი და განუყოფელია ინდივიდისაგან, ისინი ტერიტორიისა და ეროვნულობის მიღმა, სახელმწიფოს საკანონმდებლო აქტებისაგან დამოუკიდებლად არსებობენ და საერთაშორისო-სამართლებრივი რეგულირებისა და დაცვის ობიექტებს წარმოადგენენ. თუკი ადამიანის ეს უფლებები განმტკიცდება კონკრეტული სახელმწიფოს საკანონმდებლო აქტებში, ისინი ამ სახელმწიფოს მოქალაქეთა უფლებებად იქცევიან.

¹ ე. ქარუმაძე, საერთაშორისო ორგანიზაციები, თბ., 1998 წ. გვ.

მოქალაქეთა უფლებები ბუნებით უფლებამოსილებების ერთობლიობაა, რომლებიც ნორმატიულ-სამართლებრივ სახელმწიფო აქტებში აისახება. ის სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარების პროცესში წარმოიშვა. მოქალაქის უფლებები, როგორც წესი, განისაზღვრებიან კონსტიტუციითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით, ასევე აუცილებელია სახელმწიფომ მოახდინოს მათი დეკლარირება და უზრუნველყოს დაცვა. ისინი აძლევენ ადამიანს საზოგადოების ერთობის წევრის სტატუსს.

პიროვნების უფლებები აიხსნება როგორც კონკრეტულ სიტუაციაში კონკრეტული ინდივიდის კუთვნილი უფლებამოსილებანი. მათი მოცულობა შეიძლება დამოკიდებული იყოს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ადამიანის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პირობებზე, მის სამუშაოსა და ცხოვრების დონეზე. ტერმინ „პიროვნების“ ქვეშ იგულისხმება ადამიანი, მოქალაქე, უცხო ქვეყნის მოქალაქე, მოქალაქეობის არმქონე პირი, იძულებით ადგილმონაცვლე. პიროვნების უფლება გვიხასიათებს ადამიანის ინდივიდუალურ თავისებურებებს, მისი სოციალური სიმწიფის ხარისხს, უნარს გაითვითცნობიეროს სამართალი და პასუხი აგოს საკუთარ მოქმედებაზე.

ამჟამად საერთაშორისო-სამართლებრივ აქტებში, სამეცნიერო ლიტერატურასა და განვითარებული ქვეყნის კანონმდებლობაში კატეგორიებს „ადამიანის უფლება“, „მოქალაქის უფლება“, „პიროვნების უფლება“ ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვთ. ცალკეული კატეგორიების გამოყენება განპირობებულია ლოგიკური და სტილისტური წესებით ან და აუცილებლობით, გამოიკვეთოს ადამიანის უფლებების პრობლემის ესა თუ ის ასპექტი.

§3. ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების კლასიფიკაციის პრობლემა

ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები განსაზღვრული არიან საერთაშორისო-სამართლებრივი აქტებით და კონკრეტული სახელმწიფოების კონსტიტუციებით. მათი კლასიფიკაციის ერთ-ერთ საყოველთაოდ აღიარებულ კრიტერიუმს წარმოადგენს საზოგადოებაში ადამიანის მოღვაწეობის სფერო, რომელშიც რეალიზდება პიროვნების ესა თუ ის ინტერესი და მოთხოვნილება. ამ კრიტერიუმების შესაბამისად არსებობს სამოქალაქო (პირადი), ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული, ეკოლოგიური და ინფორმაციული უფლებები. სამოქალაქო (პირადი) უფლებები წარმოადგენენ ბუნებით-სამართლებრივი საწყისების ამსახველ უფლებამოსილებათა ერთობლიობას, რომ-

ლებიც უზრუნველყოფენ პიროვნების ინდივიდუალობას და ორიგინალობას სახელმწიფოსთან და საზოგადოებასთან ურთიერთკავშირში. მათ მიეკუთვნება სიცოცხლის უფლება, პიროვნების ღირსება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, პირადი და ოჯახური საიდუმლოებების დაცვის უფლება, საკუთარი ღირსების და სახელის დაცვის უფლება, მიმოწერის, სატელეფონო საუბრების, ფოსტის, ტელეგრაფის და კავშირგაბმულობის სხვა სახეობების საიდუმლოების დაცვის, თავისუფალი გადაადგილების უფლება, საცხოვრებელი ადგილის არჩევის და სხვა უფლებები;

ეკონომიკური უფლებები არის ის უფლებამოსილებები, რომლებიც ადამიანის ბუნებითი უფლებების ეკონომიკურ ასპექტებს ასახავენ და იმავდროულად უზრუნველყოფენ ინდივიდის სამეურნეო ავტონომიურობას და მათ ურთიერთობას ერთმანეთთან და საზოგადოებასთან. ეს არის კერძო საკუთრების უფლება, საკუთარი ქონების ფლობის, გამოყენების და განკარგვის უფლება როგორც ერთპიროვნულად, ასევე სხვა პირებთან ერთად, მეწილეობის უფლება კოოპერაციულ, აქციონერულ, მუნიციპალურ, სახელმწიფო საკუთრებაში, სამეწარმეო საქმიანობის უფლება, საკუთარი შრომითი შესაძლებლობების თავისუფლად გამოყენების, პროფესიის, მოღვაწეობის სფეროს არჩევისა და სხვა უფლებები;

პოლიტიკური უფლებები განსაზღვრავენ მოქალაქეთა მონაწილეობის შესაძლებლობას სახელმწიფოსა და საზოგადოების მართვაში. მათ მიეკუთვნებათ ადამიანის მოქალაქეობის უფლება, უფლება განსაზღვროს და მიუთითოს თავისი ეროვნული წარმომავლობა, გაერთიანების უფლება, საკუთარი ინტერესების დასაცავად პროფესიონალური კავშირების შექმნის უფლების ჩათვლით, ყრილობების, მიტინგებისა და დემონსტრაციების ჩატარების უფლება, როგორც პირადად, ასევე თავისი წარმომადგენლების მეშვეობით სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობისა და მართვის უფლება, უფლება აირჩიოს და იყოს არჩეული, მიმართოს სახელმწიფოებრივ ორგანოებს და სხვა;

სოციალური უფლებები ასახავენ კონკრეტული სახელმწიფოსა და საზოგადოების მატერიალური განვითარების დონესა და მათ უნარს უზრუნველყონ ინდივიდის ცხოვრების ღირსეული პირობები და სოციალური დაცვა. მათ შორის დიდი მნიშვნელობა აქვს შრომის, სოციალური უზრუნველყოფის, საცხოვრებლის, დასვენების, ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო მომსახურების უფლებებს.

კულტურული უფლებები მოქმედებს სულიერ-კულტურულ ურთიერთობებზე, უზრუნველყოფს პიროვნების სულიერი სამყაროს ჩამოყალიბების დამოუკიდებლობასა და თვითმყოფადობას. ამ ჯგუფში შედის მშობლიური ენის გამოყენების, საურთიერთო ენის თავისუფალი არჩევის, სარწმუნოებისა და სინდისის თავისუფლების, უფლება განათ-

ლების, ლიტერატურულ, მხატვრულ, სამეცნიერო-ტექნიკური და ხელოვნების სხვა დარგების თავისუფლების, კულტურული ღირებულებების გაცნობის უფლებები;

ეკოლოგიური უფლებები მოწოდებული არიან—უზრუნველყონ დედამიწაზე და კონკრეტულ ტერიტორიაზე ადამიანის ცხოვრების ნორმალური პირობები. ეს არის უფლება ხელსაყრელი გარემოს, მისი მდგომარეობის შესახებ სწორი ინფორმაციის მიღების, ადამიანის ჯანმრთელობის ან მისი ქონებისათვის ეკოლოგიური კანონდარღვევებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების უფლებები;

ინფორმაციული უფლებები პიროვნებისა და საზოგადოების განვითარების ახალი ეპოქისთვისაა დამახასიათებელი. მის განმტკიცებასა და დაცვაზე დამოკიდებულია პიროვნების საერთო სამართლებრივი სტატუსის რეალიზაცია. ამას მიეკუთვნება ფიქრის და სიტყვის თავისუფლება, ინფორმაციის ძებნის, მიღების, გადაცემის, წარმოქმნის და გავრცელების უფლება ნებისმიერი კანონიერი საშუალებებით, მასობრივი ინფორმაციის თავისუფლება;

ადამიანთა ერთობლივი ცხოვრების ისტორიული გამოცდილება იძლევა ადამიანის უფლებების კანონზომიერი განვითარების გამოვლენის, მათი საერთო და სპეციფიკური პრინციპების ფორმირების და რეალიზაციის საშუალებას. ამ შემთხვევაში აღსანიშნავია, ყურადღება მივაქციოთ შემდეგ ვითარებებს:

—ადამიანის უფლებებს აქვს უნივერსალური ხასიათი. ისინი ვრცელდება ყველა ადამიანზე და გამოიყენება ყველა ქვეყანაში მისი ამ თუ იმ საერთაშორისო ერთობის წევრობისაგან დამოუკიდებლად. ცხადია, უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციის ეფექტიანობა და მოცულობა დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოების განვითარების დონეზე;

—ადამიანის უფლებები მუდმივად ვითარდება და საზოგადოებრივი ურთიერთობების დინამიკასა და მოქალაქეთა სამართალშემცნების ზრდას ასახავს. ამ საერთაშორისო პრინციპებმა თავისი ასახვა კპოვეს საქართველოს კონსტიტუციას მე-19 მუხლში;¹ საზოგადოების განვითარებისა და ცხოვრების დონის ცვალებადობასთანაა დაკავშირებული ადამიანის უფლებათა და თავისუფლების განვითარების მექანიზმების სრულყოფის პროცესი².

—ადამიანის უფლებები არის იურიდიული დოგმა, სოციალური აუცილებლობა. არ შეიძლება მისი აბსოლუტიზება და რეალური ცხოვრებისაგან, მოაზროვნე ადამიანისგან მოწყვეტა. მთელ რიგ საერთაშო-

¹ იხ. საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 1995 წ. გვ. 11

² იხ. ჯანადა, ბერი, გოლდმენი, ამერიკული დემოკრატია, თბ., 1995 წ. გვ. 41-74

რისო-სამართლებრივ და შიდასახელმწიფო დოკუმენტებში დაშვებულია ზოგიერთი უფლებისა და თავისუფლების ნაწილობრივი შეზღუდვა საზოგადოების უსაფრთხოების, ეკოლოგიური თანაფარდობის და სხვა თვალსაზრისით. გერმანიის, საფრანგეთისა და იტალიის კანონმდებლობაში განსაზღვრული კერძო საკუთრების დასაშვები ფარგლები, ხაზგასმით აღნიშნულია მისი საზოგადოების სასარგებლოდ გამოყენების აუცილებლობა. შვეიცარიაში მიწის თავისუფალი ყიდვა-გაყიდვა შეზღუდულია მისი მიზანშეწონილობის გათვალისწინებით. მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწები მისი მფლობელის შეცვლის შემთხვევაში არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა მიზნით;

—ადამიანის უფლებებს აუცილებლად თან ახლავს მოვალეობებიც. ადამიანის უფლებების და თავისუფლებების იურიდიულ მოვალეობებთან შესაბამისობა მათი წარმატებით რეალიზაციის ერთ-ერთ მთავარ პირობას წარმოადგენს.

§4. ადამიანის უფლებათა ღაცვის პრობლემები

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების მკაცრი დაცვა მსოფლიო საზოგადოების პრობლემას წარმოადგენს, რომელსაც სჭირდება გარანტიათა მწყობრი სისტემა, ხოლო გარანტიები არის პირობების, საშუალებებისა და მეთოდების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ყველას საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების აღმოჩენის, შეძენისა და რეალიზაციის თანაბარი სამართლებრივი შესაძლებლობებით. მათი კლასიფიკაცია შეიძლება მოხდეს სხვადასხვა მეთოდით:

მოქმედების სფეროს მიხედვით ასხვავებენ საერთაშორისო-სამართლებრივ (პლანეტარულ) გარანტიებს, გარანტიებს რეგიონალური-საერთაშორისო გაერთიანებების ფარგლებში, შიდასახელმწიფოებრივ და ავტონომიურ გარანტიებს.

საერთაშორისო-სამართლებრივი გარანტიები განსაზღვრულია 1948 წლის 10 თებერვლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით, საერთაშორისო პაქტებითა და სხვა დოკუმენტებით. მათ სხვადასხვა საერთაშორისო პროგრამებისა და პროექტის მეშვეობით ახორციელებს გაერო, მისი ორგანოები და აგრეთვე ის ორგანიზაციები, რომლებიც მისი ეგიდით მოქმედებენ. ამ თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა აქვთ უშიშროების საბჭოს, გენერალური ასამბლეის კომიტეტებს, გაეროს საერთაშორისო სასამართლოს და სპეციალიზებული დაწესებულებების—ადამიანის უფლებების დაცვის, ბავშვთა უფლებების დაცვის, წამების საწინააღმდეგო კომიტეტის მოღვაწეობას. ისინი კის-

რულობენ ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციის პასუხისმგებლობას და გაეროს წევრ სახელმწიფოებს გადასცემენ.

ასე მაგალითად, 1994 წელს, რუანდაში მომხდარი მასობრივი მკვლელობების გამოსაძიებლად უშიშროების საბჭომ სპეციალური საერთაშორისო ტრიბუნალი შექმნა. სასამართლო პროცესი აშურაში (ტანზანია) გაიმართა, რომელმაც რუანდის ყოფილ პრემიერ-მინისტრს, ჟაკ კამბანას, ნახევარი მილიონი ტუტსის მკვლელობაში „შეტანილი წვლილის“ გამო, სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. ეს იყო გენოციდის ბრალდებით გასამართლების პირველი შემთხვევა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ამავე პროცესზე გაუპატიურების ბრალდებით გაასამართლეს რუანდის ერთ-ერთი პატარა ქალაქის მერიც. სასამართლომ გაუპატიურებაც გენოციდის ერთ-ერთი ფორმად მიიჩნია.

1998 წლის ივნისსა და ივლისში რომში 150-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენელთა მონაწილეობით საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა. დელეგატებმა დაამტკიცეს ხელშეკრულება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (International Criminal Court, ICC) შექმნის შესახებ, როგორც დამოუკიდებელი და პერმანენტური სტრუქტურა, რომელმაც უნდა განიხილოს გენოციდის, ადამიანურობის წინაშე ჩადენილი დანაშაულისა და ომის დანაშაულის შემთხვევები. რომის ხელშეკრულება ძალაში შევა იმ შემთხვევაში, თუ სულ მცირე 60 სახელმწიფო მანაც მოახდენს მის რატიფიცირებას.

რეგიონალური საერთაშორისო გაერთიანებების (ევროკავშირი, ევროპის საბჭო, ბალტიის ზღვის სახელმწიფოთა საბჭო, აფრიკის ერთიანობის ორგანიზაცია, ამერიკული სახელმწიფოების ორგანიზაცია, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაცია, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა) გარანტიებს ახორციელებენ აგრეთვე სხვადასხვა დაწესებულებები შესაბამისი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

მაგალითად, ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები ხელმძღვანელობენ 1950 წლის ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის ევროპის კონვენციით და მისი დამატებითი ოქმებით. მათი რეალიზაციის ზედამხედველობა ევალება ადამიანის უფლებების ევროპულ კომისიას და სასამართლოს. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრმა ქვეყნებმა მიიღეს მთელი რიგი ღოკუმენტებისა, რომლებიც ხელს უწყობენ მათ ტერიტორიაზე დსთ წევრი სახელმწიფოების მოქალაქეთა პირადი და ქონებრივი უფლებების რეალიზაციას. კერძოდ, ეს არის 1993 წლის 22 იანვრის კონვენცია სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებში, 1993 წლის 24 სექტემბრის დეკლარაცია საერთაშორისო ვალდებულებებზე

ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების სფეროში, 1994 წლის 9 დეკემბრის შეთანხმება ურთიერთუფლებების აღიარებაზე, მუშა-მოსამსახურეებისათვის ზიანის მიყენების ანაზღაურებაზე, პროფესიული დაავადებით ან ჯანმრთელობის დაზიანების რაიმე სხვა შემთხვევაში მათ მიერ შრომითი ვალდებულებების შესრულების დროს, 1995 წლის 26 მაისის დსთ კონვენცია ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლების შესახებ.

შიდასახელმწიფოებრივი გარანტიები დამტკიცებულია სახელმწიფოების კონსტიტუციებით და სხვა საკანონმდებლო აქტებით და უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური და ორგანიზაციული საშუალებებით.

შინაარსისა და საქმიანობის მიხედვით არსებობენ ეკონომიკურ-სამართლებრივი (ეკონომიკური მოღვაწეობის თავისუფლების განმტკიცება, კერძო, სახელმწიფო, მუნიციპალური და სხვა სახის საკუთრების აღიარება და თანაბრად დაცვა, სოციალური პარტნიორობა), პოლიტიკურ-სამართლებრივი (სახალხო ხელისუფლების მექანიზმი, ხელისუფლების დაყოფა და თანასწორობა, მრავალპარტიულობა, აზრთა პლურალიზმი), სოციალურ-სამართლებრივი (სოციალური, რასობრივი, ეროვნული და რელიგიური უთანხმოების აღკვეთა, ძირითადი, საერთო და საშუალო პროფესიული, საყოველთაოდ მისაწვდომი და უფასო განათლება) და სამართლებრივი (კანონმდებლობის განვითარებული სისტემის არსებობა, კვალიფიციური იურიდიული დახმარების მიღების საშუალება, ნებისმიერი პიროვნების უფლება კანონით დაშვებული ყველა საშუალებით დაიცვას საკუთარი უფლებები და თავისუფლება) გარანტიები.

სამართლებრივი გარანტიები შეიძლება იყოს მატერიალური (უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციის პირობების განმსაზღვრავი ნორმატიული დადგენილებები), იდეალური (უდანაშაულობის პრეზუმფცია, იურიდიული ფიქციები), პროცესუალური (ზედამხედველობისა და კასაციის ინსტიტუტები, მოსამართლეთა უფლებამოსილების შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურები), ტექნიკურ-იურიდიული (სამართლებრივი ნორმების მიმდობ-სავალდებულო ხასიათის ამსახველი, სამოქალაქო-სამართლებრივი სარჩელის, ხელშეკრულებების კონსტრუქციები).

სამართლებრივი გარანტიების ხარისხში განიხილავენ იურიდიულ პასუხისმგებლობასაც. იგი შედგება პიროვნების ვალდებულებისაგან აიტანოს სახელმწიფო დამსჯელი ზემოქმედებები მის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევისათვის, მის მიერ შეუსრულებელი, ან არასათანადოდ შესრულებული იურიდიული მოვალეობებისათვის და ა.შ.

§5. პიროვნების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის პრობლემა

შეუძლებელია განვსაზღვროთ და გადავჭრათ უფლებებისა და თავისუფლებების პრობლემა, თუ მას პიროვნების სამართლებრივი სტატუსის ფარგლებში არ განვიხილავთ.

პრობლემა ატარებს კრებით ხასიათს. იგი თითქოს თავის თავში მოიცავს მოქალაქის, უცხო ქვეყნის მოქალაქის, მოქალაქეობის არმქონე პირის, დევნილის, იძულებით გადაადგილებულის სტატუსებს;

თუ მას კატეგორიად მივიჩნევთ, მაშინ იგი ასახავს ადამიანის ინდივიდუალურ თავისებურებებს და რეალურად განსაზღვრავს მის მდგომარეობას მრავალმხრივი საზოგადოებრივი ურთიერთობების სისტემაში;

— უფლებები და თავისუფლებები წარმოადგენენ პიროვნების სამართლებრივი სტატუსის¹ საფუძველს და არ შეიძლება რეალიზებული იყვნენ მისი სხვა კომპონენტების- იურიდიული ვალდებულებების მაკორესპონდენტებელი უფლებების აუცილებელ შემთხვევაში იურიდიული პასუხისმგებლობის, სამართლებრივი გარანტიების, უფლებაუნარიანობის, ქმედუნარიანობის, როგორც ადამიანის ნებისყოფისა და გააზრებული მოქმედების დამახასიათებელი ნიშნის გარეშე;

— სამართლებრივი სტატუსის პრობლემა საშუალებას გვაძლევს დავინახოთ სამართალი, თავისუფლება, პიროვნების ვალდებულებები ერთობლივი სისტემური სახით, შევაფასოთ სტატუსი, რაც გზას უხსნის მათ შემდგომ სრულყოფას.

პიროვნების სტატუსი არის ადამიანის სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც ასახავს მის ფაქტობრივ მიმართულებას საზოგადოებასა და სახელმწიფოსთან ურთიერთქმედებაში.

პიროვნების სამართლებრივი სტატუსის კლასიფიკაცია პირველ რიგში ტარდება მოქმედების სფეროსა და სამართლებრივი სისტემების სტრუქტურის მიხედვით. განასხვავებენ საერთო (საერთაშორისო), კონსტიტუციურ (საბაზო), დარგობრივ, გვაროვნულ (სპეციალურ) და პიროვნების ინდივიდუალურ სამართლებრივ სტატუსს.

პიროვნების საერთო (საერთაშორისო) სამართლებრივი სტატუსი, გარდა შიდა სახელმწიფოებრივისა, საკუთარ თავში მოიცავს საერთაშორისო თანამეგობრობის შემუშავებულ და საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებით განსაზღვრულ სამართალს, თავისუფლებას, მოვალეობებსა და გარანტიებს. ამ სტატუსის დაცვა წინასწარ განსაზღვრულია როგორც შინაგანი კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო

¹ სტატუსი არის ლათინური სიტყვა (Status). ე.ი. სამართლებრივი მდგომარეობა (საერთაშორისო სამართალში გარკვეულ მომენტში არსებული მდგომარეობა, მაგ., დიპლომატიური სტატუსი).

სამართლით. საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლში გათვალისწინებულია საერთაშორისო სამართლის ნორმებითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით ჩამოყალიბებული წესების გამოყენების შესაძლებლობა.

პიროვნების კონსტიტუციური (საბაზო) სტატუსი აერთიანებს ქვეყნის უზენაესი კანონით განსაზღვრულ მთავარ და ძირითად უფლებებს, თავისუფლებებს, ვალდებულებებსა და მათ გარანტიებს. მისი დამახასიათებელი თვისებაა სტაბილურობა, რომელიც განპირობებულია თვით ადამიანის ცხოვრების თავისებურებებით და ითვალისწინებს საზოგადოებაში ნორმალური მართლწესრიგის დამყარებას. წინასწარგანჭვრეტილ და გონივრულ ცვლილებებს, ქვეყნის გენოფონდის შენარჩუნებას, მატერიალური და სულიერი ღირებულებების წარმოქმნის ტემპს, პიროვნების თავისუფალ განვითარებას. როგორც ნებისმიერ საფუძველს, რომელზედაც წარმოიქმნება ახალი თვისებები, კონსტიტუციურ სტატუსსაც უნდა გააჩნდეს მდგრადობა, მისი არსებობა უნდა გაგრძელდეს იმ დრომდე, სანამ ძირითადი საზოგადოებრივი ურთიერთობების უმრავლესობა ძირფესვიანად არ შეიცვლება.

პიროვნების კონსტიტუციური სტატუსის სტაბილურობა დამოკიდებულია იმაზე, რამდენად სრულად შეესაბამება იგი ფაქტობრივ საზოგადოებრივ ურთიერთობებს და შესაბამისი ნორმების მიღების, აღკვეთის და მათში ცვლილებების შეტანის როგორი პირობები მკვიდრდება კანონით.

პიროვნების დარგობრივი სტატუსი შედგება უფლებამოსილებისა და სხვა კომპონენტებისაგან, რომლებიც გაწონასწორებულია სამართლებრივი სისტემის ცალკეული თუ კომპლექსური დარგებით - სამოქალაქო, შრომითი, ადმინისტრაციული სამართლით და სხვა.

პიროვნების გვაროვნული (სპეციალური) სტატუსი გამოხატავს იმ ცალკეული კატეგორიის ადამიანების სამართლებრივი მდგომარეობის სპეციფიკას, რომელთაც შეიძლება გააჩნდეთ დამატებითი უფლებები და მოვალეობები: ასეთებია: სამხედრო მოსამსახურეები, პენსიონერები, ინვალიდები და სხვა.

ინდივიდუალური სტატუსი ახასიათებს კონკრეტული ადამიანის მდგომარეობის თავისებურებებს და დამოკიდებულია მის ასაკზე, სქესზე, პროფესიაზე, სახელმწიფო საქმეების მართვაში მონაწილეობაზე და ა.შ.

თავი ოცდამეხუთე

საერთაშორისო (მსოფლიო) მართლწესრიგის წორმირების პრობლემა

§1. საერთაშორისო მართლწესრიგის წორმირების

სნება და საშუალებები

მსოფლიო მართლწესრიგი არის ჰუმანურ და ბუნებით-სამართლებრივ საწყისებზე ჩამოყალიბებული, საზოგადოებრივი პლანეტარული ურთიერთობების სისტემა; საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების ერთობლიობა.¹

—ადამიანი და ცხოვრების უშუალო გარემო—ქვეყანა—პლანეტა—კოსმოსი;

—ადამიანი და კოლექტივი—საზოგადოება—მსოფლიო საზოგადოება;

—ადამიანი და მისი სამართლებრივი სტატუსი—საზოგადოების (სახელმწიფოს) სამართლებრივი სისტემა—საერთაშორისო სამართალი—მსოფლიო მართლწესრიგი.

მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს მსოფლიო მართლწესრიგის შექმნის აუცილებლობას და მის შემდგომ განვითარებას, არის იმ პრობლემების გადაწყვეტა, რაც შესაძლებელია მხოლოდ სხვადასხვა ხალხისა და სახელმწიფოების თანამშრომლობისა და ურთიერთთანხმობის შემთხვევაში. ესენია ეკოლოგიური უსაფრთხოება, ენერგეტიკული რესურსების მიკვლევა და გამოყენება, ადამიანის, როგორც ორიგინალური ინდივიდუალობის დაცვა და შენარჩუნება, ატომური

¹ არსებობს ცნობილი ამერიკელი მეცნიერის ს. პანტინგტონის კონცეფცია „ცივილიზაციათა შეჯახების“ შესახებ. მისი აზრით, მსოფლიო პოლიტიკაში მოსალოდნელ საშიშროებას სწორედ ცივილიზაციათა დაპირისპირება ქმნის: „ყალიბდება ცივილიზაციებზე დაფუძნებული მსოფლიო წესრიგი: საზოგადოებები, რომელთაც საერთო კულტურული ღირებულებები გააჩნიათ, ერთმანეთთან თანამშრომლობენ; ერთი ცივილიზაციისადმი კუთვნილი საზოგადოების მეორე ცივილიზაციაში გაერთიანების ყოველგვარი მცდელობა უშედეგოა; ქვეყნები მათი ცივილიზაციური ბლოკის ძირითადი სახელმწიფოს გარშემო ერთიანდება“. პანტინგტონი შემდეგ ძირითად ცივილიზაციურ ბლოკებს გამოყოფს: დასავლური, ისლამური, ჩინური, ინდური, მართლმადიდებლური, ბუდისტური, იაპონური, აფრიკული და ლათინოამერიკული.

ომის თავიდან აცილება. პრობლემათა შემდეგი რიგი უკავშირდება კოლექტიურ რეაქციას ბუნების სტიქიურ (წყალდიდობა, ქარიშხალი, ეულკანის ამოფრქვევა, მიწისძვრა) მოვლენებზე. საერთო-საკაცობრიო სამართლებრივი წესების დამყარების აუცილებლობა გამოწვეულია უფრო და უფრო გაძლიერებული სამეურნეო კავშირების ინტერნაციონალიზმით, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის საყოველთაო ხასიათით, ახალი გლობალური ინფორმაციული ტექნოლოგიის როლისა და მნიშვნელობის ზრდით.

ერთ-ერთ ფაქტორად, რომელიც განაპირობებს მსოფლიო მართლწესრიგის წარმოქმნისა და განვითარების შესაძლებლობას, გვევლინება თვით სამართალი, მისი საერთო-საკაცობრიო არსებითი ხასიათი. სხვადასხვა ხალხისათვის ნებისმიერ დროში სამართალი არის ერთი მოვლენა, მხოლოდ განვითარების, გაფორმების, გაგების და ათვისების სხვადასხვა ხარისხით:

—სამართლის უნივერსალურობა და აბსოლუტურობა ჩვენს გაგებაში მტკიცდება მასში ისეთი არსებითი პრინციპებისა და თვისებების არსებობით, რომლებიც, პირველ რიგში, ახასიათებენ მას, როგორც დამოუკიდებელ სოციალურ მოვლენას და მეორეც, არსებობენ (ფაქტიურად ან ტენდენციურად) ნებისმიერ სამართლებრივ სისტემაში მისი განვითარების გზის ყველა ისტორიულად აღნიშნულ მონაკვეთზე. ამ თვალსაზრისით შეიძლება დავასახელოთ გონიერების (გონების), სამართლიანობის, თანასწორობის, ნებისა და ყოფაქცევის თავისუფლების პრინციპი.

გონიერების პრინციპის დასაბამი კოსმოსურ და ბუნებრივ მიზანშეწონილობამდე ადის, თითქოს ააღამიანურებს სამართალს, განსაზღვრავს მისი ფუნქციონირების პერსპექტივებსა და ფარგლებს. თვით ადამიანმაც, როგორც ჰეგელი მიიჩნევდა, უნდა იპოვოს თავისი გონება სამართალში. ბუნებრივია, რომ ყველაფერი ირაციონალური, ფაქტალური, გამანადგურებელი სამართლის ფარგლებს გარეთ რჩება. ეს პრინციპი ჯერ კიდევ ვერ არის სათანადოდ დამუშავებული თანამედროვე სამართლებრივ რეალიებთან მიმართებაში და მისი მეცნიერული ინტერპრეტაცია ანტიკური და შუასაუკუნეების მოაზროვნეთა გამონათქვამების დონეზე რჩება.

სამართლიანობისა და ხალხთა საყოველთაო თანასწორობის იდეები, რომლებიც ჯერ კიდევ უძველეს დროში წარმოიქმნა, პრაქტიკულად აისახებოდა სამართალში, თუკი მონათმფლობელურ რომში ეს პრინციპები ვრცელდებოდა მხოლოდ თავისუფალ ადამიანებზე, უკვე ფეოდალურ საზოგადოებაში მათი მოქმედების არეში მოხვედრილი ხალხის წრე გაფართოვდა და დიფერენცირდება წოდებების მიხედვით, ხოლო განვითარებული ქვეყნების თანამედროვე სამართლებრივი სისტემები

სამართლიანობასა და თანასწორობას საყოველთაო პრინციპების ხარისხში განამტკიცებენ. ამ პრინციპების რეალიზაციის გარანტიების და ადამიანთა წრის განვრცობის ლოგიკა ანგლოსაქსონურ სამართლებრივ სისტემაში შეიძლება განვიხილოთ ისეთი აქტების მაგალითზე, როგორებიცაა თავისუფლების დიდი ქარტია (1215 წ.), პეტიცია სამართალზე (1628 წ.), ჰაბეას კორპუს აქტი (1679 წ.), ბილი სამართალზე (1689) წ.).

ნებისმიერი სამართლებრივი სისტემის ქვაკუთხედს ნებისა და ქცევის თავისუფლების პრინციპი წარმოადგენს. ორი ადამიანის თავისუფლების ერთმანეთთან შეჯახების შემთხვევაში ერთის ან მეორის თავისუფლების შეზღუდვისას წარმოიქმნება მათ შორის წონასწორობის დამყარების აუცილებლობა. ადამიანის თავისუფლების მოქმედების საზღვრების შეზღუდვა და მისი ურთიერთობის პრაქტიკის შემოწმება ნიშნავს ნებისმიერი ინდივიდის მოქმედებისა და ნება-სურვილის თავისუფლების საზღვრების დაკანონების და ამ საზღვრების შესაბამისად ქცევების საერთო ნორმის დაწესებას.

უხსოვარი დროიდან აღინიშნებოდა თავისუფლების გადამწყვეტი მნიშვნელობა სამართლის ფუნქციონირების ამოსახსნელად. „თავისუფლება არის შესაძლებლობა გააკეთო ის, რაც დაშვებულია სამართლით“ - ნათქვამი იყო - იმპ. იუსტინიანეს „ცივილური სამართლის კორპუსის“ ერთ-ერთ ნაშრომში „დიგესტებში“. კანტი ადამიანის თავისუფლებას განიხილავდა, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს ფუძემდებლურ პრინციპს.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ პრინციპს გააჩნია საყოველთაო, გამჭოლი ხასიათი. იგი წარმოიქმნა, როგორც ბუნებითი სამართლის ატრიბუტი და შედარებით-ისტორიული თვალსაზრისით ყველაზე უფრო სრულ გამოხატულებას პოულობს თანამედროვე პოზიტიურ სამართალსა და საერთაშორისო-სამართლებრივ აქტებში (1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული სამართლის შესახებ და 1966 წლის საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური სამართლის შესახებ);

სადაო არაა სამართლის ისეთი ნიშნების უნივერსალური მნიშვნელობა, როგორიცაა ნორმატიულობა, ფორმალური განსაზღვრულობა, სისტემურობა, ავტორიტეტიზაცია და ძალით უზრუნველყოფა. კერძოდ, ნორმატიულობა გამოვლინდა უკვე ადამიანთა საზოგადოებისა და ჩვენს პლანეტაზე დასახლებული ყველა ხალხის განვითარების ადრეულ სტადიაზე. არქეოლოგებმა ეთნოგრაფებმა სოციალური ნორმატიული რეგულირების ელემენტები აღმოაჩინეს ავსტრალიის აბორიგენებში და ტროპიკული აფრიკის ქვეყნებში, მონადირე-შემგროვებლების ჯგუფებში

და უფრო განვითარებულ სოციალურ ორგანიზაციებში. მონონორმებს და ნორმებს—ქცევის მასშტაბებს ვპოულობთ ინდურ ვედებში, ისლამურ ყურანში, ქრისტიანულ ბიბლიაში, მანუს და ჰამურაბის კანონებში, სლავურ და რუსულ სამართალში;

„საერთო -საკაცობრიო“ სამართლის ისტორიული მემკვიდრეობა შეიძლება შევნიშნოთ სხვადასხვა სამართლებრივი ინსტიტუტების, კონსტრუქციების, ტექნოლოგიურ-იურიდიული პროცესების ფუნქციონირებაში. საინტერესოა, მაგალითად, აკრძალვების ტრანსფორმაცია სამართალში—აბსოლუტურად კატეგორიული და ერთპიროვნული „ტაბუ“-დან (უკლასო საზოგადოებაში), სამართლებრივი რეგულირების თანამედროვე მრავალარხიან მეთოდამდე. ნებისმიერ სამართლებრივ სისტემაში ამა თუ იმ სახით შეიძლება შეგვხვდეს სამართლის სუბიექტების ტრიადა: ინდივიდი, კოლექტივი, სახელმწიფო. ტიპურად გამოიყურება სამართლის ფორმირების ეტაპები და წყაროები (აღათ-წესები, პრეცედენტი, ნორმატიული აქტი), ბევრი რამ არის საერთოდ თანამედროვეობის სამართლებრივი სისტემის ბუნებრივი, ტრადიციული და პოზიტიური საწყისების შეხამებაში.

ეს საშუალებას გვაძლევს გამოვიტანოთ დასკვნა იმის შესახებ, რომ სამართალი—საერთო-საკაცობრიო მოვლენაა და იგი, როგორც ადამიანის სურვილებისა და ქცევის თავისუფლების ზომა, ერთიანია თავისი ბუნებითი დედააზრით. ეს არის მსოფლიო ინტეგრაციის პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელიც თავისი ჰუმანური ხასიათის წყალობით ხელს უწყობს სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური, რელიგიური, იდეოლოგიური სისტემის ადამიანთა ურთიერთგაგებასა და თანამშრომლობას. სამართლის აღნიშნული თვისებები ხელს უწყობს შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო სამართლის ნორმების ურთიერთქმედებას მსოფლიო მართლწესრიგის ჩამოყალიბების საქმეში.

§2. თანამედროვე საერთაშორისო მართლწესრიგის პრობლემატიკა

საერთაშორისო (მსოფლიო) მართლწესრიგი ჩვენი დროის რეალობაა. საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპები, საერთაშორისო ზოგადი ხელშეკრულებები, რომლებსაც აღიარებენ ყველა ან უმეტესი საერთაშორისო სუბიექტები. ეს კონკრეტული ხელშეკრულებები ქმნიან საერთაშორისო მართლწესრიგს.¹ გარდა ამისა იგი განპირობებულია პლანეტარული და რეგიონალური მასშტაბის საერთაშორისო ორგანი-

¹ ბ. სავანელი, სამართლის თეორია, თბ., 1992 წ., გვ. 162.

ზაციების ქსელის არსებობითა და ფუნქციონირებით. ეს, უპირველეს ყოვლისა, არის გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო)—1945 წლის 24 ოქტომბერს შექმნილი უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც მოქმედებს გაეროს წესდების საფუძველზე და 1999 წლის 1 დეკემბრის მონაცემებით, აერთიანებს 185 სახელმწიფოს. მისი წესდების მიზნებია:

—უზრუნველყოს საერთაშორისო მშვიდობა, უსაფრთხოება და ამ მიზნით გაატაროს ეფექტური კოლექტიური ზომები მსოფლიოში ომის საფრთხის აცილებისა და აღმოფხვრის, აგრესიისა თუ მშვიდობის დამრღვევის სხვა აქტების ჩასახშობად მშვიდობიანი გზით, საერთაშორისო სამართლისა და სამართლიანობის პრინციპებთან შეთანხმებით მოაწესრიგოს და გადაწყვიტოს საერთაშორისო უთანხმოებები და სიტუაციები, რომლებმაც შეიძლება მშვიდობის დარღვევა გამოიწვიონ;

—ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპების დაცვის საფუძველზე სხვადასხვა ერებს შორის განავითაროს მეგობრული ურთიერთობები და აგრეთვე მიიღოს სხვა შესაბამისი ზომები საყოველთაო მშვიდობის განსამტკიცებლად;

—განახორციელოს საერთაშორისო თანამშრომლობა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ჰუმანიტარული ხასიათის პრობლემების გადასაჭრელად და ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლებების დაფასების, წახალისებისა და განვითარებისათვის, რასის, სქესის, ენისა და რელიგიის მიუხედავად;

—იყოს ერთა მოქმედების შეთანხმების ცენტრი ამ საერთო მიზნების მისაღწევად, მსოფლიო მართლწესრიგის დასამყარებლად ღიდი მნიშვნელობა აქვთ გაეროსთან დაკავშირებულ საერთაშორისო ორგანიზაციებს: შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას, ჯანმრთელობის დაცვის, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის, სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციას და სხვა.

საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობების რეალური ხასიათი განპირობებულია საერთაშორისო სასამართლოების, საერთაშორისო სამართლებრივი პროცედურების არსებობით. გაეროს საერთაშორისო სასამართლო (ჰააგა) განსახილველად იღებს ყველა საქმეს, რომელსაც მას ურთიერთდაპირისპირებული მხარეები (სახელმწიფოები) გადასცემენ და იმ საქმეებს, რომლებიც წარმოიქმნებიან გაეროს წესდებით ან მოქმედი ხელშეკრულებებითა და კონვენციებით სპეციალურად გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით. რეგიონული ხასიათის ფართო უფლებამოსილებები აქვს ევროკავშირის სასამართლოს, ადამიანის უფლებების ევროპულ სასამართლოს, დსთ-ს ეკონომიკურ სასამართლოს.

მსოფლიო მართლწესრიგი არის სხვადასხვა სახელმწიფოების, სა-

ერთაშორისო ორგანიზაციების, სოციალური და ეროვნული ერთობების ურთიერთდამოკიდებულების რთული და დინამიური სისტემა. მსოფლიო განუწყვეტლად იცვლება, ასევე იცვლება შეხედულებები მასზე, წარმოიქმნება საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის სრულქმნის, გლობალური ხასიათის ახალ პრობლემებზე ყურადღების მიქცევის აუცილებლობა (ბუნების დაცვა, კომპიუტერული ომები, ბრძოლა ორგანიზებულ დანაშაულთან, შიდსთან და ა.შ.).

მსოფლიო მართლწესრიგი სახელმწიფოებისა და ხალხის შეთანხმებული ინტერესების შედეგია. გაეროს წევრი ნებისმიერი სახელმწიფო წარმოადგენს დამოუკიდებელ, სუვერენულ წარმონაქმნს და სხვა წევრებთან თავის ურთიერთობებს აგებს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის, ხალხთა თანასწორუფლებიანობის და თვითგამორკვევის პრინციპებზე. ამიტომაც საერთაშორისო სამართლის ძირითად წყაროებს წარმოადგენს საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებშიც ხდება სხვადასხვა სახელმწიფოების ინტერესების დაბალანსება, საერთაშორისო-სამართლებრივ და შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებში დაფიქსირებული ინტერესების ურთიერთშეთანხმება.

მსოფლიო მართლწესრიგი ადამიანთა ცხოველქმედების ყველაზე განსხვავებულ სფეროებში წარმატებული საერთაშორისო ურთიერთთანამშრომლობის პირობები და გარანტია გახლავთ.

დღევანდელი და მომავალი თაობებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოების თანამშრომლობას გარემომცველი სამყაროს დაცვის საქმეში. 1972 წლის სტოკჰოლმის დეკლარაციაში დამტკიცებულია დებულება, რომ სახელმწიფოები კისრულობენ პასუხისმგებლობას. საომარი ან სხვა მტრული მოქმედებისათვის, რომელიც ზარალს აყენებს გარემომცველ სამყაროს, სხვა სახელმწიფოების ბუნებრივ პირობებს. 1977 წლის აკრძალვის კონვენცია, კონვენცია საჰაერო სივრცის დიდ მანძილზე დაბინძურების შესახებ (1979 წ.), გაეროს კონვენცია კლიმატური პირობების ცვლილების შესახებ (1992 წ.) და სხვა ხელშეკრულებები და კონვენციები ხაზს უსვამენ პლანეტარული სივრცისა და კოსმოსის დაცვის აუცილებლობას, აწესებენ პასუხისმგებლობის ზომებს და შესაბამისი დარღვევებისათვის, ითვალისწინებენ ამ პრობლემების გადაწყვეტის პროცედურებს, ზიანის ანაზღაურების საკითხს, სხვა სახელმწიფოების მხრიდან აუცილებელ შემთხვევებში დახმარების გაწევას.

საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის შექმნით და მისი ხელშეწყობით დაკავებული არიან: გაერთიანებული ერების ორგანიზაცია სამრეწველო განვითარების განხრით, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი.

რეგიონთა შორის ეს საკითხები წყდება ევროპის ეკონომიკური საზოგადოების, დსთ ეკონომიკური კავშირის ფარგლებში. ეკონომიკური თანამშრომლობის სფეროში მოღვაწეობა რეგლამენტირებულია როგორც შიდასახელმწიფო, ასევე საერთაშორისო ნორმებით. მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს გაეროს კონვენცია საქონლის ყიდვა-გაყიდვის საერთაშორისო ხელშეკრულებებზე (1980 წ.), სეულის კონვენცია ინვესტიციების დაზღვევაზე (1985 წ) და საქართველოს კანონი უცხოური ინვესტიციების (1996 წ.) შესახებ.

მიმდინარეობს სახელმწიფო და არასახელმწიფო პროფესიონალური ორგანიზაციების საერთაშორისო თანამშრომლობის აქტიური განვითარება კულტურის, მეცნიერებისა და განათლების სფეროში. აქ მნიშვნელოვან როლს ასრულებს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მეცნიერების, განათლებისა და კულტურის საკითხებში (იუნესკო), რომლის მოღვაწეობა მოიცავს გლობალური და რეგიონალური პროგრამების და პროექტების დაგეგმვას, აუცილებელი ნორმატიული აქტებისა და სტანდარტების შემუშავებას კონკრეტული სახელმწიფოებისა და ორგანიზაციებისათვის დახმარების გაწევას. იუნესკოს ინიციატივით მხოლოდ უკანასკნელ წლებში მიღებული იქნა ათეულობით საერთაშორისო-სამართლებრივი აქტი თანამედროვეობის ყველაზე აქტუალურ პრობლემებზე: საერთო-საკაცობრიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია (1972 წ.), კონვენცია ტექნიკური და პროფესიული განათლების შესახებ (1989) წ) და ა.შ.

დღეისათვის აქტუალურია თანამშრომლობა დამნაშავეობასთან ბრძოლაში. დიდი ხანია ცნობილია სახელმწიფოთა მოქმედების კოორდინაციის მოდულები გარკვეული სახის დამნაშავეობასთან ბრძოლაში. ასე მაგალითად, 1815 წლის ვენის კონგრესმა მიიღო პირველი აქტი მონებით ვაჭრობასთან ბრძოლის შესახებ, 1910 წელს—კორნოგრაფიული გამოცემების გავრცელების აკრძალვის შესახებ, 1936 წელს—ნარკოტიკული ნივთიერებების გავრცელებასთან ბრძოლის შესახებ. ცალკეულ სახელმწიფოების სოციალურ-ეკონომიკურმა პრობლემებმა, ერთი მხრივ, და სამეცნიერო-ტექნიკურმა რეეოლუციამ, საერთაშორისო ინტეგრაციის გაფართოებამ, მეორე მხრივ, განაპირობეს საერთაშორისო ხასიათის მძიმე დანაშაულთა რიცხვის ზრდა: თვითმფრინავების გატაცება, საერთაშორისო ტერორიზმი, დიპლომატიური თანამშრომლების მკვლელობები, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების გავრცელება და სხვა.

ბოლო პერიოდში „ტრადიციული“ საერთაშორისო დანაშაული (ფულის ნიშნების გაყალბება მონებით ვაჭრობა, საზღვაო ყაჩაღობა და სხვა მსგავსი) მნიშვნელოვნად გარდაიქმნა, ახალი ტექნიკური საშუალებების გამოყენებით იგი უფრო რთული და საშიში გახდა. თავად

დამნაშავეები—უფრო დახელოვნებული და შეკავშირებული. მიმდინარეობს ორგანიზებული დანაშაულებრივი ფორმირებების ინტერნაციონალიზაცია.

ადამიანთა ცხოვრებისა და ჯანმრთელობისათვის რეალური საშიშროების შექმნა, საერთაშორისო ურთიერთობებში ქაოსის შეტანა, მსოფლიო მართლწესრიგის დარღვევა, რაც საერთაშორისო დამნაშავეობას მოაქვს, საჭიროებს მსოფლიო თანამეგობრობის უფრო მეტად აქტიურ, კოლექტიურ ძალისხმევას მის გამოსააშკარავებლად და აღსაკვეთად.

თანამშრომლობა დამნაშავეობასთან ბრძოლის ფარგლებში მიმდინარეობს რამდენიმე მიმართულებით:

გარკვეული სისხლის სამართლის ქმედებების მსოფლიო საზოგადოებისათვის საშიშად აღიარება და მათი აღკვეთის ერთობლივი საშუალებების გამოყენების აუცილებლობა. ასეთად მიღებულია საზღვაო ყჩაღობა, მონობა და მონებით ვაჭრობა, ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობა, ფულის ნიშნებისა და ფასიანი ქაღალდების გაყალბება, ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობა, პორნოგრაფიული გამოცემების გავრცელება, მეკობრული რადიომაუწყებლობა, წყალქვეშა კაბელის გაწყვეტა ან დაზიანება, ზღვაზე გემების შეჯახებისას დახმარებისაგან თავის არიდება, თვითმფრინავების მოტაცება.

სწორედ ამგვარი ქმედებების საშიშროება და მათთან ბრძოლის აუცილებლობა იყო დაფიქსირებული მრავალმხრივ სახელმწიფოთაშორის შეთანხმებებში: გაეროს კონვენციაში საზღვაო სამართალზე (1982 წ.), კონვენციაში თვითმფრინავების მოტაცებასთან ბრძოლაზე (1970 წ.), კონვენციაში იმ პირთა მიმართ დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ, რომლებიც სარგებლობენ საერთაშორისო დაცვით, მათ რიცხვში დიპლომატიური აგენტებისაც (1973 წ.);

—დახმარების გაწევა სამართალდამრღვევ მიმალვაში მყოფ პირთა ძებნაში, რომლებიც უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე იმყოფებიან და მათი გადაცემა დაინტერესებული სახელმწიფოებისათვის. აქ ორი გზა არსებობს: პოლიტიკური არხების საშუალებით და პირდაპირი კავშირით იმ ორგანოებს შორის, რომლებიც თავის ქვეყნებში ძებნასა და მოკვლევას ატარებენ (პოლიცია, მილიცია) დღევანდელ დღეს ძებნას ატარებს სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაცია—ინტერპოლი.

ინტერპოლი არის კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა 1) 5⁶ წელს. მისი შტაბ-ბინა მდებარეობს ქ. ლიონში (საფრანგეთი.)

ინტერპოლში გაერთიანებულია 178 ქვეყანა. ორგანიზაციის უმაღლეს მმართველ ორგანოს წარმოადგენს ასამბლეა, რომელშიც მონაწილეობენ წევრი ქვეყნების მთავრობების მიერ წარგზავნილი დელეგა-

ტები. ინტერპოლის მუდმივმოქმედ ორგანოს წარმომადგენს გენერალური-სამდივნო და აპარატი.

დღეისათვის ინტერპოლის პრეზიდენტია ტომინირო კანემოტო. გენერალურ სამდივნოს კი ხელმძღვანელობს რაიმონდ ედვარდ კენდალი.

ინტერპოლი თავის საქმიანობას ახორციელებს ეროვნული ცენტრალური ბიუროების მეშვეობით. ე.ც.ბ (ეროვნულ-ცენტრალური ბიურო) არის ინტერპოლის სრულუფლებიანი წარმომადგენელი და ნდობით აღჭურვილი ორგანო ქვეყანაში, რომლის მეშვეობითაც ინტერპოლი ახორციელებს კავშირს წევრი-ქვეყნების კომპეტენტურ უწყებებთან.

საქართველო ინტერპოლის სრულუფლებიანი წევრი გახდა 1993 წელს ქ. არუბაში გამართულ მსოფლიო 63-ე გენერალურ ასამბლეაზე.

საქართველოში ინტერპოლის ე.ც.ბ შედის შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურაში და აგებულია ინტერპოლის ძირითადი მოთხოვნების პრინციპებით.

ინტერპოლის საქმიანობა მკაცრად რეგლამენტირებულია დებულებით. ამ დოკუმენტის მეორე მუხლის თანახმად, ორგანიზაციის საქმიანობის ძირითადი პრინციპია ურთიერთობა დაამყაროს და ითანამშრომლოს ყველა ქვეყნის კრიმინალურ პოლიციასთან, კოორდინაცია გაუწიოს სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობას, დაამყაროს საქმიანი კავშირები სხვა ქვეყნის ე.ც.ბ.-ებთან, ხელი შეუწყოს სისხლის სამართლის დანაშაულთა აღკვეთას და პროფილაქტიკას. ორგანიზაციას და მის წარმომადგენლებს - ე.ც.ბ-ებს სასტიკად ეკრძალებათ პოლიტიკურ, რასობრივ ან რელიგიური ხასიათის ურთიერთობებზე რეაგირება ან ჩარევა (აღნიშნული არ ეხება ტერორიზმის საკითხებს).

ინტერპოლის ე.ც.ბ-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საერთაშორისო ძებნა. ძებნითი სამუშაოები სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად:

- 1) დამნაშავეთა ძებნა ექსტრადიქციის მიზნით;
- 2) ეჭვმიტანილთა ძებნა მათზე მეთვალყურეობის დაწესების მიზნით;
- 3) უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ძებნა;
- 4) დაკარგული ან გატაცებული ფასეულობის ძებნა;
- 5) დაკარგული ან გატაცებული დოკუმენტაციის ძებნა.

დამნაშავეთა ძებნა, ექსტრადიციის მიზნით, წარმოადგენს სახელმწიფოთა სამართლებრივი თანამშრომლობის ძირითად სფეროს, რადგან იგი ეხება სისხლის სამართლის დამნაშავეთა გადაცემას. დამნაშავეის გადაცემა წარმოადგენს სახელმწიფოს შიდა კომპეტენციას. მას ამისათვის უნდა გააჩნდეს სამართლებრივი საფუძველი. კერძოდ, სახელმწიფო უნდა იყოს ჩართული საერთაშორისო კონვენციებში. უნდა გააჩნდეს შესაბამისი ხელშეკრულებები და შეთანხმებები ცალკეულ სახელმწიფოებთან.

საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულია კონვენცია დსთ-ს ქვეყნებთან სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ. არსებობს აგრეთვე ხელშეკრულება თურქეთის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის სამოქალაქო, საეკონომიკური და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ. ქვეყნებში ამ ორგანიზაციის ეფექტური მუშაობისათვის გასაფორმებელია ხელშეკრულებები საბერძნეთთან, ჩეხეთთან, გერმანიასთან და მთელ რიგ ევროპულ ქვეყნებთან, ვინაიდან როდესაც საკითხი დგება კონკრეტული პირის გადმოცემაზე, აღნიშნული ქვეყნები თავს იკავებენ ამ პროცედურის განხორციელებაზე მათთან ხელშეკრულების არარსებობის გამო.

იმ პირთა გადაცემის საკითხი, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული ან გასამართლებულნი არიან დანაშაულისათვის, გათვალისწინებულია ორმხრივ და მრავალმხრივ შეთანხმებებში. 1983 წელს ევროპის საბჭომ მიიღო ევროპული კონვენცია მსჯავრდებულ პირთა გადაცემის შესახებ, 1993 წელს რუსეთის ფედერაციასა და ლატვიის რესპუბლიკას შორის ხელი მოეწერა ხელშეკრულებას სასჯელის მოსახდელად მსჯავრდებულთა გადაცემაზე და სხვა;

ბოლო წლებში საქართველომ დადო რიგი ხელშეკრულებებისა აზერბაიჯანთან, თურქეთთან, რუსეთთან, ბულგარეთთან, სომხეთთან. ხელი მოაწერა აგრეთვე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის კონვენციას სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ. ყველა ეს დოკუმენტი ითვალისწინებს, რომ დამნაშავეთა გადაცემას ექვემდებარება ა) დანაშაულის ჩამდენი პირი, რომელიც ისჯება ორივე ქვეყნის კანონმდებლობით და რომლის ჩადენისათვის გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ერთ წელზე მეტი ხნის ვადით ან უფრო მძიმე სასჯელი; ბ) თუ მოცემულ პიროვნებას მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით, ან უფრო მძიმე სასჯელი. ხელშეკრულება ითვალისწინებს გადაცემაზე უარის თქმის კანონიერ შემთხვევებს, რომელიც ზემოაღნიშნულ საყოველთაოდ მიღებულ პრინციპებს ეყრდნობა.

ხელშეკრულება ითვალისწინებს დამნაშავეთა გადაცემის პროცედურას, გადაცემის გადადების მიზეზებს, სისხლის სამართლებრივი დევნის ფარგლებს, ურთიერთთანამშრომლობის წესებს და .შ.

ხელშეკრულება ითვალისწინებს თავისუფლებათა აღკვეთილ პირთა იმ სახელმწიფოში სასჯელის მოსახდელად გადაცემას, რომლის მოქალაქეებიც ისინი არიან. მხარეები ვალდებული არიან პირი გადასცენ იმ შემთხვევაში, თუ განაჩენი კანონიერ ძალაშია შესული. გადაცემული პირი არ შეიძლება მეორედ გასამართლდეს იმავე საქმეზე, თუ განაჩენი, რომელიც უკვე გამოიტანეს პირის გადამცემ სახელმწიფოში არ

იქნა გაუქმებული და არ დაინიშნა ახალი გამოძიება ან სასამართლო გარჩევა.¹ გარდა ამისა:

—დახმარების აღმოჩენა სისხლის სამართლის საქმეზე აუცილებელი მასალების გადაცემის შემთხვევაში. საზღვარგარეთ დანაშაულის ჩადენისას, მოწმეები და ნივთმტკიცება შეიძლება აღმოჩნდნენ სხვა სახელმწიფოში. საქმეზე მასალების მისაღებად ცალკეულ შემთხვევებში საჭირო ზდება აუცილებელი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება საზღვარგარეთ, რისთვისაც შესაბამისი დავალებით გაიგზავნებიან უცხოეთში. ეს დავალება შეიძლება იყოს მოწმეების დაკითხვა, შემთხვევის აღვლილის დათვალიერება და სხვა;

—დამნაშავეობის პრობლემებისა და მასთან ბრძოლის, პენიტენციალური სისტემის საკითხების შესწავლა. ამ მიზნით ზდება საერთაშორისო კონგრესების მოწვევა, იქმნება საერთაშორისო ორგანიზაციები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები;

—ცალკეული სახელმწიფოებისათვის პრაქტიკული დახმარების აღმოჩენა დამნაშავეობის პრობლემის გადასაჭრელად, ამ პრობლემის შესწავლა. ეს გამოიხატება ცალკეულ ქვეყნებში ექსპერტების გაგზავნით, რომლებსაც შეუძლიათ კონკრეტული დახმარების გაწევა (დანაშაულთან ბრძოლის ძირითადი მიმართულების განსაზღვრა, რეკომენდაციების გაცემა პენიტენციალური სისტემის ორგანიზაციაზე, ახალგაზრდებთან მუშაობის მეთოდებზე და ა.შ.);

—ინფორმაციის გაცემა დამნაშავეობასთან ბრძოლის სხვადასხვა მეთოდის შესახებ.

მსოფლიო მართლწესრიგის ჩამოყალიბებისა და ნორმალური ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი მოქმედების კარგად აწყობილი საპროცესო მექანიზმის არსებობა. საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სახელმწიფოების ნორმალური ურთიერთქმედება შესაძლებელია მხოლოდ მკაცრად აწყობილი და ურთიერთშეთანხმებული პროცედურების ფარგლებში.

საპროცესო მექანიზმი შეიცავს:

—საერთაშორისო სამართლებრივ საპროცესო ნორმებს, რომლებიც შეტანილი არიან წესდებებში, დებულებებში, კონვენციებში და ხელშეკრულებებში და რომლებიც განიხილავენ სახელმწიფოთაშორისი დაპირისპირების მოგვარების წესებს, მიმართვას ადამიანთა უფლებების დარღვევის თაობაზე და ა.შ.;

—საერთაშორისო ორგანიზაციებს(საერთაშორისო სასამართლოებს, ტრიბუნალებს, არბიტრაჟებს, ეკონომიკურ სასამართლოებსა და შემთანხმებელ კომისიებს); იურიდიულ კონსტრუქციებს, რომლებიც უზ-

¹ დაწ. იხ. ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ., 1998 წ. გვ

რუნველყოფენ პროცედურების სტაბილურობას, თანმიმდევრობას და უნივერსალურობას, მსოფლიო მართლწესრიგის ფუნქციონირების საპროცესო გარანტიებს.

საპროცესო მექანიზმი მნიშვნელოვან როლს თამაშობს მსოფლიო და ცალკეული სახელმწიფოების მართლწესრიგის ურთიერთობების დამყარებაში. იგი ქმნის ურთიერთქმედებისათვის აუცილებელ პირობებს, შეიმუშავებს სამართლიანობისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპებზე დამყარებულ ინტეგრაციულ ტენდენციებს. შეიძლება აღინიშნოს კონკრეტული ქვეყნის სამართლებრივ სისტემებზე საერთაშორისო-სამართლებრივი საშუალებების ზემოქმედების რამდენიმე მიმართულება.

1. ამა თუ იმ სახელმწიფოს საერთაშორისო-სამართლებრივ სფეროში პირდაპირი მოქმედების მექანიზმის შექმნა. ეს შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როცა:

ა) საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ ცნობილ პრინციპებსა და ნორმებს კონსტიტუცია (უზუნაესი კანონი) ცნობს ამ სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის ნაწილად;

ბ) ისინი შეესაბამებიან ამ ქვეყნის ძირითად პრინციპებსა და კონსტიტუციის ნორმებს;

გ) საერთაშორისო ნორმები მიმართულია ურთიერთობებისაკენ, რომლებიც ვერ რეგულირდება შინაგანი სამართლით ანდა აუმჯობესებენ პიროვნების მდგომარეობას, აფართოებენ მის უფლებებსა და თავისუფლებას, გაეროს წევრი მრავალი სახელმწიფოს კონსტიტუცია ითვალისწინებს საერთაშორისო სამართლის ნორმების გამოყენებას ხარვეზულ და კოლიზიურ სიტუაციებში;

2. შინაგანი მართლწესრიგის გაუმჯობესებაზე გავლენას ახდენს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე ორგანოების „მაორიენტირებელი“ გადაწყვეტილებები (რეკომენდაციები, სტანდარტები, სასამართლო პრეცედენტები);

3. თანამედროვე სამყაროში სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს სახელმწიფოების რეგიონთაშორის და რეგიონალურ თანამეგობრობათა კოლექტიური გადაწყვეტილებები. აქ გაერთიანებული ქვეყნებისათვის თანდათანობით მუშავდება „სამაგალითო“, „მოდელური“ კანონმდებლობები.

4. საერთაშორისო გამოცდილება შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასამართლო ორგანოების სისტემის, განსაკუთრებით საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ.

ბუნებრივია, რომ თავად სახელმწიფოები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ მსოფლიო მართლწესრიგის ფორმირებასა და ფუნქციონირებაზე. გავლენის დიპაზონი მრავალმხრივია - საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების დაარსება, გაეროს გენერალური ასამბლეა-

ის, მისი ორგანოებისა და კომისიების მიერ მიღებული საკითხებისა და გადაწყვეტილებების აქტიური განხილვა, სახელმწიფოთა რეგიონალური გაერთიანების მიერ მომზადებული რეკომენდაციები, თანამედროვეობის საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესებისა და კონფერენციების წინადადებები სხვადასხვა პრობლემებზე.

მსოფლიო მართლწესრიგის ჩამოყალიბება რთული და წინააღმდეგობრივი პროცესია. თავი იჩინა პრობლემებმა, რომლებიც დაკავშირებულია სხვადასხვა ქვეყნების კლუტურისა და ცხოვრების არათანაბარ დონესთან, იდეოლოგიურ და სამხედრო კონფრონტაციასთან, ზესახელმწიფოების ეკონომიკურ ექსპანსიასთან, რელიგიურ და რასობრივ ფანატიზმთან და სხვა, ამიტომ კაცობრიობამ კიდევ უფრო მეტად უნდა გააღრმავოს და შეამჭიდროვოს თავისი ძალები დემოკრატიული სახელმწიფოსა და სამართლიანი მსოფლიო მართლწესრიგის შექმნისა და განმტკიცებისათვის, სადაც თავისი სიტყვა უნდა თქვას ისტორიულად უძველესმა და დიდი სამართლებრივი ტრადიციების მქონე საქართველომ.

თავი ოცდამეცხრა

თანამედროვეობის (მსოფლიო) სამართლებრივი სისტემები

§1. სამართლებრივი სისტემების კლასიფიკაცია

ყველა ქვეყანაში ისტორიულად მოქმედებს შესაბამისი სამართლებრივი წესები, ტრადიციები, კანონმდებლობა, ყალიბდება სამართლებრივი მენტალიტეტი, სამართლებრივი კულტურის თავისებურებები. ქვეყნის სამართლებრივი თავისებურება საშუალებას გვაძლევს ვილაპარაკოთ მის თვითმყოფადობაზე, იმაზე, რომ თითოეული მათგანი ქმნის საკუთარ სამართლებრივ სისტემას - ყველა სამართლებრივი მოვლენის ერთობლიობას, რომლებიც არსებობენ მის ფარგლებში (სამართლებრივი სისტემა ვიწრო გაგებით). ამასთანავე თავისებურებებთან და განსხვავებებთან ერთად ამ სამართლებრივ სისტემებში იკვეთება საერთო ნიშნები, მსგავსების ელემენტები, რომლის მიხედვით შეიძლება მათი დაჯგუფება „სამართლებრივ ოჯახში“ (სამართლებრივი სისტემა ფართო გაგებით), რომლებიც აერთიანებენ სამართლებრივი თვალსაზრისით რამდენიმე მონათესავე ქვეყანას.

არსებობს სხვადასხვა სახელმწიფოთა სამართლებრივი სისტემების გაერთიანების, კლასიფიკაციის რამდენიმე კრიტერიუმი:

-გენეზისის (წარმოშობა და შემდგომ განვითარება) ერთიანობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სისტემები ურთიერთშორის ისტორიულად არიან დაკავშირებული, აქვთ საერთო სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ფესვები (ამოიზარდნენ ერთი და იგივე ძველი სახელმწიფოსაგან და ერთსა და იმავე სამართლებრივ საწყისებზე, პრინციპებზე, ნორმებზე არიან დაფუძნებული);

-სამართლის ნორმების განსაზღვრისა და გამოხატვის ფორმებისა და წყაროების ერთიანობა. საუბარი არის სამართლის გარეგნულ ფორმებზე, იმაზე, თუ სად და როგორ ფიქსირდება მისი ნორმები (კანონები, ხელშეკრულებები, სასამართლო გადაწყვეტილებები, ტრადიციები, მათი როლის, მნიშვნელობის, თანაფარდობის შესახებ);

-სტრუქტურული ერთიანობა, მსგავსება. ერთ სამართლებრივ ოჯახში შემავალი ქვეყნების სამართლებრივ სისტემებს უნდა გააჩნდეთ მსგავსი ნორმატიულ-სამართლებრივი მასალის სტრუქტურული აგებულება. როგორც წესი, ეს აისახება მიკროდონეზე—სამართლის ნორმების, მისი ელემენტების შენების დონეზე და აგრეთვე მაკროდონეზეც - ნორმატი-

ული მასალის მსხვილი ბლოკებით შენების დონეზე (დარგები, ქვედარგები, სხვა ქვედანაყოფები);

—საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირების პრინციპების ერთიანობა. ერთი ჯგუფის ქვეყნებში ეს არის სუბიექტის თავისუფლების, მათი ფორმალური თანასწორობის, მართლმსაჯულების ობიექტურობის იდეები, მეორეში—თეოლოგიური, რელიგიური საწყისები (მაგალითად, ისლამური ქვეყნები), მესამეში—სოციალისტური, ნაციონალ-სოციალისტური იდეები და ა.შ.;

—ტერმინოლოგიის, იურიდიული კატეგორიებისა და ცნებების, აგრეთვე სამართლის ნორმების გადმოცემის ტექნიკისა და სისტემატიზაციის ერთიანობა. სამართლებრივი თვალსაზრისით მონათესავე ქვეყნები, როგორც წესი, იყენებენ თავიანთი მნიშვნელობით ერთნაირ, მსგავს ტერმინებს, რაც მათი წარმოშობის ერთიანობით აიხსნება. ამავე მიზეზით ერთ სამართლებრივ სისტემაში შემავალი ქვეყნების კანონმდებლები სამართლებრივი ტექსტების შემუშავების დროს იყენებენ ერთნაირ იურიდიულ კონსტრუქციებს, ნორმატიული მასალის აგების, მისი მოწესრიგების, სისტემატიზაციის მეთოდებს.

ამის გათვალისწინებით მეცნიერებაში გამოყოფენ შემდეგ სამართლებრივ სისტემებს:

1) ანგლოსაქსური (ინგლისში, აშშ, კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია და სხვა);

2) რომანულ-გერმანული (კონტინენტური ევროპის ქვეყნები, ლათინური ამერიკის, აფრიკის ზოგიერთი ქვეყანა, თურქეთი);

3) რელიგიურ-სამართლებრივი (ქვეყნები, რომლებიც სახელმიწყო რელიგიად აღიარებენ ისლამს, ინდუიზმს, იუდაიზმს);

4) სოციალისტური (ჩინეთი, ვიეტნამი, ჩრდილოეთ კორეა, კუბა);

5) ჩვეულებითი სამართლის სისტემა (ეკვატორული აფრიკა და მადაგასკარი).¹ გარდა თანამედროვეობის სამართლებრივი სისტემებისა, თავისი განსაკუთრებულობით ხასიათდება, რუსეთის ფედერაციის, ჩინეთის, ინდოეთის, იაპონიის, საფრანგეთის, იტალიის თანამედროვე სამართალია, რომელსაც ქვემოთ გავეცანით.

§2. კომპარტივიზმის პრობლემა სამართალში

მსოფლიოს თანამედროვე სამართლებრივ რუკას კომპლექსურად შეისწავლის შედარებითი სამართალმცოდნეობა. მეცნიერ-კომპარტივის-

¹ იხ. Саидов А.Х. 'Введение в основные правовые системы современности. Таш. 1988 г.

Решатников Ф. Правовая система мьяра, справочник М. 1993 г. Матузов Н. Правовая система Мира Екатеринбург. 1995 г. Общая Теория права и государства М. 1999 г.

ტები (ლათ. comparativus—შედარებითი) შედარებითი სამართლისმცოდნეობის მეთოდებით იკვლევენ სამართლის სისტემას, სამართლის დარგებსა და ინსტიტუტებს, კანონებს, სამართლის ცალკეულ ნორმებსა და მათი გამოყენების პრაქტიკას. შედარებითი სამართლისმცოდნეობის მობეჭქია აგრეთვე იურიდიული თეორიებიც.

სამეცნიერო ლიტერატურაში, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამართლებრივი მოვლენების შემეცნების შედარებით მეთოდს. მნიშვნელოვან შედეგებს იძლევა ისტორიულ-შედარებითი სამართლებრივი კვლევა სახელმწიფოსა და სამართლის თეორიასა და ისტორიაში, პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიაში, ფილოსოფიაში, სამართლის ენციკლოპედიაში, სამოქალაქო, სისხლის სამართლის, ადმინისტრაციულ სამართალში.

ამჟამად ცნობილია, როგორც მეთოდი და როგორც მეცნიერება, შედარებითი სამართლისმცოდნეობა რაც მეცნიერული აზროვნების და ცოდნის ხანგრძლივი მოქმედების შედეგია. ჯერ კიდევ ძველ მსოფლიოში პოლიტიკური და სამართლებრივი აზროვნება მიმართავდა შემეცნების შედარებით მეთოდს, განაზოგადებდა შედარების შედეგებს. დიდძალი საკანონმდებლო, სამართლებრივი მასალა გამოიკვლიეს და გამოიყენეს კონფუციმ, არისტოტელემ, პლატონმა, ძველი რომის იურისტებმა. „თორმეტი ტაბულის კანონების“ შექმნასა და ამოქმედებას წინ უძღოდა და თან ახლდა რომაელ იურისტთა დიდი ანალიტიკური მუშაობა. თავის მხრივ, რომის იურისპრუდენციის, ძველი რომის სამართლის სისტემის ჩამოყალიბებაში ლომის წილი ეკუთვნოდა ძველი საბერძნეთის ფილოსოფიურ-იურიდიული ნააზრევის შემოქმედებით ათვისებას.

შედარებითი სამართლისმცოდნეობა, როგორც მეცნიერული მეთოდი და მეცნიერება ერთბაშად არ ჩამოყალიბებულა. მას წინ უსწრებდა ემპირიული ძიების ხანგრძლივი პერიოდი. თანამედროვე კომპარატივისტიკის ჩამოყალიბებას, მისი სამეცნიერო მეთოდების დანერგვა-განმტკიცებას მეცნიერები XIX საუკუნის შუახანებიდან ითვლიან. 1869 წელს პარიზში დაფუძნდა შედარებითი კანონმდებლობის საერთაშორისო კონგრესი. შედარებითმა სამართლისმცოდნეობამ ამ დროიდან შეიძინა მეცნიერული ხასიათი.

შედარებითი სამართლისმცოდნეობა იუნესკოს ყურადღების ცენტრშია. ამ საერთაშორისო ორგანიზაციის ეგიდით 1949 წელს დაფუძნდა შედარებითი სამართლის საერთაშორისო კომიტეტი, მოქმედებს კერძო სამართლის უნიფიკაციის საერთაშორისო ინსტიტუტი, შრომის სამართლისა და სოციალური დაზღვევის საერთაშორისო საზოგადოება, სისხლის სამართლის საერთაშორისო ასოციაცია, იურიდიული ბიბლიოთეკების საერთაშორისო ასოციაცია, გამოიცემა ჟურნალები შედარებითი სამართლისმცოდნეობის დარგში.

შედარებითი სამართალმცოდნეობა რუსეთში რუსული იურიდიული მეცნიერების ჩამოყალიბებისთანავე გაჩნდა და უკავშირდება პეტრე I მიერ მეცნიერებათა აკადემიის დაარსებას, სადაც სამართალი 1758 წლიდან ისწავლებოდა. 1755 წელს გაიხსნა მოსკოვის უნივერსიტეტი იურიდიული, ფილოსოფიური და სამედიცინო ფაკულტეტებით.

მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი ს.ე. დენსიცი (1740-1789), რომელმაც იურიდიულ ფაკულტეტზე პირველმა წაიკითხა ლექცია რუსულ ენაზე, მიიჩნევდა, რომ იურისტიკისთვის აუცილებელია იცოდეს ოთხი მეცნიერება: ფილოსოფია, ბუნებითი სამართალი (სამართლის თეორია), რომის სამართალი და მშობლიური სამართალი. შედარებითი სამართლის საკითხებს რევოლუციამდე რუსეთში მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევდნენ პროფესორები მ. კოვალევსკი, ფ. ლენტოვიჩი, გ. შერშენევიჩი, მოგვიანებით კი პროფესორები მ. რეისნერი, მ. აგარკოვი, ლ. ლუნცი, თანამედროვეობაში—ა. ტილე, ვ. თუმანოვი, ვ. კაზიმირჩუკი. რუსულ ენაზე ორჯერ (1967, 1988 წწ.) გამოიცა ვ. თუმანოვის ნათარგმნი ცნობილი ფრანგი მეცნიერის რ. დავიდის წიგნი, „თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები“. შედარებითი სამართლის, როგორც მეცნიერებისა და სასწავლო დისციპლინის განვითარება ჩვენი ქვეყნის იურიდიულ უმაღლეს სასწავლებლებში აქტუალური გახდა. ქართულ სამართალმცოდნეობაშიც ფართოდ იყენებენ შედარებით კვლევით მეთოდს. თ. ნინიძის მიერ ქართულად ითარგმნა რ. დავიდის წიგნი „თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები“.¹

შედარებითი სამართლისმცოდნეობა ადგენს და იკვლევს იმას, რაც საერთოა ორი ან მეტი სამართლის სისტემისათვის, განსაზღვრავს მათ ბუნებას, ფორმას, როლს, აგერთვე გამოყოფს შესადარებელი სამართლის სისტემების სპეციფიკურ თავისებურებებს. ამით უკეთ შეისწავლება მთლიანად სამართალი, როგორც თანამედროვე საზოგადოების სულიერი კულტურის ფენომენი. შედარებითი სამართლისმცოდნეობა არა მხოლოდ ხელს უწყობს თეორიის გაღრმავებას, არამედ საშუალებას აძლევს სხვადასხვა ქვეყნების იურისტებს სრულყოფილ თავიანთი ეროვნული სამართალი. კომპარატივისტების მუშაობა, ურთიერთობა, დასაკენები ხელს უწყობენ საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებას, ერთიანი მსოფლიო საზოგადოების, ურთიერთდამოკიდებული სახელმწიფოს ხალხის ცხოვრების ოპტიმალური სამართლებრივი რეჟიმის დაცვას.

თანამედროვე შედარებითი სამართალმცოდნეობა აღიარებს სამარ-

¹ იხ. რ. დავიდი, თანამედროვე სამართლებრივი სისტემები, თბ., 1998 წ.

თლის სამ წყაროს (ფორმას): საკანონმდებლო პოზიტიურ სამართალს, პრეცედენტულ სამართალს და ჩვეულებით სამართალს.

§3. ანგლოსაქსური სამართლებრივი სისტემა

ანგლოსაქსური სამართლის წარმოშობა და განვითარება დაკავშირებულია მრავალგვარ ისტორიულ, გეოგრაფიულ, ეროვნულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა ფაქტორებთან. საერთო სამართლის ოჯახი, ისევე როგორც რომის სამართალი განვითარდა პრინციპზე „სამართალი სადაც მას იცავენ“¹ ისტორიული თვალთახედვით ინგლისისა და ანგლოსაქსური სამართლისათვის უმნიშვნელოვანესია ნორმანდიელების მიერ დაპყრობის პერიოდი. ამ დრომდე ქვეყანაში მოქმედებდა დაქსაქსული ადგილობრივი აქტები, საზოგადოებრივი ცხოვრების ცალკეული საკითხების მარეგულირებელი მეფეთა ბრძანებები. რომაელებმა, რომლებიც ბრიტანეთს თითქმის ხუთ საუკუნეს მართავდნენ, ვერ შეძლეს გადამწყვეტი ზემოქმედება მოეხდინათ მის შემდგომ სამართლებრივ განვითარებაზე. რომაული სამართალი ვერ დამკვიდრდა და მალე იქნა გაძევებული ადგილობრივი ნორმანების მიერ.

საერთო სამართალი მთელი ინგლისისათვის შემოიღო ვილჰელმ I დამპყრობელმა (1066 წ.). ამ პერიოდში ფორმირდება ცენტრალიზებული სასამართლო სისტემა, გამოჩნდნენ მეფის გამსვლელი მოსამართლეები (ჰენრიხ II მმართველობის დროს), რომლებიც მეფის სახელით ადგილზე წყვეტდნენ საქმებს. თავდაპირველად ამ მოსამართლეთა გამგებლობაში მცირე რაოდენობის საქმეები შედიოდა, მაგრამ მათი წრე თანდათანობით გაფართოვდა. მოსამართლეების გამოტანილი გადაწყვეტილებები საფუძვლად ედებოდა სხვა სასამართლო ინსტანციების მიერ ანალოგიური საქმეების განხილვას. ასე ჩაეყარა საფუძველი მთელი ინგლისისათვის საერთო პრეცედენტების ერთიან სისტემას, რომელმაც მიიღო სახელი „common Law“ (საერთო სამართალი). სასამართლო დავის გადაწყვეტაში მონაწილეობდნენ ნაფიცი მსაჯულები, — ადგილობრივი თავისუფალი მოქალაქეები, რომლებიც უფრო ხშირად არ იცნობდნენ მეფეთა აქტებსა და პრეცედენტებს, მაგრამ იცოდნენ საკუთარი ჩვეულებები და ტრადიციები. ჩვეულებითი ნორმების ზემოქმედება მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსზე. ამ თვალსაზრისით ინგლისის საერთო სამართალი ჩვეულებითი, ტრადიციული სამართალია.

¹ იხ. Общая Теория права и государства под. ред. В. Лазарева М. 1999 г. стр. 315.

XII-XIV საუკუნეებში საერთო სამართლის სისტემამ აღმავლობის პიკს მიაღწია, მაგრამ თანდათანობით, პრეცედენტების რიცხვის გაზრდასთან ერთად მასში გამოიკვეთა კონსერვატიზმისა და ფორმალიზმის ტენდენციები, რამაც XVI საუკუნისთვის ნიადაგი შეუშადა მისი განვითარების ხარისხობრივად ახალ, „სამართლიანობის სამართლის“ გამოჩენასთან დაკავშირებულ ეტაპს და მის დაპირისპირებას საერთო სამართალთან. განვითარებადი საბაზრო ურთიერთობები საჭირო დონით ვერ აისახებოდნენ ძველ სამართლებრივ ფორმებში, დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა განსაკუთრებული აპელაციის წესი,—მონარქთან საქმის განხილვა „სინდისით“, „სამართლიანობით“ და არა პრეცედენტებით. ასეთი აპელაციები, როგორც წესი, ხვდებოდა ლორდ-კანცლერის ხელში, რომელიც წყვეტდა საჩივრის მეფისათვის გადაცემის საკითხს. მალე თვით საქმის გარჩევის ფუნქცია ფაქტობრივად გადაეცა ლორდ-კანცლერს, იგი დამოუკიდებელი მოსამართლე გახდა.

ამგვარად, ინგლისში ჩამოყალიბდა სამართლის ორი დამოუკიდებელი სისტემა: საერთო პრეცედენტული და „სამართლიანობის სამართალი“, რომელიც თანდათან არსებითად შეიცვალა. მან რეალიზება დაიწყო ადრე განხილული კაზუსების საფუძველზე—შესაბამისად, ლორდ-კანცლერმა დაკარგა შესაძლებლობა თავისი შეხედულების მიხედვით, საკუთარი სამართლიანობის გრძნობით გადაეწყვიტა დავა ანალოგიურ საქმეებზე მზა განაჩენის არსებობის შემთხვევაში. „სამართლიანობის სამართალიც“ გადაიქცა პრეცედენტულ სამართლად, სხვაობა სამართლის ორ სისტემას შორის არ იყო პრინციპული, თუმცა 1875 წლამდე შემორჩა კანცლერის სამართალი, რომელიც მხოლოდ „სამართლიანი სამართლით“ ხელმძღვანელობდა. 1875 წლის შემდეგ საერთო სამართლისა და „სამართლიანი სამართლის“ ნორმების გამოყენება დაიწყო ყველა მოსამართლემ და „სამართლიანი სამართლის“ პრეცედენტები ინგლისის ერთიანი პრეცედენტული სამართლის ორგანულ ნაწილად იქცა.

ანგლოსაქსური სამართლის განვითარების თანამედროვე პერიოდი კარდინალური სამართლებრივი რეფორმების პერიოდია, რომლის არსი საკანონმდებლო მოღვაწეობის გააქტიურებაში, სარჩელის წარმოების უნიფიკაციაში, საერთო სამართლისა და „სამართლიანობის სამართლის“ სასამართლოების შეერთებაში მდგომარეობს. ამ პერიოდში საგრძნობლად ამაღლდა საკანონმდებლო მოწესრიგების დონე, გაიზარდა კანონის მნიშვნელობა სამართლის სხვა წყაროებს შორის. საკანონმდებლო „შეტევამ“ გამოიწვია სამართლის სტრუქტურისა და შინაარსის, აგრეთვე თვით იურიდიული აზროვნების, სამართლებრივი დოქტრინისა და განათლების მოდიფიკაცია. თუკი ადრე ინგლისელი იურისტები ძირითადად პრაქტიკულად განისწავლებოდნენ, ამჟამად

გაიზარდა საუნივერსიტეტო განათლების პრიორიტეტი. კანონპროექტის შემუშავების დროს ითვალისწინებენ უცხოური ქვეყნების, მათ შორის სამართლის რომანულ-გერმანულ ოჯახის წევრი ქვეყნების გამოცდილებასაც, მიმდინარეობს სხვა სამართლებრივი ღირებულებების შესება და უნიფიკაცია. ამგვარად, შეინიშნება ანგლოსაქსური და რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემების თანდათანობითი დაახლოება.

ინგლისის პრეცედენტულმა სამართალმა ზეგავლენა იქონია მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სამართლის განვითარებაზე. მისი გავლენის სფეროში მოხვდნენ აშშ, კანადა, ავსტრალია, ინდოეთი, ახალი ზელანდია და სხვა ქვეყნები, თუმცა თვით დიდ ბრიტანეთში საერთო სამართალი ყველგან არ გავრცელებულა. იგი მხოლოდ ინგლისსა და უელსში გამოიყენება. შოტლანდიასა და ჩრდილოეთ ირლანდიაში, აგრეთვე მთელი რიგი კუნძულების ტერიტორიაზე იგი არ მოქმედებს. ანგლოსაქსური სისტემის ქვეყნებში დიდ ხანია მიმდინარეობს კონსტრუქციული სამართლებრივი თანამშრომლობა, ინგლისური სასამართლოების მიერ შემუშავებული მრავალი პრეცედენტი გახდა სხვა სახელმწიფოების კუთვნილება და მოექცა მათი სამართლის ყურადღების სფეროში და პირიქით.

ამასთანავე, უკანასკნელ ხანებში რამდენიმე სახელმწიფომ (მათ შორის კანადა და ავსტრალია) გამოაცხადა სამართლებრივი ავტონომია, ამერიკის შეერთებულ შტატებში კი სამართლებრივი „სუვერენიტეტი“ ბევრად უფრო ადრე, ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დროიდან ყალიბდება, მაგრამ თვით სამართლის ანგლოსაქსონურ სისტემაში შემაჯავლი ქვეყნების სამართლებრივი დამოუკიდებლობის პროცესი ჯერ კიდევ არ ნიშანვს მათ „გასვლას“ შექმნილი სამართლებრივი ოჯახიდან, რადგანაც ინგლისური სამართლის გავლენა არ შემოიფარგლება პრეცედენტებით, იგი უზრუნველყოფს იურიდიული აზროვნების ხასიათსა და სამართლებრივი მოღვაწეობის თავისებურების საერთო ტიპს, გამოყენებულ კატეგორიებს, ცნებებს, კონსტრუქციებსა და სხვა იურიდიულ ელემენტებს.

ანგლოსაქსურ სამართალში არსებობს ნორმის ორი სახეობა: საკანონმდებლო და პრეცედენტული. საკანონმდებლო ნორმა (ისევე როგორც რომანულ-გერმანულ სისტემაში) წარმოადგენს საერთო ხასიათის ქცევის წესებს. პრეცედენტული ნორმა კი კონკრეტული საქმის მიმართ სასამართლო გადაწყვეტილების გარკვეული ნაწილია. ინგლისელი იურისტები პრეცედენტულ ნორმებს („ratio decidendi“) მიაკუთვნებენ, ჯერ ერთი, საქმის იურიდიულ დასკვნას, მეორეც, გადაწყვეტილების არგუმენტაციას, მოტივირებას. ეს ორი ელემენტი შეადგენს გადაწყვეტილების დედააზრს. მას მხოლოდ რწმუნებითი ხასიათი აქვს და აუცილებელი არ არის სხვა სასამართლოებისათვის. პრაქტიკაში

obiter dictum ძალიან ძნელი გასარჩევია ratio decidendi-სგან. ამისათვის შემუშავებულია მრავალი მეთოდი და ხერხი, მაგრამ არც ერთი საკმარისად ეფექტური არ არის.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ratio decidendi დიდი პირობითობით შეიძლება ჩაითვალოს სამართლის ნორმად. ინგლისელები საერთოდ ამჯობინებენ თავის სასამართლო გადაწყვეტილებებში არ ჩამოაყალიბონ საერთო ხასიათის წესები, მათთან მოქმედებს ფართო სამართლებრივი პრინციპების გამოუყენებლობის პრეზუმპცია. კონტინენტის იურისტებისაგან განსხვავებით, მათი შეგნების სამართლებრივი ტიპი უფრო ინდუქციურია, ვიდრე დედუქციური. საქმეზე მსჯელობის, გადაწყვეტილების საძირკველში კერძო შემთხვევის, კაზუსის ანალიზი ძვეს. მოსამართლე კონკრეტულ შემთხვევას მორაგებს არა მზა ნორმას, არამედ ადრე მომხდარ კაზუსს, სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე შემთხვევას, ადგენს მათ ურთიერთმსგავსებას და ამის შემდეგ გამოაქვს დასკვნა, მიესადაგება პრეცედენტი მის მიერ განხილულ საქმეს თუ არა. ასეთ მექანიზმს მხოლოდ პირობითად შეიძლება დავარქვათ ნორმა შეფარდებითი. პრეცედენტული დარეგულირების აღწერა მოდელით „ნორმა მისი რეალიზაცია“ არის ჯეროვანი დაფასება რომანულ-გერმანული სამართლებრივი ტრადიციისა, რომლითაც ნორმატიულობა სამართლის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს.

ანგლოსაქსური სამართლის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან წყაროს (მისი ფორმირების პროცესის თვალსაზრისით), როგორც უკვე აღვნიშნეთ, სასამართლო პრეცედენტი წარმოადგენს. დიდი ხნის მანძილზე სწორედ ის იყო ინგლისური სამართლის გამოხატვისა და განმტკიცების მთავარი ფორმა, სწორედ ამის გამო იყო და არის პრეცედენტული ინგლისური სამართალი. ინგლისში პრეცედენტს ჰქმნის მხოლოდ უმაღლესი სასამართლო ინსტანცია: ლორდთა პალატა, ფარული საბჭოს სასამართლო კომიტეტი (თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების საქმეებზე), აპელაციური სასამართლო და უმაღლესი სასამართლო. უფრო ქვევით მდგომი სასამართლოები პრეცედენტებს არ ქმნიან. ინგლისური სასამართლო პრეცედენტი გვაუწყებს: გადაწყვეტით ისე, როგორც ადრე იყო გადაწყვეტილი (წესი „state decisis“) და მას იმპერატიული ხასიათი აქვს, ე.ი. ნებისმიერი სასამართლო ინსტანცია ვალდებულია მიჰყვეს ზემდგომი სასამართლოს მიერ შემუშავებულ, აგრეთვე, თავის შექმნილ პრეცედენტებს.

1966 წელს ლორდთა პალატამ გააკეთა განცხადება პრაქტიკულ საკითხებზე, რომელიც აუცილებელი შემთხვევის პირობებში იძლეოდა უკანდახვევის საშუალებას მის მიერ ადრე შექმნილი პრეცედენტებიდან. ლორდთა პალატის საკუთარი ადრინდელი გადაწყვეტილებების გაუქ-

მების უფლება დაამტკიცა პარლამენტმა 1966 წლის კანონით მართლმსაჯულების შესახებ დიფერენცირდება.

ანგლოსაქსური სამართლის სხვა წყაროს წარმოადგენს კანონი (სტატუსი). იგი პრეცედენტზე გაცილებით გვიან წარმოიქმნა, მაგრამ საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების საქმეში თანდათანობით შეიძინა საკმაოდ დიდი მნიშვნელობა.

ინგლისური საკანონმდებლო აქტები მრავალი ფორმით კლასიფიცირდება. მოქმედების სფეროს მიხედვით გაირჩევა საჯარო და კერძო სამართლის აქტები. საჯარო სამართლის აქტები ვრცელდება სუბიექტების ნებისმიერ წრეში და მოქმედებენ დიდი ბრიტანეთის მთელ ტერიტორიაზე, კერძო სამართლისა და გარკვეულ პიროვნებებსა და ტერიტორიაზე.

პარლამენტი ნორმატიული აქტების მისაღებ უფლებამოსილებას ხშირად გადასცემს სხვა სუბიექტებს (დელოფალს, მთავრობას, სამინისტროებს). ამ აქტების ერთობლიობა შეადგენს „დელეგირებულ კანონმდებლობას“. ასეთი აქტების იურიდიული ძალა განისაზღვრება პარლამენტის კანონშემოქმედებითი ფუნქციის ნაწილის შესაბამისი ორგანოებისთვის გადაცემით. ამიტომ მათი გადაწყვეტილება ითვლება კანონის ნაწილად და ყველა მოქალაქე ვალდებულია შეასრულოს იგი. დელეგირებული კანონშემოქმედების უმაღლეს ფორმად ითვლება „საბჭოს ბრძანება“, რომელიც ფორმალურად წარმოადგენს საიდუმლო საბჭოს (მონარქი და საიდუმლო მრჩეველები) ბრძანებას, ფაქტიურად კი მთავრობის ბრძანებაა.

ამის გარდა, მოქმედებს ავტონომიური კანონმდებლობა—დგილობრივი ხელისუფლების ორგანოების აქტები ტერიტორიაზე, ზოგიერთ დაწესებულებაში, ორგანიზაციაში (ეკლესია, პროფკავშირი, რკინიგზის, სამშენებლო, ტრანსპორტის, გაზის კომპანიები, იურიდიული საზოგადოება და სხვა). ისინი იღებენ გადაწყვეტილებებს, რომლებიც სავალდებულოა მათი წევრებისა და მომხმარებლებისათვის. ავტონომიური კანონმდებლობის აქტების იურიდიული ძალა, ცხადია, ვერ უტოლდება პარლამენტისა და დელეგირებული კანონმდებლობის აქტების ძალას. იერარქიით ისინი სამართალშეფარდებითი ორგანოების აქტებს უახლოვდებიან.

სტატუსს გააჩნია პრიორიტეტი პრეცედენტთან მიმართებაში იმ თვალსაზრისით, რომ შეუძლია მისი გაუქმება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პრეცედენტი წარმოქმნილია კანონისაგან და მეორადი ხასიათისაა. ანგლოსაქსური სამართლის თვითმყოფადობა მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ კანონი სრულდება არა დამოუკიდებლად, არამედ პრეცედენტების გამოყენებით, მათი საშუალებით. სანამ შეიძენს მოქმე-

დი აქტის ძალას, კანონი უნდა „შეიმოსოს“ მისი მაკონკრეტირებელი სავალდებულო სასამართლო გადაწყვეტილებით.

ინგლისური სტატუსი არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც პრეკედენტების სისტემის დანამატი, იგი თვითონ ავსებს და სრულყოფს მას.

ანგლოსაქსური სამართლის უძველეს წყაროს წარმოადგენს ჩვეულება (ადათი), თუქცა ამჟამად მისი როლი სამართლის სხვა წყაროებთან შედარებით თანდათან მცირდება. შინაარსობრივი თვალსაზრისით, ანგლოსაქსური სამართლის ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის ადათს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: საქმე ისაა, რომ ნაფიც მსაჯულებს, პროფესიონალური მოსამართლეებისაგან განსხვავებით, არ გააჩნიათ ნორმებისა და აღრე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების ის ცოდნა, რომელიც აუცილებელია სხვადასხვა ქცევების ზუსტი იურიდიული შეფასებისათვის. მათთვის კონკრეტული შემთხვევის, ფაქტის შესაფასებლად ორიენტირად გამოდიოდა ის ადათები, ტრადიციები, ყოფაქცევის ნორმები, რომლებიც ინგლისში, ცალკეულ საგრაფოებში ჩამოყალიბდა. ამ ნორმების გათვალისწინებით მუშავდებოდა მსაჯულების საერთო აზრი, პოზიცია კონკრეტულ საქმეზე.

„შრომის დაყოფა“ მოსამართლეებსა და მსაჯულებს შორის არ წარმოქმნილა უცბად და სრულყოფილი სახით, ამასთან მსაჯულები აუცილებლად მონაწილეობდნენ არა მხოლოდ ფაქტის, არამედ თვით სამართლის საკითხების განხილვაში, ამიტომ ლოგიკურად უნდა ეცნოთ ინგლისელი იურისტების თეზისი იმის შესახებ, რომ საერთო სამართალი—ჩვეულებითი სამართალია და სათავეს ადათებიდან და ტრადიციებიდან იღებს. რაც შეეხება უძველეს ჩვეულებებს, ისინი პირდაპირ შევიდნენ ინგლისურ სამართალში. მოქმედი წესით ძველებური ადათები (XIII საუკუნემდე) გათვალისწინებული უნდა იყოს მოსამართლეთა მიერ კონკრეტული საქმეების განხილვის დროს. ასე მაგალითად, ინგლისში უხსოვარი დროიდან არსებობდა ადათი, რომელიც მეთევზეებს უფლებას აძლევდა ბადეები უცხო სანაპიროზე გაეშალათ ამ სანაპირო ზოლის მუპატრონეების ნებართვის გარეშე. ეს დღემდე იურიდიულად მნიშვნელოვანია და სასამართლო აღიარებს.

საპარლამენტო პროცედურის მრავალი საკითხი, უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობის პირთა ურთიერთდამოკიდებულება, მონარქის და მისი ოჯახის წევრების ქცევის რიტუალურ-ეთიკური ნორმები ასევე ჩვეულებით-სამართლებრივი წესით რეგულირდება. აქ დაწერილი კონსტიტუციისა და სხვა საკონსტიტუციო აქტების უქონლობის გამო სამართალში არსებულ ხარვეზებს ტრადიცია ავსებს.

განსაკუთრებული ადგილი ანგლოსაქსური სამართლის წყაროებს შორის იურიდიულ დოქტრინას (მეცნიერება) უჭირავს. თუკი რომა-

ნულ-გერმანულ სამართლებრივ სისტემაში იგი განმსაზღვრელ როლს თამაშობს, მაგრამ არ წარმოადგენს იურიდიული ნორმების გამოხატვისა და განმტკიცების დამოუკიდებელ ფორმას, ანგლოსაქსურ სამართალში ზოგიერთ ლიტერატურულ წყაროს აქვს საერთო აღიარება და გამოიყენება კონკრეტული საქმეების განხილვის დროს. ასეთ წყაროებს მიეკუთვნება საერთო სამართლის უძველესი სახელმძღვანელოები, რომელთა ავტორები უდიდესი ავტორიტეტის მქონე ინგლისელი იურისტები, უფრო ხშირად მოსამართლეები არიან. ამ წყაროებში მნიშვნელოვანია არა იმდენად ავტორის მსჯელობა, რამდენადაც აქ აღნიშნული და მეცნიერების მიერ განხილული აუცილებელი პრეცედენტები. მაგალითად, ინგლისელი იურისტების აღიარებით, ყველაზე ავტორიტეტული წყარო—კოკის „ინსტიტუტია“, ვიდრე რომელიმე სხვა პრეცედენტების კრებული. თანამედროვე სამეცნიერო სახელმძღვანელოები კი არ ითვლება ანგლოსაქსური სამართლის პირველწყაროდ, სასამართლო საქმეების განხილვის დროს მათ მხოლოდ დამაჯერებელი მნიშვნელობა აქვთ.

ამრიგად, ინგლისური დოქტრინა, როგორც სამართლის პირველწყარო, მოიაზრებს არა საკუთრივ იურიდიულ მეცნიერებას, თეორიულ წარმოდგენებს, იდეებსა და კონსტრუქციებს, არამედ სასამართლო კომენტარებს, პრეცედენტული პრაქტიკის აღწერას, რომლებიც იურისტებისათვის პრაქტიკულ სახელმძღვანელოდ არის მიჩნეული.

ანგლოსაქსური სამართლის სტრუქტურა. ინგლისურ სამართალში არ არის საჯარო და კერძო სამართლად კლასიკური დაყოფა. ისტორიულად იქ ჩამოყალიბდა საერთო სამართალი და „სამართლიანი სამართალი“, რაც დღემდე განსაზღვრავს მთელ მის სამართლებრივ არქიტექტონიკას. ასეთ განსხვავებას ორი ძირითადი სამართლებრივი ოჯახის (რომანულ-გერმანული და ანგლოსაქსური) სტრუქტურულ დაყოფაში აქვს არა ისტორიულად შემთხვევითი, არამედ მკაცრად კანონზომიერი ხასიათი, განპირობებული იმით, რომ ერთი მათგანი წარმოიქმნა რაციონალური, მეორე - ევოლუციური, ისტორიული გენეზისის, შექმნილი ურთიერთობების თანდათანობითი ფორმირების გზით. აქედან გამომდინარე, რომანულ-გერმანული და ანგლოსაქსური სამართლის სტრუქტურების განსხვავება განპირობებულია მათი სხვადასხვა საფუძველზე დაშენებით და, მათთანადავს, მათი განვითარების განსხვავებული ლოგიკით.

პრეცედენტული ნორმა წარმოადგენს კაზუსს, რომელსაც თავისი სტრუქტურა და განსაკუთრებული შინაარსი აქვს. ანგლოსაქსური სამართლის ამ თავდაპირველი ელემენტების (მიკროუჯრედების) კავშირებს, სხვადასხვა გარემოების გამო, ხშირად აქვთ არა ლოგიკური, რაციონალური, არამედ ტრადიციულ-ისტორიული ხასიათი. ასე მაგა-

ლითად, „სამართლიანი სამართლის“ მოქმედების სფეროში ბუნებით-ევოლუციური გზით მოხვდა მსჯელობა უძრავ ქონებაზე, მინდობილობითი საკუთრების ურთიერთობაზე, სავაჭრო ამხანაგობის საქმეებზე, გაკორტრებაზე, მემკვიდრეობაზე. საერთო სამართლის გამგებლობაში გადავიდა სისხლის სამართლის საქმეები, სახელშეკრულებო სამართალი, სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტები და ზოგიერთი სხვა, მაგრამ აქ მკაცრი წყალგამყოფი არ არსებობს და ამჟამად ცალკეული ცნებები, ინსტიტუტები მომთაბარებენ ერთი სფეროდან მეორეში, ვინაიდან ორივესთვის ახლობელნი არიან. ეს უპირველეს ყოვლისა, გამოწვეულია იმით, რომ მოსამართლეები პრაქტიკაში იყენებენ როგორც საერთო სამართლის, ისე „სამართლიანი სამართლის“ პრეცედენტებს, ისინი დაინტერესებულნი არიან მათი დაახლოებით და მათი ცნებების უნიფიკაციით. ანგლოსაქსური სამართლის სისტემაში (ოჯახში) შედიან: ა.შ.შ. საკუთრის ინგლისი, სამხ. ისლანდია, კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია და თანამეგობრობის 36 ქვეყანა.

§4. რომანულ-ბერმანული სამართლებრივი სისტემა

რომანულ გერმანული სამართალი წარმოიქმნა XII-XIII საუკუნეებში კონტინენტური ევროპის ქვეყნების მიერ რომის სამართლის რეცეპციის შედეგად. რეცეპციის მიზეზი ეკონომიკურ სფეროში გახდა ვაჭრობის, ხელოსანობის, ქალაქების ზრდა და განვითარება. ვასალიტეტის და სოფლებში ფესვგადგმული პატრიმონიალური იურისდიქციის საფუძველზე დამყარებული ფეოდალური ნორმები არ შეესაბამებოდნენ დამოუკიდებელი „თავისუფალი“ ქალაქების თვითმმართველობის პრინციპებს. მათ დასჭირდათ ნორმატიულ-სამართლებრივი მოწესრიგების ახალი, ფორმალური თანასწორობისა და საბაზრო ურთიერთობების მონაწილეთა დამოუკიდებლობის იდეებზე დაშენებული სისტემა. ასეთი სისტემა, რომელიც სხვებზე მეტად პასუხობდა მოთხოვნილებას, აღმოჩნდა რომის სამართალი. თავდაპირველად შუასაუკუნეების ევროპაში, მისი სოციალური დასაყრდენი და გამოყენების სფერო უპირატესად ქალაქის მოსახლეობა იყო, მაგრამ რამდენიმე საუკუნის შემდეგ, სოფლის ცხოვრების ყაიდის, მიწასთან ურთიერთობების შეცვლის შედეგად ქალაქებში ჩასახული სამართლებრივი სისტემა საერთო ეროვნული კონტინენტალურ-ევროპული გახდა.

ეკონომიკური მიზეზების გარდა არსებობდა ევროპის მიერ რომაული სამართლის გამოცდილების გადმოღების სოციალურ-კულტურული წინაპირობებიც, აქ ვითარდებოდა განათლება, ხელოვნება, კულტურა, რამაც შეამზადა ნიადაგი რომის იურიდიული კონცეფციის, შეხედუ-

ლებების, ცნებების, კონსტრუქციის აღქმისათვის. ამ პროცესებში უდიდესი როლი ითამაშეს უნივერსიტეტებმა, სადაც ხდებოდა ორიგინალური რომაული ტექსტების შესწავლა და შემდეგ მათი ადაპტაცია შუასაუკუნეების ევროპის პირობებთან. შემთხვევით არ არის, რომ რომანულ-გერმანული სამართლის ზოგიერთი მკვლევარი მას განიხილავს, როგორც „გონების სამართალს“, „უნივერსიტეტების სამართალს“. უნივერსიტეტის პროფესორები აქტიურად მონაწილეობდნენ იურიდიული დოქტრინის, ხოლო მოგვიანებით—კანონპროექტების, კოდექსების შემუშავებაში. საუნივერსიტეტო განათლებას ღებულობდნენ მოსამართლეები, პროკურორები, ადვოკატები, რომლებიც ხელს უწყობდნენ რომის იურიდიული დოქტრინის შემდგომ პრაქტიკულ გამოყენებას.

რომის სამართლის რეცეპციის მნიშვნელოვანი წინაპირობა იყო აგრეთვე ქრისტიანული ეკლესიის დამოკიდებულების შეცვლა რომის სამართლისადმი. მრავალი საუკუნის მანძილზე ეკლესია უარყოფითად აფასებდა რომაულ სამართალს და ამ ცრურწმენის გადასალახავად თომა აკვინელის ავტორიტეტი გახდა საჭირო. სამოქალაქო სასამართლო პროცესებისაგან საეკლესიო ინკვიზიციის ჩამოშორების გადაწყვეტილება უფრო ადრე, 1215 წელს მიღო ლატრანის მეოთხე საეკლესიო კრებამ.

XIII საუკუნიდან რომანულ-გერმანული სამართალი აქტიურად ვითარდებოდა, გასცდა გერმანიის სახელმწიფო საზღვრებს და ინგლისის გარდა მთელი ევროპის საკუთრება გახდა. XVI-XVIII საუკუნეებში ევროპის სამართლებრივი განვითარების პროცესმა ახალი ფორმა შეიძინა. ერისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებამ მასში შემოიტანა სამართლებრივი ნაციონალიზმის ელემენტები, რომელი სამართლის საერთო პრინციპები და საწყისები ინტეგრირებულნი აღმოჩნდნენ ეროვნულ ნორმატიულ სისტემებში. ეს პროცესი დამთავრდა ეროვნული კანონმდებლობის, ნაციონალური კოდექსების შემუშავებით, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნის სოციალურ წყობას ითვალისწინებდნენ. რომანულ-გერმანული სამართლის სისტემა (ოჯახი), როგორც კონტინენტალური სამართალი აერთიანებს საკუთრივ გერმანიას, საფრანგეთს, იტალიას, ისლანდიას და სხვა ქვეყნებს.¹

დღეისათვის რომანულ-გერმანული სამართლის დემოკრატიული ტრადიციები შეივსო „ევროპული სახლის“, ევროკავშირის შექმნის იდეით, რასაც ქვეყნების სამართლებრივი ინტეგრაციის, ეროვნული სახელმწიფოებრივი საზღვრების და მასთან ერთად სამართლებრივი ნაციონალიზმის გადალახვისაკენ მიყვავართ. ინტეგრაციის საფუძვლად გაბოღის საერთო პრინციპები, საწყისები, რომის კერძო სამართლის სუ-

¹ იხ. Общая Теория права и государства под. ред. В. Лазарева М. 1999 г. стр. 311.

ლისკვეთება. დღეს შეიძლება ითქვას, რომ დაიწყო რომანულ-გერმანული სამართლის განვითარების ახალი—კონტინენტალურ-ევროპული ქვეყნების საკანონმდებლო კომპლექსების უნიფიკაციისა და დაახლოების და საერთო ევროპული სამართლებრივი სისტემის შენების ეტაპი.

რომანულ-გერმანული სამართლის ფორმა არის კანონმდებლის ან მისგან უფლებამოსილი ორგანოების მიერ ჩამოყალიბებული ქცევის საერთო წესები. ამ ნორმების მთავარ განსხვავებას ანგლოსაქსონურთან შედარებით წარმოადგენს მისი განზოგადებული, აბსტრაქტული ხასიათი. ჩვეულებისამებრ, კანონმდებელი მას აყალიბებს, როგორც ქცევის სოციალურ მოდელს, როგორც საერთო მასშტაბს, დაშვებულ საზღვრებს („აქედან“ და „აქამდე“) და არ მიმართავს კერძო შემთხვევებს, ქცევის ვარიანტებს. თუნდაც სამართლის ნორმის შესაქმნელად გამოყენებულ იქნეს ცალკეული იურიდიული კაზუსი, ის განზოგადებულ (აბსტრაქტულ) ფორმებში პოულობს გამოსავალს.

ქცევის ნორმების—მოდელების გამოყენება საშუალებას აძლევს კანონმდებელს ოპერატიული ზემოქმედება მოახდინოს სოციალურ ურთიერთობებზე, შეცვალოს, გარდაქმნას ისინი, რაც მოცემული სამართლებრივი რეგლამენტაციის ჭეშმარიტ ღირსებას წარმოადგენს. რომანულ-გერმანულ ნორმებს გააჩნიათ სისტემურ-იერარქიული ხასიათი, ქმნიან იურიდიული ძალისა და სოციალური მნიშვნელობის თვალსაზრისით დაქვემდებარებული ვითარებების ურთიერთდაკავშირებულ კომპლექსებს, რომელთა შორის გამოიყოფა მთავარი და მეორეხარისხოვანი, ნაკლები მნიშვნელობის წესები. ეს მდგომარეობა რომანულ-გერმანული სისტემის იურისტებს მნიშვნელოვნად უადვილებთ ნორმის შეფარდების პროცესს.

ამასთანავე, განზოგადებული ხასიათი ნორმებს ნეგატიურ ელფერსაც ანიჭებს: რაც უფრო განვრცობილია ნორმა, უფრო მეტად ძნელდება მისი პრაქტიკაში გამოყენება. წარმოიქმნება მისი დაკონკრეტების და განმარტების სერიოზული პრობლემა, რის გადასაჭრელადაც გამოიყენება განმარტების უამრავი ხერხი და საშუალება, რომლებიც შესაძლებლობას იძლევა დაზუსტდეს კანონმდებლის ნება. ამის შედეგად სასამართლო, საარბიტრაჟო და სხვა ორგანოები შეიმუშავენ მრავალ მეორად ნორმას და დებულებას, რომლებიც განმარტავენ, აკონკრეტებენ კანონების შინაარსს.

რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის ქვეყნებში გამოიყენება რომის იმპერიის არსებობიდან ცნობილი კლასიკური დაყოფა საჯარო და კერძო სამართლის დარგებად.

საჯარო სამართლის გამოყოფის კრიტერიუმია საერთო, სახელმწიფო ინტერესი (სახელმწიფოებრივი მიზნებისა და ამოცანების განხორციელება), ხოლო კერძო სამართლის საფუძველია განსაკუთრებული,

კერძო ინტერესი (ცალკეული პიროვნების, მოქალაქის, ორგანიზაციის მიზნების რეალიზაცია). საჯარო სამართალი არეგულირებს ძალაუფლებასა და მორჩილებაზე ვალდებული პირების მიმართ იძულების მექანიზმზე დამყარებულ სუბორდინაციულ ურთიერთობებს. მასში დომინირებს იმპერატიული (კატეგორიული) ნორმები, რომელთა შეცვლა და განვრცობა სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა მიერ არ შეიძლება. საჯარო სამართლის სფეროს ტარდიციულად მიაკუთვნებენ კონსტიტუციურ, სისხლის სამართლის, ადმინისტრაციულ, ფინანსურ, საერთაშორისო საჯარო სამართალს, პროცესუალურ დარგებს, შრომითი სამართლის ძირითად ინსტიტუტებს და ა.შ. კერძო სამართალი აწონასწორებს „პირიზონტალური“ ტიპის ურთიერთობებს თანასწორუფლებიან დამოუკიდებელ სუბიექტებს შორის. აქ ჭარბობს დისპოზიციური, მხოლოდ იმ ნაწილში მოქმედი ნორმები, რომელიც არ იცვლება, არ უქმდება მისი მონაწილეების მიერ. კერძო სამართლის უფლებების სფეროში შედის: სამოქალაქო, საოჯახო, სავაჭრო, საერთაშორისო კერძო სამართალი, შრომითი სამართლის ცალკეული ინსტიტუტები და ზოგიერთი სხვა.

რომანულ-გერმანული სამართლის სხვა სტრუქტურულ თავისებურებას წარმოადგენს ნორმების თანდათანობითი დარგობრივი დაყოფა, მათი მიბმა სამართლისა და სამართლებრივი ინსტიტუტების კონკრეტულ დარგებთან. ყველა მისაღები ნორმატიული დებულება იურიდიულ დოქტრინასთან შესაბამისობაში იღებს სათანადო დარგობრივ „ჩაწერას“ მათი რეგულირების საგნისა და სამართლის სუბიექტებზე ზემოქმედების ხერხებისა და საშუალებების (მეთოდების) თავისებურებების გათვალისწინებით. სხვადასხვა ნორმატიული მასალის ელემენტების დაყოფის ასეთი ლოგიკური თანამიმდევრობა ამ სამართლებრივი ოჯახის „საუნივერსიტეტო ფესვებით“, რაციონალური ბუნებით არის უზრუნველყოფილი.

რომანულ-გერმანული სამართლის მნიშვნელოვან წყაროდ გვევლინება კანონი. კანონს ღებულობს სისტემის ქვეყნების პარლამენტები, მათ აქვთ უმაღლესი იურიდიული ძალა და სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე, მის ნებისმიერ მოქალაქეზე ვრცელდება. კანონმა, თანამედროვე დოქტრინის თვალსაზრისით, უნდა გამოხატოს საზოგადოების უმრავლესობის ნება, ადამიანის ძირითადი უფლებები, სოციალური სამართლიანობა. კანონს აქვს უმაღლესი პრიორიტეტი სამართლის სხვა დანარჩენ წყაროებთან შედარებით. მას შეუძლია აკრძალოს ან ლეგალურად აქციოს ტრადიციები, სასამართლო პრაქტიკის ცალკეული დებულებები, შიდა სახელმწიფო ხელშეკრულებები. ადათის, ტრადიციის ან დოქტრინის კანონის ტექსტში განმტკიცებისას, ის ზდება მისი ნაწილი, მის შინაარსად იქცევა. სადღეისოდ კანონი არეგული-

რებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ძირითად მხარეს, ამტკიცებს სუბიექტების სამართლებრივ მდგომარეობას.

რომანულ-გერმანული დოქტრინის თანახმად არსებობს კონსტიტუციური და ჩვეულებრივი (მიმდინარე) კანონები. სისტემის ყველა ქვეყანაში ჩვეულებრივ კანონებთან მიმართებაში დამტკიცებულია კონსტიტუციური კანონის პრიორიტეტის პრინციპი. მათ უმრავლესობას ამტკიცებს საკონსტიტუციო სასამართლო, ანდა უზენაესი სასამართლო ორგანოები. კონსტიტუციური კანონების მიმართ გათვალისწინებულია მათი გაუქმების ან შეცვლის განსაკუთრებული წესი, რისთვისაც აუცილებელია პარლამენტის წევრთა კვალიფიციური უმრავლესობის თანხმობა. კანონების რეგულირების საგანს წარმოადგენს საზოგადოების მოწყობის უმთავრესი საკითხები, მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები, სტრუქტურა, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაცია.

მიმდინარე კანონებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ კოდიფიცირებულ აქტებს (კოდექსებს). ანგლოსაქსურისაგან განსხვავებით რომანულ-გერმანული სამართალი მიისწარფვის არა გარეგანი ნორმატიული მასალის სისტემატიზაციისკენ (ინკორპორაცია), არამედ არსებითად გადაამუშავებს ნორმატიულ მასალას შინაარსობრივ, შინაგან მხარეს რომლის მიხედვით ალაგებს ცალკეულ ნორმებსა და იქმნება (კოდიფიკაცია). დარგობრივი (სამოქალაქო-სამართლებრივი, სისხლის სამართლის, სავაჭრო, საოჯახო და ა.შ.) კოდექსი.

რომანულ-გერმანული სისტემის ქვეყნებში კანონების გარდა მიიღება მრავალი კანონქვემდებარე აქტი: დეკრეტი, რეგლამენტი, ინსტრუქცია, ცირკულარი და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გამოცემული სხვა დოკუმენტები. ზოგიერთი მათგანი დელეგირებულია და მათი როლი და მნიშვნელობა სამართლებრივ რეგულირებაში გამომცემელი ორგანოების უფლებამოსილებით განისაზღვრება. სხვა გადაწყვეტილებები მიიღება თვით აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოების ინიციატივით. ისინი, თავისი იურიდიული ძალის თვალსაზრისით, ჩამორჩებიან პირველი კატეგორიის აქტებს, თუმცა მათი რაოდენობა ძალიან დიდია და ამიტომ, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც მათ მიღებაზე მკაცრი კონტროლის სისტემა არ არის, მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენენ არა მარტო აღმასრულებელი ხელისუფლების შიგნით ჩამოყალიბებულ ორგანიზაციულ ურთიერთობებზე, არამედ მოქალაქეების, დაწესებულებების, წარმოებების საქმიანობაზეც.

რომანულ-გერმანული სამართლის მეორე წყაროს წარმოადგენს წეს-ჩვეულებები (ტრადიციები). ისტორიულად მრავალი ჩვეულებითი ნორმა განმტკიცდა კანონში, გახდა მისი შინაარსი. მაგრამ როგორც სამართლის დამოუკიდებელი წყარო, ადამი დღეს სამართლებრივ სის-

ტემაში მეორეხარისხოვან როლს ასრულებს და კანონის დამატებად გეველინება.

მოელ რიგ ევროპულ სამოქალაქო და სავაჭრო კოდექსებში განმტკიცებულია ნორმები, რომლებიც საშუალებს იძლევა სამეურნეო და სავაჭრო პრაქტიკის წესები გამოიყენოთ კანონის უქონლობის შემთხვევაში ე.ი. მათი საშუალებით ივსება საკანონმდებლო რეგულირების ხარვეზები. მაგალითად, გურ-ში ისინი გამოიყენება სამართლის პრინციპებთან ერთად ნაციონალ-სოციალიზმის დროიდან შემორჩენილ კანონებზე მსჯელობისას, მათი სამართლის ძირითად საწყისებთან და სოციალური სამართლიანობის იდეებთან დაპირისპირების შემთხვევაში. ამ თვალსაზრისით ადათების როლი და მნიშვნელობა ბოლომდე ამოწურული არ არის.

რომანულ-გერმანული სამართლის მესამე წყაროდ, გარკვეული შენიშვნებით, შეიძლება ჩაითვალოს სასამართლო პრაქტიკა. ამ შენიშვნების აზრი მიგვითითებს იმაზე, რომ მოქმედი დოქტრინის თანახმად სამართლის ნორმა შეიძლება მიიღოს მხოლოდ კანონმდებელმა და მისგან უფლებამოსილმა ორგანომ. მიუხედავად ამისა, არსებულმა დაპირისპირებამ, კანონმდებლობის ხარვეზებმა და, რაც მთავარია, პარლამენტისგან სასამართლო ორგანოებისათვის მინიჭებულმა მოქმედების ფართო სივრცემ განაპირობა მოსამართლეთა პრინციპული გადაწყვეტილების შემუშავება, რომლებიც აზუსტებენ კანონის შინაარსს და ხანდახან უპირისპირდებიან კანონმდებლის ნებასაც.¹

ამგვარ გადაწყვეტილებას, როგორც წესი, შეიმუშავენ სისტემის ქვეყნების უმაღლესი სასამართლო ინსტანციები და საკონსტიტუციო სასამართლოები. ამ ინსტანციების ადგილისა და როლის ძალით სასამართლო იერარქიაში ყველა ქვემდგომი სასამართლო ორგანო ვალდებულია მკაცრად მიჰყვეს კონკრეტული კატეგორიის საქმეების გადაჭრის მათ მიერ ჩამოყალიბებულ პრაქტიკას სხვაგვარი გადაწყვეტილებების აკრძალვის შიშით. ამგვარად, იქმნება თავისებური სასამართლო ნორმა—სამართლის შემფარდებელი ყველა იურისტის მიერ გასათვალისწინებელი სასამართლო პრაქტიკის სამართალდებულება. სამართალდებულებები ქვეყნდება სასამართლო კრებულებში და სამართლებრივი სისტემის ნაწილი ხდება.

§5. ისლამური სამართლის სისტემა

ისლამური სამართალი წარმოიქმნა როგორც შარიათის (მაჰმადიანთა სამართლის წიგნი) ნაწილი, რომელიც თავისთავად ისლამური

¹ იხ. Теория государства, и права под ред. В. Корелского а. В. Первалова М. 2000 г. стр. 560-566.

რელიგიის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს, ამიტომაც მას წინასწარმეტყველ მუქამედს უკაკშირებენ, რომელიც ცხოვრობდა VI საუკუნეში ჩვ. წელთაღრიცხვამდე. მუქამედი მორწმუნე მუსლიმანებს ალაჰის სახელით უგზავნიდა ქცევის ზოგიერთ ძირითად წესს. ეს ნორმები უმოავრესად საჯარო ქადაგებების სახით ჩამოყალიბდა. იურიდიულად მნიშვნელოვანი ნორმების სხვა ნაწილი თავად მუქამედის ქცევის, ცხოვრება—მოღვაწეობის შედეგად შეიქმნა. მოგვიანებით ყველა ეს ნორმა აისახა ისლამური რელიგიისა და სამართლის პირველად წყაროებში, მაგრამ საკმარისი არ აღმოჩნდა ისლამური თემის სამართლებრივი ურთიერთობების ერთიანი სისტემური რეგულირებისათვის, ამიტომ მუქამედის სიკვდილის შემდეგ მისი ნორმაშემოქმედებითი მოღვაწეობა გააგრძელეს მისმა უახლოესმა თანამოაზრეებმა, „წმინდანებმა“, აბუ-ბექრმა, ომარმა, ოსმანმა და ალი ხალიფებმა. ისინი ეყრდნობოდნენ ყურანსა და სუნას და აყალიბებდნენ ქცევის ახალ წესებს, რომლებიც, მათი აზრით, ალაჰისა და მუქამედის ნებას გამოხატავენ. ყურანისა და სუნის ხარვეზის შემთხვევაში კი ნორმა იქმნებოდა ერთობლივად ან ერთპიროვნულად თითოეული ხალიფას მიერ.

VII-X საუკუნეებში ისლამური სამართლის განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს ისლამის სამართალმცოდნეებმა და მსაჯულებმა—ყადებმა. იმდენად მნიშვნელოვანი იყო მათი როლი ისლამური სამართლის სისტემის ჩამოყალიბებაში, რომ ზოგიერთი მკვლევარი განსაზღვრავს ისლამურ სამართალს, როგორც იურისტების სამართალს. ამ პერიოდში ჩაისახა ისლამის მთავარი განშტოებები, შეიქმნა სამართლებრივი ხარვეზები, დაიწერა მრავალი ახალი მითითება ყურანის განმარტების მიზნით.

X საუკუნის მიწურულს ისლამური სამართალი დაკანონდა და მისი მკვლევარებისა და რეფორმატორებისათვის დაიხშო „ძიების კარიბჭე“. დადგა „ტრადიციების საუკუნე“, ჩამოყალიბებული სამართლებრივი ნორმებისა და დოქტრინების შესაბამისად მოქმედების პერიოდი. მუსულმანმა მოსამართლეებმა დაკარგეს უფლება ყურანში, სუნასა და სხვა წყაროებში საჭირო ნორმების უქონლობის შემთხვევაში თავისი შეხედულებისამებრ გამოეტანათ განაჩენი. მათ უნდა ეხელმძღვანელათ ქვეყნის მოსახლეობისაგან მიღებული რჩევებით. XIII საუკუნის დამდეგს ისლამურმა სამართალმა დაკარგა თავისი მთლიანობა და პოლიდოქტრინალურ, სხვადასხვა მიმართულებებად დაყოფილ სამართლად გადაიქცა. კონკრეტული იურიდიული სკოლის მიმდევრობის აუცილებლობას სახელმწიფო, მისი სამართლებრივი პოლიტიკა უზრუნველყოფდა. ამის შედეგად ზენაციონალური ისლამური სამართალი დაიმსხვრა, დანაწილდა სხვადასხვა ნაციონალურ-სახელმწიფო სამარ-

თლად. კოდიფიკაციის პერიოდის რომანულ-გერმანული სამართლის მსგავსად ისიც ეროვნულ სამართლად გადაიქცა.¹

ისლამური სამართლებრივი დოქტრინა შემდგომ ამა თუ იმ რჩევის ფარგლებში არსებული დაპირისპირების, შეუთანხმებლობის თანდათანობითი აღმოფხვრისა და აგრეთვე ყველა ისლამური სამართლებრივი სკოლისათვის საერთო დებულებების, პრინციპების შექმნის გზით განვითარდა. ისლამურ სამართალს ამ ნორმა-პრინციპებმა მიანიჭა ლოგიკური მთლიანობა, თანმიმდევრობა და შესამჩნევად ამაღლდა მისი რეგულირებადი პოტენციალი.

XIX საუკუნე ისლამური სამართლის განვითარების პრინციპულად ახალ საფეხურს წარმოგვიდგენს. კანონმდებლობის წარმოჩენამ ნორმატიული რეგულირების დამოუკიდებელი წყაროს სახით გამოიწვია იურიდიული დოქტრინის თანდათანობითი გამოძევება, მისი როლის შესუსტება, თუმცა შინაარსობრივი თვალსაზრისით იგი გარკვეულწილად კვლავ ზემოქმედებდა სამართლებრივ სისტემაზე.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ისლამურმა სამართალმა დაიწყო ევროპული სიმაართლის, კერძოდ, რომანულ-გერმანულის, გამოცდილების აქტიური გადმოღება, რამაც ამჟამად ცალკეული არაბული ქვეყნებიდან (მაგალითად, თურქეთი) პრაქტიკულად გამოაძევა ისლამური სამართლებრივი ნორმები. სხვა ქვეყნებში (ალჟირი, ეგვიპტე, სირია და სხვა) ისლამური სამართალი შემორჩა სოციალური ურთიერთობის ცალკეულ სფეროებში, კერძოდ მუსულმანთა „პირადი სტატუსის“ სფეროში. იმ ქვეყნებში სადაც დომინირებს ისლამურ-ფუნდამენტალისტური პოზიცია (ირანი, პაკისტანი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, ლიბია, სუდანი) ისლამური სამართლის საზღვრები გაცილებით ფართოა და სხვადასხვა ინსტიტუტებს, ქვედარგებს, სამოქალაქო, სისხლის სამართალს, სახელმწიფო სამართალს, მოიცავს. აქ შეიმჩნევა ისლამურ-სამართლებრივი კულტურის თავისებური რენესანსი, ტრადიციული ისლამური ღირებულებებისაკენ მიბრუნება, რაც კანონზომიერად ისლამური სამართლის რეგულირების საგნის გაფართოებას იწვევს.

ისლამური სამართლის სისტემა სხვა სამართლებრივი სისტემებისაგან წყაროების, სტრუქტურის, ტერმინების, კონსტრუქციების, ნორმის ცნების თავისთავადობით და განუმეორებლობით განსხვავდება. თუკი კონტინენტური ევროპის იურისტები სამართლის ნორმაში გულისხმობენ კონკრეტული ისტორიული კანონმდებლის მითითებებს, ისლამის სამართალმცოდნენი მასში ხედავენ წესს, რომელიც ალაჰმა გამოუგზავნა მუსულმანთა თემს. ეს წესი დამყარებულია არა ლოგიკურ დასკვნებზე, არამედ ირაციონალურ დოგმებზე, სარწმუნოებაზე, ამიტომ არ შეიძლება

¹ იხ. Сюкляйнен Л. Мусулманское право, вопросы теории и практики М. 1986 г.

შეიცვალოს, გაუქმდეს, იგი ჭეშმარიტი და აბსოლუტურია, უსიტყვოდ უნდა შესრულდეს. ისლამური სამართლებრივი ნორმების ზესოციალური, დოგმატური ბუნება ითვალისწინებს მოქმედ საზოგადოებრივ ურთიერთობებთან მათი შეგუების განსაკუთრებულ მეთოდებს. მოსამართლის სამართალშეფარდების ხელოვნება ხშირად იმაში მდგომარეობს, რომ ნორმის ცალკეული მოთხოვნების დაურღვეველად, სხვადასხვა იურიდიული ხრიკების, ფიქციებისა და ხერხების გამოყენებით მიღწიოს საპირისპირო შედეგს.

თავისი შინაარსით ისლამური სამართლის ნორმები ასევე არსებითად განსხვავდებიან ევროპულისაგან. ისინი, როგორც წესი, არ არიან უფლებამომნიჭებელი ან ამკრძალავი, საფუძვლად უდევთ მოვალეობა, ვალდებულება შეასრულონ ესა თუ ის ქმედება, რაც აგრეთვე მათი რელიგიური ბუნებითაა განპირობებული.

ისლამური სამართლის სტრუქტურასაც აქვს თავისი ბუნებიდან გამომდინარე არსებითი თავისებურებანი. იგი არ ნაწილდება საჯარო და კერძო სამართლად, როგორც რომანულ-გერმანულ სისტემაში, ან საჯარო და სამართლიან სამართლად ანგლოსაქსური ოჯახის ქვეყნების მსგავსად. აქ მოქმედებს ინტეგრაციის, ნორმათა კავშირის, მათი სტრუქტურული გაერთიანების სხვა პრინციპები. ასე, მაგალითად შეიძლება გამოიყოს ნორმების, პრინციპების სამართლებრივი კომპლექსები ძირითადი ისლამური რჩევების (რიტების) შესაბამისად—სუნიტური (ხანიფიტური, მალიქიტური, შაფიიტური, ხანბალიტური) და არასუნიტური (შეიტური, ვაჰაბიტური, ზეიდუიტური, აბადიტური) რიტები. ისლამში სხვადასხვა განშტოებების არსებობა განაპირობებს მათ ანალოგიურ დიფერენციაციას სამართალში, იურიდიული ნორმების გაერთიანებას ამა თუ იმ რელიგიური მიმდინარეობის ირგვლივ. ნებისმიერი რჩევა, როგორც წესი, „შეიმოსება“ რჩეული რელიგიური პოსტულატების შესაბამისად მიღებული ნორმების გარკვეული კომპლექსით. ამასთანავე შენარჩუნებულია სამართლებრივი ნორმების დიფერენციაციის დარგობრივი პრინციპი, თუმცა მცირეოდენი თავისებურებებით. კერძოდ, დარგი „პირადი სტატუსის უფლება“, რომელიც საოჯახო, მემკვიდრეობით და ზოგიერთ სხვა ურთიერთობებს არეგულირებს; დელიქტური სამართალი ადგენს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ზომებს; მუამალატი ამტკიცებს სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებს; ე.წ. ძალოვანი ნორმების დარგი—სახელმწიფო და ადმინისტრაციული სამართლის სფერო; საერთაშორისო სამართალი (სიიარი).

ისლამურ სამართალში ქმედება იყოფა ხუთ ძირითად კატეგორიად: აუცილებელი, რეკომენდებული, ნებადამრთველი, გამკიცხავი და ამკრძალავი. მოცემული კლასიფიკაციის საფუძველში დევს ამა თუ იმ

ქმედების შესაბამისი რელიგიურ-ზნობრივი შეფასება. ისლამური სამართლის ნორმები ასევე შეიძლება დაიყოს (მათი ერთიანობის თვალსაზრისით) ნორმა-პრინციპებად, თეორიული განზოგადების სახით ჩამოყალიბებულ და კაზუალურ ნორმებად, რომლებიც როგორც წესი, ემპირიული გზით წარმოიქმნება (ასეთებია, მაგალითად სუნის ნორმები).

შუა საუკუნეებში მუსლიმური სამართალი მოქმედებდა აზერბაიჯანსა და სომხეთშიც. მაგრამ ეს სამართალი უფრო სოციალურ იდეალს ასახავდა, ვიდრე სოციალურ სინამდვილეს. აღმოსავლეთმცოდნე პეტრუშევსკის აზრით, გაცილებით უფრო ზუსტად ასახავდნენ რეალურ ვითარებას ქართული ფეოდალური სამართლის ძეგლები.

თავისი მნიშვნელობით ისლამური სამართლის პირველწყაროდ აღიარებულია ყურანი—მუსულმანთა წმინდა წიგნი. გარეგნულად ეს ლექსების წიგნია, შეიცავს 114 სურას (თავს) და ოთხი ათასზე მეტ მცირე ლექსს, რომლებიც საერთო კონსტრუქციული ჩანაფიქრით, ერთიანი საწყისით არ არიან დაკავშირებული. თვითონ ტექსტი 610-630 წლებით თარიღდება. ყურანი არის სხვადასხვა გარემოებაში, სხვადასხვა მიზნით მუჰამედის გამოსვლებისა და ქადაგებების კრებული, რომლებიც ერთ ნაწარმოებად შეიკრიბა. მისი მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი ეხება მუსულმანთა, აგრეთვე სხვა მორწმუნეთა სამართლებრივი ურთიერთობის საკითხებს, ტექსტის დიდი ნაწილი რელიგიის და ისლამური ზნეობის საკითხებს ეძღვნება. ამ რელიგიურ-სამართლებრივი აზრის წყაროზე დიდი ზემოქმედება მოახდინა უფრო ძველმა დოქტრინებმა—ქრისტიანობამ და იუდაიზმმა—უმთავრესად მოსეს ხუთწიგნულმა (თორა) და თალმუდმა. შინაარსის მრავალფეროვნებამ და სამართლებრივი დებულებების უმნიშვნელო მოცულობამ განაპირობა ის ფაქტი, რომ კონსტიტუციის ან კოდექსის მსგავსად ყურანი არ გახდა ისლამური სამართლებრივი სისტემის იურიდიული დოკუმენტი, მაგრამ იგი მუსულმანი იურისტებისათვის იყო და რჩება ისლამური სამართლის ყველაზე ავტორიტეტულ წყაროდ.

გენეტიკურად ყურანთან ახლო და მჭიდრო კავშირშია ისლამური სამართლის მეორე წყარო—სუნა, რომელიც არის ჰადისები—მუჰამედის ცხოვრების, ქცევის, მოქმედებისა და აზროვნების წესის ამსახველი თქმულება-გადმოცემების კრებული. ეს წყარო რამდენიმე საუკუნის (VII-IX) განმავლობაში ყალიბდებოდა, ამასთანავე ეჭვს არ იწვევს მრავალი ჰადისის ჭეშმარიტი ხასიათი, თუმცა არის უფრო პიპოთეტიკური თქმულებებიც. ყურანის მსგავსად სუნაც მცირე რაოდენობით შეიცავს წმინდა იურიდიულ ნორმებს, მასში ზნეობრივ-რელიგიური დებულებები ჭარბობს. იურიდიულ მითითებებს შორის არ არის ფართო განვრცობილი პრინციპები, თვით სუნას ბუნების ძალით მასში წარ-

მოდგენილია უპირველეს ყოვლისა, მუჰამედის ცხოვრების კონკრეტული კაზუსი და შემთხვევები.

ისლამური სამართლის შესაბამე წყაროა იჯმა—ავტორიტეტული მუსლიმანი სამართალმცოდნეების ერთობლივი გადაწყვეტილებები. მუჰამედი თვლიდა, რომ მუსულმანთა თემი შეუძლებელია შემცდარიყო. ეს მტკიცება დაედო საფუძვლად ამ წყაროს კანონზომიერების აღიარებას. ფაქტიურად თემის სახელით გამოდიან განსაკუთრებით მცოდნე იურისტები, თეოლოგები და ერთპიროვნული გადაწყვეტილება გამოაქვთ.

ისლამური სამართლის მეოთხე წყარო—კიასი არის ჩვეულებრივი გადაწყვეტილება ანალოგიით—დასავლეთის სამართლებრივი სისტემებში ამგვარი გადაწყვეტილება არ ითვლება დამოუკიდებელ წყაროდ. იგი მხოლოდ უზრუნველყოფს ნორმატიული ან პრეცედენტული ნორმების შესრულებას. ისლამურ ქვეყნებში კი გადაწყვეტილება ანალოგიით იძენს განსაკუთრებულ აზრსა და მნიშვნელობას, ვინაიდან ანალიზის ობიექტად აქ გვევლინება არა მიწიერი კანონმდებლის რაციონალური ნება, არამედ რელიგიური იდეა, რომელსაც გააჩნია აბსოლუტური, დროისგან დამოუკიდებელი, უდავოდ ჭეშმარიტი ხასიათი. კიასი არ წარმოადგენს თავდაპირველი ნორმის ან კაზუსის ნაწილს, გაგრძელებას და ამიტომ ქმნის სამართლის ცალკეულ წყაროს.

ისლამური სახელმწიფოების განვითარების უფრო გვიანდელ პერიოდში წარმოქმნილი სამართლის მეორადი წყაროების რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ კანონი (ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი), რომელიც დღეს უმრავლეს მუსულმანურ ქვეყნებში ასრულებს საკმაოდ მნიშვნელოვან როლს სოციალურ რეგულირებაში. კანონში შეიძლება იყოს ნორმები, რომლებიც არა მარტო ავსებენ და აკონკრეტებენ პირველადი რელიგიურ-სამართლებრივი დოკუმენტების დებულებებს, არამედ მკვეთრ წინააღმდეგობაში მოდიან ყურანთან, სუნასთან, იჯმასთან (მაგალითად, საქორწინო ასაკის სრულწლოვანებით უზღულდება, სპეკულაციის დაშვება, სასესხო-საკრედიტო ოპერაციები). ამ შემთხვევაში კანონი ძნელად თუ შეიძლება ჩაითვალოს ისლამური სამართლის ფორმად, წყაროდ.

ისლამური სამართლებრივი სისტემის წყაროდ გვევლინება რელიგიურ-სამართლებრივი დოქტრინა. სწორედ მან განაპირობა ისლამური სამართლის განვითარების განსაკუთრებული ლოგიკა, მისი ფორმალური წყაროების თავისებურება, მათი მჭიდრო კავშირი. ისტორიის ცალკეულ პერიოდებში, მაგალითად, VIII-X საუკუნეებში იგი ოფიციალურად იყო აღიარებული და ლეგალიზებული და გამოდიოდა სამართლის ფორმის ხარისხით; სხვა პერიოდებში, ისევე როგორც დღეს, იგი გადადიოდა მეორე რიგში და ფორმდებოდა იჯმის, კიასის, კანონის საშუალებით, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ეს დოქტრინა იყო და

რჩება ისლამური სამართლის ძირითად მასაზრდოებელ წყაროდ, მის საფუძველიან სისტემად.

სამართლებრივ რეგულირებაში უმნიშვნელო როლს თამაშობს ადათები, თუ, რასაკვირველია, მათ არ გააჩნიათ რელიგიური საფუძველი. მუსლიმანი იურისტები მას არ აკუთვნებენ სამართალს და არ განიხილავენ, როგორც წყაროს, მაგრამ როცა ურთიერთობები არ არის სამართლის მიერ რეგლამენტირებული, იურიდიულად უზრუნველყოფილი, ადათებს შეუძლიათ მათი დარეგულირება.

§6. ჩვეულებითი სამართლის სისტემა

ჩვეულებითი (ტრადიციული) სისტემა გულისხმობს ეკვატორულ, სამხრეთ აფრიკის ქვეყნებში და მადაგასკარში არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგების ფორმას, რომელიც ბუნებრივი გზით ჩამოყალიბებული და მოსახლეობის ჩვევებში ფესვგადგმული სოციალური ნორმების (ადათების) სახელმწიფო აღიარებას ემყარება.

ადათი სამართლის ერთ-ერთი უძველესი, ყველა სამართლებრივი სისტემისათვის ცნობილი წყაროა, მაგრამ თუკი რომანულ-გერმანული და ანგლოსაქსური სამართლის ქვეყნებში ის მხოლოდ მეორეხარისხოვან როლს ასრულებს, აფრიკაში იგი იყო და რჩება საზოგადოებრივი ურთიერთობების მნიშვნელოვან მომწესრიგებლად, განსაკუთრებით ქალაქის საზღვრებს გარეთ. აფრიკის მრავალრიცხოვან ეროვნებებს გააჩნიათ თავისი ადათ-წესები, რომლებიც მოწოდებული არიან სოციალური ჯგუფების (ტრიბების, თემების, სოფლების) გაერთიანების, შეკავშირების, წინაპართა ხსოვნის პატივისცემის, გარემომცველ ბუნებასთან, სულებთან, სხვა ზებუნებრივ ძალებთან კავშირის უზრუნველსაყოფად. ადათების ლეგენდური ხასიათი, მათი პლურალიზმი (მრავალრიცხოვნება), არაფორმალუზებული და განცალკევებულობა არ იძლევა მათი ეფექტური გამოყენების საშუალებას ევროპული ტიპის ნაციონალური სამართლებრივი სისტემების შესაქმნელად.

აფრიკის კოლონიზაციის პერიოდმა შექმნა თანამედროვე კანონმდებლობის, სასამართლო პროცესის გამოცდილების გადმოღების წინაპირობა, მაგრამ პრინციპულად ვერ შეცვალა სოფლის მოსახლეობის უმრავლესობის სამართლებრივი შეგნება, რომლებიც ორიენტირებულნი არიან ძველებურ ღირებულებათა სისტემაზე. ამჟამად დამოუკიდებელი აფრიკული სახელმწიფოების ლიდერები ახორციელებენ მოქმედი ადათ-წესების სისტემატიზაციას, დარგობრივ კოდექსებითა და სხვა ნორმატიული აქტებით ამტკიცებენ მათ, მაგრამ, ამავე დროს,

ხშირად უგულებელყოფენ ამ ქვეყნებში მცხოვრები სხვა ხალხების, სოციალური ჯგუფების ტრადიციებს.

ასეთივე სიძნელებები წარმოიქმნა ხელისუფლების სასამართლო ორგანოების შექმნის და სასამართლო პროცესის ფორმირების დროს. თანასწორ და დამოუკიდებელ მონაწილეთა შორის დავის გადასაწყვეტად მოწოდებული სასამართლო სრულიად უცხო აღმოჩნდა ტრიბუნისა და კლანებისათვის, სადაც ნებისმიერი მცხოვრები წარმოადგენს ერთი სოციალური ჯგუფის წევრს, რომელიც დაკავშირებულია მის სხვა წარმომადგენლებთან და სადაც შინაგანი დავები წყდება არა ერთი ან მეორე პირის უფლებების აღიარებით, არამედ მათი შერიგების გზით. ამგვარად, აფრიკის სამართლებრივი განვითარების დღევანდელი მდგომარეობა შეიძლება დახასიათდეს, როგორც ორი სამართლებრივი, ევროპული კანონმდებლურ-პრეცედენტული და აფრიკული ჩვეულებით-სამართლებრივი კულტურის ურთიერთქმედების გზებისა და საშუალებების გამოძებნის რთული, გარდამავალი პერიოდი.

§7. სოციალისტური სამართლის სისტემა

სოციალისტური სამართლებრივი სისტემა აღმოცენდა რუსეთში 1917 წელს, თებერვლის რევოლუციისა და ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ. მისი ჩამოყალიბების მიზეზები განპირობებულია არა ხალხის შეგნების იურიდიული თავისებურებებით, სამართლებრივი დოქტრინით, წყაროებითა და სამართლის სტრუქტურით, არამედ მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიით, საზოგადოების მოწყობის პოლიტიკური პრინციპებით. აქედან გამომდინარე, მთავარი განსხვავება საუკუნის დასაწყისში წარმოქმნილ სამართლებრივ სისტემასა და ტრადიციულ სამართლებრივ ოჯახს შორის სამართლებრივი ნორმების შინაარსის სფეროში ძვეს.

საბჭოთა რუსეთში და სოციალისტური სამართლებრივი სისტემის სხვა ქვეყნებში სამართლებრივი სახე მიიღო შემდეგმა იდეებმა: ეკონომიკის, სამეურნეო ურთიერთობების ცენტრალიზებული მართვა,—რამაც გამოიწვია იმპერატიული ნორმების გეგმური რეგულატორების გამოყენება,—სამოქალაქო ხელშეკრულების, საკუთრებისა და სუბიექტების უფლებამოსილების სამართლებრივი მდგომარეობის დეტალური რეგლამენტაცია; საკუთრების საზოგადოდ ქცევა, სახელმწიფო, „საერთო სახალხო“ საკუთრების, როგორც ეკონომიკის საფუძვლის შექმნა; წარმოების, ბანკების, სამეურნეო ქონების, ხოლო ზოგიერთ ქვეყნებში—ძიწისა და უძრავი ქონების სხვა ობიექტების ნაციონალიზაცია; შრომისა და მოხმარების ზღვრების დარეგულირება და, აქედან გამომდინარე,

შრომითი მოღვაწეობის ნორმებისა და სოციალური კეთილდღეობის განაწილების სოციალურ-სამართლებრივი ინსტიტუტების შექმნა.

სახელმწიფოს ჩარევამ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში გამოიწვია კერძო სამართლის თანდათანობითი გაქრობა და საჯარო-სამართლებრივი ინსტიტუტების გაბატონება. ამ პროცესის იდეოლოგიური დასაბუთება გახდა ვ.ი. ლენინის თეზისი იმის შესახებ, რომ საბჭოთა სახელმწიფო არ ცნობს არაფერს კერძოს. სამოქალაქო სამართლის მრავალმა ინსტიტუტმა, მათ შორის საკუთრების ინსტიტუტმა, მიიღო საჯარო-სამართლებრივი ხასიათი, მნიშვნელოვანი სამეურნეო ხელშეკრულებები იღებოდა და რეალიზდებოდა ადმინისტრაციულ-გეგმურ საფუძველზე.


სისხლის და ადმინისტრაციულ სამართალში პრიორიტეტი ეძლეოდა სახელმწიფო საკუთრების დაცვას, აკრძალული იყო კერძო სამრეწველო საქმიანობა, სავალუტო ოპერაციები, კომერციული შუამავლობა და ა.შ. გათვალისწინებული იყო მკაცრი სანქციები ანტისაბჭოური აგიტაცია-პროპაგანდის, სოციალისტური წყობის შემბლაღავი ცნობების გავრცელებისათვის, იღვენებოდა კომუნისტური ზნეობრიობის საწინააღმდეგო ქმედებები.

იოღებოდა პროცედურული ფორმები, შეზღუდული იყო ბრალდებულთა და განსასჯელთა დაცვის უფლებები. ამას შედეგად მოჰყვა საბრალდებო განხრის ფორმირება, სამართლებრივი წარმოების იდეოლოგიზაცია, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტზე უარის თქმა.

ამავე დროს სოციალისტურ სამართლებრივ სისტემას ახასიათებდა თავისებურებანი, რომლებსაც გარკვეული შედეგები მოჰქონდა. მათ რიცხვს განეკუთვნება: სახელმწიფო ქონების (სამეურნეო გამგებლობის, ოპერატიული მართვის უფლებების ჩათვლით) ფლობის, გამოყენების, განკარგვის ღრმა თეორიული და პრაქტიკული შემუშავება, მსოფლიო იურიდიულ პრაქტიკაში ეკონომიკური ურთიერთობების გეგმიურ-სამართლებრივი რეგულირების ინსტიტუტების დანერგვა, სამოქალაქო-სამართლებრივი მოწყობის ინსტიტუტის, დაქირავებულ მუშათა დაცვის ნორმატიულ-სამართლებრივი ფონდის შექმნა, შრომის გარანტირებული უფლების უზრუნველყოფა, უფასო განათლება და სხვა.

ამჟამად სოციალისტური სამართლებრივი სისტემის ოჯახს ეკუთვნიან ჩინეთი, ვიეტნამი, ჩრდილოეთ კორეა და კუბა.

სოციალისტური სამართლის სისტემაში წამყვანი და პრიორიტეტული მდგომარეობა ეკავა ყოფილ საბჭოთა კავშირს, ამიტომაც ცალკე განვიხილავთ საბჭოთა სამართლის წყაროს. საბჭოური თვალსაზრისით სამართალი განიხილებოდა, როგორც სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ინსტრუმენტი და იგი საზოგადოების სიღრმისეულ გარდაქმნას ემსახურებოდა. სამართლის წყაროს უპირველესად კანონი წარმოად-



გენს. კანონებს შორის უმაღლესი ძალის იყო კონსტიტუციები (სულ საბჭოთა პერიოდში 4 კონსტიტუციაა მიღებული—1918 წლის, 1924 წლის, 1936 წლის და 1978 წლის). კონსტიტუციასთან ერთად მოქმედებდა ცალკეულ რესპუბლიკათა კონსტიტუციები საერთო-საკავშირო და რესპუბლიკური კანონები. დარგობრივი კანონები, რომლებიც კოდექსების სახით გამოდიოდა, 1936 წლის კონსტიტუციაში ცვლილება შევიდა 1957 წელს, რომლის მიხედვით სავაჭრო ზღვაოსნობის და საპაერო სფეროში საერთო-საკავშირო კოდექსები მიიღებოდა. ყველა სხვა დარგებში საერთო-საკავშირო კომპეტენცია შეიზღუდა საფუძვლების გამოცემით, რომლის მიხედვით მოკავშირე რესპუბლიკები ლებულობდნენ თავიანთ კოდექსებს, სადაც საფუძვლების ნორმები მთლიანად გადადიოდა.

სამართლის წყარო იყო პრეზიდენტის ბრძანებულება (როგორც სსრკ უმაღლესი საბჭოსი, ასევე მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოებისა). მათი გამოცემა ხდებოდა როგორც საერთო-საკავშირო, ისე რესპუბლიკური კანონმდებლობის ქრონოლოგიური და სისტემატური კრებულების სახით.

კანონქვემდებარე აქტებიდან ცნობილი იყო მინისტრთა საბჭოებისა და სამინისტროების მიერ მიღებული აქტები (დადგენილება, გადაწყვეტილება, ბრძანებულება). რაც შეეხება სასამართლო პრაქტიკას, იგი საბჭოთა სამართლის წყაროდ არ იყო მიჩნეული, თუმცა უმაღლესი სასამართლოს პლენუმის განმარტებანი ყოველთვის მხედველობაში მისაღები იყო მოსამართლისათვის.

ჩვეულებას საბჭოთა სამართალში, როგორც სამართლის წყაროს, მეტად შეზღუდული მნიშვნელობა ჰქონდა. თუმცა, კონსტიტუციის 130-ე მუხლში, სადაც სოციალისტური ცხოვრების წესებზეა ლაპარაკი, ახალი ჩვეულებების ფორმირება იგულისხმებოდა.

§8. რუსეთის შაჰარასიის სამართალი

თანამედროვე რუსეთი სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის ორგანიზაციის ფორმით ფედერაციული (რთული) ქვეყანაა, რომელიც ჩამოყალიბების პროცესშია, რადგანაც ფედერალურ ურთიერთობათა მომწესრიგებელ კონსტიტუციურ ნორმებში არსებული სამართლებრივი კოლიზიები და ხარვეზები, ერთი მხრივ, რუსეთის ფედერაციული მოდელის კონცეპტუალურ დაუსრულებლობაზე, მეორე მხრივ რუსეთის ძირითადი კანონის გარდამავალი პერიოდის კონსტიტუციის თავისებურებებზე მიუთითებს, რაც დღემდე ჩამოყალიბებულ ფედერაციულ ურთიერთობათა შემდგომ სრულყოფას აძნელებს. მკვლევართა აზრით, რუსეთში ყალიბდება ფედერაციული სახელმწიფოს ორი განსხვა-

ვებულის მოდელი: კონსტიტუციური (ფორმალური), რომელიც ფედერაციონალური პრინციპის კონსტიტუციურ საფუძვლებს ეყრდნობა და ხელშეკრულებითი (ფაქტობრივი), რომელიც უფლებამოსილებათა და გამგებლობის საკითხების გამიჯვნის მიზნით ფედერალურ და ფედერაციონის სუბიექტების სახელისუფლო ორგანოებს შორის დადებულ ხელშეკრულებებსა და ფედერაციის სუბიექტების კანონმდებლობას ეფუძნება.

საბჭოური სამართლის სისტემის დაშლამ და თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ დღის წესრიგში დააყენა რუსეთის ფედერაციის ახალი სამართლებრივი სისტემის ჩამოყალიბება. რასაც საუძვლად დაედო 1993 წლის 12 დეკემბერს მიღებული რუსეთის ფედერაციის კონსტიტუცია. იგი პრეამპულის ორი კარის, 9 თავის და 137 მუხლისაგან შედგება. პირველ თავში განხილულია კონსტიტუციური მოწყობის საფუძვლები, მეორე თავი ეძღვნება ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, მესამე თავში განხილულია ფედერაციული მოწყობა. მეოთხე თავი რუსეთის პრეზიდენტის უფლება-მოვალეობებსა და კომპეტენციას განსაზღვრავს, მეხუთე თავი ეხება ფედერაციულ საბჭოს, მეექვსე თავი ეძღვნება მთავრობის უფლებამოსილებებს. მეშვიდე თავში განხილულია სასამართლო ხელისუფლება, მერვე თავი ეძღვნება ადგილობრივ თვითმმართველობას, მეცხრე თავი კი კონსტიტუციურ ცვლილებებსა და კონსტიტუციურ გადასინჯვას ეხება, კონსტიტუცია დასკვნითა და გარდამავალი დებულებებით მთავრდება. პრეამპულაში შესავალი ნაწილში, დასახელებულია სახელმწიფოს ექვსი უმთავრესი ამოცანა, რომელიც განსაზღვრავს საკონსტიტუციო რეფორმის არსს. ესენია:

- ადამიანის უფლებების და თავისუფლებების განმტკიცება;
- სამოქალაქო მშვიდობისა და თანხმობის დამკვიდრება რუსეთის ფედერაციაში;
- ისტორიულად ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივი ერთიანობის შენარჩუნება;
- რუსეთის სუვერენული სახელმწიფოების აღორძინება;
- რუსეთის სახელმწიფოს დემოკრატიული საფუძვლების ურყევობის განმტკიცება;
- რუსეთის კეთილდღეობისა და აყვავების უზრუნველყოფა.

მიუხედავად მათი არანორმატიული ხასიათისა, ეს მიზნები ჩადებულია პირველი განყოფილების პირველი თავის კონსტიტუციურ ნორმებში. სახელმწიფოში კონსტიტუციის განხორციელებას კონტროლს უწევს საკონსტიტუციო სასამართლო. კონსტიტუციის პირველი მუხლით რუსეთი გამოცხადებულია დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოდ, რომელმაც აირჩია მმართველობის რესპუბლიკური ფორმა. რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ორი პალა-

ტისაგან, ფედერაციის საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროსაგან (დუ-მა) შედგება. საბჭოში შედის თითოეული ფედერაციის სუბიექტის ორი წარმომადგენელი, ხოლო სახელმწიფო სათათბირო (დუმა) 450 დეპუტატისაგან შედგება.

კონსტიტუციაში ფართო ადგილი უკავია რუსეთის მმართველობის ფორმის ორგანიზაციის საკითხს. რუსეთმა როგორც საპრეზიდენტო, ისე საპარლამენტო რესპუბლიკების თავისებურებანი შეითვისა და ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკად ჩამოყალიბდა. ამდენად, რუსეთის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ხელისუფლების დანაწილების პრინციპის რეალიზაციას. იგი კონსტიტუციის მე-10 მუხლითაა განსაზღვრული.

რუსეთის პრეზიდენტი (მუხლები 80-93), პოლიტიკურ მანდატს უშუალოდ ხალხისაგან იღებს. იგი კონსტიტუციის, ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის გარანტია. და წარმომავლობით ხელისუფლებასთან ერთად, ნაწილობრივ სასამართლო, აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებებსაც ფლობს. ამრიგად, კონსტიტუციით პრეზიდენტი მოწოდებულია თავისი კომპეტენციის ფარგლებში გააერთიანოს ხელისუფლების შტოები, ხელი შეუწყოს მათ ეფექტურ და შეთანხმებულ ფუნქციონირებას. მაგრამ, რასაკვირველია იგი, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს მეთაური და კონსტიტუციის დაცვის ერთპიროვნული გარანტია. აღმასრულებელ ხელისუფლებას (მუხლები 110-117) მთავრობა ახორციელებს. მართალია, იგი დამოუკიდებელი ინსტიტუტია საკუთარი თავმჯდომარით, მაგრამ ამ შემთხვევაში პრეზიდენტთან ერთად ახორციელებს თავის უფლებამოსილებას. სწორედ ხელისუფლების დანაწილების ეს კონსტრუქცია განასხვავებს რუსეთს საპრეზიდენტო რესპუბლიკისაგან.

საკანონმდებლო ხელისუფლება (მუხლები 94-109) შესაბამისად, წარმოდგენილია ფედერალური კრების სახით, რომელიც ოფიციალურადაც ზოგჯერ პარლამენტად მოიხსენიება. მართალია, კონსტიტუცია კანონის მიღებას რეფერენდუმის გზითაც უშვებს, მაგრამ აქ ნაგულისხმევია, რომ ეს წესი იშვიათად იქნება გამოყენებული. საკანონმდებლო ფუნქცია მოიცავს ფედერალური კრების მიერ კანონზე პრეზიდენტის ვეტოს გადალახვის უფლება-მოსილებასაც. დღეს ძალზე აქტუალურია ფედერალური კრების საკანონმდებლო მოღვაწეობის ზრდა, რომელიც რუსეთის ახალი სამართლებრივი სისტემის ფორმირების პირობებში ხორციელდება. ლაპარაკია პრაქტიკულად სამართლის ახალი დარგების (საბანკო სამართალი, სააქციონერო სამართალი და სხვა.) ინტენსიურ განვითარებაზე. ფედერალური კრება, ისევე როგორც სხვა ქვეყნების პარლამენტები, კანონების მიღების გარდა, ახორციელებს მათ შესრულებაზე კონტროლს. კონსტიტუციაში დამტკიცებულია ფე-

დერალური კრების პალატების უფლება-მოხილება, რომელიც კონტროლის ცალკეულ სფეროებს მოიცავს'.

მოკლედ შევხებით რუსეთის ფედერაციის საკანონმდებლო პროცესის თავისებურებებს.

რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობით უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების გარდა საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით აღჭურვილ სუბიექტებად გვევლინებიან სასამართლო ორგანოებიც. კონსტიტუციის 104-ე მუხლის თანახმად საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ რფ-ის პრეზიდენტს, ფედერაციის საბჭოს, ფედერაციის საბჭოს წევრებს, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებს, რფ-ის მთავრობას, რფ-ის სუბიექტების წარმომადგენლობით ორგანოებს, ასევე რფ-ის კონსტიტუციურ სასამართლოს, უზენაეს სასამართლოსა და უზენაეს საარბიტრაჟო სასამართლოს მათ გამგებლობას, მიკუთვნებულ საკითხებზე. რფ-ის სახელმწიფო სათათბიროს რეგლამენტის მე-16 მუხლის თანახმად საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ ასევე დეპუტატთა ჯგუფებს, რომლებიც ქმნიან სახელმწიფო სათათბიროს კომიტეტებს.

როგორც წესი, პირველი წაკითხვის დროს განიხილება კანონპროექტის ძირითადი და პრინციპულად მნიშვნელოვანი დებულებები.

კანონპროექტის განხილვის ამ სტადიაზე ირკვევა, თუ რამდენად აუცილებელია აღნიშნული კანონპროექტის მიღება და საჭიროა თუ არა საერთოდ იგი. გარდა ამისა, დეპუტატებმა უნდა შეაფასონ კანონპროექტის კონცეფცია იმ თვალსაზრისითაც, თუ რამდენად ეფექტიანი იქნება მისი ამოქმედებით გამოწვეული შედეგი. თუ დეპუტატების უმრავლესობის აზრით, კანონპროექტი არ აკმაყოფილებს ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნებს თუნდაც ნაწილობრივ, ხდება კანონპროექტის უარყოფა და შემდგომ განხილვას აღარ ექვემდებარება, ხოლო თუ კანონპროექტი დეპუტატთა შეფასებით მაინც ამართლებს თავის დაინიშნულებას, კანონპროექტი მიიღება პირველი წაკითხვით და მის გამო გამოთქმული შენიშვნებითა და წინადადებებით შემდგომი დამუშავებისათვის გადაეცემა პარლამენტის იმ პალატის კომიტეტს, რომელიც პასუხისმგებელია ამ კანონპროექტის მომზადებისათვის.

სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით რუსეთის ფედერაციაში პირველი წაკითხვის დროს კენჭს უყრიან შემოტანილ კანონპროექტს, რის შედეგად მიღებულ უნდა იქნეს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: მიიღონ კანონი პირველი წაკითხვით, უარყონ კანონპროექტი, მიიღონ კანონპროექტი პირველი წაკითხვით და გააგრძელონ მასზე მუშაობა შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით.

¹ დაწ. იხ. ო. მელქაძე, კ. ყურაშვილი, რუსეთის სახელმწიფო სისტემა თბ., 1997 წ. გვ. 21-27

მეორე წაკითხვის დროს, განსაკუთრებულ შემთხვევებში, სახელმწიფო სათათბიროს უმრავლესობის შემადგენლობიდან დეპუტატთა ჯგუფის მოთხოვნით შეიძლება დაისვას საკითხი კანონპროექტის მეორე წაკითხვით განხილვის პროცედურაზე კვლავ დაბრუნების შესახებ. შეიძლება ითქვას, რომ მესამე წაკითხვიდან მეორე წაკითხვის სტადიაზე უკან დაბრუნება უპრეცედენტო შემთხვევაა, როდესაც სახელმწიფო სათათბირო სამი წაკითხვით მიიღებს კანონპროექტს, მისი შემდგომ მსვლელობა უკვე მოწესრიგებულია ფედერაციის საბჭოს რეგლამენტით. მას 5 დღის განმავლობაში უნდა გადაეცეს სახელმწიფო სათათბიროს მიერ მიღებული კანონპროექტი. მაგრამ მთელი თავისებურება იმით გამოიხატება, რომ ფედერაციის საბჭომ ზოგიერთი კანონპროექტი შეიძლება არც განიხილოს. სახელმწიფო სათათბიროდან შემოსული კანონპროექტის განუხილველობა ფედერაციის საბჭოს მიერ ნიშნავს მის თანხმობას სახელმწიფო სათათბიროს გადაწყვეტილებაზე. თუმცა ეს არ შეეხება ფედერალურ კონსტიტუციურ კანონებს, ასევე ფედერალურ კანონებს, რომლებიც დაკავშირებულია ფედერალურ ბიუჯეტთან, გადასახადებთან და მოსაკრებლებთან და ფულის ემისიასთან, საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირებასა და დენონსირებასთან და ა.შ. ისეთი კანონპროექტები, რომლებიც შეეხება გადასახადების შემოღებას ან გაუქმებას, გადასახადებისაგან გათავისუფლებას, სახელმწიფოს საფინანსო მოვალეობების შეცვლას და ასე შემდეგ, შესაძლებელია შეტანილ იქნეს მხოლოდ რფ-ის მთავრობის დასკვნის არსებობის შემთხვევაში.

რუსეთის ფედერაცია კონსტიტუციაში შესწორებათა შეტანის საკმარად რთული მოდელი აირჩია. აღსანიშნავია, რომ ისინი მიიღება იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია ფედერალური კონსტიტუციური კანონების მისაღებად, ე.ი. საჭიროა ფედერაციის საბჭოს საერთო წევრთა სულ ცოტა სამი მეოთხედისა და სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა ორი მესამედის თანხმობა. გარდა ამისა, კონსტიტუცია შესწორებების ძალაში შესვლის აუცილებელ პირობად მოითხოვს მათ მხარდაჭერას ფედერაციის სუბიექტების სულ ცოტა ორი მესამედის მიერაც.

გარდა ამისა, რუსეთის ფედერაციის კონსტიტუცია ადგენს იმ საკითხების ნუსხას, რომელთა გადასინჯვაც არ არის დამოკიდებული მხოლოდ ფედერალური კრების ნებაზე. ეს საკითხები მოცემულია 1-ელ, მე-2 და მე-9 თავებში: „კონსტიტუციური წყობილების საფუძვლები“, „ადამიანისა და მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები“ და „კონსტიტუციური შესწორებები და კონსტიტუციის გადასინჯვა“. წინადადებები ამ თავებში მოცემული მუხლების გადასინჯვის შესახებ მოითხოვს საკმარად მნიშვნელოვან მხარდაჭერას ორივე პალატის დეპუ-

ტატებისაგან. მათი რაოდენობა უნდა შეადგენდეს თითოეული პალატის წევრთა საერთო რაოდენობის სამ მეხუთედს. მაგრამ ეს არ არის საკმარისი ამ თავებში შესწორებების შეტანისათვის. ასეთ შემთხვევაში მოიწვევა კონსტიტუციური კრება (დამფუძნებელი კრების მსგავსი დროებითი ორგანო), რომელმაც ან უნდა დაამტკიცოს მოცემული კონსტიტუციის ურყეობა, ან დაიწყოს ახალი კონსტიტუციის პროექტის შემუშავება.

რუსეთის ფედერაციაშიც კონსტიტუციის 134-ე მუხლით ზუსტად არის განსაზღვრული სუბიექტების წრე, რომლებიც უფლებამოსილი არიან დასვან კონსტიტუციის გადასინჯვისა და მასში ცვლილებების შეტანის საკითხი. ესენია: რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი, ფედერაციის საბჭო, სახელმწიფო სათათბირო, მთავრობა, რუსეთის ფედერაციის სუბიექტების საკანონმდებლო ორგანოები, აგრეთვე ფედერაციის საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროს წევრთა ერთი მეხუთედი.¹

დიდი ტრადიციების მქონე რუსეთის ფედერაციის თანამედროვე სამართლებრივი სისტემა შედგება სამართლის დარგებისა და ინსტიტუტებისაგან. წამყვანი დარგებია: სისხლის სამართალი, სამოქალაქო სამართალი, ადმინისტრაციული კონსტიტუციური სამართალი, ეკოლოგიური სამართალი, საფინანსო სამართალი, შრომის სამართალი, მუნიციპალური და სამეწარმეო სამართალი, სისხლის სამართლის პროცესი, სამოქალაქო სამართლის პროცესი² და ა.შ.

რუსეთის ფედერაციის სამართლის სისტემის ფუნდამენტს წარმოადგენს კონსტიტუცია, რომელსაც სამართლებრივ სისტემაში უზენაესი მდგომარეობა უკავია. მასში დაფიქსირებული დებულებები პირველადია. ყველა სხვა საკანონმდებლო აქტი, რომელიც მიღებულია რუსეთის ფედერაციის მასშტაბით, მათ შორის კანონები, ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების კონსტიტუციები, მხარეების, ოლქების, ფედერალური მნიშვნელობის ქალაქების ავტონომიათა წესდებები უნდა შეესაბამებოდეს რუსეთის კონსტიტუციას.

რუსეთის ფედერაციის სამართლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ფედერაციის კონსტიტუცია, კონსტიტუციური და ფედერაციის კანონები, რომლებიც უმაღლესი იურიდიული ძალის მქონეა. სამართლის წყაროდ ითვლება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და ფედერაციის სუბიექტებს შორის დადებული ხელშეკრულებები (ხელშეკრულებითი სამართალი) მათი კონსტიტუციები, წესდებები და კანონმდებლობა.

¹ იხ. როგორ იქმნება კანონი, თბ., 2000 წ. გვ. 53-81

² იხ. Теория государства и права под. ред. М. Рассолова В. Лучина Б. Эбзеева, м. 2000 г. стр. 413-632.

§9. საფრანგეთის სამართალი

საფრანგეთი მსოფლიო ქვეყნებს შორის ერთ-ერთი მაღალგანვითარებული სახელმწიფოა. სხვადასხვა პარამეტრებით იგი მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების პირველ ხუთეულში შედის. სახელმწიფო წყობილების ფორმის მიხედვით საფრანგეთი უნიტარული (მარტივი) სახელმწიფოა. მართვა-გამგეობის ფორმის მიხედვით იგი რესპუბლიკას წარმოადგენს მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისიდან. ფრანგული სახელმწიფოს განვითარების გზაზე ხუთ ისტორიულ პერიოდს გამოყოფენ. რევოლუციური მონარქია და რესპუბლიკა (1789-1799 წლები); ნაპოლეონის დიქტატურა (1799-1814 წლები); ცენზიანი მონარქია (1814-1848 წლები); საპრეზიდენტო რესპუბლიკა (1848-1870 წლები); საპარლამენტო რესპუბლიკა (1870-1958 წლები). რაც შეეხება საფრანგეთის სახელმწიფო სამართალს, იგი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და მდიდარი სამართალია თავის განვითარებისა და ჩამოყალიბების ეტაპების მიხედვით. ფრანგული კონსტიტუციონალიზმი დღესაც დიდ გავლენას ახდენს სხვა ქვეყნების სახელმწიფო და სამართლებრივი სისტემის განვითარებაზე. ამას მოწმობს ის, რომ საფრანგეთში დამკვიდრებული ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკის მოდელი მსოფლიოს ოცდახუთ ქვეყანაში ფუნქციონირებს (აშერბაიჯანი, ბელორუსია, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ბულგარეთი, ესტონეთი, თურქეთი, კორეის რესპუბლიკა, ლიბანი, ლიტვა, მოლდოვა, მონღოლეთი, პაკისტანი, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, რუსეთი, საბერძნეთი, სერბია, სომხეთი, ტაივანი, უკრაინა, ფინეთი, ხორვატია, ჩინეთი, შრი-ლანკა).

სახელისუფლო ფუნქციათა გამიჯვნის თვალსაზრისით ცალკე განხილვის საგანია ადგილობრივი მმართველობის ფრანგული მოდელი, რომელიც საფრანგეთის გარდა, პოლანდიაში, ბელგიაში, იტალიაში, ესპანეთში, პორტუგალიასა და ლათინური ამერიკის ქვეყნებშიცაა გავრცელებული. გამოირჩევა ადგილობრივ ორგანოებზე ცენტრალური ხელისუფლების ადმინისტრაციული კონტროლის მაღალგანვითარებული სისტემით და დასრულებული სამართლებრივი უზრუნველყოფით. თანამედროვე ლიტერატურაში საფრანგეთის ადგილობრივი მმართველობის სისტემის განვითარების სამ ეტაპს გამოყოფენ.

პირველ ეტაპზე (1789 წლიდან მე-19 საუკუნის 80-იან წლებამდე) შეინიშნებოდა მკვეთრი შებრუნება დეცენტრალიზაციიდან ცენტრალიზაციისაკენ. ადგილობრივი არჩევითი მმართველობა შეცვალა ცენტრის მიერ დანიშნულმა აღმასრულებელმა (პრეფექტი, სუბპრეფექტი, მერი) და სათათბირო (მუნიციპალური საბჭო) ორგანოებმა. ამასთან 1831-1838 წლების კანონებით აღდგენილი იქნა არჩევითობის პრინციპი კომუნებსა და დეპარტამენტებში.

მეორე ეტაპი (მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან მე-20 საუკუნის 50-იან წლებამდე) მმართველობითი ორგანოების ურთიერთობაში ცენტრალისტური და დეცენტრალისტური ტენდენციების ერთგვარი შეწონასწორებით ხასიათდებოდა. ამ პერიოდში დაკანონდა კომუნისა და დეპარტამენტის მართვის საფუძვლები. ამასთან პრეფექტის ინსტიტუტი დარჩა ადგილობრივი ადმინისტრაციის საკვანძო რგოლად.

მესამე ეტაპის (მე-20 საუკუნის 50-იან წლებიდან დღემდე) პირველი მონაკვეთი გამოირჩეოდა ცენტრალიზაციის გაძლიერებით, რაც მმართველობის ძირეული რგოლების ფინანსური ბაზის შემცირებისა და პრეფექტის უფლებათა გაძლიერების მცდელობაში გამოიხატა.

60-იანი წლებიდან დაიწყო სახელმწიფო მართვის დეცენტრალიზაციისაკენ მიმართული რეფორმების განხორციელება. ამიტომ იყო, რომ 1968-1970 წლებში საფრანგეთში გადაწყვეტილებათა მიღების უფლებამოსილების დეცენტრალიზაციის თაობაზე 250-მდე ნორმატიული აქტი იქნა მიღებული. ეს აქტები რიგ სამინისტროებსა და უწყებებსაც შეეხო.

1969 წლის 28 აგვისტოს დეკრეტით გაუქმდა უძრავი ქონების, არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის სფეროში არსებული მრავალრიცხოვანი საკონსულტაციო ორგანიზაციები. მათ სანაცვლოდ ჩამოყალიბდა ერთი კომისია, რომელიც მოქმედებდა რეგიონის დონეზე.

საფრანგეთში რეგიონული მართვის ოპტიმალური სტრუქტურის ფორმირება, ეტაპობრივად, ძირითადად 50-იანი წლებიდან განხორციელდა, კერძოდ:

—1951 წელს დაწესდა 18 რეგიონული პრეფექტის თანამდებობა;

—1955 წელს ჩამოყალიბდა განვითარების რეგიონული კომიტეტი;

—1959 წელს ერთგვაროვანი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბაზაზე შეიქმნა 22 რეგიონი, რომელშიც სხვადასხვა დონის სახელმწიფო სამსახურები მოქმედებდა. შემოღებული იქნა პრეფექტ-კოორდინატორის თანამდებობა.

—1970-1972 წლებში გატარებული რეფორმების შედეგად რეგიონებში ჩამოყალიბდა მმართველობის დეცენტრალიზებული სისტემა.

სრულიად ახალი ეტაპი საფრანგეთის ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების ურთიერთობაში უკავშირდება „კომუნების, დეპარტამენტებისა და რეგიონების უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ“ პარლამენტის 1982 წლის კანონს, რომლის მიხედვით არსებითად გაფართოვდა კომუნების დამოუკიდებლობა, უარყოფილი იქნა პრეფექტორული მეურვეობა და რეგიონალური საბჭოების საყოველთაო არჩევითობის პრინციპები დამკვიდრდა. გაუქმდა დეპარტამენტის პრეფექტის თანამდებობა და მისი ფუნქციები გენერალური საბჭოს თავმჯდომარეს გადაეცა, ცენტრის წარმომადგენლად ადგილზე ითვლება რეს-

პუბლიკის კომისია, რომლის უმთავრეს ამოცანას ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილებათა კანონშესაბამისობის კონტროლი წარმოადგენს.

1982 წელს დაწყებული რეფორმებით განხორციელდა ადგილობრივ ორგანოებზე მართვის ფუნქციების დელეგირება ისეთ სფეროებში, როგორიცაა ქალაქდაგეგმარება და ქალაქმშენებლობა, მიწათსარგებლობა, საბინაო მშენებლობა, პროფესიული სწავლება, ტრანსპორტი, სოციალური დაცვა, განათლება, კულტურა, პოლიცია, ეკოლოგია. ამდენად, საფრანგეთში ძირითადი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები ადგილობრივ თვითმმართველობისა და სახელმწიფო მართვის ორგანოებადაც იქცნენ.

მართვის ადგილობრივი ორგანოს სტატუსი გააჩნია დეპარტამენტებსა და კომუნებს. ამჟამად საფრანგეთში 36000-ზე მეტი კომუნა და 95 დეპარტამენტია. მართვის სახელმწიფო ერთეულებია, აგრეთვე, სპეციალური ადმინისტრაციული ოკრუგები და რეგიონული ორგანოები.

საფრანგეთს დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნის და ფუნქციონალური გამოცდის ხანგრძლივი და მდიდარი ტრადიცია გააჩნია. მას ზოგჯერ კონსტიტუციათა თავისებურ ლაბორატორიასაც კი უწოდებენ. 1789 წლიდან დღემდე დე გოლის კონსტიტუცია—ქვეყანაში ორმოცამდე პოლიტიკური რეჟიმის რიგით მეჩვიდმეტე ძირითადი კანონია, მათ შორის ხუთი (1731, 1848, 1875, 1947, 1959 წ.) რესპუბლიკის ძირითადი კანონები.¹

საფრანგეთის სამართლებრივი სისტემის საფუძვლები ჩამოყალიბებას იწყებს 1789-1799 წლების რევოლუციის დროიდან, რაც შემდგომ განვითარებას განიცდის ნაპოლეონის კონსულობის და იმპერატორობის პერიოდში (1799-1814). იმ დროის ძირითად სამართლებრივ დოკუმენტებს წარმოადგენს 1789 წლის ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია და ნაპოლეონის უშუალო ზედამხედველობით კოდიფიკაციის გზით შექმნილი ხუთი ძირითადი კოდექსი, რომლებიც სამართლის სხვადასხვა სფეროს ეხება. ესენია: 1804 წლის სამოქალაქო კოდექსი, 1806 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1807 წლის სავაჭრო კოდექსი, 1808 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, სისხლის სამართლის 1810 წლის კოდექსი.

ზემოაღნიშნული კოდექსები გარკვეულწილად დღესაც ახდენენ გავლენას თანამედროვე სამართლებრივ სისტემაზე.

საფრანგეთის სამართალი იყოფა, სამოქალაქო და სავაჭრო, შრომის სამართლის, სისხლის სამართლის, სამოქალაქო და სისხლის სამართლის, საპროცესო სამართლის და ა.შ. დარგებად.

¹ იხ. საფრანგეთის სახელმწიფო სისტემა. გ. კვერენჩილაძე, ო. მელქაძე, თბ., 1997 წ.

თანამედროვე ფრანგული სამართლის სისტემის ძირითად წყაროს წარმოადგენს 1958 წელს მიღებული საფრანგეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია, 1789 წლის ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია, საფრანგეთის უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ მიღებული ნორმატიული აქტები. საფრანგეთის კონსტიტუცია ფართო გასაქანს აძლევს აღმასრულებელ ხელისუფლებას სამართალშემოქმედების სფეროში, რაც ამდიდრებს სამართლის წყაროებს. „თუ დიდ ბრიტანეთში მთავრობა Do jégatot Leyisation დღემდე პარლამენტის კონტროლს ექვემდებარება, საფრანგეთში ეროვნულ კრებას ჩამოეჭრა. საკანონმდებლო უფლებამოსილებათა საკმაოდ ფართო წრე და კონსტიტუციის თანახმად მთავრობა პასუხისმგებელი გახდა თავისი დამოუკიდებელი ნორმაშემოქმედებისათვის“¹.

„საფრანგეთში პარლამენტის ერთ-ერთი პალატის ბიუროს სამთავრობო კანონპროექტი წარედგინება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მთავრობის საკონსულტაციო ორგანო სახელმწიფო საბჭო დაწერს დასკვნას მის შესახებ“².

როგორც სამართლის წყაროს, ფრანგულ სამართალში გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ჩვეულებით სამართალს, განსაკუთრებით ვაჭრობის სფეროში და სასამართლო პრაქტიკაში, გარკვეული კატეგორიის საქმეების სასამართლო წესით განხილვის დროს, როდესაც ადგილი აქვს ხარვეზს კანონმდებლობაში.

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით „მოსამართლეს, რომელიც უარს იტყვის საქმე გადაწყვეტოს კანონის დუმილის, გაურკვეველობის ან უკმარისობის მოტივით ბრალი უნდა დაედოს მართლმსაჯულების განხორციელებისაგან თავის არიდებისათვის“³.

ასეთია მოკლე თანამედროვე საფრანგეთის სახელმწიფოსა და სამართლის სისტემის მონახაზები.

§ 10. ჩინეთის სამართალი

თანამედროვე ჩინეთის სამართლებრივი სისტემა წარმოადგენს ქვეყნის გარდაქმნის მომწესრიგებელ და ამავე დროს მასტიმულირებელ ფაქტორს. ჩინეთში ხორციელდება სახალხო მეურნეობის რეფორმების სისტემა, რომელიც მიმართულია საწარმოო ძალების განვითარების, ეკონომიკური ჩამორჩენილობის დასაძლევად და მოსახლეობის ცხოვრების დონის ასამაღლებლად. ამჟამად მიმდინარეობს ეკონომიკური გარდაქმნის მეორე ეტაპი, რომლის დასრულება დაგეგმილია მიმდინა-

¹ როგორ იქმნება კანონი. თბ., 2000 წ., გვ. 214.

² იქვე, გვ. 59.

³ ბ. სავანელი, სამართლის თეორია, თბ., 1993 წ., გვ. 185.

რე 2000 წლის ბოლოსათვის, ხოლო მესამე ეტაპი—XXI საუკუნის პირველ ნახევარში.

ჩინეთის სამართლებრივი სისტემის ჩამოყალიბება ხანგრძლივი ისტორიული პროცესია. ძველ ჩინეთში კონფუციანობის გავლენით ჩამოყალიბდა სამართლისადმი უნდობლობის ატმოსფერო, კანონისადმი ნეგატიური დამოკიდებულებაც კი. კონფუცი მოითხოვდა ადამიანების ურთიერთობის აგებას მორალის საფუძველზე, ზნეობრიობის საწყისებზე, ასწავლიდა, რომ ქვეყანა უნდა მართოს ხალხმა და არა კანონებმა. კანონმცოდნეების სკოლა, ლეგისტები ასაბუთებდნენ კანონის პრიორიტეტული როლის იდეას, რომელიც გარანტირებულია სახელმწიფოს იძულებითი ზომებით. ლეგისტების (კანონის მმართველობა) იდეები უცხო რჩებოდა ჩინეთის ხალხის უმრავლესობის შეგნებისათვის. ბუნებრივია, რომ მართვის და სამართალგაგების სხვადასხვა კონცეფციების ასეთმა გადახლართვამ არაერთმნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სამართლის და სახელმწიფოს ისტორიაზე ჩინეთში. არსებობდა „სამართლის გარეშე საზოგადოების“ შექმნის იდეაც კი.

1911 წლის ბურჟუაზიული რევოლუციის დროს, რომელმაც დაამხო მონარქიული ხელისუფლება, ჩინეთში განხორციელდა მსხვილი გარდაქმნები საზოგადოების სამართლის სისტემაში. დასავლეთის პოლიტიკური და სამართლებრივი აზროვნების ძლიერი გავლენით შემუშავდა საკანონმდებლო აქტები, ჩატარდა კანონმდებლობის კოდიფიკაცია. ამან აამაღლა სამართლის როლი და ავტორიტეტი, მაგრამ ბურჟუაზიული ჩინეთის რესპუბლიკაში, მოგვიანებით კი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში კონფუციის შეხედულებამ შეინარჩუნა სულიერი იმპერატივის როლი როგორც ინტელიგენციის შეგნებაში, ასევე მშრომელი ადამიანების გონება-განწყობილებაში. უნდა აღინიშნოს, რომ კონფუციის კრიტიკის უკანასკნელი, ზემოდან ორგანიზებული კამპანია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ჩატარდა 1972-1976 წლებში, როდესაც შეეცადნენ ტრადიციული საერთო-საკაცობრიო ფასეულობათა და ნორმების განმარტებას ვულგარული კლასობრივი მიდგომის პოზიციებიდან. ჩინელმა გლეხებმა არ მიიღეს და მხარი არ დაუჭირეს კონფუციის ამ კრიტიკას. დენ-სიაოპინმა საზოგადოების და სახელმწიფო-სამართლებრივი სისტემის რეფორმის დაწყების დროს სოციალიზმის მშენებლობის ახალი ეტაპი გამოაცხადა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში შეიქმნა სოციალისტური სამართლებრივი სისტემის ნაირსახეობა, რომლის განვითარება „კულტურული რევოლუციის“ პერიოდში დაიწყო.

თანამედროვე პირობებში სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები ხორციელდება საკუთრების სხვადასხვა ფორმების აღიარების, უცხოელი ინვესტორებისათვის განსაზღვრული გარანტიების მიცემის, ეკონომი-

კური რეფორმების საკანონმდებლო ბაზის განმტკიცების, კანონიერების, მართლწესრიგის პრინციპის საფუძველზე. 70-იანი წლების ბოლოდან ჩინეთში გააქტიურდა საკანონმდებლო საქმიანობა. 1979 წლიდან გამოცემულია ორგანული კანონი სასამართლოების შესახებ, ქორწინების კანონი, სამოქალაქო სამართლის საერთო დებულებები, სამოქალაქო-საპროცესო კოდექსი, კანონი საწარმოების შესახებ, რომლებიც დაფუძნებულია უცხოური ფირმების კაპიტალზე, კანონი სამეურნეო ხელშეკრულების შესახებ, განახლდა სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა. ჩინეთში საზოგადოებრივი ურთიერთობები მოწმობენ რომ დასრულდა „ღარიბი სოციალიზმის ეპოქა“, მაგრამ სახელმწიფოს წინაშე დგას სამართლებრივი სისტემის შემდგომი სრულყოფის, მისი ყველა შემადგენელი ნაწილის მოქმედების¹ ეფექტურობის ამაღლების ამოცანები. ქვეყანაში მიმდინარეობს ბრძოლა კორუფციასთან და სხვა სახის დანაშაულთან, მიღებულია ზომები სასამართლოების საქმიანობის სრულყოფის, საზოგადოების სამართლებრივი კულტურის ამაღლებისათვის. ჩინური სოციალიზმი და მისი სამართლებრივი სისტემა გარკვეულწილად ადაპტაციას განიცდის დასავლური ცხოვრების წესთან და სამართალთან. მაგრამ ჯერ კიდევ შეინიშნება სახელმწიფოს მიერ კერძო ცხოვრებაში ჩარევის ტრადიციული ტენდენციები. სახელმწიფო თავს უფლებას აძლევს თავის მოქალაქეებს მოუწოდოს გამრავლების შეზღუდვისაკენ და ოჯახები, რომლებიც სახელმწიფოს ნებას არ შეასრულებენ, მატერიალურად ზარალდებიან.

§ 11. ინდოეთის სამართალი¹

ინდოეთის სამართლებრივი სისტემა ორიგინალურობით გამოირჩევა, იგი, ასახავს. ქვეყნის განვითარების ისტორიას, მისი ხალხის თავისებურებას, აგრეთვე ინგლისური სამართლის ზემოქმედებას, განსაკუთრებით იმ პერიოდში, როდესაც ინგლისის კოლონია იყო. ინდოეთის სამართლის, მის მკვიდრთა სამართალშეგნების გაგებისათვის თანამედროვე პერიოდში საჭიროა—მიემართოთ ინდურ სამართალს, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ინდური სამართალი არის რელიგიური სამართლებრივი სისტემა, თემის სამართალი, მათი სარწმუნოება ინდუიზმია ინდოეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიისა და აფრიკის სხვა ქვეყნებშიც. ინდური სამართლის მთავარი თვისებაა მისი ორგანული კავშირი რელიგიასთან.

¹ იხ. А.Крашенинкова. Индусское право. История и современность. М., 1982. ст. 192.

ინდურ წიგნებში, რომლებსაც შასტრას უწოდებენ, გადმოცემულია მითითებები, ადამიანთა ქცევის ნორმები, რომლებიც უზრუნველყოფენ ზნეობრიობას, საზოგადოებაში სათნო ცხოვრების დანერგვას. შასტრებში ასახულია ცხოვრების რელიგიურ-ფილოსოფიური, სოციალურ-ნორმატიული საფუძვლები, რომლებიც მოიცავენ დჰარმას (მეცნიერება ქცევის შესახებ, მითითებები ზნეობრიობის შესახებ), არტჰას (მეცნიერება სარგებლის, პოლიტიკის შესახებ), კამას (სიამოვნების მეცნიერება). დჰარმას აქვს პრიორიტეტული მნიშვნელობა ადამიანის ქცევის განსაზღვრაში ინდოეთის კასტურ წყობაში. დჰარმა არის ადამიანთა სამართლებრივი და მორალური მოვალეობების მითითებების რეალიზაცია. დჰარმა გმობს ცოდვილ საქციელს, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას.

ტრაქტატებს, რომლებშიც გადმოცემულია დჰარმები, დჰარმასშასტრებს უწოდებენ. დიდია მათი რაოდენობა, ფართოდ არის ცნობილი ისეთი დჰარმასშასტრები, როგორცაა მანუს კანონები („მანავადჰარმასშასტრა“), იაჯნავალკიას კანონები, ნარადის კანონები, რომლებიც შედგენილია დაახლოებით II-I საუკუნის და III-IV საუკუნეებს შორის პერიოდში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. დჰარმასშასტრების კომენტარები მოცემულია კრებულში, რომლებსაც ნიბანდაჰაზები ეწოდება. დჰარმა უშვებდა ადათ-წესების მიყოლას, აგრეთვე რეკომენდაციას აძლევდა ინდოელებს ქცევაში სინდისით და სამართლიანობით ეხელმძღვანელათ. ძველ ინდოეთში გვაროვნული საზოგადოების წეს-ჩვეულებათა გადაქცევა სამართლებრივ ჩვეულებად, ჩვეულებით სამართლად ისეთ ვითარებაში მოხდა, რომ არ წამოჭრილა საჭიროება სახელმწიფო იძულებისა სამართლებრივი ნორმების შესრულების უზრუნველსაყოფად. სამართლებრივი ნორმების შესრულებას უზრუნველყოფდა ძირითადად რელიგია. შინაგანი რელიგიური იძულება უფრო დიდ როლს თამაშობდა, ვიდრე გარეგნული სახელმწიფოებრივი იძულება.

ინდური სამართალი არსებითად შეიცვალა ინგლისის კოლონიალური ბატონობის წლებში. მან განიცადა განსაზღვრული დეფორმაცია, შეზღუდული იყო ინდური სამართლის გამოყენების სფერო, მაგრამ თანამედროვე პირობებშიც ინდური სამართალი აგრძელებს მოქმედებას. ინდური სამართლის ნორმებს, რომლებიც რეალურად მოქმედებენ ინდოელთა მიმართ, სამართალმცოდნეები თანამედროვე შრომებში მიაკუთვნებენ პირადი სტატუსის რეგლამენტს, ქორწინების და განქონწინების, არასრულწლოვანების და მეურვეების, ნათესაობის, საოჯახო საკუთრების, მემკვიდრეობის, რელიგიური ინსტიტუტების, ერთობლივი საკუთრების, სახელშეკრულებო სამართლის ელემენტების ჩათვლით.

თანამედროვე პერიოდში ინდური სამართალი არის იმ ნორმების ერთობლიობა, რომლებიც გამოიყენება ინდოეთის მოსახლეობის მხოლოდ ინდური ნაწილის მიმართ. ინდური სამართალი და ინდოეთის სამართალი თანამედროვე პირობებში ერთი და იგივე არ არის. განსხვავება აქ დაახლოებით ისეთივეა, როგორც განსხვავება მუსლიმანურ სამართალს და ცალკეული მუსლიმანური ქვეყნის სამართალს შორის. ინდოეთის სამართალი არის ეროვნული სამართალი, ნორმების ერთობლიობა, რომლებიც მოქმედებენ მთელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე. არის მცდელობა ინდოეთის სამართლის ნორმები აუცილებელი გახადონ ინდოეთში მცხოვრები ყველა მოქალაქისათვის, მიუხედავად მისი ეროვნებისა და რელიგიური კუთვნილებისა. ინდოეთის სამართალი ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ქვეყანა ინგლისის მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა. მის ფორმირებასა და განვითარებაში დიდი როლი მიეკუთვნება საკანონმდებლო აქტებს, რომლებიც ინდოეთისათვის ინგლისელებმა შექმნეს საერთო სამართლის ღირებულებების გამოყენებით. სამართლის შექმნა საერთო საფუძველზე იყო ადამიანთა ურთიერთობების რეგულირების უკეთესი საშუალება ქვეყანაში, სადაც მოქმედებდა ინდური და მუსლიმანური სამართალი. იმავე პერიოდში ჩატარდა კანონმდებლობის სისტემატიზაცია, შეიქმნა კოდექსები.

ინდოეთის მიერ სუვერენიტეტის მოპოვებამ, დამოუკიდებლობის განვითარებამ ახალი იმპულსი მისცა სამართლის განვითარების პროცესს. 1950 წლის ინდოეთის კონსტიტუცია არის იმის დადასტურება, რომ ადრე შექმნილი სამართალი აგრძელებს მოქმედებას. კანონი და სასამართლო პრეცედენტი არიან თანამედროვე ინდოეთის სამართლის მთავარი წყაროები. ინდოეთის კონსტიტუციამ (მუხლი 141) დაადგინა, რომ ქვეყნის სასამართლოები უზენაესი სასამართლოს მიერ შექმნილ პრეცედენტს უნდა დაემორჩილონ. კანონების კონსტიტუციურობის კონტროლს ახორციელებს უზენაესი სასამართლო. ინდოეთის სამართლებრივი სისტემა იმყოფება დინამიკაში, ამ შემოქმედებით პროცესში გამოიყენება ხალხის დიდი ისტორიული ტრადიციები, ღირებულება, მათ შორის სხვა სამართლის სისტემების, საერთო ღირებულებანიც.

§12. იაპონიის სამართალი

თანამედროვე იაპონიის სამართლებრივ სისტემას ფესვები ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ, სულიერ განვითარებაში უდგას. მის ფორმირებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში ცვლილებებმა. ფეოდალური იაპონიის სამართალი ვითარდებოდა საკუთარ საფუძველზე, ჩინეთიდან გადმოღებული შედა-

რებით შეზღუდული განმარტებებით, მხედველობაში გვაქვს კონფუციანობის გავლენა იაპონური მმართველი ჯგუფების სახელმწიფოებრივ იდეოლოგიაზე.

იაპონიის სამართლებრივი სისტემის ჩამოყალიბება მიმდინარეობდა კაპიტალიზმის ინტენსიური განვითარების პირობებში. ქვეყნის კანონმდებლობა ხელს უწყობდა საზოგადოებრივი ურთიერთობების განმტკიცებას და განვითარებას. საკანონმდებლო მუშაობაში ფართოდ გამოიყენებოდა იურიდიული მასალა, დასავლეთ ევროპის ქვეყნების იურისპრუდენცია და გამოცდილება, განხორციელდა „იურიდიული კოდექსების იმპორტი“ დასავლეთ ევროპის ქვეყნიდან. ქვეყნის სამართალმა, როგორც საკუთრივ იაპონურმა სამართალმა, სიმწიფეს პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მიაღწია.

იაპონიის კანონმდებლობის განვითარებაზე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა აშშ სამართალმა. თანამედროვე პირობებში იაპონიას აქვს კარგად ორგანიზებული სამართლებრივი სისტემა: განვითარებული კანონმდებლობა, სასამართლოები, იურისტების კვალიფიკაციური კადრები, მოსახლეობის სამართლებრივი კულტურა.

ამჟამად იაპონიაში მოქმედი კონსტიტუცია ძალაში შევიდა 1947 წლის 3 მაისს. გაუქმდა ყველა კანონი, ბრძანებულება და რესკრიპტი, რომლებიც არ შეესაბამებოდა ახალ კონსტიტუციას. იაპონელ ხალხს, მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ საერთაშორისო საზოგადოებაში მიღებული ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, პარლამენტი წარმოადგენს სახელმწიფოს ერთადერთ საკანონმდებლო ორგანოს. მთელი სასამართლო ძალაუფლება ეკუთვნის უზენაეს სასამართლოს, დაბალი ინსტანციების სასამართლოებს, რომლებიც დაარსებულია კანონის საფუძველზე.

უზენაეს სასამართლოს აქვს უფლებამოსილება დაადგინოს სამართალწარმოების პროცედურა, ადვოკატების მუშაობის, სასამართლოს შინაგანაწესის, აგრეთვე სასამართლო საქმეების მართვის წესები. პროკურორები უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი წესებით ხელმძღვანელობენ.

იაპონიაში სამართლის ძირითადი წყაროა კონსტიტუცია და კონსტიტუციური კანონები. განხორციელებულია სამართლის კოდიფიკაცია. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებს, რომლებიც მოიცავენ კანონების განმარტებას, აგრეთვე აქვთ სამართლის წყაროს ძალა. იაპონური სამართალი დარგებად იყოფა. ძირითადია სამოქალაქო და სავაჭრო შრომის სოციალური უზრუნველყოფის, საოჯახო და სამემკვიდრეო სისხლის სამართლის საპროცესო სამართალი, რომლებიც თავის მხრივ იყოფიან ინსტიტუტებად.

სამართლის სისტემაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოების, ცალკეული მოქალაქის მართლშეგნება ზნებასთან მიმართებით, ადამიანის ქცევის ისეთი სტიმულებით, როგორცაა სინდისი, მოვალეობა, ღირსება, პატიოსნება. ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს მკვლევართა სხვადასხვა მიდგომა იაპონური საზოგადოების ისეთი ფენომენისადმი, როგორცაა „გირი“, რომელსაც გააჩნია არსებითი მნიშვნელობა ქცევის რეგულირებაში. იაპონელი მეცნიერი ინაკო წუნეო აღნიშნავს, რომ „გირი“ უახლოვდება ცნებას „მოვალეობა“, რომ მოვალეობის გრძნობა წარმოიშობა პიროვნების არა საკუთარი სურვილით, არამედ ვალდებულების გრძნობის გამო. მოვალეობა აღიქმება, როგორც ვალდებულება განსაზღვრული ადამიანების, კოლექტივის წინაშე. სანქციები ამ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მორალური ხასიათისაა. მოვალეობის გრძნობა ვლინდება იაპონელების სამართლებრივ მოქმედებებშიც. მაგალითად, სახელშეკრულებო ურთიერთობები იაპონიაში არა მხოლოდ სამართლებრივი ურთიერთობებია, არამედ განსაზღვრული დონით ისინი ეფუძნება მოვალეობის ცნებას „გირი“-ს სახით. ამავე დროს სახელშეკრულებო ურთიერთობები, იაპონელების სამართალშეგნებაში არის ელემენტები, რომლებიც უცხოა მოვალეობის ცნებისათვის, ისინი არაფერს აკეთებენ ზედმეტს, გარდა ხელშეკრულებით განსაზღვრულისა, ადამიანების და ჯგუფების მიმართ, რომელთანაც არ იმყოფებიან პირად კონტაქტში. იაპონელების სამართალშეგნებაში წინანდებურად ძლიერია იდეა, რომელიც „საერთო კეთილდღეობას“ პირად ინტერესებზე მაღლა აყენებს, მაგრამ აღინიშნება ტენდენცია, რომ შემცირდა ამ იდეის მარეგულირებელი როლი. „გირი“ არ ცვლის სამართალს და მორალს, მაგრამ ეს ფენომენი აგრძელებს ურთიერთმოქმედებას საზოგადოებრივი ურთიერთობების სოციალურ-ნორმატიულ ნორმებთან ერთად. სამართლებრივი წესრიგის დაცვაში განსაზღვრულ როლს თამაშობს იერარქიული წესის კონფუციანური იდეა, რომელიც აგრძელებს არსებობას იაპონიის საზოგადოებრივ ცხოვრებასა და სამართლებრივ ცნობიერებაში.

თანამედროვე იტალიის სამართალი

თანამედროვე იტალია საპარლამენტო, ავტონომიის ელემენტების მქონე უნიტარული და ევროპაში ერთ-ერთი დაწინაურებული ქვეყანაა, რომელიც დიდ როლს თამაშობს მსოფლიო პოლიტიკისა და სამართლებრივი აზროვნების განვითარებაში. დედაქალაქი რომი, სახელმწიფო ენა—იტალიური, 1946 წ. 2 ივნისი რეფერენდუმის ჩატარების შემდეგ გამოცხადდა რესპუბლიკად. კონსტიტუცია დაამუშავა და მი-

ილო სპეციალურად შექმნილმა დამფუძნებელმა კრებამ 453 მომხრით 62 წინააღმდეგი 1947 წ. დეკემბერს, რომელიც ძალაში შევიდა 1948 წ. 1 იანვრიდან. ეს დღე არ იყო მხოლოდ რიგითი ახალი წელის პირველი დღე. ეს იყო იტალიის ახალი ისტორიის თავფურცელი.¹ იტალიის კონსტიტუცია შესავლით იწყება. აქვე ჩამოყალიბებულია იტალიის სახელმწიფოებრივი მოწყობის ძირითადი პრინციპები 12 მუხლის სახით. კონსტიტუცია ორი ბლოკის 10 თავის და 139 მუხლისაგან შედგება.

კონსტიტუციის შესაბამისად აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურია პრეზიდენტი, რომელსაც ირჩევენ 7 წლის ვადით, ასაკი განსაზღვრულია 50 წლით და ზევით, მას უნდა გააჩნდეს პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლებები.

კანონით პრეზიდენტობა სხვა თანამდებობასთან შეუთავსებელია. იგი აირჩევა 3 ტურად ფარული კენჭისყრით, პარლამენტის წევრთა ერთობლივ სხდომაზე გააჩნია ფართო უფლებამოსილება, სცემს კანონის ძალის მქონე დეკრეტებს, შეუძლია დაითხოვოს პარლამენტი, არის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი.

პრეზიდენტთან არსებობს გენერალური სამდივნო: გენერალური მდივანი, სამხედრო მრჩეველი, პრეზიდენტის მდივანი. იტალიის რესპუბლიკის კონსტიტუციის პირველი ნაწილი, რომელიც მთლიანად ეხება მოქალაქეთა უფლებასა და მოვალეობას, შედგება 4 თავისა და 42 მუხლისაგან „მოქალაქეთა“, „სოციალურ-ეთიკური“, „ეკონომიკური“, „პოლიტიკური“—ურთიერთობანი და ა. შ.

იტალიის კონსტიტუცია განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს და ცნობს ოჯახის, როგორც ქორწინებაზე დამყარებული ბუნებრივი კავშირის უფლებებს, ოჯახის ერთიანობის უზრუნველყოფას კანონით დადგენილ ფარგლებში, რესპუბლიკა ოჯახის შექმნას ხელს უწყობს ეკონომიკურად და სტიმულირებულია დიდი ოჯახის შექმნა და გამრავლება.

კანონის შესაბამისად იტალიის მოქალაქეობის საფუძველად ითვლება:

—ბავშვის დაბადება იტალიური ოჯახის ერთიანობის პრინციპი.

—იტალიაში დაბადებული, არა იტალიელები;

—იტალიაში მცხოვრები 10 წლის შემდეგ.

—უცხოელი, რომელიც მუშაობს იტალიაში 5 წელი.

—უცხოელი ქალი, რომელიც თხოვდება იტალიელზე.

—დედა-შვილი ღებულობს მამისა და ქმრის მოქალაქეობის უფლებას.

ყველანაირი შრომა ნებისმიერი ფორმით მისაღები და დაცულია კანონით.

¹ იხ. ო. მელაქაძე, საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო სამართალი თბ. 1995 წ. გვ. 9.

ქალისა და მამაკაცის შრომის ერთნაირი შრომის უფლება და ანაზღაურება მეტყველებს მათ სამართლებრივ თანასწორობაზე.

პიროვნება შეიძლება იყოს ნებისმიერი რელიგიის მიმდევარი.

ეკლესია დამოუკიდებელი და სუვერენულია.

ადამიანის პირადი უფლება-თავისუფლება, გადაადგილება და ცხოვრება იტალიის მთელ ტერიტორიაზე, მიმოწერის თავისუფლება და საიდუმლოების დაცვა, განმტკიცებულია კანონმდებლობით

პოლიტიკური თავშესაფარის მიცემა უცხოელისათვის.

იტალიის მოქალაქე მოვალეა:

1. მიიღოს სწავლა-განათლება.

2. სამშობლოს დაცვა ითვლება „წმინდათაწმინდა მოვალეობად“.

3. იყოს რესპუბლიკის ერთგული.

4. იცავდეს კონსტიტუციას და კანონებს.

5. იხდიდეს გადასახადებს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

აქვთ უფლება თავისუფლად გამოხატონ აზრი ზეპირად, წერილობით ნებისმიერი ფორმით.

პოლიტიკური თვალსაზრისის გამო არ იღვენება პიროვნება და არ კარგავს მოქალაქეობის უფლებას.

მომქმედი კანონმდებლობით საარჩევნო ხმის უფლება აქვს ყველას ვინც მიაღწია 18 წლის ასაკს.

ხმის მიცემის პროცედურა არის პირადი თანასწორი, თავისუფალი ფარული კენჭის ყრით. არჩევნებში მონაწილეობის უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ სამოქალაქო არაქმედუნარიანობის, ძალაში შესული სისხლის სამართლებრივი განაჩენის საფუძველზე და კანონში მითითებულ უღირს საქციელთა ჩადენის შემთხვევაში.

სახელმწიფო დაყოფილია ოლქებად, პროვინციებად და თემებად.

5 ოლქს გააჩნია სპეციალური სტატუსი. (სიცილია, სარდინია, ვალე, აოსტა, ტრენტინო-ალტო-ადიჯე, ფრიული-ვენეცია-ჯულია) აქვთ საკუთარი პარლამენტი, საოლქო საბჭო და მთავრობა-ჯუნტი შეზღუდოს საოლქო საკანონმდებლო უფლებებით და ადგილობრივი თვითმმართველობით.

ცენტრალური ხელისუფლების მიერ შექმნილი კომისიები ამოწმებენ ამ ორგანოების მუშაობას.

ქვეყანა დაყოფილია 257 საარჩევნო ოლქად, სადაც წესით ტარდება არჩევნები

უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა პარლამენტი, სადაც მიმდინარეობს კანონშემოქმედებითი საქმიანობა. შედგება 2 პალატისაგან; დეპუტატთა პალატა და სენატი, რომლებიც სარგებლობენ ერთნაირი უფლებით.

დეპუტატის პალატას ირჩევენ 5 წლის ვადით, რესპუბლიკის სენატს 6 წლით.

დეპუტატთა პალატის წევრი უნდა იყოს 25 წლის, რესპუბლიკის სენატორად 40 წლის.

სენატში ავტომატურად შედიან ყოფილი პრეზიდენტები და სი-ცოცხლის ბოლომდე რჩებიან სენატორებად.

პრეზიდენტს აქვს უფლება დანიშნოს სხვადასხვა დამსახურებისათვის ხუთი სენატორი.

სენატორებს ირჩევენ საყოველთაო და პირდაპირი არჩევნებით ფარული ხმის მიცემით. არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს ყველა მოქალაქეს.

დეპუტატთა პალატას ირჩევენ საყოველთაო და პროპორციული სისტემით საარჩევნო ხმის უფლებით, პარტიული სიით, ფარული კენჭისყრით, რისი უფლება აქვს ნებისმიერ მოქალაქეს.

ორივე პალატა იკრიბება არჩევნებიდან 20 დღის შემდეგ. სესიები იმართება რეგლამენტის შესაბამისად.

დეპუტატთა პალატა ირჩევს თავმჯდომარეს და პრეზიდენტს, მუშაობენ კომიტეტები რეგლამენტის საკითხებზე, მომავალ არჩევნებზე ბიბლიოთეკის ზედამხედველობაზე.

დიდი როლი საკანონმდებლო საქმიანობაში ენიჭებათ მუდმივმოქმედ 14 კომისიას. თითოეული პალატის წევრი დაკავებულია ერთ-ერთ კომისიაში. კომისიას ირჩევენ 2 წლით.

დეპუტატთა პალატას აქვს სამომსახურეო დაწესებულებანი. მნიშვნელოვანია გენერალური მდივანის თანამდებობა, რომლის ფუნქციებიც საკმაოდ ფართოა. სამდივნო ეხმარება პარლამენტს სხდომების მომზადებასა და ჩატარებაში.

დეპუტატთა პალატას აქვს კოდიფიცირებული განყოფილება, რომელიც იკვლევს, აღწერს, აჯამებს, აქვეყნებს სტატისტიკურ მონაცემებს კანონებზე და მათი ცხოვრებაში გატარების მდგომარეობაზე. რესპუბლიკის სენატს აქვს 11 კომისია.

საომარ მდგომარეობას აცხადებს ორივე პალატა ერთად.

კონსტიტუციით დეპუტატი არ არის პასუხისმგებელი თავისი ამომრჩევლების წინაშე. ის წარმოადგენს „ერს და წარმომადგენლობითი მანდატის გარეშე ასრულებს თავის ფუნქციას“.

მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობა ასეთია; მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, 3 მინისტრი პორტფელის გარეშე. ძირითადი სამინისტროებია საგარეო, იუსტიციის საბიუჯეტო, ფინანსების, სახაზინო (ხაზინის) შინაგან საქმეთა, თავდაცვის, განათლების, ტყისა და სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, საფოსტო და ტელეკომუნიკაციების სამრეწველო და სავაჭრო შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის

საგარეო ვაჭრობის, საეაჭრო ფლოტის, ჯანმრთელობის დაცვის, ტურიზმისა და სანახაობის და ა. შ.

მინისტრთა საბჭოს აქვს პრეზიდენტი და დამხმარე ორგანო: სახელმწიფო საბჭო დამთვლელი (საანგარიშო) პალატა, შრომისა და ეკონომიკის ეროვნული საბჭო.

სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შტო სასამართლო სისტემაა, რომელშიც შედის სამოქალაქო საქმეთა უმაღლესი საკასაციო და სამომრიგებლო სასამართლო პრეტორიები, ტრიბუნალები.

სიხლის სამართლის (პრეტორიები, ტრიბუნალი ასიზები).

სააპელაციო და სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ეფექტურობისათვის იტალიაში შექმნილია მართლმსაჯულების უმაღლესი ორგანო მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო.

კონსტიტუციური სასამართლო, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, ინიშნებიან პრეზიდენტის მიერ 1/3 ნაწილი, 1/3 პარლამენტიდან (დპ და რს საერთო სხდომებიდან) 1/3 უმაღლესი საერთო ადმინისტრაციული მაგისტრატურიდან; სულ 25 კაცის შემატებით 9 წლიანი ვადით იზილავენ კონსტიტუციურ კანონმდებლობას, კონფლიქტებს ოლქებს შორის.

იტალიის რესპუბლიკის კონსტიტუცია საკანონმდებლო სასამართლოს უფლებამოსილების საკითხს განიხილავს 1% თვეში „კონსტიტუციური გარანტიები“.

თუ კონსტიტუციურმა სასამართლომ გამოაცხადა კანონის არაკონსტიტუციურობა, იგი ძალას კარგავს გამოქვეყნებისთანავე.

—იტალიის პრეზიდენტის უფლებამოსილებათა შორის ყურადღებას იქცევს ერთი მეტად ორიგინალური შესაძლებლობა, რომელიც საკმაოდ იშვიათი მოვლენაა ევროპულ კონსტიტუციონალიზმში. ესაა პრეზიდენტის მიერ სასამართლოს განაჩენში ცვლილებების შეტანის უფლება. აღნიშნული ინსტიტუტის სახელმწიფო სისტემაში დანერგვა თეორიულად ხელისუფლების დანაწილების დოქტრინას ემიჯნება, თუმცა, იტალიის პრეზიდენტის სტატუსის სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე ასეთი საფრთხე პრაქტიკულად არც დგება;

—იტალიის კონსტიტუციაში სამი ძირითადი სუბიექტია წინა პლანზე გამოტანილი—პოლიტიკური პარტიები, სახელმწიფო და ადამიანი, რომელთა ურთიერთობის მოწესრიგებას დემოკრატიული ინსტიტუტების სხვადასხვაობა და სიმრავლე ემსახურება¹.

იტალიაში ფართოა საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით აღჭურვილ სუბიექტთა წრე. ესენი არიან: პარლამენტის წევრები, მთავ-

¹ იხ. როგორ იქმნება კანონი თბ. 2000 წ. გვ.5.

რობა, საოლქო საბჭოები, ეკონომიკისა და შრომის ეროვნული საბჭო. ამ უფლებით სარგებლობს უშუალოდ ხალხიც, ე.წ. სახალხო ინიციატივის ინსტიტუტის მეშვეობით იტალიის კონსტიტუციის 71-ე მუხლის თანახმად ხალხი საკანონმდებლო ინიციატივას ახორციელებს 50 ათასი ამომრჩევლის სახელით. ძალზე შეზღუდული, მაგრამ გარკვეული ინიციატივის უფლება აქვთ ასევე მუნიციპალურ საბჭოებსაც.¹

კონსტიტუციის გადასინჯვა, კონსტიტუციური კანონების მიღება, შეცვლა ხდება ორივე პალატაში განხილვის შემდეგ სამი თვის ინტერვალით მეორე მოსმენის შემდეგ უმრავლესობის მხარდაჭერით.

რაც შეეხება თანამედროვე იტალიის სამართლებრივ სისტემას, ის მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებში შეიქმნა, სწორედ იმ დროიდან, როდესაც ცალკეული სამეფოების, საჰერცოგოების და თვითმმართველობით ოლქებისა და ქალაქების გაერთიანებით 1961 წ. საფუძველი ჩაეყარა ერთიან სახელმწიფოს.

რომის იმპერიის ისტორიული მემკვიდრე თანამედროვე იტალია ახალგაზდა რესპუბლიკად არის მიჩნეული. 139 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც იტალია ერთიან სახელმწიფოდ დამკვიდრდა. იტალიის რესპუბლიკა 53 წლისაა. აქედან გამომდინარე თანამედროვე იტალიის სამართლებრივ სისტემასაც არ გააჩნია დიდი ხნის ისტორია, თუმცა სამართლის ცალკეული დარგები გაცილებით ადრე ჩამოყალიბდნენ.

—იტალიის სამართლებრივი სისტემაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პარლამენტის საკანონმდებლო საქმიანობას, რომელიც რიგი მისთვის დამახასიათებელი თავისებურებებით ხასიათდება. კონსტიტუციამ პარლამენტის პალატების კომისიებს დააკისრა კანონშემოქმედებითი ფუნქცია. მას შემდეგ კანონთა მნიშვნელოვანი ნაწილი მიიღება არა პარლამენტის პლენარულ სხდომებზე, არამედ მუდმივ კომისიებში და ვინაიდან ორივე პალატაში 26 კომისიაა, საერთო ჯამში იტალიის პარლამენტში 28 კანონშემოქმედებითი ცენტრი ფუნქციონირებს. იტალიის კონსტიტუციური სამართლის ეს ორიგინალური პროცედურა გამოიყენება რეგლამენტით გათვალისწინებულ საგანგებო, კონკრეტულ შემთხვევებში;

—პარლამენტის საკანონმდებლო საქმიანობაში მნიშვნელოვანი თავისებურებებით ხასიათდება პალატებში შექმნილი საგამოძიებო კომისიების ინსტიტუტი. მათი სხვა ქვეყნებში არსებული ანალოგიური კომისიებისაგან განსხვავებით, იტალიაში საგამოძიებო კომისიები ფუნქციონირებენ ისეთივე უფლებამოსილებით და შეზღუდვებით, რაც დადგენილია სასამართლო ორგანოებისათვის. ამასთან, კომისიათა საქმიანობაში ფართოდ გამოიყენება სასამართლო კონტროლის მეთოდები;

—იტალიის კონსტიტუცია კონსტიტუციური კანონების მიღების

¹ ო. ბეფიტაშვილი, ო. მელქაძე. იტალიის სახელმწიფო სისტემა. თბ. 1997 წ. გვ. 10-11.

განსაკუთრებულ წესს ადგენს, რაც დაკავშირებულია ასეთი კანონების რეფერენდუმზე გატანასთან. თუ კონსტიტუციური კანონი მიიღება პალატის წევრთა ორი მესამედის უმრავლესობით, მაშინ დაუშვებელია ასეთი კანონის მიმართ რეფერენდუმის ჩატარება;

— იტალიის სამართლებრივ ლოქტრინაში ცენტრალური ადგილი უკავია მთავრობის ფორმირების მექანიზმს, რომელიც საპარლამანტო რესპუბლიკისათვის დამახასიათებელ ნიშნებს შეიცავს. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს და მინისტრებს ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

ფორმირებიდან ათი დღის ვადაში მთავრობა უნდა წარსდგეს ორივე პალატის წინაშე ნდობის ვოტუმის მისაღებად. ამისათვის მთავრობის თავმჯდომარე პარლამენტის თითოეულ პალატას აცნობს მთავრობის საქმიანობის პროგრამას. მოხსენების შემდეგ პალატა სახელობითი კენჭისყრით გამოიტანს რეზოლუციას ნდობის ან უნდობლობის თაობაზე. ამ პროცედურის გავლისას აღსანიშნავია რამდენიმე მომენტი, რომლებიც იტალიის კონსტიტუციური წყობის თავისებურ ნიშნებად შეიძლება ჩაითვალოს. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ პარლამენტი მთავრობის დამტკიცებისას თავის დამოკიდებულებას გამოხატავს როგორც მთავრობის პროგრამის, ისე მისი პერსონალური შემადგენლობის მიმართ. პარლამენტი ნდობის ან უნდობლობის რეზოლუციას იღებს არა პრევიერ მინისტრის, ან ერთი რომელიმე მინისტრის, არამედ მთავრობის მთელი შემადგენლობის მიმართ. უნივერსიტეტის ასეთი მექანიზმი იმით აიხსნება, რომ კაბინეტის შიგნით მოქმედებს ე.წ. „მინისტრთა სოლიდარული პასუხისმგებლობის პრინციპი“!

იტალიის სამართლის ძირითადი წყაროს წარმოადგენს კონსტიტუცია, კონსტიტუციური და მიმდინარე კანონები. სამართალი ორ ძირითად კერძო და საჯარო ნაწილებად იყოფა. იტალიის სამართლის სისტემა აერთიანებს დარგებს და ინსტიტუტებს. მათ შორის წამყვანი დარგებია, სამოქალაქო, სისხლის სამართლის, სამოქალაქო და სისხლის სამართლის საპროცესო, შრომის, საოჯახო და სამემკვიდრეო, ეკოლოგიური სავაჭრო და საფინანსო, რაც შეეხება ადმინისტრაციულ სამართალს ევროპის ქვეყნებში და მათ შორის იტალიაშიც XVIII საუკუნიდან არსებობს. სამართლის თითოეული დარგი შედგება მრავალი ინსტიტუტისაგან. სამართლის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საზოგადოების აქტიურ მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ და სამართლებრივ ცხოვრებაში.

ეს შეეხება სახალხო ინიციატივის რეალიზაციას, კანონის მუხლების სახით შედგენილი პროექტის პარლამენტში შეტანის გზით. კონსტიტუციის 75-ე მუხლის თანახმად მას ხელს აწერს სულ ცოტა ორმოცდაათი ათასი ამომრჩეველი. მეორე ეს არის რეფერენდუმი ე.წ. „სახალხო ვეტოს“ სახით, რომელსაც აკანონებს იგივე მუხლი.

დ ა ნ ა რ თ ი

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

1948 წლის 10 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ დაამტკიცა და გამოაცხადა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, რომლის სრული ტექსტიც აქ არის მოცემული. მიიღო რა ეს ისტორიული მნიშვნელობის გადაწყვეტილება, ასამბლეამ მოწოდებით მიმართა ორგანიზაციის ყველა წევრ სახელმწიფოს გამოაქვეყნონ დეკლარაციის ტექსტი და ყველაფერი იღონონ „მისი გავრცელების, საჯაროობისა და განმარტებისათვის, უმთავრესად სკოლებსა და სხვა სასწავლო დაწესებულებებში, ქვეყნების ან ტერიტორიების პოლიტიკური სტატუსის განურჩევლად“.

პრეამბულა

ვინაიდან ადამიანთა ოჯახის ყველა წევრისათვის დამახასიათებელი ღირსების და თანასწორი და განუყოფელი უფლებების აღიარება წარმოადგენს თავისუფლების, სამართლიანობისა და საყოველთაო მშვიდობის საფუძველს; და

ვინაიდან ადამიანის უფლებათა უგულებელყოფამ და აბუნად აგდებათ გამოიწვია ბარბაროსული აქტები, რაც აღაშფოთებს კაცობრიობის სინდისს, და რომ ისეთი მსოფლიოს შექმნა, რომლებშიც ადამიანებს ექნებათ სიტყვისა და რწმენის თავისუფლება და რომელშიც ისინი იცხოვრებენ შიშისა და გაჭირვების გარეშე, გამოცხადებულია როგორც ადამიანთა მაღალი მისწრაფება; და

ვინაიდან აუცილებელია უფლებებს იცავდეს კანონის ძალა იმის უზრუნველსაყოფად, რათა ადამიანი იძულებული არ გახდეს მიმართოს აჯანყებას, როგორც უკანასკნელ საშუალებას ტირანიისა და ჩაგვრის წინააღმდეგ; და

ვინაიდან აუცილებელია ხელის შეწყობა ხალხთა შორის მეგობრულ ურთიერთობათა განვითარებისათვის; და

ვინაიდან გაერთიანებული ერების ხალხებმა წესდებაში დაადასტურეს თავიანთი რწმენა ადამიანის ძირითადი უფლებებისადმი, ადამიანის პიროვნების ღირსებისა და ღირებულების და კაცებისა და ქალების თანასწორუფლებიანობისადმი და გადაწყვიტეს ხელი შეუწყონ სოციალურ პროგრესსა და ცხოვრების უკეთეს დონეს მეტი თავისუფლების პირობებში; და

ვინაიდან წევრმა სახელმწიფოებმა იკისრეს ვალდებულება გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან თანამშრომლობაში ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა საყოველთაო პატივისცემასა და დაცვას; და

ვინაიდან ასეთ უფლებათა და თავისუფლებათა საყოველთაო გაგებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ ვალდებულების მთლიანად შესრულებისათვის,

გენერალური ასამბლეა აცხადებს

ადამიანის უფლებათა ამ საყოველთაო დეკლარაციას ისეთ ამოცანად, რომლის შესრულებას უნდა ელტვოდეს ყველა ხალხი და ყველა სახელმწიფო, რათა ყოველი ადამიანი და საზოგადოების ყოველი ორგანო, ნიადავ გაითვალისწინებს რა ამ დეკლარაციას, მისიწრაფვოდეს სწავლა-განათლების მეშვეობით ხელი შეუწყოს ამ უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემას და მათი საყოველთაო და ეფექტიანი აღიარება-განხორციელების უზრუნველყოფას ნაციონალური თუ საერთაშორისო პროგრესული ღონისძიებებით, როგორც ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა ხალხებში, ასევე ამ სახელმწიფოების იურისდიქციისადმი დაქვემდებარებულ ტერიტორიათა ხალხებში.

მუხლი I

ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და

უფლებებით. მათ მინიჭებული აქვთ გონება და სინდისი და ერთმანეთის მიმართ უნდა იქცეოდნენ ძმობის სულისკვეთებით.

მუხლი 2.

ამ დეკლარაციით გამოცხადებული ყველა უფლება და ყველა თავისუფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყოველ ადამიანს განურჩევლად რაიმე განსხვავებისა, სახელდობრ, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა რწმენის, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი, წოდებრივი თუ სხვა მდგომარეობისა.

გარდა ამისა, დაუმეხებელია რაიმე განსხვავება იმ ქვეყნის თუ ტერიტორიის პოლიტიკური, სამართლებრივი ან საერთაშორისო სტატუსის საფუძველზე, რომელსაც ადამიანი ეკუთვნის, მიუხედავად იმისა, თუ როგორია ეს ტერიტორია-დამოუკიდებელი, სამეურნეო, არათვითმმართველი თუ სხვაგვარად შეზღუდული თავის სუვერენიტეტში.

მუხლი 3

ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება.

მუხლი 4

არაფინ არ უნა იმყოფებოდეს მონობაში ან ძალმომრეობითი მორჩილების მდგომარეობაში. ყველა სახის მონობა და მონათვაჭრობა აკრძალულია.

მუხლი 5.

არავის მიმართ არ უნდა იქნეს გამოყენებული წამება ან სასტიკი, არაადამიანური თუ მისი ღირსების დამამცირებელი მოპყრობა და სასჯელი.

მუხლი 6

ყოველ ადამიანს, სადაც უნდა იმყოფებოდეს იგი, იმის უფლება აქვს, რომ აღიარებულ იქნეს მისი სამართალ სუბიექტობა.

მუხლი 7

ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და, განურჩევლად რაიმე განსხვავებისა, ყველას აქვს უფლება თანაბრად იყოს დაცული კანონის მიერ. ყველა ადამიანს აქვს უფლება თანაბრად იყოს დაცული ამ დეკლარაციის დამრღვევი ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან და ასეთი დისკრიმინაციის ყოველგვარი წაქეზებისაგან.

მუხლი 8.

ყოველ ადამიანს აქვს უფლება ეფექტიანად იქნეს აღდგენილი უფლებებში კომპეტენტური ნაციონალური სასამართლოების მიერ იმ შემთხვევაში, როცა დარღვეულია მისთვის კონსტიტუციით თუ კანონით მინიჭებული ძირითადი უფლებები.

მუხლი 9

არავის დაჰატირება, დაჭერა ან გაძევება არ შეიძლება თვითნებურად.

მუხლი 10

ყოველ ადამიანს მის უფლებამოვალეობათა განსაზღვრისათვის და მისთვის წაყენებული სისხლის სამართლებრივი ბრალდების საფუძველზე, აქვს იმის უფლება, რომ მისი საქმე საქვეყნოდ და სამართლიანობის ყველა მოთხოვნის დაცვით გაარჩიოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ.

მუხლი 11

1. ყოველ ადამიანს, რომელსაც ბრალად ედება დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს ითვლებოდეს უდანაშაულოდ მანამ, სანამ მისი დანაშაულება დადგენილი არ იქნება კანონიერი წესისამებრ საჯარო სასამართლო განხილვით, რომლის დროსაც მისთვის უზრუნველყოფილია დაცვის ყველა შესაძლებლობა.

2. არავის არ შეიძლება მსჯავრი დაედოს დანაშაულისათვის რაიმე ისეთი

მოქმედების ჩაღების საფუძველზე, ანდა ისეთი უმოქმედობისათვის, რომლებიც ჩაღების დროს არ შეადგენდა დანაშაულს ნაციონალური კანონის ან საერთაშორისო სამართლის მიხედვით. არ შეიძლება აგრეთვე უფრო მძიმე სასჯელის დადება, ვიდრე ის, რომელიც შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო იმ დროს, როცა ჩაღებულ იქნა დანაშაული.

მუხლი 12.

არავის მიმართ არ შეიძლება თვითნებური ჩარევა მის პირადსა და ოჯახურ ცხოვრებაში, თვითნებური ხელყოფა მისი საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობის, მისი კორესპონდენციის საიდუმლოების, ანდა მისი პატივისა და რეპუტაციისა, ყოველ ადამიანს აქვს უფლება დაცული იყოს კანონის მიერ ასეთი ჩარევისა და ხელყოფისაგან.

მუხლი 13

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება დაუბრკოლებლად იცვლიდეს ადგილსამყოფელს და ირჩევდეს თავის საცხოვრებელ ადგილს ყოველი სახელმწიფოს ფარგლებში.

2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება დატოვოს ყოველი ქვეყანა, მათ შორის თავისი, და დაბრუნდეს თავის ქვეყანაში.

მუხლი 14

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება ეძიოს ღვენიისგან თავშესაფარი სხვა ქვეყანაში და ისარგებლოს ამ თავშესაფრით.

2. ეს უფლება არ შეიძლება გამოყენებული იქნეს ისეთი ღვენიის შემთხვევაში, რომლის საფუძველს ნამდვილად წარმოადგენს ჩაღენა არაპოლიტიკური დანაშაულისა, ანდა ქმედებისა, რომელიც ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპებს.

მუხლი 15

1. ყოველ ადამიანს აქვს მოქალაქეობის უფლება.

2. არავის არ შეიძლება თვითნებურად ჩამოერთვას მოქალაქეობა ან უფლება თავისი მოქალაქეობის შეცვლისა.

მუხლი 16

1. სრულასაკონებას მოღწეულ კაცებსა და ქალებს უფლება აქვთ რასის, ეროვნების ან რელიგიის ნიშნით რაიმე შეზღუდვის გარეშე, დაქორწინდნენ და ოჯახი დააფუძნონ. ისინი სარგებლობენ ერთნაირი უფლებებით დაქორწინებისას, ქორწინებაში ყოფნის დროს და განქორწინებისას.

2. დაქორწინება შესაძლებელია მხოლოდ ორივე მექორწინე მხარის თავისუფალი და სრული თანხმობისას.

3. ოჯახი არის საზოგადოების ბუნებრივი და ძირითადი უჯრედი და მას უფლება აქვს დაცული იყოს საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრივ.

მუხლი 17

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება ფლობდეს ქონებას როგორც ერთპიროვნულად, ასევე სხვებთან ერთად.

2. არავის არ უნდა ჩამოერთვას ქონება თვითნებურად.

მუხლი 18

ყოველ ადამიანს უქვს უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა: ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას თავისი რელიგიის თუ რწმენის შეცვლისა და თავისუფლებას თავისი რელიგიის თუ რწმენის აღმასრულებლობისა, როგორც ერთპიროვნულად, ასევე სხვებთან ერთად, მოძღვრებაში ღვთისმსახურებაში და რელიგიურ და რიტუალურ წეს-ჩვეულებათა შესრულებაში საჯარო თუ კერძო წესით.

მუხლი 19

ყოველ ადამიანს აქვს უფლება მრწამსის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოთქმისა: ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას დაუბრკოლებლად იქონიოს თავისი მრწამსი და ეძიოს, მიიღოს, და გააერთიანოს ინფორმაცია და იდეები ყოველგვარი საშუალებით და სახელმწიფო საზღვრებისგან დამოუკიდებლად.

მუხლი 20

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება მშვიდობიანი კრებებისა და ასოციაციების თავისუფლებისა.

2. არავის იძულება არ შეუძლია რაიმე ასოციაციაში შესასვლელად.

მუხლი 21

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება მონაწილეობდეს თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობაში ან უშუალოდ, ანდა თავისუფლად არჩეულ წარმომადგენელთა მეშვეობით.

2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თანაბარ საფუძველზე შევიდეს თავისი ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში.

3. ხალხის ნება უნდა იყოს საფუძველი მთავრობის ძალაუფლებისა: ეს ნება უნდა გამოხატავდეს პერიოდულ და გაუყალბებელ არჩევნებს, რომლებიც უნდა ტარდებოდეს საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლებების პირობებში, ფარული კენჭის ყრით ანდა სხვა თანაბარმნიშვნელოვანი ფორმების მეშვეობით, რომლებიც უზრუნველყოფენ ხმის მიცემის თავისუფლებას.

მუხლი 22

ყოველ ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს, აქვს სოციალური უზრუნველყოფის უფლება და უფლება განახორციელოს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ დარგებში, ნაციონალური მეცადინეობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით და ყოველი სახელმწიფოს სტრუქტურისა და რესურსების შესაბამისად, ის უფლებები, რომლებიც აუცილებელია მისი ღირსების თავისუფალი განვითარებისათვის.

მუხლი 23

1. ყოველ ადამიანს აქვს შრომის, სამუშაოს თავისუფალი არჩევის, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობების და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება.

2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თანაბარი შრომის თანაბრად ანაზღაურებისა ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

3. ყოველ მუშაკს აქვს უფლება იღებდეს სამართლიანსა და დამაკმაყოფილებელ გასამრჯელოს, რომელიც უზრუნველყოფს ღირსეულ ადამიანურ არსებობას თვითონ მისთვის და მისი ოჯახისათვის და რომელსაც, როცა აუცილებელია, ემატება სოციალური უზრუნველყოფის სხვა სახის რეზი.

4. ყოველ ადამიანს აქვს უფლება შექმნას პროფესიული კავშირები და შევიდეს პროფესიულ, კავშირებში თავისი ინტერესების დასაცავად.

მუხლი 24

ყოველ ადამიანს აქვს დასვენებისა და მოვალეობის უფლება სამუშაო დღის გონივრული შეზღუდვისა და ანაზღაურებული პერიოდული შვებულების უფლების ჩათვლით.

მუხლი 25

1. ყველა ადამიანს აქვს უფლება ქონდეს ცხოვრების ისეთი ღონე, საკვების, ტანსაცმლის, ბინის, სამედიცინო მოვლისა და საჭირო სოციალური მომსახურების ჩათვლით, რომელიც აუცილებელია თვითონ მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად, და უფლება უზრუნველყოფილი იყოს უმუშევრობის, ავადყოფობის, ინვალიდობის, ქერიოზის, მოხუცებულობის ან მისგან

დამოუკიდებელ გარემოებათა გამო არსებობის საშუალებათა დაკარგვის სხვა შემთხვევაში.

2. დედობა და ჩვილი ყრმის ასაკი იძლევა განსაკუთრებული მზრუნველობითა და დახმარების სარგებლობის უფლებას. ყველა ბავშვი, დაბადებული ქორწინებაში თუ ქორწინების გარეშე, უნდა სარგებლობდეს, ერთნაირი სოციალური დაცვით.

მუხლი 26

1. ყოველ ადამიანს აქვს განათლების უფლება. განათლება დაწყებითი და ზოგადი მაინც, უფასო უნდა იყოს. დაწყებითი განათლება უნდა იყოს სავალდებულო. ტექნიკური და პროფესიული განათლება უნდა იყოს საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, უმაღლესი განათლება კი—ერთნაირად მისაწვდომი ყველასათვის თითოეულის უნარისამებრ.

2. განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის პიროვნების სრული განვითარებისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის გადიდებისაკენ. განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს ყველა ხალხის, ყველა რასობრივი თუ რელიგიური ჯგუფის ურთიერთგაგებას, მშემოწმარებლობასა და მეგობრობას და ხელი უნდა შეუწყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობას მშვიდობის შესანარჩუნებლად.

3. მშობლებს აქვთ პრიორიტეტის უფლება აირჩიონ რა სახის განათლებაც სურთ თავიანთი მცირეწლოვანი შვილებისათვის.

მუხლი 27

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მონაწილეობდეს საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში, ტკებობდეს ხელოვნებით, მონაწილეობდეს მეცნიერულ პროგრესში და სარგებლობდეს მისი სიკეთით.

2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება დაცული იყოს მისი მორალური და მატერიალური ინტერესები, როგორც შედეგი იმ მეცნიერული, ლიტერატურული და მხატვრული ნაშრომებისა, რომელთა ავტორს იგი წარმოადგენს.

მუხლი 28

ყოველ ადამიანს აქვს უფლება ისეთ სოციალურსა და საერთაშორისო წესრიგზე, რომლის პირობებში შესაძლებელია ამ დეკლარაციაში ჩამოთვლილ უფლებათა და თავისუფლებათა მთლიანად განხორციელება.

მუხლი 29

1. ყოველ ადამიანს აქვს მოვალეობანი საზოგადოების წინაშე, რადგან მხოლოდ საზოგადოებაშია შესაძლებელი მისი პიროვნების თავისუფალი და სრული განვითარება.

2. თავის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებისას ყოველი ადამიანი უნდა განიცდიდეს მხოლოდ ისეთ შეზღუდვას, როგორც კანონითაა დადგენილი მართოდ იმ მიზნით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სხვების უფლებათა და თავისუფლებათა ჯეროვანი აღიარება და პატივისცემა და დაქმაყოფილდეს ზნეობის, საზოგადოებრივი წესრიგისა და საერთო კეთილდღეობის სამართლიანი მოთხოვნები დემოკრატიულ საზოგადოებაში.

3. ამ უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელება არავითარ შემთხვევაში არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპებს.

მუხლი 30

ამ დეკლარაციაში არაფერი არ უნდა განიმარტოს, როგორც მინიჭება რომელიმე სახელმწიფოსათვის, პირთა ჯგუფისა თუ ცალკეული პირებისათვის უფლებისა, ეწეოდნენ ისეთ საქმიანობას, ან ჩაიდინონ ისეთი მოქმედება, რომლებიც მიმართულია ამ დეკლარაციაში ჩამოთვლილ უფლებათა და თავისუფლებათა მოსასპობად.

РЕЗЮМЕ

Концепция высшего юридического образования ориентирована на подготовку высококвалифицированных, глубокообразованных специалистов.

Именно им, обладающим соответствующей политической культурой, усилена активная деятельность в строительстве правового государства.

Протекающие в стране процессы (реформа судебной системы, экзамены судей и т. д.) подтверждают недостаточность узкой профессиональной подготовки. Зов времени—это основанная на высокоинтеллектуальном потенциале соответствующая профессиональная и публичная деятельность правоведа.

Судьи, прокуроры, следователи, адвокаты третьего тысячелетия обязаны изначально же обладать нюансами, которые значимы при разрешении правовых вопросов, определении аналогии закона или правовых норм, соответствии и решении других юридических процедур...

Правильное понимание и использование вышеуказанного возможно лишь с приобретением научных познаний о государстве и праве, в случае точного соблюдения закона во всех областях жизни, признания и полного безотлагательного соблюдения прав и свобод человека.

Первейшей задачей всех государственных органов и в частности правовых ведомств является обеспечение свободного развития личности человека. Отсюда ясно значение исследования проблем теории государства и права.

Нужно различать теорию государства и права как науки и проблемы теории государства и права как учебной дисциплины.

Теория государства и права является учебной дисциплиной, которая опирается на государство и на правовую науку. Поэтому масштабность научных достижений обуславливает облегчение в рассмотрении проблем.

Различны также цели и задачи теории государства и права. Цель исследования проблемы—с помощью учебного процесса передать слушателям апробированные наукой научные знания. А цель научного исследования теории государства и права заключается в накоплении новых высококвалифицированных знаний с использованием его методологического арсенала.

Проблемы теории государства и права, как учебной дисциплины, представляются нам упорядоченной системой государственно-правовых явлений.

Теория государства и права, как предмет, является одной из наиболее сложных учебных дисциплин первого курса. Возвращение к изучению этого предмета на последнем курсе дает возможность глубже разобраться уже в проблемах теории государства и права.

Обобщения, абстрактность научных понятий категории, особая значимость научных определений обязывают студентов, наряду с учебниками, разрабатывать монографии, сборники научных трудов, опубликованные в юридических журналах статьи.

Как учебная дисциплина теория государства и права выполняет две основные функции: дает возможность глубоко изучить фундаментальные вопросы теории государства и права, является основой и обеспечивает укрепление общих теоретических знаний и подготовку студентов к экзаменам.

Первая функция осуществляется во время повторения основ теории государства и права после овладения студентами отраслевых юридических дисциплин (конституционное, гражданское, административное, уголовное право и т. д.) При этом большее внимание должно быть уделено развитию способности студента мыслить абстрактно, аналитически и овладеть правовой, политической культурой. Реализация этого процесса-государственный экзамен, где суммируется результат обучения. Здесь мы должны видеть готовность студента к восприятию полной картины юридической действительности, к использованию возможностей правового регулирования в решении экономических, социальных и других проблем общества.

С учетом важности вышеуказанных вопросов юристы, правоведы Грузии глубоко признательны за создание учебников по данной отрасли науки ныне скончавшимся профессорам Александру Вачеишвили, Иродиону Сургуладзе, особо известному ученому-юристу, член-корреспонденту Академии Наук Грузии профессору Гиви Инцикирвели, а также профессору Бидзине Саванели.

В последние годы в г. Москве в университетах и научно-исследовательских центрах России по теории государства и права изданы различные учебники под редакцией профессоров С. Алексева, В. Коротевского, В. Перевалова, Т. Марченеко, В. Лазарева, В. Хропоюка, В. Сальникова, М. Расолова, В. Лучина, В. Эбзеева, В. Глушенко, Карельского, Алексева и др.

Исследования С. Архипова, В. Лучина, О. Печенова, Р. Русимова, А. Семейско, Н. Тарасова, А. Шабурова, Н. Матузова, В. Попкова, Д. Эрнестовича, О. Лейста и других затрагивают проблемы теории государства и права.

Основная часть представленного нами труда, опирается на труды вышеперечисленных грузинских, русских и иностранных ученых. В виде лекций она прочитана на юридическом факультете Кутаисского государственного университета им. А. Церетели и Социально-технологического национального университета Грузии.

Книга не претендует на оригинальность, хотя считаем, что в таком изложении, наряду с существующим арсеналом, станет большим подспорьем для учащейся молодежи, ибо современная практика ставит большие требования перед указанной учебной дисциплиной.

С учетом этого, жизнь сама выдвинула новые объекты познания, отказалась от изживших себя догм теории государства и права, к проблематике добавились новые направления, которые зачастую переходят в сферы научных познаний других отраслей.

Постепенная интеграция наук, комплексный подход, плодотворно действующие на процесс познания цели еще больше расширили и конкретно определи-

ли роль и назначение проблем теории государства и права как учебной дисциплины.

Учитывая объем труда, его архитеконику мы решили разделить его на три части.

Первая часть содержит общие проблемы государства и права, вторая часть__проблемы теории государства, а третья__проблемы теории права.

В первой части рассмотрены: предмет теории государства и права, общенаучные, частнонаучные и специальные методы исследований, функции теории государства и права, место проблем теории государства и права в системе общественных и юридических наук; общество, его сущность, социальные и политические институты, проблемы возникновения государства и права, основные теории возникновения государства, государство и право Грузии.

Вторая часть охватывает суть государства и закономерности его развития, определяет функции государства, механизм государства, исторические типы государства, формы государства и место государства и права в политической системе, проблемы формирования правового государства и гражданского общества.

Третья часть посвящается проблемам права. В частности,__понятие, суть и социальная значимость права, проблема правового урегулирования, понятие правовых форм, формы (источники) права, проблема соответствия права и системы законодательства, правовые взаимоотношения, проблема толкования правовых норм, реализация права и проблема соответствий правовых норм, проблемы поведения человека в сфере права, проблемы юридической ответственности, проблемы законности и правопорядка, проблема международного правопорядка, правовые системы современности, проблема нормативизма в современной юриспруденции.

Здесь же рассмотрены вопросы права Российской Федерации, Франции, Китая, Индии, Японии, Италии.

Возможно не все согласятся с приведенными в труде принципами и положениями с учетом отдельных погрешностей. Мы с полной ответственностью примем все деловые замечания и учтем в последующих изданиях.

-

გამოყენებული ლიტერატურა

- ვ. აბაშმაძე, საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ძირითადი ფუნქციები, თბ., 1992 წ.
- ვ. აბაშმაძე, ქართული ინტელექტუალური ფენომენები, თბ., 1992 წ.
- ვ. აბაშმაძე, ნარკვევები პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიიდან წ
II თბ., 1977 წ.
- ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ., 1998 წ.
- С. С. Алексеев, Общая теория государства и права. М. 1981 г.
- ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია, თბ., 1993წ.
- Г. А. Белов, Политология (курс лекции) М, 1999 г.
- ო. ბეთიტაშვილი, ო. მელქაძე, იტალიის სამართალი, თბ., 1997 წ.
- Боден Ж., Шесть книг о республике СПб. 1903.
- Боевдин Л., Златопольский Д. Государственное право зарубежных соц. стран М. 1984.
- ლ. გეგეშიძე, ს. ყურაშვილი, პოლიტოლოგია თბ., 1991 წ.
- Гегель Г. В. Философия права М. 1990 г. с. 352.
- В. В. Глушенко, Теория Государства и права м. 2000 г.
- ო. გოგიაშვილი ე. ბატიაშვილი, ივ. ჯავახიშვილი და ახალი ქართული სახელმწი-
ფობრიობა თბ., 1998 წ.
- გ. გოგიაშვილი, შედარებითი ფედერალიზმი თბ., 2000 წ.
- Гумплович Л., Общее учение о государстве С. Петербург, 1910 г.
- ა. ლემეტრაშვილი, მსოფლიო ქვეყნების კონსტიტუციები, თბ., 1991 წ.
- Duverger M. Droit constitutionnel et institutions politiques, 1955.
- Документы по человеческому измерению ОБСЕ под. редакцией
Доктора Доминико Макголдрика, Варшава 1995 г.
- Действующее Международное право, триох томах Моск. 1999 г.
- „ღილის გაზეთი“ 1998 წ.
- რ. ფ. ეირინგი, ბრძოლა უფლებებისათვის თბ., 2000 წ.
- ერკოლი, საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციური განვითარების ეტაპები, თბ., 1960.
- ენგელსი, ოჯახის საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა.
- ვ. ერქომაიშვილი, ფილოსოფია, თბ., 1998 წ.
- ვ. ერქომაიშვილი, რა არის სამოქალაქო საზოგადოება? თბ., 1997 წ.
- ვ. ერქომაიშვილი, საზოგადოებათმცოდნეობა თბ., 1998 წ.
- ა. ვაჩიშვილი, სამართლის ზოგადი თეორია. თბ., 1925 წ.
- Вебер М. Обиективность социольно-научного и социольно-политического поз-
нания изб. соч. м. 1990 с. 379.
- Винер Н. Кибернетика и общества м. 1958.
- Wheare K. Federal Government, Neu jork, 1964
- თ. თებიძე, ფილოსოფიის ისტორიის ნარკვევები ბათ., 1999 წ.
- თ. ინჭკირველი, სახელმწიფო და სამართლის თეორია თბ., 1998 წ..
- Ива Глухан, Марояна Поленак__Акимовская Римская Право моск. 1999 г.
- История политических и правовых учении, учебник М.1999 г.
- История политических и правовых учении. 1998 г.
- История Политических и правовых учений под. ред. О Леиста м. 1999 г.
- Кант. изб. соч Т. 4.
- კ. კემულარია, სისხლის სამართლის საპროცესო ნორმის ანალოგიით გამოყენება, თბ.,
1984 წ.
- გ. კერენჩილაძე, ო. მელქაძე, საფრანგეთის სახელმწიფო სისტემა, თბ., 1997 წ.
- М. Ковалевский, Законы и обичай на кавказе. т I-II, 1890 г.
- Кона А. Ф. собр. соч. М. 1968 с. 25.
- Э. В. Кузнецов, В. Л. Саников, Наука о праве и государстве москва, __Санкт-
Петербург. 1999 г.

под. ред. В. В. Лазарева Общая теория права и государство м. 1999 г.

გ. ლობჯანიძე, ნარკვევები არჩ. ჯორჯაძის მსოფლმხედველობრივი სამართლებრივი ნააზრევიდან, ქუთ., 1998 წ.

გ. ლობჯანიძე, ნარკვევები საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძღვრებათა ისტორიიდან. ქუთ., 1998 წ.

Laband P. Das staatrecht des Deutschen Reiches 1901

მ. ლეკვიშვილი, პასუხისმგებლობა ეკონომიური დანაშაულისათვის, თბ., 1999 წ.

გ. ლორია, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი, თბ., 2000 წ.

С. Т. Максименко, Функции советского гражданского права 1978 г.

ვ. მეტრეველი, ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე თბ., 1977 წ.

ო. მელქაძე, საუბრები ქართულ კონსტიტუციაზე, თბ., 1997 წ.

ო. მელქაძე, კ. ყურაშვილი, რუსეთის სახელმწიფო სისტემა, თბ., 1997 წ.

ო. მელქაძე, საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო სამართალი, თბ., 1995 წ.

რ. მეტრეველი, დავით IV აღმაშენებელი თბ., 1990 წ.

გ. მკურნალიძე, მ. ხამხაძე, პოლიტოლოგია თბ., 1999 წ.

П. Моргань, Первобытное общество, С. Петербург 1880 г.

შ. ლ. მონტესკიე, კანონთა გონი, თბ., 1994 წ.

ზ. მთავანაძე, სისხლის სამართლის პროცესი ქუთ., 1999 წ.

გ. ნანიშვილი, სამართლის ნაშევილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასახელებისა, თბ., 1929 წ.

გ. ნადარეიშვილი, სახელმწიფოს წარმოშობის ზოგიერთი საკითხი თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ფ. მაცნე თბ., 1998 წ. №4

გ. ნადარეიშვილი, ენგელსი და პირველყოფილი საზოგადოების ისტორიის ზოგიერთი საკითხი ჟურ. „სამართალი“ 1984 წ. №4

გ. ნადარეიშვილი, სამართლის წარმოშობის საკითხი თანამედროვე ლიტერატურაში, ჟურ. „სამართალი“, 1991 წ. №6.

Общая Теория права и государства под. ред. Акад. В. В. Лазарева М. 1996 г.

ქალატონი, ადრეული დილოგები თბ., 1997 წ.

პარალელური ტექსტები ფილოსოფია და საზოგადოება თბ., 1998 წ.

Политология Под редакций А. А.Родигина, М.1999г.

პირველყოფილი საზოგადოების ისტორია თბ., 1986 წ.

Pestalozza ch. Einfuhrung-Verfassungen, der deutschen Bundeslunder 1977

Права Человека и судопроизводства (сборник международных документов) Варшава 1995 г.

Б. И. Путинский, Гражданско-правовое средств в хозяйственных отношениях м. 1984 г.

ჟან-ჟაკ რუსო, საზოგადოებრივი ხელშეკრულება, თბ., 1997 წ. 45.

რენე დავითი, თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები თბ., 1993 წ.

ი. რეხვიაშვილი, ჯ. ჯალიაშვილი, ვ. ზოჭოლაყა, პოლიტოლოგია თბ., 1991 წ.

რესპუბლიკა საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო? თბ., 1996 წ. ო. მელქაძის რედაქციით.

ბ. სავანელი. სამართლის თეორია, თბ., 1997 წ.

საქართველოს კონსტიტუცია, თბ. 1995 წ.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999 წ.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ., 2000 წ.

საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსი, თბ., 1997 წ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბ., 1999 წ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, თბ., 2000 წ.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, თბ., 2000 წ.

საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი, თბ., 2000 წ.

საქართველოს კანონები, აღამიანთა უფლებათა შესახებ საერთაშორისო აქტები და კონვენციები, თბ., 1998 წ.

М. С. Сетров, Основа Функциональной Теории Организации Хор. 1983 г.

- ირ. სურგულაძე, ხელისუფლება და სამართალი, თეზისები თ.ს.უ. 1927 წ.
- ივ. სურგულაძე, საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან თბ. 1986 წ.
- Теория государства и права под. ред. проф. В.Д. Превалова Моск. 1998 г.
- Теория государства и права, под. ред. М. Расселева, В. Лучина, Б. Эбчевеева, м. 2000 г.
- Теория государства и права под. ред. проф. С. С. Алексеева, Москва, 1998г,
- Теория государства и права под. ред. проф. С. С. Аккисеви м. 1999 г.
- Теория государства и права под. ред. В. Д. Превалова м. 1996 г.
- Теория государства и права под. ред. В. Корельский, В. Перевалова и С. Алексеева Моск. 2000 г.
- Теория государства и права под. ред. М. Расселева, В. Лучина и Э. Бзеева моск. 2000 г.
- ა. ტუკკაძე, პოლიტიკური ელიტის პრობლემები თბ., 1998 წ.
- Tittmann F. Darstellung der verfassung der Deutschen Bundes B, 1818.
- The Foundations of European Community Law
- T. C. HARTLEY oxford 1994 i
- ბ. უტაიშვილი, საქართველოს კონსტიტუციური მშენებლობის ეტაპები, ავტორეფერატი თბ., 1997 წ.
- ბ. ფაფიაშვილი, სისხლის სამართლის საქმისა და სისხლის სამართლებრივი დევნის აღძვრის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 1999 წ.
- თ. ფიფია, ადამიანის ზნეობრივი პერსპექტივები, თბ., 1988 წ.
- C. Federalism, national and internal in theory and pract, 1963
- ვ. ქარუმიძე, საერთაშორისო ორგანიზაციები, თბ., 1997 წ.
- ი. ქობალია, პოლიტოლოგია, როგორც მეცნიერება თბ., 1993 წ.
- რ. შენგელია, საოჯახო სამართალი, თბ., 1999 წ.
- აღ. შუმანაშვილი, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები, თბ., 1999 წ.
- შ. ჩიკვაშვილი, საოჯახო და მექვიდრეობის სამართალი თბ., 1999 წ.
- შ. ცაცანაშვილი, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია წ. I, II თბ., 1995-1999 წ.
- ზ. წულაია, საქართველოს სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილი, წ. 1. თბ., 1995 წ.
- ზ. წულაია, სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი თბ., 2000 წ.
- Церинг. Р. Борьба за права СЛБ 1895. с. 172.
- Цицерон, Диалоги о государстве, О законе м. 1968 г. с. 139.
- ი. ჭავჭავაძე თხზ. ტ. IV-V-VI
- კ. ჭანუყვაძე, ვ. ჭანია, პოლიტოლოგია, თბ., 1995 წ.
- ლ. ჭანტურია, საქართველოს სამოქალაქო სამართლის საფუძვლები, შესავალი, თბ., 1997 წ.
- ნ. ჭითანავა, გარდამავალის პერიოდი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, თბ., 1997 წ.
- ჯ. ხეცურიანი, სამოქალაქო სამართლის ფუნქციები თბ., 1995 წ.
- Хропанюк В.И. теория государства и права м. 1999 г.
- ბ. ზუბუა, ფედერალიზმი როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი თბ., 2000 წ.
- Gagem F. Das leben des General friderick, 1856
- Gerber F. von Grung zuge eines Sustum des D eutdchen staatrechts, 1856
- ჯანდა, პეპი გოლსმენი, ამერიკული დემოკრატია თბ., 1995 წ.
- შ. ჯაფარიძე, პოლიტოლოგია თბ., 1995 წ.
- ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია წ. VI თბ., 1982
- ზ. ჯინჯოლაძე, საქართველოს პარლამენტი, თბ., 1993 წ.
- არჩ. ჯორჯაძე, თხზ. წიგნი პირველი, თბ., 1911.

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა	3
შესავალი	7

პარი პირველი

თავი პირველი

სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის ზოგადი პრობლემები

§ 1. სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის საგანი და კვლევის მეთოდები	11
§ 2. ზოგადმეცნიერული კვლევის მეთოდები	15
§ 3. კერძო მეცნიერული და სპეციალური კვლევითი მეთოდები	17
§ 4. სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის ფუნქციები	20

თავი მეორე

სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის პრობლემები

საზოგადოებრივ მეცნიერებათა სისტემაში

§ 1. სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის როლი და ადგილი საზოგადოებრივ მეცნიერებათა სისტემაში	23
§ 2. სახელმწიფოსა და სამართლის თეორია იურიდიულ მეცნიერებათა სისტემაში	27

თავი მესამე

საზოგადოება, მისი არსი, სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტები

§ 1. საზოგადოება, მისი ცნება და სოციალური რეგულირების პრობლემები	30
§ 2. საზოგადოების სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტები	34

თავი მეოთხე

სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობა

§ 1. პირველყოფილი საზოგადოება	37
§ 2. სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის მიზეზები და პირობები	40
§ 3. ძირითადი თეორიები სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ	47
§ 4. საზოგადოებისა და სახელმწიფო თანაფარდობის პრობლემა	56
§ 5. საზოგადოებისა და სამართლის თანაფარდობის პრობლემა	61

თავი მესამე

საქართველოს სახელმწიფო და სამართალი

§ 1. რუსეთ-საქართველოს სამართლებრივი ურთიერთობის პრობლემები	63
§ 2. კონსტიტუციური განვითარების პრობლემები საქართველოში	73
§ 3. თანამედროვე საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემები	78
§ 4. კანონისა და ჩვეულების (ადათის) თანაფარდობის პრობლემა ქართულ სამართალში	87

პარი მეორე

თავი მეთხუთსე

სახელმწიფოს თეორიის პრობლემები

§ 1. სახელმწიფო—როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენა	97
§ 2. სახელმწიფოს არსის შესახებ სხვადასხვა დეფინიცია	99
§ 3. სახელმწიფოს ნიშნები	102
§ 4. სახელმწიფოს მეცნიერული საფუძვლები	108

§ 5. სახელმწიფოს განვითარების კანონზომიერებანი	111
§ 6. სახელმწიფოსა და სამართლის თანაფარდობის პრობლემა	112

თავი მეშვიდე

სახელმწიფო ხელისუფლება

§ 1 სახელმწიფო ხელისუფლების ცნება და თვისებები	115
§ 2. სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების მეთოდები	118
§ 3. სახელმწიფო ხელისუფლების ზნეობრივ-ედიოლოგიური საფუძვლები	121
§ 4. სახელმწიფო ხელისუფლების ლეგიტიმურობის პრობლემა	125

თავი მერვე

სახელმწიფოს ფუნქციები

§ 1 სახელმწიფოს ფუნქციების ცნება, კლასიფიკაცია და ევოლუციის პრობლემები	127
§ 2. სახელმწიფო ფუნქციების განხორციელების ფორმები და მეთოდები	136

თავი მეცხრე

სახელმწიფოს მექანიზმი

§ 1. სახელმწიფოს მექანიზმის ცნება და სტრუქტურა	138
§ 2. სახელმწიფო ორგანოს ცნება და ნიშნები	140
§ 3. სახელმწიფო ორგანოების ფორმები	142

თავი მათე

სახელმწიფოს ისტორიული ტიპები

§ 1 სახელმწიფოთა ისტორიულ ტიპებად დაყოფის პრობლემები	147
§ 2. აღმოსავლური სახელმწიფო და სამართალი	153
§ 3. დასავლური სახელმწიფო და სამართალი	155
§ 4. მონათფლობელური სახელმწიფო და სამართალი	159
§ 5. ფეოდალური სახელმწიფო და სამართალი	161
§ 6. კაპიტალისტური სახელმწიფო და სამართალი	163
§ 7. სოციალისტური სახელმწიფო და სამართალი	166

თავი მათერთმეტე

სახელმწიფოს ფორმები

§ 1 სახელმწიფოს ფორმის ცნება და მნიშვნელობა	169
§ 2. მართვა-გამგეობის ფორმა	170
§ 3. სახელმწიფო წყობილების ფორმა	181
§ 4 პოლიტიკური რეჟიმის ცნება	183

თავი მათორმეტე

სახელმწიფოსა და სამართლის მიმართება ეკონომიკის, პოლიტიკის და კულტურის პრობლემებთან

§ 1. სახელმწიფოსა და სამართლის ეკონომიკასთან მიმართების პრობლემა	188
§ 2. სახელმწიფოსა და სამართლის პოლიტიკასთან მიმართების პრობლემა	193
§ 3. სახელმწიფოსა და სამართლის კულტურასთან მიმართების პრობლემა	196

თავი მეცამეტე

სახელმწიფო და სამართალი საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში

§ 1. საზოგადოების პოლიტიკური სისტემის საერთო დახასიათება	199
§ 2. საზოგადოების პოლიტიკური სისტემის განვითარების კანონზომიერებები	203

§ 3. სახელმწიფო საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში	206
§ 4. სამართალი და საზოგადოების პოლიტიკური სისტემა	210

თავი მეთოთხმეტე

სამართლებრივი სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოება

§ 1. სამართლებრივი სახელმწიფოს მოძღვრების თეორიული ფესვები	215
§ 2. სამართლებრივი სახელმწიფო და მისი დამახასიათებელი ნიშნები	219
§ 3. სამოქალაქო საზოგადოების ცნება	230

ქარი მესამე

სამართლის თეორიის პრობლემატიკა

თავი მეთხუთმეტე

§ 1. სამართლის ცნება, არსი და ნიშნები	237
§ 2. სამართლის წარმოშობის თეიეებურებანი	242
§ 3. სამართლის პრინციპების განსაზღვრის პრობლემა	244
§ 4. პოლიტიკა, სამართალი და ზეობა	247
§ 5. სამართლის სოციალური ღირებულებისა და ფუნქციების განსაზღვრის პრობლემა	249
§ 6. სოციალურ ნორმათა სისტემაში სამართლის ადგილის განსაზღვრის პრობლემა	251
§ 7. რელიგიისა და სამართლის თანაფარდობის პრობლემა	257
§ 8. მართლშეგნების პრობლემა თანამედროვე იურისპრუდენციაში	262
§ 9. სამართლის ძირითადი თეორიები და მათი განვითარების პრობლემატიკა	265

თავი მეთექვსმეტე

სამართლებრივი მოწესრიგების პრობლემატიკა

§ 1. სამართლებრივი მოწესრიგების ცნება და საგანი	282
§ 2. სამართლებრივი მოწესრიგების მეთოდები და ხერხები	285
§ 3. სამართლებრივი მოწესრიგების სტადიები	289
§ 4. სამართლებრივი მოწესრიგების მექანიზმები	291

თავი მეთვინმეტე

სამართლის ნორმები

§ 1. სამართლის ნორმის ცნება, მისი ნიშნები	294
§ 2. სამართლებრივი ნორმების სახეები	297
§ 3. სამართლის ნორმის სტრუქტურა	300

თავი მეთორმეტე

სამართლის ფორმები (წყაროები)

§ 1. სამართლის ფორმის (წყაროს) ცნება და სახეები	309
§ 2. სამართალშემოქმედების პრობლემატიკა	312
§ 3. სამართალშემოქმედებითი (საკანონმდებლო) პროცესი და მისი ეტაპები	315
§ 4. სამართალშემოქმედების პრინციპები და სახეები	319
§ 5. კანონის ცნება და სახეები	322
§ 6. სამართლისა და კანონის თანაფარდობის პრობლემა	325
§ 7. ნორმატიული აქტების მოქმედება ღროში, სიერცეში და პირთა წრის მიხედვით	326
§ 8. ნორმატიული აქტების სისტემატიზაცია	329
§ 9. საკანონმდებლო ტექნიკა	331

თავი მესრამეტა

სამართლისა და კანონმდებლობის სისტემების თანაფარდობის პრობლემა	
§ 1 სამართლის სისტემის ცნება	333
§ 2 კანონმდებლობის სისტემა	343
§ 3 სამართლისა და კანონმდებლობის სისტემების განვითარების პრობლემები	344

თავი მეოცე

სამართლებრივი ცნობიერება და სამართლებრივი კულტურა	
§ 1 სამართლებრივი ცნობიერების სტრუქტურა და კლასიფიკაცია	348
§ 2 სამართლებრივი კულტურა	354

თავი ოცდამეერთე

სამართლებრივი ურთიერთობის პრობლემები	
§ 1 სამართლებრივი ურთიერთობის ცნება	359
§ 2 სამართლის სუბიექტები	361
§ 3 სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი	367
§ 4 უფლება და მოვალეობა, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი	370
§ 5 იურიდიული ფაქტები	373

თავი ოცდამეორე

სამართლის ნორმის ახსნა-განმარტების პრობლემა	
§ 1 ახსნა-განმარტების ცნება	378
§ 2 სამართლებრივი ნორმების ახსნა-განმარტების ხერხები	380
§ 3 სამართლის ნორმის ახსნა-განმარტების ფორმები და სუბიექტები	384
§ 4 სამართლის ნორმის ახსნა-განმარტების ფუნქციათა განსაზღვრის პრობლემა	388

თავი ოცდამესამე

სამართლის რეალიზაცია და სამართლის ნორმის შეფარდების პრობლემები	
§ 1 სამართლის რეალიზაცია	391
§ 2 სამართლის ნორმების შეფარდების სტადიები	394
§ 3 სამართლის ნორმის შეფარდების აქტები	397
§ 4 კანონისა და სამართლის ანალოგის პრობლემა	402

თავი ოცდამეოთხე

სამართლებრივ სფეროში ადამიანების ქცევის პრობლემები მართლზომიერი ქცევა, სამართალდარღვევა	
§ 1 ადამიანების ქცევა და სამართალი	404
§ 2 მართლზომიერი ქცევა	407
§ 3 სამართალდარღვევა	411
§ 6 პოლიტიკური და ზნეობრივი პასუხისმგებლობის პრობლემა	417

თავი ოცდამეხუთე

იურიდიული პასუხისმგებლობის პრობლემები	
§ 1 იურიდიული პასუხისმგებლობის ცნება	422
§ 2 იურიდიული პასუხისმგებლობის პრინციპების განსაზღვრის პრობლემა	427
§ 3 იურიდიული პასუხისმგებლობის საფუძვლები და სახეები	431
§ 4 იურიდიული პასუხისმგებლობა და სახელმწიფოებრივი იძულების ლეგიტიმურობის პრობლემა	436

თავი ოცდამეექვსე

კანონიერებისა და მართლწესრიგის პრობლემები

§ 1. კანონიერების ცნება	438
§ 2. კანონიერების პრინციპების განსაზღვრის პრობლემა	442
§ 3. კანონიერებისა და კანონმდებლობის თანაფარდობა სამართლის თეორიაში	448
§ 4. კანონიერების განმტკიცების პრობლემები	450
§ 5. მართლწესრიგისა და საზოგადოებრივი წესრიგის თანაფარდობის პრობლემა	457

თავი ოცდამეშვიდე

ადამიანის უფლებები და სამართალი

§ 1. ადამიანი და სამართალი	464
§ 2. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ცნება	466
§ 3. ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების კლასიფიკაციის პრობლემა	469
§ 4. ადამიანის უფლებათა დაცვის პრობლემები	472
§ 5. პიროვნების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის პრობლემა	475

თავი ოცდამერვა

საერთაშორისო (მსოფლიო) მართლწესრიგის ფორმირების პრობლემები

§ 1. საერთაშორისო მართლწესრიგის ფორმირების ცნება და საფუძვლები	477
§ 2. თანამედროვე საერთაშორისო მართლწესრიგის პრობლემები	480

თავი ოცდამეცხრე

თანამედროვეობის (მსოფლიო) სამართლებრივი სისტემები

§ 1. სამართლებრივი სისტემების კლასიფიკაცია	490
§ 2. კომპარტივიზმის პრობლემა სამართალში	491
§ 3. ანგლოსაქსური სამართლებრივი სისტემა	494
§ 4. რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემა	501
§ 5. ისლამური სამართლის სისტემა	506
§ 6. ჩვეულებითი სამართლის სისტემა	512
§ 7. სოციალისტური სამართლის სისტემა	513
§ 8. რუსეთის ფედერაციის სამართალი	516
§ 9. საფრანგეთის სამართალი	522
§ 10. ჩინეთის სამართალი	525
§ 11. ინდოეთის სამართალი	527
§ 12. იაპონიის სამართალი	529
§ 13. თანამედროვე იტალიის სამართალი	531
დანიართი. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია	538
რეზიუმე	543
გამოყენებული ლიტერატურა	546

ГИВИ ЛОБЖАНИДЗЕ

Родился третьего мая 1948 года.

Окончил историко-филологический факультет Кутаисского государственного педагогического института и юридический факультет Тбилисского государственного университета.

В 1969-71 годах прошел обязательную военную службу.

Трудовую деятельность начал в 1973 году в Кутаисском автомеханическом техникуме.

С 1973 же года работает в системе Министерства внутренних дел Грузии — начальником районного отдела внутренних дел г. Терджола, начальником Кутаисского Управления внутренних дел, заместителем начальника экспертно-криминального управления МВД, первым заместителем начальника Академии внутренних дел.

В 1992-95 годы являлся мажоритарным депутатом парламента Республики Грузия. С 1995 года по сей день работает в службе правления региональной политики Президента Грузии.

В 1987 году, после успешной защиты кандидатской диссертации, Гиви Лобжанидзе присуждают ученую степень кандидата юридических наук, а в 1995 году — ученую степень доктора юридических наук. Является членом ученого совета по присуждению ученой степени юридического факультета ТГУ, автором более 100 научных и публицистических трудов, 7 монографий, соавтором двух книг.

Предмет его научных разысканий представляют актуальные вопросы истории политического и правового учения Грузии, грузинско-русских правовых взаимоотношений, проблемы теории государства и права.

Доктор юридических наук, профессор, генерал-майор полиции, кавалер ордена чести Гиви Лобжанидзе — верный друг, отличный семьянин и достойный гражданин своего отечества.

INFARMATION ABOUT THE AUTHOR

Professor Givi Lobzhanidze was born on May 3, 1948. In 1965 he finished the secondary school. In 1969 he graduated from History-Philosophical Faculty of Kutaisi State Pedagogical Institute and in 1981 he graduated from the law Faculty of Tbilisi I. Javakhishvili State University.

In 1987 he defended his thesis and became a Bachelor of Juridical Science, and later in 1995 a Doctor of Juridical Sciences. He is elected as a real Member of the National Academy. He has published about 100 articles and scientific works, five monographs and is a co-author of two books.

G. Lobzhanidze began to work in 1972 after the military service. He has been working in the system of the Ministry of Home Affairs since 1973. Started as a juvenile inspector (police Lieutenant). Being head of the department, first deputy of the academy of the Ministry of Internal affairs he received a special title of General-Major. In 1992-1995 he was elected as a major delegate member of the Georgian Parliament, he is awarded the Order of Honour. Nowadays he continues his scientific-pedagogical activities. He's the first general among Georgian scientists and the first doctor professor among Georgian generals.

He has a wife, two children, a daughter-in-law and a grandchild.

P. S. He spent his childhood in one of the picturesque parts of Georgian-Racha. Unique nature, godlike people, hard working and honourable family formulated in him philanthropic and national mentality.

Further development of his personality and creation of his family are connected with Kutaisi, the town that has real Georgian spirit and great traditions of the national cultural heritage. There he felt the Holy power of love and friendship which still follows him everywhere in his life.

გამომცემლობის რედაქტორი ელგუჯა თავბერიძე
მხატვრული რედაქტორი ბიული ბვიშიანი
კორექტორი ლია შერბელაშვილი

გადაეცა წარმოებას 1.08.2000. ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.10.2000.

პირობითი ნაბეჭდი თაბახი 34.75.

შეკვეთის № 1281

ქ. ქუთაისი. გ. ტაბიძის სახელობის ს/ს „სტამბა“

ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33.